სოციალური და ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტი
The Institute for Social and Economic Studies

==========

პაატა ლეიაშვილი

ეკონომიკური მოღვაწეობა
სისტემური ანალიზი

მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა.

გამომცემლობა **„სიახლე“**

თბილისი
2017

UDC (უაკ) 303.732.4 + 33.01
ლ - 40

პაატა ლეიაშვილი. ეკონომიკური მოღვაწეობა: სისტემური ანალიზი. მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“. 2017, 463 გვ.

პროფ. პ. ლეიაშვილის ნაშრომში გაანალიზებულია ეკონომიკური მოღვაწეობის არსი და მისი გამოვლენის ფორმები ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკის, ქაოსის თეორიის და კონსტრუქტივიზმის იდეები. დიალექტიკური ანალიზის მეშვეობით გამოვლენილია რეფლექსური კავშირები ფუნდამენტურ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის. ამის შედეგად საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა რთული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა. კონსტრუქტივიზმის და ქაოსის თეორიებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, თუ როგორ ბადებს შიდასისტემური რეკურსიული პროცესები წონასწორობას ეკონომიკურ სისტემაში, თუ რატომ იბადება ეკონომიკური ციკლები. წარმოდგენილია „სიმეტრიული მოდელი“, რომელიც იძლევა საშუალებას უკეთ გავერკვეთ ეკონომიკური პროცესების არსში, წონასწორობის და ციკლების ფორმირების ენდოგენურ ფაქტორებში.

ნაშრომი გათვალისწინებულია ეკონომიკური პროფილის მეცნიერ-მუშაკებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

<u>მეცნიერ-რედაქტორი:</u>

როზეტა ასათიანი - ეკონიმიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

<u>რეცენზენტები:</u>

გიორგი ბარამიძე - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გივი ბედიანაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978 – 9941 – 9413 – 8

© პაატა ლეიაშვილი, 2017

პაატა ლეიაშვილი

ეკონომიკური მოღვაწეობა

სისტემური ანალიზი

მე-2 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

შინაარსი

რედაქტორისაგან 7
წინასიტყვაობა 15
შესავალი 25
თავი 1. კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ
1.1. დიალექტიკა 32
1.2. ქაოსის თეორია 41
1.3. კონსტრუქტივიზმი 50
1.4. სისტემური მიდგომა 61
თავი 2. ეკონომიკური მოღვაწეობის დიალექტიკური ანალიზი
2.1. ეკონომიკური მოღვაწეობა
2.1.1. ძირითადი ცნებები 65
2.1.2. მიზანშეწონილი მოღვაწეობის უზენაესი მიზანი 74
2.1.3. სარგებლიანობა და ხარჯი 80
2.1.4. ეკონომიკური მოღვაწეობა 87
2.1.5. საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება 93
2.2. ნატურალური ეკონომიკა
2.2.1. ეკონომიკური ფუნქციები 101
2.2.2. ეკონომიკური მოღვაწეობა როგორც წრიული პროცესი 109
2.2.3. რესურსები და პროდუქტები 114
2.2.4. ეკონომიკური ფასეულობა 124
2.2.5. ეკონომიკური მოღვაწეობის ოპტიმიზაცია 133
2.3. საბაზრო ეკონომიკა
2.3.1. საბაზრო ეკონომიკა როგორც ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა 139
2.3.2. წარმოების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები 147
2.3.3. საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობა 157
2.3.4. მოგება და დანაზოგი 167
2.3.5. ინვესტირება და ვალად მოხმარება 170
2.3.6. საბაზრო ფასი და ეკონომიკური ფასეულობა 177
2.3.7. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფასეულობები 187
2.3.8. ფული და ფასწარმოქმნა. 193
2.3.9. დეცენტრალიზებული ეკონომიკის ოპტიმალურობის კრიტერიუმი. 204
2.3.10. საბაზრო ეკონომიკის ზოგადი დახასიათება 209
2.3.11. ეკონომიკური წონასწორობის "სიმეტრიული მოდელი" 213

თავი 3. ეკონომიკური ციკლები
3.1. ენდოგენური ეკონომიკური ციკლი 239
3.2. ეკონომიკური ციკლი ქაოსის თეორიის ფოკუსში 252
3.3. საბაზრო სისტემის „უცნაური ქცევის“ მიზეზი 261
თავი 4. საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემები
4.1. შიდასისტემური წინააღმდეგობები
4.1.1. განვითარების კულმინაცია 274
4.1.2. ეკონომიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები 276
4.1.3. შეუსაბამობა ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის 281
4.2. საფინანსო სექტორი თანამედროვე ეკონომიკაში
4.2.1. ახალი ტენდენციები საბანკო საქმეში 284
4.2.2. ვალად მოხმაება და ფინანსური არასტაბილურობა 287
4.2.3. „ჰაერიდან“ შექმნილი კრედიტები 292
4.2.4. საკრედიტო ექსპანსია და მისი შედეგები 297
4.2.5. დეპონირების სამართლებრივი საფუძვლები 302
4.2.6. ნაწილობრივი საბანკო რეზერვირების სისტემა 309
4.3. მონოპოლიები და რეგულირების აუცილებლობა
4.3.1. მონოპოლისტური ფასწარმოქნა 315
4.3.2. რეგულირების აუცილებლობა 320
თავი 5. ანალიზის ინტერდისციპლინარული კონტექსტი
5.1. საბაზრო ეკონომიკა კონსტრუქტივისტულ დისკურსში
5.1.1. სოციალური სისტემის ფორმირება 326
5.1.2. სოციალური მოქმედება 328
5.1.3. აუტოპოეზისი 334
5.1.4. ოპერაციული ჩაკეტილობა და კაუზალური გახსნილობა 338
5.1.5. „საკუთრივი მნიშვნელობები“ 348
5.1.6. თვითრეფერენცია და გარერეფერენცია. 359
5.2. ეკონომიკური თავისუფლება
5.2.1. ეკონომიკური ფასეულობა ფენომენოლოგიის კონტექსტში 365
5.2.2. ეკონომიკური ფასეულობა აქსიოლოგიის კონტექსტში 371
5.2.3. ეკონომიკური ფასეულობა და ეკონომიკური თავისუფლება 378
დასკვნა 386
დანართი 1. 416
დანართი 2. 452
გამოყენებული ლიტერატურა 455

რედაქტორისაგან

ეს წიგნი არ არის იოლად საკითხავი ლიტერატურა. მკითხველისაგან იგი მოითხოვს გარკვეულ მომზადებას. ცხადია, რომ ტექსტი ბევრი ფიქრის შედეგია. და იგი მკითხველსაც განაწყობს ფიქრისათვის, გამოირჩევა აზრის სიღრმით, მიუხედავად ამისა, ტექსტი იკითხება ინტერესით.

ეკონომიკური წონასწორობა, თვითრეგულირება, ციკლები, ფასეულობა, ფასწრმოქმნა და ეკონომიკური თეორიის სხვა ფუნდამენტური პრობლემები წარმოადგენს იმ ძირითად თემებს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განიხილება ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე და რომლებიც წარმოდგენილია მეცნიერული კატეგორიების ერთიანი სისტემის ფორმით. ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა ნეოკლასიკურ თეორიაში დიდი ხანია ბადებს კითხვებს, მაგრამ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სავსებით აშკარა გახდა, რომ ეს თეორია ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხებს ამ კითხვებზე. ამიტომ წარმოდგენილი ნაშრომი დააინტერესებს თეორიული პროფილის ეკონომისტებს რომლებიც უხვად ნახავენ მასში საზროვნო მასალას. კვლევიდან ჩანს, თუ რაოდენ საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა იდეა, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება წარმოადგენს ქაოსიდან წესრიგის წარმოშობას იგივე პრინციპების საფუძველზე, როგორც ეს ხდება ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, სოციალურ თუ კოგნიტურ სისტემებში. ანუ, წარმოდგენილია მცდელობა ეკონომიკურ სისტემაშიც დავინახოთ ბუნების უზოგადესი კანონების მოქმედება. ამისათვის პროფ პ. ლეიაშვილი აქტიურად ეყრდნობა სოციოლოგების ტ. პარსონსის და ნ. ლუმანის გამოცდილებას და ეკონომიკურ ანალიზში შემოაქვს ისეთი კატეგორიები, როგორიც არის – „სოციალური

მოქმედება“, “კაუზალური გახსნილობა”, “ოპერაციონალური ჩაკეტილობა”, „ეთრექტორი“, „აუტოპოეზისი“ და სხვ. ანუ წარმოდგენილია ეკონომიკური ანალიზის სრულიად ახალი ინსტრუმენტარი, რომელთა მეშვეობითაც მიღებულია ეკონომისტებისთვის უჩვეულო და ამავდროულად რაციონალური ახსნა ისეთი პროცესების, როგორიცაა საბაზრო სისტემის თვითრეგულირება, ეკონომიკური ციკლები და ა.შ.

ქაოსის თეორია (სინერგეტიკა) თანდათან იპყრობს თანამედროვე ეკონომისტების ყურადღებას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი იკვლევს სწორედ იმას, რაც არის საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრობლემა, ანუ იმას, თუ როგორ ყალიბდება ქაოსიდან წესრიგი, ის მაინც გამოიყენება მხოლოდ ცალკეული პრობლემების (ძირითადად, ფინანსური ბაზრების) კვლევისათვის, მაგრამ არ გამოიყენება როგორც ზოგადმეთოდოლოგიური მიდგომა მთლიანად საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების, მისი თვითრეგულირების მექანიზმების ასახსნელად. რაც შეეხება დიალექტიკას და კონსტრუქტივიზმს ან ფენომენოლოგიურ მიდგომას, ისინი პრაქტიკულად იგნორირებულია თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეკონომიკური მეცნიერების დოგმატიზმით გამოწვეული ასეთი „კარჩაკეტილობა“, ცხადია, აფერხებს მის განვითრებას.

პროფ პ. ლეიაშვილის შრომაში ანალიზი იწყება არა საქონლის, როგორც საბაზრო სისტემის „ელემენტარული უჯრედის“ (მარქსი) ანალიზიდან, არამედ მიზანშეწონილი მოქმედებიდან, როგორც ზოგადად ეკონომიკური მოღვაწეობის მაკონსტიტუირებელი ელემენტიდან. ასეთი მიდგომა გამართლებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში კვლევის საგანი არის არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკური სისტემა, არამედ ზოგადად ეკონომიკური მოღვაწეობა, რომლის მხოლოდ ერთ-ერთ კერძო ფორმას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკა.

თავდაპირველად წიგნში გაანალიზებულია ეკონომიკური მოღვაწეობის ძირითადი კანონზომიერებები ინდივიდუალურ დონეზე. შემდეგ ნაჩვენებია თუ შრომის დანაწილების საფუძ-

ველზე როგორ წარმოიშობა მისგან საბაზრო ეკონომიკა, ხოლო ინდივიდუალური ეკნომიკური მოქმედება როგორ იძენს სოციალური მოქმედების ხასიათს. სოციალური მოქმედების ანალიზისას ავტორი იშველიებს ამერიკელი სოციოლოგის თ. პარსონსის „სოციალური მოქმედების თეორიას“ და მთლიანად საბაზრო ეკონომიკას წარმოგვიდგენს როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემას და საზოგადოების ერთ-ერთ ქვესისტემას.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ნაშრომი, ლუდვიგ მიზესის ცნობილი ტრაქტატის „Human activity“ — მზგავსად, ეფუძნება ეკონომიკური მოღვაწეობის ტელეოლოგიურ გაგებას. მაგრამ მიზესი როგორც ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენელი, უარყოფდა დიალექტიკას. პროფ. პ. ლეიაშვილის კვლევიდან ჩანს, რომ ტელეოლოგიური მიდგომის „გამდიდრება“ დიალექტიკური მეთოდით იძლევა ეკონომიკური პროცესების სრულიად განსხვავებულ ხედვას. მეტიც, მართალია, ტექსტში აშკარად „ამოვიცნობთ“ მარქსის, ვალრასის, კეინზის, ავსტრიული სკოლის თეორიების გავლენას, მიუხედავად ამისა იგი არ არის არც მათი იდეების ეკლექტური ნაზავი და არც რომელიმე თეორიის გადამღერება. მათი იდეების სინთეზის საფუძველზე შემოთავაზებულია ეკონომიკური მოღვაწეობის აუთენტური კონცეფცია, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ყოველი მათგანისაგან.

მაგალითად, ეკონომიკური ფასეულობის წარმოდგენილ კონცეფციაში შეიძლება ერთდროულად ამოვიკითხოთ როგორც მარქსის შრომითი ღირებულების თეორიის, ისე სარგებლიანობის თეორიისა და წარმოების ფაქტორების თეორიის გავლენაც. თუმცა სავსებით ცხადია, რომ იგი რადიკალურად განსხვავდება ყოველი მათგანისაგან. ასევე, წონასწორობის ავტორისეული ვერსია („სიმეტრიული მოდელი“) აშკარად ინსპირირებულია ვალრასის იდეებით, მაგრამ ამავე დროს სრულიად განსხვავებულია მისი მოდელისაგან.

დიალექტიკის და სინერგეტიკის პრიციპებზე დაყრდნობით პროფ. პ. ლეიაშვილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური მოქმედებების ერთიან სისტემას. ამ ურთიერთკავშირების გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური პროცესების არსის შესწავლით, ხოლო მოვლენების დონეზე ეკონომიკური პროცესები შეიძლება ჩანდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და ურთიერთსაპირის-პიროც კი. მაგრამ ვინაიდან „ეკონომიკსის“ მეთოდოლოგია არ ცნობს არსის არსებობას და არ გააჩნია მისი კვლევის მეთოდები, იგი არ იკვლევს მას და ამიტომაც ვერ ხედავს ამ ურთიერთკავშირებს. ამიტომაც, ნაშრომში სამართლიანად არის აღნიშ-ნული, რომ ნეოკლასიკოსები ვერ აცნობიერებენ ღრმა შინაგან კავშირებს ერთი შეხედვით დამოუკიდებელ, ან ურთიერთსა-პირისპირო კატეგორიებს შორის, როგორიც არის წარმოება და მოხმარება, მოთხოვნა და მიწოდება, სარგებლიანობა და ხარჯი, მოგება და დანაზოგი და ა.შ. ამიტომ მეინსტრიმის ფარგლებში წარმოების თეორია არ არის ორგანულად დაკავ-შირებული მოხმარების თეორიასთან, მოთხოვნის თეორია – მიწოდების თეორიასთან, სარგებლიანობის თეორია ხარჯების თეორიასთან და ა.შ. და მხოლოდ ეკლექტურად ხდება მათი კომპილაცია რთი დისციპლინის ფარგლებში.

მაგალითად, ნაშრომში აღნიშნულია, რომ მოვლენების დონეზე არ ჩანს კავშირი მოგებასა და დანაზოგს შორის. მაგ-რამ არსის დონეზე ერთიც და მეორეც წარმოადგენს სხვაობას შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. ასევე მოთხოვნა და მიწო-დება. ერთი შეხედვით ეს მხოლოდ საპირისპირო მოვლენებია. მაგრამ არსის დონეზე, ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნა თვითონვე წარმოადგენს რაიმე სხვა საქონლის მიწოდებას. (საქონელზე მოთხოვნა არის ფულის მიწოდება, ხოლო საქონ-ლის მიწოდება – არის ფულზე მოთხოვნა). ანალოგიურად სხვა რეფლექსიური კატეგორიები – წარმოება და მოხმარება, სარგებლიანობა და დანახარჯები, პროდუქტი და რესურსი,

ინვესტირება და ვალად მოხმარება და ა.შ. თანდათან მკითვე-ლისთვის ცხადი გახდება, რომ ამ ურთიერთკავშირების გამოვ-ლენას მართლაც აქვს არსებითი მნიშვნელობა ისეთი ფუნდა-მენტური პროცესების გაგებისათვის, როგორიც არის საბაზრო თვითრეგულირება, საყოველთაო წონასწორობის ფორმირება, ეკონომიკური ციკლები და სხვ. ამ იდეებმა კონცენტრირებული ასახვა პოვეს წონასწორობის „სიმეტრიულ მოდელში“. ნაშრომ-ში შემოთავაზებულია საერთო ეკონომიკური წონასწორობის ორიგინალური მოდელი და მასზე დაფუძნებული ენდოგენური ეკონომიკური ციკლის კონცეფცია.

ნაშრომში მოყვანილია ჰ. მინსკის და ფ. ჰაიეკის შეხედუ-ლებები ეკონომიკური ციკლის თაობაზე და ამ ციკლების წარმოშობაში საბანკო სისტემის როლის თაობაზე. მათ იდე-ებზე, აგრეთვე თანამედროვე ეკონომისტების კვლევის შედე-გებზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საფინანსო სისტემაში მომხდარი ცვლილებები და ამ ცვლილებებით გამოწვეული ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობა. ავტორი გვიჩვენებს, რომ ნეოკლასიკოსების მიერ ჰ. მინსკის და ფ. ჰაიეკის იდეების იგნორირება ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ნეოკლასიკური რეცეპტები უძლური აღმოჩნდა თანამედროვე გამოწვევების წინაშე როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ეკონომიკებში. ამასთან, აღნიშნული თეორიების მართებულობა დასტურდება პროფ პ. ლეიაშვილის კვლევაში მიღებული დასკვნებით. სამწუხაროდ ავტორი არ გვთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებს საბანკო სისტემის რეფორმირებისათვის. თუმცა ზოგადად მისი პოზიცია მეტნაკლებად გასაგები ხდება თვით ამ მოვლენების ანალი-ზიდან.[1]

---

[1] საერთოდ აღსანიშნავია, რომ პროფ. პ. ლეიაშვილს სავსებით გამოკვე-თილი შეხედულებები აქვს თანამედროვე ეკონომიური რეალობის, საბაზრო ეკონომიკის სისტემური კრიზისის თაობაზე. მაგრამ იგი ბევრს არაფერს ამბობს თუ როგორ და რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს რეფორმები, თუ რა უნდა გაკეთდეს სისტემური კრიზისის დასაძლევად. ძნელია იმის თქმა თუ რატომ არის ავტორი ასეთი სიტყვაძუნწი ამ საკითხებთან დაკავშირებით

ავტორს წარმოდგენილი აქვს „სიმეტრიული მოდელი“. და ამ მოდელის სიმეტრია მომდინარეობს თვით კონცეფციიდან. ანუ, თითქოს თვით კონცეფციაში იგრძნობა ერთგვარი სიმეტრია, წონასწორობა და შინაგანი ჰარმონია, რაც მას ანიჭებს ესთეტიზმს. ამიტომ, ბევრი მკითხველისთვის ეს ნაშრომი ალბათ იქნება სიურპრიზი იმ გაგებით, რომ შესაძლოა მან აღმოაჩინოს თავისთვის, რომ თურმე აზროვნებასაც ჰქონია თავისი სილამაზე. ერთ-ერთ თავის სტატიაში („The Dialectics of Economic Activity. In Searching of Symmetry in Economy. // Georgian International Journal of Science and Technology, V. 3. Issue 3, 2011) ავტორიეკონომიკური მეცნიერების შესახებ წერს: „... დიალექტიკა შესაძლებელს ხდის აღმოვაჩინოთ ეკონომიკურ პროცესებში ისეთი შინაგანი ჰარმონია და წესრიგი, რომ დიალექტიკური თვალსაზრისით ეს „პირქუში მეცნიერება“ გვევლინება როგორც მშვენიერი.“ ასეთი ესთეტიზმი უდაოდ იგრძნობა მოცემულ ნაშრომშიც. და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, თანამედროვე მეცნიერების თანახმად, სიმეტრია დამახასიათებელია ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების, მიკრო- და მაკროსამყაროს ფუნდამენტალური კანონებისათვის. ცხადია თავისთავად სიმეტრია ვერ გამოდგება ამ კონცეფციის ჭეშმარიტების კრიტერიუმად, მაგრამ უნებლიედ მაინც ჩაგვაფიქრებს იმაზე, რომ შესაძლოა ავტორი აზროვნებს სწორი მიმართულებით.

წიგნის კითხვისას მკითხველი თანდათნ დაინახავს, რომ ყოველი მომდევნო მსჯელობა იბადება წინა მსჯელობიდან და თანდათნ იკვეთება ერთიანი სისტემის კონტურები. და მართალია, ყოველი ცალკეული დებულება არგუმენტირებულია დამაჯერებლად და ძნელია შეედავო ავტორს, მაგრამ მთლიანობაში კონცეფცია იმდენად განსხვავდება და კიდეც უპირისპირდება ნეოკლასიკურ თეორიას, რომ რაღაც გაურკვეველი

(ვიმედოვნებ, ამის მიზეზია ავტორის განზრახვა მიუძღვნას ამ საკითხებს სპეციალური გამოკვლევა.) თუმცა სისტემური კრიზისის მიზეზები იმდენად ნათლად აქვს წამოდგენილი ავტორს, რომ გასატარებელი რეფორმების მისეული ხედვა თავისთვად იკვეთება.

მენტალური ბარიერი ხელს გიშლის ერთბაშად უარი თქვა წლების მანძილზე შესისხლხორცებულ სტერეოტიპულ იდეებზე და ხელაღებით გადაეწყო სრულიად განსხვავებულ აზროვნებაზე. შესაძლოა მეინსტრიმის „გიპნოტური“ გავლენა განპირობებულია იმით, რომ „ეკონომიკის“ სტანდარტული იდეები უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ინერგება თითქმის მთელ მსოფლიოში და ბუნებრივია, წარმოშვეს ეკონომიკური აზროვნების ძლიერი ინერცია, რომლის გადალახვაც საჭიროებს დროს და ინტელექტუალურ ძალისხმევას. სხვაგვარად ძნელად ასახსნელია ის ფაქტი, რომ ნეოკლასიკური თეორია, რომელიც, ერთი მხრივ, აშკარად ვეღარ უპასუხებს თანამედროვე მეცნიერების კრიტერიუმებს, და მისი არაადექვატურობა, ზედაპირულობა და დოგმატიზმი მთელს მსოფლიოში გახდა მწვავე კრიტიკის საგანი, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ინარჩუნებს მეინსტრიმის სტატუსს. ამიტომ ეს წიგნი, ალბათ, პირველ პირგში დაწერილია ახალგაზრდებისათვის, რადგან რადიკალურად ახალი იდეების გათავისება ყოველთვის იყო და რჩება ახალგაზრდების ხვედრი. ახალგაზრდები ნაკლებად განიცდიან წარსული ავტორიტეტების წნეხს და გააჩნიათ მათ (რიგ შემთხვევაში, დრომოჭმულ) იდეებთან დაპირისპირების გამბედაობაც, რადიკალური სიახლის თქმის ამბიციაც და ამისათვის საჭირო კრეატიული აზროვნებაც.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით წინამდებარე კვლევის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ:

1. ყურადღება ფოკუსირებულია პოზიტიური კონცეპციის ჩამოყალიბებაზე და არა მეინსტრიმის კრიტიკაზე (რომელიც ისედაც ჭარბად იბეჭდება ეკონომიკურ ლიტერატურაში).

2. კვლევის შედეგად შემოთავაზებულია ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული თეორიული სისტემა, და არა ცალკეული პრობლემების ანალიზი.

3. ნაჩვენებია ეკონომკური კვლევებისათვის დიალექტიკის, ქაოსის თეორიისა და კონსტრუქტივიზმის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. კონკრეტული პრობლემების ანალიზის მაგალით-

ზე ინტერდისციპლინარული კვლევის ფორმატში მოხდა მათი უნიკალური შესაძლებლობების დემონსტრირება.

4. შემოთავაზებული კონცეფცია წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს, რაც უკვე თავის თავად ანიჭებს მას მეცნიერულ ღირებულებას მიუხედავად იმისა, გაიზიარებს მას მკითხველი, თუ არა. მითუმეტეს, რომ კვლევის განახლებული მეთოდოლოგიური ბაზა ბადებს მეცნიერული კვლევების სრულიად ახალ მიმართულებას.

მართლაც, ამ მეთოდოლოგიურ საფუძველზე იხსნება ფართო ასპარეზი სხვა გადაუჭრელი ეკონომიკური პრობლემების მეცნიერულად პერსპექტიული კვლევებისათვის. და დიდი ალბათობით ამ კვლევების შედეგად უნდა ველოდოთ ნოვაციებს არა მხოლოდ ეკონომიკურ თეორიაში. ეკონომიკური თვითრეგულირების ახალებური ინტერპრეტაცია, ცხადია აგრეთვე წარმოშობს გასატარებელი რეფორმების და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების სრულიად განსხვავებულ ალგორითმს, რომლის თაობაზეც ზოგადი მინიშნებები გაკეთებულია ნაშრომში.

უდაოა, რომ ნაშრომი არის ავტორის შემოქმედებითი გამარჯვება იმ დოგმატიზმზე, სქოლასტიკაზე, ზედაპირულობაზე, რომელიც დღეს სუფევს ეკონომიკურ თეორიაში, და მიუხედავად იმისა თუ ვინ რამდენად გაიზიარებს ავტორის პოზიციას, ეს ნაშრომი ნებისმიერ შემთხვევაში არის წინ გადადგმული ნაბიჯი და სერიოზული წვლილი შეაქვს იმ ხავსმოკიდებული გაბატონებული დოგმების მსხვრევაში, რომლებიც ბლოკავენ თავისუფალ აზროვნებას და ეკონომიკური მეცნიერების განვითრებას.

დაბოლოს, გულწრფელად ვუსურვებ ავტორს კიდევ მრავალ ასეთ შემოქმედებით წარმატებას და ინტერესით ველით მის ახალ სამეცნიერო შრომებს.

როზეტა ასათიანი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

წინასიტყვაობა

თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია რეგულირების გარეშე, ხოლო რეგულირება შეუძლებელია ადეკვატური ეკონომიკური თეორიის და მოდელების გარეშე. სამწუხაროდ, 2008 წლის „დიდმა რეცესიამ“ დაგვანახა, რომ ნეოკლასიკური თეორია, რომლის საფუძვევლზეც ხდება ეკნომიკური პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, აღმოჩნდა საფუძველშივე მცდარი. საქმე ისაა, რომ 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი ძერითადი გამომწვევი მიზეზი იყო არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და მოდელები, ესე იგი, ის არასწორი თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო მას. ამას დაემატა ისიც, რომ პოსტკრიზისული პერიოდი უსაშველოდ გაიწელა და არსებული ეკონომკური პოლიტიკა ვერ უმკლავდება მას. ეს არის თანამედროვე ეკონომიკის სისტემური კრიზისის ნიშნები და მისი გააზრება საჭიროებს ეკონომიკური პროცესების პრინციპულად ახალ გაგებას.

დღეს უკვე ცხადია, რომ იმ ტრადიციული, მარტივი იდეებით, რომელსაც გვთავაზობენ ნეოკლასიკოსები, შეუძლებელია ისეთი რთული პროცესის ახსნა, როგორიც არის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება. საბაზრო ეკონომიკა არის რთული სისტემა და მისი შესწავლა საჭიროებს რთული სისტემების თეორიის და მრავალი სხვა თანამედროვე მეცნიერული მიდგომების გათვალისწინებას. ხოლო ნეოკლასიკური თეორიის ზედაპირული იდეები, რაც არ უნდა „შეფუთონ“ რთული მათემატიკური ფორმულებით, რჩება ზედაპირულ იდეებად. ეკონომიკური თეორია საჭიროებს სრულიად ახალ პარადიგმას. ამ გარემოებამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია პარადიგმატული

კვლევების გააქტიურება და ახალი საბაზისო იდეების, ახალი მეთოდოლოგიური საფუძვლების ძიება.

ეს არის პერიოდი, როდესაც აკადემიურ წრეებში მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ნეოკლასიკური თეორია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები არა მხოლოდ არ ასახავენ რეალობას ადეკვატურად, არამედ წარმოადგენენ საფრთხეს. რადგან ისინი არიან არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკების და ამ პოლიტიკების არასასურ-ველი შედეგების მიზეზი. მაგრამ, მეინსტრიმთან დაკავშირებით აკადემიურ წრეებში გაჩენილი სკეპტიციზმის მასშტაბები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაცნობიერებული პრაქტიკოსი ეკონომისტების და პოლიტიკოსების წრეებში. მრავალ ქვეყა-ნაში ჯერ კიდევ ბევრია ამ იდეების ერთგული პოლიტიკოსები. დიდწილად, ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ჩამოყალიბებული ალტერნატიული ეკონომიკური კონცეფცია, უბრალოდ არ არსებობს. მეცნიერები იმყოფებიან მხოლოდ ძიების პროცესში.

დღეს მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს პროცესები, რომ-ლებიც არანაირად არ თავსდება ნეოკლასიკური ეკონომიკური პარადიგმის ჩარჩოებში. თანამედროვე ეკონომიკური რეალობის ხელახალი მეცნიერული გადააზრების პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის კრიზისის შემდეგ. უპრიანია, რომ საქართველოშიც გააქტიურდეს მეცნიერული კვლევები ამ მიმართულებით რათა დაიმსხვრას ის თავსმოხვეული ნეო-კლასიკური დოგმები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნი-სთვის საზიანო ეკონომიკურ პოლიტიკას. წინამდებარე ნაშრო-მიც წარმოადგენს მცდელობას გადაიდგას კიდევ ერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით.

ამ წიგნის პირველი გამოცემა არსებობს მხოლოდ ელექ-ტრონული ფორით.[2] წინამდებრე მე-2 გამოცემაში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები და გაკეთებულია დამატებები. შეცვლილია წიგნის სტრუქტურაც. კერძოდ, დამატებულია თავი, რომელიც ეძღვნება საბაზრო ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში და ამ ცვლილებებით გამოწვეულ ახალ პრობლემებს, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა.

ეს გამოკვლევა ჩატარებულია რამდენიმე დისციპლინის მიჯნაზე. თვითეულ მათგანში არსებობს აუარებელი მეცნიერუ-ლი ლიტერატურა. რა თქმა უნდა ყველა შრომების გაცნობა იყო შეუძლებელი. და არც ჩემი კომპეტენცია იყო საკმარისი რომ სიღრმისეულად შემესწავლა ყველა ეს დისციპლინა. მაგრამ, ის მოკრძალებული ცოდნაც კი, რომელიც ხელმისაწვ-დომი გახდა ჩემთვის, აღმოჩნდა საკმარისი იმ უზარმაზარი მეცნიერული პოტენციალის და შესაძლებლობების დასანახად, რომელიც დაკავშირებულია ინტერდისციპლინარულ კვლევებ-თან. თუმცა, დღეს უკვე იმდენი ცოდნაა დაგროვილი მეცნიერების ყველა დარგში, რომ ამ ტიპის კვლევების პოტენციალის სრუ-ლად რეალიზებისთვის არ არის საკმარისი ცალკე აღებული მკვლევარის შესაძლებლობები. მეცნიერულად უფრო მნიშვნელო-ვანი შედეგების მისაღწევად საჭიროა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კოლექტიური ძალისხმევა.

---

[2] წიგნის სათაურთან დაკავშირებით ზოგიერთ კოლეგას გაუჩნდა კითხვის ნიშნები, რის გამოც მიზანშეწონილად მიმაჩნია მცირეოდენი განმარტებების გაკეთება. მართლაც ქართულენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში ტრადიციულად ხმარებაშია ტერმინი ეკონომიკური *საქმიანობა* და არა ეკონომიკური *მოღვაწეობა.* ტერმინი *მოღვაწეობა* გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ლაპარაკია პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, ხელოვნებაზე, რელიგიაზე და ა.შ. ეს გარემოება ხელს უშლის იმის გაცნობიერებას, რომ ეკონომიკური მოღვაწეობა, ისევე, როგორც პოლიტიკური, მეცნიერული, რელიგიური თუ სხვ. არის მიზანშეწონილი მოღვაწეობის ერთ-ერთი ნაირსახეობა. სწორედ ამ იდეას ეფუძნება წიგნში წარმოდგენილი კონცეფცია რამაც განაპირობა წიგნის ასეთი სათაური.

თავდაპირველად ჩემი ინტერესი კონცენტრირებული იყო ღირებულების პრობლემაზე. ღირებულების საკითხი ყოველთვის მიმაჩნდა ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად. ყურადსაღებია, რომ კლასიკოსების შრომებში ამ საკითხს ყოველთვის ეთმობოდა ცენტრალური ადგილი. ეს პრობლემა დღემდე ტოვებს უამრავ კითხვის ნიშნებს, მაგრამ პრობლემა აღმოჩნდა იმდენად რთული, რომ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში იგი პრაქტიკულად იგნორირებულია და ჩანაცვლებულია ფასების თეორიით. აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა ჩემი სადოქტორო დისერტაციაც, სადაც შევეცადე ღირებულება წარმომედგინა როგორც ეკონომიკური სარგებლიანობის და ეკონომიკური ხარჯების ერთობლიობა. ამ პრობლემების კვლევამ ჩამითრია და ბოლოს ჩამომიყალიბდა ეკონომიკური პროცესების ერთიანი ხედვა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ნეოკლასიკური დოგმებისაგან და რომლის ძირითადი იდეებიც შეიძლება ასე იქნეს ფორმულირებული:

1. ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიების დიალექტიკური ანალიზის შედეგად საბაზრო ეკონომკა წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა რთული, არაწრფიული, ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი სისტემა. ასეთ სისტემებს აქვთ უნიკალური თვისებები, რომლებიც კარგად არის შესწავლილი ქაოსის თეორიის, კონსტრუქტივიზმის და მეორე რიგის კიბერნეტიკის მიერ. ეს გარემოება იძლევა საშუალებას ეკონომიკური პროცესების გამოსაკვლევად მოვიხმოთ ამ მეცნიერული დისციპლინების უახლესი მეცნიერული მიღწევები ინტერდისციპლინარული ანალიზის ფორმატში. დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის ინტერდისციპლინარული ანალიზის შედეგად ვიღებთ ეკონომიკური კატეგორიების და მათ შორის ურთიერთკავშირების პრინციპულად ახალ ინტერპრეტაციას, ეკონომიკური წონასწორობის და თვითრეგულირების მექანიზმის ახლებურ გაგებას.

2. საბაზრო ეკონოიკის პირობებში ყოველი სუბიექტი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებენ სხვები და აწარმოებს იმას, რასაც მოიხმარენ სხვები. შესაბამისად, მას სურს იყიდოს ის, რაც ეკუთვნით სხვებს და გაყიდოს ის, რაც ეკუთვნის მას. ანუ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაშუალებულია სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ამის გამო, თავისი მოქმედებებით სუბიექტები „მიბმულნი" არიან ერთმანეთთან და შეადგენენ ერთ მთლიანობას, სისტემას, რომელშიც ყველაფერი, რაც იწარმოება - მოიხმარება, და ყველაფერი, რაც მოიხმარება - იწარმოება. ასეთ პირობებში ყოველი ეკონომიკური მოქმედება ბადებს სხვა ეკონომიკურ მოქმედებას ანუ იბადება რეკურსიული პროცესები, რის გამოც ეკონომიკური სისტემა ხდება ფუნქციონალურად ჩაკეტილი თვითაღწარმოებადი სისტემა, რომელიც თვითონ ბადებს იმ ელემენტებს (ეკონომიკურ მოქმედებებს) რომლისგანაც შედგება.

3. ფუნქციონალური ანუ ოპერაციონალური ჩაკეტილობა გულისხმობს, რომ ერთი ფუნქციის შესრულება არის სხვა ფუნქციის შესრულების პირობა. ეს ურთიერთდაკავშირებული ფუნქციები ქმნიან ჩაკეტილ სისტემას, რომელშიც ყველა ფუნქციები, ასე თუ ისე, ბადებენ ერთმანეთს. უფრო კონკრეტულად, ფუნქციების წრიული ორგანიზება ბადებს მოქმედებების ისეთ თანმიმდევრობას, რომელიც (ამ მოქმედებებით შესრულებული ფუნქციების თანმიმდევრობის მეშვეობით) განაპირობებს თვით ამ წრიული ორგანიზების აღწარმოებას, ანუ ფუნქციონალურ ჩაკეტილობას. ამ წრიულად ორგანიზებული ურთიერთკავშირების სადმე გაწყვეტა შეუძლებელია.

4. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონალური ჩაკეტილობა განპირობებულია ერთიანი სისტემის ფარგლებში ყველა ეკონომიკური ფუნქციის ურთიერთკავშირებით (წარმოების, მოხმარების, მოთხოვნის, მიწოდების, ინვესტირების, დაზოგვის და სხვ.), რომლებიც ქმნიან ჩაკეტილ სტრუქტურას. ამის მეშვე-

ობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური აღწარმოების პროცესი გავიგოთ როგორც წრიულად ორგანიზებული პროცესი, რომელ-შიც ეკონომიკური მოქმედებების რეზულტატები ხდებიან მათივე წინაპირობები. ანუ ეკონომიკური სისტემა წარმოგვიდ-გება როგორც ავტოპოეზური სისტემა, რომელიც თვითონ ქმნის თავისივე ელემენტებს.

5. ასეთი მიდგომის შედეგად ცხადი ხდება, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითორგანიზება ხორციელდება რეკურსიული პროცესების შედეგად (საქონელი იწარმოება საქონლის მეშვე-ობით, ფასები ფორმირდება ფასების საფუძველზე, მოქმედებები ბადებენ მოქმედებებს, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებები ბადებენ ახალ მოთხოვნილებებს და ა.შ.). რეკერსიული პროცე-სები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე როგორც სხვა რთულ არაწრფიულ დინამიკურ სისტემებში, ბადებენ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ (მათემატიკოსების ტერმინებში - „უძრავ წერ-ტილებს“). ასეთ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ წარმოადგენენ საქონლის წონასწორული ფასები და რაოდენობები, რომლის-კენაც, რეკურსიული პროცესების შედეგად ისწრაფვიან საქონ-ლის ფაქტიური საბაზრო ფასები და რაოდენობები, და ამით უზრუნველყოფენ სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორო-ბისაკენ.

6. რადგან საბაზრო ეკონომიკა ერთდროულად არის ფუქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი, იგი ერთდროულად ისწრაფვის წონასწორობისაკენ სისტემის შიგნით (შიდასისტემურ პროცესებს შორის), და უწონასწორობისაკენ - გარემოსთან მიმართებაში. შიდა წონასწორობა და მდგრადობა აუცილებელია სისტემის მთლიანობის შესანარჩუნებლად, ხოლო უწონასწორობა და არამდგრადობა გარემოს მიმართ არის სისტემის განვითარების აუცილებელი პირობა. ამიტომ ეკონო-მიკურ სისტემას აქვს გომეოსტაზის უნარი, და ამასთან, შეუძ-ლია განვითარება, მდგომარეობის შეცვლა, გარემოს ზემოქ-

მედეგაზე რეაგირება და მასთან ადაპტირება. ანუ ისწრაფვის დინამიკური წონასწორობისაკენ.

7. შემოთავაზებულია საერთო ეკონომიკური წონასწორობის მოდელი, ანუ *ეთრექტორის* მოდელი - ეკონომიკური სისტემის ფარდობითად მდგრადი, ლათენტური სტრუქტურის მქონე ისეთი მდგომარეობისა, რომლისკენაც დეცენტრალიზებული ეკონომიკა ისწრაფვის შიდასისტემური პროცესების განვითარების იმანენტური ლოგიკის წყალობით. რთული არაწრფიული სისტემების მათემატიკური მოდელები ცხადყოფენ, რომ ასეთი სისტემები თავის წიაღში „მალავენ“ შედასისტემური პროცესების ორგანიზების გარკვეულ ფორმებს, რომლებიც განპირობებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი არაწრფიული თვისებებით. ანუ ამ სტრუქტურების--ეთრექტორების ინტერპრეტირება შესაძლებელია როგორც ტელეოლოგიური სტრუქტურებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის ევოლუციის ძირითად ტენდენციებს. შექმნილი მოდელის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ეფექტური გამოყენებითი მოდელების შექმნა პროგნოზირებისთვის და ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.

8. ეკონომიკური პროცესების არსის არცოდნით არის გამოწვეული ის, რომ ნეოკლასიკური თეორია, მართალია, აფიქსირებს კავშირს დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის, მაგრამ ვერ აცნობიერებს ურთიერთკავშირს დანაზოგსა და მოგებას შორის, ასევე, ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას შორის. აქედან გამომდინარე, იგი ვერ აცნობიერებს კავშირებს ყველა ამ ზემოხსენებულ ნაკადებს შორის (დაზოგვას, მოგებას, ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას შორის), რომლებიც არსებობენ ეკონომიკურ სისტემაში. მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება, თუ როგორ ხდება აღწარმოება, როგორ ფორმირდება საერთო ეკონომიკური წონასწორობა, როგორ იბადება ეკონომიკური ციკლი. მაგრამ მიზეზი იმისა, რომ ეს

უაღრესად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირები არის დღემდე შეუსწავლელი, არის კვლევის არასწორი მეთოდოლოგია და, შესაბამისად, არასწორი მეთოდები.

წიგნში შევეცადე დავანახო მკითხველს, რომ თავის თავად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება არ გულისხმობს ეკონომიკურ პოლარიზაციას. ოპტიმალურ რეჟიმში ეკონომიკა ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც მაკროეკონომიკურ დონეზე ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის არსებობს ჰარმონია და დაცულია გარკვეული წონასწორული პროპორციები, გამოკვლეულია ამ პროპორციების კონკრეტული პარამეტრები. მართალია, ეკონომიკა პრაქტიკულად არასოდეს ფუნქციონირებს ასეთ რეჟიმში გარე ფაქტორების მუდმივი ზემოქმედების გამო, მაგრამ თვით ამ ფუნქციონირების პროცესში ხდება იმ ეკონომიკური ძალების გენერირება, რომელებიც ცდილობენ შიდა სისტემურ დონეზე აღადგინონ დარღვეული პროპორციები ეკონომიკურ ნაკადებს შორის. პოლარიზაცია არღვევს ამ პროპორციებს და აფერხებს ეკონომიურ ზრდას.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე საბაზრო ეკონომიკაში თავს იჩენენ შიდასისტემური პრობლემები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკის თვითრეგულირებას. ამიტომ, პოლიტიკამ თავს კი არ უნდა მოახვიოს თვითნებურად ეკონომიკას თავისი მიზნები, არამედ ხელი შეუწყოს ეკონომიკას თვითონ აღადგინოს დარღვეული პროპორციები ეკონომიკურ ნაკადებს შორის. მაგრამ, არასწორი პოლიტიკა იწვევს ამ თვითრეგულირების მექანიზმის ბლოკირებას, ანუ პრობლემაა არა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და შემოსავლების გადანაწილება, არამედ არასწორი მეთოდებით ჩარევა.

სწორედ ამ პრობლემას აწყდება ნეოკლასიკური თეორია და მასთან ასოცირებული ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. რადგან კეინზიანური ან სხვა მეთოდებით ეკონომიკაში ჩარევა ბადებს პრობლემებს, აქედან ნეოკლასიკოსები ასკვნიან,

რომ სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში. მაგრამ ეკონომიკაში ჩაურევლობა და საბაზრო პროცესების თვითდინებაზე მიშვება ბადებს არანაკლებ პრობლემებს, ვიდრე არასწორი მეთოდებით ჩარევა.

ცხადია ერთი, რომ ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა ვერ იქნება შემუშავებული იქამდე, სანამ არ შეიქმნება ეკონომიკური რეალობის ადეკვატური თეორია. სწორედ ამ ადეკვატური თეორიის ძიებაში არიან დღეს ეკონომისტები მთელს მსოფლიოში და ამან გამოიწვია პარადიგმატული და მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევების გააქტიურება. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ბევრი ძალიან საინტერესო ნაშრომი, წამოყენებულია მრავალი ორიგინალური იდეა, თუმცა, მეტ-ნაკლებად აღიარებული, რაიმე ერთიანი კონცეპცია, ჯერ არ არსებობს, ანუ დაინგრა (ან ინგრევა) ნეოკლასიკური პარადიგმა, მაგრამ ახალიც ჯერ არ ჩანს. ამ მეცნიერებაში შეიქმნა ვაკუუმი, რომელიც უამრავ პრობლემას ქმნის ეკონომიკურ მეცნიერებაშიც და პრაქტიკაშიც, მაგრამ, ამასთან, ათავისუფლებს დოგმებისაგან სააზროვნო სივრცეს, ქმნის მოტივაციას და ინტელექტუალურ გარემოს აქტიური მეცნიერული შემოქმედებისათვის. წინამდებარე ნაშრომიც ინსპირირებულია სწორედ ამ შემოქმედებითი მოტივებით.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ წიგნში შემოთავაზებული იდეები დაეხმარებათ სტუდენტებს, მკვლევარებს და ეკონომიკური თეორიით დაინტერესებულ პრაქტიკოს--ეკონომისტებს განთავისუფლდნენ იმ ნეოკლასიკური დოგმების ტყვეობიდან, რომელსაც თავს ახვევენ მათ ეკონომიკსის სტანდარტული სახელმძღვანელოები. მიუხედავად იმისა, გაიზიარებენ თუ არა ეკონომიკური პროცესების ავტორისეულ ხედვას, ნებისმიერ შემთხვევაში, იგი უბიძგებს მათ კრეატიული აზროვნებისაკენ, გაუჩენს ინტერესს ამ საგნის მიმართ, რომელიც ამ მეცნიერებაში შექმნილი ვაკუუმის პირობებში იძლევა შემოქმედებითი

ძიების უზარმაზარ ასპარეზს. კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით მიმაჩნია ძალზე იმედისმომცემი და პერსპექტიული, როგორც თეორიული, ისე წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ კვლევის ამ უაღრესად საინტერესო მიმართულებით დაინტერესდებიან ახალგაზრდა მეცნიერებიც და შეძლებენ უფრო სიღრმისეულად და საფუძვლიანად გააკეთონ ის, რისი გაკეთებაც მე ვერ შევძელი.

და ბოლოს მინდა გამოვხატო მადლიერების გრძნობა რეცენზენტების, პროფ. გიორგი ზარამიძის და პროფ. გივი ბედიანაშვილის მიმართ იმისათვის, რომ გამონახეს დრო ხელნაწერის წასაკითხად და გამიზიარეს თავიანთი მოსაზრებები. განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვთქვა რეცენზენტის, რედაქტორისა და გამომცემლის, პროფ. როზეტა ასათიანის მიმართ, რომელსაც დიდ წვლილი მიუძღვის ტექსტის სრულყოფაში და რომლის პირადი ინიციატივითა და ძალისხმევითაც გახდა შესაძლებელი ამ წიგნის გამოცემა.

პაატა ლეიაშვილი
თბილისი
იანვარი, 2017 წ.

„არსებული ეკონომიკური თეორია არის თეორიული სისტემა, რომელიც დაფრინავს ჰაერში და ცოტა რამ აკავშირებს იმასთან, თუ რაც ხდება რეალურ სამყაროში.“

რონალდ კოუზი

„სირთულეს წარმოადგენს არა იმდენად ახალი იდეების განვითარება, რამდენადაც ძველი იდეებისაგან განთავისუფლება.“ **ჯონ მეინარდ კეინზი**

შესავალი

1. ეკონომიკური მეცნიერება დგას თანამედროვეობის სერიოზული გამოწვევების წინაშე. იმის გაცნობიერება, რომ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია ვერ ასახავს რეალობას ადეკვატურად, დაიწყო დიდი ხნის წინ, ხოლო 2008 წლის მსოფლიო კრიზისმა საბოლოოდ დაარწმუნა ეკონომისტების დიდი უმრავლესობა, რომ ღრმა კრიზისში იმყოფება თვით ეკონომიკური მეცნიერება. მან ვერ შეძლო კრიზისის არა თუ პრევენცია, არამედ პროგნოზირებაც კი. თუ 30–იან წლებში ჯ. კეინზმა, ჯ. რობინსონმა და რამდენიმე სხვა ეკონომისტმა "დიდი დეპრესიის" პროვოცირებაში "ბრალი დააკისრეს" ნეოკლასიკურ თეორიას, დღეს უკვე მრავალი ეკონომისტი აღიარებს ნეოკლასიკური თეორიის როლს 2008 წლის კრიზისის აღმოცენებაში. შესაბამისად, მსოფლიოში სულ უფრო მეტი ეკონომისტი რწმუნდება ნეოკლასიკური პარადიგმის შეცვლის აუცილებლობაში.

მეინსტრიმის კრიტიკამ მიიღო იმდენად მწვავე ხასიათი, რომ გასცდა წმინდა მეცნიერულ ფარგლებს. პუბლიკაციებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეკონომიკისის მწვავე კრიტიკა. ინტერნეტ ფორუმებზე და მასმედიაში გამოითქმება ბრალდებები, რომ ნეოკლასიკოსებმა განდევნეს ალტერნატიული აზრი ეკონომიკური პროფილის წამყვანი ჟურნალებიდან. აღმოცენდა აქამდე უპრეცედენტო სტუდენტური მოძრაობა, რომელიც აპროტესტებს ნეოკლასიკური თეორიის დომინირებას სასწავლო პროგრამებში.

აშშ–ის კონგრესშიც კი იხილებოდა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში არსებული პრობლემები გამომდინარე მისი მნიშვნელობიდან პოლიტიკის შემუშავებაში.

კრიტიკამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო 2008 წლის კრიზისის შემდეგ. ეკონომისტებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი ვერ გაერკვნენ თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა. ნეოკლასიკური თეორიის წინააღმდეგ წამოყენებულია უამრავი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტი. კრიტიკასთან ერთად გააქტიურდა ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით ინტერესს წარმოადგენს სისტემური მიდგომა;

2. მძაფრი ინტერესი ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის მიმართ განპირობებულია განსაკუთრებული როლით, რომელიც ამ მეცნიერებამ შეიძინა თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. ამ მეცნიერებაში შექმნილი კრიზისი საბოლოოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, უმუშევრობაზე, ინფლაციაზე, თავდაცვისუნარიანობაზე, ჯანდაცვის და განათლების ხარისხზე ანუ რიგითი მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის, მონოპოლიზაციის, ინფორმატიზაციის, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების პირობებში, ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. მაგრამ ეკონომიკაში არასწორი მეთოდებით ჩარევა ისევე აფერხებს ეკონომიკის ფუნქციონირებას, როგორც ჩაურევლობა. გაუთავებელი კამათი მიმდინარეობს იმიზე, თუ რამდენად უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში. მაგრამ ეს პრობლემები ვერ გადაიჭრება იქამდე, სანამ ეკონომიკური თეორია არ გადაჭრის ჯერაც გადაუჭრელ თეორიულ პრობლემებს;

3. ეკონომიკურ კვლევებში აუცილებელია მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინების მიღწევების გათვალისწინება. რთული სისტემების და მეორე რიგის კიბერნეტიკის (Second-order cybernetics) თეორიების დასკვნები იძლევა საშუალებას უფრო ღრმად გავაანალიზოთ ეკონომიკური პროცესების არსიც და ამ მეცნიერების კრიზისის მიზეზებიც. კერძოდ, მათი დასკვნებიდან გასაგები ხდება, რომ, საბუნებისმეტყველო დისციპლინებისაგან განსხვავებით, ცოდნა, რომელსაც მოიპოვებს ეკონომიკური მეცნიერება, არსებით გავლენას ახდენს იმ ეკონომიკურ რეალობაზე, რომელსაც ეს მეცნიერება სწავლობს. „როდესაც ფიზიკოსებმა კლასიკური, ნიუტონისეული მექანიკის კონცეფცია ჩაანაცვლეს კვანტური მექანიკის კონცეფციით, ატომის ქცევა არ შეცვლილა. მაგრამ ა. სმითის, კ. მარქსის, ჯ. კეინზის, მ. ფრიდმენის და სხვათა თეორიებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ეკონომიკის ფუნქციონირება.“ (Попков, 2014,10).[3] გამოდის, რომ შესწავლის საგანი თვითონ არის დამოკიდებული შესწავლის შედეგებზე. ამ პრობლემის დაძლევა შეუძლებელია ნეოკლასიკური თეორიის მეთოდებით;

4. ეკონომიკური მოღვაწეობა არის ადამიანის მიზანშეწონილი მოღვაწეობის ნაირსახეობა, ხოლო საბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკური მოღვაწეობის გამოვლენის მხოლოდ ერთი ფორმა. მისი გამოვლენა შესაძლებელია აგრეთვე ნატურალური და რეგულირებადი ეკონომიკის ფორმითაც. იმისათვის, რომ გავიგოთ ეკონომიკური მოღვაწეობის არსი, საჭიროა შევისწავლოთ საერთოდ მიზანშეწონილი მოღვაწეობა. ეკონომიკური მოღვაწეობა არის ტელეო-

[3] „ეკონომიკური მეცნიერების მსგავსად სოციალური მეცნიერებები განსხვავდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან იმით, რომ ჩვენი წარმოდგენები ზემოქმედებენ რეალობაზე: წარმოდგენები ატომების ქცევის შესახებ არ ახდენენ გავლენას ატომების ფაქტობრივ ქცევაზე, მაგრამ წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, გავლენას ახდენენ მის ფაქტობრივ ფუნქციონირებაზე. ჟორჯ სოროსმა, დიდმა ფინანსისტმა, ამ მოვლენას უწოდა რეფლექსიურობა და მის მიერ ამ მოვლენის გაგებამ, შესაძლოა ხელი შეუწყო მის წარმატებას.“ (Stiglitz, 2012, 91)

ლოგიური პროცესი, მოღვაწეობა წინასწარ განსაზღვრული მიზნე-ბის შესაბამისად. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელიც არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე კვლევის ნებისმ-იერ ეტაპზე. ამის ნაცვლად მეინსტრიმის ფარგლებში პროცესების ანალიზი ხდება ფსიქოლოგიზმის, ტექნოლოგიზმის, მეთოდოლო-გიური ინდივიდუალიზმის პოზიციებიდან, რაც ბადებს მცდარ დასკვნებს.

ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემას, ხოლო მის ელემენტს - ეკონომიკური მოქმედება. ამიტომ აუცილე-ბელია კვლევის დაწყება მოქმედების ტელეოლოგიური ანალიზით, ხოლო იმის გაგებისათვის, თუ როგორ ფუნქციონირებს მთლიანად ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა, საჭიროა მისი კვლევა დია-ლექტიკური მეთოდის საფუძველზე. ამის შედეგად მივიღებთ ეკონომიკური კატეგორიების და მათი ურთიერთკავშირების პრინ-ციპულად განსხვავებულ ინტერპრეტაციას, ეკონომიკური წონას-წორობის და ეკონომიკური ციკლების ახლებურად გაგებას. ეკონო-მიკური მოღვაწეობის კვლევაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება აგრეთვე მისი ინტერდისციპლინარული ანალიზი ისეთი თეორი-ების კონტექსტში, როგორც არის სოციოლოგების ტ.პარსონსის, ნ. ლუმანის და მათი მიმდევრების "მეტათეორიები", ქაოსის თეორია, მეორე რიგის კიბერნეტიკა და კოსტრუქტივიზმი. ამ თვალსაზრი-სით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტ. პარსონსის იდეები სოციალური მოქმედების თაობაზე და ნ. ლუმანის შეხედულებები აუტოპოესიის, კაუზალური გახსნილობის, ოპერაციონალური ჩაკეტილობის შესახებ და სხვ.;

5. ქართველი ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე წერდა: „ ... სუბიექტურ ყოფიერებას თანამედროვე მეცნიერება ან სრულიად უგულებელყოფს, ანდა იკვლევს „ობიექტური“ მეთოდებით და ამით ფიზიკური პროცესების მსგავსად. გაუხსნელი რჩება სუბიექტური ყოფიერების სპეციფიკური ფაქტორები.“ (კაკაბაძე, 1985, 117-118). ეს მოსაზრება ნათელყოფს ეკონომიკური მეცნიერე-

ბის კრიზისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. ეკონომიკური მეცნიერება თავისი პოზიტივისტური მეთოდებით ადამიანს და მის მოღვაწეობას „იკვლევს ფიზიკური პროცესების მსგავსად“. იგი არ ითვალისწინებს, რომ დანარჩენ სამყაროსაგან ადამიანს განასხვავებს თავისუფლება და რომ „თავისუფლება არის არა მარტო მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვის კაცობრიობა, არამედ ამ მიზნის მიღწევის საშუალებაც, საშუალება, რომელიც თავის რეალიზებას ნახულბს ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა აქტში, ყველა ფორმაში.“ (Чавчавадзе, 1984, 30) და, რა თქმა უნდა, მათ შორის ეკონომიკურ მოღვაწეობაშიც.

როგორ და რა ფორმით ვლიმდება ადამიანის თავისუფლება ეკონომიკურ მოღვაწეობაში საერთოდ? როგორ ხდება მისი რეალიზება კონკრეტულად საბაზრო ეკონომიკის პირობებში? საით მივყავართ ეკონომიკური პროცესების განვითარების ლოგიკას? - ყოველივე ეს რჩება გაბატონებული ეკონომიკური პარადიგმის ყურადღების მიღმა. ცხადი გახდა, რომ ეკონომიკური თეორიის შემდგომი განვითარება საჭიროებს ახალ მიდგომებს, უფრო ადეკვატურს ისეთი რთული არაწრფიული სისტემისათვის, როგორიცაა საბაზრო ეკონომიკა;

6. საბაზრო ეკონომიკის, როგორც რთული თვითრეგულირებადი სისტემის, შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ინსპირირებულია ძირითადად გ. ჰეგელის, კ. მარქსის, ლ. ვალრასის, ლ. მიზესის, ი. პრიგოჟინის, გ. ჰაკენის, ტ. პარსონსის, ნ. ლუმანის და ჰ. ფიორსტერის იდეებით. ამ მეცნიერებს (ლ. მიზესის გარდა) აერთიანებს საზოგადოების სისტემური ხედვა. მრავალი მათი იდეის სინთეზი იძლევა ეკონომიური პროცესების ახლებურად ინტერპრეტაციის საშუალებას. აქ ჩვენ არ ვეხებით ხსენებული თეორიების იმ დებულებებს, რომლებიც არ იქნა გამოყენებული როგორც კონსტრუქციული მასალა შემოთავაზებულ კონცეფციაში. ამასთან, არ მიგვაჩნია, რომ ხსენებული მეცნიერების ყველა დებულება მთლიანად მისაღებია ეკონომიკური მეცნიერებისათვის, ან

საერთოდ, თანამედროვე მეცნიერებისათვის. ჩვენ უბრალოდ არ ვეხებით ამ საკითხებს, რადგან წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი არ არის ამ თეორიების განმარტება, ინტერპრეტაცია ან კრიტიკული ანალიზი. ამ ფილოსიფიურ და სოციოლოგიურ დოქტრინებს შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია შემოთავაზებული ეკონომიკური კონცეფციის ადეკვატური გაგებისათვის. მიგვაჩნია, რომ ეს ფილოსოფიური და სოციოლოგიური დოქტრინები თავის თავში შეიცავენ ცალკეულ დებულებებს, კონცეპტუალურ სქემებს და მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომელთაც აქვთ დიდი მეცნიერული პოტენციალი ეკონომიკური თეორიის განვითარებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ეს იდეები არ არის თავმოყრილი ერთად და გაბნეულია მრავალი, განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე მოაზროვნეთა დოქტრინებში, ამიტომ, ჯერ კიდევ, რჩება ეკონომისტების ყურადღების მიღმა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, პირველი, ამ მეცნიერული პოტენციალის დემონსტრირება კონკრეტულ მაგალითზე - ამ იდეების სინთეზის და, რიგ შემთხვევაში, რეინტერპრეტაციის საფუძველზე, შემოთავაზებულია ნეოკლასიკური პარადიგმისაგან არსებითად განსხვავებული ეკონომიკური თვითრეგულირების ალტერნატიული კონცეფცია. მეორე, მიზანია აგრეთვე ეკონომისტთა ყურადღების მიპყრობა, ერთი მხრივ, „მივიწყებული“ დიალექტიკის, და, მეორე მხრივ, არასათანადოდ შეფასებული და, რიგ შემთხვევაში, იგნორირებული უახლესი მეცნიერული მიღწევებისათვის ისეთ დარგებში, როგორიც არის თანამედროვე სოციოლოგია, ქაოსის თეორია, კონსტრუქტივიზმი, მეორე რიგის კიბერნენიკა. უახლესი მეცნიერული მიღწევების გათვალისწინების გარეშე ეკონომიკური მეცნიერება ვერ დააღწევს თავს იმ კრიზისს, რომელშიც იგი აღმოჩნდა ნეოკლასიკოსების „რკინაბეტონის დოგმატიზმის“ (კ. პოპერი) წყალობით;

7. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკსი წარმოადგენს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორების მიერ წამოყენებული თეორიების

ერთობლიობას, რომელთაგან თვითეული მათგანი ცდილობს ასახოს ეკონომიკური რეალობის გარკვეული ფრაგმენტი. ფასების თეორია, ფულის თეორია, წონასწორობის, კონკურენციის და სხვა თეორიები წარმოადგენენ იმ ბლოკებს, რომლებიდანაც შედგება თანამედროვე ეკონომიკური თეორია. ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ცალცალკე ეს თეორიები რაციონალურად ასახავენ შესაბამის ფაქტებს და პროცესებს. მიუხედავად ამისა ბევრი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მთლიანობაში ეკონომიკსი უკიდურესად აბსტრაქტულია და მოწყვეტილია რეალობას. რეალობის ასეთი ფრაგმენტული ასახვა წარმოადგენს ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის განვითარების აუცილებელ ეტაპს, მაგრამ ცხადია, რომ შემეცნების ასეთი მეთოდების შესაძლებლობები შეზღუდულია, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეისათვის უკვე ამოწურულია.

თავისი მეთოდოლოგიის თანახმად მეინსტრიმი მიზნად ისახავს ეკონომიკური რეალობის მხოლოდ გარეგნული, ხილული ნაწილის აღწერას. მაგრამ თუ არ გამოვიკვლევთ მოვლენების არსს, არსებით ურთიერთკავშირებს ეკონომიკურ პროცესებს შორის, მაშინ შეუძლებელი იქნება ამ პროცესების ლოგიკურად თანმიმდევრული ახსნა. ამიტომაც მეინსტრიმი მოწყვეტილია რეალობას და შეიცავს მრავალ შეუსაბამობას. ნეოკლასიკური თეორია არ ითვალისწინებს, რომ საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს რთულ დინამიკურ სისტემას, რომლის მეცნიერული შესწავლისათვის არ არის საკმარისი ემპირიზმი, როგორც კვლევის მეთოდი, ფორმალური ლოგიკა და წრფიული მოდელირების ალგორითმები. დღეისათვის ეს მეთოდები გადაიქცნენ ბორკილებად, რომლებიც არ იძლევა ეკონომიკური თეორიის შემდგომი განვითრებს საშუალებას.

თავი 1. კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ

ეკონომიკის, როგორც რთული თვითრეგულირებადი სისტემის შემოთავაზებული ინტერპრეტაცია, ეფუძნება დიალექტიკის, ქაოსის თეორიის, კონსტრუქტივიზმისა და სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის იდეებს, მისადაგებულს ეკონომიკურ რეალობასთან. კონცეფციის ადეკვატური გაგებისათვის მიზანშეწონილია მოკლედ შევეხოთ იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ კონცეფციის მეთოდოლოგიურ საფუძველს.

1.1. დიალექტიკა

1. ნეოკლასოკური თეორია ჩამოყალიბდა ემპირიზმის, პოზიტივიზმის და პრაგმატიზმის ინტელექტუალურ გარემოში. ამ გარემოში დიალექტიკა, როგორც შემეცნების მეთოდი, მიუღებელი იყო მათთვის, ვის იდეებსაც ეფუძნება ნეოკლასიკური პარადიგმა.[4] მეტიც, საერთოდ თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებაში დომინირებს დიალექტიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ეს ხელს უშლის ეკონომიკურ კვლევებში დიალექტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენებას. დიალექტიკისადმი ასეთი დამოკიდებულების ფორმირებაში არც თუ მცირე როლი მიუძღვის მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ფილოსოფოსის კარლ პოპერის შეხედულებებს. ამ მოაზროვნეს, რომელიც განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ეკონომისტებს შორის, ჰქონდა

---

[4] იგულისხმება კ. მენგერი, უ. ჯევონსი, ჯ. კლარკი, ლ. ვალრასი, ი. ფიშერი, ა. მარშალი, ი. პიგუ, ჯ. კეინზი, ჯ. ჰიკსი, პ. სამუელსონი, მ. ფრიდმენი და სხვ.

მკვეთრად უარყოფითი შეხედულება დიალექტიკაზე, საერთოდ, ჰეგელის და მარქსის ფილოსოფიაზე.[5] ეკონომისტების მიერ დიალექტიკის მიუღებლობამ საგრძნობლად შეაფერხა ეკონომიკური მეცნიერების განვითარება, რომელიც უკვე დიდი ხანია განიცდის კრიზისს.

როგორც შემეცნების მეთოდი, დიალექტიკა დაუმსახურებლად არის მივიწყებული თანამედროვე მეცნიერებაში და ძირითადად ფილოსოფიის ისტორიისათვის შემორჩა რეტროსპექტიული გააზრებისათვის. მაგრამ მ. ბლაუგის პერეფრაზს თუ გამოვიყენებთ, შეიძლება ითქვას, რომ „დიალექტიკა მეტად სერიოზული რამ არის იმისათვის, რომ მხოლოდ ფილოსოფოსებს დაუტოვოთ იგი“. ამასთან, შეინიშნება კ. მარქსის დოქტრინისადმი და, შესაბამისად, დიალექტიკისადმი, ინტერესის ზრდის ტენდენცია. ეს გარემოება დააფიქსირა აგრეთვე სინერგეტიკის ერთ-ერთმა მამა-მთავარმა ილია პრიგოჟინმა. ჯერ კიდევ 1988 წელს, ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: „დამთავრდა გალილეოს, ნიუტონისა და კანტის მეცნიერების დრო, იწყება ჰეგელის, დარვინის და განსაკუთრებით მარქსის მეცნიერების დრო.“ (Revolution, 1988, 24.).

წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია კიდევ ერთხელ მივაპყროთ ეკონომისტების ყურადღება დიალექტიკის შესაძლებლობებისადმი და შეძლებისდაგვარად მოვახდინოთ მათი დემონსტრირება;

---

[5] გახმაურებულ ტრაქტატში „ღია საზოგადოება და მისი მტრები“, რომელიც წლების მანძილზე ითვლებოდა დასავლეთის ინტელექტუალების სამაგიდო წიგნად, იგი წერს: „რაც შეეხება ჰეგელს, მე არც მიმაჩნია იგი ნიჭიერ ფილოსოფოსად .... ჰეგელის შრომებში არ არის არაფერი, რაც გაცილებით უკეთ არ ყოფილა ნათქვამი მანამდე.“ (Поппер, 1992. 41) და შიმდეგ, იმოწმებს რა შოპენჰაუერს, წერს: „ა. შოპენჰაუერმა, რომელსაც ერგო ბედნიერება და პირადად იცნობდა ჰეგელს ... აღწერა შემდეგი შესანიშნავი სურათი: „ჰეგელი იყო ჩერჩეტი, მოსაწყენი, საზიზღარი, უწიგნური შარლატანი, რომელმაც მიაღწია თავხედობის მწვერვალს უგუნური მისტიფიცირებული მონაჩმახის შემოთავაზებით. ...“ (იქვე, 42).

2. დიალექტიკური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები რადიკალურად ცვლიან ნეოკლასიკოსების ინტერპრეტაციას იმის შესახებ თუ როგორ ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა და როგორ ყალიბდება მასში წონასწორობა და ეკონომიკური ციკლები.

ნეოკლასიკური თეორია წარმოადგენს სხვადასხვა თეორიების კომპილაციას, რომელსაც საფუძვლად უდევს რამდენიმე მეთოდოლოგიური პრინციპი - „მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი“, ზღვრული ანალიზი, წონასწორობის იდეა, ეკონომიკური რაციონალურობა, მათემატიზაცია. თავისი მეთოდოლოგიის თანახმად ნეოკლასიკოსები არ აღიარებენ არსის, როგორც ასეთის, არსებობას და არ გააჩნიათ მისი კვლევის მეცნიერული მეთოდები. ისინი იკვლევენ მხოლოდ ეკონომიკურ მოვლენებს და მათ შორის არსებულ გარე კავშირებს. მაგრამ ასეთ ეკლექტიკურ თეოროას არ შეუძლია ასახოს შინაგანი ურთიერთკავშირები ამ მოვლენებს შორის. ამის გამო მას არ შეუძლია ეკონომიკური სინამდვილე აღიქვას როგორც მთლიანობა, რის გარეშეც შეუძლებელია არსის შესწავლა.

მოვლენებისაგან განსხვავებით არსი არ ექვემდებარება უშუალო დაკვირვებას. შეუძლებელია მისი დანახვა, მოსმენა, ან რაიმე ხელსაწყოებით დაფიქსირება. არსის „დანახვა“ შესაძლებელია მხოლოდ აზროვნებით. როგორც ჰეგელი წერს: „ყოფიერების ჭეშმარიტება არის არსი. ... ყოფიერების უკან არის კიდევ რაღაც სხვა, გარდა თვითონ ყოფიერებისა, და ეს უკანა პლანი წარმოადგენს ყოფიერების ჭეშმარიტებას.“ (Гегель, 1999. 423).

უშუალო დაკვირვების გზით შეუძლებელია ეკონომიკა აღვიქვათ როგორც ერთიანი სისტემა, რადგან მოვლენების დონეზე ეკონომიკური ფაქტები და პროცესები გარედან ხშირად აღიქმება როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და რიგ შემთხვევაში, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც კი. მრავალი კავშირებიდან, რომლებიც არსებობენ ამ

მოვლენებს შორის, შეუძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შემთხვევითი და აუცილებელი, არსებითი კავშირები. ხოლო არსის დონეზე მოვლენები დაკავშირებულნი არიან არსებითი კავშირებით, ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და წარმოადგენენ ერთიანი სისტემის ელემენტებს. ეკონომიკური რეალობის შესწავლა გულისხმობს სწორედ ამ არსებითი ურთიერთკავშირების, ანუ არსის შესწავლას. მაგრამ, არსის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ კვლევის დიალექტიკური მეთოდებით, რაც მთლიანად იგნორირებულია ნეოკლასიკურ თეორიაში.[6] კვლევის არაადეკვატური მეთოდები არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკურ მეცნიერებაში დღეს არსებული კრიზისისა.

თავისთავად დიალექტიკა ამოუწურავი თემაა სააზროვნოდ. ცხადია, აქ ვერ შევეხებით დიალექტიკის ყველა ასპექტს. მაგრამ, ის რამდენიმე ასპექტი, რომლსაც აქ განვიხილავთ, დაეხმარება მკითხველს წარმოდგენილი კონცეფციის უკეთ გაგებაში. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, საჭიროა განვიხილოთ არსის დამახასათებელი თავისებურებები დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან;

3. **რეფლექსია.** არსის გამომხატველ კატეგორიებს აქვთ რეფლექსიური ხასიათი. ისინი თითქისდა განსაზღვრავენ ერთმანეთს ერთმანეთის მეშვეობით. ყოველი ნივთი წარმოადგენს მთლიანობას, რომელიც შედგება ნაწილებისაგან და თვითონაც არის უფრო დიდი მთლიანობის ნაწილი. მთლიანობის სხვადასხვა ნაწილებს ერთდროულად ახასიათებს ერთმანეთთან იგივეობაც და

---

[6] კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ ჩვენ არ ვიცით და ვერც გავიგებთ როგორია ობიექტური რეალობა თავისთავად; რომ ჩვენ თვითონ ვახდენთ რეალობის მოდელირებას ჩვენს ცნობიერებაში; რომ არსი არის მხოლოდ მენტალური კონსტრუქტი. მაგრამ მიუხედავად იმისა, ასეა ეს თუ არა, თუ ვიხელმძღვანელეთ თვით კონსტრუქტივისტების მიერ აღიარებული კრიტერიუმებით, დიალექტიკის საფუძველზე რეალობის მოდელირება გაცილებით გვაახლოვებს ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ფორმალური ლოგიკის საფუძველზე კოსტრუირებული მოდელები.

განსხვავებაც. ამ ნაწილებს შორის განსხვავება გულისხმობს მათ იგივეობას, და, პირიქით, მათი იგივეობა გულისხმობს მათ შორის განსხვავებას.

მაგალითად, აზრს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ $\sin \alpha$ განსხვავდება ცხენისაგან, რადგამ მათ არაფერია აქვთ საერთო, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი შედარება. მათი ერთმანეთისგან განსხვავება არ განიხილება რაიმე იგივეობის კონტექსტში. ასევე უაზრობაა იმის მტკიცება, რომ ცხენი არის ცხენი, რადგან ეს იგივეობა არ განიხილება რაიმე განსხვავების კონტექსტში. მაგრამ თუ შევადარებთ ცხენსა და სახედარს, ან $\sin \alpha$ და $\cos \beta$, მაშინ მათ შორის მსგავსება და განსხვავება იძენს აზრს, რადგან ეს ცნებები ძირეულად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთ-თან როგორც ერთი და იგივე გვარის სხვადასხვა სახეობები. ამ შემთხვევაში, განსხვავებები ვლინდება იგივეობის კონტექსტში, რომელიც საფუძვლად უდევს ერთი და იგივე გვარის სხვადასხვა სახეობებს. ეს არის უკვე სპეციფიური განსხვავებები. ამ საერთო საფუძველის ფარგლებში დანახული განსხვავებების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ერთი სახეობის მეორესაგან განსხვავება.

არსებითი განხილვის შემთხვევაში ობიქტებს შორის სხვაობა ვლინდება როგორც პოლარულად დაპირისპირებული *დადებითი* და *უარყოფითი* მხარეები. (მაგალითად მაგნიტის საპირისპირო პოლუსები). ასეთ შემთხვევაში, სხვაობის მხარეები უკვე აღარ არიან ერთმანეთისადმი ნეიტრალური. პირიქით, ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ყოველი მხარე საკუთარ თავს ავლენს საპირისპირო მხარის მეშვეობით. ასეთი განსხვავება უკვე წარმოადგენს *დაპირისპირებას.* შესაბამისად, ობიექტები აღიქმებიან როგორც ერთი მთლიანობის ნაწილები. ისინი თითქოსდა ავსებენ ერთმანეთს ერთი მთლიანობის ფარგლებში. „ამიტომ არსის შიგნით არსებული განსხვავება არის დაპირის-პირება, რომლის თანახმადაც განსხვავებულს თავის წინ აქვს არა ზოგადად სხვა, არამედ თავისი სხვა, ანუ განსხვავებულთაგან

ყოველს თავისი განსაზღვრება გააჩნია მხოლოდ სხვასთან კავშირის მეშვეობით, რეფლექსირებულია საკუთარ თავში მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რეფლექსირებულია სხვაში.“ (Гегель, 1974, 276). „ყოველივე ნამდვილი თავის თავში შეიცავს საპირისპირო განსაზღვრებებს და ... მაშასადამე, შემეცნება ... სწორედაც რომ ნიშნავს მის, როგორც საპირისპირო განსაზღვრებების კონკრეტული ერთიანობის, შემეცნებას.“ (იქვე, 167).

ყოველი ნივთი შეიცავს თავის თავში ნაწილებს, რომლებიც უპირისპირდებიან ერთმანეთს, საპირისპირო პროცესებსა და ძალებს, რომლებიც აკომპენსირებენ ერთმანეთს. ანუ, საპირისპირო მხარეები ავსებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს ერთი მთლიანობის ფარგლებში. ამის მეშვეობით, მთლიანობა იძენს სხვებისაგან დამოუკიდებლობას. დაპირისპირებულთაგან თითოეულ მხარეს, საპირისპირო მხარის სახით, გააჩნია არა უბრალოდ სხვა, არამეს „თავისი სხვა“. რომელიმე მხარის გარეშე წონასწორობა დაირღვევა, მთლიანობა დაიშლება და სისტემა შეწყვეტს არსებობას. წონასწორობა და მდგრადობა შესაძლებელია მხოლოდ საპირისპირო ძალების ურთიერთქმედების წყალობით. სხვა სიტყვებით, საგნის მთლიანობას, წონასწორობას და მდგრადობას განაპირობებს *ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობა.*

ამასთან, დაპირისპირების ყოველი მხარე ერთდროულად გულისხმობს და უარყოფს მეორე მხარეს, ანუ ყოველი მხარე მეორე მხარესთან იმყოფება ერთდროულად, როგორც დადებით, ისე უარყოფით დამოკიდებულებაში. ესე იგი, იგი თვითონაც წარმოადგენს მთლიან დაპირისპირებულობას, ანუ დაპირისპირებულია საკუთარ თავთან. სწორედ ეს საკუთარ თავთან დაპირისპირებულობა არის დიალექტიკური *წინააღმდეგობის* არსი. დიალექტიკაში წინააღმდეგობა წარმოადგენს ცენტრალურ იდეას, ყოველგვარი განვითარების მამოძრავებელ პრინციპს. „წინააღმდეგობა - წერს ჰეგელი, - აი სინამდვილეში რა ამოძრავებს სამყაროს, და სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, თითქოს შეუძლებელია

წონააღმდეგობის გააზრება.“ (იქვე, 280). ანუ, დაპირისპირებულთა ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია როგორც მთლიანობა, მისი დამოუკიდებლობა, წონასწორობა, მდგრადობა, ასევე მისი განვითარება, ესე იგი, მისი უწონასწორობაც და არამდგრადობაც;

4. **უარყოფის უარყოფა.** თავდაპირველად საგანი აღიქმება როგორც ცვალებადი, მაგრამ დამოუკიდებელი (მიუხედავად მისი კავშირებისა სხვა საგნებთან). ამასთან, საგანში არსი არის რაღაც უცვლელი, მდგრადი, მაშინ როდესაც თვითონ საგანი არის ცვალებადი და არამდგრადი. რადგან საგანი ეფუძნება თავის არსს როგორც თავის საფუძველს, ამიტომ, გამოდის, თითქოს არსი უარყოფს საგნის დამოუკიდებლობას. მაგრამ ცხადია, რომ ის, რასაც საგანი ეფუძნება როგორც თავის საფუძველს, არის ამ საგნის ნაწილი, რადგან ლაპარაკია ამ საგნის საკუთარ არსზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთკავშირი საგანსა და მისივე არსს შორის იქნებოდა არა არსებითი, არამედ ზედაპირული, მნიშვნელობას მოკლებული, არაარსებითი. ამიტომ საგნის დამოკიდებულება თავის არსზე, ანუ, თავის საფუძველზე, სხვა არაფერია, თუ არა საგნის დამოკიდებულება საკუთარ თავზე. მაგრამ საგნის დამოკიდებულება საკუთარ თავზე სწორედაც არის დამოუკი-დებლობა. (ანუ წინა უარყოფის უარყოფა). ამიტიმ, მართალია საგანი, როგორც სახეზე მყოფი, განიცდის ცვლილებებს, მაგრამ ეს ცვლილებები განპირობებულია ამავე საგნის არსით ანუ თავისივე საფუძველით.

ამიტომ, მართალია საგნის მდგომარეობა იცვლება დროში და სივრცეში, და აგრეთვე ცვლილებას განიცდის მისი ქცევა და ურთიერთკავშირები სხვა საგნებთან, მაგრამ ყველა ამ ცვლილებას განაპირობებს მისივე საკუთარი საფუძველი, ანუ ამ საგნის არსი. ყველა გარე ზემოქმედებაზე საგნის რეაქცია განპირობებულია მისი არსით. მდგომარეობა, რომლისკენაც იგი ისწრაფვის, განპირობე-ბულია მისი შინაგანი ბუნებით. ამიტომ, თუ მოვიშველიებთ კონსტრუქტივიზმის ტერმინებს, საგნის ქცევა არის ამ საგნის

„საკუთრივი ქცევა“, მდგომარეობა და პარამეტრები, რომლისკენაც იგი ისწრაფვის - მისი „საკუთრივი მდგომარეობა“ და „საკუთრივი მნიშვნელობები“.

ჰეგელის თანახმად რაიმე ვერ იქნება გაგებული ყველაფ-რისგან იზოლირებულად, მხოლოდ საკუთრი თავის მეშვეობით. მისი გაგება შესაძლებელია სხვა რაღაცის, თავისი საფუძველის, მეშვეობით. ანუ ყოფიერება არის ერთგვარი ასახვა, რეფლექსია იმისა, რაც არის მისი საფუძველი, მისი არსი. ამიტომ მისი გაგება შესაძლებელია რიგირც თავისივე საფუძველის, თავისივე არსის ანარეკლისა. ისევე როგორც სარკეში გამოსახული ანარეკლი, რომელიც ასახავს გარკვეულ ობიექტს, მართალია, თავისთავადაც არის უშუალო რეალობა, მაგრამ არ შეიძლება ანარეკლის ობიექტთან გაიგივება. მხოლოდ ანარეკლის შესწავლით ჩვენ ვერ მივიღებთ ცოდნას თვითონ ობიექტის შესახებ. ანარეკლის რეალობა განპირობებულია ობიექტით. იმისათვის, რომ ავხსნათ და დავასაბუთოთ ანარეკლის ყოფიერება, საჭიროა მივმართოდ თვითონ ობიექტს.

ჰეგელი რომ „გადავთარგმნოთ“ კონსტრუქტივისტების ენაზე, მივიღბთ შემდეგს. ობიექტის მიმდინარე მდგომარეობა და პარა-მეტრები, მისი ფაქტიური ქცევა, არის თითქოსდა ანარეკლი, ანუ რეფლექსია ობიექტის „საკუთრივი მდგომარეობის“, „საკუთრივი მნიშვნელობების“, „საკუთრივი ქცევის“. ანუ ლაპარაკია იმ მდგომარეობაზე, მნიშვნელობებზე და ქცევაზე, რომლებიც განპირობებულია ამ ობიექტის არსით, მისი შინაგანი ბუნებით, და არა გარე ფაქტორებით. რაც შეეხება გარემოს ზემოქმედებას, იგი გავლენას ახდენს ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის (ქცევის, მნიშვნელობების) გადახრაზე იმ წონასწორული მდგომარეობიდან (ქცევიდან, მნიშვნელობებიდან), რომელშიც გარე გავლენები ან იგნორირებულია, ან აკომპენსირებენ ერთმანეთს და თითქოსდა შესაძლებლობას აძლევენ ობიექტს გამოავლინოს საკუთარი არსი დაუმახინჯებლად, ისეთად, როგორიც არის;

5. **სისტემური ინტეგრაცია.** ყოფიერება ცვალებადია. მაგრამ ცვალებადობა, როგორც ასეთი, არსებობს მხოლოდ იმის წყალობით, რომ არსებობს ის, რაც არის უცვლელი. მეტიც, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ცვლილება შეუძლია მხოლოდ იმას, რაც არის მდგრადი.[7] ცვლილებას და უცვლელობას (მდგრადობას), საზრისი გააჩნიათ მხოლოდ ერთიმეორეს მეშვეობით. ცვალებადის მნიშვნელობა დევს იმ ფაქტში, რომ იგი შეიძლება იყოს შედარებული რაღაც საფუძველში ჩადებულ კონსტანტასთნ. იქ, სადაც არ არსებობს მუდმივი, ცვალებადს არ გააჩნია საზრისი. (იხ. Hibben, 1902)

ობიექტის ყოფიერება ცვალებადია, თუმცა თვითონ მას არ შეუძლია მიანიშნოს იმ სტაბილურ საფუძველზე, რომლის მიმართებაშიც იგი განიცდის ცვლილებებს. უშუალო დამკვირვებლისთვის ეს საფუძველი დაფარულია (კონსტრუქტივისტების „ჟარგონზე“ იგი წარმოადგენს „ბრმა ლაქას“), მაგრამ აზროვნება მოითხოვს რაღაც მდგრად საფუძველს, რომელსაც შეიძლება მივაწეროთ ეს ცვლილებები. აზროვნება ნახულობს მას არსის იდეაში, რომელიც წარმოადგენს მდგრად საფუძველს ობიექტის ყოფიერების ცვალებადი გამოვლინებებისათვის და, ამავდროულად, წარმოადგენს „ბრმა ლაქას“, რომელიც უშუალოდ არ ჩანს დამკვირვებლისათვის, მაგრამ რომლის გარეშეც შეუძლებელია იმის გაგება, თუ რას წარმოადგენს დაკვირვების ობიექტი.

ჰეგელის თანახმად არსი წარმოადგენს მაკონსტიტუირებელი ურთიერთკავშირების სისტემას. იგი არის სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთკოორდინირებული ელემენტები-

---

[7] „ ... ის, რაც იცვლება, არის *უცვლელი,* და *იცვლება* მხოლოდ მისი *მდგომარეობები.* რადგან ეს ცვლილება ეხება მხოლოდ მახასიათებლებს, რომლებსაც შეუძლიათ გაუჩინარდნენ და გაჩნდნენ, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი, თითქოსდა პარადოქსალური დებულება: იცვლება მხოლოდ ის, რაც მუდმივია (სუბსტანცია); ცვალებადი ექვემდებარება არა ცვლილებას, არამედ მხოლოდ შეცვლას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი მახასიათებელი გაუჩინარდება, და ზოგი გაჩნდება.“ (Кант, 1998, 289)

საგან შემდგარი კონპლექსი. ყოველ საგანს, ყველაფერს, რაც არსებობს, აქვს შესაბამისი ადგილი გარკვეულ სისტემაში, რომელსაც იგი ეკუთვნის. სწორედ ამ სისტემაში, და არა თვითონ საგანში, უნდა ვეძიოთ ამ საგნის ჭეშმარიტი არსი. სამყაროში არ არსებობს ისეთი რამ, რაც არ იმყოფება სხვა საგნებთან ურთიერთ-კავშირში და შეუძლია განყენებულად არსებობა. (იხ. Hibben, 1902) იდეა, რომ არსი წარმოადგენს ყოფიერის საფუძველს, და რომ ეს საფუძველი უნდა გვესმოდეს როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სისტემა, არის სრულ შესაბამისობაში თანამედროვე ზოგადმეცნიერულ პარადიგმასთან, ქაოსის თერიის და კონსტრუქ-ტივიზმის შეხედულებებთან.

მაშასადამე, არსის ძირითადი მახასიათებლებია რეფლექსია, მდგრადობა, სისტემური ინტეგრაცია.

1.2. ქაოსის თეორია

1. ქაოსის თეორია არის სამეცნიერო კვლევების ტრანს-დისციპლინარული მიმართულება, რომელიც, გარკვეული აზრით, პრეტენზიას აცხადებს მეცნიერული მსოფლმხედველობის როლზე. მან ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა ზოგადმეცნიერულ პარადიგმაში და სულ უფრო მეტად იპყრობს სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ყურადღებას. მისი კვლევის სფეროს წარმოადგენს არაწრფიული დინამიკის და არამდგრადი ქცევის მქონე რთული სისტემები, თვითორგანიზების პროცესები, დეტერმინირებული ქაოსი და სხვ. ამ თეორიას აქვს სხვადასხვა დასახელება. გერმანულენოვან და რუსულენოვან ლიტერატურაში მას უწო-დებენ სინერგეტიკას, ფრანგულენივანში – დისიპათიური სისტე-მების თეორიას, ხოლო ინგლისურენოვანში – ქაოსის თეორიას;

2. როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ეკონომიკური მეცნიერება ჩამოყალიბდა მე–18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ა. სმითის საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომის გამოქვეყნებასთან ერთად. ეს იყო განმანათლებლობის ეპოქა, რომელშიც მეცნიერების იდეალად ითვლებოდა ფიზიკა და მათემატიკა. კლასიკური ფიზიკის წარმატებებმა განაპირობეს ნიუტონისეული პარადიგმის და მექანიცისტური მსოფლმხედველობის დომინირება მეცნიერებაში. ითვლებოდა, რომ ბუნების კანონები და კაუზალობა, რომლებიც ბატონობენ მთელს სამყაროში, განაპირობებენ ყველა მოვლენის აბსოლუტერი პროგნოზირების შესაძლებლობას.

ითვლებოდა, რომ სამყაროში არ არსებობს შემთხვევითობა, მიზეზებსა და შედეგებს შორის არსებობს წრფიული დამოკიდებულება, სამყარო იმყოფება წონასწორულ მდგომარეობაში, არის მდგრადი და პროგნოზირებადი, ხოლო გაურკვევლობა ითვლებოდა უბრალოდ ბუნების კანონების არცოდნის შედეგი. რა თქმა უნდა, კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ განიცადა თავის ეპოქაში გაბატონებული იდეების ძლიერი გავლენა. ეკონომიკური მეცნიერების ვერც შემდგომმა განვითარებამ შეძლო განთავისუფლება ეკონომიკური სინამდვილის დეტერმინისტული გაგებისაგან;

3. თერმოდინამიკის მეორე კანონის თანახმად სამყაროში ადგილი აქვს ენტროპიის ზრდას, რომლის შედეგადაც სამყარო განიცდის ევოლუციას წესრიგიდან ქაოსისაკენ. ამასთან, როგორც ამას მოწმობენ ბიოლოგიური და სოციალური სისტემები, რთული იბადება მარტივისაგან. როგორ ხდება ამ ორი საპირისპირო ტენდენციის თანაარსებობა? საერთოდ როგორ არის შესაძლებელი რაიმე სტრუქტურის დაბადება ქაოსიდან? ილია პროგოჟინის, გერმან ჰაკენის და მათი მიმდევრების თეორიის თანახმად, რთული სისტემების დისბალანსი, უწონასწორობა ბადებს შეუქცევად პროცესებს, ნივთიერებისა და ენერგიის ნაკადებს. სწორედ ეს პროცესები არის წესრიგის პირველწყარო. ილია პროგოჟინის აზრით ქაოსის თეორიამ, უნდა ჩაანაცვლოს გაბატონებული

შეხედულებები, რომლებიც არსებობენ ჯერ კიდევ ნიუტონის დროიდან, და რომლებიც სამყაროს აღიქვავენ როგორც მდგრადს, გაწონასწორებულს და პროგნოზირებადს. ეს მოძველებული შეხედულებები დღემდე დომინირებენ ეკონომიკურ მეცნიერებაშიც, მაგრამ რეალური სამყარო, მათ შორის ეკონომიკური სინამდვილე, არ ადასტურებს მათ;

4. სინერგეტიკა არის სამეცნიერო კვლევების ინტერდისციპლინარული მიმართულება და ამიტომ არ შეიძლება მისი იდენტიფიცირება რომელიმე ცალკე აღებულ მეცნიერებასთან. იგი სულ უფრო მეტად იძენს ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიის ფუნქციას არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არამედ სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ისტორიულ მეცნიერებებსა და ა.შ. რა თქმა უნდა, ზოგადმეცნიერული პარადიგმის ასეთი ფუნდამენტური ცვლილებები, რომელიც შეეხო პრაქტიკელად ყველა ძირითად სამეცნიერო დისციპლინას, გვერდს ვერ აუვლიდა ეკონომიკურ მეცნიერებას. სინერგეტიკის იდეები სულ უფრო აქტიურად აღწევენ ამ მეცნიერებაშიც.

აღსანიშნავია, რომ ქაოსის თეორიის კვლევის ძირითადი პრობლემა სრულ თანხვედრაშია საბაზრო ეკონომიკის კვლევის ძირითად პრობლემასთან. სინერგეტიკა სწავლობს, თუ როგორ ხდება თვითორგანიზება, როგორ იბადება ქაოსიდან წესრიგი რთულ დინამიკურ სისტემებში. როგორ ხდება, რომ რთული სისტემის მრავალი ცალკეული ელემენტის დამოუკიდებელი, შემთხვევითი და ქაოტური მოძრაობები ბადებენ წესრიგს მთელს სისტემაში, განსაზღვრავენ მისი მოძრაობის და განვითარების ტრაექტორიას? ანუ მიკროდონეზე მიმდინარე პროცესები როგორ განსაზღვრავენ მაკროპროცესებს და, პირიქით, მაკროპროცესები როგორ განსაზღვრავენ მიკროპროცესებს? სწორედ ეს არის საბაზრო ეკონომიკის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი, ჯერ კიდევ გადაუჭრელი, პრობლემა - მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საფუძვლები ანუ როგორ მუშაობს ადამ სმითის „უხილავი ხელი“?

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ვცდილობთ წინამდებარე ნაშრომშიც. მოკლედ განვიხილოთ ქაოსის თეორიის ის ასპექტები, რომლებიც უნდა ვი-ქონიოთ მხედველობაში შემოთავაზებული კონცეფციის გასაგებად;

5. ქაოსის თეორია სწავლობს რთულ (ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, სოციალურ და სხვ.) სისტემებში ქაოსის წესრიგში და წესრიგის ქაოსში გარდაქმნის კანონზომიერებებს. სამი ძირითადი იდეა უდევს მას საფუძვლად: *რთული სისტემები, არაწრფიული პროცესები* და *თვითორგანიზება.* როგორც უკვე აღინიშნა, კლასიკური მეცნიერული პარადიგმა გულისხმობს წრფიულ დამოკიდებულებებს მოვლენებს შორის. ერთი პარამეტრის ცვლილებებს შეესაბამება მასზე დამოკიდებული პარამეტრის იმავე რიგის (მასშტაბის) ცვლილებები. მაგრამ რეალური სისტემების დიდი უმრავლესობა არის გახსნილი არაწრფიული სისტემები. მხოლოდ ასეთი სისტემები ავლენენ თვითორგანიზების უნარს. არაწრფიულობა ნიშნავს, რომ ერთი პარამეტრის უმნიშვნელო ცვლილებებს შეესაბამება დამოკიდებული პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებები. ქაოსის თეორიაში ამ მოვლენას უწოდებენ „პეპელას ეფექტს“ („Butterfly effect“). მისი წყალობით, განვითარების გარკვეულ ეტაპებზე, სისტემა ნახტომისებურად იცვლის თავის თვისებებს და მდგომარეობას, ხოლო პროცესების ნორმალური განვითარება სისტემაში პერიოდულად ენაცვლება მოვლენების განვითარების ხან მკვეთრ აჩქარებას, ხან შენელებას. ასეთი სისტემების მათემატიკური მოდელები წარმოადგენენ არაწრფიული განტოლებების სისტემას, რომელშიც უცნობი სიდიდეები არიან მეორე, ან უფრო მაღალ ხაროსხში, ხოლო კოეფიციენტები, დამოკედებულნი არიან სისტემის გარემოს თვისებებზე. როგორც წესი, ასეთ განტოლებათა სისტემებს აქვთ მრავალი ამონახსნი, რომლებიც ასახავენ რეალური სისტემების განვითარების შესაძლო ტრაექტორიების სიმრავლეს;

6. თუ რთული სისტემა ჩაკეტილია და იზოლირებულია, მაშინ, თერმოდინამიკის მე-2 კანონის თანახმად, სისტემაში მიმდინარე პროცესები მოიყვანენ მას წონასწორულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც ენთროპია მაქსიმალურია. თვითორგანიზების უნარი გააჩნიათ მხოლოდ გახსნილ, გაუწონასწორებელ მდგომარეობაში მყოფ სისტემებს. გახსნილობა გულისხმობს, რომ სისტემა აწარმეოებს ნივთიერების, ენერგიის და ინფორმაციის გაცვლას გარემოსთან. და რადგან სისტემა იმყოფება გაუწონასწორებელ მდგომარეობაში, ამიტომ მასში არსებული პოტენციალების სხვაობა ბადებს ნივთიერების, ენერგიის და ინფორმაციის ნაკადებს, რისი შედეგიც არის თვითორგანიზების პროცესები და სტრუქტურების ფორმირება;[8]

7. არაწრფიული სისტემების განუყოფელი თვისებაა დადებითი და უარყოფითი უკუკავშირები. უარყოფითი უკუკავშირები უზრუნველყოფენ სისტემის მდგრადობას. სისტემაში ისინი ახშობენ პარამეტრების ყველა ისეთ რყევას, რომლებსაც შეუძლიათ სისტემა გამოიყვანონ არსებული მდგომარეობიდან, და რომლებიც უქმნიან საფრთხეს მის მთლიანობას. დადებითი უკუკავშირები, პირიქით, აძლიერებენ პარამეტრების რყევებს, ხელს უწყობენ სისტემის თვითაღგზნებას და პროცესების წარმართვას „გამწვავების რეჟიმში“. ანუ დადებითი და უარყოფითი უკუკავშირების მოქმედების შედეგად რთულ სისტემას შეუძლია, ერთი მხრივ, წონასწორობის პირობებში შეინარჩუნოს მდგრადობა, შეეწინააღმდეგოს გარემოს ზემოქმედებას და, მეორე მხრივ, განიცადოს ცვლილებები და მოახდინოს ადაპტირება გარემოს ცვლილებებ-

---

[8] „მხოლოდ სისტემებს, რომლებიც შორს არიან წონასწორობიდან, არამდგრად მდგომარეობაში მყოფ სისტემებს შეუძლიათ თავისი თავის სპონტანურად ორგანიზება და განვითარება. მხოლოდ წონასწორობიდან დაშორებულ მდგომარეობაში იბადება სისტემის კომპლექსურობა (сложность). მდგრადობა და წონასწორობა - ეს არის, ასე ვთქვათ, ევოლუციის ჩიხი.“ (Князева, Курдюмов, 2002,41)

თან. ანუ სისტემას გააჩნია მდგრადობაც, რაც აუცილებელია მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის და, ამავე დროს, გარკვეული ცვალებადობაც, რაც აუცილებელია მისი განვითერებისა და თვით-ორგანიზებისათვის;

8. რთულ სისტემებს შეუძლიათ ადაპტირება გარემოს ცვლილებებთან. ამ გარე პირობებს ქაოსის თეორიაში უწოდებენ *მართვის პარამეტრებს.* თუ სისტემა სტრუქტურულად მდგრადია, მაშინ, მართვის პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში, სისტემის სტრუქტურა არ შეიცვლება, თუ არამდგრადია - მაშინ შეიცვლება. მართვის პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში სისტემის გარემოსთან ადაპტირება ხდება სისტემის სტრუქტურული ცვლილებების, ანუ მისი თვითორგანიზების გზით. ეს პროცესები აღიწერება *წესრიგის პარამეტრების* მეშვეობით. წესრიგის პარამეტრების სპეციფიკურობას წარმოადგენს ის, რომ გარემოს მოცემულ პირობებში, სისტემის ცალკეული ელემენტები, თავისი კოლექტიური ქცევით განსაზღვრავენ წესრიგის პარამეტრებს, ხოლო წესრიგის პარამეტრები, თავის მხრივ, განსაზღვრავენ სისტემის ელემენტების ქცევას. ისინი აფორმირებენ ერთმანეთს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ინდივიდების ქცევა ინფლაციის პირობებში. ფასების ზრდის მოლოდინში ინდივიდები ზრდიან საქონელზე მოთხოვნას, ხოლო მოთხოვნის ზრდა, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას, ანუ პროცესები გადადის „გამწვავების რეჟიმში“, რაც, შესაძლოა გამოვლინდეს ჰიპერ-ინფლაციაში. საპირისპირო პროცესები შეიძლება წარიმართოს დეფლაციის პირობებში.[9] ამ შემთხვევაში წესრიგის პარამეტრს

[9] "ყოველ ცალკე აღებულ ადამიანს შეაქვს თავისი წვლილი კოლექტიურ ქცევაში, რომელიც მოქმედებს როგორც წესრიგის პარამეტრი და საბოლოო ანგარიშით (სინერგეტიკასთან სრულ შესაბამისობაში) ამ გზაზე ითრევს სულ უფრო მეტ ინდივიდს და თავის მოქმედებებში, ... კიდეც „იმორჩილებს“ მათ. ... შეიძლება ითქვას (ეკონომიკური თეორიოის ტერმინებში), რომ „უხილავი ხელი“, რომელსაც, ადამ სმითის თანახმად, ეკონომიკა მოყავს წონასწორულ მდგომარეობაში, არის წესრიგის პარამეტრი.“ (Хакен, http://bookfi.org/g/Хакен.)

წარმოედგენს ინფლაცია, რომლის თავდადპირველი გამომწვევი მიზეზი არის გარკვეული ცვლილებები მართვის პარამეტრებში. წესრიგის პარამეტრების ცვლილებები ხდება ე.წ. *ბიფურკაციის* წერტილებში;

9. ყველა რთული სისტემა ევოლუციის პროცესში პერიოდულად გადის ბიფურკაციის წერტილებს. ეს არის ის კრიტიკული წერტილები, რომლებშიც სისტემა იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში. აქ მცირე აღშფოთებაც კი საკმარისია, რომ განისაზღვროს სისტემის შემდგომი განვითარების ტრაექტორია. ანუ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, თუ განვითარების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან რომელს აირჩევს სისტემა. სიტემის ევოლუცია ბიფურკაციის წერტილებს შორის არის დეტერმინირებული, ხოლო ამ წერტილებში - ემორჩილება შემთხვევითობას;

10. ქაოსის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცნებას წარმოადგენს „ეთრექტორი“. ეთრექტორი (ლათ. ***attrahere*** – იზიდავს) არის ისეთი ფარდობითად მდგრადი მდგომარეობა, ან სისტემის ისეთი ტრაექტორია, რომელიც თითქოსდა თავისკენ იზიდავს სისტემის ყველა სხვა შესაძლო მდგომარეობას ან განვითარების ტრაექტორიას. სხვა სიტყვებით, ეს არის სისტემის ევოლუციის ერთგვარი მიზნები, რომლისკენაც იგი ბუნებრივად მიჰყავს შიდასისტემური პროცესების ლოგიკას, იმ პროცესებს, რომლებიც განპირობებულია როგორც არაწრფიული სისტემის თვისებებით, ასევე, გარემოს პირობებით.[10]

---

[10] ეთრექტორის ცნება ქაოსის თეორიაში გვაგონებს როგორც არსის ცნებას დიალექტიკაში, ისე ძველი მოაზროვნეების იდეებს პოტენციურისა და გაუმჟღავნებელის შესახებ. კერძოდ, ეხმიანება პლატონის წარმოდგენებს იდეათა სამყაროში არსებული სრულყოფილი ფორმების შესახებ, რომელთან მსგავსებასაც ელტვიან ხილული და არასრულყოფილი სამყაროს საგნები. აგრეთვე გვაგონებს არისტოტელეს წარმოდგენებს ენტელეხიის შესახებ (შინაგანი ენერგიის, რომელიც აიძულებს მატერიას მიიღოს გარკვეული ფორმები). „როგორც ჰიპოთეზა

*„სტრუქტურები-ეთრექტორები გვანან ევოლუციის მიზნებს. ასეთი მიზნების სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს როგორც ქაოტურ მდგომარეობებთან, ასევე სხვადასხვა ტიპის სტრუქტურებთან, რომელთაც გააჩნიათ სიმეტრიული, სწორი არქიტექტონიკა. ... ცნება „ეთრექტორი“ ახლოა „მიზნის“ ცნებასთან. მიზნის არსებობა უნდა იქნეს განხილული ძალზე ფართო, არაანტროპოლოგიური გაგებით, როგორც ღია არაწრფიული სისტემის ქცევის მიმართულების არსებობა, როგორც სისტემის „საბოლოო მდგომარეობის“ არსებობა (რა თქმა უნდა, „**საბოლოო**“ ფარდობითი გაგებით, რომელიც აბოლოვებს სისტემის ევოლუციის მხოლოდ გარკვეულ ეტაპს).“ (Князева, Курдюмов, http://lib.icr.su/node/1247.).*

11. რიტმული რხევები ქაოსსა და წესრიგს შორის ღია არაწრფიულ სისტემებში არის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი პირობა. ბიფურკაციის წერტილებში სისტემა იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში და დადებითი უკუკავშირების წყალობით სისტემა გადადის „გამწვავების რეჟიმში“. ეს იწვევს „აფეთქების ეფექტს“, რადგან იწვევს სისტემის რყევას და წონასწორული მდგომარეობიდან დაშორებას. თუ სისტემა კარგავს მდგრადობას, შორდება წონასწორობას და არ შეუძლია მისი აღდგენა, მაშინ წესრიგი იცვლება ქაოსით. მაგრამ ქაოსი არ ნიშნავს სისტემის ნგრევას. პირიქით, ქაოსი იცავს სისტემას ნგრევისაგან. რადგან ქაოსის პირობებში სისტემის ელემენტებს შორის უქმდება არა მთლიანად ურთიერთკავშირები, არამედ მხოლოდ ამ ურთიერთკავშირებში არსებული წესრიგი, ანუ ნაწილობრივ ან სრულად ინგრევა მხოლოდ სტაბილური, სტრუქტურის შემქმნელი კავშირები. მაგრამ კავშირები, თუნდაც შემთხვევითი და ქაოტური, მაინც შენარჩუნებულია. ამიტომ სისტემაც, როგორც ასეთი, არ

ეთრექტორი შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული ტელეოლოგიურად. ... ეთრექტორი არის ერთგვარი ფიზიკური ეკვივალენტი პლატონისეული იდეისა - „ბუნების მიზანი“.“ (Метелёв, 2011, 45).

ნადგურდება. ამასთან, ქაოსის მდგომარეობაში სტაბილური შიდასისტემური კავშირების არარსებობა ან შეზღუდვა არის ახალი სტრუქტურის ფორმირების, ან არსებულის რადიკალური გარდაქმნის, აუცილებელი პირობა. ქაოსის, უწონასორობის პირობებში ნივთიერების, ენერგიის და ინფორმაციის ნაკადები ღია სისტემასა და გარემოს შორის, ბადებენ ახალ სტრუქტურებს. ქაოსიდან იბადება ახალი წესრიგი.

„ქაოსი კონსტრუქციულია ნგრევის მეშვეობით (სტრუქტურა იქმნება ქაოსის მეშვეობით) და დამანგრეველია კონსტრუქტიულობის გზით. ამასთან, წარმოქმნილი რთული სტრუქტურები არიან მეტა-სტაბილური, ხოლო გამწვავების მომენტის სიახლოვეში კარგავენ მდგრადობას. ქაოსი ანადგურებს სუსტს და არასაჭიროს, იმას, რაც ისედაც მალე გაუქმდება. იგი აჩქარებს ნგრევას რათა შეიქმნას ახალი. ერთი მხრივ, ქაოსის კონსტრუქციულობა და კრეატიულობა ვლინდება ეთერექტორზე გასვლით, არაწრფიული გარემოს თვითკონსტრუირების ტენდენციაში, რაც ვლინდება „არასაჭიროს“ ნგრევაში, რათა ამ ფონზე მკაფიოდ გამოიკვეთოს შედარებით მდგრადი სტრუქტურა. ეს არის ტენდენცია წესრიგისაკენ. მეორე მხრივ, აღმოცენებული რთული სტრუქტურა არის მხოლოდ ფარდობითად მდგრადი. დიდი ხნის განმავლობაში, გამწვავების მომენტიდან მოშორებით, იგი არსებობს მეტასტაბილურად, მაგრამ გამწვავების მომენტის სიახლოვეში მას აქვს ტენდენცია სპონტანურად დაიშალოს, რადგან ხდება მგრძნობიარე მცირე აღშფოთებების, ფლუქტუაციების მიმართ.“ (Метелёв, 2011, 41).

12. მეცნიერების მრავალ დარგში სხვადასხვა ფორმით ვაწყდებით ისეთ მოვლენებს, როგორიც არის თვითორგანიზება, განვითარება მარტივიდან რთულისაკენ, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გარდაქმნა, მთლიანსა და მის ნაწილებს შორის ურთიერთქმედება, ბრძოლა ურთიერთდაპირისპირებულ ძალებს შორის და ა.შ. ყოველივე ეს არის სწორედ ის პრობლემები, რომელნიც დგანან აგრეთვე დიალეკტიკის ყურადღების ცენტრში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქაოსის თეორია დაიბადა

პოზიტივისტური მეცნიერების წიაღში და ინარჩუნებს პოზიტივიზმის ნიშანთვისებებს, მრავალი მისი მეცნიერული კონცეფცია და დასკვნები მაინც ავლენენ შინაგან სიახლოვეს დიალექტიკასთან. მათ შორის არსებობს იმდენად მჭიდრო კავშირი, რომ ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ქაოსის თეორია არის დიალექტიკის განვითარების ახალი ეტაპი, მისი განვითარება მათემატიკის თანამედროვე საშუალებებით. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწორია ეს მოსაზრება, ფაქტი რჩება ფაქტად, მათ შორის არსებობს ღრმა პარალელები. ამიტომ, ბევრი რამ იქიდან, რაც აღმოაჩინა ქაოსის თეორიამ და მოახდინა მათი ფორმალიზება მათემატიკის ენაზე, ეხმიანება იდეებს, რომლებიც უკვე ცნობილია ჰეგელის და მარქსის დიალექტიკიდან. ეს საკითხი სულ უფრო იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. მრავალი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა ამ თემას.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს კლასიკური ზოგადმეცნიერული პარადიგმის გადასინჯვის პროცესი. იგი სულ უფრო განიდევნება მე-20 საუკუნის სამეცნიერო აღმოჩენებით შთაგონებული ახალი იდეების მიერ. ფარდობითობის თეორიის და კვანტური ფიზიკის შემდეგ, ქაოსის თეორია არის კლასიკური მეცნიერული პარადიგმის რადიკალური გადასინჯვის მორიგი ეტაპი.

1.3. კონსტრუქტივიზმი

1. როგორც მეცნიერების ფილოსიფიის დამოუკიდებელი მიმდინარეობა კონსტრუქტივიზმი წარმოიშვა 80–ან წლებში და მალევე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება. ტერმინი „კონსტრუქტივიზმი“ აქტიურ ხმარებაში შემოვიდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში იმ თეორიული და მეთოდოლოგიური კონცეფციების

აღსანიშნავად, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის ფასეულობებს და შემეცნების მოტივებს ცოდნის წარმოების პროცესში. ამ იდეებით დაინტერესდნენ არა მარტო მეცნიერები, არამედ აგრეთვე ჟურნალისტები, ჰუმანიტარები, ფსიქოთერაპევტები, სასულიერო მოღვაწეები და სხვ.. რა თქმა უნდა, ეს იდეები ყველასთვის არ გახდა მისაღები, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ მათ იქონიეს დიდი გავლენა დასავლეთის ინტელექტუალების მსოფლმხედველობაზე.

არსებობს მჭიდრო კავშირი კონსტრუქტივიზმსა და ქაოსის თეორიას შორის. ორივე წარმოიშვა სხვადასხვა მეცნიერების მიჯნაზე და მრავალი მათი კონცეფცია სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ორივე ეფუძნება სისტემურ მიდგომას, სწავლობს რთული არაწრფიული სისტემების თვითორგანიზებას და ორივესთვის ძირითად ცნებებს წარმოადგენს მთლიანობა, გომეოსტაზი, უკუკავშირები და სხვ. ამიტომ, ქაოსის თეორიის ფუძემდებლების ი. პრიგოჟინის, გ. ჰაკენის, ბ. მანდელბროტის და სხვათა სახელებთან ერთად, სულ უფრო ხშირად სახელდებიან კონსტრუქტივიზმის ფუძემდებლები ხ. ფიორსტერი, უ. მატურანა, ფ. ვარელა და სხვები.

მაგრამ ამ ორ თეორიას შორის არსებობს განსხვავებებიც. ქაოსის თეორია სწავლობს საერთოდ რთულ ღია სისტემებს, ხოლო კონსტრუქტივიზმი კონცენტრირებულია ცოცხალ კოგნიტიურ სისტემებზე. სიცოცხლის და შემეცნების პროცესებს ქაოსის თეორია მიიჩნევს მხოლოდ როგორც კვლევის გამოყენებით ასპექტებს. აგრეთვე, კონსტრუქტივიზმის ყურადღების ცენტრშია უკუკავშრის პრინციპი, რომელიც განაპირობებს სისტემების მდგრადობას, ხოლო ქაოსის თეორიაში ამ პრინციპს ეთმობა ნაკლები ყურადღება და აქცენტი გადატანილია სისტემის დინამიკაზე, ქაოსიდან წესრიგის ფორმირებაზე.

კონსტრუქტივიზმმა დიდი გავლენა მოახდინა სოციოლოგიაზე. გერმანელი მეცნიერი ნიკლას ლუმანი (1927 – 1998) იყო

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც შექმნა სოციალური ფილოსოფიის სისტემა კონსტრუქტივიზმის ისეთ ფუნდამენტურ იდეებზე დაყრდნობით, როგორიცაა აუტოპოეზისი, ოპერაციული ჩაკეტილობა და კაუზალური გახსნილობა, თვითრეფერენცია და გარერეფერენცია და სხვ. ნ. ლუმანის შრომები წარმოადგენენ კონსტრუქტივიზმის სოციოლოგიურ ვერსიას და მოიხსენიება კონსრუქტივიზმის კლასიკურ შრომებთან ერთად. სამწუხაროდ, სოციოლოგებისგან განსხვავებით, ეკონომიკურ მეცნიერებაში გაბატონებული დოგმატიზმის გამო, ეკონომისტებმა არ გამოავლინეს რამდენადმე სერიოზული ინტერესი კონსტრუქტივიზმის მიმართ.

2. კონსტრუქტივიზმის თანახმად ცოდნა კი არ მიიღება უშუალოდ ობიექტური სინამდვილიდან, არამედ თვითონ ადამიანი ახდენს თავის ცნობიერებაში რეალობის კონსტრუირებას. ამიტომ, ასეთი ცოდნა დამოკიდებულია არა მარტო შემეცნების ობიექტის თვისებებზე, არამედ სუბიექტის ფასეულობებზე, საზრისებზე, შემეცნების მოტივებზე, და აღწერის ენაზე, შემეცნების ინსტრუმენტებზე.[11] ამასთან, ცოდნა იბადება არა ცალკეულ ინდივიდებში, არამედ არის სოციალურად კონსტიტუირებული.[12]

---

[11] როდესაც ადამიანი გარდაქმნის არსებულ რეალობას თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად, ამით იგი ქმნის ახალ წესრიგს, ახალ რეალობას და ანიჭებს მას საზრისს. სამყაროს არ გააჩნია რაიმე აპრიორული საზრისი, რომელსაც საჭიროა მხოლოდ ჩავწვდეთ. „თვით საკითხის დასმა საზრისის შესახებ არის უაზრობა.“ (Watzlawick, 1997, 190. Цит. по Цоколов, 2000, 28..). თუ აურევთ კარტების დასტას და შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ ყველა კარტი ზუსტად განაწილდა ფერების და რიცხვების მიხედვით, ეს მოგვეჩვენება სასწაულად. მაგრამ, მათემატიკური თვალსაზრისით ამ შედეგს აქვს ისეთივე ალბათობა როგორც ნებისმიერ სხვას. იგი იმდენადვეა მოსალოდნელი, რამდენადაც ნებისმიერი სხვა. მიზეზს, რომლის გამოც ეს თანმიმდევრობა მიგვაჩნია წარმოუდგენლად, არაფერი აქვს საერთო ალბათობასთან. საქმეა მხოლოდ ჩვენს წარმოდგენებში წესრიგის შესახებ. ჩვენ მივანიჭეთ განსაკუთრებული საზრისი და ფასეულობა სწორედ ასეთ თანმიმდევრომას, და ყველა დანარჩენი მივიჩნიეთ როგორც აზრს მოკლებული და შემთხვევითი. (იხ. იქვე, 55-56).

[12] „სოციალური სამყარო, რომელშიც მე დაკავშირებული ვარ სხვადასხვა კავშირებთ სხვებთან, ჩემთვის წარმოადგენს ობიექტს, რომელსაც უნდა მიეცეს საზრისისეული ინტერპრეტაცია. მას გააჩნია საზრისი ჩემთვის, მაგრამ, გარდა

მაგალითად, მოვლენის „გაგება“, როგორც წესი, გულისხმობს იმას, რომ ის, რაც არ ვიცით, დაგვყავს იქამდე რაც ვიცით; ანუ ვაკავშირებთ მას სხვა, უკვე ცნობილ მოვლენებთან; განვიხილავთ მას უფრო ფართო კოორდინატთა სისტემაში. „სრულიად სხვანაირი „გაგება“ არის დამახასიათებელი სოციალური საგნებისთვის (ეს ტერმინი მოიცავს აგრეთვე ადამიანის მოქმედებასაც). ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი დავაკავშირო განსახილველი ფაქტი სხვა ფაქტებთან და საგნებთან. ჩვენ ვერ გავიგებთ სოციალურ საგანს, თუ არ მოვახდენთ მის რედუცირებას ადამიანის მოღვაწეობასთან, რომელმაც იგი შექმნა, და თუ არ დავაკავშირებთ ამ მოღვაწეობას იმ მოტივებთან, რომლებმაც იგი წარმოშვეს. ჩვენ ვერ გავიგებთ ინსტრუმენტს, თუ არ ვიცით მიზანი, რომლისთვისაც იგი შეიქმნა; ნიშანს ან სიმბოლოს, თუ არ ვიცით, რას ასახავენ ისინი; ინსტიტუტს, თუ არ ვიცნობთ მის მიზნებს; ხელოვნების ნაწარმოებს, თუ არ ჩავწვდით მხატვრის იდეას, რომელიც ჩადებულია ამ ნაწარმოებში.“ (Шютц, 2003,101).

3. მე-19 საუკუნის ბოლოს ვ. დილტეიმ, გამიჯნა რა ერთმანეთი-საგან საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებები, შემოიტანა „სოციალური რეალობის“ ცნება. შემდგომში ეს ცნება ფართოდ გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში და მოიცავდა სუბიექტურ წარმოდგენებს, საზრისებს, ფასეულობებს და რწმენის ელემენტებს. ადამიანი აღიქვავს ობიექტების ფიზიკურ თვისებეს და მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებელთა აღქმაში შესაძლოა არსებობდეს განსხვავებები, ეს განსხვავებები შეიძლება ავხსნათ ობიექტური

ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მას გააჩნია საზრისი სხვებისთვისაც. მეტიც, მე ვფიქრობ, რომ სხვებზე ორიენტირებული ჩემი მოქმედებები, მათ მიერ იქნება გაგებული ანალოგიურად იმისა, როგორც მე მესმის მათი მოქმედებები ორიენტირებული ჩემზე. მეტ-ნაკლები გულუბრყვილობით მე ვვარაუდობ, რომ ჩემი და სხვების მოქმედებებისათვის არსებობს კოორდინატთა საერთო სისტემა. .... “ (Шютц, 2003,109).

მიზეზებით. ამ რეალობას კონსტრუქტივისტები უწოდებენ პირველი რიგის რეალობას. მაგრამ არსებობს სინამდვილის სხვა ასპექტიც. ეს არის ის მნიშვნელობები, საზრისები და ფასეულობები, რომელსაც ადამიანი ანიჭებს ამ ობიექტებს. ობიექტებისადმი მინიჭებული ამ საზრისების და ფასეულობების სამყაროს კონსტრუქტივისტები უწოდებენ მეორე რიგის რეალობას. პირველი რიგის რეალობისაგან განსხვავებით, აქ მოვლენებს არ გააჩნიათ ობიექტური თვისებები. ეს სამყარო არის კომუნიკაციური პროცესების, სოციალური კონსტრუირების შედეგი. (იხ.: Watzlawick, 1997, 61.)

მაგალითად, ოქროს ფიზიკური თვისებები განეკუთვნება პირველი რიგის რეალობას. ამ თვისებების დადგენა შესაძლებელია ექსპერიმენტების საშუალებით. მაგრამ ოქროს აქვს აგრეთვე ეკონომიკური ფასეულობა და მის ფასეულობას არაფერი აქვს საერთო მის ფიზიკურ თვისებებთან. როგორც ეკონომიკური ფასეულობა, ოქრო არსებობს სულ სხვა განზომილებაში და ადამიანის მიერ აღიქმება როგორც მეორე რიგის სინამდვილე, ანუ, როგორც მის ცნობიერებაში მის მიერვე კონსტრუირებული სინამდვილე. „არ გააჩნია რა „რეალურ“ რეალობაში შეღწევის შესაძლებლობა, ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, არ შეუძლია იარსებოს კონსტრუირებული რეალობის გარეშე ... .“ (Цоколов, 2000, 28.).

4. ტრადიციული მეცნიერება ამტკიცებს, რომ ადამიანი აღიქვავს სამყაროს როგორც მისგან დამოუკიდებელ ობიექტურ რეალობას. იგი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან შემეცნების სუბიექტს და ობიექტს; ვერ აცნობიერებს, რომ ისინი წარმოადგენენ ერთიან სისტემას.[13] შემეცნების სუბიექტსა და

[13] ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის მოსაზრება: „ ... ცნობიერებამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაიწყო „ყოფიერება“ («бытийствовать») მარქსიზმში გაცილებით ადრე, ვიდრე გაჩნდებოდა ნებისმიერი ეგზისტენციალიზმი და ფენომენოლოგია. მარქსი აანალიზებს არა

შემეცნების ობიექტს შორის არსებობს ცირკულარული, წრიული კავშირები. ისინი ურთიერთ-განაპირობებენ ერთმანეთს. მეორე რიგის სინამდვილესთან დაკავშირებული პრობლემები გამოწვეულია დამკვირვებლის და დაკვირვების ობიექტის შერწყმით. ეს განსაკუთრებით ცხადათ ჩანს სოციალური მეცნიერებების მაგალითზე, ან ადამიანის ცნობიერების შესწავლის დროს, როდესაც ადგილი აქვს დაკვირ-ვებას დამკვირვებლებზე.[14] ეკონომიკური სინამდვილე, საზოგა-დოების პოლიტიკური ცხოვრება, კულტურა, მეცნიერება, ზნეობა და სხვ. - ეს ყველაფერი არის მეორე რიგის სინამდვილე. ეს არის საზრისების, მნიშვნელობების, ფასეულობების სამყარო, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ, ანუ სოციალური რეალობა, რომელიც არსებობს არა ფიზიკურ, არამედ ინტერსუბიექტურ სივრცეში. ეს არის კოლექტიური წარმოდგენები, რომლებიც კონსტრუირე-ბულნი არიან ადამიანთა ცნობიერებაში მათი ერთობლივი ძალის-ხმევით ურთიერთქმედებების და კომუნიკაციების ქსელში. მაგრამ ცნობიერების გარეთ, ფიზიკურ რეალობაში, არ არსებობს არც ეკონომიკა, არც პოლიტიკა, არც კულტურა.

მჭვრეტელობით ცნობიერებას, ... არამედ ცნობიერებას, რომელიც ჩართულია სოციალურ სტრუქტურებში, რომელიც არის მათი განვითარების და ფუნქციო-ნირების აქტიური რეალური რგოლი... . იგი საერთოდ უარყოფს ამ სფეროში ტრადიციული „ობიექტი-სუბიექტის“ კავშირის არსებობას ... . ცნობიერება და კულტურის ფორმები პირველად მარქსთან გვევლინება ანალიზის ახალ, არაკლასიკურ კოორდინატებში.“ (Мамардашвили, 1990, 309)

[14] „ ... მარქსს სრულიად თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი სოციალური სისტემები: თავის გამოკვლევას იგი ყოველთვის წარმართავდა ისე, რომ უკვე დასაწყისშივე საქმე ჰქონდა ისეთ სისტემებთან, რომლებიც რეალიზდებოდნენ და ფუნქციონირებდნენ ცნობიერების მეშვეობით, ანუ ისეთ სისტემებთან, რომლებიც თავის თავში შეიცავდნენ თავისივე გამოსახულებებს როგორც აუცილებელ ელემენტს (ანუ, სხვა სიტყვებით, ისეთ სისტემებთან, რომლებიც შეიცავდნენ დამკვირვებლის ცნობიერებას, როგორც თავისი მოქმედების ელემენტს). განსაზღ-ვრების თანახმად, სწორედ ასეთ სისტემებს მიიჩნევდა იგი სოციალურეკონომიკურ სისტემებად.“ (Мамардашвили, 1990, 298.)

5. მაგრამ პირველი რიგის რეალობაშიც კი, სივრცე-დროით სამყაროში, არ არის არაფერი, რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა რეალობის შესახებ ადამიანის წარმოდგენების სისწორეს. აზროვნებას არ შეუძლია გავიდეს ცნობიერების საზღვრებიდან გარე სამყაროში. ამიტომ პირველი რიგის დამკვირვებელს არ შეუძლია რეალობასთან უშუალო შედარების გზით შეამოწმოს თავისი ცოდნის მართებულობა.[15] იმისათვის, რომ შეძლოს ორიენტირება გარემოში, ადამიანი იძულებულია შექმნას გარემოს მოდელი თავის ცნობიერებაში. გარკვეული აზრით, გარე სამყარო გადაიქცევა შიდა სამყაროდ. იგი უნიკალურია ყოველი ინდივიდუალური ცნობიერებისთვის. მაგრამ მოდელი კი არ ასახავს, არამედ გულისხმობს სამყაროს, შეაქვს რა მასში სუბიექტური საზრისი მისი მოდელირების პროცესში. ანუ, როგორც აღინიშნა, სუბიექტი კი არ *ასახავს* სამყაროს, არამედ თვითონ ახდენს მისი მოდელის *კონსტრუირებას.*

6. ცდილობს რა თვითონ მოერგოს სამყაროს და სამყარო მოირგოს თავისთვის, ადამიანს შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ მის მიერვე თავის გონებაში შექმნილ მოდელებს. ასეთი ინტენცია, მიმართულობა საკუთარ თავთან, არის *თვითრეფერენცია* - კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ძირითადი ცნება.[16]

---

[15] „ობიექტური სამყარო ვერანაირი მნიშვნელობით ვერ იქნება გამოყენებული როგორც რეფერენტული სისტემა. ცნობიერების „წრიული ორგანიზება“ არ იძლევა საკუთარი წარმოდგენების და შეფასებების ფარგლებს გარეთ გასვლის საშუალებას. ჩვენ თვითონ ვქმნით ნივთების საზრისებს, ისევე როგორც თვითონ ნივთებს, ვანიჭებთ რა მათ მთლიანობის, ავტონომიურობის, თვითიდენტურობის თვისებებს.“ (Цоколов, 2000,148).

[16] „კიბერნეტიკული აზროვნების ფუნდამენტურ იდეას წარმოადგენს ციკლურობის, უკუკავშირის, თვითრეფერენციის, თვითკონსტრუირების იდეა. როგორც ჩანს, მის [ჰ. ფიორსტერის - პ.ლ.] შრომებში საკვანძო სიტყვას წარმოადგენს გერმანული სიტყვა «*Eigen*», რომელიც შეესაბამება ინგლისურ სიტყვას «*self*» ან რუსულს «собственный», «само», «Я» (*eigenbehavior, eigenelement, eigenfunction, eigenprocess, eigenvalue*). ვერცერთი სისტემა ვერ შეინარჩუნებდა არსებობას საკუთარი ქცევის და საკუთარი ორგანიზების ხელშეწყობის და აღწარმოების

რადგან წრიული ორგანიზების გამო ცნობიერება ვერ გადის თავისი წარმოდგენების ფარგლებს გარეთ, და რადგან არ არსებობს ცოდნის ჭეშმარიტების ობიექტური კრიტერიუმები, ამიტომ ადამიანი იძულებულია მიმართოს მათი დადასტურების არაპირ-დაპირ, ირიბ მეთოდებს. მაგალითად, 1) ცოდნის საფუძველზე განხორციელებული მოქმედების რეზულტატები უნდა შეესაბა-მებოდეს დასახულ მიზნებს;[17] 2) დაკვირვების შედეგები უნდა დასტურდებოდნენ დაკვირვებიდან დაკვირვებამდე; 3) სხვადასხვა დამკვირვებლის დაკვირვების შედეგები უნდა ემთხვევოდეს ერთმანეთს, 4) სხვადასხვა დაკვირვებები და მოდელები უნდა ადასტურებდნენ ერთმანეთს და ლოგიკურად ეწერებოდნენ სინამდვილის შესახებ წარმოდგენების ერთიან სისტემაში. აგრეთვე, ესა თუ ის კონცეფცია შესაძლოა იქნეს აღიარებული როგორც „ჭეშმარიტება“ დამკვირვებელთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ერთი და იგივე კონცეფციების ერთობლივ გამოყენებას მივყავართ კოორდინირებულ მოქმედე-ბებთან და საერთო მიზნების მიღწევასთან, რაც ზრდის ამ კონცეფ-ციების საიმედოობას.

7. მაგრამ, კონსტრუქტივიზმის პრობლემატიკა შორს გადის შემეცნების თეორიის ფარგლებს გარეთ.[18] „საკვირველია, მაგრამ კონსტრუქტივიზმი ორგანულად არის ჩაშენებული კიბერნეტიკის

უნარის გარეშე. თვით-ორგანიზება ყოველთვის შეიცავს ციკლურობის მომენტს: არსებითად, ეს არის ორგანიზების ორგანიზება.“ (Князева, 2006, 151)

[17] ეს შეესაბამება დიალეკტიკის პრინციპს, რომ პრაქტიკა არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი.

[18] რადიკალური კონსტრუქტივიზმი „ატარებს ინტერდისციპლინარულ ხასიათს ...; ეს არ არის რომელიმე დოქტრინის დასახელება...; იგი, უფრო, მიეკუთვნება განვითარებად ლიტერატურულ დისკურსს, რომელიც მოიცავს ... პრობლემათა კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია აუტოპოიზური ჩაკეტი-ლობის იდეასთან.“ (Knodt, 1995,. XV. ციტ.: Цоколов, 2000, 6.). „... კონსტრუქ-ტივიზმის იდეები დამკვიდრდნენ გარკვეულ ფილოსოფიურ შეხედულებებში სამყაროს შესახებ და წრიული კაუზალობის იდეის თაობაზე განვითარების იმპულსებს ღებულობენ კიბერნეტიკაში და სინერგეტიკაში.“ (Князева, 2006, 136.)

თეორიული შეხედულებების ბირთვში. კიბერნეტიკა ბადებს კონსტრუქტივიზმს როგორც თავის საკუთარ შვილს. თავისი არსებობის დასაბამიდანვე, 1940-1950 წწ. (ნ. ვინერი, უ. როს ეშბი, ჰ. ფონ ფიორსტერი) მის ერთ-ერთ ცენტრალურ იდეას წარმოადგენდა იდეა წრიული კაუზალობის შესახებ. აგრეთვე სინერგეტიკაში, რომელიც არის კიბერნეტიკის მემკვიდრე, წარმოდგენა წრიული კაუზალობის შესახებ არის ერთ-ერთი ფუძემდებლური იდეა. .... წრიული კაუზალობის, როგორც კიბერნეტიკის და სინერგეტიკის ფუნდამენტური წარმოდგენების მეტაფორულ სახეს წარმოადგენს გველი, რომელიც ყლაპავს თავისივე კუდს.“ (Князева, 2006, 134.)[19]

8. ურთიერთქმედების პროცესში დაკვირვება და სინამდვილე განაპირობებენ ერთმანეთის ცვლილებებს. დაკვირვების შედეგად სუბიექტი იძენს ცოდნას და ახდენს სინამდვილის შეფასებას. ცხადია, რომ სუბიექტის *მოქმედებები* ვერ იქნება იგივე სინამდვილის შესახებ ახალი ცოდნის მიღებამდე და მიღების შემდეგ. ცოდნის და შეფასებების ცვლილებებთან ერთად იცვლება აგრეთვე მისი სინამდვილესთან ურთიერთქმედების ხასიათი. და ასევე ცხადია, რომ დაკვირვების შედეგები, ანუ *ცოდნა* და

---

[19] „თავის *მეტაფიზიკაში* არისტოტელე განასხვავებდა მიზეზების ოთხ ნაირსახეობას .... ; რომელთაგანაც ორს გააჩნია დროითი ხასიათი, „causa efficientis“ და „causa finalis„ (მოქმედი მიზეზი და საბოლოო მიზეზი). ფიზიკოსებს უყვართ პირველი მათგანი, როდესაც წარსულში არსებული მიზეზები განსაზღვრავენ შედეგებს აწმყოში: „რადგან მან გამორთო გადამრთველი, ახლა წავიდა შუქი.“ ფსიქოლოგები უპირატესობას ანიჭებენ მეორეს: „იმისათვის რომ გვქონდეს შუქი, მან ახლა ჩართო გადამრთველი.“ მომავალში არსებული მიზეზები, „რათა ოთახი იყოს განათებული“, განსაზღვრავენ მოქმედებებს აწმყოში, „ახლა ჩართო გადამრთველი.“ .... ვინმეს რომ დაენახა ეს გოგო, ნორბერტ ვინერის მსგავსად იტყოდა: „ ... მისი მოქმედების ინტერპრეტირება შეიძლება როგორც მიზნის მიღწევისკენ მიმართული მოქმედება.“ კიბერნეტიკის შესახებ ადრეულ ლიტერატურაში თქვენ ნახავთ მრავალგზის აპელირებას „მიზნის“ ცნებაზე. რადგან ბერძნულად „მიზანი“ არის „ტელოსი“, ჩვენი პირველი კიბერნეტიკოსები იყენებდნენ „ტელეოლოგიას“ მათი მოღვაწეობის იდენტიფიკაციისათვის.“ (Foerster, 2003, 298)

შეფასებები, ვერ დარჩება უცვლელი სინამდვილესთან ურთიერთ-ქმედების აქტის წინ და აქტის შემდეგ, რადგან დაკვირვების ქვეშ მყოფი სინამდვილე იცვლება ამ ურთიერთქმედების შედეგად. ადგილი აქვს წრიულ კაუზალობას, რომელიც განაპირობებს დაკვირვების და სინამდვილის მიერ ერთმანეთის ცვლილებებს, რაც გამოწვეულია გარემოს მოდელის და მასთან ურთიერთქმე-დების მოდელის პერმანენტული დაზუსტებით.

ეს არის მოღვაწეობა, რომელიც გახდა საკუთარი თავის მიზეზი, ანუ მიზეზი და შედეგი ერთმანეთს განაპირობებენ ამ წრიული კაუზალობის პროცესში. ფორმალურად ეს პროცესი შეიძლება გამოვხატოდ ასე: $\mathbf{x} = \mathbf{F}(\mathbf{x})$, სადაც $\mathbf{x}$ – არის სისტემის ელემენტებს შორის მიმდინარე ნებისმიერი პროცესი, ხოლო $\mathbf{F}$ – ამ პროცესებს შორის ურთიერთკავშირის ფორმა. სისტემას, რომელ-შიც ადგილი აქვს ასეთ წრიულ პროცესებს, ეწოდება თვითრეფე-რენტული სისტემა. ასეთი სისტემები არის ავტონომიური, ორგანი-ზაციულად ჩაკეტილი და აქვთ მრავალი სხვა უნიკალური თვისება.

„ ... ორგანიზაციული ჩაკეტილობა წარმოადგენს იმ ერთადერთ ფორმას, რომელიც აღმოცენდება პროცესების წრიული კავშირების შემთხვევაში, რომლის შედეგადაც ყალიბდება ურთიერთ-დამოკიდებულებათა ქსელი. როგორც კი ერთხელ დაიბადება ასეთი წრიულობა, მისი პროცესები ახდენენ თვითორგანიზების კონსტიტუირებას, რომელშიც შეთანხმებულობა მიიღწევა მისი საკუთარი აქტივობის პროცესში და არა გარე ფაქტორების ჩარევის გზით. ამრიგად, მთლიანობის საზღვარი ... განუყრელად არის დაკავშირებული თვით სისტემის აქტივობასთან. ორგანიზაციული ჩაკეტილობის გაუქმების შემთხვევაში აგრეთვე გაქრება მთლია-ნობაც. ეს არის დამახასიათებელი ავტონომიური სისტემები-სათვის.“ (Varela, 1981. Цит. по: Цоколов, 200, 249.) „ ... წრიული ორგანიზება ქმნის გომეოსტაზურ სისტემას, რომელსაც გააჩნია თვით ამ წრიული ორგანიზების შექმნის და ხელშეწყობის ფუნქცია, რომელიც რეალიზდება იმის მეშვეობით, რომ კომპონენ-ტები, რომლებიც ახდენენ მის სპეციფიცირებას, წარმოადგენენ

სწორედ იმ კომპონენტებს, რომელთა სინთეზი და ხელშეწყობა უზრუნველყოფილია ამ წრიული ორგანიზებით.“ (Матурана, 1996, 99).

9. ასეთი სისტემების საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათ გააჩნიათ ეგრეთ წოდებული "საკუთრივი მნიშვნელო-ბები" და "საკუთრივი ქცევა". საქმე ისაა, რომ სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების პროცესებში არ არსებობს ცალსახა შესაბამისობა შემავალ და გამომავალ სიგნალებს შორის. სხვა სიტყვებით, გამომავალი რეაქცია არ არის უშუალო რეაქცია შემავალ სტიმულ-ზე. იგი დამოკიდებულია სისტემის მიმდინარე მდგომარეობაზე და იმ რეკურსიულ პროცესებზე, რომლებიც ინიცირებული იყვნენ სისტემაში შემავალი სიგნალით. ანუ, სისტემის მდგომარეობა და მისი რეაქცია გარემოს ზემოქმედებაზე, განპირობებულია სისტემის წინა მდგომარეობით და გარემოს წინა ზემოქმედებით. სისტემის ასეთი ქცევა იძენს „საკუთრივი ქცევის“ ხასიათს და იგი არ შიეძლება ჩაითვალოს უბრალოდ როგორც რეაქცია გარე ზემოქმედებაზე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.[20]

---

[20] „ ... რთულ სისტემაში თვითრეფერენცია იმდენად დიდია, რომ გამომავალი სიგნალი თითქოსდა ხდება სისტემის საკუთარი საქმე ... . კავშირების ამ სტრუქტურისათვის სისტემის რეაქცია იქნება დამახასიათებელი, იქნება მისი საკუთარი ქცევა. (Хиценко, 1999, 13.) „წარმოიდგინეთ ისეთი რთული სისტემა, როგორიც არის კატა და თაგვის წრიპინის ან თუნდაც თაგვის ვიზუალური გამოსახულების ტიპის შემავალი სიგნალი. მშიერი კატა იქონიებს ადექვატურ რეაქციას, ხოლო მაძღარმა, ან მამრის ძებნით დაკავებულმა კატამ, შესაძლოა მოახდინოს თაგვის იგნორირება. მისი ქცევა დამოკიდებული იქნება მის შინაგან მდგომარეობაზე, იქნება მისი საკუთარი ქცევა.“ (იქვე.) „რათა იგრძნოთ ... სხვაობა წარმოდგენილ [ჩვეულებრივ და ოპერაციონალურად ჩაკეტილ] სისტემებს შორის, ჩასვით გამოტოვებული რიცხვი წინადადებაში: „თუ ცხრას გავამრავლებთ ... ზე, მივიღებთ ოცდათექვსმეტს.“ ახლა კი ჩასვით სწორი რიცხვი შემდეგ წინადადებაში: „ეს ფრაზა შედგება ... ასოსაგან.“ ეს უკვე არის ოპერაციონალურად ჩაკეტილი სისტემის საკუთარი მნიშვნელობის ძიება, მეორე რიგის სირთულის ამოცანა, შედარებით პირველთან, რორმელიც ადვილად ამოიხსნება სქემით - „შემავალი - გამომავალი“, ან „სტიმული - რეაქცია“, „წინაპირობა - შედეგი“.“ (იქვე, 14.)

ასეთი სისტემა განიცდის ევოლუციას და იძენს საკუთარ ისტორიას.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმული არ არის საკმარისი კონსტრუქტივიზმის სრული დახასიათებისათვის. ზემოთ მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე ძირითადი დებულება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენს საკვლევ პრობლემასთან. მაგრამ ესეც საკმარისი უნდა იყოს იმის დასანახად, რომ კონსტრუქტივიზმის იდეები მკვეთრად უპირისპირდებიან ტრადიციულ ზოგადმეცნიერულ პარადიგმას. ამიტომაც, მათი გათავისებისთვის „არ არის საკმარისი ამ იდეების *ცოდნა,* საჭიროა დრო, რათა *შევეჩვიოთ* მათ“. (Цоколов, 2000, 1.)

1.4. სისტემური მიდგომა

1. კონცეფციებს, რომლებიც ცდილობენ სოციალური მოვლენები ახსნან რთული სისტემების თეორიის პიზიციებიდან, ხანგრძლივი ისტორია აქვთ და ამ მიმართულებით გრძელდება ინტენსიური კვლევები. სოციალური სისტემების თეორიამ თავისი განვითარების პროცესში გაიარა სისტემური ანალიზის რამდენიმე ეტაპი. პირველ ეტაპზე, ე. დიურკგეიმის სოციოლოგიური შეხედულებების დომინირების პერიოდში, სოციალური სისტემების ანალიზი ფოკუსირებული იყო „მთლიანი/ნაწილის“ კავშირების გამოვლენაზე. წარმოებდა სისტემის ემერჯენტული თვისებების კვლევები, რომლებიც იბადებიან ელემენტების ურთიერთქმედების შედეგად. მეორე ეტაპზე ყურადღების ცენტრში მოექცა „სისტემა/გარემოს“ ურთიერთქმედების პრობლემა. ამ ეტაპზე დიდი წვლილი შეიტანა თ. პარსონსის სოციალური მოქმედების თეორიამ და საერთოდ, სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა ანალიზმა. ამის შემდეგ, სოციოლოგიაში სისტემური კვლევების

განვითარებას ახალი იმპულსი მისცეს ჩილელი მეცნიერების უმბერტო მატურანას და ფრანსისკო ვარელას მეცნიერულმა იდეებმა, გამოკვლევებმა მეორე რიგის კიბერნეტიკის სფეროში, ინფორმაციული სისტემების თეორიებმა და სხვ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს გერმანელი სოციოლოგის ნიკლას ლუმანის თეორია, რომელმაც მაქსიმალურად შეითვისა თავისი დროის უახლესი მეცნიერული მიღწევები და მთელს მსოფლიოში მიიპყრო სოციოლოგების განსაკუთრებული ყურადღება.

რთული სისტემების თეორიაზე დაყრდნობით საზოგადოების ანალიზს ახორციელებენ აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენლები ქაოსის თეორიის ფარგლებში. მაგრამ ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება არის ის, რომ თავის მეთოდოლოგიაში ქაოსის თეორიის წარმომადგენლები ეფუძნებიან პოზიტივიზმს, ხოლო სოციოლოგები ეყრდნობიან ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიას. შესაბამისად, სოციოლოგები გაცილებით სრულად ითვალისწინებენ სოციალური რეალობის სპეციფიკას და საზოგადოების, როგორც არა მხოლოდ ცოცხალი სისტემის, არამედ აგრეთვე როგორც მოაზროვნე, პოლიკონტექსტუალური, საზრისების მატარებელი სისტემის სპეციფიკას.

ძირითადი პრობლემა, რომლის ახსნასაც ცდილობს ფუნქციონალიზმი, არის ის, თუ როგორ იბადება სოციალური წესრიგი ინდივიდების თავისუფალი მოღვაწეობის პირობებში, როდესაც ინდივიდები მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე; როგორ მოქმედებს სოციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მათი მოქმედებების კოორდინირებას. ეს სოციოლოგები თავის ძირითად მეცნიერულ პრობლემას ხედავენ ისევე, როგორც ეკონომისტები, დაწყებული ადამ სმითიდან, ხედავენ მას საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებაში. ამიტომ, თანამედროვე სოციოლოგების მეცნიერულ შეხედულებებში ეკონომიკურ თეორიას შეუძლია აღმოაჩინოს თავისთვის უაღრესად საინტერესო იდეები;

2. გავრცელებულ წარმოდგენას, რომ ადამიანი არის პირველადი ელემენტი, რომლისგანაც შედგება საზოგადოება, შევყავართ შეცდომაში. ინდივიდი არ იბადება ადამიანად, არამედ საზოგადოება აყალიბებს მას ადამიანად. საზოგადოება ისევეა ადამიანის არსებობის პირობა, როგორც თვითონ ადამიანია საზოგადოების არსებობის პორობა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი არის პირველადი ელემენტი, რომლისგანაც შედგება საზოგადოება. მრავალი სოციოლოგის თვალსაზრისით საზოგადოება არის სოციალური სისტემა, რომელიც შედგება სოციალური მოქმედებებისგან. ანუ, დიალექტიკურად დაკავშირებულ ცნებებს წარმოადგენენ არა საზოგადოება და ინდივიდი, არამედ საზოგადოება და სოციალური მოქმედება. სოციალური სისტემა ბადებს ინდივიდების სოციალურ მოქმედებებს, ხოლო სოციალური მოქმედებები ბადებენ სოციალურ სისტემას.

საზოგადოება არის სისტემა. ხოლო სისტემა და ელემენტი ისეთივე დიალექტიკურ კავშირი არიან ერთმანეთთან, როგორც მთელი და მისი ნაწილები. „მთლიანი ... არის ... პირობა ნაწილებისათვის, მაგრამ ამავე დროს იგი თვითონ უშუალოდ გულისხმობს, რომ იგი არის მხოლოდ იმიტომ, რომ თავის წინაპირობად აქვს ნაწილები“ (Гегель, 1999, 572.) ანუ, ელემენტები არ არსებობენ სისტემის შექმნამდე. სისტემა და მისი ელემენტები იბადებიან ერთდროულად, და მთლიანად განაპირობებენ ერთმანეთს. ცხადია, რომ დამოკიდებულება საზოგადოებასა და ინდივიდს შორის არ შეესაბამება ამ პირობას. ადამიანის არსებობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური მოქმედებებით. სოციალური მოქმედებების სისტემაში აქტორები მონაწილეობენ არა ყველა თავისი ინდივიდუალური თვისებებით და უნარებით, არამედ მხოლოდ მათი იმ ნაწილით, რიმელიც რელევანტურია ამ ურთიერთქმედებათა სისტემისთვის. სოციალური სისტემის გარეთ რჩება ადამიანი როგორც ფსიქოფიზიკური არსება, მისი ინდივიდუალური საქმიანობა და ა.შ. ინდივიდები წარმოადგენენ

მხოლოდ გარემოს სოციალური სისტემებისათვის, ისევე როგორც სოციალური სისტემები წარმოადგენენ გარემოს ინდივიდებისათვის;

3. კარლ მარქსის თანახმად საზოგადოება არის *საზოგადოებრივი ურთიერთობების* ერთობლიობა,[21] თალკოთ პარსონსის თანახმად - *სოციალური მოქმედებების* სისტემა, ნიკლას ლუმანის აზრით - *კომუნიკაციების* სისტემა. მაგრამ, მიუხედავად განსხვავებული არგუმენტაციისა, მრავალი სხვა სოციოლოგის მსგავსად, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მართალია ინდივიდები ქმნიან საზოგადოებას თავისი ურთიერთობებით, მოქმედებებით ან კომუნიკაციებით, მაგრამ ისინი უშუალოდ არ წარმოადგენენ საზოგადოების მაკონსტიტუირებელ ელემენტს. ამ გამოკვლევაში ჩვენ ვეყრდნობით თ. პარსონსის პიზიციას. საზოგადოების მაკონსტიტუირებელ ელემენტად მიჩნეულია სოციალური მოქმედება, და საზოგადოება არის სოციალურ მოქმედებათა სისტემა. რამდენად დასაბუთებულია ეს დებულება გახდება ცხადი თვით კვლევის შედეგად.

[21] კ. მარქსის თანახმად საზოგადოება არის „ადამიანების ურთიერთქმედების პროდუქტი“. (Маркс, Энгельс, 1962, 402). საზოგადოების არსი იმალება არა თვითონ ადამიანებში, არამედ მათ ურთიერთობებში, რომელშიც ისინი ჩართულნი არიან თავისი მოღვაწეობის პროცესში. „საზოგადოება არ შედგება ინდივიდებისაგან, არამედ გამოხატავს ერთმანეთთან კავშირების და ურთიერთობების ჯამს, რომლებშიც ეს ინდივიდები იმყოფებიან“ (Там же, 1968-1969, 214).

თავი 2. ეკონომიკური მოღვაწეობის დიალექტიკური ანალიზი

2.1. ეკონომიკური მოღვაწეობა

2.1.1. ძირითადი ცნებები

1. ეკონონიკური მოღვაწეობის არსი რჩება უცვლელი მიუ-ხედავად იმისა, თუ ვინ არის ამ მოღვაწეობის სუბიექტი - ინდივიდი, ერი, თუ კაცობრიობა, და მიუხედავად იმისა, არის ეს ეკონომიკა ნატურალური, საბაზრო თუ რეგულირებადი. იცვლება მხოლოდ მისი არსის გამოხატვის ფორმები. ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოადგენს ზოგადად მიზანშეწონილი მოღვაწეობის ერთ-ერთ გამოვლენას.[22] ეს არის ადამიანის გონებით და ნებით რეგულირებადი მოღვაწეობა. „გონიერი ნება“ (ჰეგელი) არის ინსტანცია, რომელიც დგას გაცნობიერებულ მოთხოვნილებებზე მაღლა და აკონტროლებს მათი დაკმაყოფილების პროცესს. ნება ღებულობს გადაწყვეტილებას თუ რომელი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და რომლისგან შეიკავოს თავი. ადამიანს მრავალი მოთხივნილება აქვს გაცნობიერებული. ზოგი მათგანი ურთიერთგამორიცხავენ ერთმანეთს ან მიუღებელნი არიან მისთვის რაიმე მოსაზრების გამო (ეკონომიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და სხვ.). ცხადია, გაცნობიერებული

---

[22] ლ. მიზესი წერდა: „ეკონომიკურ თეორიას, როგორც ზოგადად ადამიანის მოღვაწეობის თეორიის დარგს, საქმე აქვს საერთოდ ადამიანის მოღვაწეობასთან, ანუ ადამიანის გაცნობიერებულ ორიენტაციასთან არჩეული მიზნების მისაღწევად, როგორიც არ უნდა იყოს ეს მიზნები.“ (Mises, 1996, 652). ამ ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლობას არ შეეძლო არ წარმოეშვა, და კიდეც წარმოშვა მრავალი გაუგებრობა თეორიაში.

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ამ მოთხოვნილებების არსებობის ფაქტი. ისინი თვითონ ვერ დაკმაყოფილდებიან ადანიანის ნების ჩარევის გარეშე. წინა-აღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა გაუცნობიერებელი (უნებლიე, ინსტიქტური) მოქმედებები. აუცილებელია, რომ ნებამ მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სწორედ ეს, და არა სხვა მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული. ანუ, გარდა სხვადასხვა მოთხოვნილების გაცნობიერებისა, საჭიროა კიდევ ამა თუ იმ კონკრეტული გაცნობიერებული მოთხოვნილების დაკმაყოფი-ლების სურვილი. ნება მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ გონებისგან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, რომელიც ხელმძღვანელობს არა შემთხვევთი, წუთიერი, არამედ „მე“-ს ფუნდამენტური, არსებითი, გონივრული მოთხოვნილებებით.[23] შესაბამისად, ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ეფუძნება არა კომფორტის და დისკომფორტის გრძნობების კალკულაციას, არამედ გონების არგუმენტებს და შეფასებებს, გამომდინარე სუბიექტის საერთო ინტერესებიდან. ეს არის რაციონალური გადაწყვეტილებები.

ისეთ ვიტალურ მოთხოვნილებებსაც კი, როგორიც არის შიმშილი, წყურვილი და სხვ. ადამიანი იკმაყოფილებს მიზანშეწო-ნილი მოღვაწეობის მეშვეობით, ანუ გაცნობიერებულად, რადგან ისახავს მიზანს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მოთხოვნილებებსაც კი იგი იკმაყოფილებს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გაიცნობიერებს, რომ მათი დაკმაყოფილება შეესაბამება მის სასიცოცხლო ინტერესებს, შეესაბამება მის წარმოდგენებს მისი კეთილდღეობის თაობაზე. და იმ შემთხვევაში, თუ არ არის ასეთი შესაბამისობა,

---

[23] „ ... ადამიანი მოქმედებს არა თავისი აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსის მიხედვით, არამედ თავისი „მე“-ს საერთო მოთხოვნილებების თანახმად. ... ეჭვგარეშეა, რომ გადაწყვეტილების მიღების აქტი ეფუძნება იმ ინტელექტუალურ პროცესს, რომლის შედეგადაც ხდება გარკვეული ქცევის მიზანშეწონილობის არგუმენტირება.“ (Узнадзе, 1966, 396).

სუბიექტს შეუძლია თავი შეიკავოს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაგან. ანუ ემორჩილება თავის გონებას, და არა გრძნობებს. სწორედ ამიტომ, ადამიანს შეუძლია აკეთოს ის, რისი გაკეთებაც არ უნდა, და არ აკეთოს ის, რისი გაკეთებაც უნდა. ანუ, აკეთებს რა იგი რაიმეს, თუ არ აკეთებს, ნებისმიერ შემთხვევაში მან უნდა გააკეთოს არჩევანი. რაიმე ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ რაიმე სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.[24]

სუბიექტს სურს მიზნის რეალიზება, მაგრამ არ სურს საშუალებების ხარჯვა. სწორედ ეს ბადებს რესურსების ხარჯვის ოპტიმიზაციის სტიმულებს. სხვაგვარად ოპტიმიზაცია იქნებოდა შეუძლებელი. "გონიერი ნების" გადაწყვეტილების წყალობით ხდება საშუალებების ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მოყვანა ისე, რომ მათი ურთიერთქმედების რეზულტატები შეესაბამებოდეს დასახულ მიზნებს.[25] მაგრამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭირო ზოგი ობიექტი არის შეზღუდული, ზოგი – არა. ისინი შეზღუდულია ან შეუზღუდავია სუბიექტური აზრით. ზოგიერთი ობიექტის რაოდენობა საკმარისია მოთხოვნილებების სრულად დასაკმაყოფილებლად, ზოგი კი – არა. შეზღუდულ ობიექტებს სუბიექტი ეპყრობა ყაირათიანად, ახდენს მათი ხარჯის კალკულაციას, აღიქვავს მათ როგორც მიზნის რეალიზაციის *საშუალებებს,* ხოლო შეუზღუდავ ობიექტებს იგი არ ეპყრობა

---

[24] „ნებელობითი აქტი არის .... აქტივობა, რომელიც თავის თავში მოიცავს აგრეთვე თვითშეზღუდვას. ძლიერი ნებისყოფა მდგომარეობს არა მარტო საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების უნარში, არამედ აგრეთვე ზოგი მათგანის დათრგუნვის უნარშიც, უქვემდებარებთ რა ერთ სურვილებს მეორეებს. ... ამიტომ ნებისყოფა მოითხოვს ... საკუთარ სურვილებზე ბატონობას, და არა მარტო მათ მსახურებას.“ (Рубинштейн, 1983, 192).

[25] „გონი იმდენადვეა ცბიერი (хитер), რამდენადაც ძლევამოსილია. საერთოდ ცბიერება (хитрость) მდგომარეობს გაშუალებულ მოღვაწეობაში, რომელიც, აძლევს რა ობიექტებს საშუალებას იმოქმედონ ერთიმეორეზე თავისი ბუნების შესაბამისად და დაუძლურდნენ ამ მოქმედებაში, ამ პროცესში უშუალოდ ჩარევის გარეშე, მაინც განახორციელებს მხოლოდ თავის საკუთრ მიზანს.“(Гегель, 1974, 397)

ყაირათიანად, არ აწარმოებს მათი ხარჯის კალკულაციას, და მის მიერ აღიქმება როგორც მიზნის რეალიზაციის *პირობები.*

თუ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არსებობს პირობები და საშუალებები, მაშინ გაცნობიერებული მოთხოვ-ნილებების საფუძველზე ადამიანი აყალიბებს თავის მიზნებს. ადამიანი ისახავს მხოლოდ ისეთ მიზნებს, რომლის რეალიზებაც მას მიაჩნია შესაძლებლად, ანუ, ისახავს მხოლოდ აქტუალურ მიზნებს.[26] მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილებაც შეუძლე-ბელია არსებულ პირობებში და არსებული საშუალებებით, მიეკუთვნება პოტენციური მიზნების სფეროს (ანუ სამომავლო მიზნებს ან განუხორციელებელ ოცნებებს), რომლებიც არ წარმო-ადგენენ მიზანშეწონილი მოქმედებების რეალურ სტიმულებს. ამასთან, პირობები და საშუალებები წარმოადგენენ არსებული სინამდვილის ფენომენებს. ამიტომ, თვით სინამდვილე ადამიანის მიერ აღიქმება მისი მოთხოვნილებების პრიზმაში გატარებით, ანუ როგორც მისი მიზნების რეალიზაციისთვის საჭირო პირობების და საშუალებების ერთობლიობა. მას აქვს სინამდვილისადმი „ინსტრუმენტალური“ (სარტრი) დამოკიდებულება;

2. მოღვაწეობა შედგება ცალკეული მოქმედებებისგან. მოქმედების სტრუქტურული კომპონენტებია *მიზანი, საშუალება და რეზულტატი. მიზანი* არის დაუკმაყოფილებელი მითხოვნი-ლება. ამასთანავე, ეს არის გაცნობიერებული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც ხდება მხოლოდ და მხოლოდ მიზანშეწონილი მოღვწეობის მეშვეობით, ე.ი. საშუალებების ხარჯვის გზით. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროებს "საფასურის გადახდას" შესაბამისი საშუალებებით. რადგან

---

[26] „ადამიანი, როგორც ვიცით, ცნობიერ არსებას წარმოადგენს. იგი, მოქმედების გაცნობიერების გარდა თავის მოთხოვნილება-მისწრაფებებსაც აცნობიერებს. ადამიანი, თავისი მოთხოვნილებებით, მისწრაფებების გაცნობიე-რების საფუძველზე, ქმნის მიზანთა სისტემას. ... ადამიანი ისეთ მიზნებს ისახავს, რისი მიღწევაც მის ძალასა და უნარს არ აღემატება ...“ (ნადირაშვილი, 1975, 285)

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საჭიროა საშუალებების "გადახდა", ამიტომ მიზნის დასახვა გულისხმობს არჩევანის გაკეთებას საშუალებებსა და რეზულტატებს შორის. ამასთან, რადგან ერთი და იგივე საშუალებებით შესაძლებელია სხვადასხვა მიზნების რეალიზება, ამიტომ მიზნის დასახვა გულისხმობს არჩევანს სხვადასხვა მიზნებს შორის, და შესაბამისად, ალტერნატიულ რეზულტატებს შორის.[27] მიზნის დასახვა ყოველთვის გულისხმობს არჩევანის გაკეთებას.

საშუალება არის ობიექტი, რომელიც განწირულია იმისთვის, რომ მსხვერპლად შეეწიროს მიზნის რეალიზებას, ანუ რეზულტატს. საშუალება არის რაღაც ისეთი, რასაც გააჩნია სარგებლიანობა. სარგებლიანობა არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი.[28] ამიტომ, საშუალების სარგებლიანობა განისაზღვრება იმ ყველაზე პრიორიტეტული მოთხოვნილების სიდიდით, რომლის დაკმაყოფილებაც მას შეუძლია. საშუალების ფუნდამენტური თვისება არის ის, რომ იგი განწირულია "ცვეთისათვის" და განადგირებისთვის. თუ საშუალებები გამოყენებულ იქნა ამა თუ იმ რეზულტატის მისაღებად, მაშინ შეუძლებელი ხდება მისი გამოყენება სხვა რეზულტატების მიღებისთვის, რადგან ისინი უკვე იქნება დახარჯული, აღარ იქნებიან. თუ ისინი აღარ იქნებიან, მაშინ აღარც სარგებლიანობა იქნება მათი. ამიტომ, მოთხოვნილების დაკმაყოფილების და რეზულტატის მიღების შემდეგ, იმ

---

[27] „ეკონომიკსი არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევას, როგორც დამოკიდებულებას მიზნებსა და შეზღუდულ საშუალებებს შორის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ალტერნატიული გამოყენება.“ (Robbins, 1945, 16.)

[28] „საშუალება არის ყოველივე ის, რაც ემსახურება მიზნის, განზრახვის თუ ჩანაფიქრის მიღწევას. ამ სამყაროში არ არსებობს საშუალებები; სამყაროში არსებობენ მხოლოდ საგნები. საგანი ხდება საშუალება მაშინ, როდესაც ადამიანის გონება გეგმავს მის გამოყენებას რაიმე მიზნის მისაღწევად, ხოლო ადამიანის მოღვაწეობა რეალურად იყენებს მას ამ დანიშნულებით. გარე ობიექტები როგორც ასეთი არიან მხოლოდ ფიზიკური სამყაროს ფენომენები და არიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის საგანი. სწორედ ადამიანის ზრახვები და მოღვაწეობა ხდის მათ საშუალებებად.“ (Мизес, 2005, 71).

მოხმარებული საშუალებების სარგებლიანობა, რომლებიც შეზღუ-დულია მოთხოვნილებებთან შედარებოთ, აღიქმება როგორც მსხვერპლად გაღებული სარგებლიანობა ანუ, როგორც ხარჯი. ხოლო თუ ის, რაც აუცილებელია მიზნის რეალიზებისთვის, არ არის შეზღუდული მოცემულ მიზანთან მიმართებაში, მაშინ იგი არ განიხილება როგორც საშუალება, და მისი გამოყენების შემდეგ, მისი სარგებლიანობა არ აღიქმება როგორც ხარჯი. მისდამი დამოკიდებულება არ არის ყაირათიანი. ეს უკვე არის არა საშუა-ლება, არამედ მოღვაწეობის *პირობა.*

საშუალებების შეზღუდულობა აუცილებელს ხდის მათი ხარჯვის შეთანაზომებას მიღებულ რეზულტატებთან, რასაც ვერ ვიტყვით პირობების შესახებ. მიზნების რეალიზაცია დამოკიდე-ბულია პირობების მხოლოდ არსებობაზე, ხოლო მათი რაოდე-ნობრივი განსაზღვრულობა არ მიიღება მხედველობაში მათი შეუზღუდაობის გამო. მთავარი განსხვავება პირობებსა და საშუალებებს შორის მაინც არის ის, რომ სუბიექტს შეუძლია ზემოქმედება იქონიოს და აკონტროლოს საშუალებები, ხოლო მოცემული მიზნის რეალიზების პროცესში იგი ვერ აკონტროლებს პირობებს. ამ პროცესში პირობები ან არის, ან არ არის. მაგრამ რაიმე მოქმედების მიზანი თვითონ შეიძლება გულისხმობდეს პირო-ბების შექმნას უკვე მომავალი მოქმედებებისათვის. შესაბამისად, ამა თუ იმ მოქმედებების რეზულტატები შესაძლოა თვითონ წარმოადგენდნენ პირობებს სხვა მოქმედებებისათვის.

რეზულტატი არის რეალიზებული მიზანი, ანუ, დაკმაყოფი-ლებული მოთხოვნილება. ის, რაც თავდაპირველად არსებობდა იდეის სახით, ახლა არსებობს რეალურად. იდეა რეალიზებულია. ამასთან, რეზულტატი შეიცავს არა მარტო მიზანს, არამედ საშუალებებსაც, რომლებიც დაიხარჯა მიზნის რეალიზაციის პროცესში. ანუ იგი შეიცავს თავის თავში ხარჯებს, რადგან იმ საშუალებების სარგებლიანობა, რომლებიც სუბიექტმა გაიღო მიზნის რეალიზაციის გამო, ვერ იქნება მის მიერ აღქმული

სხვაგვარად, თუ არა როგორც ხარჯი. ამიტომ რეზულტატი არის მიზნის და მსხვერპლად გაღებული საშუალებების ერთობლიობა, არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილებისა და ხარჯის (მსხვერპლად გაღებული სარგებლიანობის) ერთობლიობა.

რეზულტატი არის გარკვეული მიზეზის შედეგი და ჩვეულებრივი შედეგისაგან განსხვავდება იმით, რომ მისი გამომწვევი მიზეზი არის ადამიანი, მისი თავისუფალი ნება, და არა შემთხვევითი მიზეზი. ადამიანის მიზანშეწონილი მოღვაწეობა, აღებული მთლიანობაში, როგორც ცალკეული აქტების ერთობლიობა, არის იგივე კაუზალობა, მაგრამ ადამიანის გონების და ნების მიერ განხორციელებული და წარმართული. ამიტომ, ისევე როგორც ყოველი შედეგი არის სხვა შედეგის მიზეზი, ასევე ყოველი რეზულტატი არის საშუალება (ან პირობა) სხვა რეზულტატის მისაღებად.[29] და რადგან რეზულტატი არის რეალიზებული მიზანი, ამიტომ, ცხადი ხდება მიზნის, საშუალების (პირობის) და რეზულტატის არსებითი ერთიანობა. ეს არის რეფლექსიურ კავშირში მყოფი კატეგორიები, რომლებიც საზრისს იძენენ მხოლოდ ერთმანეთის მეშვეობით, ხოლო ერთმანეთის გარეშე არ გააჩნიათ საზრისი;

---

[29] „ადამიანს აქვს მოქმედების შესაძლებლობა, რადგან აქვს უნარი აღმოაჩინოს მიზეზობრივი კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ ცვლილებების და ფორმირების პროცესებს სამყაროში. მოქმედება მოითხოვს და გულისხმობს კაუზალობის კატეგორიას. მოქმედება შეუძლია მხოლოდ ადამიანს, რომელიც სამყაროს ხედავს კაუზალობის პრიზმაში. ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაუზალობა წარმოადგენს მოღვაწეობის კატეგორიას. საშუალების და მიზნის კატეგორიები თავის თავში შეიცავენ მიზეზისა და რეზულტატის კატეგორიებს.“ (Мизес, 2005, 20.).

„ამიტომ მიღწეული მიზანი არის რაღაც ობიექტი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს საშუალებას ან მასალას სხვა მიზნებისათვის და ა.შ. *უსასრულობამდე.*“ (Гегель, 1974, 398). „ყველა ობიექტი, რომელშიც განხორციელდა გარეგანი მიზანი, ... არის მხოლოდ საშუალება მიზნებისათვის. ის, რაც უნდა იქნეს მოხმარებული ამა თუ იმ მიზნის განსახორციელებლად, და რაც არსებითად უნდა იქნეს მიჩნეული როგორც საშუალება, არის საშუალება, რომლის დანიშნულებაა, იყოს დახარჯული.“ (Гегель, 1999, 846)

3. მიზანშეწონილი მოღვაწეობა შედგება მოქმედებებისგან და ყოველ მათგანს აქვს თავისი ფუნქცია. მოქმედება არის მიზნის, საშუალების და რეზულტატის ერთობლიობა, სადაც რეზულტატი არის საშუალებების ფუნქცია. მაგრამ რეზულტატი არის რეალიზებული მიზანი. და რადგანაც მიზნად ისახება საშუალებების მიღება სხვა მიზნებისათვის, ამიტომ გამოდის, რომ ერთი მოქმედების საშუალება არის სხვა მოქმედებების რეზულტატების ფუმქცია, ანუ საშუალებებსა და რეზულტატებს შორის არსებობს არა ცალმხრივი კავშირი, არამედ ურთიერთკავშირი.

რადგან ყოველი მოქმედების რეზულტატი არის საშუალება ან პირობა სხვა მოქმედებისათვის, ამიტომ ისინი წარმოადგენენ აუცილებელ ელემენტებს სისტემისთვის. ამ მოქმედებებიდან ნებისმიერი მათგანის გარეშე მიზანშეწონილი მოღვაწეობა, როგორც საბოლოო მიზანზე ორიენტირებული სისტემა, კარგავს მთლიანობას, აღარ არის ოპტიმალური. თუ რაიმე მოქმედების რეზულტატი ვერ გახდა სხვა მოქმედებისათვის საშუალება ან პირობა, მაშინ ასეთი რეზულტატი უსარგებლოა, ხოლო უსარგებლო რეზულტატისათვის მსხვერპლად გაღებული საშუალებები – დაკარგულია.

მეტიც, დაკარგულია აგრეთვე ის საშუალებები, რომლითაც იქნა მიღებული საშუალებები ამ უსარგებლო რეზულტატისათვის და ა.შ.. დანაკარგების ეს ჯაჭვი ვრცელდება უსაზღვროდ შორს წინა მოქმედებებში. მაგრამ თუ ყველა მოქმედებამ შეასრულა თავისი ფუნქცია, თუ ყოველი მოქმედების რეზულტატი გახდა საშუალება სხვა მოქმედებისათვის, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ადგილი არა აქვს საშუალებების დანაკარგებს და უსარგებლო რეზულტატებს. ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილი მოღვაწეობა, როგორც სისტემა, წარმოადგენს მთლიანობას. ამასთან, ცხადია, რომ ცალკეული მოქმედებები, რომლებიც ორგანიზებულნი არიან ერთიანი სისტემის ფარგლებში და მასში ასრულებენ მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციებს, უნდა ემორჩილებოდნენ რაღაც ერთ

უზენაეს მიზანს, რომლის მეშვეობითაც ეს მოღვაწეობა იძენს საზრისს. ყოველი მიზნის რეალიზება გადაიქცევა საშუალებად უფრო მაღალი მიზნის მიღწევისათვის და ასე შემდეგ, სანამ არ იქნება მიღწეული უზენაესი მიზანი – ბედნიერება, რომელიც ადამიანისათვის წარმოადგენს თვითმიზანს და რომელიც როგორც კანონი განსაზღვრავს ყველა დანარჩენ მიზნებს, როგორც მასთან მიმავალ აუცილებელ საფეხურებს;[30]

4. ოპტიმალური ეკონომიკური მოღვაწეობა შეიცავს ყველა იმ, და მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომელნიც არის აუცილებელი, და ამით ამომწურავად განსაზღვრავს თავის თავს. არსებითად მთლიანობა გულისხმობს მხოლოდ აუცილებელ შემადგენელ ნაწილებს და არ გულისხმობს შემთხვევით ნაწილებს. შესაბამისად, ეკონომიკური მოღვაწეობის მთლიანობა გულისხმობს, რომ ყოველი მისი მოქმედება, რომლისგანაც იგი შედგება, არის აუცილებელი, რომ მასში ადგილი არა აქვს შემთხვევით მოქმედებებს. მოქმედებებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთთანხმობა და ჰარმონია. ასეთ შემთხვევაში მოღვაწეობა მთლიანობაში ღებულობს დასრულებული და ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემის ხასიათს. მაგრამ შემთხვევითი, ანუ არააუცილებელი მოთხოვნილებები, მიზნები და რეზულტატები, იბადებიან გარემოებათა შემთხვევითი შეჯახებიდან და ამიტომ აქვთ კანონზომიერებას მოკლებული, შემთხვევითი, ცალკეული ფაქტების ხასიათი.

---

[30] „ადამიანის ცხოვრება არის ცალკეული მოქმედებების უწყვეტი თანმიმდევრობა. მაგრამ ცალკეული მოქმედება არასოდეს არის იზოლირებული. მოქმედებათა ჯაჭვში არსებობენ კავშირები, რომლებიც მისგან აფორმირებენ უფრო მაღალი დონის მოქმედებას, გამიზნულს უფრო შორეულ რეზულტატებზე. ყოველ მოქმედებას აქვს ორი ასპექტი. ერთი მხრივ, ეს არის ნაწილობრივი მოქმედება უფრო გაწელილი მოქმედების სტრუქტურაში, მიზანთა ნაწილის მიღწევა, რომლებიც განსაზღვრულნი არიან უფრო შორს მიმავალი მოქმედებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის მთლიანობა იმ მოქმედებებთან მიმართებაში, რომელნიც სრულდებიან როგორც მისი საკუთარი შემადგენელი ნაწილები.“ (Мизес, 2005, 37).

2.1.2. მიზანშეწონილი მოღვაწეობის უზენაესი მიზანი

1. სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებით ადამიანმა იცის თავისი არსებობის ფინალობის შესახებ. ამიტომ იგი თავის ცხოვრებას აღიქვავს როგორც ერთ მთლიანობას, ხოლო თავის სასიცოცხლო დროის მონაკვეთს, როგორც შეზღუდულ რესურსს, რომელიც საჭიროებს ოპტიმალურ განაწილებას, რათა შესაძლებელი გახდეს სიცოცხლის უზენაესი მიზნის, ბედნიერების რეალიზება, ბედნიერების, როგორც თვითმიზნის და ადამიანის შინაგანი, ფუნდამენტური მისწრაფების რეალიზება. ბედნიერება არის ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტური კატეგორია და ყველა მისი ემპირიული მიზნების ფოკუსი, როგორც მისი შესაძლებლობების სრული რეალიზება, რომლებიც მოიცავენ მის სიცოცხლეს მისი წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობაში. ბედნიერება მოიცავს თავის თავში აგრეთვე თვით ამ უზენაესი მიზნის რეალიზების პროცესს, ანუ ადამიანის შინაგანი პოტენციის თვითრეალიზებას. მაგარამ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების ბირთვის რეალიზებისათვის აუცილებელია მრავალი სხვა მიზნის რეალიზება, რომელთაგანიც ყოველი აღიქმება როგორც აუცილებელი რგოლი, როგორც საბოლოო მიზნისაკენ მიმავალი ნაბიჯი. ამრიგად, ბედნიერება, როგორც ადამიანის მოღვაწეობის უზენაესი მიზანი, გარემოცულია მრავალი სხვა ქვემდებარე მიზნებით, რომლებიც ასრულებენ პირობების და საშუალებების როლს მისი მიღწევის პროცესში, ურთიერთშეკავშირებულნი არიან ერთიან სისტემაში და ქმნიან პიროვნების ცხოვრებისეულ განწყობებს და ორიენტირებს.

ყოველ მოცემულ მომენტში ადამიანს გააჩნია მრავალი მოთხოვნილება, რომელთაგან ზოგი წარმოადგენს არსებით მოთხოვნილებას, ზოგიც - არაარსებითს. არსებითია ის

მოთხოვნილებები, რორმელთა დაკმაყოფილებასაც შეაქვს თავისი წვლილი უზენაესი მიზნის რეალიზებაში, როგორც მათემატიკოსები ამბობენ - „შეაქვთ წვლილი მიზნობრივი ფუნქციის ზრდაში“. ყოველი არსებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს საშუალებას ან პირობას სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე. ისინი იძენენ საზრისს და ადგილს მოთხოვნილებათა იერარქიაში მხოლოდ თავისი მიმართების წყალობით სუბუექტის წარმოდგენებთან ბედნიერების შესახებ. და რადგან ეს ასეა, ამიტომ ყველა ამ მოთხოვნილებაში „მოჩანს“ ბედნიერება. ისინი წარმოადგენენ *აუცილებელი* მოთხოვნილებების ერთიან სისტემას, ასახავენ „Ego“-ს საერთო ინტერესებს. ხოლო თუ ესა თუ ის მოთხოვნილება არ წარმოედგენს აუცილებელ პირობას ან საშუალებას ბედნიერების მისაღწევად, თუ მისი დაკმაყოფილების შედეგად იგი უკვალოდ გაქრება, მაშინ ასეთი მითხოვნილება არ არის აუცილებელი მოთხოვნილება. მაშინ ეს არის შემთხვევითი მოთხოვნილება, რომელსაც აქვს წარმავალი ხასიათი და არ შეესაბამება „Ego“-ს ფუნდამენტურ, სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო ინტერესებს.[31] შემთხვევით მოთხოვნილებებს შორის არ არსებობს რაიმე კანონზომიერებას დაქვემდებარებული კავშირები;

2. ყოველდღიურ ცხოვრებაში „Ego“-ს საერთო ინტერესების თაობაზე წარმოდგენები პროეცირდება რეალურ გარემოებებზე და პირობებზე, რომელშიც სუბიექტს უხდება კონკრეტული

---

[31] „როგორც ითქვა, ადამიანი განსხვავებული ინტერესების ერთობლიობაა. ამ ინტერესთაგან ზოგი ფუნდამენტურია, ობიექტური მნიშვნელობის მქონეა და მათი რეალიზაცია ბედნიერების საწინდარია. ზოგო კი ნაკლებ ფუნდამენტურია, ნაწარმოებია, ზედაპირულია. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ გადამეტებული დამოუკიდებელი ძალა შეიძინონ და ხელი შეუშალონ ძირითადი ინტერესების რეალიზაციას (ფუნდამენტურია, მაგალითად, ობიექტურ ღირებულებათა შექმნის ინტერესი, ზედაპირული ინტერესი კი შეიძლება ვუწოდოთ, მაგალითად, მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვას). ... ფუნდამენტური ინტერესების განხორციელებას ჭეშმარიტი ბედნიერება მოაქვს, ... “ (კაკაბაძე, 1987, 14).

გადაწყვეტილებების მიღება უახლოესი, საშუალოვადიანი თუ შორეული მომავლის თაობაზე. საქმე იმაშია, რომ წარმოდგენები ბედნიერების შესახებ ატარებენ აბსტრაქტულ ხასიათს, გულისხმობენ დროში გაურკვეველ მომავალს და ეფუძნებიან მისი რეალიზაციის აბსტრაქტულ, ფორმალურ შესაძლებლობებს. მაგრამ ყოველ მოცემული დროის მონაკვეთში ადამიანი უპირისპირდება კონკრეტულ რეალურ პირობებს, რომელშიც მას უხდება მოღვაწეობა. ამიტომ იგი იძულებულია გაითვალისწინოს რესურსების და შესაძლებლობების შეზღუდულობა და გააკეთოს არჩევანი ალტერნატიულ მიზნებსა და მოთხოვნილებებს შორის. არსებული რესურსებით ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. ამიტომ არჩევანის გაკეთებისას „Ego"-ს საერთო ინტერესები უპირისპირდება მის შემთხვევით ინტერესებს. საჭიროა არჩევანის გაკეთება, არჩევანის გასაკეთებლად კი საჭოროა კრიტერიუმი. სწორედ ამ კრიტერიუმების ფორმირება ხდება ბედნიერების შესახებ პიროვნების წარმოდგენების მეშვეობით.

წარმოდგენები ბედნიერების შესახებ სუბიექტურია, განსხვავებულია სხვადასხვა ადამიანში და განიცდის კორექტირებას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ მიზანშეწონილი მოღვაწეობის არსის გასაგებად ბედნიერების შესახებ წარმოდგენების კონკრეტულ შინაარსს არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია მხოლოდ ის, რომ ბედნიერება არის უმაღლესი ინსტანცია მოთხოვნილებათა იერარქიაში, რომელიც ანიჭებს საზრისს ყველა დანარჩენ მოთხოვნილებას, ყოველ მის მოქმედებას და ახდენს მათ რანჟირებას მათი მნიშვნელობების მიხედვით. იგი აძლევს ადამიანს მიმდინარე მიზნების შერჩევის გონივრულ კრიტერიუმებს და დიფერენცირების საშუალებას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, აუცილებელ და, მეორე მხრივ, შემთხვევით და არაარსებით ინტერესებს შორის. ადამიანის მიერ ბედნიერების გაგება ერთგვარად არის იმ შინაგანი აუცილებლობის, ანუ იმ აბსოლუტის სუბიექტური გაგება, რომელთან მიახლოვებასაც

ადამიანი ილტვის და ცდილობს დაუქვემდებაროს თავისი მოქმედებები. მაგრამ მხოლოდ გონიერება არ არის საკმარისი გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. საჭიროა კიდევ ნებისყოფა, რათა ადამიანმა შეძლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გააკეთოს არჩევანი გონივრული, აუცილებელი, და არა შემთხვევითი, წუთიერი მიზნების სასარგებლოდ; გონების სასარგებლოდ, რომელიც ხელმძღვანელობს „Ego“-ს საერთო ინტერესებით, და არა წარმავალი სურვილებით, ეფემერული სიამოვნებისადმი მისწრაფებებით ან ქვენა გრძნობებით;

3. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მიზანშეწონილი მოღვაწეობა არის არა მხოლოდ ადიმიანის გარე სამყაროსთან ურთიერთობების რეგულირება, არამედ აგრეთვე თვითრეგულირებაც, ანუ სუბიექტის საკუთარ თავთან დამოკიდებულება, რადგან მისი გონება და ნება არის ის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც საშუალებას აძლევს სუბიექტს აკონტროლოს თავისი მოქმედებები და თავის სწრაფვაში უზენაესი მიზნისაკენ მოახდინოს თავისი მოქმედებების ორგანიზება, შეზღუდოს გარკვეული მოთხოვნილებები სხვა მოთხოვნილებების სასარგებლოდ, აიძულოს საკუთარი თავი გაიღოს ძალისხმევა, იტვირთოს რისკი, გაუძლოს დისკომფორტს და ა.შ.[32]

ეკონომიკური მოღვაწეობა არის ზოგადად მიზანშეწონილი მოღვაწეობის ნაირსახეობა. ამიტომ იმის ნათლად გაცნობიერება, რომ ადამიანის გონებით და ნებით რეგულირებადი მიზანშეწონილი მოღვაწეობა არის გარემოებისაგან დამოუკიდებლობის მიღწევის საშუალება და თავისუფლების მოპოვების, როგორც ადამიანის არსის თვითრეალიზების საშუალება, როგორც მისი ბედნიერებისადმი სწრაფვის გამოვლენა, ყოველივე ამას აქვს

[32] „თუ მე ვარ თვითცნობიერება, ეს ნიშნავს, რომ მე ვარ გაორებული, მე ვარ დაცილებული ჩემი თავისაგან და მისგან დამოუკიდებელი; ამ გაორებაში, საკუთარი თავისგან დაშორებაში და მისგან დამოუკიდებლობაში მოცემულია მთელი თავისუფლება“ (კაკაბაძე, 1987, 91).

გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკური მოღვაწეობის არსის გასაგებად, ანუ ეკონომიკური მოღვაწეობის სიღრმისეული ანალიზი შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ ადამიანის და მისი მოღვაწეობის სპეციფიკას, იმას, თუ რით განსხვავდება ადამიანი დანარჩენი ბუნებისაგან, ხოლო მისი მოღვაწეობა - ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრიობისაგან.

მაინც რაში მდგომარეობს ადამიანის პრინციპული განსხვავება დანაჩენი სამყაროსაგან? პრინციპული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანს გააჩნია თავისუფლება. „ადამიანის თავისუფალი აქტივობა იმას ნიშნავს, რომ ის გარკვეული აზრით შემძლეა და ვალდებულია არ დაემორჩილოს გარეგან ფაქტორებს. მაგრამ რას ნიშნავს ეს „არ დაემორჩილოს გარეგან ფაქტორებს“? განა ადამიანს შეუძლია დაარღვიოს საგანთა მიზეზობრივი კავშირები, კანონები? განა ძალუძს ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომ, ვთქვათ, საგნებმა აღარ მიიზიდონ ერთმანეთი და, მაშასადამე, ასროლილი ქვა აღარ ვარდებოდეს? დიახ, ადამიანს, რა თქმა უნდა, არ ძალუძს უბრალოდ გააუქმოს ბუნების მიზეზობრივი კავშირები, მას ცხადია, არ შეუძლია ისეთი რამ გააკეთოს, რომ აგდებული ქვა აღარ ვარდებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ მას შეუძლია საკუთარი ინიციატივა გამოიჩინოს, თავად აისროლოს ქვა, მაშინ როდესაც ასეთი რამ სულაც არ შედის მისგან დამოუკიდებლად მოქმედი მიზეზების „პროგრამაში“, მას შეუძლია ჩაერიოს მოვლენათა მსვლელობაში. და რაც მთავარია, მიზეზ-შედეგობრივ მოვლენათა მსვლელობაში ჩარევისას ის მოქმედებს არა როგორც ჩვეულებრივი „მიზეზი“, არა როგორც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის რიგითი რგოლი, არამედ როგორც სავსებით განსაკუთრებული ძალა, სახელდობრ, როგორც თავისუფალი ნება. რიგითი მიზეზი თავადაა განპირობებული სხვა მიზეზებით, რომლებიც მის „ზურგს უკან“ დგანან. ამიტომ მისი მოქმედება სხვა მიზეზებითაა წინასწარ განსაზღვრული. ამ აზრით მისი მოქმედება არ არის მასზე დამოკიდებული, მას არ შეუძლია

არ იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს, მას არ შეუძლია სხვაგვარად იმოქმედოს. თავისუფალი ნების მოქმედება ყოველთვის იშლება „სხვაგვარად მოქმედების“ შესაძლებლობის ფონზე და, მაშასადამე, არ არის ყოველმხრივ წინასწარ განსაზღვრული და გაპირობებული ისეთი რაიმეთი, რაც ნების აქტის მიღმა და ამ აქტისაგან დამოუკიდებლად არსებობს.“ (კაკაბაძე, 1985, 40-41).

სწრაფვა სულ უფრო მეტი თავისუფლებისაკენ არის ადამიანის სპეციფიკური სიღრმისეული არსი. და თვით ეს სწრაფვაც შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ, მეტად თუ ნაკლებად, ადამიანი ყოველთვის არის თავისუფალი. მეტიც, რომც მოინდომოს, ადამიანი თავს ვერ დააღწევს თავისუფლებას. „...უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანებს არასოდეს არ ძალუძთ სავსებით გაექცნენ და მოშორდნენ საკუთარ თავისუფლებას -- ისინი თვითონვე თავისუფლად იღებენ გადაწყვეტილებას უარი თქვან თავისუფლებაზე და მუდამ შეუძლიათ უარი თქვან ამ უარის თქმაზე. ისინი მხოლოდ საკუთარი თავისუფლების პარალიზებას ახდენენ, მინიმუმამდე დაჰყავთ ის, თავისუფლებისაგან სრული განთავისუფლება კი მათ არ ძალუძთ, სანამ ცოცხლები რჩებიან.“ (კაკაბაძე, 1987, 26);

4. ეკონომიკურ მოღვაწეობას ეწევა ადამიანი, მაგრამ ეკონომიკური მეინსტრიმი ადამიანში ვერ ხედავს რეალურ ადამიანს, რომელსაც გააჩნია გონება და ნება, ისწრაფვის ბედნიერებისკენ და თავისუფლებისკენ, ისახავს და ახორციელებს მიზნებს მათ მისაღწევად, გარე სამყაროს და საკუთარ თავსაც ეპყრობა როგორც პირობებს და საშუალებებს თავისი მიზნებისათვის. მისთვის ადამიანი არის “Homo economicus”-ი, ანუ არარეალური, გამოგონილი კონსტრუქტი, რომელიც ადვილად ეწერება ნეოკლასიკური თეორიის აბსტრაქტულ მსჯელობებში, აძლევს მას საშუალებას შეუზღუდავად გამოიყენოს მათემატიკური აპარატი „მრავალსართულიანი“ მოდელების ასაგებად და მეცნიერული დასაბუთების ილუზიის შესაქმნელად. მაგრამ სწორედ ამიტომ ეს თეორია

მოწყვეტილია რეალობას. და, საბოლოო ანგარიშით, იგი დაემსგავსა „ .... იმას, რასაც რონალდ კოუზმა უწოდა „სასკოლო დაფის ეკონომიკსი“, მოდელს, რომელიც შეიძლება იყოს დაწერილი დაფაზე, ისეთი ეკონომიკური ტერმინების გამოყენებით, როგორიც არის ‘ფასები’, ‘რაოდენობა’, ‘წარმოების ფაქტორები’ და სხვ., მაგრამ, რომელიც, მიუხედავად ამისა, აშკარად არ წარმოადგენს რომელიმე ჩვენთვის ნაცნობ ეკონომიკურ სისტემას“ (Blaug, 1997, 3).

2.1.3. სარგებლიანობა და ხარჯი

1. ანალიზის ამ ეტაპზე, ეკონომიკური მოღვაწეობის არსის შესწავლის მიზნით, საჭიროა მოვახდინოთ გარე კავშირებისაგან აბსტრაგირება და თვით ეკონომიკური მოღვაწეობა განვიხილოდ როგორც მთლიანობა, ერთიანი სისტემა, რომელიც საკუთარ თავში ატარებს თავისი აქტივობის წყაროს. საერთოდ, მთლიანობა არის აუცილებელი ნაწილების ერთობლიობა, რომელიც ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს ამ მთლიანობის შემადგენლობაში. იმ ფუნქციების წყალობით, რომელთაგან თითოეულს ასრულებენ სხვადასხვა ელემენტები (ამ შემთხვევაში, მოქმედებები), იბადება მათი ურთიერთდამოკიდებულება, მათი ერთმანეთთან კავშირი. ეს კავშირები წარმოადგენენ იმ *არსებითი კავშირების* გამოვლენას, რომელებიც აფორმირებენ თვით სისტემასაც, როგორც მთლიანობას, და ცალკეულ მოქმედებებსაც გადააქცევენ ამ მთლიანობის ნაწილებად, ამასთან, უზრუნველყოფენ ამ მთლიანობის მდგრადობას. არსებითი კავშირები მთლიანსა და ნაწილებს შორის წარმოადგენენ სისტემის მაკონსტიტუირებელ კავშირებს.[33]

---

[33] „აშკარაა, რომ მთლიანის არსებითი კავშირები სისტემის შემქმნელი (системообразующие) კავშირებია. საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ყველა სისტემა

ეკონომიკური მოღვაწეობის ადეკვატური კონცეფციის შესა-მუშავებლად აუცილებელია ეკონომიკური მოღვაწეობის, როგორც ერთიანი სისტემის, როგორც თვითკმარი, მდგრადი მთლიანობის გაგება, და შესაბამისად, იმ ფუნქციების გაგება, რომელთა მეშვეობითაც სუბიექტის ცალკეული მოქმედებები აფორმირებენ ეკონომიკურ სისტემას როგორც მთლიანობას, ისევე როგორც იმ დიალექტიკური წინააღმდეგობის გაგება, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მოღვაწეობას;

2. ეკონომიკური მოღვაწეობა, ისევე როგორც საერთოდ მიზან-შეწონილი მოღვაწეობა, არის სუბიექტის ობიექტებთან ურთიერთ-ქმედების ფორმა. ამ ურთიერთქმედების პროცესში იცვლება სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტებთან. ამ ურთიერთობებს ასახავენ კატეგორიები – მოთხოვნილება, სარგებლიანობა, ხარჯები და დანაკარგები.

ზოგადად *მოთხოვნილება* არის სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული წინააღმდეგობა.[34] ეს არის სუბიექტის უკმაყოფილება არსებული რეალობით, რომელიც უბიძგებს მას შეცვალოს იგი ჯერარსის შესახებ თავისი წარმოდგენების მიხედვით. ზოგადად სარგებლიანობა არის სუბიექტის დამოკიდებულება იმ ობიექტთან, რომელიც იძლევა მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს და რომელიც ამ დაკმაყოფილების პროცესში

არ წარმოადგენს მთლიანობას, რადგან მისი ელემენტები, ნაწილები, ყოველთვის არ არიან აუცილებელი, ანუ ყოველთვის არ არიან ოპტიმალური. ზოგი მათგანის მოშორებამ შესაძლოა არაფერი დაარღვიოს. ... მთლიანს გააჩნია აბსოლუტის ყველა მახასიათებელი - იგი აბსოლუტურად მთლიანია, ვინაიდან შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია, და ამით სრულიად ამომწურავად განსაზღვრავს საკუთარ თავს.“ (Яцкевич, 1990, 67).

[34] „მიზნის უახლოესი მაგალითია მოთხოვნილება, სწრაფვა. იგი არის *გრძნობადი* წინააღმდეგობა, რომელსაც ადგილი აქვს ცოცხალ სუბიექტში ... . დაკმაყოფილება აღადგენს მშვიდობას სუბიექტსა და ობიექტს შორის, რადგან ობიექტური, რომელიც მანამდე არის *მეორე მხარეს*, სანამ არსებობს წინააღმდეგობა (მოთხოვნილება), იხსნება მის ამ ცალმხრიობაში სუბიექტურთან გაერთიანების მეშვეობით“ (Гегель, 1974, 393).

განწირულია განადგურებისთვის. მაგრამ თუ რაიმე დოვლათის რაოდენობა შეზღულულია მოთხოვნილებასთან შედარებით, მაშინ საჭირო ხდება არჩევანის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რომელი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს და რომელი – არა. შეზღუდული დოვლათის სარგებლიანობა არის *ეკონომიკური სარგებლიანობა,* რომელიც იძლევა ალტერნატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[35] ხოლო დაკმაყოფილების შემდეგ, რომლის შედეგადაც შეზღუდული დოვლათი ნადგურდება, მისი სარგებლიანობა აღიქმება როგორც ხარჯი. *ეკონომიკური ხარჯი* არის იმ შეზღუდული დავლათის სარგებლიანობა, რომელიც შეეწირა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ანუ არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების "საფასური". საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ხარჯი არის არა თვით დოვლათი, რომელიც განადგურდა მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, არამედ მისი სარგებლიანობა. ამიტომ ეკონომიკური ხარჯი, ისევე როგორც ეკონომიკური სარგებლიანობა, არის სუბიექტის დოვლათთან დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა. ხარჯი საჭიროა გაგებული იქნას როგორც ალტერნატიული მოთხოვნილრბების დაკმაყოფილების მსხვერპლად გაღებული შესაძლებლობები.[36] რადგან თვით სარგებლიანობა არის გაგებული როგორც

---

[35] მათ შორის არამატერიალური (სოციალური, სულიერი) დოვლათი, თუ იგი შეზღუდულია, იძენს ეკონომიკურ სარგებლიანობას.

[36] სწორედ ასეა გაგებული ეკონომიკური ხარჯები „ალტერნატიული ხარჯების“ თეორიის თანახმად. ფ. ვიზერი მიუთითებდა ურთიერთკავშირზე სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის: „ ... თეორეტიკოსი უნდა ხედავდეს ეკონომიკურ მოვლენებს მათ ურთიერთკავშირში, რომელიც განპირობებულია ეკონომიკის ერთიანობით. სარგებლიანობის და ხარჯის ცნებები, საბოლოო ანგარიშით, აგრეთვე ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, და მათ სიღრმისეულ საზრისს შეიძლება ჩავწვდეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გავიგებთ მათ შინაგან ურთიერთკავშირს“ (Визер, http://libertarium.ru/lib_mbv_v_18). კ. დიტცელი წერდა: „თავისი მნიშვნელობით ხარჯი უდრის სარგებლიანობის დაკარგვას; მხოლოდ ის ღირს ხარჯებად, რის არსებობაზეც დამოკიდებულია სარგებლიანობა და რის დაკარგვასთანაც დაკავშირებულია სარგებლიანობის დაკარგვა“ (ციტ. წიგნიდან: Блюмин, 1962, 140).

ალტერნატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი. მრავალი შესაძლებლობიდან რეალიზებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, რადგან ამ შესაძლებლობის რეალიზაციის პროცესში რესურსები ნადგურდება. და მართალია ამ შესაძლებლობას შეგნებულად ირჩევს თვითონ ადამიანი, მაგრამ არჩევანის არსი სწორედ იმაშია, რომ იგი იძულებულია უარი თქვას ყველა დანარჩენ შესაძლებლობებზე. სწორედ ეს უარყოფილი შესაძლებლობები აღიქმება როგორც ხარჯი. ამიტომ პროდუქტი, ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ისევე წარმოუდგენელია ხარჯის გარეშე, როგორც ერთი შესაძლებლობის არჩევა სხვა შესაძლებლობებზე უარის თქმის გარეშე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯი ყოველთვის არის სასარგებლო ხარჯი, რადგან მისი მეშვეობით ერთ-ერთი ალტერნატიული მოთხოვნილება იქნა დაკმაყოფილებული და, ესე იგი, მიღებული იქნა სასარგებლო რეზულტატი.

ეკონომიკური დანაკარგი არის სუბიექტის დამოკიდებულება უშედეგოდ მოხმარებულ შეზღუდულ დოვლათთან, ანუ არის დამოკიდებულება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დაკარგულ შესაძლებლობებთან. ეს არის უშედეგო ეკონომიკური ხარჯები. თუ მათი გამოყენების შემდეგ ეკონომიკური სარგებლიანობა არ გადაიქცა ხარჯად, მაშასადამე, იგი გადაიქცა დანაკარგად. დანაკარგები, ისევე როგორც ხარჯები, არის განადგურებული სარგებლიანობები. მაგრამ ხარჯებს შეესაბამება დაკმაყოფილებული მოთხოვნილებები, ხოლო დანაკარგებს – დაუკმაყოფილებელი. ამიტომ არაეფექტიანი ხარჯები ყოველთვის შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ეფექტიანი ხარჯებისა და დანაკარგების ჯამი, რომელშიც ტრანსფორმირებული იქნა მოხმარებული დოვლათის სარგებლიანობა.

რადგან სუბიქტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობები განპირობებულია მის საკუთრებაში არსებული შეზღუდული დოვლათით, შესაბამისად, ეკონომიკური სარგებ-

ლიანობებით, ამიტომ მას უჩნდება საკუთრების ზრდის მოთხოვ-ნილება. *ეკონომიკური მოთხოვნილება* არის ეკონომიკური სარგებ-ლიანობის მქონე დოვლათის ფლობის მოთხოვნილება, ანუ, საკუთრების ზრდის მოთხოვნილება.

იმისათვის, რომ ადამიანმა დაიკმაყოფილოს სხვადასხვა *კონკრეტული* მოთხოვნილებები, სუბიექტმა უნდა *მოიხმაროს* სხვადასხვა კონკრეტული დოვლათი (როგორც შეზღუდული, ისე შეუზღუდავი) და ამასობაში გაანადგუროს კონკრეტული სარგებ-ლიანობები და განახორციელოს ხარჯები. მაგრამ იმისათვის რომ დაიკმაყოფილოს *ეკონომიკური* მოთხოვნილებები, ადამიანმა უნდა *აწარმოოს* და *დააგროვოს* სხვადასხვა შეზღუდული დოვლა-თის მარაგი და ამით გაზარდოს მის საკუთრებაში არსებული ეკონომიკური სარგებლიანობა;

3. მოთხოვნილება, სარგებლიანობა, ხარჯი და დანაკარგი არიან რეფლექსიურ ურთიერთდამოკიდებულებაში. ისინი გულისხმობენ ერთმანეთს და ერთმანეთის გარეშე არ გააჩნიათ საზრისი. ასე მაგალითად, სარგებლიანობა ასახავს მოთხოვნილე-ბას და განპირობებულია მისით. მოთხოვნილება არ არის აქტუალური მოთხოვნილება, თუ არ არსებობს მისი დაკმაყოფი-ლების რეალური შესაძლებლობები, ანუ, თუ არ არსებობს სარგებლიანობა. ხოლო სარგებლიანობა არის მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და, ესე იგი, წარმოუდგენელია მოთხოვნილების გარეშე. სარგებლიანობა განწირულია იმისთვის, რომ გარდაიქმნას ხარჯად ან დანაკარგად, რადგან მისი დანიშ-ნულებაა - იქნეს მოხმარებული და მსხვერპლად გაღებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ გარდაიქმნება იგი ხარჯად, თუ დანაკარგად, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება სარგებლიანობის მოხმარების რეზულტატები. ამიტომ, ვერც ხარჯი, და ვერც დანაკარგი ვერ იარსებებს სარგებლიანობის გარეშე, რადგან ისინი ორივე წარმოადგენენ „ყოფილ სარგებლია-ნობას“. გარდა ამისა, თვით ხარჯიც და დანაკარგიც, როგორც

„ყოფილი სარგებლიანობები“ წარმოადგენენ ერთსა და იგივეს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში მათ დააკმაყოფილეს მოთხოვნილება, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა. ესე იგი, მოთხოვნილება გულისხმობს არა მარტო სარგებლიანობის არსებობას, არამედ აგრეთვე, ან ხარჯის, ან დანაკარგის არსებობას, იმისდა მიხედვით დაკმაყოფილებული იქნა იგი, თუ არა, სარგებლიანობის მოხმარების შედეგად.

როგორც ვხედავთ, მოთხოვნილება, სარგებლიანობა და ხარჯი (დანაკარი) ქმნიან რეფლექსიური კატეგორიების ერთიან სისტემას, და შეესაბამებიან მიზნებს, საშუალებებსა და რეზულტატებს. ამ სუბიექტ–ობიექტური მიმართებების ასეთი მჭიდრო ნათესაური კავშირი, ის, რომ ყველა ისინი წარმოადგენენ ერთი და იგივე სუბიექტის ტელეოლოგიურ მიმართებას სხვადასხვა ობიქტებთან (რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის სხვადასხვა სტადიაზე), ბადებს მათი რაოდენობრივი შეთანაზომების შესაძლებლობას და აუცილებლობას. სწორედ მისი წყალობით, მიზანშეწონილ მოღვაწეობაში ჩათრეულ ობიექტებთან სუბიექტის სპეციფიკური, ტელეოლოგიური მიმართებები ასრულებენ იმ უხილავი ძაფების როლს, რომელთა მეშვეობითაც ხდება შესაძლებელი მოღვაწეობის რეგულირება და ოპტიმიზაცია;

4. აშკარაა, რომ სხვადასხვა დოვლათის სარგებლიანობის და ხარჯების სიდიდეები დამოკიდებულნი არიან ამ დოვლათზე მოთხოვნილებების სიდიდეზე. მაგრამ რა განაპირობებს თვით ამ მოთხოვნილებების სიდიდეს? მოთხოვნილებები, და შესაბამისად, დოვლათის სარგებლიანობები, რანჟირებულია მათი უნარის მიხედვით შეიტანონ წვლილი ბედნიერების რეალიზებაში. თუ იცვლება სუბიექტის წარმოდგენები ბედნიერების შესახებ, მაშიმ, ცხადია, შეიცვლება აგრეთვე მისი პრიორიტეტები. იმის გამოვლენა, თუ რომელი მოთხოვნილებები უფრო მეტად შეესაბამება სუბიექტის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების ერთობლიობას და მის წარმოდგენებს ბედნიერების შესახებ, და რომელი

მათგანი წარმოშობილია შემთხვევითი გარემოებებით - არის წმინდა მენტალური პროცესი და ვერანაირად ვერ იქნება დაყვანილი სასიამოვნო, თუ უსიამოვნო გრძნობების კალკულაციაზე.[37] შესაბამისად, დოვლათის სარგებლიანობის რანჟირება ხდება მათი უნარის მიხედვით დააკმაყოფილონ ბედნიერების მისაღწევად აუცილებელი მოთხოვნილებები, და არა მათი სიამოვნების მინიჭების უნარის მიხედვით. ანუ, მოთხოვნილებების, სარგებლიანობის, ხარჯების რანჟირება არის ინტელექტუალური პროცესი, რომელიც დაფუძნებულია იმაზე, თუ როგორ ესმის სუბიექტს თავისი არსებითი ინტერესები, როგორ აქვს წარმოედგენილი თავისი ბედნიერება.

ამასთან, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ პრიორიტეტებზე, რანჟირებაზე, და არა ზუსტ გაზომვაზე. შესაბამისად ამა თუ იმ მოთხოვნილების რაოდენობრივი განსაზღვრულობა ვლინდება მხოლოდ სხვა მოთხოვნილებებთან ფარდობაში (იგივე ეხება სარგებლიანობებს, ხარჯებს, ფასეულობებს). ხოლო ამ შეფარდებების გარეშე, თუ განვიხილავთ სხვა მოთხოვნილებებისგან იზოლირებულად, მისი სიდიდე, ანუ მისი რაოდენობრივი განსაზღვრულობა, ვერ გამოვლინდება. ასევე უაზრობაა ლაპარაკი ყველა მოთხოვნილების სიდიდეების საერთო ჯამზე, როგორც კონკრეტულ სიდიდეზე. რადგან, ვაჯამებთ რა ყველა სიდიდეს, ამით ჩვენ ვახდენთ აბსტრაჰირებას სწორედ მათი ერთმანეთთან თანაფარდობებისაგან და განვიხილავთ მათ როგორც ერთ უწყვეტ სიდიდეს. ამ შემთხვევაში, ყველა მოთხოვნილების ერთობლიობა წარმოგვიდგება როგორც „მე“-ს შინაგანი სუბიექტური სამყაროს უსასრულობა.

---

[37] ამ გრძნობების კალკულაცია შესაძლოა იყოს ერთ-ერთი ფაქტორი სხვა მრავალ ფაქტორებს შორის, რომელიც გაითვალისწინება გონების მიერ მოთხოვნილებათა პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში, მაგრამ არა ერთადერთი, და არა მთავარი.

2.1.4. ეკონომიკური მოღვაწეობა

1. იმის გათვალისწინება, რომ ეკონომიკური მოღვაწეობა არის მიზანშეწონილი მოღვაწეობა, საშუალებას იძლევა რამდენადნე განსხვავებულად იქნეს ინტერპრეტირებული ურთიერთკავშირები მთელ რიგ ფუნდამენტურ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის. რადგან ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იღებს დასახული მიზნების რეალიზების ფორმას, ამიტომ, მათი დაკმაყოფილების საფასური უნდა იქნეს „გადახდილი“, „ანაზღაურებული“ საშუალებებით, რადგან საშუალებები „მსხვერპლად ეწირებიან“ თავიანთ მიზნებს. ეკონომიკური მოთხოვნილება გულისხმობს ანაზღაურებას, გადახდას, მაშასადამე, იგი არის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. თუ ეკონომიკური მოთხოვნილება არ არის გადახდისუნარიანი, არ არის უზრუნველყოფილი რესურსებით, მაშინ იგი ვერ ქმნის აქტივობის რეალურ სტიმულებს, არის არა რეალური, არამედ მხოლოდ პოტენციური მოთხოვნილება, რომელიც გარდაიქმნება რეალურ მოთხოვნილებად მაშინ, როდესაც გაჩნდება რესურსები. ეკონომიკურ მოღვაწეობაში მიზნებს საფუძვლად უდევს მხოლოდ გადახდისუნარიანი მოთხოვნილებები. ამის შედეგია, რომ რესურსები და მოთხოვნილებები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს. რესურსები ბადებენ მოთხოვნილებებს იმ გაგებით, რომ ისინი გარდაქმნიან პოტენციურ მოთხოვნილებებს რეალურ მოთხოვნილებად; ხოლო მოთხოვნილება ბადებს რესურსებს, რადგან ესა თუ ის ობიექტი აღიქმება რესურსად მხოლოდ მასთან მიმართებაში. რადგან თავისთავად ობიექტი არ არის რესურსი. როგორც მიზნის გარეშე არ არსებობს საშუალება, ხოლო საშუალების გარეშე – მიზანი, ასევე მოთხოვნილებების გარეშე არ არსებობს რესურსები, ხოლო რესურსების გარეშე – მოთხოვნილებები. პოტენციური მოთხოვნილებები და პოტენციერი რესურსები მხოლოდ მაშინ გახდებიან რეალური, როდესაც "იპოვნიან“ ერთმანეთს.

მიზანშეწონილი მოღვაწეობის პროცესში პროდუქტი თავიდანვე იქმნება როგორც რესურსი. მეტიც, პროდუქტი არ არის პროდუქტი, თუ მას არ ძალუძს იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომლისთვისაც იგი შეიქმნა, ანუ თუ იგი არ არის რესურსი. ამიტომ, მიზნის რეალიზაცია არის არა მარტო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ პოტენციური მოთხოვნილებების რეალურ მოთხოვნილებად გარდაქმნაც. გამოდის, რომ მიზანშეწონილი მოღვაწეობა არა მარტო აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, არამედ თვითონვე ბადებს მათ წარმოებული რესურსების მეშვეობით და ამრიგად ბადებს თავისივე სტიმულებს. ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება თავისივე თავში ატარებს სხვა, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების ჩანასახს და ყოველი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება არის წინა მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეზულტატი;[38]

2. სუბიექტს გააჩნია მრავალი სხვადასხვა კონკრეტული მოთხოვნილება და იგი ფლობს მრავალ სხვადასხვა კონკრეტულ დოვლათს, რომელთაც შეუძლიათ მათი დაკმაყოფილება. ზოგი მათგანი შეზღუდულია, ზოგიც - შეუზღუდავი. შეზღუდული კონკრეტული დოვლათი, რომელიც ადამიანს ანიჭებს სხვადასხვა ალტერნატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს, წარმოადგენს *ეკონომიკურ რესურსს.* [39] იმისათვის, რომ დაიწყოს მოქმედება კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, და, მაშასადამე, იმისათვის რომ ესა თუ ის მოთხოვნილება გადაიქცეს მიზნად, ხოლო რესირსები - საშუალებებად, აუცილებელია, რომ ნებამ მიიღოს გადაწყვეტილება. ვლაპარაკობთ

---

[38] „ ... თვითონ პირველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება, დაკმაყოფილების მოქმედება და უკვე შეძენილ დაკმაყოფილების იარაღს მივყავართ ახალ მოთხოვნილებებთან, ...“ (Маркс, Энгельс, 1955, 27)

[39] ეკონომიკური მოღვაწეობის ანალიზის ამ ეტაპზე, გამარტივების მიზნით, ჯერ არ ვახდენთ წმინდა ეკონომიკური მოღვაწეობის და სამეურნეო საქმიანობის ერთმანეთისგან გამიჯვნას.

რა საშუალებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მიზანი, რომელთან მიმართებაშიც იგი აროს საშუალება, უკვე არჩეულია და არსებობს. მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ რესურსის შესახებ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მისი მეშვეობით შეიძლება მრავალი ალტერნატიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ რომელი მათგანი იქნება არჩეული მიზნის სახით, დამოკიდებულია მისი მფლობელის ნებაზე.

რადგან სხვადასხვა ალტერნატიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსები შეზღუდულია, ამიტომ სუბიექტს უჩნდება ეკონომიკური რესურსების ფლობის სურვილი. ეს არის *ეკონომიკური მოთხოვნილება.* ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ადამიანი თვითონ აწარმოებს ეკონომიკურ რესურსებს. ამიტომ გამოდის, რომ ეკონომიკური რესურსები, ანუ ადამიანის მიერ წარმოებული სხვადასხვა კონკრეტული შეზღუდული დოვლათი, არის *ეკონომიკური პროდუქტები.* ყველა კონკრეტული შეზღუდული დოვლათი, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა კონკრეტული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არის *ეკონომიკური დოვლათი.* მაგრამ სუბიექტის, როგორც მომხმარებლის, თვალსაზრისით, ისინი აღიქმება როგორც *რესურსები,* ხოლო სუბიექტის, როგორც მათი მწარმოებლის, თვალსაზრისით - როგორც *პროდუქტები.*

რადგან ეკონომიკური სუბიექტი ერთდროულად არის ეკონომიკური დოვლათის მწარმოებელიც და მომხმარებელიც, ამიტომ მის მიერ ყველა ეს დოვლათი ერთდროულად აღიქმება როგორც რესურსები და როგორც პროდუქტები. ამრიგად, *მიზნის, საშუალების* და *რეზულტატის* ნაცვლად ვღებულობთ *ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, რესურსებს* და *პროდუქტებს,* რომლებიც სუბიექტს ანიჭებენ ალტერნატიული მიზნების, საშუალებების და რეზულტატების არჩევის საშუალებას. რაც უფრო მეტი ეკონომიკური დოვლათია სუბიექტის მფლობელობაში, მით უფრო მეტი არჩევანის და ალტერნატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფი-

ლების შესაძლებლობები ეძლევა მას. ანიჭებენ რა ისინი ადამიანს ასეთ შესაძლებლობებს, ისინი ანიჭებენ მას *ეკონომიკურ თავისუფლებას.*

მაგრამ დაკმაყოფილებული მოთხოვნილება თვითონ არის პროდუქტი, რომელიც თავის თავში შეიცავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გაწეულ ხარჯებს. მაგრამ ყოველი პროდუქტი ამავე დროს არის რესურსი სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. და როგორც რესურსი, იგი წარმოადგენს სარგებლიანობას, ანუ, იმ ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარს, რომელიც თვითონვე აღძრა (რადგან პოტენციური მოთხოვნილებები გარდაქმნა აქტუალურ მოთხოვნილებებად). ამიტომ, დაკმაყოფილებული მოთხოვნილება თვითონვე წარმოადგენს ახალ სარგებლიანობას, რომელიც აღძრავს ახალ ალტერნატიულ მოთხოვნილებებს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების და არჩევანის გაკეთების შემდეგ ეს სარგებლიანობა ისევე მსხვერპლად შეეწირება ერთ-ერთ ალტერნატიულ მოთხოვნილებას, და ამით, ისევ გარდაიქმნება ხარჯად (განივთებულს ახალ პროდუქტში) და ა.შ. მაგრამ პროდუქტი, როგორც დაკმაყოფილებული მოთხოვნილება, წარმოადგენს რესურსს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პროდუქტი იმთავითვე იწარმოებოდა როგორც რესურსი სხვა რაციონალური მოთხოვნილებებისათვის, საბოლოო, უზენაესი მიზნებისათვის, რომელთა მიმართებაშიც ეს მოთხოვნილება აღიქმება როგორც დაქვემდებარებული მიზანი, ანუ, როგორც საშუალება. მაგრამ თუ რეალიზებული მიზანი წარმოადგენს შემთხვევით, არაარსებით, წარმავალი გრძნობებით პროვოცირებულ და დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებას, მაშინ იგი, როგორც პროდუქტი, ვერ გახდება რესურსი და ვერ გარდაიქმნება სარგებლიანობად, და ვერ წარმოშობს ახალ ალტერნატიულ მოთხოვნილებებს. სარგებლიანობები, რომლებიც მსხვერპლად იქნენ გაღებული ასეთი მოთხოვნილებებისათვის, გარდაიქმნებიან დანაკარგებად;

3. ცხოველი მთლიანად დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც არსებობის. თუ ამ საარსებო გარემოში არ მოიძებნება ბუნების ობიექტები, რომელთაც შეუძლიათ მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მაშინ იგი დაიღუპება. მაგრამ ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი გარდაქმნის თვითონ სინამდვილეს, და ქმნის თავისთვის ისეთ გარემოს, რომელშიც არის მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სხვადასხვა საშუალებები, ანუ ქმნის პირობებს და საშუალებებს თავისი მოთხოვნილებების დაუბრკოლებელი დაკმაყოფილებისათვის.

როდესაც ცხოველს უჩნდება მოთხოვნილება, იგი პირდაპირ ითვისებს ბუნების ობიექტს და იკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ხოლო ადამიანი თვითონ აწარმოებს პროდუქტებს და შემდეგ მოიხმარს მათ. მაგალითად, ადამიანი პურს აწარმოებს არა მაშინ, როდესაც მოშივდება, არამედ მანამდე, სანამ მოშივდება, იცის რა წინასწარ, რომ ადრე თუ გვიან მას აუცილებლად მოშივდება. ანუ იგი პურს აწარმოებს არა უშუალოდ შიმშილის გრძნობის მოსაკლავად, არამედ პურის მარაგის შესაქმნელად, რომელიც დროებით გაათავისუფლებს მას თავის მოთხოვნილებებზე დამოკიდებულებისაგან.[40] იგი გარდაქმნის სინამდვილეს და მიზანშეწონილი მოღვაწეობის შედეგად იღებს ახალ სინამდვილეს, რომელშიც გაჩნდა პურის მარაგი. შესაბამისად, პურის წარმოების

---

[40] „პურის ქარხნის მუშა მუშაობს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც უშუალოდ სურს პურის ჭამა, და მუშაობს არა იმიტომ, რომ გამოაცხოს იმდენი პური, რამდენიც აუცილებელია ამწუთიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად. ... იგი მუშაობს იმისათვის, რომ აწარმოოს გარკვეული პროდუქტი - პური, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ მომენტში მას პირადად იგი საერთოდ არ სჭირდება. სწორედ ეს გარემოება არის განსაკუთრებით დამახასიათებელი შრომითი აქტივობისთვის, რომელიც მიმართულია არა პროდუქტის შექმნაზე, რომელიც აუცილებელია აქტუალური, მოცემულ მომენტში არსებული, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ რომელიც გამიზნულია *საერთოდ კვების მოთხოვნილების* დასაკმაყოფილებლად, რომელიც შესაძლოა გაუჩნდეს მას, ან ვინმე სხვას, ხვალ, ან როდისმე მომავალში. ... შრომის მიზანი მდგომარეობს შესაძლო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.“ (Узнадзе, 2004, 126).

სტიმული არ არის შიმშილის გრძნობა. ეკონომიკური მოღვაწეობის სტიმულებს საფუძვლად უდევს გონებით ნაკარნახევი სწრაფვა განთავისუფლდეს ობიექტურად არსებული გარე შეზღუდვებისაგან, ანუ საფუძვლად უდევს გონება, და არა გრძნობა.

ამრიგად, წარმოების უშუალო მიზანია შესაძლებლობების (რესურსების და პირობების) შექმნა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, და არა უშუალოდ მათი დაკმაყოფილება. (მათი დაკმაყოფილება არის სხვა პროცესის, მოხმარების პროცესის მიზანი.) მაგრამ ამ შესაძლებლობების შექმნა თვითონ არის ადამიანის ერთ-ერთი მოთხოვნილება. მეტიც, სწორედ ეს არის სპეციფიკური, ჭეშმარიტად ადამიანისეული მოთხოვნილება, რომელიც არ გააჩნია ცხოველებს – ეს არის მოთხოვნილება განთავისუფლდეს არსებულ სინამდვილეზე თავისი დამოკიდებულებისაგან, ეს არის თავისუფლების მოთხოვნილება.[41] ეს არის მოთხოვნილება, რომელიც ასახავს ადამიანის არსს. ცხოველისგან განსხვავებით მისი მოთხოვნილებაა არა მხოლოდ იარსებოს, არამედ *იყოს ადამიანი* და, ესე იგი, *იყოს თავისუფალი.* ამიტომ გამოდის, რომ ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანია არა უშუალოდ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არამედ მათზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება, განთავისუფლება გარე სინამდვილეზე დამოკიდებულებისაგან, რომელსაც ბადებენ მატერიალური მოთხოვნილებები. ანუ, ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანია ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება. ამიტომ სუბიექტური წარმოდგენები ბედნიერების შესახებ, როგორც წესი, ბედნიერების ერთ-ერთ პირობად გულისხმობენ ეკონომიკურ თავისუფლებასაც.

ადამიანი იქმნის გარემოცვას სხვადასხვა შეზღუდული დოვლათის მარაგებით, რომლებზეც ვრცელდება მისი ნება. ეს

---

[41] მოცემულ კონტექსტში იგულისხმება მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლება.

დოვლათი წარმოადგენს მის საკუთრებას როგორც მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის და თავისუფლების გარანტიას,[42] რომელიც ანიჭებს მას მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. შესაბამისად, საკუთრების ზრდის მოთხოვნილება არის ეკონომიკური თავისუფლების მოთხოვნილების გარეგნული გამოვლინება და წარმოადგენს ადამიანის არსებით მოთხოვნილებას.

2.1.5. საკუთრება და ეკონომიკური თავისუფლება

1. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის სათანადოდ გამიჯნული ცნებები „ეკონომიკური მოთხოვნილებები“ და „მატერიალური მოთხოვნილებები“. მაგრამ საჭიროა ისინი განვასხვაოთ ერთმანეთისგან. სხვადასხვა ვიტალური, სოციალური თუ სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლებელია მატერიალური დოვლათის მოხმარების გარეშე. მაგრამ იმისათვის, რომ არსებობდეს მატერიალური დოვლათის მოხმარების შესაძლებლობა, ეს დოვლათი, ჯერ ერთი, უნდა არსებობდეს, და, მეორეც, ადამიანი უნდა ფლობდეს მას. ცხადია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მატერიალური დოვლათი არსებობს, თუ სუბიექტის ნება არ ვრცელდება მასზე, იგი ვერ შეძლებს მის გამოყენებას თავისი მიზნებისთვის. ამასთან, საჭიროა გავითვალსწინოთ, რომ ეკონომიკური დოვლათი არის არა მარტო მატერიალური დოვლათი, არამედ ყველა შეზღუდული დოვლათი, რომელთა მოხმარება, ასე თუ ისე, საჭიროებს ეკონომიკურ ხარჯებს. ეკონომიკური

---

[42] „რათა არ დარჩეს აბსტრაქტული, თავისუფალმა ნებამ პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა მისცეს არსებობა, და პირველ გრძნობად მასალას ამ არსებობისთვის წარმოადგენენ ნივთები, სხვა სიტყვებით, გარეგანი საგნები. თავისუფლების ეს პირველი სახეობა აქ არის ის, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ როგორც *საკუთრებას*.“ (Гегель, 1990, 94)

დოვლათი შეიძლება იყოს ინფორმაცია, მომსახურება, შემოქმედებითი ან სხვა უნარები, მხატვრული ნაწარმოები ან ტექნოლოგიური ცოდნა, იმ პირობით, რომ მათი მოხმარება შეზღუდულია და არ არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. ასე რომ, მაშინაც კი, როდესაც ლაპარაკია სულიერ დოვლათზე, რომელიც თვითონ არ ნადგურდება მოხმარების პროცესში, მაგრამ, რომლის მოხმარებაც საჭიროებს რაიმე სხვა შეზღუდული დოვლათის მსხვერპლად გაღებას, ასეთი არამატერიალური დოვლათიც არის ეკონომიკური დოვლათი.

მოთხოვნილებები ადამიანს ხდის დამოკიდებულს არსებულ სინამდვილეზე, შეზღუდული (მათ შორის მატერიალური) დოვლათის არსებობაზე, და ამ დოვლათზე მისი ძალაუფლების გავრცელებაზე. მაგრამ, გონების წყალობით ადამიანი აცნობიერებს თავის დამოკიდებულებას არსებულ სინამდვილეზე. ამის შედეგად მას უჩნდება სპეციფიკურად ადამიანისეული მოთხოვნილება განთავისუფლდეს ამ დამოკიდებულებისაგან, უჩნდება თავისუფლების მოთხოვნილება. თავისუფლების მოთხოვნილების გაცნობიერებასთან ერთად იგი აცნობიერებს, აგრეთვე, იმასაც, რომ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია დოვლათის ფლობა. რაც უფრო მეტი შეზღუდული დოვლათია მის მფლობელობაში, მით უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს მას ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მით უფრო მეტია მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ეკონომიკური თავისუფლება. იგი აცნობიერებს, რომ მფლობელობა, და ესე იგი საკუთრებაც, რომელიც იბადება ფლობის საფუძველზე სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, წარმოადგენენ მისი ეკონომიკური თავისუფლების წყაროს.[43] მატერიალური ობიექტების

[43] „სოციოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, საკუთრება წარმოადგენს ადამიანის ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი დოვლათის *ფლობას.* ამ *ფლობას* შეიძლება დაერქვას ნატურალური ან თავდაპირველი საკუთრება, რადგან იგი წარმოადგენს დოვლათთან ფიზიკურ

მოხმარების მოთხოვნილება ცხოველებსაც აქვთ. მაგრამ საკუთრების მოთხოვნილება, ისევე როგორც თავისუფლების მოთხოვნილება, აქვს მხოლოდ ადამიანს;

2. ამრიგად, შეზღუდული დოვლათის **მოხმარების** მოთხოვნილებასთან ერთად, სუბიექტს უჩნდება შეზღუდული დოვლათის **ფლობის** მოთხოვნილებაც. მის მოთხოვნილებათა სისტემაში იბადება წინააღმდეგობა, რომელიც ბადებს ეკონომიკური მოღვაწეობის ოპტიმიზაციის სტიმულებს. ერთი მხრივ, შეზღუდული დოვლათის ფლობა, საკუთრება, სუბიექტს სჭირდება იმისთვის, რომ იქონიოს მათი მოხმარების შესაძლებლობები. მაგრამ, მეორე მხრივ, შეზღუდელი დოვლათის მოხმარება ანადგურებს მის საკუთრებას, ანუ ამ შესაძლებლობებს.

ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელი ხდება ისეთი მოხმარებით და, ესე იგი, მის საკუთრებაში არსებული შეზღუდული დოვლათის ისეთი განადგურებით, რომლის შედეგადაც მისი საკუთრება იქნება აღდგენილი და კიდეც გაზრდილი. ეს გულისხმობს შეზღუდული რესურსების საწარმოო დანიშნულებით მოხმარებას, მათ მოხმარებას საწარმოო რესურსების სახით. ხოლო, რესურსების ეგრეთწოდებული არასაწარმოო მოხმარების შემთხვევაში, საკუთრება ნადგურდება, მაგრამ ასეთი მოხმარების შედეგად ხდება თვით სუბიექტის აღწარმოება (როგორც მესაკუთრისა და როგორც აქტორის), რომლის გარეშეც არც საკუთრება არსებობს და არც მისი გაზრდა არის შესაძლებელი. ამიტომ ეკონომიკურ სუბიექტს უჩნდება სტიმულები: 1) მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენოს თავისი საკუთრება საწარმოო დანიშნულების მოხმარებისათვის (შექმნას ზედმეტი პროდუქტის მაქსიმუმი, რაც დაკავშირებულია საწარმოო რისკთან), რათა გაზარდოს საკუთრება

დამოკიდებულებას და არ ითვალისწინებს ადამიანებს შორის სოციალურ კავშირებს ან სამართლებრივ წესრიგს. ... მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით საკითხი ეხება მხოლოდ ნატურალურ *ფლობას*“ (Мизес, 1994, 24).

და 2) მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენოს საკუთრება არასაწარმოო მოხმარებისათვის (შექმნას დანაზოგები, რაც დაკავშირებულია მომჭირნეობასა და თავშეკავებასთან), რათა შეინარჩუნოს და არ გაფლანგოს საკუთრება. სუბიექტი ცდილობს როგორც წარმოების, ისე მოხმარების სფეროს ოპტიმიზაციას.

როგორც ეკონომიკურ სუბიექტს, რომლის მიზანია საკუთრების ზრდა, მას ეზადება სტიმული თავი შეიკავოს, შეზღუდოს, არასაწარმოო მოხმარება, რადგან ეს ხელს უწყობს საკუთრების შენარჩუნებას. მეორე მხრივ, მას ეზადება მეწარმეობის სტიმული, ანუ შეზღუდული დოვლათის საწარმოო დანიშნულებით მოხმარების სტიმული, რადგან ეს ხელს უწყობს საკუთრების ზრდას;

3. საკუთრების ზრდის ეკონომიკური მოთხოვნილება ბადებს მეწარმეობისა და ყაირათიანობის სტიმულებს, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის ძირითად სტიმულებს. მეწარმეობა გულისხმობს *სამეწარმეო რისკს,* ხოლო ყაირათიანობა - მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისგან *თავშეკავებას,* ანუ საკუთრების გაზრდა საჭიროებს როგორც მეწარმეობას, ისე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისგან თავშეკავებას. ერთიც და მეორეც დაკავშირებულია სუბიექტის სულიერ ძალისხმევასთან, ნებისყოფის დაძაბვასთან. ამიტომ, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, ეკონომიკური მოღვაწეობა, ისევე, როგორც საერთოდ ნებისმიერი მიზანშეწონილი მოღვაწეობა, არსებითად არის ადამიანის სულიერი მოღვაწეობა. ასეთო დასკვნა გარდუვალად გამომდინარეობს ეკონომიკური მოღვაწეობის ტელეოლოგიურო ანალიზიდან. მე–20 საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტი *ლუდვიგ მიზესი,* რომელიც სწორედ ტელეოლოგიური პოზიციებიდან აანალიზებს ეკონომიკას, წერს:

"ეკონომიკური თეორია არ არის მეცნიერება საგნებისა და მატერიალური ობიექტების შესახებ; ეს არის მეცნიერება ადამიანების, მათი ზრახვებისა და მოქმედებების შესახებ. დოვლათი, საქონელი, სიმდიდრე და ყველა დანარჩენი ქმედების ამსახველი ცნება არ წარმოადგენენ ბუნების ელემენტებს; ისინი არიან ადამიანის

ზრახვებისა და მოქმედებების ელემენტები. ის, ვისაც უნდა მათი შესწავლა, არ უნდა იყურებოდეს გარე სამყაროში; მან უნდა ეძიოს ისინი მოღვაწე ადამიანების ზრახვებში .... (Мизес, 2005, 92). წარმოება არ არის რაიმე ფიზიკური, მატერიალური ან გარეგნული; იგი არის სულიერი და გონებრივი ფენომენი" (იქვე, 144).

4. შეზღუდული დოვლათის *მოხმარების* მოთხოვნილება განსხვავდება შეზღუდული დოვლათის *ფლობის* მოთხოვნილებისაგან, ანუ ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების *შესაძლებლობების* ფლობის მოთხოვნილებისაგან. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კონკრეტული მიზანი უკვე შერჩეულია, ხოლო ეკონომიკური დოვლათი არის საშუალება ამ მიზნის რეალიზაციისათვის. მეორე შემთხვევაში იგულისხმება, რომ სუბიექტს აქვს არა რესურსების მოხმარების, არამედ იმ რესურსების ფლობის მოთხოვნილება, რომელნიც შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც საშუალება სხვადასხვა მიზნებისათვის და, ესე იგი, რომლებიც ანიჭებენ მას სხვადასხვა მიზნების რეალიზაციის შესაძლებლობებს, ანიჭებენ თავისუფლებას. იგულისხმება, რომ მიზანი ჯერ არ არის არჩეული. შეზღუდული დოვლათის მოხმარება და ამა თუ იმ კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება წარმოადგენს რესურსებით მონიჭებული შესაძლებლობების რეალიზაციას. ანუ, საშუალებები ადამიანს ანიჭებენ არჩეული მიზნის *რეალიზაციის* შესაძლებლობას, ხოლო რესურსები ანიჭებენ მას მიზნის *არჩევის* შესაძლებლობას.

მატერიალური დოვლათის მოხმარების მოთხოვნილებები არის მატერიალური მოთხოვნილებები, როგოგრც აუცილებელი პირობა ნებისმიერი სხვა (ვიტალური, სოციალური, სულიერი) მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ მატერიალური დოვლათის ფლობის, საკუთრების ზრდის მოთხოვნილება - არის ეკონომიკური მოთხოვნილება. ეკონომიკური მოთხოვნილება არის მატერიალური მოთხოვნილებებისაგან დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, ეკონომიკური თავისუფლების მოთხოვნილება

და, როგორც ასეთი, იგი არ არის მატერიალური მოთხოვნილება. ეკონომიკური მოთხოვნილებები გააჩნია როგორც ღარიბს, ისე მდიდარს. მაგრამ საზოგადოების უმდიდრესი ადამიანებისთვის საკუთრების ზრდის მთავარ მოტივს არ წარმოადგენს მატერიალური მოთხოვნილებები. ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური ძალაუფლების ზრდის მოთხოვნილება, როგორც ადამიანის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი ფორმა, არის სოციალური და სულიერი, და არა მატერიალური, მოთხოვნილება. და როგორც ასეთს, მას არა აქვს საზღვარი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ფ. ნაიტის მოსაზრება:

„ეკონომიკური პროგრესი მიჩნეულია როგორც დოვლათის წარმოება მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი თვალსაზრისი არ არის სრული ... . მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საშუალებების წარმოების მიზანი არც ერთ შემთხვევაში არ არის მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობთ. სიმდიდრის ზრდა დიდწილად არის აგრეთვე თვითმიზანი, და შემოსავლის ზრდის საშუალება, და ამასთანავე, მით უფრო მაღალი ტემპებით, რაც უფრო იზრდება ცხოვრების დონე. ადამიანები ხშირად მუშაობენ, „რათა გამდიდრდნენ“, მაგრამ გამდიდრდნენ არა უბრალოდ მეტი დოვლათის მოხმარებასთან პარალელურად, არამედ მის ნაცვლად. სერიოზული შეცდომაა მოსაზრება, თითქოს თანამედროვე ინდუსტრიულ ქვეყანაში წარმოებას ადგილი აქვს მხოლოდ მოხმარების მიზნით. სინამდვილეში მოხმარება სულ უფრო და უფრო დიდწილად მსხვერპლად ეწირება წარმოების ზრდას. . . . რომელ ფილოსოფიასაც არ უნდა ვიზიარებდეთ ადამიანის ქცევის მოტივაციის საკითხში, ფაქტი რჩება ფაქტად: ... ბიზნესში აწარმოებენ სიმდიდრეს, რათა გამოიყენონ იგი უფრო მეტი სიმდიდრის საწარმოებლად, რომელიც, თავის მხრივ, იქნება გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ სიმდიდრის გაზრდის მიზნით. ... არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწრაფვა გამდიდრებისაკენ, და არა დოვლათის მოხმარებისაკენ“ (Найт, 2003, 302 - 303).

და შემდეგ:

„... გამდიდრების წყურვილი აიძულებს ადამიანებს მსხვერპლად გაიღონ მოხმარება და თავისი საკუთრების გაზრდის მიზნით წავიდნენ მისი სრული დაკარგვის რისკზე“ (იქვე, გვ. 350).

5. როგორც უკვე აღინიშნა, რეალურ, აქტუალურ მოთხოვნილებებს ბადაბს მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. მაგრამ, საკუთრება სწორედაც რომ იძლევა საკუთრების კიდევ უფრო მეტად გაზრდის შესაძლებლობებს. შეზღუდული დოვლათის წარმოებისათვის საჭიროა შეზღუდული დოვლათის მოხმარება. ნაკლებად დეფიციტური დოვლათიდან იწარმოება მეტად დეფიციტური დოვლათი. სწორედ ამაზე დაიყვანება შეზღუდული დოვლათის წარმოება და აღწარმოება. შესაბამისად, საკუთრების ზრდა ბადებს მისი შემდგომი ზრდის მოთხოვნილებას. გამდიდრების მოთხოვნილება არის თვითმზარდი მოთხოვნილება.

ასე რომ, ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანი არის საკუთრების ზრდა, რომლის საშუალებასაც წარმოადგენს თვით საკუთრება, ხოლო რეზულტატი, როგორც რეალიზებული მიზანი, არის გაზრდილი საკუთრება, რომელიც, თავის მხრივ, ბადებს მისი შემდგომი ზრდის ახალ მიზნებს და შესაძლებლობებს. საკუთრება არის თვითმზარდი ეკონომიკური თავისუფლება. გარეგნულად ეს გამოიხატება იმაში, რომ ადამიანი სულ უფრო მზარდი მასშტაბებით გარდაქმნის გარემო სინამდვილეს თავისი ნების თანახმად ისე, რომ იგი თავს გრძნობდეს თავისუფლად „როგორც საკუთარ სახლში“, ანუ როგორც ისეთ ხელოვნურად შექმნილ გარემოში, სადაც დაუბრკოლებლად იკმაყოფილებს გარკვეულ მოთხოვნილებებს. ცივილიზაცია, კულტურა, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და არამატერიალური დოვლათის ერთობლიობა, რომლითაც მან შექმნა თავისი გარემო, სწორედაც არის ის „სახლი“ რომელშიც ადამიანი თავს გრძნობს თავისუფლად და არის დამოუკიდებელი ველური ბუნებისაგან;

6. ეკონომიკური მოღვაწეობის ძირითადი წინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ეკონომიკურ სიბიექტსა და ეკონომიკურ ობიექტს შორის, მესაკუთრესა და საკუთრებას შორის. ეს წინააღ-მდეგობა იძენს საკუთრების ზრდის მოთხოვნილების და, ესე იგი, ეკონომიკური თავისუფლების ზრდის მოთხოვნილების ფორმას, რადგან სწორედ საკუთრება არის ეკონომიკური თავისუფლების არსებობის ფორმა. სწორედ ეს წინააღმდეგობა ბადებს ეკონომიკურ მოღვაწეობას. სუბიექტი ცდილობს გადაჭრას ეს წინააღმდეგობა. ამით არის განპირობებული ეკონომიკური სუბიექტის სულიერი ძალისხმევა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური გადაწყვე-ტილებების მიღებასთან, მეწარმეობასთან, თავშეკავებასთან, მომჭირნეობასთან, რომელთა წყალობითაც სუბიექტი ზრდის თავის საკუთრებას. მაგრამ სუბიექტის სულიერი ძალისხმევის გარდა, საკუთრების გასაზრდელათ აუცილებელია თვითონ საკუთრება. სწორედ საკუთრება იძლევა საკუთრების ზრდის შესაძლებლობებს. ამრიგად, ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანი, როგორც გაცნობიერებული მოთხოვნილება, არის საკუთრება. საშუალება აგრეთვე არის საკუთრება. შესაბამისად, ეკონომიკური მოღვაწეობის რეზულტატიც ასევე არის საკუთრება. ეს არის მიზნის, საშუალების და რეზულტატის ერთობლიობა. მათ გააჩ-ნიათ ერთი და იგივე შინაარსი - საკუთრება, ეკონომიური თავისუფლება. რაც უფრო იზრდება საკუთრება, მით უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა იგი მისი შემდგომი ზრდისათვის. და რაც უფრო მეტ შესაძლებლობებს იძლევა იგი, მით უფრო იზრდება მოთხოვნილებაც, რადგან მოთხოვნილებებს ბადებენ თავად შესაძლებლობები. მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბადებს უფრო მეტ მოთხოვნილებებს. ეს არის თვითმზარდი მოთხოვნი-ლებები და შესაძლებლობები, თვითმზარდი საკუთრება და თვითმზარდი ეკონომიკური თავისუფლება.

ამ წინააღმდეგობის თვითპროდუცირება ხდება ისევე პერმანენტულად, როგორც მისი გადაჭრა ხდება ეკონომიკური

მოღვაწეობის შედეგად. ხოლო გადაუჭრელი წინააღმდეგობა იღებს უსასრულო პროცესის ფორმას, მიზნისაკენ უსასრულო მოძრაობის ფორმას, როდესაც მიზანთან მიახლოვება იწვევს მიზნის დაშორებას. ამიტომ ეს წინააღმდეგობა არის ეკონომიკური აქტივობის სტიმულის თვითაღგზნება იქამდე, სანამ არსებობს საკუთრება და მესაკუთრე. ადამიანს ყოველთვის ექნება მატერიალური მოთხოვნილებები, რადგან ისინი წარმოადგენენ აუცილებელ პირობას ყველა ვიტალური, სოციალური თუ სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ეკონომიკური მოთხოვნილებები იარსებებენ მხოლოდ იქამდე, სანამ იარსებებს მატერიალური დოვლათის შეზღუდულობა.

2.2. ნატურალური ეკონომიკა

2.2.1. ეკონომიკური ფუნქციები

1. მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა უშუალო მიზანია ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, წარმოადგენს მოხმარების სფეროს. აქ ხდება სამომხმარებლო დოვლათის არსებული მარაგების მოხმარება, ხოლო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია ამ დოვლათის მარაგების შექმნა, შემდგომში მათი მოხმარების მიზნით, წარმოადგენს წარმოების სფეროს. წარმოება და მოხმარება არის ეკონომიკური ფუნქციები, რომელსაც ასრულებენ მოქმედებები წარმოების და მოხმარების სფეროებში. შესაბამისად, „მწარმოებლად“ ან „მომხმარებლად“ ყოფნა არის არა სუბიექტის თვისება, არამედ სხვადასხვა ფუნქცია, რომელსაც იგი ასრულებს ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში. იმიტომ კი არ აწარმოებს სუბიექტი, რომ არის მწარმოებელი, პირიქით, იგი იმიტომ არის მწარმოებელი, რომ აწარმოებს. იგივე

შეიძლება ითქვას მოხმარების ფუნქციის შესახებ. მაგრამ ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში ადამიანი ასრულებს მრავალ სხვა ფუნქციასაც (მეწარმის, მესაკუთრის, ინვესტორის და სხვ.). ეს არის ის ფუნქციები, ანუ როლები, რომლის გარეშეც ეკონომიკური მოღვაწეობა შეუძლებელია პრინციპში. ამიტომ ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ამ ფუნქციებს ასრულებს ყველა სუბიექტი, იქნება ეს ინდივიდი, ჯგუფი თუ საზოგადოება და ეკონომიკური განვითარების ყველა ეტაპზე - ნატურალური, საბაზრო, თუ რეგულირებადი ეკონომიკის პირობებში;

2. ადამიანი არის ეკონომიკური მოღვაწეობის არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტიც. ადამიანის, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტის, მიმართება გარე სინამდვილესთან გულისხმობს აგრეთვე მის მიმართებას საკუთარ თავთან, როგორც ობიექტთან. ერთი შეუძლებელია მეორეს გარეშე. სუბიექტი ეპყრობა გარე სინამდვილეს როგორც "მწარმოებელი" და "მომხმარებელი" ერთდროულად.[44] როდესაც გარე ობიექტების გარდაქმნის გზით ადამიანი ქმნის ახალ ობიექტებს, ამ ახალ ობიექტებს იგი ეპყრობა როგორც პროდუქტებს, ხოლო როდესაც მოიხმარს მათ – ეპყრობა მათ როგორც რესურსებს. მაგრამ ამავე პროცესში იგი ურთიერთქმედებს საკუთარ თავთან, რადგან თავისივე მოღვაწეობით იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს. როგორც "მწარმოებელი" იგი ურთიერთქმედებს საკუთარ თავთან როგორც "მომხმარებელთან", რადგან აწარმოებს პროდუქტებს თავისივე მოხმარებისათვის. ხოლო როგორც "მომხმარებელი", მოიხმარს რა თავისივე წარმოებულ პროდუქტებს, იგი ურთიერთქმედებს თავის თავთან

---

[44] შემდგომში ამ თავში, როდესაც ლაპარაკი იქნება ეკონომიკუირი სუბიექტის სხვადასხვა ფუნქციებზე, ფუნქციის დასახელება იქნება მოცემული ბრჭყალებში. მაგალითად, „მწარმოებელი“, „მეწარმე“ და ა.შ. გულისხმობენ სუბუექტის ამა თუ იმ ფუნქციას. ასეთ შემთვევებში, თუ ლაპარაკია ურთიერთქმედებაზე „მწარმოებელსა“ და „მომხმარებელს“ შორის, „მეწარმესა“ და „მესაკუთრეს“ შორის და ა.შ., იგულისხმება ურთიერთქმედება არა სხვადასხვა სუბიექტებს შორის, არამედ ერთი და იგივე სუბიექტის სხვადასხვა ფუნქციებს შორის.

როგორც "მწარმოებელთან". მხოლოდ ამ ურთიერთქმედების წყალობით სუბიექტის ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოადგენს ერთ მთლიანობას როგორც საკუთარი აქტივობით თავისივე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ჩაკეტილ პროცესს.[45]

პირველადი რესურსებიდან ეკონომიკური სუბიექტი აწარმოებს საბოლოო პროდუქტებს, ხოლო მოიხმარს რა საბოლოო პროდუქტებს, იგი ახდენს პირველადი რესურსების აღწარმოებას.[46] მეტიც, სუბიექტი თავისივე თავს განიხილავს როგორც წარმოების და მოხმარების მთავარ ობიექტს, ანუ თავისი მოღვაწეობის მთავარ რესურსს და მთავარ პროდუქტს. ამრიგად, წრე შეიკრა. ერთი და იგივე სუბიექტში ერთდროულად ცხოვრობს "მწარმოებელიც" და "მომხმარებელიც". ამიტომ, ნებისმიერ ეკონომიკურ დოვლათსაც იგი ერთდროულად აღიქვავს როგორც პროდუქტს და როგორც რესურსს. როგორც მწარმოებელს და როგორც მომხმარებელს სუბიექტს გააჩნია ურთიერთსაპირისპირო ფუნქციები და, შესაბამისად, აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართება ერთი და იგივე დოვლათთან, რომელსაც იგი აწარმოებს და მოიხმარს. დოვლათი, რომელიც "მწარმოებლის" მიერ აღიქმება როგორც ხარჯის განსახიერება, "მომხმარებლის" მიერ აღიქმება როგორც სარგებლიანობის განსახიერება. და, პირიქით. რადგან ის, რაც ერთისთვის არის რესურსი, მეორესთვის არის პროდუქტი. ეს ცნებები სარკისებურად აისახება ერთმანეთში. "მწარმოებლის" საბოლოო პროდუქტი, არის პირველადი რესურსი "მომხმარებლისთვის",

---

[45] „მაშ ასე, წარმოება არის უშუალოდ მოხმარება, მოხმარება არის უშუალოდ წარმოება. თვითეული უშუალოდ არის თავის საპირისპირო რამ. მაგრამ ამავე დროს ამ ორივეს შორის ადგილი აქვს გაშუალებულ მოძრაობას. წარმოება ახდენს მოხმარების გაშუალებას, რომლისთვისაც იგი ქმნის მასალას, რომლის გარეშეც მოხმარებას არ ექნებოდა საგანი. მაგრამ მოხმარებაც ახდენს წარმოების გაშუალებას, რადგან მხოლოდ იგი ქმნის პროდუქტებისათვის სუბიექტს, რომლისთვისაც ისინი წარმოადგენენ პროდუქტს“ (Маркс, Энгельс, 1955, 717).

[46] ეს მოსაზრება ქვემოთ იქნება განმარტებული.

ხოლო ის, რაც არის პირველადი რესურსი "მწარმოებლისთვის", არის საბოლოო პროდუქტი "მომხმარებლისთვის".

მეტიც, ფართო გაგებით, პროდუქტის წარმოების პროცესი, როგორც ასეთი, თვითონ არის რესურსების მიხმარების პროცესი, ხოლო რესურსების მოხმარების პროცესი არის პროდუქტის წარმოების პროცესი. შეუძლებელია წარმოება მოხმარების გარეშე, ან მოხმარება – წარმოების გარეშე. რადგან, საბოლოო ანაგარიშით, წარმოებაც, და მოხმარებაც, არის ერთი სახის დოვლათის მეორეში გარდაქმნის პროცესი. პროდუქტსა და რესურსს შორის არსებობს ისეთივე რეფლექსიური ურთიერთკავშირი, როგორც "მწარმოებელსა" და "მომხმარებელს" შორის. თვითეული ეს ცნება იძენს საზრისს მხოლოდ თავის საპირისპირო ცნებასთან ერთად და მასთან მიმართებაში;

3. "მწარმოებლის" და "მომხმარებლის" ფუნქციების შესრულებისას სუბიექტი ასრულებს ერთმანეთის საწინააღმდეგო მოქმედებებს. ერთი ფუნქციის შესრულებისას იგი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს მეორე ფენქციის შესრულებისას. ამ თვალსაზრისით წარმოების და მოხმარების სფეროები უარყოფენ ერთმანეთს, რადგან თვითოეული მათგანი ანადგურებს იმას, რასაც ქმნის მეორე მხარე. ამავდროულად, ისინი გულისხმობენ ერთმანეთს, რადგან ქმნიან იმას, რაც აუცილებელია მეორე მხარისთვის. თვითეული ფუნქციის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ მეორესთან ერთად. ისინი თითქოსდა ერთმანეთში ცვლიან თავიანთ პროდუქტებს, რომლებიც წარმოადგენენ რესურსებს მეორე მხარისთვის. და თავისი რეზულტატების ასეთი "გაცვლის" გარეშე მოღვაწეობა დაიბლოკება. ამასთან, "მწარმოებელიც" და "მომხმარებელიც" ერთმანეთს აღიქვავენ როგორც "მფლობელს" - როგორც "პროდუქტების მფლობელს" და როგორც "რესურსების მფლობელს". ხომ ცხადია, რომ იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს დოვლათის მოხმარება ან გაცვლა, აუცილებელია, რომ ამ

დოვლათზე ვრცელდებოდეს სუბიექტის ნება, რომ იგი იყოს ამ დოვლათის მფლობელი.[47]

ასე რომ, ერთი და იგივე სუბიექტი ასრულებს არა მარტო "მწარმოებლის" და "მომხმარებლის", არამედ აგრეთვე "პროდექ-ტების მფლობელის" და "რესურსების მფლობელის" ფუნქციებსაც. შესაბამისად, სუბიექტი ურთიერთქმედებს თავის თავთან არა მხოლოდ როგორც "მწარმოებელი" და "მომხმარებელი", არამედ აგრეთვე როგორც "პროდექტების მფლობელი" და "რესურსების მფლობელი", რომლებიც უპირისპირდებიან ერთმანეთს მსგავსად მხარეებისა ბარტერულ გაცვლაში. "გაცვლა", როგორც ფუნქცია, როგორც სპეციფიკური ურთიერთქმედება "მწარმოებელსა" და "მომხმარებელს" შორის, პოტენციურად იგულისხმება ეკონომიკურ მოღვაწეობაში, როგორც ასეთში, მაშინაც კი, როდესაც ლაპარაკია ნატურალური მოღვაწეობის ერთსა და იგივე სუბიექტზე. მეტიც, გაცვლის ფუნქცია ჩადებულია არა მარტო "მწარმოებლისა" და "მომხმარებლის", როგორც სხვადასხვა "მფლობელების" ურთიერ-თობებში, არამედ თვით წარმოების პროცესშიც, და მოხმარების პროცესშიც. რადგან ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეული ობიექტების სხვა ობიექტებში გარდაქმნასთან, რესურსების პროდუქტებად გარდაქმნასთან. გარკვეული აზრით, წარმოებაც, და მოხმარებაც, არის რესურსების პროდუქტებზე "გაცვლა".

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს წარმოების, მოხმარებისა და გაცვლის არსებით ერთიანობას. მაგრამ, რადგან წარმოება, მოხმარება და მათ შორის გაცვლა გულისხმობს პროდუქტების რესურსებზე გაცვლის გარკვეულ პროპორციებს, ამიტომ ცხადია, რომ სიღრმისეული შინაგანი ერთიანობა არსებობს აგრეთვე, ერთი მხრივ, ამ პროცესებსა და, მეორე მხრივ, განაწილებას შორის. წარმო-ების სფერო გულისხმობს რესურსების განაწილებას

---

[47] „იმაში, რომ პირი თავის ნებას დებს ნივთში, მდგომარეობს საკუთრების ცნება, ყველაფერი დანარჩენი არის მხოლოდ მისი რეალიზაცია“ (Гегель, 1990, 109).

წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, მოხმარების სფერო გულისხმობს პროდუქტების განაწილებას სხვადასხვა მოთხოვნილებებს შორის.

წარმოება, მოხმარება, გაცვლა და განაწილება, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის ფუნქციები, წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამრიგად, ერთი და იგივე სუბიექტის ეკონომიკურ ფუმქციებს შორის „შრომის განაწილებაში“ უკვე მოცემულია ჩანასახური ფორმით შრომის განაწილება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. წარმოება, მოხმარება, გაცვლა და განაწილება წარმოადგენენ ეკონომიკურ ფუნქციებს, და ქმნიან ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების ჩაკეტილ სისტემას. და თუ დაირღვევა ამ ფუნქციებს შორის შესაბამისობა და ჰარმონია, მაშინ დაირღვევა ეკონომიკური მოღვაწეობის მთლიანობაც;

4. წარმოება დაკავშირებულია რისკთან. შესაძლოა რესურსები დაიხარჯოს, მაგრამ პროდუქტი არ იქნეს მიღებული. ხარჯი შესაძლოა გადაიქცეს დანაკარგებად. ამის მიზეზი შეიძლება იყოს გაუთვალისწინებელი ბუნებრივი ან სოციალური პროცესები, შემთხვევითი გარემოებები. ამიტომ "მწარმოებელი" უნდა ახორციელებდეს "მეწარმის" ფუნქციას. მან უნდა აიღოს თავის თავზე წარმოებასთან დაკავშირებული რისკი. ეს კი დაკავშირებულია ნებისყოფის მობილიზაციასთან, ნების ძალისხმევასთან, ანუ *სუბიექტურ ხარჯებთან.* “მეწარმის“ ნების ძალისხმევა გრძელდება მთელი საწარმოო პერიოდის განმავლობაში. ეს „სუბიექტური ხარჯი“ არის ამ პერიოდის ხანგრძლიობის და გამოყენებული რესურსების მოცულობის პროპორციული. რისკის საკუთარ თავზე აღების უნარი, როგორც წარმოების სუბიექტური ფაქტორი, ეკუთვნის სუბიექტს როგორც „მწარმოებელს“. ამიტომ, ამ ფაქტორის მომსახურების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტი თვითონ იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებლობას თავისი წარმოების შედეგებზე.

რადგან წარმოება დაკავშირებულია იმის რისკთან, რომ ამ პროცესის შედეგად პროდუქტები შესაძლოა არ იქნეს მიღებული, ამიტონ მოხმარებაც იმყოფება სამომხმარებლო რისკის ქვეშ, რომ დარჩება მოხმარებისათვის საჭირო პროდუქტების გარეშე. "მომხმარებელმა" უნდა შექმნას დანაზოგები, როგორც სადაზღვევო ფონდი. მაგრამ დანაზოგების შესაქმნელად აუცილებელია მომჭირნეობა და მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაგან თავის შეკავება, რაც აგრეთვე საჭიროებს ნების ძალისხმევას. მომხმარებლის თავშეკავება ისევეა დაკავშირებული "მომხმარებლის" ნების ძალისხმევასთან, როგორც "მეწარმეობა" - "მწარმოებლის" ნების ძალისხმევასთან. მოხმარება გულისხმობს "დაზოგვას", როგორც ეკონომიკურ ფუნქციას, ისევე, როგორც წარმოება გულისხმობს "მეწარმეობის" ფუნქციას;

5. როგორც "მეწარმე" და "დამზოგველი" სუბიექტი ურთიერთქმედებს დროში საკუთარ თავთან. "მწარმიებელმა" ახლა უნდა ჩადოს რესურსები წარმოებაში, რათა მიიღოს პროდუქტები მომავალში. ასევე "დამზოგველმა" ახლა უნდა გააკეთოს რესურსების დანაზოგები, რათა ჰქონდეს მომავალში მათი გამოყენების შესაძლებლობა. ანუ სუბიექტი ზღუდავს მიმდინარე მოხმარებას დღეს თავისივე მომავალი მოხმარების უზრუნველსაყოფად და, პირიქით, როდესაც სუბიექტი იძულებულია საგანგებო, გაუთვალისწინებელ ვითარებაში მოიხმაროს დოვლათი ადრე შექმნილი მარაგებიდან, მაშინ საქმე გვაქვს (მომავალთან მიმართებაში) ვალად მოხმარებასთან. იგი ზრდის თავის მიმდინარე მოხმარებას თავისივე მომავალი მოხმარების შეზღუდვის ხარჯზე. ყოველივე ეს არის საწარმოო და სამომხმარებლო შესაძლებლობების დროში გადანაწილება. ამასთან, ეს არის სუბიექტის საკუთარ თავთან მიმართება დროით განზომილებაში, დღევანდელი "მე"–ს მიმართება მომავალ "მე"– სთან;

6. იმის გაგება, რომ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ფუნქციების სახით სუბიექტის ეკონომიკური მოღვაწეობა არის

ტელეოლოგიური მიმართება არა მარტო გარე სამყაროსთან, არამედ აგრეთვე საკუთარ თავთან, ცხადი ხდება მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. უფრო სრულ ფორმას ეს ურთიერთკავშირები ღებულობენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც საზოგადოება ფორმირდება როგორც შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმი, რომელშიც სუბიექტები იწყებენ სპეციალიზაციას სხვადასხვა ფუნქციების განხორციელებაზე. მაგრამ ინდივიდის დონეზე სუბუექტის დამოკიდებულება საკუთარ თავთან იგულისხმება ლოგიკურად, როგორც მის მიერ შესრულებული ფუნქციებს შორის ურთიერთქმედება, როგორც ფუნქციონალური კავშირი მის სხვდასხვა მოქმედებებს შორის, ანუ საზოგადოებრივი შრომის დანაწილება და საბაზრო ეკონომიკა ემბრიონალური ფორმით უკვე არსებობენ ნატურალურ ეკონომიკაში, რასაც სუბიექტი ვერ აცნობიერებს. რადგან, ინდივიდი, როგორც ნატურალური მეურნეობის სუბიექტი, სულაც არ აღიქვავს საკუთარ თავს თავისივე მოღვაწეობის ობიექტად (პროდუქტად და რესურსად). მით უფრო იგი არ აღიქვავს საკუთარ თავს "დანაწევრებულად" მწარმოებელზე და მომხმარებელზე, როგორც ორ მესაკუთრეზე, რომლებიც ერთმანეთში ცვლიან პროდუქტებს და რესურსებს. არ აღიქვავს საკუთარ თავს არც როგორც დროში გაორებულს, როგორც "მე-აწმყოში" და "მე-მომავალში", რომლებიც ერთმანეთში ცვლიან საწარმოო და სამომხმარებლო შესაძლებლობებს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ფუნქციები, რომლებსაც იგი ასრულებს ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში. ამ ურთიერთკავშირებში ისევე ძნელი დასანახია საბაზრო ეკონომიკის მომავალი კონტურები, როგორც ემბრიონშია ძნელი დასანახი ზრდასრული ორგანიზმის მახასიათებლები, თუ წინასწარ არ ვიცით ისინი. [48]

---

[48] „ადამიანის ანატომია არის გასაღები მაიმუნის ანატომიის გასაგებად.

2.2.2. ეკონომიკური მოღვაწეობა როგორც წრიული პროცესი

1. რესურსების გარდაქმნას პროდუქტებად, რომლებიც გამოიყენება რესურსებად სხვა პროდუქტებისათვის, არა აქვს დასასრული და არის წრიული პროცესი, ანუ ფუნქციონალურად ჩაკეტილი წრე, რომელიც თავის თავში მოიცავს თვით ადამიანსაც, როგორც ერთ-ერთ ელემენტს (იხ.: Leiashvily, 1996). მთლიანად მიზანშეწონილი მოღვაწეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თვით ადამიანის "წარმოება" და "მოხმარება". ადამიანი არის ეკონომიკური მოღვაწეობის არა მარტო სუბიექტი, არამედ მთავარი ობიექტიც. ეს ნიშნავს იმას, რომ, მართალია, ადამიანი ვერ აცნობიერებს ამას, მაგრამ იგი არის თავისივე მოღვაწეობის პროდუქტიც და რესურსიც. საბოლოო ანგარიშით, ადამიანის სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება მისი კონკრეტული საბოლოო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ამ პროცესში ადამიანი, როგორც სამუშაო ძალა და როგორც მეწარმე, არის წარმოების მთავარი ფაქტორი. სწორედ მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი ძალისხმევით იქმნება ის დოვლათი, რომლითაც იგი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს.

სამუშაო ძალის მოხმარება ანუ ადამიანის შრომა, წარმოების სხვა ფაქტორების მომსახურებასთან ერთად, არის პირველადი რესურსი, რომლის გარეშე შეუძლებელია საბოლოო პროდუქტების მიღება. მეორე მხრივ, ამ პროდუქტების მოხმარება არის ადამიანის აღწარმოება, მისი შრომის უნარის აღწარმოება. მაშასადამე, ადამიანი, როგორც წარმოების მთავარი ფაქტორი, და მისი შრომა,

---

პირიქით, უფრო მაღალგანვითარებული ცხოველთა სახეობების მინიშნებები უფრო დაბალი სახეობის ცხოველებში შეიძლება გახდეს გასაგები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ეს მაღალი სახეობა უკვე ცნობილია“ (Маркс, Энгельс, 1955, 731).

როგორც ამ ფაქტორის მომსახურება, როგორც პირველადი რესურსი, არის აგრეთვე მისი მოღვაწეობის მთავარი პროდუქტი.

2. მაგრამ ახდენს რა იგი თავისი თავის, როგორც რესურსის, და როგორც პროდუქტის (ანუ, როგორც ობიქტის), აღწარმოებას, ამით იგი ახდენს აგრეთვე თავისი თავის როგორც სუბიექტის აღწარმოებას და, შესაბამისად, თავისი მოთხოვნილებების აღწარ-მოებას. ამიტომ ადამიანის საბოლოო მოთხოვნილებების დაკმაყო-ფილება ნიშნავს ახალი მოთხოვნილებათა სისტემის აღწარმოებას. ეს ნიშნავს, რომ მოღვაწეობის პროცესში ხდება არა მარტო ადამიანის და მისი შრომის უნარის აღწარმოება, არამედ აგრეთვე წარმოების ყველა ფაქტორის, ყველა პირველადი რესურსის, მათ შორის ბუნებრივი რესურსების, აღწარმოებაც. რადგან თავისთავად ობიექტები არ არიან წარმოების ფაქტორები. ისინი გარდაიქ-მნებიან ასეთად მხოლოდ ადამიანის მოთხოვნილებებთან მიმართებაში. ამიტომ, ეგრედწოდებულ "არააღწარმოებად" ბუნებრივ რესურსებსაც კი "ქმნის" ადამიანი იმ გაგებით, რომ სწორედ მისი მოთხოვნილებები ხდიან ბუნების ობიექტებს წარმოების ფაქტორებად, ხოლო წარმოების ფაქტორების მომსახუ-რებას – პირველად რესურსებად. ადამიანის სამომხმარებლო მითხოვნილებების დაკმაყოფილება, და ამის მეშვეობით ადამიანის აღწარმოება თავის ახალ მოთხოვნილებებთან ერთად, ტელეოლო-გიერი თვალსაზრისით ნიშნავს, ამავდროულად, პირველადი, არააღწარმოებადი ბუნებრივი რესურსების "აღწარმოებას".[49]

გარდა ამისა, ადამიანი ახდენს საკუთარი თავის როგორც სუბიექტის, როგორც მფლობელის, მესაკუთრის აღწარმოებას, რომელიც ახორციელებს თაცის ძალაუფლებას ობოექტებზე, რომელსაც იგი აწარმოებს და მოიხმარს.

---

[49] თუმცა, ცხადია, რომ მათი, როგორც ემპირიული ობიექტების, ფიზიკური გაგებით აღწარმოება ხდება ბუნების მიერ.

წარმოებაც და მოხმარებაც არის პროცესი, რომელშიც ერთი სახეობის დოვლათი გარდაიქმნება მეორე სახეობის დოვლათად, რესურსები გარდაიქმნება პროდუქტებად, რომელნიც თვითონ არიან რესურსები სხვა პროდუქტების მისაღებად და ა.შ. მაგრამ იმისათვის, რომ სუბიექტს შეეძლოს ასეთი გარდაქმნების განხორციელება და თავისი ნებით ობიექტების განკარგვა, იგი უნდა ფლობდეს მათ. ადამიანი ახდენს რა თავისი თავის, როგორც მატერიალური დოვლათის მფლობელის (მესაკუთრის) აღწარმოებას, იგი ახდენს ეკონომიკური პროცესის გაგრძელებისათვის აუცილებელი პირობების აღწარმოებასაც.

აგრეთვე, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შედეგად ადამიანი ახდენს თავისი თავის აღწარმოებას, როგორც სუბიექტისა, რომელიც იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. იგი ახდენს თავისი თავის, როგორც მეწარმის აღწარმოებას, რომელიც შეგნებულად იღებს საკუთარ თავზე საწარმოო რისკს, და როგორც დამზოგველისა, რომელიც მომჭირნეობის წყალობით ახორციელებს დაზოგვას. ყოველივე ამით ადამიანი ახდენს ეკონომიკური მოღვაწეობისათვის აუცილებელი პირობების აღწარმოებას.

მთლიანად ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც ფუნქციონალურად, ანუ ორგანიზაციულად ჩაკეტილი პროცესი, რომელშიც ჩართულია ადამიანიც (როგორც თავისი მოღვაწეობის მთავარი რესურსი და პროდუქტი), და ბუნების ობიექტებიც. ამ პროცესში ჩართული ყოველი დოვლათი ერთდროულად არის რესურსიც და პროდუქტიც. პირველადი რესურსების მოხმარება არის შუალედური პროდუქტების წარმოება, მათი მოხმარება კი, თავის მხრივ, არის საბოლოო პროდუქტების წარმოება, ხოლო საბოლოო პროდუქტების მოხმარება არის ისევ პირველადი რესურსების აღწარმოება და ა.შ. ერთი დოვლათის წარმოებაში და მოხმარებაში მომხდარი ცვლილებები გარდუვალად აისახება დანარჩენი დოვლათის წარმოებაზე და

მოხმარებაზე. ეს არის რთული სისტემა, რომელიც საჭიროებს რეგულირებას.

3. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ისევე, როგორც ყოველი მიზეზი ბადებს შედეგს, რამელიც არის სხვა შედეგის მიზეზი, ასევე, ყოველი რესურსის მოხმარებით იწარმოება პროდუქტი, რომელიც თვით არის რესურსი სხვა პროდუქტების საწარმოებლად. მაგრამ სხვაობა ამ პროცესებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ბუნებაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირე-ბისგან განსხვავებით, რესურსების პროდუქტებად გარდაქმნა ხდება არა შემთხვევითობის საფუძველზე, არამედ სუბიექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, შეგნებულად გაკეთებული არჩევანის საფუძველზე, ანუ, ხდება მისი გაცნობიერებული მოთხოვნილებების შესაბამისად. ყოველი მოქმედების წინ, რესურ-სების პროდუქტებად გარდაქნის ყოველი აქტის წინ, მიიღება გადაწყვეტილება, კეთდება არჩევანი ალტერნატიული შესაძლებ-ლობებიდან, ხდება მიზნის დასახვა. ადამიანმა წინასწარ იცის, თუ რა რეზულტატი იქნება მიღებული და რომელი ახალი მოთხოვნი-ლებებისათვის იქნება შესაძლებელი მისი, როგორც რესუსრსის, გამოყენება. ეს ხდის ეკონომიკურ მოღვაწეობას დროში და სივრცეში ორგანიზებულ პროცესად, რომლის საბოლოო მიზნია სუბიექტის ეკონომიკური თავისუფლების ზრდა.

4. ყოველი ეკონომიკური მოქმედება არსებობს დროში - იბადება, ასრულებს გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციას და სამუდამოდ უჩინარდება. მაგრამ სანამ გაუჩინერდება, იგი ბადებს სხვა, მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებულ სხვა მოქმედებას. ანუ, მოქმედებები დროში იბადებიან და უჩინარდებიან, მაგრამ ფუნქციები, რომლებსაც ასრულებენ ეს მოქმედებები, რჩება უცვლელი. ყოველი ამ ფუნქციის შესრულება გარანტირებულია, რადგან რაიმე მოქმედების მიერ შესრულებული ნებისმიერი ფუნქცია ახდენს ახალი მოქმედებების პროვოცირებას, რომლებიც

ასრულებენ მაპროვოცირებელი ფუნქციასთან სისტემურად დაკავშირებულ მომიჯნავე ფუნქციას.

შესაბამისად, მოქმედებებით გამოწვეული ემპირიული პროცესები არსებობენ დროში და სივრცეში, რეალურ სამყაროში. ხოლო, მათ მიერ შესრულებული ფუნქციები ადამიანის მიერ აღიქმებიან როგორც ესა თუ ის კონკრეტული ფუნქცია იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაში არიან ამ მოქმედებებით რეალურ სამყაროში გამოწვეული ცვლილებები მის გაცნობიერებულ მოთხოვნილებთან. შესაბამისად ეკონომიკა, როგორც ასეთი, არსებობს მხოლოდ ადამიანის და საზოგადოების ცნობიერებაში. ანუ ეკონომიკა არის ადამიანის მიერ იმ პროცესების აღქმა, რომელიც გამოწვეულია მისივე მოქმედებებით, მისივე აქტივობით, მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ანუ ეკონომიკა, როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა, არსებობს მხოლოდ ადამიანების ცნობიერებაში, ხოლო ამ მოქმედებებით ემპირიულ რეალობაში გამოწვეული პროცესები, თავისთავად არ წარმოედგენენ ეკონომიკურ პროცესებს. ისევე, როგორც საზოგადოების სხვა ქვესისტემები, როგორიც არის პოლიტიკა, სამართალი, ზნეობა, კულტურა, მეცნიერება და სხვ., ეკონომიკა წარმოადგენს სოციალურ რეალობას. ამიტომ, მისი აღქმა, დაფიქსირება, შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს.

ანუ, ცალკეული მოქმედებები იბადებიან და უჩინარდებიან. მაგრამ მათ მიერ შესრულებული ურთიერთდაკავშრებული ფუნქციების ერთიანი სიტემა არსებობს უცვლელად იქამდე, სანამ არსებობს მოქმედებათა სისტემა. თუ რომელიმე ფუნქცია არ შესრულდება, სისტემა დაიშლება, შეწყვეტს არსებობას. ყველა ფუნქცია კონკრეტული თანმიდევრობით არიან დაკავშირებული თავიანთ მომიჯნავე ფუნქციასთან და ყველა ერთად ქმნიან წრიულად ორგანიზებულ მთლიანობას.

2.2.3. რესურსები და პროდუქტები

1. როგორც უკვე აღინიშნა, მიზანი, საშუალება და რეზულტატი ურთიერთდაკაბშირებულნი არიან ერთიან ფუნქციონალურად ჩაკეტილ პროცესში. ერთი წარმოების რეზულტატი არის საშუალება მეორე წარმოებაში და ა.შ. ოპტიმალური მოღვაწეობის შემთხვევაში არ არსებობს წარმოების არც ერთი პროდუქტი, რომელიც არ არის რესურსი სხვა პროდუქტების წარმოებაში. და არ არის არც ერთი რესურსი, რომლის მოხმარების შედეგადაც არ არის წარმოებული პროდუქტი.[50]

თუ რომელიმე დოვლათის წარმოებას და მოხმარებას განვიხილავთ როგორც უსასრულოდ განახლებად პროცესს, მაშინ მივიღებთ ამ დოვლათის აღწარმოების პროცესს. დოვლათის აღწარმოება წარმოადგენს ნაკადს, რომელიც განისაზღვრება დროის ერთეულში. თუ გავითვალისწინებთ ყველა დოვლათის წარმოების და მოხმარების საყოველთაო ურთიერთკავშირებს, როგორც უკვე აღინიშნა, მივიღებთ, რომ ყველა სახის დოვლათის აღწარმოების პროცესები ერთად წარმოადგენენ ერთიან ორგანიზაციულად ჩაკეტილ სისტემას. ამრიგად გვაქვს დაუსრულებლად აღწარმოებადი ნაკადების ჩაკეტილი სისტემა, რომელთაგან მთავარია ადამიანის აღწარმოება. დოვლათის ნაკადების ამ ჩაკეტილ სისტემაში ყველა ნაკადებს შორის უნდა არსებობდეს სრული შესაბამისობა როგორც დროის, ისე მოცულობის თვალსაზრისით.

2. აგრეთვე იყო ნაჩვენები, რომ, ერთი მხრივ, პროდუქტი არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება, და მეორე მხრივ, რადგან პროდუქტი იმთავითვე იქმნება როგორც რესურსი სხვა მოთხოვნი-

---

[50] ან ერთდროულად ფიზიკური და ტელეოლოგიური, ან მხოლოდ ტელეოლოგიური თვალსაზრისით, როგორც, მაგალითად, პირველადი რესურსების აღწარმოების შემთხვევაში. რადგან ტელეოლოგიური თვალსაზრისით პირველადი რესურსები წარმოადგენენ ადამიანის აღწარმოების მეშვეობით მიღებულ პროდუქტს.

ლებებისათვის, ამიტომ იგი ბადებს ახალ შესაძლებლობებს ახალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამით იგი პოტენციურ მითხოვნილებებს გადააქცევს რეალურ, აქტუალურ მოთხოვნილებებად. ამგვარად პროდუქტი, როგორც დაკმაყოფილებული მოთხოვნილება, თვითონვე ბადებს ახალ მოთხოვნილებებს. დაკმაყოფილებული და ახლადშობილი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების უწყვეტი ნაკადები არის ისეთივე ჩაკეტილი სისტემა, როგორც მოხმარებული და კვლავ წარმოებული დოვლათის ნაკადების სისტემა. ორივე ეს სისტემა არსებობს ერთმანეთის პარალელურად და ახდენენ ერთმანეთის გენერირებას. ერთი მათგანი არსებობს მატერიალური პროცესების სახით, მეორე - იდეალური, ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების სახით. ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური მოღვაწეობის, როგორც ერთიანი ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემის, ორ ასპექტს. მათი წყალობით, ადამიანის ნების „გავლენის ზონაში“ მიმდინარე მატერიალური პროცესები ღებულობენ მიზანმიმართულ ხასიათს ადამიანის გაცნობიერებული მოთხოვნილებების შესაბამისად.

3. დოვლათი (პროდუქტი და რესურსი) არის დოვლათი მხოლოდ ადამიანის მოთხოვნილებებთან მიმართებაში. ხოლო მოთხოვნილებების გარეშე, თავისთავად, იგი არ არის დოვლათი, არამედ არის მატერიალური ობიქტები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, რის შედეგადაც ერთნი ნადგურდებიან და მათ მაგივრად ჩნდებიან სხვანი. ამიტომ ზემოხსენებული ნაკადების სისტემა, როგორც ერთი სახის დოვლათის მეორეში გარდაქმნის უწყვეტი პროცესების ერთობლიობა, წარმოადგენს ჩაკეტილ სისტემას მხოლოდ ტელეოლოგიური თვალსაზრისით, მხოლოდ ადამიანის მოთხოვნილებებთან მიმართებაში, რომელთა დაკმაყოფილება და კვლავ აღმოცენება პერმანენტულად მიმდინარეობს. მაგრამ თავის მატერიალურ განსახიერებაში ეს პროცესები წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაირსახეობის ობიექტების მეორეში გარდაქმნის პროცესებს ბუნების ობიექტური

კანონების თანახმად, კაუზალობის თანახმად. ეს არის ჩვეულებრივი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ემპირიული პროცესები, რომლებიც შეუქცევადად მიმდინარეობენ დროში. ამიტომ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს ადამიანის მოთხოვნილებების შესაბამისად, მაშინ ამა თუ იმ იბიექტების სხვა ობიექტებში ემპირიული გარდაქმნები, არის არა ჩაკეტილი სისტემა, არამედ ცალმხრივად მომდინარე ბუნების გარდაქმნის შეუქცევადი პროცესები. ანუ, ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს ერთდროულად ფუნქციონალური ჩაკეტილობა და კაუზალური გახსნილობა. სწორედ ამ პროცესების შედეგად, ცივილიზაციის არსებობის სულ რაღაც 9-10 ათასწლეულის განმავლობაში, ადამიანისადმი მტრულად განწყობილი ველური ბუნება პლანეტარული მასშტაბით გარდაიქმნა ადამიანის ცივილიზებული არსებობისათვის (შედარებით) კომფორტულ გარემოდ, რომელშიც იგი თავს გრძნობს თავისუფლად, „როგორც საკუთარ სახლში“.

4. თუ ეკონომიკურ მოღვაწეობას განვიხილავთ როგორც აღწარმოების ჩაკეტილ პროცესს, მაშინ დროის ფიქსირებულ პერიოდთან (როგორც დროის ათვლის პირობით ერთეულთან) მიმართებაში ზოგირთი დოვლათის აღწარმოების ციკლი საჭიროებს უფრო მეტ დროს, ზოგის - უფრო ნაკლებ დროს, ვიდრე ზემოხსენებული პერიოდი. ზოგი დოვლათი მთლიანად იხარჯება და კვლავ იწარმოება დროის ერთი ინტერვალის ფარგლებში. ზოგი დოვლათი კი, მისი ცვეთის კვალდაკვალ, პერიოდულად საჭიროებს გამოცვლას, ახლით ჩანაცვლებას. რადგან მოხმარების პროცესში მისი ცვეთა ხდება თანდათან, მრავალი (პირობითად, ფიქსირებული) დროის ერთეულის განმავლობაში. შესაბამისად, დოვლათის ერთი ნაწილი წარმოადგენს ძირითად დოვლათს (საშუალებებს, ფონდებს), ხოლო მეორე ნაწილი – საბრუნავ დოვლათს (საშუალებებს, ფონდებს). მაგრამ ცხადია, რომ ძირითადი და საბრუნავი საშუალებები ფარდობითი ცნებებია, და მთლიანად

არიან დამოკიდებულნი დროის ინტერვალზე, რომელიც მიჩნეულია პირობით ერთეულად. რადგან ყოველ დოვლათს გააჩნია საწარმოო და სამომხმარებლო ციკლის სხვადასხვა ხანგრძლიობა. ამიტომ ამ ინტერვალის შემცირების შემთხვევაში, ზოგი საბრუნავი საშუალება გარდაიქმნება ძირითად საშუალებად, ხოლო ამ ინტერვალის გაზრდის შემთხვევაში – ზოგი ძირითადი საშეალება გარდაიქმნება საბრუნავ საშუალებად. ამასთან, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ძირითად და საბრუნავ საშუალებებად იყოფა არა მარტო საწარმოო დანიშნელების დოვლათი, არამედ სამომხმარებლო დოვლათიც.

5. ამრიგად, ტექნოლოგიური გამოყენების პროცესში, დროის ერთეულის ინტერვალში, რესურსების ერთი ნაწილი ნადგურდება, ხოლო მეორე ნაწილი არ ნადგურდება, მაგრამ განიცდის ცვეთას. განადგურებადი რესურსები შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ ერთხელ, ერთ საწარმოო ციკლში, ხოლო რესურსები, რომლებიც განიცდიან ცვეთას, შეიძლება იყოს გამოყენებული მრავალჯერ, მათი მწყობრიდან გამოსვლამდე. ერთ საწარმოო ციკლის ფარგლებში, ერთჯერადად გამოყენებული და ამავე პროცესში განადგურებული რესურსები, სუბიექტის მიერ აღიქმება როგორც ამ კომკრეტული პროდუქტის წარმოებისათვის შეზღუდული რესურსები. მაგრამ, მრავალჯერადად, მრავალ საწარმოო ციკლში გამოყენებული რესურსები, მოცემულ საწარმოო ციკლთან მიმართებაში, არ აღიქმება როგორც შეზღუდული.[51] შესაბამისად, მოცემულ *საწარმოო პერიოდთან მიმართებაში,* ისინი აღიქმებიან არა როგორც საშუალებები, არამედ როგორც წარმოების პირობები. ამიტომ ასეთი რესურსების მოხმარება აღიქმება არა როგორც მათი ხარჯვა, არამედ როგორც მათი მომსახურებით სარგებლობა.

[51] თუმცა, ცხადია, რომ ზოგადად, ეკონომიკური მოღვაწეობის კონტექსტში, ანუ, ამ ერთი საწარმოო ციკლის ფარგლებს გარეთ, ეს რესურესები რჩება შეზღუდულ რესურსებად.

განსხვავებით დახარჯული რესურსებისაგან, რომელთა გაზომვაც ხდება წონის, სიგრძის, თუ ცალობის ფიზიკურ ერთეულებში, მომსახურება, როგორც დროში მიმდინარე პროცესი, იზომება მომსახურების მიმდინარეობის დროით.

6. წარმოების და მოხმარების ძირითადი საშუალებები არის კაპიტალური დოვლათი. მათგან მიღებული მომსახურება ქმნის აუცილებელ პირობებს შეზღუდული დოვლათისა და ადამიანის აღწარმოების ნორმალური მიმდინარეობისათვის. ამასთანავე, კაპიტალური დოვლათი თვით არის წარმოების პროდუქტი. ამიტომ იმისთვის, რომ პერიოდულად მოხდეს ამორტიზებული საშუალებების ახლით ჩანაცვლება (აგრეთვე ახლის დამატება), საჭიროა გამუდმებით რესურსების დაზოგვა მათი წარმოებისათვის და, ესე იგი, რესურსების ამოღება მიმდინარე მოხმარებისათვის განკუთვნილი დოვლათის წარმოებიდან.

ეკონომიკური მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზოგვასა და ინვესტირებას შორის არსებობს კაუზალური კავშირი. მას ადგილი აქვს როგორც ნატურალურ, ისე საბაზრო და რეგულირებად ეკონომიკაში. დაზოგვასა და ინვესტირებას შორის ლოგიკური კავშირის საილუსტრაციოდ ე. ბემ-ბავერკს მოჰყავს ასეთი მაგალითი. აღმოჩნდა რა უკაცრიელ კუნძულზე, რობიზონ კრუზო იძულებულია თავის გამოსაკვებად ყოველდღე კრეფდეს კენკრას და ხეების ნაყოფს. მალე იგი აკეთებს „სამეწარმეო აღმოჩენას“, რომ გრძელი ჯოხით, რამოდენიმე მეტრის სიგრძის ჯოხის მეშვეობით იგი შეძლებდა უფრო მეტი ნაყოფის მოკრეფას შრომის და დროის იგივე დანახაჯებით. მაგრამ ასეთი ჯოხის დასამზადებლად, მისი ვარაუდით, საჭირო იყო ხუთი დღე. იმისათვის, რომ ეს ხუთი დღე მან შეძლოს მთლიანად მოახმაროს ასეთი ჯოხის დამზადებას (მოძებნოს ტყეში შესაბამისი ხე, მოაჭრას ტოტები, გამოთალოს და ა.შ.), მან უნდა წინასწარ შეზღუდოს კენკრას და მცენარეთა ნაყოფის ყოველდღიური მოხმარება და გააკეთოს მათი მარაგი იმ რაოდენობით, რომ ეყოს

ხუთი დღის საკვებად. რადგან ამ ხუთი დღის განმავლობაში იგი იძულებული იქნება შეწყვიტოს კენკრას და ნაყოფის კრეფა. თუ ეს მარაგი არ იქნება საკმარისი, იგი ვერ შეძლებს დაასრულოს ჯოხის დამზადების პროცესი. თუ მარაგი იქნება საჭიროზე მეტი, იგი ტყუილუბრალოდ შეზღუდავს თავის მოხმარებას. ისეთი შეზღუ-დული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, როგორიც არის შრომა და სამუშაო დრო, რობიზონმა უნდა გააკეთოს იმოდენა მარაგი, რამხელაც აუცილებელია ჯოხის დასამზადებ-ლად (რომელიც, ამ შემთხვევაში, ასრულებს კაპიტალური დოვლათის ფუნქციას).

ამრიგად, მიმდინარე მოხმარებისათვის (როგორც საწარმოო, ისე სამომხმარებლო დანიშნულების) დოვლათის წარმოების პარალელურად აუცილებელია რესურსების დაზოგვა და მათი ინვესტირება კაპიტალური დოვლათის წარმოებაში, ესე იგი, საჭიროა შეიზღუდოს მიმდინარე მოხმარების დოვლათის წარმო-ება. ესე იგი საჭიროა მომჭირნეობა და მიმდინარე მოხმარების შეზღუდვა.

7. როგორც უკვე აღინიშნა, წარმოება დაკავშირებულია საწარმოო რისკთან, რომ პროდუქტები არ იქნება მიღებული და, ესე იგი, მოხმარებაც დაკავშირებულია იმის რისკთან, რომ დარჩება მოხმარებისთვის საჭირო პროდუქტების გარეშე. ამიტომ სუბიქტმა უნდა შექმნას მზა პროდუქციის მარაგი, როგორც სადაზღვევო ფონდი. შესაბამისად, მან უნდა აწარმოოს საბოლოო პროდუქტები უფრო მეტი, ვიდრე ეს საჭიროა მიმდინარე მოხმარებისათვის. მაგრამ გარდა ამისა, საბოლოო პროდუქტი საჭიროა პირობების შესაქმნელად არასაწარმოო სფეროების ფუნქციონირებისათვის. საჭიროა ინვესტიციები ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა იმ სფეროში, რომლებიც საჭიროებენ მატერიალურ დოვლათს, მაგრამ თვითონ არ განეკუთვნებიან მატერიალურ წარმოებას.

არასაწარმოო სფეროში იწარმოება არამატერიალური დოვლათი, იქმნება "ადამიანური კაპიტალი", რომელიც, თავისი მომსახურებით, ქმნის იმ სოციალურ და სულიერ გარემოს, რომლის გარეშეც ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებს ნორმალურად. რადგან ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს მეცნიერების, განათლების, ჯანდაცვის, მართლწესრიგის და სხვ. დარგების გარეშე; შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების და სულიერად განვითარებული ადამიანის და, შესაბამისად, რელიგიის, ხელოვნების, სამართალის, პოლიტიკის და სხვ. აქტივობების გარეშე.

ეკონომიკური მოღვაწეობა არ არის თვითმიზანი, იგი არის საერთოდ ადამიანის მოღვაწეობის ორგანული ნაწილი. განა იმისთვის არ არის საჭირო შეზღუდული, მათ შორის მატერიალური, დოვლათი, რომ უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ცხოვრების აგრეთვე ეს სფეროებიც, და არა მხოლოდ იმისთვის, რომ დაკმაყოფილებული იქნეს ვიტალური მოთხოვნილებები. ადამიანის მოღვაწეობის ეს სფეროები ისევე ქმნიან აუცილებელ პირობებს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, როგორც ეკონომიკა ქმნის ეკონომიკურ პირობებს მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ამ სფეროების ფუნქციონირებაზე გაწეული ეკონომიკური ხარჯები ნაწილობრივ შედიან ადამიანის მიმდინარე მოხმარების შემადგენლობაში. ამასთან, მთელი რიგი სახეობების არამატერიალური დოვლათის შესაქმნელად საჭიროა გაცილებით ხანგრძლივი პერიოდი, ვიდრე პირობით ერთეულად მიჩნეული დროის ინტერვალი. შესაბამისად, აღწარმოების პროცესის ნორმალური მიმდინარეობისათვის ეკონომიკური მოღვაწეობა საჭიროებს არა მარტო პირველადი რესურსების დაზოგვას ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირებისთვის. აუცილებელია, აგრეთვე, საბოლოო პროდუქტის დაზოგვაც მათი ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების მიზნით. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ნაწილი გამიზნულია არა ადამიანის მიმდინარე მოთხოვნილებების დასა-

კმაყოფილებლად, რაც აუცილებელია ნორმალური ცხოვრების პირობების აღწარმოებისთვის. არამედ საბოლოო პროდუქტების ნაწილი იწარმოება მათი ინვესტირებისათვის არამატერიალური (სოციალური, სულიერი) დოვლათის წარმოებაში ანუ ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისათვის.

8. ამრიგად, პირველადი რესურსები შედგება აუცილებელი და დაზოგილი რესურსებისგან, ხოლო საბოლოო პროდუქტი შედგება აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტისგან. დაზოგილი რესურსების ინვესტირება ხდება ფიზიკური კაპიტალის წარმოებაში (ამორტიზირებული კაპიტალის ჩანაცვლების და ახალი კაპიტალის შექმნის მიზნით). ხოლო ზედმეტი პროდუქტის ინვესტირება ხდება ადამიანურ კაპიტალში. შესაბამისად, ნატურალური ეკონომიკის პირობებში სუბიექტი ასრულებს არა მარტო წარმოების, მოხმარების და ფლობის, არამედ აგრეთვე მეწარმეობის, დაზოგვის და (ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში) ინვესტირების ფუნქციებსაც.

9. ეკონომიკური მოღვაწეობის არსიდან გამომდინარეობს, რომ პროდუქტების სარგებლიანობა სუბიექტისთვის მეტია, ვიდრე მსხვერპლად გაღებული რესურსების სარგებლიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რესურსების პროდუქტებად გარდაქმნა დაკარგავდა აზრს. მაგრამ, რესურსების პროდუქტებად გარდაქმნა არის წრიული პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც წარმოების, ისე მოხმარების სფეროს.[52]

წარმოების სფეროში პირველადი რესურსები გარდაიქმნება საბოლოო პროდუქტებად. საბოლოო პროდუქტების ეკონომიკური

---

[52] როგორც უკვე აღინიშნა, ყოველი ეკონომიკური დოვლათი ერთდროულად არის წინა მოღვაწეობის პროდუქტი და შემდგომი მოღვაწეობისათვის რესურსი, ხოლო მათი დაყოფა პირველად რესურსებად და საბოლოო პროდუქტებად - პირობითია. წარმოების სფეროს საბოლოო პროდუქტები არის „პირველადი რესურსები“ მოხმარების სფეროსათვის, ხოლო პირველადი რესურსები წარმოების სფეროსათვის, არის მოხმარების სფეროს „საბოლოო პროდუქტი“.

სარგებლიანობა მეტია, ვიდრე იმ აუცილებელი რესურსების სარგებლიანობა, რომლითაც ისინი იყვნენ წარმოებული. ამიტომ, რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის ყველა ეტაპზე ადგილი აქვს ზედმეტი სარგებლიანიბის შექმნას. რადგან წარმოების შემთხვევაში ადგილი აქვს ახალი პროდუქტის შექმნას, რომლის ეკონომიკური სარგებლიანობა მეტია დახარჯული რესურსების ეკონომიკურ სარგებლიანობაზე. და რადგან ეს ასეა თვითეული პროდუქტის შემთხვევაში, ამიტომ მთლიანად ეკონომიკაშიც საბოლოო პროდუქტის სარგებლიანობა აღემატება მის მიმდინარე წარმოებაზე დახარჯული პირველადი რესურსების სარგებლია-ნობას ზედმეტი სარგებლიანობის სიდიდით. ეკონომიკური სარგებლიანობის ეს ნამეტი მიღებულია სამეწარმეო მოღვაწეობის შედეგად.[53]

ანალოგიურად, პირველადი რესურსების აღწარმოების სფეროში (ანუ მოხმარების სფეროში) აღწარმოებული პირველადი რესურსების ეკონომიკური სარგებლიანობა აღემატება მათი აღწარმოების პროცესში მოხმარებული საბოლოო პროდუქტის სარგებლიანობას. ეკონომიკური სარგებლიანობის ეს ნამეტი მიღებულია მომხმარებელთა მომჭირნეობის, თავშეკავების წყალო-ბით. ამიტომ, ზედმეტი სარგებლიანობის, უფრო ზუსტად, დაზოგილი სარგებლიანობის, შექმნას ადგილი აქვს აგრეთვე საბოლოო პროდუქტის პირველად რესურსებად გარდაქმნის პროცესშიც.[54]

---

[53] ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი ზედმეტი სარგებლიანობა, რომელიც განივთებულია მთლიანად საბოლოო პროდუქტში (ანუ, ერთად აღებულ აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტში), ზედმეტი პტოდუქტის მთლიანი სარგებლიანობის ტოლია. ხოლო მთლიანად საბოლოო პროდუქტის წარმოებაზე გაწეული მთლიანი ხარჯები (ანუ, წარმოების პროცესში მსხვერპლად გაღებული აუცილებელი რესურსების მთლიანი სარგებლიანობა) აუცილებელი პროდუქტების მთლიანი სარგებლიანობის ტოლია.

[54] ამასთან, მთლიანად პირველად რესურსებში (ანუ, აუცილებელ და დაზოგილ რესურსებში ერთად) განივთებული დაზოგილი სარგებლიანობა უდრის

ამრიგად, სარგებლიანობის მატება წარმოადგენს პერმანენ-ტულ პროცესს. როგორც პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე, ისე რესურსის ერთეულის აღწარმოებაზე მსხვერპლად გაიღება უფრო ნაკლები ეკონომიკური სარგებლიანობა, ვიდრე მათი ფაქტიური სარგებლიანობა. ამიტომ, პირველადი რესურსის ერთეული ისევე შეიცავს თავის თავში დაზოგილ სარგაბლიანობას, როგორც საბოლოო პროდუქტის ყოველი ერთეული შეიცავს ზედმეტ სარგებლიანობას. შესაბამისად, ეკონომიკური სარგებლიანობის ზრდას ადგილი აქვს წარმოების სფეროში, და მის დაზოგვას – მოხმარების სფეროში. ეს დამატებული სარგებლიანობა განივთე-ბულია ზედმეტ პროდუქტებში და დაზოგილ რესურსებში.

10. ასე რომ, ზედმეტი სარგებლიანობის შექმნა ხდება მეწარმეობით, ხოლო სარგებლიანობის დაზოგვა ხდება მომჭირნე-ობით, მახმარებისაგან თავშეკავებით. ამიტომ, პროდუქტების წარმოების და რესურსების აღწარმოების (ანუ, მოხმარების) სფეროებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ნებისმი-ერი ეკონომიკური დოვლათის სარგებლიანობა აღემატება მასში განივთებულ ხარჯებს, ზედმეტი, ან დაზოგილი სარგებლიანობის სიდიდით.

ამასთან, ზედმეტი და დაზოგილი სარგებლიანობები ერთმა-ნეთთან მიმართებაში არიან ისეთივე დიალექტიკურ კავშირში, როგორც თვით წარმოება და მოხმარება. როგორც უკვე აღინიშნა, წარმოების სფერო გულისხმობს არა მარტო წარმოების, არამედ მოხმარების პროცესსაც. და თუ ამ სფეროს განვიხილავთ მოხმა-რების პროცესის თვალსაზრისით, მაშინ ამ სფეროში წარმოებული მთლიანი პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც არ გაიცვლება

დაზოგილი რესურსების სარგებლიანობას. ხოლო მთლიანად პირველადი რესურსების აღწარმოებაზე გაწეული მთლიანი ხარჯები (ანუ, პირველადი რესურსების აღწარმოების პროცესში მოხმარებული აუცილებელი პროდუქტის მთლიანი სარგებლიანობა) უდრის აუცილებელი რესურსების მთლიან სარგებლიანობას.

საწარმოო მოხმარებისათვის საჭირო აუცილებელ პირველად რესურსებზე, შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ სფეროში გაკეთებული დანაზოგები, ხოლო ხსენებული პროდუქტების სარგებლიანობა შეიძლება განვიხილოთ როგორც დაზოგილი სარგებლიანობა. ცხადია, თუ წარმოების სფეროში წარმოების მოცულობა არ იზრდება, ან არ მცირდება, მაშინ ზედმეტი პროდუქტი შეესაბამება დაზოგილ პროდუქტს, ხოლო ზედმეტი სარგებლიანობა - დაზოგილ სარგებლიანობას. ანუ მთლიანი პროდუქტის ნაწილი და მისი შესაბამისი სარგებლიანობა შეიძ-ლება განვიხილოთ როგორც ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი სარგებლიანობა, ან როგორც დაზოგილი პროდუქტი და დაზო-გილი სარგებლიანობა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვი-ხილავთ თვით წარმოების სფეროს - როგორც წარმოებას, თუ როგორც მოხმარებას.

ანალოგიურად, თუ მოხმარების სფეროს განვიხილავთ როგორც პირველადი რესურსების წარმოების სფეროს, მაშინ, იგივე ლოგიკით, დაზოგოლი რესურსები და დაზიგილი სარგებლიანობა შეიძლება წარმოევიდგინოთ როგორც ზედმეტი რესურსები და ზედმეტი სარგებლიანობა.

ამასთან, ზედმეტი სარგებლიანობა და დაზოგოლი სარგებ-ლიანობა ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიებია ისევე, როგორ თვით წარმოება და მოხმარება.

2.2.4. ეკონომიკური ფასეულობა

1. დოვლათის *ბუნებრივი სარგებლიანობა* განპირობებულია ობიექტის ბუნებრივი თვისებებით (იგულისხმება ფიზიკური, ქიმიური და ა.შ. თვისებები, ფორმა, მდებარეობა, და სხვ.), რომელთა მეშვეობითაც მას შეუძლია ადამიანის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. *ეკონომიკურო სარგებლია-ნობა* განპირობებულია, ჯერ ერთი, სუბიექტის ცოდნით, რომ

ობიექტს გააჩნია ეს თვისებები, და მეორეც, იმის ცოდნით, რომ მოთხოვნილებებთან შედარებით ეს დოვლათი შეზღუდულია და ამიტომ გარკვეული მსხვერპლის და ძალისხმევის გარეშე იგი ვერ გახდება სუბიექტისათვის ხელმისაწვდომი და მის მიერ გამოყენებული. რაც შეეხება *ეკონომიკურ ფასეულობას,* ზემოხსენებული ცოდნის გარდა, დოვლათის ფასეულობა განპირობებულია სუბიექტის ძალაუფლების, მისი ნების გავრცელებით დოვლათზე. შესაძლოა სუბიექტმა იცოდეს, რომ დოვლათს გააჩნია მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი. მაგრამ ამის ცოდნა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს დოვლათი წარმოადგენდეს მისთვის ფასეულობას. გარდა ამისა აუცილებელია, რომ დოვლათი იმყოფებოდეს მისი ნების განკარგულებაში ანუ, სუბიექტი უნდა ფლობდეს მას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ იგი გახდეს საშუალება სუბიექტის მიზნების განსახორციელებლად, მიანიჭოს მას ეკონომიკური თავისუფლება და, ამრიგად, წარმოადგენდეს მისთვის ეკონომიკურ ფასეულობას.[55]

ადამიანს გააჩნია მრავალი გაცნობიერებული მოთხოვნილებაც და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებიც. ყველა ისინი არიან არა მხოლოდ პოტენციური, არამედ აგრეთვე რეალური, აქტუალური მოთხოვნილებები, რადგან ადამიანი ფლობს შესაბამის რესურსებს, დოვლათს, რომლითაც შეუძლია ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ მოთხოვნილებების და დოვლათის არსებობა არ არის საკმარისი მათ დასაკმაყოფილებლად. როგორც უკვე აღინიშნა, საჭიროა კიდევ ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილი. რადგან მათი დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ მიზანშეწონილი მოღვაწეობის

[55] ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ი. შუმპეტერის მოსაზრება: „პურს არავინ არ აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენია იგი მის ქვეყანაში ან მსოფლიოში, არამედ მის სარგებლიანობას ყველა ზომავს იმის მიხედვით, თუ რამდენი პური აქვს თვითონ მას, ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მის საერთო სიმდიდრეზე“ (Schumpeter, 1908-9, 214).

მეშვეობით, მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების და მიზნის დასახვის შემდეგ. მიზანი არის გაცნობიერებული მოთხოვნილება, რომელიც სუბიექტმა აირჩია მრავალ სხვა ალტერნატიულ მოთხოვნილებათა შორის და მიიღო გადაწყვეტილება სწორედ მისი დაკმაყოფილების შესახებ. ეს გულისხმობს, რომ სუბიექტმა არა მარტო *იცის,* თუ როგორ უნდა გააკეთოს ეს, და არა მარტო *სურს* ამის გაკეთება, არამედ *შეუძლია* კიდეც ამის გაკეთება, რადგან ფლობს ამისათვის საჭირო რესურსებს. არსებული ალტერნატივებიდან მიზნების არჩევის ასეთ თავისუფლებას ადამიანს ანიჭებს მხოლოდ ის დოვლათი, რომელიც იმყოფება მის მფლობელობაში, რომელზეც ვრცელდება მისი ძალაუფლება.[56]

ამრიგად, ეკონომიკური სარგებლიანობა ეფუძნება ადამიანის *ცოდნას* ობიექტების თვისებების შესახებ, ხოლო ფასეულობა, ცოდნის გარდა, გულისხმობს მისი *ძალაუფლების* გავრცელებას ამ ობიექტებზე. პირველი არის ობიექტისადმი თეორიული მიმართების შედეგი, მეორე - პრაქტიკული მიმართების შედეგი. მოთხოვნილებები და სარგებლიანობა გააჩნია ყველა ცოცხალ ორგანიზმს (მათ შორის ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას), რომელთა ნივთიერებათა ცვლა ბუნებასთან ხორციელდება ცხოველმოქმედების პროცესში. მაგრამ მიზნები და ფასეულობები აქვს მხოლოდ ადამიანს, რადგან მხოლოდ მას გააჩნია გონება და ნება. შესაბამისად, ბუნებასთან მისი ნივთიერებათა ცვლა იღებს სპეციფიკურად ადამიანურ ფორმას, მიზანშეწონილი მოღვაწეობის ფორმას. მიზნები, ფასეულობები და მიზანშეწონილი მოღვაწეობა განსხვავდებიან მოთხოვნილებების, სარგებლიანობების და ცხოველმოქმედებისაგან იმით, რომ მათი რეგულირება ხდება გონებით და ნებით, და არა ინსტინქტებით და გრძნობებით;

---

[56] ხოლო სამართლებრივ სივრცეში, როგორც უკვე აღინიშნა, *ფლობა* იძენს *სკუთრების* ფორმას.

2. ეკონომიკური სარგებლიანობა არის დოვლათის უნარი ადამიანს მიანიჭოს ალტერნატიული (სამომხმარებლო და საწარმოო) მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობები, ანუ მიანიჭოს მას არჩევანის თავისუფლება, ეკონომიკური თავისუფლება. მეტიც, ეკონომიკური სარგებლიანობა ვერ იქნება გამოყენებული სუბიექტის მიერ წინასწარ არჩევანის გაკეთების და გადაწყვეტილების მიღების გარეშე. შესაბამისად, ეკონომიკური სარგებლიანობა არის არა უბრალოდ სარგებლიანობა, როგორც მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ეს არის სპეციფიკური სარგებლიანობა, რომელიც აძლევს სუბიექტს შესაძლებლობას თვითონ *გააკეთოს თავისუფალი არჩევანი* ალტერნატიული მოთხოვნილებებიდან და დაიკმაყოფილოს ესა თუ ის კონკრეტული მოთხოვნილება. იგი აკმაყოფილებს ადამიანის სპეციფიკურ მოთხოვნილებას – თავისუფლების მოთხოვნილებას. სწორედ ამიტომ, იგი არის არა უბრალოდ სარგებლიანობა, არამედ *სამომხმარებლო ფასეულობა,*[57] ხოლო ვინაიდან არჩევანი თავისთავად უკვე გულისხმობს ალტერნატივებზე უარის თქმას, ამიტომ, მოთხოვნილების დაკმაყოფილება ეკონომიკური სარგებლიანობის მეშვეობით, გარდუვალად დაკავშირებულია ხარჯებთან. *ეკონომიკური ხარჯი* არის ალტერნატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მსხვერპლად გაღებული შესაძლებლობები, ესე იგი, მსხვერპლად გაღებულო ეკონომიკური თავისუფლება, და, როგორც ასეთი, არის *საწარმოო*

---

[57] „ ... საშუალებები ფასდება საბოლოო მიზნების მიღწევაში მათი მონაწილეობის სარგებლიანობის მიხედვით. მათი შეფასებები წარმოებულია (მეორადია) შესაბამისი მიზნების შეფასებებიდან. ადამიანებისთვის ისინი მნიშვნელოვანი არიან იმდენად, რამდენადაც ისინი შესაძლებელს ხდიან გარკვეული მიზნების მიღწევას. ... ფასეულობა არ არის შინაგანად თანდაყოლილი თვისება, იგი არ იმყოფება საგნის შიგნით. ფასეულობა ჩვენშია; იგი არის ხერხი, რომლითაც ადამიანი რეაგირებს მის ირგვლივ არსებულ გარემოებებზე“ (Мизес, 2005, 73).

ფასეულობა.[58] რადგან რესურსების სარგებლიანობა მათი გამოყენების შემდეგ გადაიქცევა ხარჯად, ეს ნიშნავს, რომ დახარჯულო რესურსების სამომხმარებლო ფასეულობა გარდაიქმნება წარმოებული პროდუქტის საწარმოო ფასეულობად.[59] ამასთან, პროდუქტის სრული საწარმოო ფასეულობა შედგება *ობიექტური* და *სუბიექტური ხარჯებისაგან.* "ობიექტური" რესურსების ხარჯებთან ერთად, სუბიექტური ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია სამეწარმეო რისკთან და მომჭირნეობასთან (მოხმარების შეზღუდვასთან), არის დოვლათის *წარმოების სრული ხარჯების* აუცილებელი კომპონენტი. ამიტომ პროდუქტის სარგებლიანობის ნამეტი მისი წარმოების ობიექტურ ხარჯებთან (დახარჯული რესურსების სარგებლიანობასთან) შედარებით იღებს ზედმერი ფასეულობის ფორმას. *ზედმეტი ფასეულობა* არის ეკონომიკური ფასეულობის და, ესე იგი, ეკონომიკური თავისუფლების ნამეტი, რომელიც მიიღება სუბიექტის ნების ძალისხმევით, ანუ ძალისხმევით, რომელიც განპირობებულია რისკის და მომჭირნეობის ტვირთით.[60] ფასეულობის ტელეოლოგიური კონცეფციის

---

[58] „ზოგიერთი ეკონომისტი პრდაპირ განასხვავებს ზოგადად ფასეულობის სამ სახეობას: სამომხმარებლო, საწარმოო და საცვლელ ფასეულობას, ამასთან, საცვლელი ფასეულობის ქვეშ იგულისხმება ნივთის მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდეასაც იგი გამოიყენება უშუალოდ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“ (Бем-Баверк, 1929, 72).

[59] თუმცა იგი აგრეთვე შეიძლება გარდაიქმნას დანაკარგად, მაგრამ ეს არ იქნება წინასწარ გამიზნული რეზულტატი. მისი დანიშნულება არ არის დანაკარგად გარდაქნა.

[60] „სხვაობას გადახდილი ფასის (გაწეული ხარჯების) ფასეულობასა და მიღწეული მიზნის ფასეულლობას შორის ეწოდება სარგებელი, მოგება, ან წმინდა შემოსავალი. ამ უმარტივესი გაგებით მოგება არის წმინდა სუბიექტური ცნება, ეს არის მოღვაწე ადამიანის ბედნიერების მატება, ეს არის ფსიქიური მოვლენა, რომელიც ვერც გაიზომება და ვერც აიწონება. ... სუბიექტური შეფასება არ იზომება, ხდება მხოლოდ მისი განთავსება ხარისხის შკალაზე, ანუ რანჟირება. იგი არის პრეფერენციების რიგითობის ანუ თანმიმდევრობის ასახვა, და არა ზომის და წონის ასახვა. მისდამი შეიძლება იქნას გამოყენებული მხოლოდ რიგითობითი, და არა რაოდენობითი რიცხვითი სახელები“ (Мизес, 2005, 74 – 75).

თანახმად, ეკონომიკური ფასეულობა იქმნება ეკონომიკური სუბიექტის სულიერი ძალისხმევით;

3. როგორც უკვე აღინიშნა, წარმოებაში გამოყენების შემდეგ რესურსების სარგებლიანობა გარდაიქმნება ხარჯებად. მაგრამ ხარჯები სხვა არაფერია, თუ არა „მოგონება“ იმ დახარჯული რესურსების სარგებლიანობის შესახებ, რომლებიც უკვე აღარ არიან. რესურსების სარგებლიანობა ნადგურდება რესურსების განადგურებასთან ერთად. ხოლო პროდუქტების სარგებლიანობა არის ახლად შექმნილი პროდუქტის სარგებლიანობა, რომელიც აღემატება მსხვერპლად გაღებული რესურსების სარგებლიანობას. ამიტომ პროდუქტში განივთებული ზედმეტი სარგებლიანობა არის არა დახარჯული რესურსების სარგებლიანობაზე დამატებული სარგებლიანობა, არამედ პროდუქტის ახლადშექმნილი სარგებლიანობის ნაწილი. მაგრამ იქამდე, სანამ შეიქმნება პროდუქტი, საჭიროა ჯერ რესურსების მოხმარება და, ესე იგი, მათი განადგურება, მათი სარგებლიანობის მსხვერპლად გაღება. ამასთანავე, არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ 1) პროდუქტი და მისი სარგებლიანობა აუცილებლად იქნება შექმნილი, ან რომ 2) ახლად შექმნილი სარგებლიანობა იქნება მსხვერპლად გაღებულ სარგებლიანობაზე მეტი. ამიტომ, ზედმეტი სარგებლიანიბის შექმნა დაკავშირებულია სამეწარმეო რისკთან. ანალოგიურად, აღწარმოებული რესურსების სარგებლიანობა არის ახალი რესურსების სარგებლიანობა. იგი აღემატება მსხვერპლად გაღებული, ანუ მოხმარებული პროდუქტების სარგებლიანობას, რაც დამოკიდებულია სუბიექტის მომჭირნეობის და თავშეკავების ხარისხზე. თავშეკავება არის რესურსების ზედმეტი სარგებლიანობის შექმნის წყარო.

რადგან სუბიექტი ერთდროულად არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც, და დოვლათსაც ერთდროულად აღიქვავს როგორც სარგებლიანობის მქონე რესურსს და ხარჯის ფასად მიღებულ პროდუქტს, ამიტომ ამ დოვლათსაც აღიქვავს

ერთდროულად როგორც სამომხმარებლო და როგორც საწარმოო ფასეულობებს. ეკონომიკური ფასეულობა არის სამომხმარებლო და საწარმოო ფასეულობების ერთობლიობა;[61]

4. მხოლოდ კონკრეტულ აქტში აღიქმება დოვლათი ან როგორც სამომხმარებლო, ან როგორც საწარმოო ფასეულობა, იმის მიხედვით, განიხილება იგი როგორც რესურსი, თუ როგორც პროდუქტი. მაგრამ ზოგადად მოღვაწეობის პოზიციებიდან, დოვლათის ეკონომიკური ფასეულობა წარმოადგენს სამომხმა-რებლო და საწარმოო ფასეულობების ერთობლიობას. ფასეულობის ეს ორი მოდუსი განუყრელია ერთმანეთისაგან ისევე, როგორც თვით დოვლათშია შეუძლებელი რესურსის და პროდუქტის ერთმანეთისგან განცალკევება, და როგორც სუბიექტშია შეუძ-ლებელი მომხმარებლის და მწარმოებლის ერთმანეთისგან იზოლირება. ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოგვიდგება როგორც სამომხმარებლო ფასეულობების საწარმოო ფასეულობებში, და სწარმოო ფასეულობების სამომხმარებლო ფასეულობებში

---

[61] „ეგრეთ წოდებული „ღირებულიბის პარადოქსი“, რომელიც მოყვანილია ეკონომიკური თეორიის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში, წარმოიქმნა ბუნებრივი და ეკონომიკური სარგებლიანობის გაიგივების შედეგად. ა. სმითი აღნიშნავდა რა, რომ ალმაზს არ გააჩნია არავითარი სარგებლიანობა, ხოლო წყალს გააჩნია დიდი სარგებლიანობა, ცხადია, რომ სარგებლიანობის ქვეშ იგი გულისხმობდა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარს. მაგრამ ეკონომიკური სარგებლიანობა არ არის კონკრეტული ბუნებრივი სარგებლიანობა. ეს არის აბსტრაქტული სარგებლიანობა. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ფასები ასახავენ სწორედ ეკონომიკურ, და არა კონკრეტულ სარგებლიანობებს, მაშინ „სმითის პარადაქსი“ სულაც არ არის პარადოქსი. თუ ალმაზის შესაძენად მავანი იძლევა მაღალ ფასს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ალმაზს გააჩნია ეკონომიკური სარგებლიანობა იმისთვის, ვინც მის შესაძენად იმეტებს ფულს. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ეკონომიკური მოთხოვნილება მასზე. ეკონომიური მოთხოვნილება იზომება იმ ხარჯით, რომელიც მსხვეროლად გაიღება მის დასაკმაყოფილებლად. ანუ იგი იზომება მისი გადახდისუნარიანობით. ხოლო ეკონომიკური სარგებლიანობა იზომება თავისი უნარით დააკმაყოფილოს გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. ეკონომიკური თვალსაზრისით არ აქვს მნიშვნელობა ამ მოთხოვნილების კონკრეტულ შინაარსს, იქნება ეს წყალის, ფუფუნების, სანახაობის, თუ ნარკოტიკის მოთხოვნილება.

ტრანსფორმირების უწყვეტი პროცესი. ანუ მარქსის ტერმინოლოგიით, როგორც ეკონომიკური ღირებულებების გასაგნების და განსაგნების პროცესი, რომლის დროსაც იქმნება ზედმეტი ღირებულება.

ფასეულობა თითქოსდა აწმყოში აერთიანებს წარსულს და მომავალს. სარგებლიანობა არის ალტერნატიული მოთხოვნილებების მომავალში დაკმაყოფილების უნარი. ხარჯები არის სარგებლიანობები, რომლებმაც უკვე დააკმაყოფილეს მოთხოვნილება. სარგებლიანობა არის დოვლათთან მიმართება მომავლის კონტექსტში, ხოლო ხარჯები - წარსულის კონტექსტში. სარგებლიანობა არის მომავლის „შემოტანა“ აწმყოში, ხარჯები - წარსულის „შემოტანა“ აწმყოში. ფასეულობა არის სარგებლიანობის და ხარჯების ერთობლიობა, ეს არის ადამიანის დოვლათთან ტელეოლოგიური დამოკიდებულება წარსულის, აწმყოსა და მომავლის პოზიციებიდან. თვითშეგნება არის სუბიექტის მიერ საკუთარი თავის, „მე“-ს აღქმა წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობაში. ბუნებრივია, რომ წარსულის, აწმყოს და მომავლის ასეთივე ერთიანობით არის გამსჭვალული ადამიანის დამოკიდებულება არა მარტო საკუთარ თავთან, არამედ ყველა იმ დოვლათთან, რომელიც ჩართულია მის გაცნობიერებულ მოღვაწეობაში. რადგან თავისი მოღვაწეობის პროდუქტებში და რესურსებში იგი ხედავს თავისი „მე“-ს ანარეკლს, თავისი წარსული, აწმყო და მომავალი მოთხოვნილებების და შესაძლებლობების ანარეკლს, თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული აქტივობის შედეგებს და მოლოდინებს;

5. ეკონომიკური ფასეოლობა უნდა განვასხვავოთ საბაზრო ფასეულობისგან, რომელიც წარმოადგენს ფასეულობის გამოვლენის კერძო შემთხვევას ეკონომიკური მოღვაწეობის გარკვეულ ისტორიელ პირობებში. ადამიანს არ შეუძლია არსებობა ეკონომიკური მოღვაწეობის გარეშე, ხოლო მოღვაწეობას – ფასეულობების გარეშე. ამიტომ ფასეულობები არსებობენ მიუხედავად იმისა

ადგილი აქვს ნატურალურ, საბაზრო, თუ რეგულირებად ეკონომიკას. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის შემთხვევაში ფასეულობა იღებს საბაზრო ფასეულობის, ანუ ღირებულების ფორმას, რომელიც იზომება ფულით, როგორც სპეციალური საზომი ერთეულით. ეკონომიკური ფასეულობა საფუძვლად უდევს საბაზ-რო ფასეულობას და მასთან მიმართებაში არის საწყისი კატეგორია ისევე, როგორც ნატურალური ეკონომიკა არის ეკონომიკური მოღვაწეობის საწყისი ფორმა საბაზრო ეკონიმიკასთან შედარებით;

6. რადგან ფასეულობა მხოლოდ სუბიექტისთვის არის ფასეულობა, ამ თვალსაზრისით ფასეულობები ყოველთვის სუბიექტურია. სუმიექტის გარეშე არ არსებობს ფასეულობები. მაგრამ ეკონომიკური სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდი, საოჯახო მეურნეობა, ფირმა, ერი, საზოგადოება, ანუ ყველა ის, ვისაც გააჩნია ფასეულობათა ერთიანი სისტემა. იმისდა მიხედვით, თუ რას ვგულისხმობთ სუბიექტის ცნების ქვეშ, დოვლათს შეიძლება გააჩნდეს ინდივიდუალური, ოჯახური, კორპო-რატიული, ეროვნული, საერთაშორისო, საზოგადოებრივი ფასეულობები. ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე ჩავთვალოთ, რომ დოვლათი ერთდროულად წარმოადგენს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ფასეულობას. პირობითად ინდივიდუალური ფასეულობები შეიძლება ჩავთვალოთ სუბიექტურ ფასეულობებად, ხოლო საზოგადოებრივი - ობიექტურ ფასეულობებად იმ გაგებით, რომ საზოგადოებას და საზოგადოებრივ ფასეულობებს ინდივიდი აღიქვავს როგორც მისგან დამოუკიდებელ ობიექტურ რეალობას, მისი ნებისგან დამოუკიდებლად არსებულ სინამდვილეს.[62]

---

[62] „ერთი ნივთი მეორე ნივთის მიმართ არ შეიძლება იყოს არც „კარგი“, არც „ცუდი“, არც „კეთილი“, არც „ბოროტი“ და ა.შ. ნივთი ხდება „კარგი“ ან „ცუდი“ იმის მიხედვით, თუ როგორ უპასუხებს იგი ჩემს სასიცოცხლო „ინტენციებსა“ და მიზმებს, იმის მიხედვთ, ხელს უწყობს, თუ ხელს უშლის ჩვენი სიცოცხლის განხორცი-ელებას. მაგრამ ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ ღირებულებით მნიშვნელობებს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ზოგიერთი ღირებულებითი მნიშვნელობა სუბიექტისაგან დამოუკიდებლად

საბაზრო აგენტების ურთიერთობები ეფუძნება სწორედ მათი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფასეულობების ურთიერთქმედებას და ასეთი ურთიერთქმედების გარეშე საბაზრო ურთიერთობების არსებობა იქნებოდა შეუძლებელი.

2.2.5. ეკონომიკური მოღვაწეობის ოპტიმიზაცია

1. როდესაც რესურსების არსებული მარაგიდან იწარმოება გარკვეული პროდუქტების ნაკრები, ამ ნაკრებიდან ყოველი პროდუქტის სარგებლიანობა დამოკიდებულია მისი წარმოების მოცულობაზე და, შესაბამისად, დამოკიდებულია სხვადასხვა წარმოებისთვის რესურსების განაწილებაზე.[63] ხოლო ამა თუ იმ სახის პროდუქტის ერთეულზე გაწეული ხარჯები დამოკიდებულია ტექნოლოგიურ ნორმებზე. მაგრამ რესურსების განაწილებასა და ხარჯების ტექნოლოგიურ ნორმებს შორის არ არსებობს პირდაპირი კავშირი. ამიტომ არ არსებობს პირდაპირი კავშირი ამა თუ იმ პროდუქტის ერთეულის სარგებლიანობასა და მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს შორის. გადაწყვეტილების მიღებისას რესურსების განაწილება დამოკიდებულია სუბიექტის ნებაზე, ხოლო ტექნოლოგიური კოეფიციენტების სიდიდე არ არის დამოკიდებული მის ნებაზე.[64]

წარმოიქმნება? რა არის, მაგალითად, „ობიექტურად“ კარგი? ეს არის კარგი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ, საბოლოო ანგარიშით, ყველა შესაძლო სუბიექტისთვის. ობიექტური ღირებულებითი მნიშვნელობა ყველასათვის მნიშვნელადი ღირებულებითი მნიშვნელობაა. ის წარმოიქმნება არა ყოველგვარი სუბიექტურობისაგან დამოუკიდებლად, არამედ „ინტერსუბიექტურობასთან“ დამოკიდებულებაში“ (კაკაბაძე, 1985, 117-118).

[63] ანუ დამოკიდებულია წარმოებული პროდუქტის მოცულობის შესაბამისობაზე მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან.

[64] იგულისხმება, რომ სუბიექტი ყოველთვის ირჩევს ყველაზე ეფექტიან ტექნოლოგიას მისთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებიდან.

ისევე, როგორც არ არსებობს უშუალო კავშირი პროდუქტების სარგებლიანობასა და მათ წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს შორის, ასევე არ არსებობს პირდაპირი კავშირი რესურსების სარგებლიანობებსა და მათ აღწარმოებაზე გაწეულ ხარჯებს შორის (ანუ რესურსების სარგებლიანობასა და მათი მესაკუთრეების მიერ მოხმარებული პროდუქტების სარგებლიანობებს შორის). რესურსების სარგებლიანობა დამოკიდებულია მათ რაოდენობაზე და, შესაბამისად, წარმოების ფაქტორების რაოდენობაზე, რომლებსაც ფლობენ მესაკუთრეები. ხოლო ხარჯები ამ რესურსების აღწარმოებაზე დამოკიდებულია იმ საბოლოო პროდუქტების რაოდენობაზე, რომელსაც მოიხმარენ ამ რესურსების მესაკუთრეები, მათ ყაირათიანობაზე და მომჭირნეობაზე, ანუ მესაკუთრეთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. მაგრამ მესაკუთრეების მფლობელობაში არსებული წარმოების ფაქტორების რაოდენობასა, ერთი მხრივ, და თვით მესაკუთრეების მიერ მოხმარებულ დოვლათის რაოდენობას შორის, მეორე მხრივ, აგრეთვე არ არსებობს უშუალო კავშირი.

2. როგორც უკვე აღინიშნა, წარმოების და მოხმარების სფეროებში რესურსები და პროდუქტები აღიქმებიან ურთიერთსაპირისპირო ფორმით. ის, რაც ერთ სფეროში აღიქმება რესურსად, მეორეში აღიქმება როგორც პროდუქტი, და, პირიქით. შესაბამისად, დოვლათი, რომელიც ერთ სფეროში აღიქმება როგორც სარგებლიანობა, მეორეში აღიქმება როგორც ხარჯი. მაგრამ ეკონომიკის, როგორც მთლიანობის, თვალსაზრისით, ანუ, ზოგადეკონიმიკური თვალსაზრისით, რესურსები არის ის, რასაც სუბიექტი მოიხმარს, ხოლო პრიდუქტები – რასაც აწარმოებს (მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროზეა ლაპარაკი). ამასთან,

რესურსები აღიქმება როგორც სარგებლიანობა, ხოლო პროდუქტები – როგორც ხარჯი.[65]

ამ ზოგადეკონომიკური პოზიციებიდან გამომდინარე (ანუ, წარმოების და მოხმარების სექტორებს შორის განსხვავების იგნორირების შემთხვევაში), იმისათვის, რომ არსებულო რესურსებით მოღებელ იქნეს მაქსიმალური სარგებლიანობის მქონე პროდუქტები, მთლიანად ეკონომიკაში რესურსები უნდა იქნეს ოპტიმალურად განაწილებული. ანუ განაწილებული ისე, რომ რესურსების ხარჯის ყოველ ერთეულზე (მსხვერპლად გაღებულზე სარგებლიანიბის მისაღებად) მოდიოდეს წარმოებული პროდუქტების ერთნაირი სიდიდის სარგებლიანობა. მაგრამ ფაქტობრივად ადგილი ყოველთვის აქვს რაღაც გადახრას რესურსების ოპტიმალური განაწილებიდან. ზოგიერთი დოვლათის შემთხვევაში, ეკონომიკურო სარგებლიანობა, რომელიც მოდის ხარჯის ერთეულზე, საშუალოზე მეტია, სხვა შემთხვევაში – ნაკლებია. პირველ შემთხვევაში ვიღებთ *დეფიციტს*, მეორეში – *სიჭარბეს.* ეს ნიშნავს იმას, რომ რესურსების გარკვეული ნაწილი იხარჯება ნაკლები ეკონომიკური სარგებლიანობის მქონე (ჭარბი) დოვლათის საწარმოებლად, რის გამოც ეს რესურსები აღარ ყოფნის მეტი სარგებლიანობის მქონე (დეფიციტური) დოვლათის წარმოებას.

დეფიციტი და სიჭარბე იზომება დოვლათის ფაქტიური რაოდენობის ოპტიმალურისგან გადახრის სიდიდით. ხოლო ოპტიმალურია ის რაოდენობა, რომლის დროსაც მიღწეულია ხარეჯების *თანაბარსარგებლიანობა*, ანუ, ხარჯების სტრუქტურის შესაბამისობა მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან. ამრიგად, პროდუქტების ჭარბწარმოება დარგების ერთ ნაწილში იწვევს

[65] პროდუქტი როგორც სარგებლიანობა აღიქმება მხოლოდ ახალი მოთხოვნილებებისთვის, რადგან მოღვაწეობის ერთი აქტის პროდუქტი არის რესურსი მოღვაწეობის სხვა აქტებისთვის.

წარმოების დეფიციტურობას სხვა დარგებში. დეფიციტურობა და ჭარბწარმოება ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. ეკონომიკური წონასწორობის პირობას წარმოადგენს ყველა დარგში გაწეული ხარჯების თანაბარსარგებლიანობა, რაც მიუთითებს ოპტიმალურობაზე, ანუ, წარმოების და მოხმარების სტრუქტურების შესაბამისობაზე მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან.

3. ხარჯების თანაბარსარგებლიანობა არის ოპტიმალურობის მხოლოდ *გლობალური კრიტერიუმი*, რომელიც ხელს უწყობს დარგებს შორის რესურსების ოპტიმალურ *განაწილებას*. მაგრამ რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის არ არის საკმარისი მათი ოპტიმალური განაწილება. ხომ ცხადია, რომ ხარჯების თანაბარსარგებლიანობა არ გამორიცხავს ხარჯების ერთნაირად დაბალი ეფექტიანობით გამოყენებას ყოველი დარგის შიგნით. ამიტომ საჭიროა აგრეთვე ეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენება. პროდუქტების მაქსიმალური ერთობლივი სარგებლიანობის მიღება არსებული რესურსებით გულისხმობს აგრეთვე იმას, რომ ეს სარგებლიანობა მიღებულია მინიმალური ხარჯებით. ერთი შეუძლებელია მეორეს გარეშე. ამიტომ, ცალკეული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სუბიექტი ხელმძღვანელობს აგრეთვე ოპტიმალურობის *ლოკალური კრიტერიუმით*. იგი გულისხმობს არა ხარჯების თანაბარსარგებლიანობას, არამედ მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებას ხარჯების მინიმუმით და, ესე იგი, მაქსიმალურ ზედმეტ სარგებლიანობას. ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმის თანახმად სუბიექტი ცდილობს არა მარტო სარგებლიანობის მაქსიმიზაციას ხარჯის ერთეულზე (არსებული რესურსებით ყველაზე უფრო დეფიციტური პროდუქტების გამოშვებას). იგი აგრეთვე ცდილობს სარგებლიანობის ერთეულზე გაიღოს მინიმალური ხარჯები და, შესაბამისად, მათ წარმოებაში გამოიყენოს ეფექტიანი ტექნოლოგიები.

4. ყოველივე ზემოთქმული ოპტიმალურობის ლოკალური და გლობალური კრიტერიუმების შესახებ ძალაშია არა მარტო

წარმოების სფეროსათვის, არამედ საერთოდ ეკონომიკური მოღვაწეობისთვის. რესურსების აღწარმოების სფეროში სუბიექტი ცდილობს არა მარტო ყველაზე უფრო დეფიციტური რესურსების აღწარმოებას, არამედ აგრეთვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას პროდუქტების ეფექტიანად გამოყენებას, ისე, რომ თავისი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს საბოლოო პროდუქტების მინიმალური ხარჯებით. ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოებაც და მოხმარებაც წარმოადგენენ დოვლათის ერთი ჯგუფის გარდაქმნას მეორეში. ეს არის ჩაკეტილი, განახლებადი პროცესი, რომელშიც ადგილი აქვს სარგებლიანობის ზრდას პირველადი რესურსების საბოლოო პროდუქტებად და საბოლოო პროდუქტების პირველად რესურსებად გარდაქმნის ყოველ ეტაპზე. მართალია, სარგებლიანობის ზრდა ერთ შემთხვევაში განპირობებულია მეწარმეობით, ხოლო მეორეში - მომჭირნეობით, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის არსებითი. მოხმარების სფეროში აგრეთვე ხდება სხვადასხვა პირველადი რესურსის აღწარმოება და ამისათვის მოიხმარება სხვადასხვა საბოლოო პროდუქტები. აქ აგრეთვე იწარმოება ზედმეტი სარგებლიანობა, რომელიც იღებს დაზოგილი სარგებლიანობის ფორმას. და რესურსების ეს დაზოგვა გამოიხატება იმაში, რომ რესურსების ნაწილს სუბიექტები აბანდებენ საინვესტიციო დოვლათის წარმოებაში და არ ხარჯავენ მთლიანად მომდინარე მთხოვნილებების პროდუქტების წარმოებაზე.

პირველადი რესურსები არის წარმოების ფაქტორების მომსახურება, ანუ დროში მიმდინარე პროცესები და არა რაიმე საგნები, ონიექტები. ამიტომ პირველადი რესურსების დაზოგვა მიმდინარე მოხმარებისაგან შეუძლებელია მათი მარაგების შექმნის ფორმით. მათი დაზოგვა შესაძლებელია მხოლოდ მათი ინვესტირების ფორმით. მიუხედავად ამისა, ცხადია, პირველადი რესურსების დაზოგვა სუბიექტს შეუძლია მხოლოდ საბოლოო

მოთხოვნილებების შეზღუდვის და მომჭირნეობის გზით. მოხმარება ისევე საჭიროებს ოპტიმიზაციას, როგორც წარმოება.

5. ოპტიმალურობის ლოკალური და გლობალური კრიტერიუმები ერთად ქმნიან ოპტიმალურობის საერთო კრიტერიუმს – *პარეტო ოპტიმალურობას,* რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური სარგებლიანობის მიღებას მინიმალური ხარჯებით მთლიანად სისტემურ, და არა ლოკალურ დონეზე. ესე იგი, ოპტიმალურობის საერთო კრიტერიუმი გულისხმობს მთლიანად სისტემაში მაქსიმალური ერთობლივი დამატებული სარგებლიანობის წარმოებას და მის დაზოგვას (ინვესტირების მიზნით) მიმდინარე მოხმარებისაგან. დეფიციტური და ჭარბი დოვლათის შემთხვევაში ირღვევა ოპტიმალური თანაფარდობა სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის, რაც აისახება ზედმეტი ან დაზოგილი სარგებლიანობის ნორმის ოპტიმალური ნორმიდან გადახრაზე. ეკონომიკური ფასეულობის შიგნით მძაფრდება წინააღმდეგომა სამომხმარებლო და საწარმოო ფასეულობებს შორის, რომელშიც აისახება ჰარმონიის რღვევა წარმოებასა და მოხმარებას შორის მთლიანად სისტემაში. მაგრამ ეს ქმნის შესაბამის სტიმულებს, რომლებიც ხელს უწყობენ დეფიციტების და სიჭარბის აღმოფხვრას და წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური პროპორციების აღდგენას.

სუბიექტი ცდილობს გაზარდოს დეფიციტური დოვლათის წარმოება და შეზღუდოს მისი მოხმარება. მეორე მხრივ – ცდილობს შეზღუდოს ჭარბი დოვლათის წარმოება და გაზარდოს მისი მოხმარება. ასე რომ, მოღვაწეობის ოპტიმიზაცია გულისხმობს რესურსებისა და პროდუქტების ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციების დაცვას, რომლებიც შეესაბამება დაკმაყოფილებული და ახალი, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების ნაკადებს. და მხოლოდ ერთად, ოპტიმალურობის ლოკალური და გლობალური კრიტერიუმები უზრუნველყოფენ მთლიანად მოთხოვნილებათა სისტემის მაქსიმალურ დაკმაყოფილებას

არსებული რესურსების ეფექტიანი განაწილების და მოხმარების გზით.

6. ტელეოლოგიური თვალსაზრისით, ეკონომიკა არის ფუნქ-ციონალურად ჩაკეტილი სისტემა, რაც არის მისი მდგრადობის პირობა. მაგრამ ოპტიმალურობისაკენ სწრაფვა ვერ უზრუნ-ველყოფს ოპტიმალურობას. რადგან პრაქტიკულად ფუნქ-ციონალურად ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემაში იბადება დეფიციტური და ჭარბი დოვლათი, ეს ბადებს მასში საგარეო-ეკონომიური ურთიერთობების, ანუ „ექსპორტის“ და „იმპორტის“ განვითარების სტიმულებს. რადგან დეფიციტურობას და სიჭარბეს ადგილი აქვს ყველა ნატურალურ მეურნეობაში, ისინი იწყებენ ჭარბი დოვლათის ექსპორტირებას და დეფიციტური დოვლათის იმპორტირებას. ამასთან, ერთი მხარის ექსპორტი არის იმპორტი მეორე მხარესათვის, და, პირიქით, პირველის იმპორტი - არის ექსპორტი მეორესთვის. რადგან ჭარბი პროდუქტების გაცვლა მომგებიანია გაცვლაში ჩართული ყველა მეურნეობისათვის, ამიტომ გაცვლა ხდება ეკონომიკური მოღვაწეობის განუყრელი ელემენტი.

2.3. საბაზრო ეკონომიკა

2.3.1. საბაზრო ეკონომიკა როგორც ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა

1. ნატურალურ ეკონომიკაში არსებობს მხოლოდ ერთი სუბიექტი, რომელიც ღებულობს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. ყველა დანაჩენი ინდივიდი ემორჩილება მის ნებას. სუბიექტს შეუძლია გადასცეს ცალკეული გადაწყვეტილების მიღების უფლება სხვა ინდივიდებს, თუ ისინი ამას გააკეთებენ მისი

ფასეულობათა სისტემის თანახმად.[66] სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებლებს შორის ურთიერთობები ან იერარქიზირებულია და ეფუძნება ავტორიტეტისადმი მორჩილებას, ან კოორდინირებულია თანასწორუფლებიანობის და საერთო ფასეულობის საფუძველზე. შესაბამისად, მოქმედებათა კოორდინაცია სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებელთა შორის ეფუძნება არა ეკვივალენტური ფასეულობების გაცვლას, არამედ საერთო გეგმას, რომლებშიც დომინირებენ ნატურალური მაჩვენებლები. ანუ ინდივიდები წარმოადგენენ შემსრულებლებს ერთიანი ნებისა აღსრულების პროცესში. თვითონ სუბიექტი (ინდივიდი ან ჯგუფი) გეგმავს თავის მოღვაწეობას და ახდენს მის ოპტიმიზირებას თავისი სუბიექტური ფასეულობების საფუძველზე, პროდუქტებზე და რესურსებზე ფასეულობების შეთანაზომების მეშვეობით, ხარჯების მინიმიზაციის და რეზულტატების მაქსიმიზაციის გზით;.

2. დეცენტრალიზებული ეკონომიკა წარმოადგენს ერთიან ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შედგება ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მყოფი კერძო სუბიექტების მოქმედებებისაგან. მათი მოქმედებების კოორდინირება ხდება სტიქიური საბაზრო მექანიზმის მეშვეობით. შესაბამისად სტიქიურად ხდება საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობების და ფულადსასაქონლო ნაკადების პროპორციების ფორმირება. ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდუალური შეფასებების და საბაზრო ფასების შეჯერების საფუძველზე. კერძო სუბიექტებს შორის ურთიერთობები ემყარება თანაბარუფლე-

---

[66] ეკონომიკურ სუბიექტს შესაძლოა წარმოადგენდეს არა ერთი პიროვნება, არამედ თანამოაზრეთა ჯგუფიც, რომლებსაც აქვთ მსგავსი ფასეულობათა სისტემა, შეთანხმებულად ღებულობენ გადაწყვეტილებებს და კოორდინირებულად მოქმედებენ საერთო გეგმის მიხედვით. ანუ, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ის, რომ ჯგუფის ყველა მოქმედებას საფუძვლად უდევს ერთიანი ფასეულობათა სისტემა.

ბიანობას, ურთიერთმომგებიანობას, და ფასეულობების ეკვივა-ლენტურ გაცვლას. კერძო მეურნეობის შიგნით ურთიერთობები ეფუძნება ნატურალური ეკონომიკის პრინციპებს, ხოლო გარე ურთიერთობები – საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. გარკვეული აზრით, საქმე გვაქვს ნატურალურ მეურნეობებთან, რომლებიც ადაპტირებულნი არიან და ფუნქციონირებენ საბაზრო გარემოში;

3. საბაზრო ეკონომიკა არის ერთიანი ეკონომიკური სისტემა. მაგრამ განვითაერების ამ ეტაპზე საზოგადეობის ეკონომიკური მოღვაწეობა ხორციელდება არა წინასწარ დასახული მიზნების შესაბამისად, არამედ სტიქიურად, ბაზრის მეშვეობით. ხოლო ამ სისტემის „ელემენტები“ არიან ეკონომიკური მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნების საფუძველზე. შრომის დანაწილების განვითარებასთან ერთად მოქმედებათა სუბიეტები იწყებენ სპეციალიზაციას საზოგადოების სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციების შესრულებაზე. ზოგი აწარმოებს საბოლოო ან შუალედურ პროდუქტს, ზოგიც ეწევა პირველადი რესურსების აღწარმოებას.

სუბიექტები, რომლებიც ასრულებენ მეწარმეობის ფუნქციას, თავის თავზე იღებენ პროდუქტების წარმოების რისკს, ხოლო სუბიექტები, რომელებიც ასრულებენ წარმოების ფაქტორების მესაკუთრის ფუნქციას, გარკვეული საზღაურის ფასად რესურსებს აწვდიან მეწარმეებს. ყველა სუბიექტი ღებულობს შემოსავალს თავისი ფუნქციის შესრულებისათვის და ხარჯავს მას მოხმარებაზე. რადგან ის, რაც ერთი სუბიქტისთვის წარმოადგენს პროდუქტს, არის რესურსი მეორე სუბიექტისთვის, ამიტომ, ის რაც ერთისთვის არის შემოსავალი, მეორესთვის არის გასავალი, ხარჯი. შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა შედგება: 1) ფირმების მოქმედე-ბებისაგან (აწარმოებენ შუალედურ და საბოლოო პროდუქტებს და მოიხმარენ პირველად რესურსებს), 2) საოჯახო მეურნეობების მოქმედებებისაგან (ახდენენ პირველადი რესურსების აღწარმოებას და მოიხმარენ საბოლოო პროდუქტებს) და 3) სახელმწიფოს

მოქმედებებისაგან (ასრულებენ საერთო ეკონომიკურ ფუნქციებს, აწარმოებენ საზოგადოებრივ დოვლათს, უზრუნველყოფენ ნორმალურ პირობებს მთლიანად სისტემის ფუნქციონირებისათვის).

წარმოების ობიექტური ფაქტორების (შრომის, მიწის, კაპიტალის) მესაკუთრეები ახდენენ ამ ფაქტორების მომსახურებით სარგებლობის უფლებების აღწარმოებას და ყიდიან მათ მეწარმეებზე. უშუალოდ პირველად რესურსს წარმოადგენს წარმოების *ობიექტური ფაქტორების მომსახურება.* სწორედ ამ მომსახურებით სარგებლობის უფლებას ყიდულობენ მეწარმეები, ხოლო მის სანაცვლოდ მესაკუთრეებს (მომხმარებლებს) ისინი სთავაზობენ წარმოების *სუბიექტური ფაქტორის მომსახურებას,* ანუ, საკუთარ თავზე იღებენ პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ სამეწარმეო რისკს;

4. ნატურალურ ეკონომიკაში რეფლექსიური კავშირები არსებობდა წარმოების და მოხმარების ფუნქციებს შორის, რომლებსაც ასრულებდა ერთი და იგივე სუბიექტი სხვადასხვა მოქმედებებით. საბაზრო ეკონომიკაში ეს ფუნქციები სრულდება სხვადასხვა სუბიექტების მოქმედებებით, მაგრამ რეფლექსია ამ მოქმედებების ფუნქციებს შორის რჩება ისეთივე, როგორიც იყო. საბაზრო ეკონომიკაში, ისევე როგორც ნატურალურ ეკონომიკაში, საბოლოო პროდუქტების მოხმარება მოხმარების სექტორში წარმოადგენს პირველადი რესურსების აღწარმოებას წარმოების სექტორისათვის, ხოლო პირველადი რესურსების მოხმარება წარმოების სექტორში არის საბოლოო პროდუქტების წარმოება. თვითეული სექტორის პროდუქტი წარმოადგენს რესურსს მეორე სექტორისთვის. მათ შორის იბადება დიალექტიკური წინააღმდეგობა. თვითოეული სექტორი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს მეორე სექტორი, ანუ ყოველი მათგანი ანადგურებს იმას, რასაც მეორე – ქმნის. მაგრამ, სწორედ ამ წინააღმდეგობის წყალობით ისინი ქმნიან ერთ მთლიანობას. ისინი ხდებიან ერთმანეთისთვის საჭირო, ხდებიან ერთი მთლიანობის აუცილებელი ნაწილები. ეს

მთლინობა არის საბაზრო ეკონომიკა. ხოლო წინააღმდეგობის გადაჭრა წარმოებასა და მოხმარებას შორის, როგორც ერთი მთლიანის ნაწილებს შორის, ხდება საქონლის გაცვლის გზით. ანუ საზოგადოების დონეზე სპეციფიკური ფორმით მეორდება ყოველივე ის, რაც ნატურალურ ეკონომიკაში ხდებოდა ინდივიდის დონეზე;

5. ეკონომიკურ სუბიექტებს შორის საქონლის გაცვლის პროპორციებმა უნდა უზრუნველყონ თვითეული მხარის წარმოების მოცულობის შესაბამისობა მეორე მხარის მოხმარების მოცულობასთან. ასეთი შესაბამისობა უზრუნველყოფილია ოპტიმალური გაცვლითი პროპორციებით, ანუ წონასწორული ფასების სისტემით. ეკონომიკის მთლიანობა განპირობებულია იმით, რომ ყოველი მისი დარგი აწარმოებს პროდუქტებს და მოიხმარს რესურსებს ყველა სხვა დარგის წარმოებისა და მოხმარების შესაბამისად, რადგან თვითეული მათგანი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებენ სხვები და აწარმოებს იმას, რასაც მოიხმარენ სხვები. ამიტომ მათი წარმოების და მოხმარების მოცულობები ერთმანეთთან შესაბამისობაში მოდიან რესურსების და პროდუქტების გაცვლის მეშვეობით.

გაცვლის პროცესში იბადება ისეთივე რეფლექსიური კავშირები, როგორც წარმოების და მოხმარების სექტორებს შორის. თვითეული მხარე გაცვლაში სთავაზობს თავის პროდუქტს შესაძენი პროდუქტის სანაცვლოდ. ამაში მდგომარეობს გაცვლის არსი. მოთხოვნა ყოველთვის არის *გადახდისუნარიანი* მოთხოვნა. თუ იგი არ არის გადახდისუნარიანი, მაშინ იგი არ არის ნამდვილი მოთხოვნა. მაგრამ მოთხოვნის გადახდისუნარიანობა უზრუნველყოფილია მიწოდებით.[67] შესასყიდი საქონლის საფასური არის

[67] „საცვლელი ღირებულება არის გარკვეული ნივთების თვისება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ვერ იქნებიან მიღებული ან გაცემული უფასოდ, არამედ შეიძლება იქნან შესყიდული ან გაყიდული, მიღებული ან გაცემული სხვა ნივთების სანაცვლოდ გარკვეული რაოდენობრივი პროპორციით. რაიმე ნივთის

გასაყიდი საქონელი ან ფული (რომლის უკანაც დგას იგივე საქონელი). საქონელზე მოთხოვნა გულისხმობს ფულის მიწოდებას, ხოლო საქონლის მიწოდება გულისხმობს ფულზე მოთხოვნას. ანუ რეფლექსია არსებობს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მყიდველსა და გამყიდველს შორის. მოთხოვნა შეუძლებელია მიწოდების გარეშე. მოთხოვნა თვითონვე არის მიწოდება, და პირიქით, მიწოდება არის მოთხოვნა. თვითეული მხარე გაცვლაში ერთდროულად არის მყიდველიც და გამყიდველიც. თუ განვიხილავთ ეკონომიკის ყველა დარგს მთლიანობაში (როგორც პროდუქტების წარმოების, ისე რესურსების აღწარმოების სექტორებს), სრული შესაბამისობა მათ წარმოებასა და მოხმარებას შორის შესაძლებელია პროდუქტების გაცვლის მხოლოდ ისეთი პროპორციების პირობებში, როდესაც თვითეული დარგის პროდუქციის მიწოდება შეესაბამება მის პროდუქციაზე ჯამურ მოთხოვნას სხვა დარგების მხრიდან.[68] „ყიდვა“ და „გაყიდვა“, „მოთხოვნა“ და „მიწოდწბა“, „მყიდველი“ და „გამყიდველი“ ისეთივე რეფლექსიური კატეგორიებია, როგორც აქამდე განხილული სხვა ეკონომიკური კატეგორიები;

მყიდველი არის იმ ნივთის გამყიდველი, რომელსაც იგი გასცემს პირველის სანაცვლოდ. რაიმე ნივთის გამყიდველი არის იმ ნიცვთის მყიდველი, რომელსაც იგი იღებს სანაცვლოდ. სხვა სიტყვებით, ორი ნივთის ერთმანეთში ნებისმიერი გაცვლა შედგება ორმაგი ყიდვისაგან და ორმაგი გაყიდვისაგან“. (Вальрас, 2000, 35)

[68] მოცემულ კონტექსტში პირველადი რესურსები თვითონვე არიან შესაბამისი დარგის აღწარმოების პროდუქტები. „ცხადია, რომ ცალკეული დარგის პროდუქციის გამოშვება, ანუ გამოშვება, რომელიც არც დიდია, და არც მცირეა, არის „სათანადო“ მხოლოდ ყველა სხვა დარგების გამოშვებების მიმართ. არა აქვს აზრი, რომ უწოდოდ მას სათანადო ამ დარგებთან მიმართების გარეშე. სხვა სიტყვებით, მოთხოვნა, მიწოდება და წონასწორობა არის ცნებები, რომლის მეშვეობითაც აღიწერება რაოდენობრივი დამოკიდებულებები საქონელთა და მომსახურებათა სამყაროს შიგნით. სიტყვებს ეკონომიკურ სისტემაში ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდების შესახებ, და აგრეთვე ჭარბწარმოების შესახებ, ისევე არა აქვს აზრი, როგორც სიტყვებს ერთად აღებული ყველა გასაყიდი ნივთების საცვლელი ღირებულებების შესახებ, ან მთლიანად მზის სიტემის წონის შესახებ.“ (Шумпетер, 2001, 224).

6. ოპტიმალურობის პირობრბში წარმოება, მოხმარება, გაცვლა და განაწილება ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს. რადგან გაცვლაში შესაძლებელია მხოლოდ იმის შეთავაზება, რაც უკვე წარმოებულია დარგის მიერ. ხილო დარგის წარმოება განა-პირობებს რესურსების მოხმარებას და, შესაბამისად, მის მოთხოვნას სხვა დარგების პროდუქციაზე. ანუ, ყოველი დარგის გადახდისუნარიანი მოთხოვნა სხვა დარგების პროდუქციაზე უზრუნველყოფილია მხოლოდ საკუთარი პროდუქციის მიწოდე-ბით, ხოლო საკუთარი პროდუქციის მიწოდება უზრუნველ-ყოფილია სხვა დარგების პროდუქციაზე მოთხოვნით. სწორედ ეს რეფლექსია პროდუქტსა და რესურსს შორის, წარმოებასა და მოხმარებას შორის, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ყიდვასა და გაყიდვას შორის, განაპირობებს იმას, რომ საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა დარგები არიან ერთი მთლიანობის აუცილებელი ნაწილები. საბაზრო ეკონომიკა, როგორც მთლიანობა, თვითკმარია. იგი შედგება მხოლოდ თავისი ნაწილებისაგან და სხვა არაფერს არ საჭიროებს. თვითეულ ნაწილს (დარგს, კერძო სუბიექტს) ფუნქციონირება შეუძლია მხოლოდ სხვა ნაწილებთან ურთიერთ-ქმედების პირობებში და ისევეა მთლიანად დამოკიდებული მათზე, როგორც ყველა ისინი არიან დამოკიდებული მასზე. ჭარბწარმოება თუ დეფიციტური წარმოება ნებისმიერ დარგში არღვევს ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის მთლიანობას.

ამასთანავე, რადგან ყოველი დარგის მოთხოვნასა და მიწოდებას განაპირობს (საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისი) წარმოება და მოხმარება, ამიტომ ცხადია, რომ გაცვლის ოპტიმალური პროპორციები, ანუ, ოპტიმალური ფასები, განპირო-ბებულია არა მოთხოვნითა და მიწოდებით, არამედ წარმოებით და მოხმარებით. და ესე იგი, განპირობებულია ეკონომიკური ფასეულობებით. რადგან სწორედ ფასეულობები განაპირობებენ წარმოების და მოხმარების სტრუქტურას მოთხოვნილებების სტრუქტურის და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობების

(ტექნოლოგიური ცოდნის და არსებული წარმოების ფაქტორების) შესაბამისად. მაშასადამე, ფასები წარმოადგენენ მხოლოდ ფასეულობების გამოვლენას, ხოლო ფასეულობები არის ფასების არსი. ისევე როგორც მოთხოვნა და მიწოდება არის საზოგადოების მოთხოვნილებების გამოვლენის საბაზრო ფორმა, ანუ გამოვლენის ფორმა მისი მოთხოვნილებისა, რომ აწარმოოს ის, რაც მოიხმარება, და მოიხმაროს ის, რაც იწარმოება;

7. ამ თვალსაზრისით გაცვლის პროცესში ფული ასრულებს მხოლოდ "ტექნიკურ" ფუნქციებს. მაგრამ სასაქონლო ურთიერთო-ბების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შრომის განაწილების პირობებში თავისი მოქმედებებით თვითეული სუბიექტი აწარმოებს საქონელს სხვებისთვის და მოიხმარს სხვის მიერ წარმოებულ საქონელს, ყიდის თავის საქონელს და ყიდულობს – სხვისას. ამასთანავე, ბაზრის აქტორების მოქმედებები ერთად წარმოადგენენ ჩაკეტილ მთლიანობას, რომლის ფარგლებშიც ისინი არიან ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი. თვითეული მათგანი წარმოადგენს მთლიანობის აუცილებელ ნაწილს. თუ ერთი მაინც ამოვარდება ამ მთლიანობიდან, დაირღვევა მთლია-ნობა. რადგან იგი აწარმოებდა ამ მთლიანობისათვის გარკვეულ ნაწილს. ანუ, მისი პროდუქტი იყო საზოგადოების საბოლოო პროდუქტის გარკვეული ნაწილი. და ამასთან, იგი მოიხმარდა სხვა სუბიექტების მოქმედებებით წარმოებულ პროდუქტს. ანუ მოიხმარდა საბოლოო პროდუქტის გარკვეულ ნაწილს. თუ ის აღარ აწარმოებს თავის წილ პროდუქციას, საზოგადება დარჩება მისი პროდუქტის გარეშე, შეიქმნება დეფიციტი. თუ იგი შეწყვეტს სხვის მიერ წარმოებული პროდუქტის მოხმარებას, შეიქმნება სიჭარბე. ხომ ცხადია, თუ ვინმე შეწყვეტს წარმოებას, ვინმე სხვა ვეღარ შეძლებს მოხმარებას და, პირიქით, თუ ვინმე შეწყვეტს მოხმარებას, ვიღაც სხვას დარჩება გაუყიდავი პროდუქცია, და წარმოიქმნება ჭარბწარმოებასთან დაკავშირებული დანაკარგები. ამიტომ, თუ რომელიმე სუბიექტი დაიწყებს წარმოებას ან მოხმარებას უფრო

მეტს ან ნაკლებს, ვიდრე ეს განპირობებულია ეკონომიკური ორგანიზმის მთლიანობის საჭიროებით, მაშინ ეკონომიკურ მთლიანობასთან ერთად დაირღვევა მისი ოპტიმალური ფუნქციონირება. ოპტიმალური ფუნქციონირების აღსადგენად აუცილებელი გახდება მთლიანობის აღდგენა. საჭირო გახდება წარმოებას, მოხმარებასა და გაცვლას შორის ახალი ოპტიმალური პროპორციების ჩამოყალიბება. შესაბამისად საჭირო გახდება პროდუქტების და რესურსების ახალი წონასწორული ფასების და წონასწორული რაოდენობების სისტემის ფორმირება.

2.3.2. წარმოების სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები

1. ეკონომიკური თეორია გამოყოფს წარმოების ოთხ ფაქტორს. ესენია: შრომა, კაპიტალი, მიწდა და მეწარმეობა. წინამდებარე კონცეფციის კონტექსტში პრინციპულად მნიშვნელოვანია მეწარმეობის, როგორც წარმოების სუბიექტური ფაქტორის, ცალკე გამოყოფა და ყველა დანარჩენი ფაქტორის განხილვა ობიექტურ ფაქტორებად.[69]

მეწარმეებს ურთიერთქმედებაში მოჰყავთ წარმოების ობიექტური ფაქტორები, რის შედეგადაც ისინი ღებულობენ საბოლოო პროდუქტს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორები არიან პირველადი რესურსები. ისინი წარმოადგენენ წარმოების მხოლოდ აუცილებელ პირობებს, მაგრამ არა რესურსებს. მათი

[69] ფ. ჰოულის თეორიის თანახმად: „მეწარმის მთავარი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მიდის რისკზე. ... ყველა დანარჩენი ფაქტორისგან განსხვავებით მეწარმე არის წარმოების სუბიექტი; ყველა დანარჩენი ფაქტორი ასრულებს წარმოების ობიექტის როლს. ამიტომ რისკზე წასვლა შეუძლია მხოლოდ მეწარმეს. წარმოებაში მონაწილეობისათვის მეწარმის ანაზღაურება ემთხვევა რისკისათვის ანაზღურებას“ (Блюмин, 1962, 310).

თავისებურება იმაში მდგომრეობს, რომ მათი საწარმოო მოხმარების პროცესში ისინი არ ნადგურდებიან. ამ წარმოების ფაქტირების არსებობის დრო გაცილებით მეტია, ვიდრე ეს საჭიროა ამა თუ იმ საბოლოო პროდუქტის წარმოებისთვის. ამიტომ მეწარმეს სჭირდება არა თვითონ წარმოების ფაქტორები, არამედ მათი მომსახურება. მას სჭირდება მხოლოდ ამ ფაქტორებით სარგებლობა იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა პროდუქციის წარმოებისთვის. წარმოების ფაქტორების ბაზარი და პირველადი რესურსების ბაზარი – ეს სხვადასხვა ბაზრებია.

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ წარმოების ფაქტორები, მათი მომსახურება და ამ მომსახურებით სარგებლობის უფლება. წარმოების ფაქტორი არის აქტივი; პირველადი რესურსი არის ამ ფაქტორის მიერ გაწეული მომსახურება, ანუ ფაქტორის მიერ წარმოშობილი ნაკადი, რომელიც იზომება დროის ერთეულში გაწეული მომსახურების მოცულობით. *წარმოების ფაქტორები* ქმნიან წარმოების შესაძლებლობას. *მომსახურება* არის ამ შესაძლებლობების რეალიზების პროცესი. *უფლება* წარმოადგენს ამ მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას, მის სამართლებრივ ასპექტს. მაგალითად, სამუშაო ძალა არის აქტივი (მისი მფლობელის საკუთრება), რომელსაც შეუძლია წარმოშვას შრომის ნაკადი. იმისათვის, რომ იქონიოს წარმოების შესაძლებლობა, მეწარმეს სჭირდება სპეციფიკური დოვლათი – *წარმოების ობიექტური ფაქტორების მომსახურებით დროებით სარგებლობის უფლება.* ანუ მას სჭირდება მომავალი მომსახურება, რომელსაც იგი განკარგავს ისე, როგორც მიიჩნევს საჭიროდ. რაც შეეხება წარმოების სუბიექტური ფაქტორით (მეწარმეობის უნარით) სარგებლობის უფლებას, ეს არის თვითეული ადამიანის განუყოფელი უფლება საკუთარი ნებით აიღოს თავის თავზე სამეწარმეო რისკი და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა.

2. ხშირად ეკონომიკურ ლიტერატურაში გაიგივებულია ცნებები „წარმოების ფაქტორები“ და „ეკონომიკური რესურსები“.

ხოლო პირველადი რესურსების ქვეშ გულისხმობენ არა მიწის (ბუნების) მიერ გაწეულ მომსახურებას, არამედ არაგანახლებად ბუნებრივ რსურსებს, რომელთა აღწარმოებაც ხდება თვითონ ბუნებით, და არა ადამიანით (წიაღისეული, ტყის მასივები, წყლის რესურსები და ა.შ.). ხოლო რადგან ბუნებრივი რესურსები არ არის ადამიანის მოღვაწეობის პროდუქტი, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ ეკონომიკა არის ფუნქციონალურად ჩაკეტილი პროცესი, სადაც „ყველაფერი რაც მოიხმარება იწარმოება, და ყველაფერი რაც იწარმოება, მოიხმარება“. მაგრამ საქმე შემდეგშია.

ნავთობი ან მადანი, სანამ ისინი მიწაშია, ან ხეები ტყეში, უშუალოდ ვერ იქნება გამოყენებული წარმოების პროცესში როგორც რესურსები. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება რესურსების სახით, ჯერ საჭიროა, რომ ნავთობი ამოღებული იქნას მიწიდან, ხეები მოიჭრას ტყეში და ა.შ. მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ ისინი უკვე ხდებიან წარმოების პროდუქ-ტები (და, ესეიგი, უბრალოდ რესურსები), და არა პირველადი რესურსები. ასე რომ, წიაღიდან ამოღებამდე ისინი საერთოდ არ არიან წარმოებისათვის ვარგისი რესურსები, ხოლო ამოღების შემდეგ ისინი ხდებიან პროდუქტები. მაგრამ იმისათვის, რომ წიაღისეული ამოღებული იქნეს მიწიდან და ხეები მოიჭრას ტყეში, საჭიროა ამის უფლება. მართალია, თავისთავად ბუნება ანიჭებს ადამიანს მისი სიკეთეებით სარგებლობის ობიექტურ შესაძ-ლებლობას და, ამ თვალსაზრისით, ემსახურება მას, მაგრამ სამართლებლივ სივრცეში, რომელშიც არსებობს კერძო საკუთ-რების ინსტიტუტი, გარდა ამისა საჭიროა კიდევ ამ მომსახურებით სარგებლობის უფლება. სხვა სიტყვებით, გარდა იმისა, რომ ბუნება ანიჭებს ადამიანს პროდუქტის წარმოების ობიექტურ შესაძლებ-ლობებს, სჭირდება კიდევ, რომ საზოგადოებამ მისცეს მას ამ შესაძლებლობებით სარგებლობის შესაძლებლობა, ანუ ნებართვა, რასაც სწორედ რომ წარმოადგენს წარმოების ფაქტორების მომსახურებით სარგებლობის უფლება. სწორედ ამ უფლებას, და

არა უშუალოდ წარმოების ფაქტორს, ყიდულობს მეწარმე წარმოების ფაქტორების მესაკუთრისგან და, მათ შორის, მიწის მესაკუთრისგან. რადგან მეწარმე მხოლოდ *სარგებლობს* მიწის (ბუნების), როგორც წარმოების ფაქტორის, მომსახურებით, მაგრამ *არ მოიხმარს, არ ხარჯავს* თვითონ წარმოების ფაქტორს. მიწისაგან (ბუნებისგან) განსხვავებით, კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის, მომსახურებით სარგებლობის პროცესში, ადგილი აქვს აგრეთვე მის ცვეთას, ანუ ხარჯვას. ამ შემთხვევაში, გარდა კაპიტალის მომსახურებით სარგებლობის საფასურისა, საჭირო ხდება აგრეთვე საამორტიზაციო გადარიცხვები ფინანსური რესურსების დაგროვების მიზნით, რათა მომავალში შესაძლებელ გახდეს კაპიტალის შეცვლა მისი ცვეთის შემდეგ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მართალია არც მიწა (ბუნება), როგორც წარმოების ფაქტორი, და არც ბუნებრივი რესურსები არ წარმოადგენენ ადამიანის მოღვაწეობის პროდუქტებს, მაგრამ მიწაზე (და საერთოდ წარმოების ფაქტორებზე) საკუთრების უფლება, ასევე, მათი მომსახურებით სარგებლობის უფლება, ისევე როგორც საერთოდ ნებისმიერი უფლება, გააჩნია მხოლოდ სუბიექტს, ცოცხალ ადამიანს და მხოლოდ იქამდე, სანამ იგი ცოცხალია. ამ უფლებების აღწარმოებაც ხდება მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის აღწარმოებასთან ერთად, და ამრიგად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ადამიანიც და მისი უფლებებიც, არიან ეკონომიკური მოღვაწეობის პროდუქტიც და რესურსიც.

3. პირველადი რესურსი, რომელიც იცვლება საბოლოო პროდუქტებზე, არის წარმოების ობიექტური ფაქტორების მოსახურება. მაგრამ მომსახურება იბადება და უჩინარდება უშუალოდ მათი მოხმარების პროცესში. ამიტომ მათი გასხვისება რესურსების ბაზარზე შესაძლებელია მხოლოდ მათი გარკვეული დროით სარგებლობის უფლების გასხვისების ფორმით. ანუ ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, საქონელს, ამ შემთხვევაში წარმოადგენს

სარგებლობის უფლება. და რადგან საქონელს წარმოადგენს უფლება, რომელიც იყიდება რესურსების ბაზარზე, ამოტომ, ამ სპეციფიკური საქონლის აღწარმოება გულისხმობს ზემო-აღნიშნული უფლების მფლობელის (ფაქტორის მესაკუთრის) სიცოცხლის აღწარმოებას. წარმოების ფაქტორის მესაკუთრის საარსებო ხარჯები (ცხოვრების ღირებულება) დროის გარკვეულ მონაკვეთში არის, დროის იგივე მონაკვეთში, წარმოების ფაქტორის მომსახურებით სარგებლობის უფლების აღწარმოების ხარჯები და, ესე იგი პირველადი რესურსის აღწარმოების ხარჯი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამუშაო ძალით სარგებ-ლობის უფლების ყიდვის საკითხისადმი კ. მარქსის მიდგომა საჭიროა განზოგადდეს ყველა ობიექტურ წარმოების ფაქტორზე.[70] რადგან წარმოების საჭიროებებისთვის მეწარმე ყიდულობს არა წარმოების ფაქტორებზე საკუთრების ტიტულს, არამედ ყიდუ-ლობს მათი მომსახურებით სარგებლობის უფლებას.[71] ასე რომ,

---

[70] სამუშაო ძალის მესაკუთრის შესახებ კ. მარქსი წერს: „როგორც პიროვნება, იგი მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს დამოკიდებულებას თავის საუშაო ძალასთან როგორც თავის საკუთრებასთან, და ესე იგი, როგორც თავის საკუთრებაში მყოფ საქონელთან, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მყიდველს ყოველთვის აძლევს საშუალებას ისარგებლოს მისი სამუშაო ძალით, ანუ მოიხმაროს იგი მხოლოდ დროებით, გარკვეული ვადით, მაშასადამე, რამდენედაც იგი, ასხვისებს რა სამუშაო ძალას, არ ამბობს უარს მასზე საკუთრების უფლებაზე.“ (Маркс, Энгельс, 1955, т. 23, 178). „ამგვარად, სამუშაო დრო, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის წარმოებისათვის, დაიყვანება სამუშაო დროზე, რომელიც აუცილებელია ამ სასიცოცხლო საშუალებების წარმოებისათვის, ანუ სამუშაო ძალის ღირებულება არის სასიცოცხლო საშუალებების ღირებულება, რომელიც აუცილებელია მისი მფლობელის სიცოცხლის შესანარჩუნებლად“ (იქვე, 181).

[71] გამსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სამუშაო ძალის მესაკუთრის აღწარმოების შემთხვევაში, ადგილი აქვს აგრეთვე თვით სამუშაო ძალის, როგორც შრომის უნარის, აღწარმოებას, რადგან ეს არის თვით მესაკუთრის უნარი. მაგრამ სხვა წარმოების ფაქტორების მესაკუთრეთა აღწარმოების შემთხვევაში, მესაკუთრის აღწარმოება არ ნიშნავს თვით კაპიტალის ან მიწის აღწარმოებას. ამ შემთხვევაში საკუთრება არსებობს ცალკე მესაკუთრესაგან. ამიტომ, მესაკუთრის აღწარმოება ნიშნავს უფლების აღწარმოებას, მაგრამ არა წარმოების ფაქტორების იმ სასარგებლო თვისებების აღწარმოებას, რომლის გამოც მეწარმეები ყიდულობენ ფაქტორებით

სუბიექტის, როგორც წარმოების ფაქტოროს "მესაკუთრის", ცხოვ-რების ღირებულება გარკვეული დროის განმავლობაში, არის პირველადი რესურსის, ანუ იმავე დროის განმავლობაში ამ ფაქტორის მომსახურების აღწარმოების ღირებულება;

2. რადგან მეწარმე ყიდულობს პირველად რესურსებს, ამიტომ მათი მეშვეობით წარმოებული საბოლოო პროდუქტი ეკუთვნის მას. მაგრამ საბოლოო პროდუქტი, რომელიც აუცილებელია პირველად რესურსებზე გასაცვლელად, შეადგენს საბოლოო პროდუქტის მხოლოდ ნაწილს. შესაბამისად, პირველადი რესურსების მესაკუთრეები გაყიდული რესურსების საფასურად ღებულობენ ამ რესურსებით წარმოებული საბოლოო პროდუქტის მხოლოდ ნაწილს. დარჩენილი ნაწილი არის ზედმეტი პროდუქტი, რომელიც რჩებათ მეწარმეებს. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტი შედგება აუცილებელი და ზედმეტი პროდუქტებისაგან.[72]

თავისი რესურსების სანაცვლოდ მესაკუთრეები ღებულობენ აუცილებელ პროდუქტს, ანუ, სასიცოცხლო საშუალებებს. მოიხმარენ რა აუცილებელ პროდუქტს, როგორც მომხმარებლები, ისინი ახდენენ საკუთარი თავის, როგორც წარმოების ფაქტორების და, შესაბამისად, პირველადი რესურსების, მესაკუთრეების აღწარმოებას. მაგრამ იმ მომსახურების რაოდენობა, რომლის დროებით სარგებლობის უფლებასაც ისინი ყიდიან მეწარმეებზე (როგორც პირველად რესურსს), დამოკიდებულია არა მათ მიერ მოხმარებული აუცილებელი პროდუქტის რაოდენობაზე, არამედ

სარგებლობის უფლებას. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ, ცხადია, მეწარმეს არაფერი უშლის ხელს შეისყოდის აგრეთვე საკუთრების უფლება. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი წარმოგვიდგება უკვე არა როგორც „მეწარმე“, არამედ როგორც „მესაკუთრე“. ეს უბრალოდ სხვა ფუნქციაა, რომელიც შეიძლება შეთავსებული იქნეს „მეწარმის“ ფუნქციასთან.

[72] ზედმეტი პროდუქტის და, შესაბამისად, ზედმეტი ღირებულების იდეაზე არა თუ არ უნდა ითქვას უარი, პირიქით, საჭიროა მისი გავრცობა ყველა ობიექტურ წარმოების ფაქტორზე (ცხადია, ღირებულების ტელეოლოგიური გაგების კონტექსტში შრომითი ღირებულების თეორიის სათანადოდ რეინტერპრეტირების შემდეგ).

მათ საკუთრებაში არსებული წარმოების ფაქტორების რაოდენობაზე. სასიცოცხლო საშუალებებზე, ანუ აუცილებელ პროდუქტზე, მესაკუთრეები ცვლიან თავიანთი რესურსების მხოლოდ ერთ ნაწილს, ხოლო დანარჩენ ნაწილს ზოგავენ.

ასე რომ, პირვრლადი რესურსები აგრეთვე შედგება აუცილებელი და ზედმეტი (დაზოგილი) რესურსებისაგან. აუცილებელი რესურსები არის პირველადი რესურსების ის ნაწილი, რომელიც მესაკუთრეს სჭირდება სასიცოცხლო საშუალებებზე გაცვლისათვის და თავისი სიცოცხლის აღწარმოებისათვის. დანარჩენი ნაწილი არის ზედმეტი, ანუ, დაზოგილი რესურსები. ეს არის რესურსების ის ნაწილი, რომელიც არ გამოიყენება მიმდინარე მოხმარებისათვის, არ იცვლება საარსებო საშუალებებზე.[73] სხვა სიტყვებით, აუცილებელი პროდუქტის მოხმარების შედეგად ხდება მეტი რესურსის აღწარმოება, ვიდრე ეს საჭიროა აუცილებელ პროდუქტზე გასაცვლელად. ისევე როგორც აუცილებელი რესურსებიდან იწარმოება მეტი პროდუქტი, ვიდრე ეს საჭიროა აუცილებელ რესურსებზე გასაცვლელად;

3. მაშ ასე, რა რაზე იცვლება? აუცილებელი რესურსი იცვლება აუცილებელ პროდუქტზე. მაგრამ პროდუქტი იწარმოება რესურსებიდან. გამოდის, რომ წარმოების ფაქტორების „ცოცხალი“ მომსახურება იცვლება „განივთებულ“ მომსახურებაზე, რასაც წარმოადგენს პროდუქტი. ყიდულობს რა რესურსებს, მეწარმე საზოგადოებისგან ყიდულობს პროდუქტების წარმოების

[73] რესურსების დაზოგვა დროის მოცემულ მონაკვეთში გულისხმობს მათ დაზოგვას მხოლოდ მიმდინარე მოთხოვნილებების საჭიროებებზე მოხმარებისაგან და არა საერთოდ მოხმარებისაგან. ისინი მოიხმარება დროის იგივე მონაკვეთში კაპიტალური დოვლათის საწარმოებლად. როგორც უკვე იყო აღინიშნული, რადგან პირველადი რესურსები წარმოადგენენ მომსახურებას, რომელებიც არსებობენ მხოლოდ მათი მოხმარების პროცესში და ამავე პროცესში ნადგურდებიან, ამიტომ რესურსების დანაზოგების გაკეთება უშუალოდ მომსახურების ფორმით შეუძლებელია. მათი დაზოგვა შესაძლებელია მხოლოდ გაშუალებულად, ინვესტირების ფორმით.

შესაძლებლობას, ხოლო სანაცვლოდ საზოგადოებას მიჰყიდის რეალურად არსებულ პროდუქტებს. იგი შესაძლებლობებს გარდაქმნის სინამდვილედ. ეს კი დაკავშირებულია რისკთან. ამისთვის იგი თხოულობს ანაზღურებას. საზოგადოებრივ პროდუქტს აწარმოებს მთლიანად საზოგადოება, მაგრამ მის წარმოებასთან დაკავშირებულ რისკს თავის თავზე იღებს მხოლოდ მეწარმე. ეს არის მისი წვლილი საზოგადოებრივ წარმოებაში. და წარმოებაში შეტანილი თავისი წვლილისათვის იგი ისევე მოითხოვს საზოგადოებრივი პროდუქტის თავის წილს, როგორც ყველა სხვა, ვინც თავისი წვლილი ამ წარმოებაში შეიტანა საკუთარი წარმოების ფაქტორების მომსახურების ფორმით.

მეორე მხრივ, გამოდის, რომ მესაკუთრეები მეწარმეებზე ყიდიან თავიანთი ფაქტორების მომსახურებით სარგებლობის უფლებას, და ესე იგი, მომავალ მომსახურებას, ხოლო შემდეგ თვითონვე უკან გამოისყიდიან ამ მომსახურებას განივთებული სახით მეწარმეთა მომსახურებასთან ერთად, როდესაც იხდიან საფასურს მზა პროდუქტისათვის. მეწარმე არის მხოლოდ შუამავალი დროის ინტერვალში პირველადი რესურსების წარმოებაში ჩადების და საბოლოო პროდუქტების გამოშვებას შორის, ანუ აწმყოსა და მომავალს შორის. მეწარმე საკუთარი რისკის ფასად იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად რესურსების განაწილების თაობაზე. შესაბამისად, თავის თავზე იღებს მატერიალურ პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებების შედეგებზე. ანუ ობიექტური ფაქტორების მომსახურებას იგი ამატებს თავისი სუბიექტური ფაქტორის მომსახურებას და ერთად ყიდის მათ საზოგადოებაზე განივთებული ფორმით.

მართალია მთლიანობაში ასეთი ფორმით ხდება წარმოების ფაქტორების „ცოცხალი“ მომსახურების „განივთებულ“ მომსახურებაზე გაცვლა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ცალკეული სუბიექტები ერთმანეთში ცვლიან თავიანთი ფაქტორების მომსახურებას, რადგან შესყიდული პროდუქტები თავის თავში

შეიცავენ წარმოების სხვადასხვა ფაქტორების მომსახურებას, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა მესაკუთრეებს. როგორც ვხედავთ, წარმოების პროდუქტები არის მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების, როგოგრც ერთიანი ორგანიზმის, პროდუქტები. და საზოგადოებრივი ეკონომიკის თვითეულ სუბიექტს, როგორც წარმოების რომელიმე ფაქტორის მესაკუთრეს, შეაქვს თავისი წვლილი საზოგადოებრივ წარმოებაში იმით, რომ საზოგადოებას აწვდის თავისი წარმოების ფაქტორის მომსახურებას. ამიტომ, ცხადია, წარმოებული დოვლათის განაწილებაც ხდება წარმოებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის შესაბამისად;

4. მეწარმეობა, როგორც წარმოების სუბიექტური ფაქტორი, გულისხმობს არა მხოლოდ გარკვეულ პიროვნულ თვისებებს და რისკის საკუთარ თავზე აღების ფსიქოლოგიურ მზაობას. იგი აგრეთვე გულისხმობს ან საკუთარი, ან მოზიდული ფინანსური რესურსების არსებობას. მაგრამ მათ მოსაზიდად აგრეთვე საჭიროა საკუთრება. პრინციპში შეუძლებელია, რომ მეწარმე არ იყოს მესაკუთრე. იგი ვერ აიღებს რისკს თავის თავზე, თუ მას არაფერი აქვს დასაკარგი.[74] ამიტომ სამეწარმეო მომსახურება ისევე გულისხმობს ფინანსური კაპიტალის არსებობას, როგორც წარმოების ობიექტური ფაქტორების მომსახურება გულისხმობს ადამიანური, ფიზიკური და ბუნებრივი კაპიტალის არსებობას;[75]

5. როგორც არაერთხელ აღინიშნა, წარმოება დაკავშირბულია იმ რისკთან, რომ რესურსები შესაძლოა იყოს დახარჯული, მაგრამ პროდუქტი შესაძლოა არ იქნეს გამოშვებული. ამიტომ მოხმარებაც

---

[74] თუ სუბიექტი წარმოებაში აბანდებს სხვის საკუთრებას, მაშინ ეს უკვე აღარ არის მისი რისკი. მაშინ იგი არის მხოლოდ მენეჯერი, რომლისთვისაც დელეგირებული აქვთ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლება. მეწარმეობის მთავარი კრიტერიუმი არის - „საბოლოო ჯამში ვინ იღებს თავის თავზე რისკს წარმოების შედეგებზე?“

[75] წარმოების ობიექტური ფაქტორები - შრომა, კაპიტალი და მიწა - წარმოადგენენ კაპიტალის ნაირსახეობას (ადამიანურ, ფიზიკურ და ბუნებრივ კაპიტალს), როგორც შემოსავლების მომტან აქტივებს.

აგრეთვე იმყოფება იმ რისკის ქვეშ, რომ დარჩება მოსახმარი პროდუქტების გარეშე. ეკონომიკური მოღვაწეობა საერთოდ, და განსაკუთრებით სტიქიური ბაზრის პირობებში, მიმდინარეობს გაურკვევლობის პირობებში, ხოლო გაურკვევლობის პირობებში მომხმარებელი ისევეა იძულებული რისკების დაზღვევის მიზნით ახორციელოს დაზოგვა, როგორც მწარმოებელია იძულებული აიღოს რისკი თავის თავზე. მწარმოებელი თხოულობს საფასურს აღებული რისკისათვის, ხოლო მომხმარებელი თავისი რესურსებისათვის თხოულობს ისეთ საფასურს, რომ შესაძლებელი იყოს დანაზოგების გაკეთება. რადგან გაურკვევლობის პირობებში დანაზოგები ისეთივე აუცილებელი კომპონენტია სუბიექტის მოთხოვნილებათა სისტემაში, როგორც აუცილებელი პროდუქტები.

მაგრამ მოხმარება არ არის ეკონომიკური სუბიექტის უმთავრესი მიზანი. მოხმარება მხოლოდ მომხმარებლისათვის არის მთავარი მიზანი. ადამიანის, როგორც ზოგადად სუბიექტის, უმაღლესი მიზანი, არის თავისუფლება, ხოლო ეკონომიკური სუბიექტის უმაღლესი მიზანი არის - ეკონომიკური თავისუფლება, და მაშასადამე, საკუთრების ზრდა. რადგან სწორედ საკუთრება არის ეკონომიკუირი თავისუფლების არსებობის ფორმა.[76]

დაზოგვა არ არის მხოლოდ მომავალი მოხმარების დაზღვევის საშუალება, არამედ საკუთრების დაგროვების საშუალებაც, როგორც საერთოდ ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი მთავარი სტიმული. მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს დაზოგვა, აუცილებელია მომჭირნეობა, თავშეკავება და მიმდინარე მოთხოვნილებების შეზღუდვა. ეს საჭიროებს ნებისყოფას და სულიერ ძალისხმევას. მეწარმეობა და თავშეკავება არის საკუთრების და

[76] „საკუთრების ფლობა წარმოადგენს საშუალებას მოთხოვნილებასთან მიმართებაში, როდესაც იგი [მოთხოვნილება] მიჩნეულია მთავარ მიზნად; ჭეშმარიტება კი იმაშია, რომ თავისუფლების თვალსაზრისით, საკუთრება ... არის არსებითი მიზანი საკუთარი თავისთვის“ (Гегель, 1990, 104).

ეკონომიკური თავისუფლების ზრდის ორი განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ხერხი. თავშეკავება ისევე მოითხოვს სულიერ ძალისხმევას და ნებისყოფას, როდორც მეწარმეობა.

2.3.3. საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობა[77]

1. იმ პირობებში, როდესაც კერძო მწარმოებლების მოქმედებები შეკავშირებულნი არიან ერთიან სისტემაში მხოლოდ საბაზრო გაცვლის მეშვეობით, გაცვლა თვითონ უნდა შეიცავდეს თავის თავში საზოგადოებრივი სარგებლიანობის და საზოგადოებრივი ხარჯების შეთანაზომების მექანიზმს (იხ.: Leiashvily, 2011; 2012; Леиашвили, 1990; 2011). თუ სასაქონლო გაცვლის პროცესში იბადება საბაზრო ძალები, რომლებსაც შესაბამისობაში მოჰყავთ დოვლათის წარმოების საზოგადოებრივი ხარჯები მის საზოგადოებრივ სარგებლიანობასთან, და თუ ამ პროცესში იბადება სტიმულები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ხარჯების თანაბარსარგებლიანობას, ანუ დეფიციტური და ჭარბი საქონლის არარსებობას, მაშინ საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების სტრუქტურები მოვლენ შესაბამისობაში გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების სტრუქტურასთან.

რადგან შრომის დანაწილების პირობებში სუბიექტი თავისი მოქმედებებით აწარმოებს პროდუქტებს სხვებისთვის და შემდეგ ცვლის მათ მისთვის საჭირო საქონელზე, ამიტომ, მის მიერ წარმოებული პროდუქტი მისთვის ასრულებს შუალედური პროდუქტის ფუნქციას. ასეთ პრობებში წარმოება და გაცვლა მისთვის წარმოადგენენ ერთიანი პროცესის ორ სხვდასხვა სტადიას, რომლის მეშვეობითაც, მის ხელთ არსებული პირველადი რესურსებით

[77] შემდგომ ტექსტში, რიგ შემთხვევაში, ტერმინი „ღირებულება“ გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, რაც „საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობა“.

სუბიექტი თავის განკარგულებაში ღებულობს სწორედ იმ საბოლოო პროდუქტებს, რომლებიც შეესაბამებიან მის საბოლოო მოთხოვნილებებს.

შესაძენი საქონლის სარგებლიანობა არის სარგებლიანობა, რომლის შეძენაც შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული საზღაურის ფასად. მისი მიღება შესაძლებელია მხოლოდ ანაზღაურების გზით. რაიმე საქონელზე მოთხოვნილება და მისი შესაბამისი სარგებლიანობა იზომება იმ ხარჯით, რომელსაც სუბიექტი გაიმეტებს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ან სარგებლიანობის მისაღებად. ეს ხარჯი განივთებულია მის მიერ წარმოებულ გასაყიდ საქონელში. ფაქტობრივი გაცვლითი პროპორციები ფორმირდება გასაყიდი საქონელის წარმოების ხარჯების და შესასყიდი საქონელის სარგებლიანობის შეთანაზომენის გზით. სწორედ ამ გზით განსაზღვრავს თვითეული მხარე მისთვის მისაღბი გაცვლითი პროპორციების უარესს (ზღვრულ) ვარიანტს. ვარიანტი, რომელიც უარესია ერთი მხარისთვის, მეორე მხარისთვის არის საუკეთესო შესაძლებელ ვარიანტებს შორის. გაცვლის ფაქტიური პროპორციები არის მხარეების მიერ აღნიშნულ ფარგლებში მიღწეული კომპრომისის შედეგი. მაგრამ როგორც მწარმოებლები, მხარეები ინტერესდებიან შესასყიდი საქონლის არა მარტო სარგებლიანობით, არამედ მის წარმოებაზე გაწეული ხარჯებითაც.[78] საქონლის გაცვლის დროს თვითეული მხარე, როოგორც მომხმარებელი, ადარებს თავის ხარჯებს შესასყიდი საქონლის სარგებლიანობას, ხოლო როგორც მწარმოებელი – შესასყიდი საქონლის საწარმოო ხარჯებს. გაცვლაში

[78] რადგან შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ მისთვის უფრო მომგებიანია თვითონ აწარმოოს ეს საქონელი, ნაცვლად იმ საქონლისა, რომლითაც იგი ყიდულობს მას. და საერთოდაც, თავისთვის უფრო მომგებიანი წარმოების დარგის ძიებისას, სუბიექტები ინტერესდებიან სხვა საქონლის წარმოებისათვის საჭირო ხარჯებით. საბაზრო ეკონომიკაში მწარმოებლისათვის სულერთია რომელ პროდუქტს აწარმოებს, მისთვის მთავარია მინიმალური ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ხარჯებით აწარმოოს მაქსიმალური საზოგადოებრივი სარგებლიანობა.

მონაწილე კონტრაგენტებს გააჩნიათ სარკისებურად საპირისპირო დამოკიდებულება გასაცვლელ საქონელთან;

2. თუ განვაზოგადებთ ზემოთ მოყვანილ დასკვნებს და გავითვალისწინებთ, რომ გაცვლის შემთხვევაში, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, ბაზარზე გამოაქვს ერთი და იგივე საზოგადოების ერთობლივი წარმოების ნაწილი და ერთობლივი მოთხოვნილებების ნაწილი, მივიღებთ შემდეგს. **A** საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობა იზომება **B** საქონლის წარმოებაზე გაწეული საზოგადოებრივი ხარჯებით, ხოლო **B** საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობა – **A** საქონელზე გაწეული ხარჯებით. რადგან ნებისმიერი საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობა იზომება იმ რესურსების საზოგადოებრივი ხარჯით, რომელიც საზოგადოება (ამა თუ იმ მყიდველის სახით) მზად არის გაიღოს ამ სარგებლიანობის (ანუ, საქონლის) შესაძენად. არა აქვს მნიშვნელობა თუ რა ფორმით მოხდება ამ რესურსების გამოყოფა – კონკრეტული საქონლით თუ ფულით (ფულის უკან ხომ ისევ საქონელი იგულისხმება). მთავარია, რომ საზოგადოება მიზანშეწონილად მიიჩნევს გაიღოს ხარჯი ამა თუ იმ სარგებლიანობის, ანუ საქონლის, შესაძენად.

ამგვარად, გაცვლის შემთხვევაში ერთი საქონლის სარგებლიანობა იზომება მეორე საქონელში განივთებული ხარჯებით, ანუ, იმ რესურსების სარგებლიანობით, რომელიც დაიხარჯა მეორე საქონლის წარმოებაზე. საბოლოოდ გამოდის, რომ სარგებლიანობა იზომება ისევ სარგებლიანობით. ხომ არ არის აქ რაიმე შეცდომა ან მანკიერი ლოგიკური წრე? არა, აქ არ არის შეცდომა. ამ საკითხს უფრო კონკრეტულად განვმარტავთ მაშინ, როდესაც განვიხილავთ ფულის ფუნქციებს. ახლა კი დავაფიქსიროთ ის ფაქტი, რომ გაცვლის შემთხვევაში, კონტრაგენტები აღიარებენ იმას, რომ საპირისპირო მხარის საქონელი წარმოადგენს საზოგადოებრივ სარგებლიანობას და შეიცავს საზოგადოებრივად სასარგებლო ხარჯებს.

ამრიგად, ბაზარზე ყველა საქონელი აღმოჩმდება საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სამსჯავროზე, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნებიან საზოგადოების შესაძლებლობებს. და მხოლოდ ორივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, მოთხოვნილებების (შესაძენი დოვლათის სარგებლიანობის) და, მეორე მხრივ, შესაძლებლობების (არსებული რესურსების, გადახდისუნარიანობის), საზოგადოება, ამა თუ იმ კერძო სუბიექტების სახით, "იღებს გადაწყვეტილებას" იმის შესახებ, თუ არსებული რესურსების რა ნაწილი გაიმეტოს რაიმე საქონლის შესაძენად.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქონლის გაცვლის პროცესში ხდება აგრეთვე მათ წარმოებაზე გაწეული ხარჯების შეთანაზომება, მივიღებთ შემდეგს. ერთსა და იგივე გაცვლით თანაფარდობაში ხდება საქონლის წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების შეთანაზომება იგივე საქონლის საზოგადოებრივ სარგებლიანობასთან.[79] რადგან ამ საქონლის სარგებლიანობა იზომება მეორე საქონლის წარმოების ხარჯებით, ამიტომ კონტრაგენტები, ათანაზომებენ რა გასაცვლელ საქონელს ერთმანეთთან ხარჯების მიხედვით, ისინი აგრეთვე ათანაზომებენ თავის ხარჯებს თავისივე საქონლის სარგებლიანობასთან. და ასე ყოველი კონტრაგენტი, თავის მხრივ.[80] გარდა ამისა, აქედან გამომდინა-

---

[79] „ყველაფერი, რაც არსებობს, იმყოფება დამოკიდებულებაში, და ეს დამოკიდებულება არის ყოველგვარი არსებობის ჭეშმარიტება. დამოკიდებულების მეშვეობით ის რაც არსებობს არის არა აბსტრაქტულად თავისთვის, არამედ არის სხვაში, მაგრამ ამ სხვაში იგი არის საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში, და დამოკიდებულება არის საკუთარ თავთან დამოკიდებულების და სხვასთან დამოკიდებულების ერთობლიობა“ (Гегель, 1974, 301).

[80] „ჯერ კიდევ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ა. სმითი გენიალურია თავის შეცდომებშიც და წინააღმდეგობებშიც კი. მიმაჩნია, რომ ა. სმითის დღემდე აღიარებული მეცნიერული მიგნებების არსენალს შეიძლება დავუმატოთ კიდევ ერთი. ერთი მხრივ, ა. სმითი წერს, რომ საქონლის ღირებულება იზომება შრომით, რომელიც განივთებულია თვითონ საქონელში, ხოლო სხვა ადგილას იგი წერს, რომ ღირებულება იზომება ცოცხალი შრომით, რომელიც შეიძლება იყოს შესყიდული ამ საქონლით. რა თქმა უნდა ეს არის წინააღმდეგობა. მაგრამ თუ ლოგიკურად გავაგრძელებთ მსჯელობას, მაშინ ამ წინააღმდეგობაში შეიძლება დავინახოთ

რეობს, რომ გაცვლაში მონაწილე ორი საქონელი ეთანაზომება ერთმანეთს აგრეთვე სარგებლიანობის მიხედვით. და ისევ, რადგან სარგებლიანობა იზომება ანაზღაურებით, რომელსაც სთავაზობენ მის სანაცვლოდ (ამ შემთხვევაში ანაზღაურება არის საპირისპირო საქონლის წარმოების ხარჯები), ამიტომ ეთანაზომებიან რა ერთმანეთს ხარჯების მიხედვით, ისინი ეთანაზომებიან ერთმანეთს აგრეთვე სარგებლიანობის მიხედვითაც. აქ აგრეთვე ნათლად ჩანს კონტრაგენტების სარკისებურად სიმეტრიული და საპირისპირო დამოკიდებულება ორ გასაცვლელ საქონელთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ რადგან ყოველი საქონლის სარგებლიანობა იზომება მასში გასაცვლელი საქონლის წარმოების ხარჯებით, ამიტომ, თუ საბაზრო გაცვლის ყველა აქტში ყველა გასაცვლელი საქონელი გაუტოლდება ერთმანეთს ხარჯების მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ ისინი უტოლდებიან ერთმანეთს აგრეთვე სარგებლიანობის მიხედვითაც. სწორედ ეს უზრუნველყოფს ხარჯების თანაბარსარგებლიანობას მთლიანად ეკონომიკაში და, ესე იგი, მის ოპტიმალურობას;

ხარჯების და რეზულტატების შეთანაზომების ფრიად რაციონალური მექანიზმის ინტუიტიური, ა. სმითის მიერ არასრულად გაცნობიერებული, ხედვა. თუ ვივარაუდებთ, რომ შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია მოცემული საქონლით, დამოკიდებულია ამ საქონლის სარგებლიანობაზე (რაც სავსებით ბუნებრივია), მაშინ გამოდის, რომ ა. სმითის თანახნად, ღირებულება ერთდროულად იზომება, როგორც საქონლის წარმოებაზე გაწეული შრომის ხარჯებით, ასევე, საქონლის სარგებლიანობით. ხოლო თუ აგრეთვე დაუშვებთ, რომ შესასყიდი ცოცხალი შრომა იმ შრომის ეკვივალენტურია, რომელიც განივთებულია გასაყიდ საქონელში, მაშინ გამოდის, რომ ორი საქონლის ბარტერული გაცვლის შემთხვევაში პირველი საქონლის სარგებლიანობა იზომება შესასყიდი შრომით, ანუ ხარჯებით, რომელიც განივთებულია მეორე (შესასყიდ) საქონელში. მაშასადამე, გაცვლის პროცესში ხდება მოცემული საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის შეთანაზომება ამავე საქონლის სარგებლიანობასთან. იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს ყოველი საქონლის უშუალოდ, ან ფულის მეშვევობით, შეთანაზომებას ყველა დანარჩენ საქონელთან, ზემოაღნიშნულ პროცესს ტენდენციაში მივყავართ შრომის ხარჯების თანაბარსარგებლიანობასთან მთლიანად ეკონომიკაში, ანუ, მივყავართ ეკონომიკის ოპტიმალური მდგომარეობისკენ“ (Леиашвили, 1990, 101).

3. გაცვლაში მონაწილე ორივე საქონელი ერთდროულად არის გასაყიდიც და შესასყიდიც. შეუძლებელია იყოს ერთი, და არ იყოს მეორე. მხარეთა კომპრომისი, რომელიც მიიღწევა შესასყიდი საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობის და გასაყიდ საქონელში განივთებული საზოგადოებრივი ხარჯების შეთანაზომების შედეგად, განაპირობებს გაცვლის ფაქტობრივ პროპორციებს. ამასთან, გაცვლითი პროპორციები შეიძლება იყოს გამოხატული ორი ურთიერთსაპირისპირო ფორმით იმისდა მიხედვით, თუ რომელ საქონელს აღვიქვამთ ღირებულების ფარდობით ფორმაში, და რომელს - ეკვივალენტურ ფორმაში. ღირებულების ამ ფორმებს შორის არსებობს რეფლექსია. მაგალითად, გაცვლითი პროპორცია x A = y B შეიძლება იყოს გამოხატული A საქონლის ფასით (P_A = y/x B), და აგრეთვე B საქონლის ფასით (P_B = x/y A). მონეტარული ეკონომიკის პირობებში ფულის ერთეული ასრულებს ღირებულების საზომის ერთეულის ფუნქციას. ამიტომ ყველა საქონლის ფასი გამოხატულია ფულადი ერთეულების რაოდენობით. მაგრამ, პრინციპში, ფულის ერთეულის ფასი თვითონ შეიძლება იყოს გამოხატული შესასყიდი საქონლის რაოდენობით. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ფული არის მხოლოდ გაცვლის საშუალება, და, საბოლოო ჯამში, საქონელი იცვლება საქონელზე, მაშინ, მით უფრო ცხადი ხდება, რომ არსებითად ყველა საქონლის ფასს აქვს თავის შებრუნებული ფასი, გამოხატული მასში გასაცვლელი საქონლის ფასით, ფული კი არის მხოლოდ ერთ-ერთი გასაცვლელი „საქონელი“, რომლის ფასიც მიჩნეულია ერთეულად, და რომელიც საქონლის მყიდველისთვის ასრულებს საქონლის საზოგადოებრივი სარგებლიანობის საზომი ერთეულის ფუნქციას, ხოლო გამყიდველისთვის - საქონლის წარმოების საზოგადოებრივი ხარჯების საზომი ერთეულის ფუნქციას.

4. ყოველი კერძო სუბიექტი, და მთლიანად საზოგადოებაც, ერთდროულად არის მყიდველიც და გამყიდველიც. სუბიექტებს

გამოაქვთ ბაზარზე როგორც წარმოებული საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი (რის სანაცვლოდაც მოითხოვენ საზოგადოებრივი პროდუქტის სხვა ეკვივალენტურ ნაწილს), ასევე, სხვადასხვა პროდუქტებზე საზოგოდოებრივი მოთხოვნილებების ნაწილი (რის ნაცვლადაც სთავაზობენ მათ მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ პროდუქტს). როგორც მომხმარებლები, გაცვლაში მონაწილე მხარეები თავის ხარჯებს ადარებენ შესასყიდი საქონელის სარგებლიანობას, ხოლო როგორც მწარმოებლები – მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს.

მაგრამ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, ისევე როგორც მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, არსებობს რეფლექსიური კავშირი. ამიტომ, გაცვლითი პროპორციის თაობაზე კომპრომისის ძიებისას, ის, რასაც ერთი მხარე მიიჩნევს როგორც სარგებლიანობის ზრდას, მეორესთვის – ნიშნავს ხარჯის ზრდას, ხოლო ხარჯების შემცირება პირველი მხარისთვის ნიშნავს სარგებლიანობის შემცირებას – მეორესთვის.[81] საბაზრო ეკონომიკაში პოტენციურად ყოველ სუბიექტს შეუძლია შევიდეს ურთიერთობაში ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ სუბიექტთან და ყოველი საქონელი პოტენციურად შეიძლება იყოს გაცვლილი ნებისმიერ სხვა საქონელზე. კონკურენცია ყველას აძლევს საშუალებას ეძებოს უფრო დამთმობი კონტრაგენტი და დაიცვას თავისი ინტერესები. მაგრამ თვით გარიგება შეიძლება შედგეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. და ეს აიძულებს ყველას თვითონაც იყვნენ დამთმობნი. საბაზრო პროცესებში

[81] ყოველი მხარე ეძებს თავის სარგებელს. სარგებლობენ რა კონკურენციით გამყიდველებს შორის, მყიდველები ცდილობენ მოძებნონ უფრო დამთმობი გამყიდველი, ხოლო გამყიდველები, სარგებლობენ რა კონკურენციით მყიდველებს შორის, ცდილობენ მოძებნონ უფრო დამთმობი მყიდველი. მაგრამ ყველა ერთდროულად არის თავისი საქონლის გამყიდველი და სხვისი საქონლის მყიდველი. ამიტომ კომპრომისის ძიებისას თვითოეული მათგანი ინდივიდუალურად ეძებს მისთვის ოპტიმალურ ზღვარს, თუ რამდენად იყოს დამთმობი, და რამდენად - არა.

მონაწილე ყველა აქტორის საპირისპიროდ მიმართული ინტერესების ურთიერთგადაჯაჭვულობა მთლიანად ეკონომიკაში ბადებს თანაბარსარგებლიანობის საერთო ტენდენციას, რომლის შემთხვევაშიც ხარჯის ყოველ ერთეულზე მოდის ერთნაირი სიდიდის სარგებლიანობა. ამით ხდება საერთო ეკონომიკური წონასწორობის პირობების დაკმაყოფილება.

ცხადია, რომ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და წარმოებას შორის დისბალანსის შემთხვევაში იბადება შეუსაბამობა, რომელიც არსებობს, ჯერ ერთი, თვითონ საქონელში მის საზოგადოებრივ სარგებლიანობასა და წარმოების საზოგადოებრივ ხარჯებს შორის, და მეორეც, გასაცვლელ საქონელში განივთებულ საზოგადოებრივ ხარჯებს შორის. თუ საქონელი წარმოებულია ჭარბად, მაშინ საქონელში განივთებული ხარჯების ყოველ ერთეულზე მოდის ნაკლები საზოგადოებრივი სარგებლიანობა, ვიდრე საშუალოდ ეკონომიკაში. ანუ, რაც იგივეა, სარგებლიანობის ერთეულზე მოდის მეტი ხარჯი, ვიდრე საშუალოდ ეკონომიკაში.[82] ამიტომ ამ საქონლის მყიდველი სანაცვლოდ სთავაზობს ნაკლებ საქონელს (რომელიც შეიცავს სარგებლიანობის და ხარჯების ნორმალურ თანაფარდობას), ვიდრე გამყიდველი მოითხოვს თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად. რადგან მყიდველი ხელმძღვანელობს შესასყიდი საქონლის სარგებლიანობით, ხოლო გამყიდველი - ორიენტირებულია თავის ხარჯებზე, სახეზეა

[82] მზარდი ზღვრული დანახარჯების კანონი არის კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონის მეორე მხარე. მაგრამ ეს კანონი უნდა იქნეს გაგებული როგორც მზარდი ზღვრული დანახარჯები არა დამატებით წარმოებული პროდუქტის ერთეულზე, არამედ ამ პროდუქტის სარგებლიანობის ერთეულზე. ანუ საჭიროა მისი ინტერპრეტირება არა როგორც ტექნოლოგიური, არამედ, როგორც ეკონომიკური კანონის. ხოლო ტექნოლოგიური თვალსაზრისით, წარმოების ზრდასთან ერთად, ზღვრული ხარჯები, როგორც წესი, კი არ იზრდება, პირიქით, მცირდება. ამ კანონის ტექნოლოგიური ინტერპრეტაცია ეფუძნება ბანალურ იდეას, რომ ტექნოლოგიურად ოპტიმალური პროპორციებიდან გადახრა იწვევს უკუგების შემცირებას და ხარჯების ზრდას. მაგრამ ეს არის უბრალო ემპირიული დაკვირვება, და არა ეკონომიკური კანონი.

წინააღმდეგობა ამ საქონლის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ ამ საქონლის წარმოება წამგებიანია მწარმოებლისთვის, ხოლო მისი მოხმარება მომგებიანია მომხმარებლისთვის. ეს იწვევს ამ საქონლის წრმოების შემცირებას, და ამავდროულად, მისი მოხმარების ზრდას. თანდათან წონასწორობა აღდგება.

საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს დეფიციტური წარმოების პირობებში. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი სარგებლიანობა, რომელიც მოდის ხარჯების ერთეულზე, მეტია, ვიდრე საშუალოდ ეკონომიკაში (ხოლო ხარჯები სარგებლიანობის ერთეულზე - ნაკლები). მომხმარებლები იძულებულნი არიან ამ საქონლის მწარმმოებელს გადაუხადონ უფრო მაღალი საფასური, ვიდრე ის, რაც შეესაბამება მის ფაქტობრივ ხარჯებს ნორმალურ პირობებში. ეს მომგებიანს ხდის მის წარმოებას და წამგებიანს ხდის მოხმარებას. იბადება შესაბამისი სტიმულები. ამ საქონლის წარმოება იზრდება და მოხმარება მცირედება. წონასწორობა ისევ აღდგება. როგორც ვხედავთ, ეკონომიკური წონასწორობის დარღვევა ზრდის წინააღმდეგობას ეკონომიკური ფასეულობის შიგნით ეკონომიკურ სარგებლიანობასა და ეკონომიკურ ხარჯებს შორის, რომელიც, თავის მხრივ, ბადებს საბაზრო ძალებს, მიმართულს წონასწორობის აღდგენისაკენ ანუ, ეკონომიკური სისტემა თვითრეგულერებადია;

5. მწარმოებლის პოზიციებიდან ფაქტობრივი ხარჯების ფაქტობრივ სარგებლიანობასთან შეთანაზომება გულისხმობს ფაქტობრივი ხარჯების შეთანაზომებას იმ ხარჯებთან, რომელიც აუცილებელია ამ ფაქტობრივი სარგებლიანობის მისაღებად ეკონომიკური მოღვაწეობის ნორმალურ პირობებში. სხვა სიტყვებით, ეს გულისხმობს ფაქტობრივი ხარჯების შედარებას ოპტომალურ ხარჯებთან, ანუ, ეკონომიკური წონასწორობის პირობებში გასაწევ ხარჯებთან. ხოლო მომხმარებლისათვის პირიქით, აღნიშნული შეთანაზომება გულისხმობს ფაქტობრივი

სარგებლიანობის შედარებას იმ სარგებლიანობასთან, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ ფაქტობრივ ხარჯებს ეკონომიკური მოღვაწეობის წონასწორულ (ოპტიმალურ) რეჟიმში;

6. რესურსების გადანაწილება, მათი ამოღება ჭარბი წარმოების დარგებიდან და დეფიციტურ დარგებში ჩადება იწვევს *ხარჯის ერთეულზე სარგებლიანობის ზრდას,* ხოლო წარმოების მოძველებული მეთოდების ჩანაცვლება პროგრესული მეთოდებით იწვევს *სარგებლიანობის ერთეულზე ხარჯის შემცირებას.* ორივე ამ პროცესის სტიმულებს ბადებს გასაცვლელ საქონელში განივთებული საზოგადოებრივი სარგებლიანობის და საზოგადოებრივი ხარჯების შეუსაბამობა. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს პროცესები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების სექტორებში ხარჯების თანაბარსარგებლიანობის ტენდენციის ფორმირებას. მგრამ უშუალოდ გაცვლის პროცესში, უკვე წარმოებული სასაქონლო მარაგების რაციონალური განაწილება მომხმარებლებს შორის, ხორციელდება თვითოეული მხარის მისწრაფებით მიაღწიოს გაცვლის ისეთ პროპორციებს, რომელნიც ნაკარნახებია გასაყიდი საქონლის წარმოების ხარჯების და შესასყიდი საქონლის სარგებლიანობის შეთანაზომებით. ამით ხდება საზოგადოებრივი წარმოების შედეგების თანაბარსარგებლიანი განაწილება გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების შესაბამისად. და ყველა ეს შეთანაზომება ხდება ღირებულების (საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობების) მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლო და საწარმოო ღირებულებების ერთობლიობას, ანუ საზოგადოებრივი სარგებლიანობის და საზოგადოებრივი ხარჯების ერთობლიობას;

7. ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებას შეუძლია გამოყოს რესურსების გარკვეული რაოდენობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, უმდა იქნეს ანაზღაურებული ეკვივალენტური ღირებულების მქონე სხვა რესურსებით, რომლებიც განივთებულია რაიმე სხვა საქონელში. ეს არის შრომის

დანაწილების გარდუვალი შედეგი. მაგრამ თუ ფაქტობრივად წარმოებულია მეტი, ან ნაკლები საქონელი, ვიდრე ეს აუცილებელია საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაშინ იბადება შეუსაბამობა, ერთი მხრივ, თვითონ საქონელში განივთებულ ხარჯებსა და, მეორე მხრივ, იმ ხარჯებს შორის, რომელიც განივთებულია სხვა საქონელში, რომლითაც იქნება ანაზღაურებული პირველი საქონელი. ბუნებრივია, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, რათა არ დარჩნენ წაგებაში, ცალკეული მწარმოებლები ეცდებიან თავისი მოღვაწეობის კორექტირებას წარმოების ზრდის ან შემცირების გზით. მთლიანობაში, საზოგადოებრივი ფასეულობის საფუძველზე სასაქონლო გაცვლის მექანიზმი ორიენტირებულია მთლიანად ეკონომიკაში წონასწორობის დამყარებაზე, როდესაც ერთმანეთის ტოლ საზოგადოებრივ ხარჯებზე, შესაბამისად, მოდის ტოლი საზოგადოებრივი სარგებლიანობები.

2.3.4. მოგება და დანაზოგი

1. შემოსავლებისა და გასავლის მონაცვლეობას ადგილი აქვს როგორც წარმოების, ისე მოხმარების სექტორებში. შემოსავალი და გასავალი ისეთივე რეფლექსიური კატეგორიებია, როგორც წარმოება და მოხმარება, პროდუქტი და რესურსი, სარგებლიანობა და ხარჯი. მწარმოებლების შემოსავლები არის მომხმარებლების გასავალი, ხოლო მწარმოებლების გასავალი – მომხმარებლების შემოსავალი. შესაბამისად, სხვაობა შემოსავლებსა და გასავალს შორის მათ მიერ აღიქმება სარკისებურად საპირისპირო ფორმით. მწარმოებელი ამ სხვაობას აღიქვავს როგორც მოგებას, მომხმარებელი – როგორც დანაზოგს. მაგრამ სწორედ ამიტომ მოგება და დანაზოგი შინაგანად ურთიერთდაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან. რადგან ერთის შემოსავლები მეორესთვის

არის გასავალი, ამიტომ მოგება და დანაზოგი ვერ იქნება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სიდიდეები. რადგან შემოსავლები და გასავალი, როგორც მწარმოებლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის, დამოკიდებულია პროდუქტების და რესურსების ფასებზე, ამიტომ, რაც უფრო იზრდება საბოლოო პროდუქტების ფასები პირველადი რესურსების ფასებთან შედარებით, მით უფრო მეტია მოგება და ნაკლებია დანაზოგი. და პირიქით, რაც უფრო იზრდება რესურსების ფასები პროდუქტების ფასებთან შედარებით, მით უფრო მეტია დანაზოგი და ნაკლებია მოგება. ანუ საბაზრო ეკონომიკაში რესურსებისა და პროდუქტების ფასებს შორის თანაფარდობის ცვლილებები საპირისპირო ფორმით აისახება მთლიან მოგებაზე და მთლიან დანაზოგზე;

2. გასავალი აძლევს მწარმოებლებს შემოსავლების მიღების საშუალებას, მომხმარებლების შემთხვევაში კი, პირიქით, მათი შამოსავლები განაპირობებენ მათ გასავალს. მწარმოებლები ჯერ განახორციელებენ ფულად ხარჯებს, შემდეგ იღებენ შემოსავალს. მომხმარებლები – პირიქით. შესაბამისად, ფულადი ხარჯების თაობაზე ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს სუბიექტი, როგორც მწარმოებელი, იღებს მომავალში მოსალოდნელი შემოსავლების საფუძველზე, ხოლო როგორც მომხმარებელი – უკვე მიღებული შეოსავლების საფუძველზე. ამიტომ მოგების მიღება დაკავშირებულია სამეწარმეო რისკთან, ხოლო დანაზოგების შექმნა – მომჭირნეობასთან.

ეკონომიკური სუბიექტი, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოება, ერთდროულად არის როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი. ამიტომ ყველა სუბიექტს უწევს, როგორც მეწარმის, ისე დამზოგველის ფუნქციის შესრულება. მწარმოებელი ასრულებს არა მარტო მეწარმის, არამედ დამზოგველის ფუნქციასაც, რადგან წარმოებიდან მიღებულ შემოსავალს იგი არ ხარჯავს მთლიანად ისევ წარმოებაში, არამედ ზოგავს შემოსავალის გარკვეულ ნაწილს. სწორედ ეს "დანაზოგი" არის წარმოების

პროცესიდან ამოღებული მოგება, ანუ მისი პირადი შემოსავალი. და იღებს რა გადაწყვეტილებებს ფულადი ხარჯების (გასავლის) შესახებ, იგი ითვალისწინებს არა მარტო მოგებას მომავალი შემასავლებიდან, არამედ იმასაც, თუ რა "დანაზოგი" რჩება ადრე მიღებული შემოსავლიდან, ანუ, ამ შემოსავლის რა ნაწილს ამოიღებს ბრუნვიდან.

ასევე მომხმარებელი ასრულებს არა მარტო დამზოგველის, არამედ "მეწარმის" ფუნქციასაც. რადგან, იღებს რა გადაწყვეტილებებს მიმდინარე ფულადი ხარჯების (გასავლის) თაობაზე, ამით იგი იღებს გადაწყვეტილებას დაზოგვის თაობაზე. ხოლო გადაწყვეტილება დაზოგვის შესახებ დაკავშირებულია არა მარტო მოთხოვნილებების შეზღუდვასთან, არამედ რისკთანაც. ცხადია, ეს გადაწყვეტილება დამოკიდებულია არა მარტო უკვე მიღებულ შემოსავალზე, არამედ მომავალში მოსალოდნელ შემოსავალზეც. მისი მიღება კი არასოდეს არის გარანტირებული. იგი ითვალისწინებს იმას, იქნება თუ არა მომავალი შემოსავალი მიმდინარე გასავალზე მეტი ანუ, დარჩება თუ არა "მოგება".

ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი თვითეულ გადაწყვეტილებას გასავლის თაობაზე იღებს, როგორც უკვე მიღებული, ისე მოსალოდნელი შემოსავლების გათვალისწინებით. ამიტომ გადაწყვეტილებები მიიღება როგორც დამზოგველის, ისე მეწარმის პოზიციებიდან. რადგან ზოგადად, შემოსავალსა და ხარჯებს შორის სხვაობა აღიქმება როგორც მოგება, თუ შემოსავლებს შევადარებთ უკვე გაწეულ ხარჯებს, ან როგორც დანაზოგი – თუ ხარჯებს შევადარებთ უკვე მიღებულ შემოსავალს. ხოლო შემოსავლებისა და გასავლების მონაცვლეობაში სუბიექტის პოზიციაზეა დამოკიდებული, თუ როგორ განიხილავს იგი სხვაობას შემოსავალსა და გასავალს შორის – როგორც მოგებას, თუ როგორც დანაზოგს. ანუ, "მოგება" და "დანაზოგი", "მეწარმე" და "დამზოგველი" ისეთივე რეფლექსიური კატეგორიებია, როგორც "მწარმოებელი" და "მომხმარებელი".

2.3.5. ინვესტირება და ვალად მოხმარება

1. მოხმარების პროცესში კაპიტალური დოვლათი განიცდის ცვეთას. მაგრამ კაპიტალური დოვლათის რაოდენობაზე დამოკიდებულია მისი მესაკუთრის შემოსავლები, მისი სამომხმარებლო შესაძლებლობები. ამიტომ მესაკუთრე დაინტერესებულია არა მარტო ამორტიზირებული კაპიტალის აღდგენაში, არამედ კაპიტალის ზრდაშიც. ამიტომ იგი ზოგავს თავისი შემოსავლების ნაწილს და იყენებს მას არა მიმდინარე მოხმარების გაზრდისათვის, არამედ კაპიტალის აღდგენისათვის და მისი გაზრდისათვის, ანუ, ფიზიკურ კაპიტალში ინვესტირებისათვის;

2. მეწარმის მიერ სასიცოცხლო საშუალებების მოხმარება არის "საკუთარ თავთან ვალში მოხმარება".[83] მისი მიმდინარე მოხმარება ხდება მომავალი ანაზღაურების იმედით, ხდება მომავალში ზედმეტი პროდუქტის ხარჯზე. ანუ, იგი მოიხმარს პროდუქტებს მის ხელთ არსებული მარაგიდან, თუმცა არა აქვს გარანტია, რომ შეძლებს მის კომპენსირებას მოსალოდნელი მოგებით, ანუ ზედმეტი პროდუქტის გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან. ეს ნიშნავს იმას, რომ იგი ახდენს წარსულში მიღებული ზედმეტი პროდუქტის ინვესტირებას თავის მიმდინარე პირად მოხმარებაში.

---

[83] წერილიდან მარქსი - ენგელსს (23 ივნისი 1868 წ). კ. მარქსი ახდენს ა. სმითის ციტირებას: „ამ პირის მოგება ამასთანავე არის მისი შემოსავალი, მისი არსებობის რეალური წყარო. მსგავსად იმისა, როგორც საქონლის წარმოების და ბაზარზე მიწოდების პროცესში იგი ახდენს თავისი მუშების ხელფასების, ან მათი საარსებო საშუალებების, ავანსირებას, ზუსტად ასევე და იგივენაირად, იგი თავის თავს უკეთებს საარსებო საშუალებების ავანსირებას იმ ზომით, რომელიც შეესაბამება იმ მოგებას, რომლის მიღებასაც იგი, გარკვეული საფუძვლიანობით, ვარაუდობს თავისი საქონლის გაყიდვიდან. ამიტომ, თუ საქონელი მას არ მოუტანს ამ მოგებას, იგი ვერ აუნაზღაურებს მას იმ ხარჯებს, რაც, სრული უფლებით შეიძლება ითქვას, იგი დაუჯდა მას.“ (იხ. Смит, 1935, 46, 52-53.). მარქსი წერს: „წარმოების ხარჯებში მოგება შეყვანის მეორე მეთოდი, (რადგან ავანსად იგი უკვე შეიჭამა), მართლაც აღტაცების ღირსია.“ (Маркес, Энгельс, 1986, 163).

ასეთი ინვესტიციების გარეშე იგი ვერ შეძლებს არსებობას და, ესე იგი, მეწარმის ფუნქციის შესრულებას.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით მთლიანად ეკონომიკაში წარმოებული ზედმეტი პროდუქტის ინვესტირება ხდება აგრეთვე განათლებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ჯანდაცვაში, უსაფრთხოებაში, მართლწესრიგში და ა.შ. ეს ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში ქმნიან არა მარტო ეკონომიკის, არამედ მთლიანად საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს.

ასე რომ, ინვესტიციები ხორციელდება როგორც დაზოგილი რესურსების, ისე ზედმეტი პროდუქტის ხარჯზე. დაზოგილი რესურსების ინვესტირება ხდება ფიზიკურ კაპიტალში, ხოლო ზედმეტი პროდუქტის ინვესტირება – ადამიანურ კაპიტალში;[84]

3. ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება არის პროცესი, რომელიც გადის აუცილებელი პროდუქტის და აუცილებელი რესურსის წრებრუნვის ფარგლებს გარეთ. ინვესტირება გულისხმობს მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის ურთიერთქმედების განსხვავებულ ფორმებს, ვიდრე ის, რასაც გულისხმობს მათი ურთოერთქმედება მიმდინარე წარმოების და მიმდინარე მოხმარების პროცესში. ნაცვლად გაცვლისა (ყიდვა-გაყიდვისა) აქ იგულისხმება საკრედიტო ურთიერთობები. ისევე როგორც მიმდინარე წარმოების მეორე მხარეს წარმოადგენს მიმდინარე მოხმარება, ასევე ინვესტირების მეორე მხარეს წარმოადგენს *ვალად მოხმარება*. თუ ერთი ახდენს ინვესტირებას, ესე იგი ვიღაც მეორე ვალად მოიხმარს პირველის მიერ ინვესტირებულ რესურსებს (ან პროდუქტებს). ერთი შეუძლებელია მეორეს გარეშე. ისინი წარმოადგენენ საწარმოო და სამომხმარებლო შესაძლებლობების

[84] ინვესტიციების შედეგად ხდება ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის აღდგენა და ზრდა, ხოლო დროთა განმავლობაში, აგრეთვე ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებაც საჭიროს გახდის სულ უფრო მეტ ინვესტირებას მასში.

დროში გადანაწილების პროცესის ორ სხვადასხვა ასპექტს. ასეთი გადანაწილება შესაძლებელია არა მხოლოდ სხვადასხვა სუბიექტებს შორის, არამედ თვითონ სუბიექტიც ახდენს ასეთ გადანაწილებას თავისი მოღვაწეობის ოპტიმიზაციის მიზნით. სუბიექტზეა დამოკიდებული, როგორ განიხილავს იგი თავის მიმდინარე მოხმარების ზრდას – როგორც მიმდინარე გასავლის ზრდას მომავალი შემოსავლის მისაღებად, თუ მიმდინარე გასავლის ზრდას მომავალში შემოსავლის ხარჯზე ანუ განიხილავს მას როგორც ინვესტირებას, თუ როგორც ვალად მოხმარებას.

ინვესტირება და ვალად მოხმარება გულისხმობენ ჭარბი შესაძლებლობების ამოღებას დროის ერთი ინტერვალიდან და მათ დამატებას დროის სხვა ინტერვალში. ინვესტირება გულისხმობს მიმდინარე მოთხოვნილებების შეზღუდვას და დაზოგილი რესურსების გამოყენებას მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს კი ნიშნავს, რომ სუბიექტი ახდენს მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობების "გაცვლას" მომავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე. ამ მიზნით, იგი მიმდინარე მოთხოვნილებების შეზღუდვით დაზოგოლი რესურსებით "აკრედიტებს" მომავალ მოთხოვნილებებს. ხოლო იქამდე, სანამ მომავალში მოხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება და პროდუქტის მიღება, ინვესტირებული რესურსების მოხმარება არის "ვალად მოხმარება". ანუ ინვესტირებასა და ვალად მოხმარებას შორის აგრეთვე არსებობს რეფლექსური ურთიერთკავშირი.

შინაგანდ ისინი ისევე ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის საპირისპირონი არიან, როგორც მოგება და დანაზოგი, წარმოება და მოხმარება;

4. ვალი და კრედიტი აგრეთვე წარმოადგენენ რეფლექსიურ კატეგორიებს. ისინი არიან ერთი და იგივე ეკონომიკური ურთიერთკავშირის სხვადასხვა მხარე. ფულადი თანხა, რომელიც ერთი მხარისთვის არის კრედიტი, მეორესთვის არის ვალი.

მონეტარული ეკონომიკის პირობებში საკრედიტო რესურსები ფორმირდება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებიდან. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს საკრედიტო რესურსების წარმოშობის წყარო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ფულის ვუალის“ (“money veil”) არსებობას, და განვიხილავთ „წმინდა სასაქონლო ურთიერთკავშრებს“, არსი დარჩება უცვლელი. ვალად მოხმარების შემთხვევაში, „სასაქონლო კრედიტის“ აღება (საბოლოო პროდუქტების სახით) მომხმარებლებს შეუძლიათ მხოლოდ მწარმოებლებისაგან, ხოლო საწარმოო ინვესტიციების შემთხვევაში, „სასაქონლი კრედიტის“ აღება (პირველადი რესურ-სების სახით) მწარმოებლებს შეუძლიათ მხოლოდ მომხმარებ-ლებისგან ანუ მესაკუთრეებისაგან. ასე რომ, მწარმოებლებიც და მომხმარებლებიც ერთდროულად არიან კრედიტორებიც და დებიტორებიც, მსესხებლებიც და გამსესხებლებიც;[85]

5. ინვესტიციები და ვალად მოხმარება არის ეკონომიკური შესაძლებლობების დროში გადანაწილება. მაგრამ ამ პროცესის არსი დაიყვანება ეკონიმიკური შესაძლებლობების დროებით გადანაწილებაზე საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებს შორის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტექნოლოგიურ პროგრესს, მოხმა-რების არსებული დონის შესანარჩუნებლად გარკვეული დროის განმავლობაში, როგორც უკვე აღინიშნა, აქტორი გამუდმებით უნდა ზოგავდეს რესურსებს კაპიტალური დოვლათის წარმოებაში ინვესტირებისათვის. ეს აუცილებელია ამორტიზირებული კაპიტა-ლის პერიოდული შეცვლისათვის. ასეთი ინვესტიციები უნდა აკეთონ როგორც მწარმოებლებმა, საწარმოო დანიშნულების

[85] საერთოდ რაც შეეხება კრედიტს, „ფულადი კრედიტის“ აღება საკუთარი თავისგან (მით უფრო კრიზისების დროს) და შემდგომში ვალის დაფარვა საკუთარ თავთან, ხდება დაგროვილი სახსრების (ანუ წარსულში გაკეთებული დანაზოგების ჯამის) ხარჯვის და მათი შემდგომი აღდგენის სახით. ეს არის სამომხმარებლო და საწარმოო შესაძლებლობების დროში გადანაწილების ჩვეულებრივი ფორმა, რაც განპირობებულია ეკონომიკური მოღვაწეობის დროში ოპტიმიზაციის აუცილებლობით.

კაპიტალის აღსადგენად, ასევე, მომხმარებლებმა, სამომხმარებლო დანიშნულების კაპიტალის აღსადგენად. რადგან სამომხმარებლო კაპიტალური დოვლათი (საცხოვრებელი ბინა, მანქანა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი და სხვ.) დროთა განმავლობაში ისევე განიცდის ცვეთას, როგორც საწარმოო კაპიტალი. ამიტომ, მოხმარების არსებული დონის შესანარჩუნებლად, ისინი ისევე საჭიროებენ პერიოდულ შეცვლას და შეკეთებას, როგორც საწარმოო დანიშნულების კაპიტალი.

მომხმარებელს შეუძლია მიმდინარე მოხმარება გაზარდოს ვალად მოხმარების გზით. ასეთ შემთხვევაში ვალად მოხმარება მას შეუძლია ან სხვა სუბიექტების დანაზოგების ხარჯზე, ან საკუთარი დანაზოგების ხარჯზე. პირველ შემთხვევაში სხვა სუბიექტები (კრედიტორები) აკეთებენ თავისი დანაზოგების ინვესტირებას, ანუ, გარკვეული გასამრჯელოს ფასად დაზოგილ რესურსებს სესხად აძლევენ მომხმარებელს (დებიტორს). იგი ვალდებულია შეთანხმებულ ვადებში დააბრუნოს ვალი და დარიცხული პროცენტები.

მეორე შემთხვევაში, მომხმარებელი ზრდის მიმდინარე მოხმარებას, ანუ ვალად მოიხმარს იმ დანაზოგების ხარჯზე, რომელიც აუცილებელია ამორტიზებული კაპიტალის აღსადგენად. ესე იგი, ახორციელებს დეზინვესტირებას, რისი საფასურიც იქნება მომავალში მოხმარების შემცირება. გარკვეული აზრით, სუბიექტი ხდება საკუთარი თავის კრედიტორიც და მოვალეც. ინვესტირება გულისხმობს მიმდინარე დანაზოგების გამოყენებას მომავალი მოხმარების ზრდისათვის, ხოლო დეზინვესტირება გულისხმობს საპირისპირო მოქმედებას - მომავალი დანაზოგების ინვესტირებას მიმდინარე მოხმარებაში. სხვა სიტყვებით, მომხმარებელს შეუძლია ვალად მოიხმაროს არა მარტო სხვისი ინვესტიციების ხარჯზე, არამედ საკუთარი დეზინვესტირების ხარჯზეც. მაგრამ, ორივე შემთხვევაში, ვალად მოხმარების საფასურის გადახდა სუბიექტს მოუწევს მომავალში მოხმარების

შეზღუდვით და დაზოგვის ზრდით. ეს აუცილებელია სხვისი ვალის დასაბრუნებლად ან საკუთარი დეზინვესტიციების კომპენ-საციისთვის და მოხმარების იმ დონის აღსადგენად, რომელიც მას გააჩნდა დეზინვესტიციების განხორციელებამდე ანუ, დეზინ-ვესტირება არის წმინდა ინვესტირების საპირისპირო მოქმედება;

6. თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას განვაზოგადებთ მთლიანად საზოგადოებაზე, და ამავდროულად მოვახდენთ აბსტრაჰირებას ტექნოლოგიური პროგრესის, საგარეო კავშირების, ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმების და სხვა გარე ზემოქმედებისაგან, მივიღებთ შემდეგს: როდესაც გაცემული კრედიტები უზრუნველყოფილია რეალური დანაზოგებით, მაშინ, საზოგადოების ერთი ნაწილი (მსესხებლები) ვალად მოიხმარს საზოგადოების მეორე ნაწილის (კრედიტორების) დანაზოგების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში შენარჩუნებულია ბალანსი ვალად მოხმარებასა და ინვესტირებას შორის, ანუ, კრედიტორებსა და დებიტორებს შორის. მოხმარების და დაზოგვის არსებული დონის შენარჩუნების პირობას წარმოადგენს ახალი და დაბრუნებული კრედიტების ტოლობა. მაგრამ, თუ მთლიანდ საზოგადოებაში ახალი კრედიტების გაცემა აღემატება ძველი ვალების დაბრუნებას, მაშინ საზოგადოების ერთი ნაწილის ვალად მოხმარება ხდება უკვე არა მარტო მეორე ნაწილის რეალური დანაზოგების ხარჯზე, არამედ მთლიანად ეკონომიკის დეზინვესტირების ხარჯზე ანუ ადგილი აქვს არა მარტო რესურსების გადანაწილებას საზოგადო-ების შიგნით სხვადასხვა აქტორებს შორის (წონასწორობის პირობებში მაკრო დონეზე - მთლიანი მოხმარების, დაზოგვის და ინვესტირებას შორის), არამედ, ადგილი აქვს მთლიანად ეკონომი-კის დეზინვესტირებას. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოება იწყებს საამორტიზაციო ფონდის ხარჯვას, ანუ, მოიხმარს დაზოგილი რესურსების იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელია გაცვეთილი კაპიტალის აღსადგენად. მაგრამ, თუ მომავალში, გაცვეთილი კაპიტალის ნაწილი არ იქნება აღდგენილი, მაშინ მოხდება

დეზინვესტირება. აუცილებელი გახდება მომავალში სამომხმა-რებლო დოვლათის წარმოების და, შესაბამისად, მოხმარების შემცირება. ხოლო, მოხმარების თავდაპირველი დონის აღსად-გენად, რომელიც არსებობდა დეზინვესტირების განხორციელე-ბამდე, მომავალში კვლავ საჭირო გახდება საწარმოო პოტენციალის გაზრდა (დაზოგვის ზრდა და მოხმარების შემცირება, რათა დეზინვესტიციები კომპენსირებული იქნეს ახალი წმინდა ინვესტიციებით). ეკონომიკა თითქოსდა ბრუნდება წარსულ მდგომარეობაში და საზოგადოება იძულებული ხდება ხელახლა გაიაროს განვითარების უკვე განვლილი ეტაპები;

7. ჩვენ არაერთხელ ავღნიშნეთ, რომ მწარმოებლები და მომხმარებლები ერთმანეთში ცვლიან თავიანთ პროდუქტებს, რომლებიც წარმოადგენენ რესურსებს მეორე მხარესათვის. ესე იგი, ეკონომიკური პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის აუცილებელია საბოლოო პროდუქტების წარმოების და პირვე-ლადი რესურსების აღწარმოების შესაბანისობა დროის პირობით ერთეულად მიჩნეული ინტერვალის ფარგლებში. მაგრამ გაცვლის პროცესში ასეთი "ხისტი" შესაბამისობის აუცილებლობა არსებობს მხოლოდ აუცილებელ პროდუქტებსა და აუცილებელ რესურსებს შორის. რადგან ეს გაცვლა უნდა იყოს სრულად კონპენსირებული დროის მიმდინარე ინტერვალის ფარგლებში. რაც შეეხება ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას, ისინი გულისხმობენ დოვლათის გაცვლას დროის სხვადასხვა ინტერვალებს შორის. ამიტომ, მართალია ინვესტიციები და ვალად მოხმარება (შესაბამისად დაზოგილი რესურსები და ზედმეტი პროდუქტი) გრძელვადიან პერიოდში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან როგორც ეკონომიკური ნაკადების ერთიანი სისტემის კომპონენტები, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ისინი უშუალოდ არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. ამიტომ დროის პირობითი ერთეულის ფარგლებში ისინი შეიძლება არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. სწორედ ეს შეუსაბამობა ბადებს

ეკონომიკურ ძალებს, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკური აქტივობის რყევებს. მაგრამ სწორედ ამ რყევების მეშვეობით ხდება ეკონომიკური სისტემის ინტენსივობის თვითრეგულირება (მისი ოპტიმუმიდან გადახრის ნიველირება). ამის შედეგად, ინვესტიციები და ვალად მოხმარება, რომლებიც არ უტოლდებიან ერთმანეთს დროის ერთი ინტერვალის ფარგლებში, მოდიან შესაბამისობაში დროის უფრო დიდ მონაკვეთში. სწორედ ეს დროის მონაკვეთი განაპირობებს სრული ეკონომიკური ციკლის ხანგრძლივობას.

შესაბამისად, ვალად მოხმარება და ინვესტირება, ისევე როგორც ზედმეტი პროდუქტი და დაზოგილი რესურსი (რომელიც არსებობს მხოლოდ განივთებული ფორმით, ანუ როგორც კაპიტალური დოვლათი), წარმოადგენენ ეკონომიკური ნაკადების ყველაზე უფრო ცვალებად კომპონენტებს ეკონომიკური ციკლის მერყეობის პროცესში. მართალია, აუცილებელ პროდუქტებსა და რესურსებს შორის წრებრუნვა აგრეთვე განიცდის მერყეობას, მაგრამ გაცილებით ნაკლებია მისი ამპლიტუდა.

2.3.6. საბაზრო ფასი და ეკონომიკური ფასეულობა

1. საბაზრო ფასი არის გაცვლის პროპორცია გასაცვლელ საქონელს შორის. მაშინ, როდესაც ფასი გამოხატულია ფულად ერთეულებში, ეს დეფინიცია რჩება ძალაში. ფული ასრულებს გაცვლის საშუალების ფუნქციას, ანუ არის შუამავალი გასაცვლელ საქონელთა შორის. საბოლოო ჯამში საქონელი იცვლება საქონელზე, ხოლო ფული მხოლოფ ბრუნავს და ემსახურება ხან ერთ, და ხან მეორე გარიგებას. მაგრამ გარდა ამისა ფული ასრულებს აგრეთვე ღირებულების (საზოგადოებრივი ფასეულობის) საზომი ერთეულის ფუნქციას. მაგრამ ამ ფუნქციის შესრულება მას შეუძლია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ასრულებს გაცვლის საშუალების ფუნქციას. ანუ იმიტომ, რომ ყველა

საქონელი ჯერ იცვლება ფულზე, ხოლო შემდეგ ფული იცვლება სხვა საქონელზე. რადგან ყველა საქონელი ეთანაზომება ფულს, შესაძლებელი ხდება აგრეთვე საქონელთა ერთმანეთთან შეთანაზომება ერთი და იგივე ფულად განზომილებაში. ამიტომ ღირებულების *შეთანაზომება,* რომელსაც ადგილი ჰქონდა ბარტერული გაცვლის პირობებში, თანდათან ჩაანაცვლა ღირებულების ზუსტმა *გაზომვამ* ფულად ერთეულებში. ამასთან, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ კონკრეტულად რომელი საქონლის ღირებულება იქნება მიჩნეული ღირებულების ერთეულად.

მეტიც, იმ პირობებში, როდესაც ფული არის მხოლოდ შუამავალი გასაცვლელ საქონელს შორის, თვითონ ფულის ერთეულის ღირებულების სიდიდე განპირობებულია არა მის წარმოებაზე გაწეული ხარჯით, არამედ მისი მსყიდველობითი უნარით, მისი სხვა საქონელზე გაცვლის უნარით. რადგან ამ ფულის ერთეულის უკან დგას საქონელთა მთელი სიმრავლე, რომელიც იცვლება მასზე, ამიტომ ფულის ერთეულის ღირებულებაც განპირობებულია არა თავისი საწარმოო ღირებულებით ან ფიზიკური თვისებებით, არამედ ყველა იმ საქონლის ღირებულებით, რომლის ყიდვაც შეიძლება მისი მეშვეობით. მაგრამ საქონლის რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიცვალოს ფულის გარკვეულ რაოდენობაზე, და, ესე იგი, ამ ფულის ეკონომიკური სარგებლიანობა და ღირებულება, განპირობებულია გასაყიდი საქონლის და ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობითა და ბრუნვის სიჩქარით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულში გამოხატული ფასი, როგორც ფულის საქონელზე გაცვლის პროპორცია, ხდება ღირებულების გამოვლენის ფორმა. ანუ ფასი არის მხოლოდ რიცხვი, კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს სხვადასხვა საქონლის ერთმანეთში გაცვლის პროპორციებს. მაგრამ ამ პროპორციებს საფუძვლად უდევს მათი ღირებულების, როგორც გასაცვლელ საქონელში განივთებული ერთგვაროვანი სუბსტანციის, ტოლობა.

გაცვლის გარეშე, სხვადასხვა საქონლის ღირებულების ერთმანეთთან შედარების გარეშე, ღირებულების სიდიდე ვერ იქნება გამოვლენილი. ამასთან, ყოველი ფასი, როგორც გაცვლითი პროპორციების მაჩვენებელი, ჯერ ერთი, შეიძლება იქნეს გამოხატული სხვადასხვა რიცხვებით, მაგალითად 1/2; 2/4; 16/32 და ა.შ. ამიტომ ინფლაციის ან დეფლაციის დროს ფასების საერთო დონე იზრდება ან მცირდება, მაგრამ ეს არ იწვევს ეკონომიკის პარალიზებას. მეორეც, ყოველი საქონლის ფასს შეესაბამება მისი საპირისპირო ფასი, რომელიც გამოხატულია საპირისპირო საქონელში. მაგალითად, ½ და 2 გამოხატავენ ერთი და იგივე გაცვლით პროპორციას, რომლის თანახმადაც საქონელი **A** და **B** ერთმანეთში იცვლება პროპორციით 1:2 (ერთი ორთან);

2. ფასწარმოქმნის პრობლემა ყოველთვის ბადებდა მწვავე დისკუსიებს ეკონომისტებს შორის. რადგან ფული არის მხოლოდ გაცვლის საშუალება და, საბოლოო ჯამში საქონელი იცვლება საქონელზე, და რადგან ფასი არის სხვა არაფერი თუ არა საქონელთა გაცვლის პროპორციები, ამიტომ პირველ რიგში საჭიროა გავიგოთ ბარტერული ფასების ფორმირების ლოგიკა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეკონომიკური სისტემა არის თავის თავში, ანუ სისტემის შიგნით, დიფერენცირებული მთლიანობა, ფასწარმოქმნის თითქოსდა რთული პრობლემა ძალზე მარტივად აიხსნება.

სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკა არის საკუთარ თავში დიფერენცირებული მთლიანობა, ამიტომ, წონასწორობის პირობებში ყოველი მისი დარგი აწარმოებს სხვა დარგებისთვის იმდენ პროდუქციას, რომ სრულად დააკმაყოფილოს ყოველი მათგანის მოთხოვნილებები. ამასთან, თვითონაც მოიხმარს სხვა დარგების პროდუქციას იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია საკუთარი წარმოებისათვის. მაგრამ ასეთ პირობებში, როდესაც ყველა დარგი აწარმოებს სხვებისათვის და მოიხმარს მხოლოდ იმას, რასაც აწარმოებენ სხვა დარგები, იქმნება სიტუაცია, როდესაც პროდუქ-

ტების გაცვლის შედეგად ფორმირდება გაცვლის პროპორციები, რომლის წყალობითაც ყველაფერი, რაც მიეწოდება ბაზარს იყიდება და ყველა გადახდისუნარიანი მოთხოვნა კმაყოფილდება. ეს ასეა, რადგან ნებისმიერი დარგის საბაზრო მოთხოვნის გადახდის საშუალებას წარმოადგენს დარგის მიერ წარმოებული პროდუქტი, რომელიც მიეწოდება სანაცვლოდ. ანუ დარგთა-შორისი პროპორციები განაპირობებენ დარგებს შორის პროდუქ-ტების გაცვლის პროპორციებს. ფაქტობრივად ეს არის წონასწო-რული ბარტერული ფასების ჩაკეტილი სისტემა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სულერთია როგორ გამოვხატავთ ამ გაცვლის პროპორციებს, როგორც xA = yB (დარგთაშორისი ბარტერული გაცვლის შემთხვევაში), თუ როგორც A = y/x B, ან როგორც B = x/y A (თუ ერთი საქონლის ფასი გამოხატულია მეორე საქონლის საშულებით). მთავარია, რომ დიფერენცირებული მთლიანობის პირობებში, როდესაც სისტემის შიგნით იწარმოება ყველაფერი, რაც მოიხმარება და მოიხმარება ყველაფერი, რაც იწარმოება, ხდება xA = yB ტიპის გაცვლის პროპორციების ფორმირება ყველა დარგებს შორის. ამასთანავე, ყოველი დარგი აწარმოებს ზუსტად იმდენს, რამდენიც აუცილე-ბელია ყველა სხვა დარგის (ანუ მთლიანად სისტემის) გადახდის-უნარიანი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. არც მეტი, არც ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკაში, საღაც ადგილი აქვს „საქონლის წარმოებას საქონლის მეშვეობით“ (პ. სრაფა), წონასწორობის შემთხვევაში, დროის გარკვეულ ინტერვალში, ყოველი დარგი აწარმოებს და ყიდის ზუსტად იმდენ საქონელს, რამდენიც საჭიროა ამ საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი (სხვა დარგების მიერ წარმოებული) საქონლის შესაძენად. ბაზარზე

არ რჩება არც გაუყიდავი საქონელი, არც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. ეს ნიშნავს ბარტერული ბაზრების სრულ გაწმენდას.[86]

მაგრამ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ფასები დამოკიდებულია დარგობრივ სტრუქტურაზე, დარგთაშორის პროპორციებზე. მაგრამ წინასწარ ხომ არავინ იცის როგორია დარგთაშორისი პროპორციები და არავინ ახდენს მათ ფორმირებას ცენტრალიზებული დაგეგმვის საფუძველზე? დარგობრივი პროპორციები ფორმირდება სტიქიურად. მაგრამ როგორ? ისინი ფორმირდება როგორც ცალკეული სუბიექტების წარმოების და მოხმარების სტიქიური შედეგი. მაგრამ ის, რასაც ცალკეული სუბიექტები აწარმოებენ და მოიხმარენ, დამოკიდებულია საბაზრო ფასების სისტემაზე. ანუ გამოდის, რომ საბაზრო ფასების სისტემა აყალიბებს დარგობრივ პროპორციებს, ხოლო დარგობრივი პროპორციები აყალიბებენ საბაზრო ფასების სისტემას. მთელი ეს საბაზრო მექანიზმი მოძრაობაში მოჰყავს ეკონომიკურ სტიმულებს, მაქსიმალური მოგების და დანაზოგების (ანუ ეკონომიკური ფასეულობის ზრდის) მიღებისაკენ სწრაფვას.

მართალია მონეტარულ ეკონომიკაში ფასწარმოქმნა რამდენადმე განსხვავდება ბარტერული ფასების ფორმირებისაგან, რადგან მხედველობაში მისაღებია აგრეთვე საბანკო სისტემა და საპროცენტო განაკვეთების როლი, ფისკალური სისტემა, სამეწარმეო ფუნქციის და მესაკუთრის ფუნქციის ცალკე გამოყოფა და

---

[86] აქ იგულისხმება, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ნებისმიერი დარგის ფუნქციონირება საჭიროებს არა მარტო უშუალოდ პროდუქტის აღწარმოებისათვის საჭირო რესურსებს, არამედ ამ დარგში დაკავებული სუბიექტების სიცოცხლის აღწარმოებასაც და, ესე იგი, მათი სიცოცხლის აღწარმოენისათვის საჭირო საბოლოო პროდუქტების მოხმარებას. ხომ ცხადია, რომ მეწარმის გარეშე ვერ იქნება წარმოებული საბოლოო პროდუქტი (წარმოების სექტორში), და მესაკუთრის გარეშე ვერ მოხდება პირველადი რესურსების აღწარმოება (მოხმარების სექტორში). შემდგომში ეს საკითხი უფრო დაწვრილებით იქნება განმარტებული.

სხვ., მაგრამ ბარტერული ფასწარმოქმნის იდეა საფუძვლად უდევს მონეტარული ფასწარმოქმნის ლოგიკასაც;

3. რადგან ეკონომიკა წარმოადგენს ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემას, რომელშიც პირველადი რესურსები გარდა-იქმნება საბოლოო პროდუქტებად, ხოლო საბოლოო პროდუქტები – პირველად რესურსებად, ამიტომ, შესაბამისად, ადგილი აქვს ფასების ფორმირების სიმეტრიულ პროცესებს. პროდუქტების ფასები ფორმირდება რესურსების ფასების საფუძველზე, ხოლო რესურსების ფასები – პროდუქტების ფასების საფუძველზე.[87] ანუ ადგილი აქვს რეკურსიულ პროცესებს. ამასთანავე, პროდუქტების ფასების ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს მოგების ნორმა, როგორც რისკის ფასი, ხოლო რესურსების ფასების ფორმირებაში – დაზოგვის ნორმა, როგორც მომჭირნეობის და თავშეკავების ფასი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ფასი არის სხვა ფასების ფუნქცია.[88] და,

---

[87] ამასთან, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ დოვლათის დაყოფა პროდუქტებად და რესურსებად არის პირობითი. თვითოეული დოვლათი ერთდროულად არის პროდუქტიც და რესურსიც. ამიტომ ყოველი ფასი ერთდროულად არის პროდუქტის და რესურსის ფასი. როგორც რესურსის ფასი იგი ასახავს საქონლის საზოგადოებრივ სარგებლიანობას, და როგორც პროდუქტის ფასი - ასახავს მის წარმოებაზე გაწეულ საზოგადოებრივ ხარჯებს (ობიექტურს და სუბიექტურს).

[88] ყველა ფასი არის ფუნქციონალურ კავშირში ერთმანეთან. მაგრამ რადგან ნეოკლასიკოსები ვერ აცნობიერებენ ამას, ამიტომ ეს ფუნქციონალური კავშირი უნებლიედ აღმოცენდება ხოლმე ლოგიკური „მანკიერი წრის“ ფორმით. კერძოდ, ამ თეორიის თანახმად საბაზრო ფასები დამოკიდებულია საბაზრო მოთხოვნასა და მიწოდებაზე, რომლებიც, თავსი მხრივ, დამოკიდებულნი არიან ბაზრის მონაწილეთა ინდივიდუალურ მოთხოვნასა და მიწოდებაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ინდივიდუალური მოთხოვნისა და მიწოდების მრუდეები თვითონვე გულის-ხმობენ საბაზრო ფასების არსებობას და ფორმირდებიან მათი მონაწილეობით. ნეოკლასიკოსების მიერ ფასების ფორმირების ახსნა ისევ ფასებზე აპელირებით ღებულობს ლოგიკური „მანკიერი წრის“ ხასიათს, რადგან ნეოკლასიკოსების თეორიაში ფასებს შორის წრიული ფუნქციონალური კავშირი მათთვის უნებლიედ იჩენს თავს და არ არის მათ მიერ შესწავლილი და ახსნილი. იმისთვის, რომ გამოვიკვლიოთ თუ როგორ ხდება ფასწარმოქმნა, არ არის საკმარისი მოთხოვნა-მიწოდების მრუდების ზედაპირულო ანალიზი. რადგან ფასები ისევეა

საბოლოო ჯამში, ყველა ფასი დაკავშირებულია ერთმანეთთან ფუნქციონალური კავშირებით და ერთად ქმნიან ფასების ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემას. თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულს, და აგრეთვე იმას, რომ: 1) ფასები არის მხოლოდ რიცხვები, კოეფიციენტები, რომლებიც შეიძლება იყოს დაჯამებული ნებისმიერი თანმიმდევრობით; 2) ერთ-ერთი ფასი წარმოადგენს ერთიანს (ფულის ერთეულის ფასი) და 3) ყველა ფასს გააჩნია თავის საპირისპირო ფასი - ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ფასების სისტემა წარმოადგენს *მათემატიკურ ჯგუფს.* ეს ნიშნავს, რომ სრულდება მათემატიკური ჯგუფის ძირითადი მოთხოვნები: 1) ასოციატიურობა, 2) ნეიტრალური ელემენტის არსებობა და 3) საპირისპირო ელემენტის არსებობა. მათემატიკურ ჯგუფთა თეორია არის სიმეტრიის შესწავლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.[89] ამ თეორიის გამოყენება ეკონომიკურ მოდელირე-

---

დამოკიდებული მოთ-ხოვნაზე და მიწოდებაზე, როგორც მოთხოვნა და მიწოდება არიან დამოკიდებული ფასებზე (იხ. Бем-Баверк, 1929, 1931).

[89] „მათემატიკაში განიხილება მთლიანობის მნიშვნელოვანი ნაირსახეობა - ჯგუფი. . . . იგი აღწერს ისეთი სისტემების და მოვლენების კლასს, რომლებიც ხასიათდებიან სიმეტრიით. განსაზღვრების თანახმად ჯგუფი არის წყვილი, რომელიც შედგება A სიმრავლისაგან და მასზე მოცემული ოპერაციისაგან, რომელიც გამოხატავს *არსებით კავშრს.* ეს ოპერაცია იძლევა საშუალებას ნებისმიერი ორი ელემენტიდან მივიღოთ მესამე ელემენტი: a + b = c. ამასთან, თუ a,b∈A, მაშინ აგრეთვე c∈A. ანუ მას არ გავყავართ A სიმრავლის საზღვრებიდან, რომელიც, ამგვარად, არის ჩაკეტილი. იგულისხმება ისეთი ოპერაციის არსებობა, რომელიც არის იმის შებრუნებული, რომელშიც იგივე ელემენტები დაკავშირებული არიან ფარდობით c - b = a. ამის წყალობით ჯგუფის თვითეულ ელემენტს გააჩნია თავის საპირისპირო ელემენტი: a + (-a) = 0. ამრიგად, A სიმრავლე ჩაკეტილია, აქვს სიმეტრიული სტრუქტურა და მთლიანობის ყველა მახასიათებელი. A სიმრავლეში ყველა ელემენტი დაკავშირებულია არსებითი კავშირით . . . თვითოეული ელემენტი x∈A არის აუცილებელი და აქვს დადებითი ეფექტი, რადგან მხოლოდ მათი სრული ერთობლიობის შემთხვევაში მთლიანი უდრის ნაწილებს, და მაწილები - მთლიანს. მთლიანი აქ არის A სიმრავლის მთლიანობა და არსებითი კავშირი (ოპერაცია) - აგრეთვე არის მთლიანი იმ გაგებით, რომ იგი არსად არ ირღვევა. ასე რომ ჯგუფი არის აბსოლუტი, საკუთარ თავში ჩაკეტილი წრე“ (Яцкевич, 1990, 68-69).

ბაში ბადებს გამოყენებითი მოდელების შექმნის პრინციპულად ახალ შესაძლებლობებს;

4. მოთხოვნის და მიწოდების ეკონომიკურ ფუნქციას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როდის და რა ოდენობით იქნეს გამოტანილი ბაზარზე საზოგადოებრივი წარმოების რეზულტატები და გადახდისუნარიანი მოთხოვნილებები? საქონლის წარმოება და მოხმარება ხომ პერმანენტული პროცესებია, რომელთაც აქვთ ერთმანეთისაგან განსხვავებული რიტმულობა. მაგალითად წლის განმავლობაში იწარმოება პროდუქტის გარკვეული რაოდენობა და, შესაბამისად, ამდენივე მოიხმარება. მაგრამ იგივე პერიოდის ფარგლებში როგორ არის წარმოდგენილი ბაზარზე ეს წარმოება და მოხმარება? ხორბლის მოსავლის აღება ხდება წელიწადში ერთხელ, მაგრამ საზოგადოება მას მოიხმარს ყოველდღიურად და, პირიქით, ზოგიერთი პროდუქტი იწარმოება მეტ-ნაკლებად თანაბრად დროში, მაგრამ მათი მოხმარება ხასიათდება სეზონურობით და ა.შ.. როდის? სად?, რა მოცულობით? უნდა იქნეს პროდუქტი გამოტანილი ბაზარზე? ყოველივე ეს რეგულირდება მოთხოვნა-მიწოდებით საბაზრო ფასების მეშვეობით.

საზოგადოებრივი წარმოება და საზოგადოებრივი მოხმარება არის უფრო ფუნდამენტური და მდგრადი, ვიდრე მოთხოვნა და მიწოდება, რომლებიც წარმოადგენენ მათ ბაზარზე. ისევე, როგორც ღირებულება, რომელიც არეგულირებს, აწონასწორებს წარმოებას და მოხმარებას, არის რაღაც უფრო ფუნდამენტური, ვიდრე ფასი, რომელშიც ეს ღირებულება ვლინდება ბაზარზე. თუ განვიხილავთ დროის საკმარისად ხანგრძლივ მონაკვეთს, მაშინ, წონასწორობის შემთხვევაში, ჯამური მოთხოვნა დროის ამ ინტერვალში, მეტ ნაკლები სიზუსტით, გამოხატავს საზოგადოებრივ მოხმარებას ამავე პერიოდში. ხოლო ჯამური მიწოდება, ამავე პერიოდში, გამოხატავს საზოგადოებრივ წარმოებას. ისევე, როგორც საშუალო საბაზრო ფასი ამავე პერიოდში გამოხატავს ამ საქონლის

ღირებულებას. რაც უფრო დიდია დროის ეს მონაკვეთი, მით უფრო სრულია შესაბამისობა. მაგრამ ამ პერიოდის შიგნით, როგორც მოთხოვნა, ისე მიწოდება და მიმდინარე საბაზრო ფასებიც, შეიძლება იცვლებოდნენ საკმაოდ დიდ ფარგლებში. ასე რომ, ღირებულება არის საფუძველი, რომლის ირგვლივაც მერყეობს ფასი მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნისა და მიწოდების მიმდინარე რყევების ზეგავლენით. ღირებულება არსად არ ვლინდება უშუალოდ. მხოლოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საბაზრო პროცესებზე, სასაქონლო ფასების დინამიკაზე დაკვირვებით არის შესაძლებელი დავაფიქსიროთ საქონელთა ღირებულებები, რომლებიც აისახება საშუალო საბაზრო ფასებში;

5. კატეგორიების თანმიმდევრობა „წარმოება - მიწოდება - ფასი - მოთხოვნა - მოხმარება“ შეიძლება განვიხილოთ ორივე მიმართულებით (მარცხნიდან მარჯვნივ და, პირიქით). იგი ასახავს ეკონომიკური იმპულსების გადაცემის მიმართულებებს წარმოებასა და მოხმარებას შორის ბაზრის მეშვეობით. წარმოება და მოხმარება ერთმანეთს აწონასწორებენ წარმოებული და მოხმარებული დოვლათის ფასეულობების მეშვეობით, ხოლო მოთხოვნა და მიწოდება არა მარტო არის ამ გაწონასწორების პროცესის გამოვლენის ფორმა, არამედ ამ პროცესის აუცილებელი რგოლიც, რომელსაც შესაბამისობაში მოჰყავს საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების სტრუქტურა საზოგადოებრივი მთხოვნილებების სტრუქტურასთან.

თუ ამ თანმიმდევრობის „ჯაჭვში“ ვიგულისხმებთ ცალკეული ურთიერთგასაცვლელი საქონლის წარმოებას და მოხმარებას, მივიღებთ შემდეგს. ამა თუ იმ საქონლის წარმოება დროში წინ უსწრებს მის მოხმარებას, ხოლო ამ დოვლათის წარმოებასა და მოხმარებას შორის ადგილი აქვს სასაქონლო გაცვლას და შესაბამისად, ყიდვის და გაყიდვის მოთხოვნილებებს. სწორედ ეს მოთხოვნილებები ვლინდება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმით.

საბაზრო მოთხოვნა არის ამა თუ იმ საქონლის ყიდვის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. და ამავდროულად, ყიდვის ეს მოთხოვნილება არის რაღაც სხვა საქონლის გაყიდვის მოთხოვნილება, ანუ საბაზრო მიწოდება. რადგან გასაყიდი საქონელი არის შესასყიდი საქონლის საზღაური. და თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში ადგილი ექნება საქონელზე საზოგადო-ებრივი მოთხოვნილების ზედმეტად გაჯერებას, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ საქონლის წარმოების ნაკადი მეტია, ვიდრე მისი მოხმარების ნაკადი, ხოლო მიწოდება სჭარბობს მოთხოვნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქონლის გაყიდვის სურვილი უფრო დიდია, ვიდრე მისი ყიდვის. თუ მოთხოვნილებები დარჩა დაუკმაყოფილებელი, ესე იგი წარმოება ჩამორჩება მოხმარებას, გადახდისუნარიანი მოთხოვნა მიწოდებაზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ ყიდვის სურვილი მეტია, ვიდრე გაყიდვის სურვილი.

პირველ შემთხვევაში, როცა მიწოდება მოთხოვნაზე მეტია, საქონლის ფასი მცირდება მის ღირებულებასთან (წონასწორულ, ანუ საშუალო ფასთან) შედარებით, რაც ამუხრუჭებს წარმოებას და ზრდის მოხმარებას. ეს აღადგენს წონასწორობას ამ საქონლის წარმოებასა და მოხმარებას შორის. მეორე შემთხვევაში, როცა მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე, საქონლის ფასი იზრდება მის ღირებულებასთან (საშუალო ფასთან) შედარებით. წარმოება იზრდება, ხოლო მოხმარება მცირდება. წონასწორობა აღდგება. ასე რომ ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მერყეობა ბადებს მიმდინარე ფასის გადახრას წონასწორული (ოპტიმალური) ფასიდან, რომელიც ასახავს საქონლის ფასეულობას წარმოებისა და მოხმარების პროპორციულობის პირობებში. სწორედ ამას მოჰყავს მოძრაობაში ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც აღადგენს ეკონომიკურ წონასწორობას.



ნახ. 2.1. ფასების მეშვეობით მოთხოვნას და მიწოდებას
შესაბამისობაში მოჰყავთ წარმოება და მოხმარება.

რადგან წარმოების პროცესი თვითონვეა მოხმარების პროცესი, და, პირიქით, ხოლო ეკონომიკური მოღვაწეობა არის წრიული პროცესი, ამიტომ „ჯაჭვის“ განაპირა რგოლები (წარმოება და მოხმარება) ერწყმიან ერთმანეთს ერთიან პროცესში და ქმნიან ერთიან ჩაკეტილ სისტემას, რომელშიც ადგილი აქვს „უკუკავ-შირებს“.

2.3.7. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფასეულობები

1. გაცვლა გულისხმობს იმას, რომ გასაცვლელი საქონლები რაღაცით უტოლდებიან ერთმანეთს. და ისინი მართლაც ტოლნი არიან როგორც საზოგადოებრივი ფასეულობები (ღირებულებები). მაგრამ ეს მხოლოდ პირობაა, რომლის გარეშეც გაცვლა ვერ განხორციელდება. ეს არ არის საკმარისი. გაცვლა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაცვლაში მონაწილე თვითეული მხარისთვის შესასყიდი საქონლის ინდივიდუალური ფასეულობა გასაყიდი საქონლის ინდივიდუალურ ფასეულობაზე მეტია. ანუ

გაცვლის პირობაა გასაცვლელი საქონლის საზოგადოებრივი ფასეულობების ტოლობა და მათი ინდივიდუალური ფასეულობების უტოლობა. გაცვლა შეიცავს წინააღმდეგობას და სწორედ ამ წინააღმდეგობას მოჰყავს მოძრაობაში საბაზრო მექანიზმი;

2. ინდივიდუალურ ეკონომიკაში სუბიექტის მოთხოვნილებების ერთი ნაწილის დაკმაყოფილება ხდება საბაზრო გაცვლის მეშვეობით, ხოლო მეორე ნაწილის დაკმაყოფილება ხდება ინდივიდუალური წარმოების და მოხმარების გზით. ასეთ პირობრბში ინდივიდისთვის ფული წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებულ ერთ-ერთ დოვლათს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასრულებს მისთვის სასარგებლო ფუნქციებს. ინდივიდისთვის ფულის სარგებლიანობა მდგომარეობს მის უნარში იყოს გაცვლილი სხვადასხვა საქონელზე. შესაბამისად, ფულის მეშვეობით ინდივიდი ზომავს არა ყველა თავისი დოვლათის სუბიექტურ ფასეულობებს, არამედ მხოლოდ იმათისას, რომლებსაც იგი ყიდულობს და ყიდის ბაზარზე. იგი ათანაზომებს საქონლის სუბიექტურ ფასეულობას ფულის სუბიექტურ ფასეულობასთნ და, ან ყიდის ფულს და ყიდულობს საქონელს, ან პირიქით, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი წარნოადგენს მისთვის მეტ ფასეულობას.

სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებებს არსებული საბაზრო ფასების საფუძველზე. საბაზრო ფასები წარმოადგენენ მისგან დამოუკიდებელ, ობიექტურად არსებულ გაცვლის პროპორციებს სხვადასხვა გასაყიდ საქონელს შორის. სწორედ ეს ობიექტური გარემოება წრმოშობს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების და არსებული ფასების საფუძველზე სხვადასხვა არჩევანის გაკეთების ალტერნატიულ შესაძლებლობებს. მას შეუძლია იყიდოს ან გაყიდოს საქონელი არსებული ფასების პირობებში, მაგრამ იგი ვერ შეცვლის საბაზრო ფასებს. იგი ყიდულობს საქონელს, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს მის ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და ყიდის საქონელს, რომელიც შეუძლია აწარმოოს

მინიმალური ინდივიდუალური დანახარჯით (მაქსიმალური ფარდობითი უპირატესობით).[90] საბოლოო ჯამში ბაზარზე ინდივიდი ათანაზომებს შესასყიდი და გასაყიდი საქონლის ინდივიდუალურ ფასეულობებს საბაზრო ფასებით განსაზღვრული პროპორციების საფუძველზე, რომლებიც (საბაზრო ფასები) წარმოადგენენ მისგან დამოუკიდებელ მოცემულობას. მათ შორის სხვაობა მისთვის წარმოადგენს მისი ეკონომიკური მოღვაწეობის ინდივიდუალურ ზედმეტ ფასეულობას. ეს არის მისი პირადი სტიმული როგორც მწარმოებლის, რომელიც ყიდულობს რესურსებს და ყიდის პროდუქტებს, და როგორც მომხმარებლის, რომელიც ყიდის რესურსებს და ყიდულობს პროდუქტებს;

3. მთლიანად ეკონომიკაში ბაზარზე გატანილი სასაქონლო და ფულადი მასების თანაფარდობაზე დამოკიდებულია აბსოლუტური ფასების საერთო დონე, და არა ფარდობითი ფასები. მაგრამ საქონელთა ფასეულობების რაოდენობრივ განსაზღვრულობას, ასახავენ სწორედ ფარდობითი, და არა აბსოლუტური ფასები. აბსოლუტური ფასები ასახავენ გაცვლის პროპორციებს საქონელსა და ფულს შორის, ანუ საქონლისა და ფულის ღირებულებების თანაფარდობას, ხოლო ფარდობითი ფასები ასახავენ გაცვლის პროპორციებს სხვადასხვა საქონელს შორის, ანუ მათი ღირებულებების თანაფარდობას. როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ფასები ყველა ინდივიდისთვის საერთოა. ინდივიდი ვერ შეცვლის მათ, რადგან მათ ადგენს ბაზარი. ამასთან, ინდივიდებს გააჩნიათ განსხვავებული ინდივიდუალური ფასეულობები. ამიტომ, როგორც ფულის და საქონლის, ისე სხვადასხვა საქონელთა სუბი-

---

[90] „რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტის ძიებისას ფარდობითი ფასების როლის გასაგებად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რიკარდოს მიერ ფარდობითი ხარჯების პრინციპის აღმოჩენას. ... მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უკვე თვით ფასების თანაფარდობა ეუბნება მეწარმეს, თუ სად არის მოგება ხარჯებზე საკმარისად მაღალი და კონკრეტულად რომელ საქმეში უფრო მომგებიანია მისთვის თავისი შეზღუდული კაპიტალის დაბანდება“ (Хайек, 1992, 174).

ექტური ფასეულობების თანაფარდობები ყველა სუბიექტსათვის განსხვავებულია. *სხვადასხვა* სუბიექტისთვის ინდივიდუალური ფასეულობები უშუალოდ არ არიან რაოდენობრივად თანაზომადი. მაგრამ *ერთი და იგივე* სუბიექტისთვის ყველა გასაცვლელ საქონელთა (გასაყიდის და საყიდელის) ფასეულობები განისაზღვრება მისი სუბიექტური ფასეულობების ერთი და იგივე სისტემაში და ამიტომ რაოდენობრივად არიან თანაზომადი. თავისი სუბიექტური ფასეულობების შკალის საფუძველზე იღებს იგი გადაწყვეტილებებს და ყიდულობს, ან არ ყიდულობს, საქონელს ყველასთვის საერთო საბაზრო ფასებში.

ამიტომ გამოდის, რომ გაცვლაში მონაწილე ყოველი საქონელი ერთდროელად წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ განზომილებაში; წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალური, ისე როგორც საზოგადოებრივი ფასეულობა (ღირებულება). ფასების, ანუ, გაცვლის პროპორციების მეშვეობით ხდება არაერთგვაროვანი ინდივიდუალური ფასეულობების გამოხატვა როგორც ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ღირებულებების და, ესე იგი, (ასეთი სპეციფიკური ფორმით) როგორც თანაზომადი ღირებულებების გამოხატვა. ეს იმის შედეგია, რომ გაცვლაში მონაწილე მხარეები არიან ერთი და იგივე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელსაც გააჩნია საზოგადოებრივ ფასეულობათა ერთიანი სისტემა. ამავე დროს, მხარეები წარმოადგენენ სხვადასხვა ინდივიდებს, განსხვავებული, არაერთგვაროვანი ინდივიდუალურ ფასეულობათა სისტემებით და განსხვავებული ინტერესებით.[91]

---

[91] გაცვლის აქტში ხდება საქონლის საზოგადოებრივი ფასეულობის მხოლოდ გამოვლენა და დადასტურება, მაგრამ გაცვლის შედეგად საზოგადოებრივი ფასეულობა არ იცვლება. ხოლო, რადგან ნაყიდი საქონლის სუბიექტური ფასეულობა მეტია, ვიდრე გაყიდულის, ამიტომ გაცვლის შედეგად იზრდება ეკონომიკური აგენტის საკუთრებაში არსებული დოვლათის სუბიექტური ფასეულობა. ყიდვა და გაყიდვა არის მოქმედებები, რომელთა მიზანია საკუთრების ნივთობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაცია და მისი შესაბამისობაში მოყვანა

ამასთან, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საბაზრო ფასი არ არის ფიქსირებული გაცვლითი პროპორცია, რომელიც ყოველი ცალკეული გარიგებისთვის იძლევა მკაცრად განსაზღვრულ პარამეტრებს და განსაზღვრავს ინდიდვიდუალურ ფასებს. პირიქით, ყოველი ინდივიდუალური ფასი თვითონ არის ერთ-ერთი მრავალ სხვა ინდივიდუალურ ფასებს შორის, რომელთა საფუძველზეც ფორმირდება საბაზრო ფასი. დროის ამა თუ იმ ინტერვალში ჩამოყალიბებული საბაზრო ფასი არის საშუალო სიდიდე იმ ინდივიდუალური ფასების სიმრავლიდან, რომელთა საფუძველზეც ხორციელდებოდა ცალკეული გარიგებები დროის იმავე ინტერვალში. მაგრამ საბაზრო ფასი გავლენას ახდენს ინდივიდუალური ფასების (გაცვლის პროპორციების) ფორმი-რებაზე იმდენად, რამდენადაც კონკურენციის პირობებში იგი ასრულებს საბაზრო აგენტებისთვის ორიენტირის ფუნქციას გარიგების უფრო მომგებიანი ვარიანტების ძიებაში. ერთი მხრივ, იგი იცავს საბაზრო აგენტებს წამგებიანი გარიგებებისგან, მეორე მხრივ, ვინაიდან მომგებიანი გარიგებების ძიება დაკავშირებულია ტრანსაქციულ ხარჯებთან, მის საფუძველზე აგენტები ინდივიდუ-ალურად განსაზღვრავენ უფრო მომგებიანი გარიგების შემდგომი ძიების მიზანშეწონილობას. ამიტომ ყოველი ინდივიდუალური ფასი არის გაცვლაში მონაწილე აგენტების კომპრომისის და სუბი-ექტური გადაწყვეტილებების შედეგი, რომელიც ემყარება მათ *სუბიექტურ შეფასებებს* (მათ შორის, ტრანსაქციული ხარჯების) და *საბაზრო ფასებს.* ყოველივე ეს განაპირობებს ინდივიდუალური ფასების გადახრას საბაზრო ფასებიდან და იმასაც, თუ საერთოდ რამდენი ყიდვა-გაყიდვის აქტი მოხდება არსებულ პირობებში.

სუბიექტის მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან. სუბიექტს შეჰყავს თავისი საკუთრების შემადგენლობაში ის კონკრეტული დოვლათი, რომელიც მას სჭრდება. რადგან დოვლათი ხდება მოხმარებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც სუბიექტის ნება გავრცელდება მასზე, ანუ როდესაც დოვლათი აღმოჩნდება მის საკუთრებაში.

შესაბამისად შეიცვლება ინდივიდუალური ფასების ის სიმრავლეც, რომლის საშუალო სიდიდესაც წარმოადგენს საბაზრო ფასი. ამიტომ შეიცვლება საბაზრო ფასიც.

ამრიგად, საბაზრო ფასი ფორმირდება ინდივიდუალური ფასების საფუძველზე, ხოლო ინდივიდუალური ფასები - საბაზრო ფასების საფუძველზე. ორივე პროცესი მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში და მხოლოდ ერთად წარმოადგენენ ფასწარმოქმნის ცოცხალ პროცესს კონკურენტული ბაზრის პირობებში;

4. იმის გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს ბაზარი, შეუძლებელია მხოლოდ საბაზრო ფასების და საბაზრო პროცესების ანალიზის საფუძველზე. საბაზრო მექანიზმი მოიცავს აგრეთვე „უხილავ“ პროცესებსაც, რომლებიც მიმდინარეობენ სუბიექტურ დონეზე, ინდივიდების ცნობიერებაში, ეფუძნებიან ინდივიდუალურ სუბიექტურ შეფასებებს და ამ სუბიექტური შეფასებების და საბაზრო (ობიექტური) ფასების ურთიერთქმედებას. საბაზრო პროცესების ეს უხილავი საფუძველი, რომელსაც ადგილი აქვს ბაზრის ყველა ინდივიდუალური მონაწილის ცნობიერებაში, არის სწორედ ის დონე, რომელზეც მიიღება ეკონომიკური გადაწყვეტილებები დოვლათის წარმოების, მოხმარების, გაცვლის და განაწილების თაობაზე. მაგრამ საბაზრო მექანიზმი უზრუნველყოფს ცალკეული გარიგებების ერთიან საბაზრო პროცესში გაერთიანებას და საბაზრო ურთიერთობებში მონაწილეთა მოქმედებებს გადააქცევს ერთი სისტემის ელემენტებად.[92] „სინერგიის ეფექტის“

---

[92] „ ... ფასეულობები ან ფასები, რომლებიც ყალიბდება საბაზრო ურთიერთქმედების შედეგად, არის კიდევ ერთი მოქმედებათა ტიპების კლასიფიკაციის დამატებით დაშენებული სისტემა - კლასიფიკაციისა მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით იმ წესრიგისთვის, რომელიც ინდივიდს მიუჩენს მთლიანის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის როლს, იმ მთლიანისა, რომელიც მას სულაც არ შეუქმნია“ (Хайек, 1992, 31). საბაზრო პროცესები არის თითქოსდა აისბერგის ხილული ნაწილი, ხილო დაკვირვების მიღმა რჩება „უხილავი“ პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ კერძო სუბიექტების ცნობიერებაში ინდივიდუალურ დონეზე.

წყალობით ეს სისტემა იძენს ისეთ თვისებებს, რომელიც არ გააჩნია არცერთ მის ცალკე აღებულ ელემენტს. ამიტომ, მართალია, საბაზრო სისტემის ფუნქციონირება და საბაზრო ფასები დამოკიდებული არიან საბაზრო აგენტების მოქმედებების აგრეგირებულ შედეგებზე, მაგრამ, არ არიან დამოკიდებული ცალკე აღებულ არც ერთ მათგანზე. პირიქით, ყოველი ცალკე აღებული აგენტის მოქმედება დამოკიდებულია საბაზრო ფასებზე და მთლიანად საბაზრო სისტემის ფუნქციონირებაზე. ანუ, ცალკეული ეკონომიკური მოქმედებები განსაზღვრავენ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებას, ხოლო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება განსაზღვრავს ცალკეულ ეკონომიკურ მოქმედებებს.

2.3.8. ფული და ფასწარმოქმნა

1. ბარტერულ ეკონომიკაში ყველა საქონელი იცვლება ერთმანეთზე და, ამ თვალსაზრისით, უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც გაცვლის პოტენციური მხარეები. ეკონომიკის ევოლუციის პროცესში საქონელთა სამყაროს თანდათან გამოეყოფა ერთი საქონელი, რომელზეც იცვლება ყველა დანარჩენი საქონელი. ეს არის სასაქონლო ფული, რომელიც დროთა განმავლობაში შეიცვლება ქაღალდის ფულით, შემდეგ საკრედიტო და ბოლოს ელექტრონული ფულით. ფულის გაჩენის შემდეგ გაცვლის პროცესში საქონელი აღარ უპირისპირდება ერთმანეთს, ისინი უპირისპირდებიან მხოლოდ ფულს, იცვლებიან ფულზე, და მხოლოდ გაშუალებულად, ფულის მეშვეობით იცვლებიან ერთმანეთზე. ფულის გაჩენასთან ერთად ფულადი და სასაქონლო მასები უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც ერთიანი ფულად-სასაქონლო სისტემის ერთმანეთისგან განუყოფელი საპირისპირო პოლუსები;

2. ფული ამოვარდნილია მოხმარების სფეროდან. იგი მხოლოდ ბრუნვაშია, გადადის ხელიდან ხელში, მონაწილეობს ხან ერთ, ხან მეორე გარიგებაში. მხოლოდ ფულის ნაწილი გამოდის ხოლმე ბრუნვიდან დროებით ტეზავრაციის მიზნით, იღებს აქტივის ფორმას, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ბრუნდება ფულის საერთო მიმოქცევაში. ამიტომ, სასაქონლო ნაკადის მოცულობის და სიჩქარის მიხედვით, ფულადი ნაკადის მოცულობა და სიჩქარე ხან იზრდება და ხან მცირდება ტეზავრირებული ფულიდან ფულის შემოდინების და გადინების ხარჯზე. სასაქონლო და ფულადი ნაკადების შემხვედრი სინქრონული მოძრაობა არის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამ ნაკადებს ერთმანეთი მოყავთ მოძრაობაში, მაგრამ თვით ეს ნაკადები მოძრაობაში მოყავს სუბიექტების ეკონომიკურ მოთხოვნილებებს;

3. ყველა სუბიექტი ყიდის საქონელს და ყიდულობს ფულს, შემდეგ, პირიქით, ყიდულობს საქონელს და ყიდის ფულს. მის განკარგულებაშია ფულის შეზღუდული რაოდენობა. მას სურს ბაზარში ფული გადაცვალოს სხვადასხვა კონკრეტულ დოვლათზე სხვადასხვა კონკრეტული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საბოლოო ჯამში, ადგილი აქვს სუბიექტის საკუთრების ნატურალური შემადგენლობის სტრუქტურის ოპტიმიზაციას. რადგან, თავისი საკუთრების გარკვეულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია ფულის სახით, იგი ანაცვლებს სხვადასხვა საქონლით, რომელთაც შეუძლიათ მისი სხვადასხვა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამასთან, ფულის საქონელზე გადაცვლის პროპორციებს წარმოადგენენ *ფასები;*

4. ინდივიდისათვის ფულადი ერთეულის სუბიექტური ღირებულება დამოკიდებულია საბაზრო ფასებზე და მის განკარგულებაში არსებული ფულის რაოდენობაზე. ფულადი ერთეულები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. საქონლის ყიდვამდე ყოველ მათგანს სუბიექტისათვის აქვს ერთნაირი სიდიდის

სარგებლიანობა, ხოლო ყიდვის შემდეგ, წარმოადგენენ მისთვის ერთნაირი სიდიდის სუბიექტურ ხარჯს. წარმოადგენენ რა სარგებლიანობის და ხარჯის ერთიანობას, ფულის ყველა ერთეულს სუბიექტისთვის აქვს ერთნაირი სუბიექტური ფასეულობა.

საბაზრო გაცვლა ნიშნავს, რომ ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებული კონკრეტული საქონელი უტოლდებიან თვისებრივად იდენტური ფულადი ერთეულების სხვადასხვა რაოდენობებს. ამის მეშვეობით, სხვადასხვა საქონლის *კონკრეტული* სარგებლიანობები, რომლთა ერთმანეთთან შედარება შეუძლებელია, გამოხატულია როგორც ამ საქონლის *აბსტრაქტული* სარგებლიანობები, რომელთა შედარებაც ამ ფორმით ხდება შესაძლებელი. სუბიექტის მიერ სხვადასხვა საქონლის ყიდვისას მსხვერპლად გაღებული ფულის რაოდენობებს შორის შეფარდებები გამოხატავენ სხვადასხვა შესყიდული საქონლის აბსტრაქტული სარგებლიანობების ფარდობით სიდიდეებს;

5. არსებული საბაზრო ფასებისა და ხელთ არსებული თანხის გათვალისწინების საფუძველზე სუბიექტი გეგმავს თუ როგორ გაანაწილოს ეს თანხა სხვადასხვა საქონლის საყიდლად. ფულადი ერთეულების განაწილების პროპორციები ასახავენ მისი სუბიექტური სარგებლიანობების ფარდობით სიდიდეებს. ცხადია, რაც უფრო დიდ სარგებლიანობას წარმოადგენს მისთვის ესა თუ ის საქონელი, მით უფრო მეტ ფულად ერთეულებს გაიმეტებს იგი მის საყიდლად. ანუ ფული არ არის უშუალოდ ეკონომიკური ფასეულობის საზომი ერთეული, ამ სიტყვის პიდაპირი გაგებით. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ფულადი ფასების თანაფარდობებში ვლინდება მხოლოდ თანაფარდობები ეკონომიკურ ფასეულობებს შორის.

საქმე იმაშია, რომ ფასეულობა არის მხოლოდ სუბიექტის *დამოკიდებულება* კონკრეტულ დოვლათთან, მათ შორის ფულთანაც. ამ დამოკიდებულებების ინტენსივობა აღიქმება მხოლოდ

თვითონ სუბიექტის მიერ, და მათი სამყოფელი ადგილია მხოლოდ მისი ცნობიერება. ფასეულობები არ არსებობენ სუბიექტის ცნობიერების გარეთ. ფასები კი წარმოადგენენ მხოლოდ სხვადასხვა დოვლათის გაცვლის პროპორციებს. ეს ემპირიული სიდიდეებია. ანუ ფასები და ფასეულობები არსებობენ სხვადასხვა რეალობებში. ფასები არსებობენ ობიექტურ რეალობაში, ხოლო ფასეულობები არსებობენ „იდეალურ რეალობაში" (ჰუსერლი);

6. ამასთან, *აბსოლუტური ფასები* არ გვიჩვენებენ სუბიექტური სარგებლიანობის ან სუბიექტური ფასეულობის სიდიდეს. ასევე, ყველა ნაყიდი საქონლის ფულში გამოხატული ჯამური ღირებულება არ ასახავს ამ საქონლის სუბიექტური სარგებლიანობების ან საბიექტური ფასეულობების ჯამს. ფასები მხოლოდ ირიბად ასახავენ საქონლის ეკონომიკურ ფასეულობებს ერთმანეთთან თანაფარდობების მეშვეობით. მაგრამ ლაპარაკი ფარდობითი სიდიდეების ჯამზე ისეთივე უაზრობაა, როგორც ლაპარაკი გაცვლის პროპორციების (ტრანსფორმაციის კოეფიციენტების) ჯამზე ან, მაგალითად, მთლიანად მზის სისტემის წონაზე.[93]

როგორც უკვე აღინიშნა, სუბიექტური ეკონომიკური ფასეულობები წარმოადგენენ სუბიექტის ტელეოლოგიურ დამოკიდებულებას სხვადასხვა დოვლათთან. მოთხოვნილებათა ან ფასეულობათა *სისტემისგან იზოლირებულად,* რომელიმე ცალკე აღებული მოთხოვნილების ან ფასეულობის აბსოლუტურ სიდიდეზე ლაპარაკი მოკლებულია რაციონალურ შიანაარსს. ასევე უაზრობაა ლაპარაკი ყველა ფასეულობების ან ყველა მოთხოვნილებების ჯამურ სიდიდეზე, რადგან შეუძლებელია ტელეოლოგიური დამოკიდებულებების დაჯამება. შესაძლბელია მხოლოდ დოვლათის სხვადასხვა ნაკრებების მთლიანი სარგებლიანობების

[93] რადგან მზის სისტემაში ციური სხეულების წონა განპირობებულია ურთიერთმიზიდულობის გრავიტაციული ძალებით, საერთო წონაზე ლაპარაკი აზრს მოკლებულია.

სიდიდეების ერთმანეთთან შედარება, მაგალითად, მათი შედარება მოცემული ფულადი თანხის განაწილების სხვადასხვა ვარიანტების არჩევისას. ანუ სხვადასხვა დოვლათის ნაკრების ჯამური სარგებლიანობა, აგრეთვე, იძენს აზრს მხოლოდ როგორც ფარდობითი სიდიდე სხვა ნაკრების ჯამურ სარგებლიანობასთან მიმართებაში, მაგრამ არა როგორც აბსოლუტური სიდიდე.

ამგვარად, რაოდენობრივ განსაზღვრულობას ეკონომიკური ფასეულობები (ასევე, სარგებლიანობებიც და მოთხოვნილებებიც) იძენენ მხოლოდ ერთმანეთთან *თანაფარდობაში.* ამიტომ, არა მხოლოდ ფასებს გააჩნიათ საზრისი მხოლოდ ერთიანი ფასების სისტემის ფარგლებში, არამედ აგრეთვე ეკონომიკურ ფასეულობებსაც, რომლებსაც ისინი ასახავენ თავისი თანაფარდობებით, საზრისი გააჩნია მხოლოდ ერთმანეთთან თანაფადობაში ეკონომიკური ფასეულობების სისტემის შიგნით. ეს სისტემური სიდიდეებია (ისევე როგორც ეკონომიკური სარგებლიანობები და ეკონომიკური მოთხოვნილებები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ფარდობითი ფასები, ანუ გაცვლითი პროპორციები, არ არიან დამოკიდებულნი სუბიექტის განკარგვაში არსებული ფულის რაოდენობაზე. ფარდობითი ფასები არ იცვლება მიუხედავად იმისა, თუ რამხელაა ეს თანხა - 100 ლარი, 100000 ლარი თუ ფულის ნებისმიერი სხვა რაოდენობა. განსხვავებული იქნება მხოლოდ აბსოლუტური ფასების სიდიდეები, მაგრამ არა მათ შორის თანაფარდობები;

7. მოცემული ფულადი თანხით სუბიექტს შეუძლია მიიღოს მაქსიმალური მთლიანი სარგებლიანობა სხვადასხვა საქონლის საყიდლად ფულადი ერთეულების თანაბარსარგებლიანი განაწილების შემთხვევაში. ამიტომ სუბიექტი ისე გეგმავს თანხის განაწილებას, რომ შესასყიდი საქონლის ნაკრებში ადგილი არ ჰქონდეს არც დეფიციტს და არც სიჭარბეს. მაგრამ ბაზარზე საქონლის ფაქტობრივი შესყიდვისას, ყოველ ინდივიდუალურ გარიგებაში სუბიექტი ცდილობს გადაიხადოს ნაკლები ფული და

მიიღოს მეტი და უკეთესი საქონელი. ანუ, ცალკეული გარიგებების შემთხვევაში სუბიექტი ცდილობს დანახარჯების მინიმუმით მიიღოს სარგელიანობის მაქსიმუმი. ინდივიდუალურ სუბიექტურ დონეზე ფულის განაწილების ეს პრინციპები წარმოადგენენ ოპტიმალურობის გლობალური და ლოკალური კრიტერიუმების ანალოგს, რომლებიც უკვე განვიხილეთ. ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ამ საკითხს და დავინახავთ, რობ ბაზრის, ანუ საზოგადოებრივ დონეზე, მოქმედებენ მსგავსი პრინციპები;

8. როგორ შეუძლია ფულს ერთდროულად იყოს როგორც ხარჯის, ისე სარგებლიანობის საზომი ერთეული?

სარგებლიანობაც და ხარჯიც შეიძლება გაიზომოს ფულადი ერთეულით იმიტომ, რომ თვით ფულადი ერთეული ერთდროულად შეიცავს თავის თავში როგორც სარგებლიანობას, ისე ხარჯებს. რადგან ფული ერთდროულად არის როგორც შესასყიდი დოვლათი, რომლის შეძენისთვისაც სუბიექტები მსხვერპლად გაიღებენ თავის საქონელს, და გასაყიდი დოვლათიც, რომელსაც სუბიექტები მსხვერპლად გაიღებენ საქონლის ყიდვისას. ამასთან, სარგებლიანობა და ხარჯი არ არიან არაერთგვაროვანი, არათავსებადი "სუბსტანციები". ისინი არიან ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა ასპექტები, კერძოდ, სუბიექტის დოვლათთან დამოკიდებულების სხვადასხვა ასპექტები მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამდე, და დაკმაყოფილების შემდეგ. სარგებლიანობა არის "მომავალი" ხარჯი, ხოლო ხარჯი არის "ყოფილი სარგებლიანობა";

9. მაგრამ თუ სარგებლიანობა და ხარჯი წარმოადგენენ სუბიექტის დოვლათთან ერთი და იგივე მიმართებას მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე და მის შემდეგ,[94] მაშინ იბადება მეორე კითხვა: საბოლოო ჯამში, ხომ არ გამოდის, რომ სარგებლიანობა

[94] მიუხედავად იმისა, ლაპარაკია საწარმოო თუ სამომხმარებლო დანიშნულების მოხმარებაზე.

იზომება სარგებლიანობით, ანუ, რაც იგივეა, ხომ არ გამოდის, რომ ხარჯი იზომება ხარჯით? როგორ არის შესაძლებელი, რომ სარგებლიანობა იზომებოდეს მისთვის მსხვერპლად გაღებული ხარჯებით, თუ თვითონ ხარჯები არის მსხვერპლად გაღებული სარგებლიანობა? ხომ არ არის აქ "მანკიერი წრე"?

მართლაც, გამოდის, რომ სარგებლიანობა იზომება სარგებლიანობით, მაგრამ სხვაგვარად არც შეიძლება რომ იყოს. საერთოდ რაში მდგომარეობს *გაზომვის* არსი, და რითი განსხვავდება იგი *შეთანაზომებისაგან?* განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ შეთანაზომება სხვადასხვა სიდიდეებს შორის იყოფა ორ ნაწილად. ჯერ ხდება სხვადასხვა გასაზომი სიდიდეების შეთანაზომება ერთსა და იგივე სიდიდესთან, რომელიც *პირობითად მიჩნეულია საზომ ერთეულად.*[95] ამის შედეგად გასაზომი სიდიდეები გამოიხატება კონკრეტული რიცხვით, რომელიც უდრის საზომი ერთეულების დათვლილ რაოდენობას. სწორედ ამას ნიშნავს გაზომვა. სწორედ ასე მოხდა ბარტერული გაცვლის შემთხვევაშიც. ბარტერული გაცვლა გაიყო ორ დამოუკიდებელ მოქმედებად – *გაყიდვად* და *ყიდვად.* რადგან ყოველი საქონელი ჯერ იცვლებოდა ფულის ერთეულის ამა თუ იმ რაოდენობაზე, ამოტომ ყოველი საქონლის ღირებულების (შესაბამისად, როგორც სარგებლიანობის, ისე ხარჯის) გამოხატვა შესაძლებელი გახდა ჩვეულებრივი

---

[95] „ზომა როგორც მასშტაბი, სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც თვითნებურად არის მიჩნეული *თავის თავში განსაზღვრულ* ერთეულად გარე რიცხობრიობასთან მიმართებაში. მართალია, ამგვარი ერთეული მართლაც შეიძლება იყოს თავის თავში განსაზღვრული ერთეული, როგორც, მაგალითად, ფუტი და მისი მსგავსი პირველადი ზომები; მაგრამ რადგან იგი გამოიყენება აგრეთვე როგორც სხვა ნივთების მასშტაბი, იგი მათთვის არის მხოლოდ გარეგანი, და არა პირველადი ზომა. - ასე მაგალითად, დედამიწის დიამეტრი ან ქანქარას სიგრძე თავის თავად შეიძლება იყვნენ აღებული როგორც სპეციფიკური განსაზღვრული რაოდენობები; მაგრამ უნდა მივიჩნიოთ როგორც თვითნებური ის გადაწყვეტილება, რომ დედამიწის დიამეტრის ან ქანქარას სიგრძის სწორედ ასეთი ნაწილი უნდა იქნეს აღებული და გამოყენებული როგორც მასშტაბი განედის სწორედ ამ გრადუსზე.“ (Гегель, 1999, 362).

რიცხვებით, ანუ გაცვლის კოეფიციენტებით. ეს რიცხვები აღნიშ-ნავდნენ პირობითად ფულის ერთეულად მიჩნეული საქონელის რაოდენობას, რომელსაც გაცვლის პროცესში უტოლებდნენ ამა თუ იმ საქონელს. ამასთანავე, ეს რიცხვები გამოხატავენ საქონლის ღირებულებას მხოლოდ როგორც ფარდობით სიდიდეებს. ფასები არის სწორედ ასეთი კოეფიციენტები, რომლებიც შეიძლება იყოს გამოხატული ოქროს მონეტების, ფულის კუპიურების რაოდენო-ბით, ან უბრალო ციფრებით საბუღალტრო ანგარიშებში და კომპიუტერის მეხსიერებაში.

გაზომვა არის მხოლოდ შეთანაზომების განვითარებული ფორმა. შესაძლებელია მხოლოდ ერთგვაროვანი სიდიდეების შეთანაზომება. ხომ შეუძლებელია წონა შევადაროთ სიგრძეს? ამიტომ წონა იზომება წონის ერთეულით, სიგრძე – სიგრძის ერთეულით, ფასეულობა – ფასეულობის ერთეულით. სახაზავი ან საწონი არის მხოლოდ საზომი ერთეულის ფიზიკური მატარე-ბელი, მაგრამ თვითონ ერთეულს წარმოადგენს არა სახაზავი ან საწონი, არამედ პირობით ერთეულად მიჩნეული სიგრძე და წონა, რომლებიც განივთებულნი არიან ამ საგნებში. აგრეთვე ფასეულობის (სარგებლიანობის და ხარჯის) საზომ ერთეულს წარმოადგენს არა ოქრო ან ფულის კუპიურა, არამედ მათში განივთებული ფასეულობა, რომელიც პირობითად მიჩნეულია ეკონომიკური ფასეულობის საზომ ერთეულად;[96]

---

[96] ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სარგებლიანობის და ხარჯის სიდიდე, რომელიც წარმოდგენილია ფულის ერთეულში, დამოკიდებულია საქონლის იმ რაოდენობაზე, რომლის ყიდვაც არის შესაძლებელი ფულის მეშვეობით, ანუ, დამოკიდებულია ფულის რაოდენობის შეზღუდულობაზე, ფულადი და სასაქონლო მასების თანაფარდობაზე, და არა ფულის ერთეულის მატარებლის (ოქროს ან კუპიურის) ფიზიკურ თვისებებზე ან მათი წარმოების ხარჯებზე. ისევე როგორც ბანკის კომპიუტერების მეხსიერებაში ჩაწერილი ღირებულებითი მაჩვენებლები არანაირად არ ასახავენ მათი კომპიუტერის მეხსიერებაში შეყვანის და მათზე კონტროლის ხარჯებს.

10. ფული არის საყოველთაო ეკვივალენტი, ანუ, უნივერსალური დოვლათი, რომელიც შეიძლება იყოს გაცვლილი ნებისმიერ სხვა საქონელზე. ამიტომ ფული იძლევა ნებისმიერი, როგორც სამომხმარებლო, ისე საწარმოო დნიშნულების, საქონლის შეძენის შესაძლებლობას. შესაბამისად, ფული იძლევა სხვადასვა კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, საკუთრების უფლების, სარგებლობის და სხვა უფლებების შეძენის, სესხის გაცემის, პირველადი რესურსების შეძენის, პროდუქტების წარმოების და მოგების მიღების და მრავალი სხვა მოქმედების განხორციელების საშუალებას.

გარკვეული დროის განმავლობაში დოვლათით სარგებლობის შესაძლებლობა და სარგებლობის უფლება თვითონაც არის შეძღუდული დოვლათი, და ესე იგი, ეკონომიკური დოვლათი. როგორც სხვა შეზღუდული დოვლათი, ფულის მიერ მონიჭებული შესაძლებლობები აგრეთვე წარმოადგენენ ეკონომიკურ დოვლათს. მაგრამ იმისათვის, რომ შევძლოთ ამ შესაძლებლობებით, ანუ ფულის მომსახურებით, სარგებლობა, საჭიროა ამის უფლება. და ეს უფლებებიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენენ შესაძლებლობებს, წარმოადგენენ შეზღუდულ ეკონომიკურ დოვლათს და არიან ყიდვა-გაყიდვის ობიექტები. საპროცენტო განაკვეთი სწორედაც არის ფულის დროებით სარგებლობის უფლების საფასური. ეს არის დროის ერთეულში ფულის ერთეულის მომსახურებით სარგებლობის უფლების ფასი, ანუ, იმ ეკონომიკური შესაძლებლობების ფასი, რომელსაც ფულის ერთეული დროის ერთეულში ანიჭებს თავის მფლობელს არსებულ ეკონომიკურ გარემოში.

ხელფასი, სარგებელი და რენტა, როგორც შრომის, მიწის და კაპიტალის ერთეულის მომსახურებით სარგებლობის უფლების საფასური, გამოიხატება აბსოლუტური მაჩვენებლებით, ფულის ერთეულების რაოდენობით. რამეთუ ეს წარმოების ფაქტორები და, მეორე მხრივ, მათი მომსახურებით სარგებლობის უფლების საფასური წარმოადგენენ არაერთგვაროვან სიდიდეებს და

იზომებიან სხვადასხვა ზომის ერთეულებში. მაგრამ, თვით ფულადი ერთეულის მომსახურებით სარგებლობის უფლების საფასური იზომება იგივე ფულადი ერთეულით. ამიტომ გაცილებით მოსახერხებელია მისი გამოხატვა ფარდობითი მაჩვენებლით, პროცენტებში, თუმცა პრინციპში, მისი გამოხატვა შესაძლებელია აგრეთვე აბსოლუტური მაჩვენებლით, ანუ ფულის ერთეულების რაოდენობით, ისევე როგორც გამოიხატება ხელფასი, სარგებელი და რენტა. არსებითად საპროცენტო განაკვეთის ეკონომიკური შენაარსი იგივეა, რაც ხელფასის, სარგებელისა და რენტის. ყველა ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სახეობის ეკონომიკური აქტივების მომსახურებით დროებით სარგებლობის უფლების ფასს, ანუ მოცემულ ეკონომიკურ გარემოში არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების ფასს. განსხვავება კი ისაა, რომ შრომის, მიწის და კაპიტალისაგან განსხვავებით, თავის მფლობელს ფული ანიჭებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს არა სპეციფიკური, არამედ საყოველთაო ფორმით, და საპროცენტო განაკვეთიც წარმოადგენს ზოგადად იმ ეკონომიკური შესაძლებლობების ფასს, რომლებიც არსებობენ მოცემულ ეკონომიკურ გარემოში, მოცემულ მომენტში;

11. საბაზრო ფასები წარმოადგენენ საშუალო სიდიდეებს იმ ინდივიდუალური ფასების სიმრავლიდან, რომლთა საფუძველზეც ხდება ცალკეული გარიგებები. ეს საბაზრო ფასები, როგორც ამა თუ იმ მომენტში არსებული საშუალო ეკონომიკური პარამეტრები, განაპირობებენ ინდივიდების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს. ისინი წარმოადგენენ მათთვის ორიენტირებს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებისას. მაგრამ ყოველ ცალკეულ გარიგებაში ინდივიდი, გარდა საბაზრო ფასებისა, კიდევ ითვალისწინებს იმ პირობებსაც, რომელშიც უშუალოდ მას უწევს ფუნქციონირება. გარდა ზოგადეკონომიკური პირობებისა (ექსპანსია თუ რეცესია, ინფლაცია, უმუშევრობა, ოპტიმისტური თუ პესიმისტური მოლოდინები და სხვ.), ინდივიდები ითვალისწი-

ნებენ იმ პირობებსაც, რომლებიც უნიკალურია ყოველი მათგანისთვის.

თვითეულ მათგანს გააჩნია სხვადასხვა მოთხოვნილებები, საწარმოო შესაძლებლობები, ფარდობითი უპირატესობები და ა.შ.. ცხადია, თვითოეული მათგანი განსხვავებულად რეაგირებს ერთი და იგივე ზოგადეკონომიკური პირობების ცვლილებებზე. ამიტომ ყოველ კონკრეტულ გარიგებაში ინდივიდუალური ფასები ამა თუ იმ ზომით გადაიხრება საშუალო საბაზრო ფასებიდან. შესაბამისად, ინდივიდუალური ფასების ის სიმრავლე, რომელიც იქნება ფორმირებული არსებული საბაზრო ფასებიდან ინდივიდუალური გადახრების საფუძველზე, საერთო ჯამში, ასახავს საზოგადოების მოთხოვნილებების და საწარმოო შესაძლებლობების ცვლილებებს. ამიტომ, ყოველი ახალი საბაზრო ფასი ქმნის ინდივიდუალური ფასების ახალ სიმრავლეს, რომელიც იქნება განსხვავებული იმ სიმრავლისაგან, რომლიდანაც წარმოიშვა თვითონ როგორც საშუალო სიდიდე.

ასე რომ, ინდივიდუალური ფასები ფორმირდება საშუალო საბაზრო ფასებიდან ინდივიდუალური გადახრების საფუძველზე. ხოლო ეს ინდივიდუალური ფასები, ერთობლიობაში, ქმნიან იმ სიმრავლეს, რომლის საფუძველზეც ფორმირდება საშუალო საბაზრო ფასი. ანუ ინდივიდუალური და საბაზრო ფასები აფორმირებენ ერთმანეთს. ამასთან, ეს ურთიერთფორმირების პროცესი მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ საბაზრო ფასებიდან ინდივიდუალური გადახრები ხდება გაცნობიერებულად, ხოლო საბაზრო ფასების ფორმირება, როგორც ინდივიდუალური ფასებიდან საშუალო სიდიდეებისა, ხდება სტიქიურად. რადგან სტიქიურად ფორმირდება თვით ის (ინდივიდუალური ფასების) სიმრავლე, რომლიდანაც საშუალოს წარმოადგენს საბაზრო ფასი. ანუ, სტიქიურად ფორმირდება საბაზრო ფასები, რომლიდანაც, საბაზრო გარიგებებში მხარეთა გონივრული კომპრომისის საფუძველზე, შეგნებულად გადაიხ-

რებიან ინდივიდუალური ფასები. გამოდის, რომ კონკურენტულ ბაზარზე მიზანმიმართულად ფორმირებული ინდივიდუალური ფასები დამოკიდებული არიან სტიქიურად ფორმირებულ საბაზრო ფასებზე. სწორედ ეს არის საბაზრო ეკონომიკის სტიქიურობის და არაპროგნოზირებადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

2.3.9. დეცენტრალიზებული ეკონომიკის ოპტიმალურობის კრიტერიუმი

1. ეკონომიკური მოღვაწეობა საჭიროებს მოღვაწეობის ოპტიმალურობის კრიტერიუმს, რომლის გარეშეც შეუძლებელია მოქმედების ალტერნატიული ვარიანტების შეფასება და მათგან საუკეთესოს არჩევა. საბაზრო ეკონომიკაში ოპტიმალურობის კრიტერიუმები იგივეა, რაც ნატურალურ ეკონომიკაში, თუმცა მათ გააჩნიათ გამოხატვის სპეციფიკური ფორმა.

ლოკალური კრიტერიუმი გულისხმობს მაქსიმალური საზოგადოებრივი სარგებლიანობის შექმნას მინიმალური საზოგადოებრივი ხარჯებით. ფულად გამოხატულებაში იგი ვლინდება შემოსავლის მაქსიმიზაციაში და გასავლის მინიმიზაციაში. მწარმოებლების (ფირმების) შემთხვევაში იგი განაპირობებს მათ სწრაფვას მაქსიმალური მოგებისაკენ. მომხმარებლების (საოჯახო მეურნეობების) შემთხვევაში იგი განაპირობებს სწრაფვას დაზოგვის მაქსიმიზაციისაკენ.[97]

დარგთაშორისი კონკურენციის გავლენით მეწარმეები ცდილობენ რესურსები გადაანაწილონ ნაკლებად მომგებიანი დარგე-

[97] დანაზოგების ზრდა გვიჩვენებს, თუ რამდენად დეფიციტურ და, ესე იგი, შემოსავლიან წარმოების ფაქტორებს ფლობს სუბიექტი. ამასთან, დანაზოგები არის ნარჩენი სიდიდე და, როგორც ასეთი, გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტიანად იყო გამოყენებული შემოსავლები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ბიდან მეტად მომგებიან დარგებში. ანალოგიურად, მესაკუთრეები ცდილობენ საკუთრების გადანაწილებას.[98] წარმოების უფრო მაღალშემოსავლიანი ფაქტორების ფლობა საშუალებას აძლევს მათ გაზარდონ როგორც მოხმარების დონე, ისე დაზოგვის ნორმა. მაგრამ ამ პროცესების შედეგად წარმოების და მოხმარების სექტორებში იბადება ტენდენცია ლოკალურ დონეზე მიღებული მოგებების და დაზოგვების ნორმების გათანაბრებისაკენ, ანუ, ხარჯების თანაბარსარგებლიანობისაკენ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ოპტიმალურობის გლობალური კრიტერიუმი სწორედ რომ გულისხმობს კერძო სუბიექტების მოგების და დაზოგვის ინდივიდუალური ნორმების გამოთანაბრების ტენდენციას და ხარჯების თანაბარსარგებლიანობის ფორმირებას. მაგრამ, ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმის თანახმად ლოკალურ დონეზე გამუდმებით ხდება სხვადასხვა სუბიექტების მოგების და დაზოგვის ნორმების განსხვავებების აღწარმოება და ხარჯების თანაბარსარგებლიანობიდან გადახრა;

2. ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმი ვლინდება შემოსავლის მაქსიმიზაციაში და გასავლის მინიმიზაციაში. მაგრამ ფირმების შემოსავალი არის საოჯახო მეურნეობის გასავალი, ხოლო ფირმების გასავალი – საოჯახო მეურნეობების შემოსავალი. ხოლო სხვაობა შემოსავლებსა და გასავალს შორის, ერთ შემთხვევაში იღებს მოგების ფორმას, ხოლო მეორეში – დანაზოგების ფორმას. დოვლათის გაცვლის პროცესში ეკონომიკური სუბიექ-

---

[98] საოჯახო მეურნეობები ცდილობენ 1) დაბალშემოსავლიანი წარმოების ფაქტორები ჩაანაცვლონ უფრო მაღალშემოსავლიანი ფაქტორებით; 2) თავისი რესურსების საფასურად მოითხოვონ უფრო მაღალი ფასი; 3) მოსახმარი საქონელი ჩაანაცვლონ უფრო სარგებლიანი და იაფი საქონლით. მართალია ეკონომიკა ბადებს ეკონომიკურ ძალებს, რომლებიც ცდილობენ გამოათანაბრონ მოგების და დაზოგვის ნორმები, მაგრამ, მიუხედავად ამისა მიკროდონეზე განსხვავებები მაინც რჩება. რადგან მონოპოლია წარმოების ფაქტორებზე, საკუთრების განაწილებაზე, განპირობებულია არა მარტო ეკონომიკური, არამედ აგრეთვე სოციალური და პოლიტიკური ფაქტორებით. მეორე მხრივ, ეს განსხვავებები შემოსავლებში, ხარჯებში, მოგებებში, დანაზოგებში ბადებენ ეკონომიკური აქტივობის სტიმულებს.

ტები ერთმანეთს უნაზღაურებენ ან მოგებას, ან დანაზოგებს იმის მიხედვით თუ რას ყიდულობენ ისინი – საბოლოო პროდუქტებს, თუ პირველად რესურსებს. რადგან მოგებაც და დანაზოგიც შედიან შესასყიდი საქონლის ფასის შემადგენლობაში და, შესაბამისად, მყიდველისათვის წარმოადგენენ ხარჯის კომპონენტებს, ამიტომ მართალია დოვლათის წარმოების (აღწარმოების) პროცესში სუბიექტები ქმნიან ზედმეტ სარგებლიანობას მოგების ან დანაზოგის სახით, მაგრამ საქონლის გაცვლის პროცესში მათ უწევთ დამატებითი ხარჯის გაწევა, რადგან ერთმანეთს უნაზღაურებენ მათ მოგებებს და დანაზოგებს. საბოლოო ჯამში, წონასწორობის პირობებში, გაცვლის შედეგად სისტემაში მთლიანი მოგება და მთლიანი დანაზოგი ურთიერთ აწონასწორებენ ერთმანეთს;

3. წონასწორობის პირობებში, ამა თუ იმ პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შემადგენლობაში არსებული მოგება, უნდა შეესაბამებოდეს იმ დანაზოგების ჯამს, რომლებიც შედიან პროდუქტის წარმოებაში გამოყენებული რესურსების საფასურში. ხოლო რესურსის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი უნდა იძლეოდეს იმხელა დანაზოგის გაკეთების შესაძლებლობას, რომ იგი შეესაბამებოდეს რესურსის აღწარმოებისათვის საჭირო პროდუქტების საფასურში შემავალი მოგებების ჯამს. აქედან ცხადია, თუ რას წარმოადგენს მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ოპტიმალური, ანუ, წონასწორული ფასი. პროდუქტის ფასი არის წონასწორული, თუ მასში შემავალი მოგება უდრის იმ დანაზოგების ჯამს, რომლებიც შედიან ამ პროდუქტის ერთეულზე დახარჯული რესურსების ღირებულების შამადგენლობაში. ანალოგიურად, დანაზოგები რესურსის ოპტიმალურ ფასში უნდა უდრიდეს იმ მოგებათა ჯამს, რომლებიც შედიან ამ რესურსის ერთეულის აღწარმოებისას მოხმარებული საბოლოო

პროდუქტების ღირებულების შემადგენლობაში.[99] ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფასი ან მეტია, ან ნაკლებია ოპტიმალურ ფასებთან შედარებით, რომლებიც შეესაბამებიან ხარჯების თანაბარ-სარგებლიანობას.

იქამდე, სანამ ეკონომიკაში მოგების და დაზოგვის საშუალო ნორმები ტოლია, სხვადასხვა საქონელში მოგების და დაზოგვის ინდივიდუალური ნორმების გადახრები აკომპენსირებენ ერთმანეთს. მაგრამ თუ ირღვევა მოგების და დაზოგვის საშუალო ნორმების ტოლობა, ეს უკვე არღვევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას. მთლიანად ეკონომიკაში, ხარჯების თანაბარსარგებლიანობასთან ერთად, წონასწორობა გულისხმობს მთლიანი მოგების და მთლიანი დაზოგვის ტოლობას. ასე რომ, გლობალური კრიტერიუმის თანახმად, მთლიანი მოგების და მთლიანი დაზოგვის ტოლობა არის ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობა;

4. დეფიციტურ და ჭარბ საქონელში ირღვეევა ოპტიმალური თანაფარდობა სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის, და ეს აისახება ზედმეტი და დაზოგილი სარგებლიანობის ნორმების გადახრაზე ოპტომალური (საშუალო) სიდიდიდან. ეს ნიშნავს რომ ძლიერდება წინააღმდეგობა ღირებულების შიგნით სამომხმარებლო და საწარმოო ღირებულებებს შორის. და ამაში აისახება ჰარმონიის რღვევა წარმოებასა და მოხმარებას შორის მთლიანად სისტემაში. მაგრამ სწორედ ეს ბადებს შესაბამის სტიმულებს, რომელნიც ხელს უწყობენ დეფიციტის და სიჭარბის აღმოფხვრას და ოპტიმალური პროპორციების აღდგენას მოხმარებასა და წარმოებას შორის. სუბიექტები ცდილობენ გააფართოვონ დეფიციტური საქონელის წარმოება და შეზღუდონ მათი მოხმარება. მეორე

[99] იდეალური წონასწორობის შემთხვევაში მოგება და დანაზოგები უნდა აბალანსებდნენ ერთმანეთს როგორც მთლიანად ეკონომიკის დონეზე, ასევე თვითეული ფასის შემადგენლობაში.

მხრივ, ცდილობენ შეზღუდონ ჭარბი პროდუქციის წარმოება და გაზარდონ მათი მოხმარება;

5. თუ რაიმე მიზეზით ეკონომიკაში ბლოკირებულია დარგთაშორისი კონკურენცია და, შესაბამისად, ბლოკირებულია მისი ფუნქციონირება ოპტიმალურობის გლობალური კრიტერიუმის მიხედვით, მაშინ, ლოკაკლური კრიტერიუმის დომინირება გარდუვალად გამოიწვწვს დარგების მონოპოლიზაციის ტენდენციას. თუ პირიქით, მოხდება შიდადარგობრივი კონკურენციის ბლოკირება და ამით მოხდება ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმის იგნორირება, მაშინ თანდათან ეკონომიკის ყველა დარგი დაიწყებს დაკნინებას რესურსების გამოყენების ერთნაირად დაბალი ეფექტურობის გამო. შიდადარგობრივი კონკურენციის პირობებში ეკონომიკური ინტერესები აიძულებენ კერძო სუბიექტებს იმოქმედონ ოპტიმალურობის ლოკალური კრიტერიუმის თანახმად. მაგრამ საბაზრო მექანიზმის წყალობით, ამ მოქმედებათა საერთო რეზულტატი ბადებს პროცესებს, რომელნიც შეესაბამება ოპტიმალურობის გლობალურ კრიტერიუმს. ოპტიმალურობის ლოკალური და გლობალური კრიტერიუმები გულისხმობენ ერთმანეთს და მხოლოდ ერთად უზრუნველყოფენ კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრას, რაც გახდა საბაზრო ეკონომიკის სწრაფი განვითარების მიზეზი.

გლობალური კრიტერიუმის თანახმად საბაზრო ეკონომიკა მაკროდონეზე ბადებს მთლიანი შემოსავლის და გასავლის, მთლიანი მოგების და მთლიანი დაზოგვის, სარგებლიანობის და ხარჯების, გათანაბრების ტენდენციას. ხოლო ლოკალური კრიტერიუმის თანახმად, მიკროდონეზე, საბაზრო ეკონომიკა ბადაბს საპირისპირო ტენდენციას და უკიდურესობამდე მიჰყავს განსხვავებები მათ შორის. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა გამუდმებით ისწრაფვის წონასწორობისკენ და ოპტიმალურობისკენ, და ასევე გამუდმებით გადაიხრება მათგან. ასეთი მერყეობა მაკროდონეზე იღებს ეკონომიკური ციკლის ფორმას, რაც წარმოადგენს

სიმეტრიის კიდევ ერთ, ეგრედწოდებული „დინამიური სიმეტრიის“ გამოვლენის ფორმას. ოპტიმალურობის ლოკალური და გლობალური კრიტერიუმები მხოლოდ ერთად ქმნიან ოპტიმალურობის საერთო კრიტერიუმს, რომელსაც წარმოადგენს კრიტერიუმი პარეტოს მიხედვით, რომელიც მთლიანად სისტემის დონეზე უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, თანაბარსარგებლიანობას და, მეორე მხრივ, მთლიანი სარგებლიანობის მაქსიმუმის და მთლიანი ხარჯების მინიმუმის ტოლობას.

2.3.10. საბაზრო ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

1. საბაზრო ეკონომიკაში არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა ინდივიდების მიზანშეწონილ მოქმედებებსა და ბაზრის სტიქიურ მოქმედებას შორის. კერძო სუბიექტებისაგან განსხვავებით მთლიანად საზოგადოებას არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი მოთხოვნილებები, შესაძლებლობები და ფასეულობები. ამიტომ მას არ შეუძლია გაცნობიერებულად მიიღოს რეაციონალური გადაწყვეტილებები, მიზანმიმართულად განახორციელოს თავისი მოღვაწეობის ოპტიმიზაცია. საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება არის "სპონტანური წესრიგის" (ჰაიეკი) რეზულტატი, კერძო სუბიექტების გაცნობიერებულ მოქმედებებზე დამყარებული სტიქიური ურთიერთქმედების შედეგი. ანუ ინდივიდები თვითონ ვერ აცნობიერებენ თუ როგორ ხდება მათი ინდივიდუალური მოქმედებების კოორდინაცია და ამიტომაც მიაწერენ მას „უხილავი ხელის“ მოქმედებას;

2. ცალკეული სუბიექტები ინდივიდუალურ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს ღებულობენ არსებული საბაზრო პირობების გათვალისწინებით. ანუ, ითვალისწინებენ თუ როგორია საბაზრო

ფასები, საპროცენტო განაკვეთები, მოგების და დაზოგვის ნორმები, ეკონომიკური აქტიობა, მოლოდინები, საზოგადოების ოპტიმისტური და პესიმისტური განწყობები და სხვ. ეს სუბიექტური გადაწყვეტილებები განაპირობებენ მათ ეკონომიკურ მოქმედებებს. ასე ხდება მათი ინდივიდუალური ეკონომიკური პარამეტრების ფორმირება, ანუ ცალკეული ინდივიდების მიერ სხვადასხვა წარმოებული და მოხმარებული საქონლის რაოდენობის, მათი მოთხოვნისა და მიწოდების, ინვესტიციების, მოგების და დაზოგვის, ცალკეულ გარიგებებში ინდივიდუალური ფასების და ა.შ.. მაგრამ ინდივიდების დამოუკიდებელი მოქმედებების აგრეგირებული რეზულტატი არის საზოგადოებრივი წარმოება და მოხმარება, საბაზრო მოთხოვნა და მიწოდება, საბაზრო ფასები, მოგების და დაზოგვის საშუალო ნორმები, საშუალო საპროცენტო განაკვეთები, აგრეთვე, ამ პარამეტრების დინამიკით განპირობებული საბაზრო ტენდენციები, მოლოდინები, ოპტიმისტური თუ პესიმისტური განწყობები და ა.შ.. ანუ, ინდივიდუალური მოქმედებების ერთობლივი რეზულტატი არის სწორედ ის საბაზრო პირობები, რომლის საფუძველზეც თვითეული სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებებს;

3. ასე რომ, საბაზრო პირობები, რომლებიც განაპირობებენ ინდივიდების სუბიექტურ გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს, თვითონ არიან განპირობებული ამ გადაწყვეტილებებით და მოქმედებებით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იდივიდუალური მოქმედებები გაცნობიერებულია და რაციონალურია, ხოლო ინდივიდთა მოქმედებების აგრეგირებული რეზულტატები ფორმირდება სტიქიურად. არავინ შეგნებულად არ არეგულირებს მათ. ინდივიდებისათვის ისინი არიან არაპროგნოზირებადი. თვითეულმა მათგანმა იცის, თუ რას და რამდენს მოიხმარს და აწარმოებს თვითონ, თუ როგორია მისი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. მაგრამ არავინ იცის, თუ რას და რამდენს მოიხმარს და აწარმოებს საზოგადოება; თუ როგორია

საზოგადოების მოთხოვნილებები; როგორ იცვლებიან ისინი; თუ როგორ იცვლება ფასები და საპროცენტო განაკვეთები; როდის დაიწყება და როდის დასრულდება კრიზისი, ინფლაცია ან უმუშევრობა. ეს საბაზრო პირობები, რომლებზეც დამოკიდებულია სუბიექტის მოქმედებები, მისთვის წარმოადგენენ ობიექტურ რეალობას, აუცილებლობას, მისგან დამოუკიდებელ ძალებს, რომლებიც აიძულებენ მას ამა თუ იმ გადაწყვეტილებების მიღებას და შესაბამის მოქმედებას.

მილიონობით დამოუკიდებელი სუბიექტის მიზანშეწონილი მოქმედებები, რომელთაგანიც თვითოეული მოქმედებს თავისი ეგოისტური ინტერესების შესაბამისად, ბადებენ სტიქიურ რეზულტატებს, რომელიც წინასწარ არავის დაუგეგმია. მოქმედებენ რა რაციონალურად და არსებული საბაზრო ეკონომიკის პირობების ადეკვატურად, ინდივიდები უნებლიედ თვითონ ქმნიან იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს. თავის გაცნობიერებულ ქმედებებში ისინი იძულებულნი არიან დაემორჩილონ თავისივე მოქმედებების გაუცნობიერებელ შედეგებს. კოლექტიური მოქმედებებით გამოწვეული საბაზრო პირობების ცვლილებების პროგნოზირება ისევე ძნელია ინდივიდებისთვის, როგორც ბუნებრივი პროცესების. ხოლო ეკონომიკური კრიზისები მათთვის წარმოადგენს ისეთივე სტიქიურ უბედურებას, როგორც ბუნების სტიქია. ეს არის საზოგადოებრივი ძალების გაუცხოვების ერთ-ერთი გამოვლენა, რომლებიც, კ. მარქსის თანახმად, დომინირებენ ინდივიდებზე;

4. მაგრამ საქმე არც მარტო იმაშია, რომ ინდივიდები ყოველთვის ვერ აცნობიერებენ თავიანთი მოქმედებების აგრეგირებულ შედეგებს. მაშინაც კი, როდესაც ისინი აცნობიერებენ მათ, ისინი, ხშირად, იძულებულნი არიან აკეთონ ის, რასაც ყოველი მათგანისთვის ექნება უარყოფითი შედეგები. ამ შედეგების გაცნობიერებას შესაძლოა ექნებოდა საზოგადოებისთვის დადებითი რეზულტატი, თუ ინდივიდები იმოქმედებდნენ შეთანხმებულად,

ხოლო ამის გარეშე, ცალკეული ინდივიდის მოქმედების წვლილი საერთო ინტერესების რეალიზებაში იმდენად მცირეა, და იმდენად დიდია ასეთი მოქმედებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები თვითონ ინდივიდისთვის, რომ ასეთი მოქმედებები არ არის მისთვის რაციონალური ეკონომიკური თვალსაზრისით (არ ვეხებით მისი ქცევის ზნეობრივ, პოლიტიკურ, თუ რელიგიურ მოტივაციას).

ბაზრის პირობებში თვითოეული ინდივიდის მოქმედების ლოგიკა განპირობებულია ყველა დანარჩენი ინდივიდის მოქმედებებით, რადგან ყველა ისინი წარმოადგენენ ერთი სისტემის ელემენტებს. მაგრამ სტიქიური ბაზრის პირობებში არსებული ურთიერთდამოკიდებულების გამო, მოქმედებს რა საკუთარი ინტერესების საფუძველზე, თვითეული ინდივიდი იძულებულია აკეთოს არა მხოლოდ ის, რაც ეხმიანება საზოგადოების ინტერესებს, არამედ ისიც, რაც, რიგ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება მათ. პრობლემა მდგომარეობს არა ინდივიდების უგუნურებაში ან უზნეობაში, არამედ ინდივიდის და საზოგადოების ურთიერთქმედების ბუნებაში, რომლის თანახმადაც, სტიქიური საბაზრო ურთიერთობების პირობებში შესაძლებელი ხდება მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნა. მხოლოდ სახელმწიფო რეგულირებას შეუძლია იტვირთოს „უხილავი ხელის“ ფუნქცია და მიზანმიმართულად შექმნას პირობები, რომელშიც ინდივიდი, მოქმედებს რა საკუთარი ინტერესების თანახმად, ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესების რეალიზებას. მაგრამ, ამისთვის საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორ მუშაობს სტიქიური ბაზრის თვითრეგულირების ეკონომიკური მექანიზმი.

2.3.11. ეკონომიკური წონასწორობის "სიმეტრიული მოდელი"

1. მართალია ეს მოდელი (იხ. ცხრ. 1 და 2) განიხილება საბაზრო ეკონომიკის მაგალითზე, მაგრამ არსებითად იგი ასახავს ზოგადად ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის ფუნქიონირებას, იქნება ეს ნატურალური, საბაზრო თუ რეგულირებადი ეკონომიკა, და ნებისნიერ დონეზე, ინიდივიდის ეკონომიკიდან დაწყებული და მსოფლიო ეკონომიკით დამთავრებული, რადგან იგი ასახავს ურთიერთკავშირების სისტემას და მის პარამეტრებს არა ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, არამედ იმ ეკონომიკურ ფუნქციებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის მთლიანობას. ყველა ეს ფუნქცია (წარმოება, მოხმარება, მეწარმეობა, დაზოგვა, ინვესტირება ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში და სხვ.) აუცილებელია ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისთვის. ფულში გამოხატული ფასების ნაცვლად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინდივიდის სუბიექტურ შეფასებებს ან რეგულირებად ოპტიმალურ ფასებს. ასევე, ფულად ერთეულებში ფასეულობების *გაზომვის* ნაცვლად, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფასეულობების უშუალო *შეთანაზომებას* ინდივიდის გონებაში ან კომპიუტერის მეხსიერებაში. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უცვლელად რჩება არსებითი კავშირები იმ აუცილებელ ფუნქციებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის მთლიანობას.

აქ წარმოდგეგნილია დეცენტრალიზებული ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის მოდელი, რომელშიც საბოლოო პროდუქტები (**m** სახეობის) იწარმოება პირველადი რესურსების (**n** სახეობის) მეშვეობით და პირველადი რესურსების აღწარმოება ხდება საბოლოო პროდუქტების მოხმარების მეშვეობით. შუალედური

მოხმარება არ განიხილება მოდელის გამარტივების მიზნით.[100] საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც სისტემა, რომელშიც ადგილი აქვს *საქონლის წარმოებას საქონლის მოხმარების მეშვეობით.* 1 სექტორში წარმოებული საქონლის მოხმარების გზით მე-4 სექტორში იწარმოება საქონელი, რომელიც მოიხმარება 1 სექტორში. ამიტომ, ყველა საქონელი ერთდროულად არის პროდუქტი თავისი მწარმოებლისთვის და რესურსი - თავისი მომხმარებლისთვის. საქონლის გაცვლა ხდება ბაზრებზე (სექტორები 2 და 3). შესაბამისად, ყველა საქონელს ერთნი ყიდიან და მეორენი ყიდულობენ. ამიტომ, ყველა აგენტი ერთდროულად არის მწარმოებელიც და მომხმარებელიც, გამყიდველიც და მყიდველიც. ყოველი მათგანი იღებს შემოსავლებს და გაიღებს ხარჯებს, ხოლო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას იყენებს ინვესტირებისათვის ფიზიკერ და ადამიანურ კაპიტალში.

როგორც ვხედავთ, ის, რაც 1 სექტორისთვის წარმოადგენს მიზანს, არის საშუალება მე-4 სექტორისთვის, ხოლო ის, რაც მე-4 სექტორისთვის წარმოადგენს მიზანს, არის საშუალება 1 სექტორისთვის. ამრიგად მოდელი ასახავს იმ ფაქტს, რომ პროდუქტების წარმოება და რესურსების აღწარმოება (ანუ, პროდუქტების მოხმარება), არიან რეფლექსიურ კავშირში ერთმანეთთან. ისინი წარმოადგენენ აუცილებელ დამატებას ერთიმეორესთვის ერთი სისტემის ფარგლებში და, ამავდროულად, არიან ურთიერთწინააღმდეგობაში ერთმანეთის მიმართ.

შემოსავლების და გასავლების ფორმირება ხდება ფასების საფუძველზე. რადგან მყიდველთა ხარჯი არის გამყიდველთა შემოსავალი, და პირიქით, ამიტომ ადგილი აქვს შემდეგს: ერთი მხრივ, ფასები ასახავენ საქონლის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს და, ამიტომ ფორმირდებიან ამ საქონლის წარმოებაში

[100] შუალედური მოხმარების გათვალისწინების შემთხვევაში მოდელი მიიღებს ფორმას, რომელიც ნაჩვენებია დანართში. (იხ. დანართი 2).

	სექტორი 1					სექტორი 2	
$-a_{11}x_1v_1$	$-a_{12}x_1v_2$	. . .	$-\alpha_1 A_1$				x_1p_1
$-a_{21}x_2v_1$	$-a_{22}x_2v_2$	. . .	$-\alpha_2 A_2$			x_2p_2	
. . .	. . .	. . .	. . .		. . .		
$-a_{m1}x_mv_1$	$-a_{m2}x_mv_2$	. . .	$-\alpha_m A_m$	x_mp_m			
			$-P'$	$I = S$			
			$P = Q$	$-S'$			
			y_nv_n	$-\beta_n B_n$	. . .	$-b_{n2}y_np_2$	$-b_{n1}y_np_1$
		.. . .		. . .	. . .	. . .	. . .
	y_2v_2			$-\beta_2 B_2$	. . .	$-b_{22}y_2p_2$	$-b_{21}y_2p_1$
y_1v_1				$-\beta_1 B_1$	. . .	$-b_{12}y_1p_2$	$-b_{11}y_1p_1$



ცხრ. 2.2. დეცენტრალიზებული ეკოომიკური სისტემის ეკონომიკური ნაკადები.

მოხმა-რებული საქონლის ფასების საფუძველზე. მეორე მხრივ, ფასები ასახავენ საქონლის სარგებლიანობას. რადგან სარგებლიანობა არის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი, ამიტომ ეს ფასები განაპირობებენ იმ ხარჯების სიდიდეს, რომელსაც მომხმარებლები იმეტებენ ამ სარგებლიანობის შესაძენად.

მომხმარებლისთვის ფასი წარმოადგენს საქონლის ერთეულის შეძენით გამოწვეულ ფულად ხარჯს (გასავალს). ამიტომ მოდელში შემოსავლებს და ფასებს (რომლებიც გადაიხდება ამ შემოსავლებიდან) აქვთ ურთიერთ საწინააღმდეგო ნიშანი. ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ საქონლის შეძენის შედეგად ფასები ისევე ახდენენ შემოსავლების „ნეიტრალიზებას“, როგორც სარგებლიანობა ახდენს მოთხოვნილების „ნეიტრალიზებას“ (დაკმაყოფილებას) მისი მოხმარების შედეგად. ერთი და იგივე საქონელი არის საქონელი, რომელსაც აწარმოებენ და მოიხმარენ, ყიდიან და ყიდულობენ. მატრიცის დიაგონალის ელემენტები გვიჩვენებენ როგორც გასაყიდი საქონლის საწარმოო ღირებულებას, ასევე, ამავე საქონლის, როგორც შესასყიდი საქონლის, სამომხმარებლი ღირებულებას. როგორც საწარმოო ღირებულება იგი არის ექსტენსიური სიდიდე და შედგება (ობიექტური და სუბიექტური) ხარჯების ელემენტებისგან, რომლებიც ნაჩვენებია მატრიცის სტრიქონებში. ხოლო როგორც სამომხმარებლო ღირებულების (სარგეგბლიანობის) მაჩვენებელი, იგი არის ინტენსიური სიდიდე და, როგორც ასეთი, იგი არ არის რაიმე ელემენტებისგან *შედგენილი* სიდიდე, ანუ არ მიიღება რაიმე ელემენტების დაჯამებით, არამედ თვითონ *იშლება* მატრიცის სვეტების ელემენტებად, რომლებიც გვიჩვენებენ ამ საქონლის სარგებლიანობას მისი მომხმარებლებისთვის. რადგან მატრიცის ყოველი ელემენტი ერთდროულად არის როგორც სტრიქონის, ისე სვეტის ელემენტი, ამიტომ ისინი ერთდროულად გვიჩვენებენ, როგორც სარგებლიანობას, ისე ხარჯებს. სტრიქონები

გვიჩვენებენ საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების ელემენ-ტებს, ხოლო სვეტები - ამავე საქონლის განაწილებას და მის მოხმარებას სხვადასხვა საქონლის წარმოების პროცესში. შესაბა-მისად, სტრიქონის შემადგენლობაში მატრიცის ელემენტები გვიჩვენებენ საქონლის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს, ხოლო სვეტების შემადგენლობაში - საქონლის სარგებლიანობას თავისი მომხმარებლებისათვის. ამიტომ, ჰორიზონტალური დაჯამებით ვიღებთ ბაზარზე გატანილი ამა თუ იმ საქონლის მთლიანი რაოდენობის წარმოების ხარჯებს, ხოლო ვერტიკალური დაჯა-მებით - იგივე საქონლის სარგებლიანობას (რომელიც იზომება ფულის რაოდენობით, რომელსაც მომხმარებლები გაიღებენ მის შესაძენად, ანუ იზომება საბაზრო მოთხოვნით).

მატრიცის თანახმად, საათის ისრის მოძრაობის მიმართუ-ლებით მიმდინარეობს რესურსების გარდაქმნა პროდუქტებად, რომლებიც, თავის მხრივ, არიან მოხმარებული როგორც რესურ-სები სხვა პროდუქტების მისაღებად და ა.შ.. საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით ხდება ფულადი შემოსავლების გარდაქმნა ფულად ხარჯებად (გასავლად), რომლებიც, თავის მხრივ, თვითონ არიან შემოსავლები და შემდეგ ისევ გარდაიქმნე-ბიან ხარჯებად და ა.შ.

წარმოდგენილი მატრიცა არის კვადრატული და ბლოკური, ხოლო მისი რიგითობა არის (m + n) რადაგან გაყიდული და შესყიდული საქონლის ღირებულება არის ერთი და იგივე სიდიდე, ამიტომ დიაგონალის ყოველ ელემენტს ერთმანეთთან შესაბამი-სობაში მოჰყავს მატრიცის პირველი და მეოთხე სექტორების სტრიქონები და სვეტები. სისტემის წონასწორობის პირობებში დიაგონალის ყოველი ელემენტი (მე-2 და მე-3 სექტორებში) უდრის მისი შესაბამისი სტრიქონის ელემენტების ჯამს და, ამავდროულად, მისი შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს (1 და მე-4 სექტორებში). ამიტომ, ჯერ ერთი, მატრიცის ნებისმიერი სტრიქონის და, აგრეთვე, ნებისმიერი სვეტის ელემენტების ჯამი

უდრის ნულს, რაც ასახავს იმ ფაქტს, რომ სისტემა ჩაკეტილია. მეორეც, 1 სექტორის ყოველი სტრიქონის ელემენტების ჯამი უდრის მისი შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს მე-4 სექტორში, ხოლო მე-4 სექტორის ყოველი სტრიქონის ელემენტების ჯამი - 1 სექტორის შესაბამისი სვეტის ელემენტების ჯამს. ანუ, ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემაში, წონასწორობის პირობებში, იწარმოება მხოლოდ ის, რაც მოიხმარება, და მოიხმარება მხოლოდ ის, რაც იწარმოება. წარმოებასა და მოხმარებას შორის ასეთი შესაბამისობა ნიშნავს, რომ ყველა საქონლის (პროდუქტების და რესურსების) მიხედვით, მოთხოვნა და მიწოდება, ყიდვა და გაყიდვა სრულად შეესაბამება ერთმანეთს.

როგორც 1, ისე მე-4 სექტორში წარმოებული საქონლის ღირებულება მეტია, ვიდრე მათი წარმოების პროცესში მოხმარებული საქონლის ღირებულებათა ჯამი. თუ ეკონომიკის ყველა აგენტს განვიხილავთ როგორც მწარმოებელს, მაშინ წარმოებული და მოხმარებული საქონლის ღირებულებებს შორის სხვაობა მიიღებს *ზედმეტი ღირებულების* ფორმას. ხოლო, თუ ყველა აგენტს მივიჩნევთ მომხმარებლებად, მაშინ ეს სხვაობა მიიღებს *დაზოგილი ღირებულების* ფორმას. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში, ზედმეტი ღირებულება განივთებულია *ზედმეტ პროდუქტში*, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაზოგილი ღირებულება განივთებულია *დაზოგილ რესურსში.* აგენტები დაინტერესებულნი არიან ზედმეტი პროდუქტის და დაზოგილი რესურსის ზრდაში. ზედმეტი პროდუქტის წარმოება საჭიროებს სამეწარმეო რისკს, ხოლო რესურსების დაზოგვისათვის საჭიროა მომჭირნეობა, თავშეკავება.

რადგან ყოველი აგენტი ერთდროულად არის მწარმოებელიც, რომელიც აწარმოებს ზედმეტ პროდუქტს და მომხმარებელიც, რომელიც ზოგავს რესურსებს, ამიტომ ისინი ერთდროულად ასრულებენ როგორც სამეწარმეო, ისე დაზოგვის ფუნქციას. ამგვარად, იმისთვის, რომ ეკონომიკურმა აგენტებმა შეძლონ

ღირებულების ნამეტის მიღება სასაქონლო წარმოების პროცესში, ერთდროულად საჭიროა რისკის საკუთარ თავზე აღებაც და მომჭირნეობაც. მოდელში ასახულია ეს დუალიზმი, რომელიც ახასიათებს აგენტებს და მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებს, ისევე როგორც საერთოდ საბაზრო პროცესებს და მოვლენებს (წარმოებას, მოხმარებას, მოთხოვნას, მიწოდებას, საქონელს, ფულს, ფასებს, ფასეულობებს და სხვ.);

2. **მოდელის აღწერა.** მუდმივი სიდიდეები - a_{ij}, b_{ji} . ცვლადები: x_i , y_j , p_i , v_j , α_i , β_j..

1) თუ ყველა აგენტს პირველ და მეოთხე სექტორებში განვიხილავთ როგორც საქონლის მწარმოებლებს, მაშინ:

$$A_i = \sum a_{ij}\, x_i\, v_j\ ; \quad i = 1,2 \ldots m;\ \ j = 1,2\ldots(n-1); \qquad (1)$$

$$B_j = \sum b_{ji}\, y_j\, p_i\ ; \quad i = 1,2 \ldots(m-1);\ \ j = 1,2\ldots n; \qquad (2)$$

$$p_i = (1+\alpha_i)\sum a_{ij}\, v_j; \quad i = 1,2 \ldots m;\ \ j = 1,2\ldots(n-1); \qquad (3)$$

$$v_j = (1+\beta_j)\sum b_{ji}\, p_i; \quad i = 1,2 \ldots(m-1);\ \ j = 1,2\ldots n; \qquad (4)$$

$$y_j = \sum a_{ij}\, x_i; \quad j = 1,2 \ldots(n-1);\ \ i = 1,2 \ldots m; \qquad (5)$$

$$x_i = \sum b_{ji}\, y_j; \quad i = 1,2 \ldots(m-1); \quad i = 1,2 \ldots m; \qquad (6)$$

$$\alpha_0 = \frac{\sum_i \alpha_i A_i}{\sum_i A_i}\ ; \quad i = 1,2 \ldots m; \qquad (7)$$

$$\beta_0 = \frac{\sum_j \beta_j B_j}{\sum_j B_j}\ ; \quad j = 1,2\ldots n; \qquad (8)$$

$$x_i \geq x_{min}; \quad i = 1,2 \ldots m; \quad y_j \leq y_{max}\ ; \quad j = 1,2\ldots n. \qquad (9)$$

2) თუ ყველა აგენტს განვიხილავთ როგორც საქონლის მომხმარებლებს, მაშინ:

$$A_i = x_i p_i ; \quad i = 1,2 \ldots m; \tag{10}$$

$$B_j = y_j v_j ; \quad j = 1,2 \ldots n; \tag{11}$$

$$p_i = \sum a_{ij} v_j /(1-\alpha_i); \quad i = 1,2 \ldots m; \quad j = 1,2 \ldots (n-1); \tag{12}$$

$$v_j = \sum b_{ji} p_i /(1-\beta_j); \quad i = 1,2 \ldots (m-1); \quad j = 1,2 \ldots n; \tag{13}$$

$$y_j = \sum a_{ij} x_i; \quad j = 1,2 \ldots (n-1); \quad i = 1,2 \ldots m; \tag{14}$$

$$x_i = \sum b_{ji} y_j; \quad i = 1,2 \ldots (m-1); \quad i = 1,2 \ldots m; \tag{15}$$

$$\alpha_0 = \frac{\sum_i \alpha_i x_i p_i}{\sum_i x_i p_i} ; \quad i = 1,2 \ldots m; \tag{16}$$

$$\beta_0 = \frac{\sum_j \beta_j y_j v_j}{\sum_j y_j v_j} ; \quad j = 1,2 \ldots n; \tag{17}$$

$$x_i \geq x_{min}; \quad i = 1,2 \ldots m; \quad y_j \leq y_{max} ; \quad j = 1,2 \ldots n; \tag{18}$$

ორივე (1 და 2) შემთხვევაში, წონასწორობის პირობას წარმოადგენს ტოლობა: P = Q = I = S, ანუ 1 და მე-4 სექტორებში ზედმეტი პროდუქტის ან დაზოგილი რესურსის საშუალო ნორმების (α და β) ტოლობა. კონკურენციის პირობებში α_0 და β_0 ისწრაფვიან საპროცენტო განაკვეთისაკენ r_0. ამით ისინი ისწრაფვიან ერთმანეთის ტოლობისაკენ და ამით უზრუნველყოფენ P = Q = I = S ტოლობისაკენ ტედენციას და შესაბამისად, მთლიანად სისტემის სწრაფვას წონასწორობისკენ.

ანალიზის გამარტივების მიზნით შემდგომში 1 სექტორი მოხსენებულია როგორც *წარმოების სექტორი,* ხოლო მე-4 სექტორი - როგორც *მოხმარების სექტორი.* შესაბამისად, ზედმეტ პროდუქტში განივთებული ზედმეტი ღირებულება (1 სექტორის სვეტი **n**) ფულად გამოსახულებაში ღებულობს *მთლიანი მოგების*

ფორმას, ხოლო დაზოგილ რესურსებში განივთებული დაზოგილი ღირებულება (მე-4 სექტორის სვეტი **m**) ფულად გამოსახუილებაში ღებულობს *მთლიანი დანაზოგის* ფორმას.

ფორმულები 3-6 და 12-15 მიღებულია მატრიცის ელემენ-ტების დაჯამებით სვეტების და სტრიქონების მიხედვით. პირობის თანახმად წარმოების ხარჯების და მოგების ჯამი უდრის პროდუქტის ფასს, ხოლო სამომხმარებლო ხარჯების და დანაზო-გების ჯამი უდრის რესურსის ფასს. ბაზარზე რეალიზებული საქონლის რაოდენობა უდრის მოხმარებული და ინვესტირებული საქონლის საერთო რაოდენობას. ამასთანავე, არ შეიძლება საქო-ნელი იყოს ბაზარზე რეალიზებული იმაზე ნაკლები, ვიდრე ეს განსაზღვრულია მეოთხე სექტორში მომხმარებლების მინიმა-ლურად დასაშვები მოხმარების დონით. ასევე რესურსები არ შეიძლება იყოს რეალიზებული იმაზე მეტი, ვიდრე ამის საშუალებას იძლევა მთლიანად ეკონომიკაში არსებული წარმო-ების ფაქტორების (შესაბამისად, მათი მომსახურების) საერთო ოდენობა.

ამ ფორმულების თანახმად, რესურსების y_j და პროდუქტების x_i, ისევე როგორც მათი ფასების (p_i და v_j) მიერ ურთიერთ-ფორმირება ხდება a_{ij} და b_{ji} კოეფიციენტების მატრიცების საფუძველზე. მაგრამ ამ პროცესების მიმართულებები ურთიერთ-საწინააღმდეგოა. ამიტომ ამ მატრიცების ელემენტების ცვლილე-ბები ურთიერთსაწინააღმდეგოდ აისახება x_i და y_j რაოდენობების თანაფარდობებზე, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, p_i და v_j ფასების თანაფარდობებზე. მაგალითად, ტექნოლოგიური კოეფიციენ-ტების a_{ij} შემცირება ერთდროულად განაპირობებს, ერთი მხრივ, x_i^s პროდუქტების მიწოდების ზრდას და მათი მიწოდების ფასების p_i^s შემცირებას და, მეორე მხრივ, რესურსებზე y_j^d მოთხოვნის შემცი-რებას და მათი მოთხოვნის ფასების v_j^d ზრდას. ანალოგიურად, სამომხმარებლო კოეფიციენტების b_{ji} ზრდა ერთდროულად იწვევს, ერთი მხრივ, x_i^d პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას და მათი

მოთხოვნის ფასების p_i^d შემცირებას და, მეორე მხრივ, - y_j^s რესურსების მიწოდების შემცირებას და მათი მიწოდების ფასების v_j^s ზრდას. ყველა ეს პროცესი შეესაბამება რეალურ საბაზრო პროცესებს. რადგან ვითვალისწინებთ რა, რომ საბაზრო ფასები ყალიბდება მოთხოვნის და მიწოდების ფასებს შორის მიღწეული კომპრომისის საფუძველზე, ვიღებთ შემდეგს: საქონლის მოხმარების ნორმების (a_{ij} და b_{ji} კოეფიციენტები) ზრდის ან შემცირების შემთხვევაში საქონელი ხდება, შესაბამისად, დეფიციტური ან ჭარბი. საქონლის დეფიციტურობის ზრდას თან ახლავს ფასების ზრდა, ხოლო სიჭარბის ზრდას - ფასების ვარდნა. ამ ფორმულების თანახმად პროდუქტების და რესურსების ფასებს აქვთ ურთიერთსაპირისპირო ნიშნები და, მეორეც, მატრიცაში წარმოდგენილი ფასები, მოგების ნორმები და დაზოგვის ნორმები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს.

ტექნოლოგიური და სამომხმარებლო კოეფიციენტები არის რესურსების პროდუქტებად და პროდუქტების რესურსებად გარდაქმნის კოეფიციენტები, ხოლო ფასები არის ფულის საქონელში გაცვლის და, შესაბამისად, შემოსავლების ხარჯებად, და ხარჯების შემოსავლებად გარდაქნის კოეფიციენტები. ამასთან, მწარმოებლები და მომხმარებლები არიან რეფლექსიურ კავშირში მყოფი მხარეები. ამიტომ ის, რაც ერთი მხარისთვის არის შემოსავლების ხარჯებად გარდაქმნის კოეფიციენტი, მეორე მხარისთვის არის ხარჯების შემოსავლებად გარდაქმნის კოეფიციენტი. ის, რასაც ერთნი გაიღებენ ხარჯების სახით, მეორენი იღებენ შემოსავლების სახით. ერთის ხარჯი მეორის შემოსავალია, ხოლო ის, რაც ერთი მხარისთვის წარმოადგენს რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის კოეფიციენტებს, მეორე მხარისთვის არის პროდუქტების რესურსებად გარდაქმნის კოეფიციენტები. მაგრამ, ნომინალური ფასების მიღმა იგულისხმება საქონლის გაცვლის რეალური პროპორციები. ამიტომ, თუ ტექნოლოგიური და სამომხმარებლო კოეფიციენტები არის საქონლის წარმოების და

მოხმარების კოეფიციენტები, ფასები არის საქონლის გაცვლის კოეფიციენტები. ამასთან, ყველა ეს კოეფიციენტი ურთიერთ ზემოქმედებენ ერთმანეთზე.

მაგრამ, წარმოების და მოხმარების კოეფიციენტების ცვლილებები განპირობებულია სისტემისათვის გარე ფაქტორებით - მეცნიერების, ტექნოლოგიის, კულტურის, განათლების განვითარებით, ტრადიციების, სოციალური ნორმების, სამომხმარებლო პრიორიტეტების ცვლილებებით და ა.შ. ხოლო ფასები, საქონლის რაოდენობები, მოგების და დაზოგვის ნორმები, საპროცენტო განაკვეთები - იცვლებიან შიდასისტემური პროცესების შედეგად. ამ ფასების, რაოდენობების და ნორმების თვითრეგულირება ეკონომიკური სისტემის მიერ განპირობებულია ეკონომიკური სისტემის ფუნქციონალური ჩაკეტილობით და უზრუნველყოფენ სისტემის გომეოსტაზს, სისტემის სწრაფვას საერთო წონასწორობისაკენ. მაგრამ გარე ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული წარმოების და მოხმარების კოეფიციენტების (ნორმების) ცვლილებები განაპირობებენ სისტემის პერმანენტულ გადახრას წონასწორობიდან, რადგან გარემო კაუზალურად ზემოქმედებს წარმოების და მოხმარების პროცესებზე. ანუ ეკოომიკური სისტემა ფუნქციონალურად ჩაკეტილია, მაგრამ კაუზალურად გახსნილია, რაც განაპირობებს მის მრავალ სპეციფიკურ თავისებურებას. ყველა ზემოხსენებული პარამეტრი არის ერთმანეთზე დამოკიდებული. შესაბამისად, წარმოება, მოხმარება, გაცვლა და განაწილება ორგანულად არიან ურთიერთდაკავშირებულნი ერთიანი სისტემის ფარგლებში;

3. მოცემული პირობების თანახმად მთლიანი მოგება უდრის მთლიან ვალად მოხმარებას (P = Q), ხოლო მთლიანი დაზოგვა - მთლიან ინვესტიციებს (S = I). წონასწორობის პირობებში მწარმოებლების შემოსავლებიდან სახსრების გადინება, ამოღებული მოგების P სახით, უნდა იქნეს კომპენსირებული სახსრების შემოდინებით კრედიტების სახით საწარმოო ინვესტიციებისთვის

I. ხოლო მომხმარებელთა შემოსავლებიდან სახსრების გადინება დანაზოგების სახით S, უნდა იქნეს კომპენსირებული სახსრების შემოდინებით ვალად მოხმარების დაფინანსებისთვის Q. ანუ, რესურსების ბაზარზე მოთხოვნის სათანადო დონეზე შენარჩუ-ნების პირობას წარმოადგენს P = I, ხოლო პროდუქტების ბაზარზე ასეთ პირობას წარმოადგენს S = Q. წინააღმდეგ შემთხვევაში წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დაირღვევა როგორც რესურსების, ისე პროდუქტების ბაზარზე. მაგრამ ის, რაც დანაზოგების S სახით გაედინება მე-4 სექტორიდან, წონასწორობის პირობებში, უნდა უდრიდეს იმას, რაც, ფულის ბაზრის გავლით, შემოედინება 1 სექტორში ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების I სახით. ხოლო ის, რაც ამოღებული მოგების P სახით გაედინება 1 სექტორიდან, უნდა უდრიდეს იმას, რაც მე-4 სექტორში შემოედი-ნება ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების Q (ვალად მოხმარების) სახით. ეს ასახულია მოდელში, რომლის თანახმადაც საწარმოო ინვესტიციები (ინვესტიციები ფიზიკურ კაპიტალში) I და მთლი-ანი დანაზოგები S შეესაბამებიან მე-2 სექტორის დიაგონალის ერთი და იგივე ელემენტს. ამიტომ, წონასწორობის პირობებში I = S. ანალოგიურად, ინვესტიციები ადამიანურ კაპი-ტალში Q (ვალად მოხმარება) და მთლიანი მოგება P შეესაბამებიან მე-3 სექტორის დიაგონალის ერთი და იგივე ელემენტს. ამიტომ P = Q.

წონასწორობის პირობას წარმოედგენს ტოლობა P = S = I = Q . ამრიგად, ადგილი უნდა ჰქონდეს ტოლობას $\alpha_0 = \beta_0 = r_0$, სადაც α_0, β_0, და r_0 , შესაბამისად, არის მოგების, დაზოგვის და საპროცენტო განაკვეთის საშუალო ნორმები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყველა დანარჩენი ფულად-სასაქონლო ნაკადისგან განსხვა-ვებით P -ის და S -ის ტრანსფორმირება Q -ში და I -ში ხდება არა საქონლის ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე, არამედ საკრედიტო ურთიერთობების საფუძველზე, სადაც საპროცენტი განაკვეთი r_0 ასრულებს დაბალანსების ფუნქციას.

წონასწორობის პირობების დარღვევა სისტემაში არღვევს შესაბამისობას სტრიქონების და მათი შესაბამისი სვეტების ელემენტების ჯამებს შორის. ეს იწვევს დიაგონალის ელემენტების გაორებას, რომლებიც (ელემენტები) ერთმანეთს უტოლებენ შესაბამისი სტრიქონების და სვეტების ელემენტების ჯამებს. იბადება სხვაობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, მოთხოვნასა და მიწოდებას, ხარჯებსა და სარგებლიანობას, საწარმოო და სამომხმარებლო ღირებულებებს შორის. იბადება დეფიციტური და ჭარბი საქონელი. სხვადასხვა ბაზრებზე გაჩნდება ან გაუყიდავი საქონელი, ან დაუსაქონლებელი ფული. ერთნი მიიღებენ დამატებით მოგებას სხვათა დაზარალების ხარჯზე. ეს ბადებს ეკონომიკურ სტიმულებს, რომლებიც მიმართულია შესაბამისი საქონლის ბაზარზე წონასწორობის აღდგენისაკენ. ამასთანავე, რომელიმე ერთ წყვილ სტრიქონსა და სვეტს შორის ბალანსის დარღვევა გარდუვალად ბადებს დისბალანსს სხვა სტრიქონებსა და სვეტებს შორის. საერთო ეკომონიკური წონასწორობა ვერ იქნება მიღწეული იქამდე, სანამ არ იქნება მიღწეული ტოლობა $P = S = I = Q$, რომელიც ნიშნავს, რომ $\alpha_0 = \beta_0 = r_0$.

ოპტიმალურობის მისაღწევად საჭიროა ეკონომიკური სტიმულები. ასეთ სტიმულებს წარმოადგენს მოგების და დანაზოგების მაქსიმიზაციის მოთხოვნილება. ამ სტიმულების თანახმად: *მწარმოებლები* ისწრაფვიან: ა) თავის შემოსავლების და, ესეიგი, მომხმარებელთა ხარჯების მაქსიმიზაციისკენ; და ბ) თავისი ხარჯების და, ესეიგი, მომხმარებელთა შემოსავლების მინიმიზაციისკენ. ზუსტატ საპირისპირო ინტერესები აქვთ *მოხმარებლებს.* ისინი ისწრაფვიან: ა) თავის შემოსავლების და, ესეიგი, მწარმოებელთა ხარჯების მაქსიმიზაციისკენ; და ბ) თავისი ხარჯების და, ესეიგი, მწარმოებელთა შემოსავლების მინიმიზაციისკენ.

ამრიგად, მოგების და დაზოგვის მაქსიმიზაციისაკენ სწრაფვის წყალობით ეკონომიკური სუბიექტები ახდენენ ეკონომიკის ოპტიმიზაციას, რადგან აღწევენ იმ წერტილებს (“saddle points”),

რომელშიც ერთი მხარის *minimax*-ი უდრის მეორე მხარის *maximin* -ს. ამასთანავე, $P_{max} = S_{max} = I_{max} = Q_{max}$, ხოლო $y_j = y_{max}$. ანუ პრობლემა დაიყვანება არაწრფიული ოპტიმიზაციის პროცესზე. ოპტიმალურ მდგომარეობაში მთლიანი მოგების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ მთლიანი დაზოგვის შემცირების ხარჯზე, ხოლო მთლიანი დაზოგვის გაზრდა - მთლიანი მოგების შემცირების ხარჯზე. ისინი შესაძლებელია იყვნენ მაქსიმალური მხოლოდ ერთდროულად და მხოლოდ მათი ტოლობის შემთხვევაში. ასევე, რომელიმე საქონლის წარმოების ზრდა შესაძლებელია მხოლოდ სხვა საქონლის წარმოების შემცირების ხარჯზე და ა.შ. ეს არის *პარეტო ოპტიმალური მდგომარეობა,* რომელიც მიიღწევა მხოლოდ საერთო წონასწორობის პირობებში. ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული პროდუქტის NP და ეროვნული შემოსავლის NI მაქსიმალური მოცულობა. საყურადღებოა ისიც, რომ წარმოდგენილ მოდელში მაკროეკონომიკური პარამეტრები ფორმირდება უშუალოდ მიკროეკონომიკური პროცესების საფუძველზე, ანუ, ადგილი არა აქვს წყვეტას მიკრო და მაკრო პროცესებს შორის. სისტემას გააჩნია უსასრულოდ ბევრი ამოხსნა. ანუ, წონასწორული მდგომარეობა შეიძლება იყოს უსასრულოდ ბევრი, სხვადასხვა ტექნოლოგიური და სამომხმარებლო კოეფიციენტების პირობებში, რომლებზეც გავლენას ახდენენ გარე ფაქტორები;

4. წარმოდგენილი მოდელის საფუძველზე მოკლე- და საშუალოვადიანი ეკონომიკური ციკლების რყევები შეიძლება იქნეს ინტერპრეტირებული შემდეგნაირად. (იხ. ნახ. 2) წონასწორობის პირობებში, როგორც ერთ, ისე მეორე რეზერვუარში (რესურსების და პროდუქტების ბაზრები) გამავალი წყლის (ფულის) ნაკადები და რეზერვუარებში შექმნილი წნევები (ფასების დონეები) ერთმანეთის ტოლია, რადგან მათგან გამომავალი ნაკადები (**P** და **S**) აბალანსებენ ერთმანეთს ისევე, როგორც შემავალი ნაკადები (**I** და **D**). ასეთ პირობებში რესურსებს და

პროდუქტებს გააჩნიათ ოპტიმალური ფასები. ასეთი ფასების პირობებში მეწარმეები ღებულობენ ნორმალურ მოგებას, რომელ-საც ისინი მიიჩნევენ გაწეული სამეწარმეო რისკის ადეკვატურ ანაზღაურებად. მესაკუთრეები ქმნიან ნორმალურ დანაზოგებს, რომელიც აკმაყოფილებს მათ, როგორც მათი მომჭირნეობის საფასური.



ნახ. 2.2. ფულადი ნაკადების წრებრუნვის სქემა „სიმეტრიული მოდელის“ თანახმად.

ექსპანსიის ფაზაში ეკონომიკაში იზრდება შემოსავლების და ხარჯების ნაკადები. ამასთან, ჯ. კეინზის ფსიქოლოგიური კანონის მოქმედების შედეგად, დაზოგვისადმი მომხმარებელთა ზღვრული მიდრეკილება იზრდება, ხოლო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება - მცირდება. ამის გამო, ყველა ფულად-სასაქონლო ნაკადების საერთო ზრდის ფონზე, მოხმარების სექტორში იზრდება **S**-ს წილი და მცირდება **C**-ს წილი. მეორე მხრივ, ოპტიმისტური განწყობილებების ფორმირების შედეგად, რისკი-სადმი მწარმოებელთა ზღვრული მიდრეკილება იზრდება. ამის შედეგად, წარმოების სექტორში ადგილი აქვს საპირისპირო პროცესებს. იზრდება წარმოების (და საწარმოო დანიშნულების მოხმარების) ზრდისადმი ზღვრული მიდრეკილება და მცირდება საწარმოო ბრუნვიდან მოგების ამოღებისადმი ზღვრული

მიდრეკილება. შესაბამისად, ფულის საერთო ნაკადში **P**-ს წილი მცირდება, ხოლო **Y** -ს წილი იზრდება.

ნაკადების ასეთი გადანაწილების შედეგად „მონეტარული წნევა“ მცირდება ზედა რეზერვუარში (პროდუქტების ბაზარზე) და იზრდება ქვედა რეზერვუარში (რესურსების ბაზარზე). შესაბამისად, პროდუქტების ფარდობითი ფასები იწყებენ შემცირებას, ხოლო რესურსების ფარდობითი ფასები - ზრდას. მაგრამ ასეთი ცვლილებები ფასების სისტემაში ახდენს ეკონომიკური ციკლის ფაზის შეცვლის პროვოცირებას. იწყება რეცესია. მოგების ნორმა მცირდება, რაც იწვევს რისკისადმი მიდრეკილების შემცირებას. ამის შედეგად მცირდება წარმოება, მომხმარებელთა შემოსავლები, დაზოგვისადმი მათი მიდრეკილება და ა.შ. ანუ იბადება საწინააღმდეგო ტენდენცია: **S**-ს და **Y**-ს წილები მცირდება, ხოლო **P**-ს და **C**-ს წილები იზრდება. ეს იწვევს ნაკადების გადახალისებას, „მონეტარული წნევების“ თანაფარდობა პროდუქტების და რესურსების ბაზრებზე იცვლება საპირისპირო თანაფარდობაზე. პროდუქტების ფარდობითი ფასები ისევ იწყებენ ზრდას, ხოლო რესურსების ფარდობითი ფასები - შემცირებას. იწყება ეკონომიკის გამოცოცხლება;

5. ეკონომიკური აქტივობის მერყეობის შედეგად, ფულის მასა, რომელიც საჭიროა გარიგებების განსახორციელებლად, ასევე მერყეობს. ექსპანსიის ფაზაში ბრუნვაში დამატებით შეედინება ფულადი რესურსები, ხოლო რეცესიის ფაზაში - ბრუნვიდან გაედინება. ფულადი რესურსების ბრუნვაში შედინება და იქიდან გადინება ხდება ეკონომიკური სუბიექტების ფულადი აქტივების ხარჯზე. და ეს პროცესები უშუალოდ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთზე, ანუ, დამოკიდებულია ფულადი რესურსებით სარგებლობის უფლების ფასზე. რადგან $\boldsymbol{r}_0$-ს სიდიდე გავლენას ახდენს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე და ამით გავლენას ახდენს ისეთ საკვანძო ეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორიც არის $\boldsymbol{\alpha}_0$, $\boldsymbol{\beta}_0$, **P**, **S**, **I** და **D**. მაგრამ მონეტარულ

ეკონომიკაში P და S არიან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები, რომლებიც ქმნიან მიწოდებას ფულის ბაზარზე, ხოლო I და D ქმნიან ფულზე მოთხოვნას. ხოლო მოთხოვნა და მიწოდება ფულის ბაზარზე აყალიბებს საპროცენტო განაკვეთს r_0, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური სისტემა ცდილობს აღადგინოს „ოქროს პროპორცია“ **P** = **S** = **I** = **D** და, შესაბამისად, წონასწორობა და ოპტიმალური თანაფარდობა პროდუქტების და რესურსების ფასებს შორის.

მონეტარული ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ციკლის რყევები არის ერთადერთი მექანიზმი, რომელსაც შესაბამისობაში მოჰყავს α_0, β_0 და r_0 და ამის მეშვეობით ქმნის **P, S, I** და **Q** პარამეტრების დაბალანსების სტიმულებს. მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს მათ ტოლობას, რაც აუცილებელია საერთო წონასწორობის მისაღწევად. იგი მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში აკავებს მათ შორის წარმოქმნილ განსხვავებებს. დეცენტრალიზებული ეკონომიკა წარმოადგენს „უკუკავშირების“ მქონე სისტემას, სადაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირები იკვრება წრეში და ტრანსფორმირდება ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემაში, რომლის წყალობითაც წონასწორობიდან ნებისმიერი გადახრა ბადებს მისი თვითლიკვიდაციისაკენ მიმართულ ძალებს.

ბაზრის სტიქიურობა ვლინდება იმაში, რომ ეკონომიკის უკონტროლო თვითაღგზნება და თვითდამუხრუჭება გრძელდება იმდენ ხანს, სანამ არ იქნება მიღწეული შემობრუნების კრიტიკული წერტილები - საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმუმი და სამომხმარებლო შესაძლებლობების მინიმუმი. ამიტომ, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გარეშე ციკლური რყევების დაძლევა შეუძლებელია. მაგრამ სახელმწიფო რეგულირება უნდა ეფუძნებოდეს არა ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების იდეას, არამედ **P**, **S**, **I** და **D** ნაკადების დაბალანსების პრინციპს;



ნახ. 2.3. ეკონომიკური ნაკადების სქემა რეგულირებადი ეკონომიკის პირობებში, სადაც G - სახელმწიფო ტრანსფერებია, T - გადასახადები.

6. **ინფორმაცია აზროვნებისათვის.** „სიმეტრიული მოდელი“ შექმნილია ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორიების დიალექ-ტიკური ანალიზის საფუძველზე. თვით ის სიმეტრია, რომელიც ახასიათებს ეკონომიკურ პროცესებს და ასახულია ამ მოდელში, განაპირობებს ეკონომიკური სისტემის მთელ რიგ უნიკალურ თვისებებს. „სიმეტრიული სტრუქტურები წარმოადგენენ ასიმპტო-ტიკებს, ეთრექტორებს, თვითორგანიზაციის პროცესების მიზნებს. კერძოდ, დადგენილია, რომ გარემოში შეიძლება განვითარდეს ... სხვადასხვა ტიპის სიმეტრიის მქონე სისტემები. ... . ამასთან, სიმეტრია არის რთული სტრუქტურის მეტასტაბილური თვითშენარჩუნების პირობა, სტრუქტურისა, რომელსაც გააჩნია პროცესების ინტენსიური განვითარების რამდენიმე მაქსიმუმი.“ (Князева, http://lib.icr.su/node/1247). ამ საკითხებს უფრო დეტა-ლურად შევეხებით მომდევნო თავებში.

როგორც ვხედავთ მოდელი ასახავს წრიულ, ანუ ჩაკეტილ პროცესებს და ცირკულარულ ურთიერთკავშირებს სხვადასხვა ეკონომიკურ ფუნქციებს შორის. ეკონომიკაში, ისევე როგორც სხვა (ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, სოციალურ, თუ ლინგვისტურ) რთულ არაწრფიულ სისტემებში, განვითარების პროცესებს სის-ტემა მიჰყავთ შედარებით მდგრადი სტრუქტურის ფორმირებამდე,

რომელსაც ეწოდება *ეთრექტორი.* სწორედ ასეთ სტრუქტურას ასახავს ეკონომიკური სისტემის „სიმეტრიული მოდელი“. არაწრფიული სისტემების მათემატიკური მოდელები მოწმობენ, რომ ღია არაწრფიული სისტემები თავის თავში მალავენ ორგანიზების გარკვეულ ფორმებს. ეს სტრუქტურები (ეთრექტორები) პოტენციურად ჩადებულია ყველა ასეთ სისტემაში და გააჩნიათ უნიკალური არაწრფიული თვისებები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ სისტემის განვითარების ტენდენციებს. „ეთრექტორის“ იდეა ქაოსის თეორიაში გვაგონებს როგორც არსის ცნებას დიალექტიკაში, ასევე ძველი მოაზროვნეების იდეებს პოტენციურისა და გაუმჟღავნებელის შესახებ. კერძოთ იგი ეხმიანება პლატონის წარმოდგენებს იდეათა სამყაროში არსებული პირველნიმუშების და სრულყოფილი ფორმების შესახებ, რომლებთან მიმსგავსებასაც ელტვიან ხილული და არასრულყოფილი სამყაროს ნივთები; ანდა არისტოტელეს წარმოდგენებს ენტელეხიის შესახებ, ანუ მატერიაში ჩამალული იმ შინაგანი ენერგიის შესახებ, რომელიც აიძულებს მას მიიღოს გარკვეული ფორმები.

ამ შეხედულებების უნისონში ჟღერს ნეოავსტრიული სკოლის ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ფრ. ჰაიეკის სიტყვები: „წარმოშობისთანავე ეკონომიკური თეორია დაინტერესებული იყო იმით, თუ როგორ იბადება ადამიანისეული ურთიერთქმედებების გაფართოებული წესრიგი ვარირების მეშვეობით, ცდისა და შეცდომების გზით, რომელიც დიდად აღემატება ჩვენს წარმოდგენებს და დაგეგმვის შესაძლებლობებს. ადამ სმითი იყო პირველი, ვინც გააცნობიერა, რომ ჩვენ ვაწყდებით ადამანთა ეკონომიკური თანამშრომლობის მოწესრიგების მეთოდებს, რომელიც ვერ თავსდება ჩვნი ცოდნის და აღქმის საზღვრებში. შესაძლოა უფრო სწორი იქნება, თუ მის ‘უხილავ ხელს’ განვსაზღვრავდით როგორც უხილავ სტრუქტურას, ანდა სტრუქტურას, რომელიც არ ექვემდებარება უშუალო აღქმას. ჩვენ ვიმართებით გარემოებებით, რომელთაც ჩვენ დიდწილად ვერ

ვაცნობიერებთ და რომელთა შედეგები არ შედიოდა ჩვენს ზრახვებში. ჩვენს ეკონომიკურ მოღვაწეობაში ჩვენ არ ვიცით არც ის მოთხოვნილებები, რომლებსაც ჩვენ ვაკმაყოფილებთ, და არც ჩვენს მიერ მიღებული საგნების წარმომავლობის წყარო. პრაქ-ტიკულად ჩვენ ყველა ვეწევით სამსახურს ადამიანებისთვის, რომელთაც ჩვენ არა თუ არ ვიცნობთ, არამედ მათი არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცით. და ჩვენც ისე ვცხოვრობთ, რომ გამუდმებით ვსარგებლობთ სხვა ადამიანების მომსახურებით, რომელთა შესახებაც არაფერი ვიცით. ყოველივე ეს შესაძლებელი ხდება იმის მეშვეობით, რომ ვემორჩილებით რა ქცევის გარკვეულ წესებს, (რომლებიც ჩვენ არ შეგვიქმნია, და რომლებიც არასოდეს გვესმოდა მსგავსად იმისა, როგორც გვესმის ხოლმე ჩვენს მიერ შექმნილი საგნების), ჩვენ ვერთვებით ინსტიტუტების და ტრადი-ციების გიგანტურ სისტემაში - ეკონომიკის, სამართლის და მორალის, რომლებთანაც ვცდილობთ ადაპტირებას“ (Hayek, 1992,14).

მეცნიერული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეკონომიკურ თეორიაში თითქმის მივიწყებული დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე შექმნილი ეკონომიკური სისტემის მოდელი, მოდელში ასახული პროცესები და მათი ანალიზიდან გამომდინარე დასკვნები, სრულად ეხმიანება მეორე რიგის კიბერნეტიკის ძირითად დებულებებს. ანუ სხვადასხვა მეთოდებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გზებით მიღე-ბული დასკვნები აღმოჩნდა ერთმანეთთან თავსებადი. ეკონომი-კური ფუნქციების წრიულად ორგანიზების საკითხსაც აგრეთვე უფრო დაწვრილებით შევეხებით ქვემოთ. ახლა კი მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი ცირკულარული პროცესების შესახებ მეორე რიგის კიბერნეტიკის ფუძემდებლის ჰაინც ფონ ფიორსტერის შრომიდან „Understanding understanding” (2003):

„როგორც ჩანს კიბერნეტიკა სხვადასხვა ადამიანისთვის ნიშნავს სხვადასხვა რამეს. მაგარამ ეს იმიტომ, რომ მდიდარია მისი კონცეპტუალური ბაზა; და მიმაჩნია რომ ეს კარგია, წინააღმდეგ შემთხვევაში კიბერნეტიკა გახდებოდა მოსაწყენი საქმე. მიუხედავად ამისა, ყველა ეს თვალთახედვა იბადება ერთი ცენტრალური თემიდან; ეს არის წრიულობა. როდესაც, დაახლოვებით ნახევარი საუკუნის წინ, იქნა დანახული ამ კონცეფციის პროდუქტიულობა, ეს იყო მისი გამაერთიანებელი ძალით, მისი შედეგებით და სხვადასხვა სფეროებზე მისი გავლენით გამოწვეული ფილოსოფოსობის, ეპისტომოლოგიური მსჯელობების და თეორეტიზირების აშკარა ეიფორია.“ (Foerster, 2003, 288)

„სიმეტრიული მოდელის“ ფორმულებიდან ჩანს, რომ შიდასისტემური პროცესები ეკონომიკაში ატარებენ რეკურსიულ ხასიათს. კერძოდ, წონასწორული ფასები და წონასწორული რაოდენობები ამ მოდელში წარმოადგენენ ჩაკეტილ სისტემას და დგინდებიან რეკურსიული ოპერაციებით. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ჰ. ფონ ფიორსტერის მოსაზრება. ზემოხსენებულ წიგნში მას მოჰყავს შემდეგი განტოლებები:

$$x' = D(x, u), \text{ და } u' = S(u, x),$$

$$x_{t+1} = D(x_t, u), \text{ და } u_{t+1} = S(u_t, x)$$

და შემდეგ წერს:

„ის, ვინც დაინტერესებული იყო ქაოსის თეორიით და რეკურსიული ფუნქციებით ადვილად იცნობს, რომ ეს არის რეკურსიული ფუნქციების თეორიის ძირითადი განტოლებები. ეს არის კონცეპტუალური მექანიზმები, რომლითაც წარიმართება კვლევები ქაოსის თეორიაში; ეს ყოველთვის ერთი და იგივე განტოლებებია, რომლებიც მეორდება კიდევ და კიდევ. და ისინი ბადებენ სრულიად საოცარ, არაპროგნოზირებადი ქცევის თვისებებს. რეტროსპექტულად თუ შევხედავთ, ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე შემჩნეული იქნა კონვერგენცია სტაბილურ მნიშვნელობებთან. მაგალითი: თუ თქვენ რეკურსიულად აიღებთ კვადრატულ ფესვს ნებისმიერი საწყისი მნიშვნელობიდან (კალკულატორების უმრავლესობას აქვს კვადრატული ფესვის ღილაკი), მაშინ თქვენ ძალიან მალე მიხვალთ სტაბილურ მნიშვნელობამდე 1,0000 ... . არ არის გასაკვირი, რომ ფესვი 1-დან

არის 1. საუკუნეების მიჯნაზე მათემატიკოსებმა ასეთ მნიშვნელობებს უწოდეს შესაბამისი ფუნქციების „საკუთრივი მნიშვნელობები“ (“Eigen values”). ფესვის ამოღების ოპერაციას გააჩნია „საკუთრივი მნიშვნელობები 1 და აგრეთვე 0, რადგან ნებისმიერი ფესვი 0-დან აროს 0. არსებითი განსხვავება ამ ორ „საკუთრივ მნიშვნელობას“ შორის არის ის, რომ 1-დან ნებისნიერი გადახრის შემთხვევაში რეკურსიას სისტემა მიჰყავს ისევ 1-მდე, მაშინ როდესაც 0-დან უმცირესი გადახრის შემთხვევაშიც კი სისტემა სცილდება ნულს და მიემართება სტაბილური საკუთრივი მნიშვნელობისკენ „ერთისკენ“.” (Foerster, 2003, 315)

„სიმეტრიულ მოდელში“ ასეთ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ (“Eigen values”) წარმოადგენენ საქონლის წონასწორული ფასები და რაოდენობები, რომლის ირგვლივაც მერყეობენ ფაქტიური ფასები და რაოდენობები. „საკუთრივ მნიშვნელობებს“ მათემატიკოსები აგრეთვე უწოდებენ „უძრავ წერტილებს“ (fixed points). ეკონომიკური მოდელების მათემატიკურ ანალიზში აქტიურად გამოიყენება ბრაუერის და კაკუტანის თეორემები უძრავი წერტილების შესახებ. მაგალითად, კაკუტანის თეორემა გამოყენებულია ეროუ-დებრეს მოდელში ეკონომიკური წონასწორობის არსებობის შესახებ თეორემის დამტკიცებისას, ასევე, თამაშების თეორიაში ე.წ. არაკოოპერაციული წონასწორობის, ანუ, ნეშის წონასწორობის მოდელში. როგორც წესი ასეთ მოდელებში უძრავი წერტილები ასახავენ წონასწორულ ფასებს.

„დაახლოვებით 20 წლის წინ მოხდა რეკურსიული ოპერაციებისადმი განახლებული ინტერესის მკვეთრი ზრდა, და როგორც აღმოჩნდა, მრავალ ფუნქციას გააჩნია არა მარტო სტაბილური მნიშვნელობები, არამედ აგრეთვე სტაბილური დინამიკა. ამ სტაბილურობას უწოდეს „ეთრექტორები“, ალბათ როგორც ტელეოლოგიური აზროვნების დანატოვარი. თუ რაიმე სისტემებს მივცემთ საშუალებას განახორციელონ სრულიად განსხვავებული საკუთარი ქცევები მათ პარამეტრებში მარტივი ცვლილებების შეტანით, მაშინ მალევე წავაწყდებით უაღრესად საინტერესო ქცევას, რომელიც იწყება პარამეტრების გარკვეული მნიშვნე-

ლობებიდან: სისტემა გაივლის რიგ მნიშვნელობებს ისე, რომ არასოდეს გაიმეორებს მათ. და ვინმეს რომც ეგონოს, რომ მათგან ერთ-ერთი მნიშვნელობა აღებულია როგორც საწყისი მნიშვნელობა, მნიშვნელობების თანმიმდევრობა მაინც ვერ იქნება გამეორებული: სისტემა ქაოტურია. .... მაგრამ გაითვალისწინეთ აგრეთვე ის, რომ, მართალია, შესაძლებელია მოცემული ოპერაციებიდან დავასკვნათ როგორი იქნება მათი საკუთრივი ქცევა, მაგრამ არ შეგვიძლია სტაბილური ქცევის, საკუთრივი ქცევის საფუძველზე უკუდასკვნების გაკეთება იმის შესახებ თუ რომელი ოპერაციები ქმნიან მას. მაგალითად, „ერთი“ არის საკუთრივი მნიშვნელობა უამრავი ოპერაციისთვის. ამრიგად რეკურსიული საკუთრივი მნიშვნელობიდან „1“-დან იმ დასკვნის გამოტანა, რომ მისი წარმომქმნელი ოპერაცია არის კვადრატული ფესვის ამოღება, არის მცდარი, იმიტომ რომ მეოთხე, მეათე, მესამე ფესვის ამოღებაც, თუ რეკურსიულად განვახორციელებთ მათ, მოგვცემს იგივე საკუთრივი მნიშვნელობას „1“-ს. გამოდგება ეს მაგალითი მეტაფორად ბუნებრივი პროცესების რეკურსიულობისათვის, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ „ბუნების კანონებს“ ... ? მე ვიტყოდი „კი“ ... .“ (Foerster, 2003,316)

„საკუთრივი ქცევა“, რომლის შესახებაც წერს ჰ. ფიორსტერი, ეკონომიკური სისტემის ფარგლებში შეესატყვისება ციკლურ რყევებს წონასწორული მდგომარეობის ირგვლივ. რადგან ეს რყევები გამოწვეულია თვითონ სისტემის მიერ, შიდასისტემური, ანუ ენდოგენური ფაქტორებით, ხოლო გარემოს მხოლოდ შეაქვს კორექტივები ამ რყევების დინამიკაში, მისი ფაზების ხანგრძლიობაში და მისი ტალღების ამპლიტუდაში. მაგრამ გარემოდან წამოსული იმპულსები არ წარმოადგენენ რყევების უშუალო მიზესს.

„ ... ამ რეკურსიული ჩაკეტილობის მეშვეობით და მხოლოდ ამ რეკურსიული ჩაკეტილობის მეშვეობით იბადება მდგრადობა, რომელიც ვერასდოს იქნება აღმოჩენილი „input/output“-ის ანალიზის საფუძველზე. და ყველაზე მომხიბვლელია ის, რომ, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამ მდგრადობაზე დაკვირვება, პრინციპულად შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ბადებს ამ მდგრადობას. შეუძლებელია იმის ანალიტიკურად განსაზღვრა, თუ როგორ მუშაობს ეს სისტემა, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ იგი

მუშაობს ისე, რომ გვაძლევს პროგნოზირების საშუალებას.“ (Foerster, 2003, 317)

„სიმეტრიული მოდელის“ ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სისტემა ისწრაფვის წონასწორობისაკენ თავისი შინაგანი ბუნების თანახმად. მაგრამ ის, თუ კონკრეტულად რა გზით იქნება მიღწეული წონასწორობა, კონკრეტულად რომელი პროცესები წარმოშობს მას ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან ერთი და იგივე წონასწორობა შეიძლება იქნეს მიღებული უამრავი გზით. ანუ, ჩვენ ვიცით საბოლოო მდგომარეობა, საითკენაც შინაგანი ბუნების წაყალობით გარდუვალად ისწარფვის ეკონომიკური სისტემა, მაგრამ პრინციპულად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი ტრაექტორიით იმოძრავებს იგი თავისი იმანენტური მიზნისაკენ.

როგორც ვხედავთ, საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმი აღმოჩნდა საკმაოდ მარტივი. ეს არის რეკურსიული ოპერაციები ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემაში. მაგრამ ამ გარემოების დაფიქსირება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ეკონომიკა იქნა წარმოდგენილი როგორც ეკონომიკური პროცესების ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა. ამის გაკეთება კი შესაძლებელი გახდა ეკონომიკური პროცესების დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს კვლევის დიალექტიკური მეთოდის მნიშვნელობას იმისათვის, რომ გავერკვეთ თუ რეალურად როგორ ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული ეკონომიკა.

თავი 3. ეკონომიკური ციკლები

3.1. ენდოგენური ეკონომიკური ციკლი

1. საბაზრო ეკონომიკას, ისევე როგორც ყველა რთულ არაწრფიულ სისტემას, გააჩნია განვითარების ციკლური ხასიათი. ეკონომიკური თეორია დღემდე ვერ იძლევა სისტემის ასეთი ქცევის მიზეზების ერთმნიშვნელოვან ახსნას. დღმდე ღიად რჩება საკითხი ასეთი ციკლების ენდოგენური თუ ეგზოგენური ბუნების შესახებ.[101] ამასთან, სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ იმას, რომ როგორც წესი, როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური რთული სისტემები, ექვემდებარებიან გომეოსტაზის პრინციპებს, რაც სავარაუდოდ მიუთითებს ეკონომიური ციკლების და, შესაბამისად, პერიოდული კრიზისების ენდოგენურ ხასიათზე. მაგრამ, თუ მთავრობა არ ითვალისწინებს ეკონომიკის, როგორც რთული სისტემის, ფუნქციონირების სპეციფიკას, მაშინ არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია არა მარტო ხელი შეუწყოს პერიოდული კრიზისების გამწვავებას, არამედ თვითონაც მოახდინოს კრიზისის პროვოცირება. ეს უკვე იქნება ეგზოგენური კრიზისი. კრიზისების მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე სხვა ეგზოგენური ფაქტორებიც

[101] „საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიის და, შესაბამისად, მოდელების სერიოზული ნაკლია ის, რომ ... ისინი ახდენენ ეკონომიკური განვითარების ციკლური ხასიათის იგნორირებას ... . რეალური ეკონომიკური ციკლების მოდელებშიც კი ეკონომიკური რყევების წყაროდ მიჩნეულია ეგზოგენური შოკები. მაგრამ ახლანდელი კრიზისის შემდეგ ციკლის ბუნების შესახებ პრობლემები ... კვლავ გადმოვიდნენ წინა პლანზე. ამიტომ თეორიები და მოდელები, რომლებიც ადეკვატურად ასახავენ ეკონომიკურ დინამიკას წარმოების არსებული წესის პირობებში, უნდა შეიცავდნენ ციკლის ენდოგენურ ფაქტორებს“ (Плущевская, 2012, с. 32).

- სოციალური კატაკლიზმები, სტიქიური უბედურებები და სხვ. ენდოგენურ და ეგზოგენურ კრიზისებს გააჩნიათ ფორმირების რამდენადმე განსხვავებული მექანიზმები.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ეკონომიკის, როგორც რთული არაწრფიული სისტემის, ელემენტებს წარმოადგენენ ეკონომიკური მოქმედებები, რომელსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი კერძო სუბიექტები (ინდივიდები, საოჯახო მეურნეობები, ფირმები) და სახელმწიფო.[102] თავისი ეკონომიკური ინტერესების რეალიზებას სუბიექტები ახდენენ მიზანშეწონილი ეკონომიკური მოღვაწეობის საფუძველზე. იმისათვის რომ გავარკვიოთ ენდოგენური ეკონომიკური ციკლის მიზეზები, ჩვენ უნდა მოვახდინოთ აბსტრაჰირება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე მიზანმიმართული ზემოქმედებისაგან. რადგან მაკროდონეზე სახელმწიფო რეგულირებას შემოაქვს გონებისა და ნების (შესაბამისად, ცენტრალიზებული რეგულირების) ელემენტები საბაზრო ეკონომიკის სტიქიური თვითრეგულირების მექანიზმებში, ამიტომ ასეთი აბსტრაჰირების გარეშე შეუძლებელია ამ მექანიზმის შესწავლა წმინდა ფორმით, არსის დონეზე. ამიტომ ეს პროცესი განვიხილოთ წმინდა სახით და ვიგულისხმოთ, რომ საბაზრო სისტემის სუბიექტებს წარმოადგენენ მხოლოდ კერძო სუბიექტები.

2. ეკონომიკის აღმასვლა და ვარდნა წარმოადგენს ეკონომიკაში თვითაღგზნების და თვითდამუხრუჭების პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ შემობრუნების (მწვერვალის და

---

[102] ამასთან, სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებს წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები. იმისათვის, რომ სახელმწიფოს შეეძლოს საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების რეალიზება მიზანშეწონილი მოღვაწეობის მეშვეობით, მან უნდა იცოდეს, თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო თვითრეგულირების სისტემა. სახელმწიფოს არ შეუძლია თავს მოახვიოს მას განვითარების ნებისმიერი მიზნები და გზები. სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს სისტემის განვითარებას ერთ-ერთის მიხედვით იმ ალტერნატიული ტრაექტორიებიდან, რომელებიც იმთავითვე განსაზღვრულია ამ სისტემის იმანენტური ბუნებით.

ფსკერის) წერტილებს შირის. წარმოების გაფართოვება ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ხოლო შემოსავლების ზრდა – წარმოების გაფართოვებას. ვარდნის დროს, პირიქით, წარმოების შემცირება იწვევს შემოსავლების შემცირებას, ხოლო შემოსავლების შემცირება – წარმოების შემცირებას. ექსპანსია და რეცესია თვითონ კვებავენ საკუთარ თავს, და აძლიერებენ თავიანთ თავს იქამდე, სანამ არ მიაღწევენ ზღვრულ წერტილებს. ამიტომ საჭიროა გავიგოთ, თუ რა ხდება ეკონომიკური ციკლის ამ ექსტრემალურ წერტილებში. მოკლედ შეიძლება ითქვას ასე: ციკლის ზედა ზღვარი განპირობებულია იმით, რომ საზოგადოებას არ შეუძლია მეტის წარმოება, ხოლო ქვედა ზღვარი – იმით, რომ საზოგადოებას არ სურს ნაკლების მოხმარება. ეკონომიკური ციკლის შემობრუ-ნების წერტილებში პროდუქტების და რესურსების ფასებს შორის შეფარდების ცვლილება იწვევს წარმოებისადმი მიდრეკილების და მოხმარებისადმი მიდრეკილების ცვლილებებს. ქანქარას მსგავსად საბაზრო ეკონომიკა ინერციით მოძრაობს ორ უკიდურესობას შორის და არ შეუძლია გაჩერება წონასწორობის წერტილში;

3. მონეტარულ ეკონომიკაში საქონლის გაცვლა გაშუალე-ბულია საქონლის ფულზე გაცვლით. საქონელი იცვლება ფულზე და ფული – ისევ საქონელზე. ასეთ პირობებში ნომინალური ფასების ცვლილებები იწვევს რეალური (ფარდობითი) ფასების ცვლილებებს. პროდუქტის ნომინალური ფასი შეიცავს *მოგებას,* ხოლო რესურსის ნომინალური ფასი – *დანაზოგს.* რადგან საქო-ნლის გაცვლა ხდება ფორმულის მიხედვით $q_1p_1 = q_2p_2$ (სადაც q არის საქონლის რაოდენობა, ხოლო p - ფასი), ამიტომ ადგილი აქვს შემდეგ განტოლებას: $q_1/q_2 = p_2/p_1$. ანუ, ფარდობითი ფასის (q_1/q_2) ცვლილებები ნომინალური ფასების (p_1 და p_2) თანაფარდობის ცვლილების უკუპროპორციულია და ამიტომ აგრეთვე უკუპრო-პორციულია მოგების და დაზოგვის ნორმების ცვლილებებისადმი, რადგან ნომინალური ფასები დამოკიდებულნი არიან ამ ნორ-მებზე.

ეს გარემოება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ფასწარმოქმნის პროცესში მოგება და დანაზოგი (როგორც *ნარჩენი სიდიდეები*) წარმოადგენენ ფასების ყველაზე უფრო ცვალებად კომპონენტებს. ამიტომ, ფასების ცვლილებები უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მათ ცვლილებებზე. შესაბამისად, გასაცვლელ საქონელში მოგების და დაზოგვის ნორმების ცვლილებები ცვლიან ფარდობით ფასებს ანუ საქონლის გაცვლის რეალურ პროპორციებს. მაგრამ ეკონომიკური აგენტები რეაგირებენ სწორედ ფარდობით ფასებზე, ხოლო ნომინალური ფასები არის მხოლოდ "ფულის ვუალი", რომლის უკანაც იმალება მხოლოდ ფარდობითი ფასები. ეს ნიშნავს, რომ იდეალურ შემთხვევაში ყველა პროდუქტის და რესურსის ოპტიმალური ფასები უნდა შეიცავდნენ მოგების და დაზოგვის ერთნაირ ნორმებს. შესაბამისად, მთლიანად ეკონომიკაში მოგების და დაზოგვის საშუალო ნორმები აგრეთვე უნდა უტოლდებოდნენ ერთმანეთს. თუ წარმოების სექტორში მთლიანი მოგება მეტია ან ნაკლებია მთლიან დანაზოგებთან შედარებით მოხმარების სექტორში, ეს უკვე ნიშნავს მაკროეკონომიკურ დისბალანსს საზოგადოებრივ წარმოებასა და მოხმარებას შორის. ეს უკვე არის ის, რაც ბადებს ეკონომიკურ ციკლებს;

4. წარმოების ზრდა ხელს უწყობს პროდუქტებზე ფარდობითი ფასების შემცირებას, ხოლო რესურსებზე – ფარდობითი ფასების ზრდას.[103] წარმოების შემცირება, პირიქით, ხელს უწყობს პროდუქტებზე ფარდობითი ფასების ზრდას და რესურსებზე – შემცირებას. ეს ნიშნავს, რომ წარმოების ზრდა ხელს უწყობს მოგების ნორმის შემცირებას, ხოლო წარმოების შემცირება –

[103] სანამ ბაზარი იზრდება, მწარმოებლები ცდილობენ დაიპყრონ ბაზრები და მოგება გაზარდონ პირველ რიგში წარმოების მოცულობის ზრდის ხარჯზე, და არა ფასების ზრდის ხარჯზე. ანუ, კონკურენცია აიძულებს მათ შეამცირონ პროდუქტების ფარდობითი ფასები და გაზარდონ წარმოების მოცულობა. მოცულობის ზრდის და ფასების შემცირების ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს რისკის ზრდას მოგების ნორმის შემცირების ფონზე.

მოგების ნორმის ზრდას.[104] საპირისპიროდ რეაგირებს ფარდობითი ფასების ცვლილებებზე დაზოგვის ნორმა. პროდუქტებზე და რესურსებზე ფარდობითი ფასების ცვლილებები ერთდროულად და საპირისპირო მიმართულებით ზემოქმედებენ მაკროდონეზე მთლიანი მოგების და მთლიანი დაზოგვის საშუალო ნორმებზე. ერთი მათგანის ზრდა გულისხმობს მეორის შემცირებას. ერთი შეუძლებელია მეორის გარეშე.

მოგების და დაზოგვის ნორმებზე ასეთი ზემოქმედების მეშვეობით ფარდობითი ფასების ცვლილებები *დარგების დონეზე* განაპირობებენ პროდუქტების წარმოების და რესურსების მოხმარების გადანაწილებას დარგებს შორის. ანუ, ხდება ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაცია. მაგრამ იგივე პროცესი *მაკროეკონომიკურ დონეზე* განაპირობებს ენდოგენური ეკონომიკური ციკლის რყევებს, რომლის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკური აქტივობის დონის თვითრეგულირება.

როდესაც რესურსები ამოიწურება და ეკონომიკას აღარ შეუძლია ამა თუ იმ დარგის მეტად გაფართოვება რომელიმე სხვა დარგის შემცირების გარეშე, იწყება რესურსებზე ფარდობითი ფასების აჩქარებული ზრდა. ამასთანავე, მოთხოვმილებების გაჯერების პირობებში, პროდუქტების (განსაკუთრებით კაპიტალური დოვლათის) ფარდობითი ფასები მცირდება. მოგების და დაზოგვის ნორმების გადახრები სხვადასხვა დარგებში ვეღარ აკომპენსირებენ ერთმანეთს. ანუ, უკვე წარმოების სექტორის ყველა დარგში ადგილი აქვს მოგების ნორმის შემცირების საერთო ტენდენციას, ხოლო მოხმარების სექტიროს ყველა დარგში – დაზოგვის ნორმის ზრდის ტენდენციას.

---

[104] ანუ, ექსპანსიის დროს მწარმოებელთა მოგება იზრდება ძირითადად რეალი-ზაციის მოცულობის ზრდის ხარჯზე, და არა მოგების ნორმის ზრდის ხარჯზე. ხოლო რეცესიის დროს მოგება მცირდება ასევე ძირითადად რეალიზაციის მოცულობის, და არა მოგების ნორმის შემცირების ხარჯზე.

ეკონომიკური ციკლის პიკზე წარმოებისადმი საშუალო მიდრეკილება აღწევს მაქსიმუმს, ჩერდება მისი ზრდა. ხოლო მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილაბა აღწევს მინიმუმს, ჩერდება მისი შემცირება. ამ ექსტრემალურ წერტილში წარმოების და დაზოგვის ზღვრული მიდრეკილებები უდრის ნულს. სწორედ ეს არის პიკი, როდესაც მწარმოებლებს არ სურთ წარმოების შემდგომი ზრდა, და ესე იგი, არც მომხმარებლებს შეუძლიათ მოხმარების ზრდა, და არც სურთ მისი ზრდა, რადგან მოთხოვნილებები გაჯერებულია.

ვარდნის დროს ხდება სარკისებურად საპირისპირო პროცესები. წარმოების ტოტალური შემცირების პირობებში იწყება რესურსებზე ფასების (მომხმარებელთა შემოსავლების) აჩქარებული ვარდნა. ამასთან, რადგან ძლიერი და ხანგრძლივი ვარდნის შემდეგ საზოგადოებას აღარ სურს უფრო მეტად შეზღუდოს აუცილებელი პროდუქტების მოხმარება, ამიტომ ფასების საერთო დონის ვარდნის ფონზე იზრდება ფარდობითი ფასები აუცილებელ პროდუქტებზე. ასე რომ ეკონომიკური ციკლის ფსკერზე, აუცილებელი პროდუქტების მწარმოებელ დარგებში იზრდება მოგების ნორმა. ეკონომიკის საერთო სტაგნაციის ფონზე ეს დარგები იწყებენ ზრდას. სწორედ ეს არის ფსკერი, ეკონომიკური ციკლის შემობრუნების წერტილი, როდესაც მომხმარებლებს არ სურთ მოხმარების უფრო მეტად შემცირება, და ესე იგი, მწარმოებლებსაც ეძლევათ საშუალება შეაჩერონ წარმოების ვარდნა და თანდათან დაიწყონ მისი ზრდა. წარმოების საშუალო მიდრეკილება აღწევს მინიმუმს და იწყებს ზრდას. ფსკერზე, ისევე როგორც პიკზე, წარმოებისადმი და მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებები ნულის ტოლია;

5. ეკონომიკური ციკლის პიკზე, დარგებს შორის რესურსების გადანაწილებაზე კონკურენციის გამწვავების შედეგად, ფასები მათზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე პროდუქტებზე. მოგება მცირდება იმდენად, რომ ვეღარ ფარავს რისკს, რომელიც იზრდება

პროდუქციის რეალიზაციის გაზრდილი სირთულის გამო.[105] მოგების ნორმის შემცირების პირობებში ეს ნიშნავს, რომ მცირდება სამეწარმეო რისკის ანაზღაურება, რადგან მოგება არის ანაზღაურება მეწარმის მიერ რისკის საკუთარ თავზე აღებისთვის, ხოლო მოგების ნორმა არის ამ ძალისხმევის, როგორც სამეწარმეო რესურსის, ფასი. ეკონომიკური ვარდნის და მოგების ნორმის ზრდის პირობებში რისკის ფასი, პირიქით, იზრდება.

მეორე მხრივ, პიკზე, მომხმარებელთა მაღალი შემოსავლების პირობებში მათი მოთხოვნილებები მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულია. ამიტომ მომჭირნეობა და თავშეკავება ასეთ პერობებში გულისხმობს უარის თქმას ზედმეტ ფუფუნებაზე. ეს კი მომხმარებლისაგან მოითხოვს ნაკლებ სუბიექტურ ძალისხმევას, ვიდრე თავშეკავება სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებისაგან. მით უმეტეს, რომ ფუფუნების საგნების ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე აუცილებელი პროდუქტების ფასი. პიკზე, დაზოგვის მაღალი ნორმის პირობებში ყოველივე ეს ნიშნავს, რომ თავშეკავებასთან დაკავშირებული ძალისხმევისათვის ანაზღაურება იზრდება, რადგან დაზოგვის ნორმა არის თავშეკავების ფასი. ეკონომიკური ვარდნის და დაბალი შემოსავლების პირობებში ყველაფერი ხდება პიროქით და თავშეკავების ფასი მცირდება, რადგან აუცილებელი პროდუქტების ფასი დაბალია, ხოლო მათი მოხმარებისაგან თავშეკავება მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

ანუ, თავშეკავებასთან დაკავშირებული ძალისხმევის ფასი მკვეთრად იზრდება პიკის პირობებში და მცირდება ფსკერის პირობებში. ხოლო რისკის საფასური, პირიქით, მკვეთრად ეცემა პიკზე და იზრდება ფსკერზე. ასე რომ, პიკზე არც მწარმოებლებს სურთ წარმოების ზრდა, და არც მომხმარებლებს სურთ მოხმარების გაზრდა. ფსკერზე პირიქით – არ სურთ არც წარმოების, და

[105] განსაკუთრები იზრდება საინვესტიციო და გრძელვადიანი მოხმარების საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკები.

არც მოხმარების შემცირება. ეს არის ეკონომიკური ციკლის ექსტრემალური წერტილები;

6. მოგების და დაზოგვის ნორმები საპირისპირო მიმართულებით იცვლება ექსპანსიის და რეცესიის შედეგად. როდესაც შეუსაბამობა მთლიან მოგებასა და მთლიან დაზოგვას შორის, და შესაბამისად, პროდუქტების და რესურსების ნომინალური ფასების გადახრა ოპტიმალურისგან აღწევას კულმინაციას, მაშინ შეუქცევადი ხდება ფარდობითი ფასების ცვლილებები. ეს განაპირობებს წარმოებისა და მოხმარებისადმი მიდრეკილებების შეცვლას საპირისპირო მიმართულებით. იცვლება ეკონომიკური ციკლის ფაზა და შემდგომი პროცესები მიმდინარეობენ თვითაღზნების და თვითდამუხრუჭების პრინციპით იქამდე, სანამ არ იქნება მიღწეული ციკლის ახალი შემობრუნების წერტილი. ბაზარს არ შეუზლია აღადგინოს მაკროეკონომიკური წონასწორობა სხვაგვარად, თუ არა მერყეობით პიკის და ფსკერის ექსტრემალურ წერტილებს შორის, რომლებიც განპირობებულნი არიან საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმუმით და სამომხმარებლი შესაძლებლობების მინიმუმით.

ეკონომიკური ექსპანსია ხდება ეკონომიკური სისტემის მთლიანობის და ეკონომიკურ ნაკადებს შორის პროპორციების შენარჩუნების ფონზე, ხოლო მკვეთრი ვარდნა გულისხმობს ამ პროპორციების და მთლიანობის რღვევას. ამიტომ, თუ ვარდნა, რომელიც წარმოიშვა ეკონომიკური აქტივობის შიდადარგობრივი რყევების ფარგლებში, აღწევს კრიტიკულ ზღვარს, მაშინ იგი იღებს კუმულატიურ ხასიათს და ვრცელდება ჯაჭვური რეაქციით. კრიზისის პირობებში წონასწორობა აღდგება. მაგრამ იგი აღდგება არა დეფიციტური დარგების გაფართოვებით, არამედ ნაკლებად დეფიციტური დარგების შემცირებით. მცირდება ის დარგები, რომლებიც ჯერ კიდევ არასაკმარისად შემცირდნენ (როგორც წესი, კაპიტალური დოვლათის მწარმოებელი დარგები). ისინი მოდიან შესაბამისობაში იმ დარგებთან, რომლებსაც აღარ შეუძლიათ უფრო

მეტად შემცირება და მიაღწიეს ფსკერს. მაგრამ რატომ არ შეუძლიათ ამ დარგებს მეტად შემცირება? იმიტომ რომ საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს ამ დარგების პროდუქციის გარეშე. არ შეუძლია უფრო ნაკლები აუცილებელი პროდუქტის მოხმარება. ამიტომ მოთხოვნა მათ პროდუქციაზე წყვეტს ვარდნას. ფსკერზე ხდება ეკონომიკური ორგანიზმის დარღვეული პროპორ-ციების და მთლიანობის აღდგენა. იწყება ზრდა დინამიკური წონასწორობის პირობებში;

7. მოთხოვნილება და, შესაბამისად, მოთხოვნა რეალურია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გადახდისუნარიანია. მაგრამ ამა თუ იმ დარგის მოთხოვნის გადახდისუნარიანობა განპირობებულია მის პროდუქციაზე სხვა დარგების მოთხოვნის გადახდისუნარია-ნობით, და, პირიქით. სხვადასხვა საქონლის წარმოების და მოხმარების მცირე მოცულობები ურთიერთგანაპირობებენ სუბიექტების დაბალ გადახდისუნარიანობას.[106] იმისათვის, რომ ვუზრუნველყოთ ეკონომიკური ზრდა, აუცილებელია ურთიერთ-დაკავშირებულ და ერთ მთლიანობად შეკრულ ყველა დარგში პროდუქტების წარმოების და რესურსების მოხმარების თანდა-თანობითი და კოორდინირებული ზრდა. ყოველი დარგის ზრდა დამოკიდებულია სხვა დარგების ზრდაზე. ვერც ერთი დარგი ვერ გაზრდის წარმოებას რესურსების მოხმარების ზრდის გარეშე. და

---

[106] კრიზისის პირობებში ბევრია გამოუყენებელი რესურსები (არარეალი-ზებული პროდუქტები) და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები. მაგრამ ეს მხოლოდ პოტენციური რესურსები და მოთხოვნლებებია. რადგან რესურსები იმყოფება არა იმ სუბიექტების საკუთრებაში, ვისაც შეუძლიათ მათი მეშვეობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. იქამდე, სანამ არ არის გადახდისუ-ნარიანი *მოთხოვნა* რესურსებზე, იქამდე არ არის არც ამ მოთხოვნილებების *გადახდისუნარიანობა.* რადგან წარმოებასა და მოხმარებას შორის შესაბამისობა დარღვეულია, და აგრეთვე დარღვეულია ფულადი მიმოქცევა, არავის შეუძლია გაყიდვა იმიტომ, რომ არავის შეუძლია ყიდვა. და არ შეუძლია ყიდვა იმიტომ, რომ არ შეუძლია გაყიდვა. და მაშასადამე, აგრეთვე არ შეუძლიათ საქონლის წარმოება და მოხმარება. ამიტომ ეკონომიკაში იზღუდება სასაქონლო ურთიერთობების არეალი და სულ უფრო მეტ სფეროში ხდება მათი ჩანაცვლება ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ურთიერთობებით.

ვერც ერთი დარგი ვერ გაზრდის რესურსების მოხმარებას, თუ მისი მიმწოდებლები არ გაზრდიან წარმოების მოცულობას და ა.შ. ამიტომაც ზრდა ყოველთვის ხდება თანდათან.

კრიზისის ფსკერის გადალახვის შემდეგ, თანდათან იწყება ადრე გამოუყენებელი რესურსების გამოყენება სხვადასხვა დარგებში, რომლებიც იზრდებიან ერთმანეთთან ჰარმონიაში. მაგრამ როდესაც ეკონომიკა აღწევს პიკს, წარმოების და მოხმარების ზრდა წყდება თავისუფალი რესურსების ფიზიკური შეზღუდულობის, მათი ამოწურვის შედეგად, ერთი მხრივ, და სამომხმარებლო მოთხოვნის გაჯერების გამო – მეორე მხრივ. თავდაპირველად ეს პროცესები იწყება ცალკეულ დარგებში. ამ დარგებში მზა პროდუქცია ვეღარ საღდება, წარმოება იზღუდება. ირღვევა ეკონომიკის მთლიანობა.[107] დარგებს შორის დისპროპორციები გადაეცემა ჯაჭვური რეაქციით. იწყება ვარდნა, რომელიც, აღმავლობასთან შედარებით, ხდება სწრაფად, და რომელიც ვერ ჩერდება, სანამ არ მიაღწევს ფსკერს. და ყველაფერი მეორდება;

8. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური ზრდის პირობებში, წარმოების და მოხმარების საერთო ზრდის ფონზე, წარმოების სფეროში ადგილი აქვს ეკონომიკური ნაკადების საერთო მოცულობაში საწარმოო ინვესტიციების წილის ზრდას და მოგების წილის შემცირებას. ხოლო მოხმარების სფეროში ხდება ვალად მოხმარების წილის შემცირება და დანაზიგების წილის ზრდა. საპირისპირო პროცესები მიმდინარეობს ეკონომიკური ვარდნის დროს. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ამოღებული მოგება და დანაზოგები წარმოადგენენ გადინებას მწარმოებლების და

---

[107] როგოგრც უკვე აღინიშნა, დეფიციტების და სიჭარბის გაჩენა, ანუ სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის შესაბამისობის დარღვევა, მიანიშნებს ეკონომიკური ორგანიზმის მთლიანობის დარღვევაზე, ანუ ეკონომიკური სისტემის, როგორც ერთი მთლიანობის, სხვადასხვა ნაწილებს შორის შესაბამისობის დარღვევაზე. ეს ნიშნავს შესაბამისობის დარღვევას წარმოების და მოთხოვნილებების სტრუქტურებს შორის.

მომხმარებლების შემოსავლებიდან. ხოლო ინვესტიციები და ვალად მოხმარება წარმოადგენენ სახსრების შემოდინებას მათ ხარჯებში. თუ დაირღვევა ბალანსი მწარმოებლების და მომხმარებლების შემოსავლებში გადინებასა და შემოდინებას შორის, მაშინ დაირღვევა წონასწორობა შემოსავლების და გასავლების წრებრუნვაში. პროდუქტების და რესურსების ბაზრებზე ეს იწვევს წონასწორობის დარღვევას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. მათი ფასები იწყებენ გადახრას ოპტიმალური ფასებიდან. ირღვევა ოპტიმალური თანაფარდობა პროდუქტების და რესურსების ფასებს შორის. ეს ხდება ეკონომიკური ციკლის ფაზების შეცვლის მიზეზი;

9. შემოსავლების ზრდასთან ერთად შრომის მიწოდება ჯერ იზრდება, ხოლო შემდეგ მცირდება. ხელფასის ზრდასთან ერთად დგება მომენტი, როდესაც დასვენება ხდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე დამატებითი ხელფასი. სრული დასაქმების პირობებში იზრდება დამატებითი ხელფასის ოდენობა, რომელიც აუცილებელია შრომის დამატებითი ერთეულის მოსაზიდად. ხოლო ეკონომიკური ვარდნის ქვედა წერტილში, შემოსავლების ვარდნა და მოხმარების შეზღუდვა აღწევს წერტილს, როდესაც შრომაზე მოთხოვნის და, ესე იგი, შემოსავლების შემცირება არა მარტო არ ამცირებს შრომის მიწოდებას, არამედ, პირიქით, ზრდის მას. მშრომელები იძულებულნი არიან როგორღაც შეავსონ შემოსავლების უკმარისობა, რათა, თუნდაც მინიმალურ დონეზე, შეინარჩუნონ მოხმარების დონე. ისინი თანხმდებიან თუნდაც დაბალანაზღაურებად სამუშოზე. რესურსების ფარდობითი ფასები ისევ იწყებენ შემცირებას პროდუქტების ფასებთან შედარებით. ფარდობითი ფასები პროდუქტებზე და რესურსებზე იწყებენ მოძრაობას საპირისპირო მიმართულებით, ვიდრე ეს ხდებოდა ვარდნის ფაზაში. შრომის მიწოდების გრაფიკს აქვს ასეთი ფორმა:



ნახ. 3.1. შრომის მიწოდების გრაფიკი;
L - შრომა, W - ხელფასი, S - შრომის მიწოდება.

10. ეკონომიკურ ვარდნას თან სდევს გართულებები ფულადი მიმოქცევის სფეროში. რადგან ისინი, ვინც ვერ შეძლო თავისი პროდუქციის რეალიზება, ვერ იღებენ შემოსავლებს, და ამიტომ არ შეუძლიათ ვალების დაფარვა. ამიტომ თავიანთ შემოსავლებს ვერ იღებენ ვერც კრედიტორები და ისინიც ვერ ფარავენ თავის ვალებს.[108] ეკონომიკის რეალურ სექტორში კრიზისი მწვავდება ფინანსური სექტორის კრიზისით. ამასთან, ცდილობს რა შეაჩეროს ვარდნა, მთავრობა ხშირად ატარებს ანტიკრიზისულ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას. მაგრამ ერთობლივი მოთხოვნის ხელოვნურად შენარჩუნებით, ეკონომიკას არ ეძლევა საშუალება მიაღწიოს ვარდნის ქვედა წერტილს, როგორც თავის ლოგიკურ დასასრულს. ამით იქმნება ხელოვნური ბარიერები

[108] მონეტარულ სექტორში ჯაჭვური რეაქცია ვრცელდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე წარმების და მოხმარების სექტორში. მართალია მონეტარული სექტორის მოშლილობა ხშირად გამოწვეულია ეკონომიკის რეალური სექტორის მოშლილობით, მაგრამ, თუ ეს მოხდა, მონეტარული პრობლემები თვითონ ხდება სხვადასხვა დარგების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხების მიზეზი. ამიტომ მრავალი დარგი, მაშინაც კი როდესაც არსებობს მოთხოვნა მათ პროდუქციაზე (და ბაზარზეც არსებობს მათი წარმოებისთვის აუცილებელი რესურსების მიწოდება), ვერ ფუნქციონირებს ნორმალურად, ვერ ყიდულობს რესურსებს ფულის უქონლობის გამო, რადგან მისი პროდუქციის მომხმარებლები ვერ ფარავენ ვალს უკვე ნაყიდი პროდუქციისათვის. იბადება აჟიოტაჟური მოთხოვნა საკრედიტო რესურსებზე და, ამავე დროს, იზრდება ვალის გადაუხდელობის რისკი.

დეფორმირებული პროპორციების თვითაღდგენის პროცესში. რადგან სწორედ კრიზისი აღადგენს ეკონომიკის დარღვეულ მთლიანობას, რითაც ხდება ეკონომიკის უნარის აღდგენა განახორციელოს ექსპანსია. ანტიკრიზისული პოლიტიკა იმ სახით, როგორც იგი ტარდება თანამედროვე ეკონომიკაში, ფაქტობრივად ახდენს ეკონომიკური დისპროპორციების კონსერვაციას და ბლოკავს ბაზრის თვითრეგულირების უნარს;

11. ენდოგენური ეკონომიკური ციკლები მოწმობენ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების უნარის არსებობაზე. სისტემის გადახრა ოპტიმალური მდგომარეობიდან კონკურენციის პირობებში ბადებს ამ გადახრის თვითლიკვიდაციის ძალებს, რომლებიც პროპორციულია გადახრის სიდიდისა. მაგრამ ბაზრის თვითრეგულირების გამოვლენის ფორმა განპირობებულია თვით საბაზრო ურთიერთობების ბუნებით. ეკონომიკური აგენტები დამოუკიდებლად ღებულობენ გადაწყვეტილებებს და წინასწარ არავინ იცის თუ რა ოდენობის რესურსები გააჩნია საზოგადოებას, როგორია საზოგადოების მოთხოვნილებები, სად არის მისი საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმუმი, სად არის მისი სამომხმარებლო შესაძლებლობების მინიმუმი და, მით უმეტეს, არავინ იცის სად მდებარეობს ეკონომიკის "ოპტიმალური ფუნქციონირების წერტილი". ასეთ პირობებში საზოგადოების ეკონომიკური აქტივობის საბაზრო თვითრეგულირება ვერ მოხდება სხვაგვარად, თუ არა ინერციული მოძრაობით ერთი უკიდურესობიდან მეორემდე.

ბაზარი სტიქიურად ფუნქციონირებს "ბრმად" მოქმედი კანონების საფუძველზე. ხოლო ეს "სიბრმავე" ვლინდება იმაში, რომ ეკონომიკის თვითაღზნება და თვითდამუხრუჭება გრძელდება იმდენ ხანს, სანამ არ იქნება მიღწეული შემობრუნების

კრიტიკული წერტილები – საწარმოო შესაძლებლობების მაქსიმუმი და სამომხმარებლო შესაძლებლობების მინიმუმი.[109]

თავისთავად წონასწორობა, და მათ შორის ეკონომიკური წონასწორობა, წარმოადგენს სიმეტრიის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას. ანუ ეკონომიკა მაშინ ფუნქციონირებს ოპტიმალურ რეჟიმში, როდესაც მასში დაცულია სიმეტრიის კანონები. მაგრამ არა მარტო საერთო ეკონომიკური წონასწორობა, არამედ მისგან პერიოდული გადახრები და უკან დაბრუნება, ანუ, მის ირგვლივ რყევებიც, აგრეთვე წარმოადგენენ ეკონომიკაში „დინამიკური სიმეტრიის“ გამოვლენას.

3.2. ეკონომიკური ციკლი ქაოსის თეორიის ფოკუსში

მიკროდონეზე ფირმები და საოჯახო მეურნეობები მოქმედებენ წინასწარ დასახული მიზნების საფუძველზე, მაგრამ მთლიანად სისტემა მაკროდონეზე ფუნქციონირებს სტიქიურად. შეგნებულად არავინ მართავს და არავინ არეგულირებს სისტემას. ეკონომიკური აქტივობის მერყეობა და სისტემის ევოლუცია არის მილიონობით დამოუკიდებელი სუბუექტების მიზანშეწინილი მოქმედებების სპონტანური შედეგი. აქ ეკონომიკური წესრიგი იბადება ეკონომიკური ქაოსიდან. თვითონ ფირმების და საოჯახო მეურნეობების ეკონომიკა ეფუძნება სუბიექტურ, ანუ ინდივიდუალურ ეკონომიკურ ფასეულობებს და რედისტრიბუციული (ცენტრალიზებული) ეკონომიკის პრინციპებს. ხოლო ფირმებსა და საოჯახო მეურნეობებს შორის ურთიერთობები ეფუძნება საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფასეულობებს და საბაზრო

[109] საბაზრო ეკონომიკა ჰგავს ადამიანს, რომელიც მიდის ჩაბნელებულ დერეფანში, და რომლისთვისაც ორიენტირს წარმოადგენს ის, რომ იგი პერიოდულად ეჯახება ხან ერთ კედელს, და ხან – მეორეს, რადგან ვერ ხედავს სად გადის მოძრაობის ოპტიმალური ტრაექტორია, სად არის დერეფნის შუახაზი.

(დეცენტრალიზებული) ეკონომიკის პრინციპებს, ანუ საკონტრაქ-ტო საწყისებზე, ნებაყოფლობით და ეკვივალენტურ გაცვლაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს. და რადგან ეკონომიკური ურთიერთობები მილიონობით სუბიექტებს შორის ეფუძნება ნებაყოფლობით საწყისებს და არავინ არავის არ აიძულებს კავშირების დამყარებას სხვა სუბიექტებთან, ამიტომ ეს კავშირები ადვილად იქმნება და ადვილად წყდება. ეს გარემოება ბადებს საბაზრო ეკონომიკის, როგორც რთული სისტემის, თვითრეგულირების შესაძლებლობას და აუცილებლობას.

ეკონომიკის, როგორც რთული სისტემის, ფაქტიური დინამიკა არის შიდასისტემური და გარე ფაქტორების ერთობლივი რეზულტატი. ამიტომ გარე ფაქტორების შემთხვევითობა, ენდოგენური ფლუქტუაციების შემთხვევითობასთან ერთად, განაპირობებს ეკონომიკური სისტემის მოძრაობის რთულ ტრაექტორიას უწესრიგო ტალღების სახით. მაგრამ პრობლემას ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი ციკლებით წარმოშობილი ეკონომიკური აქტივობის სხვადასხვა დონის ტალღები ედება ერთმანეთს, რის გამოც ეკონომიკის განვითარების ტრაექტორია იღებს უაღრესად რთულ ფორმას. ამიტომ, რთული სისტემების ბუნების შესწავლის გარეშე, მხოლოდ მათი მოძრაობის ტრაექტორიიდან, ძნელია გამოვავლილნოთ რაიმე კანონზონიერება. ქაოსის თეორია გვაძლევს საშუალებას გავერკვათ ამ რთულ პრობლემაში.

ქაოსის თეორიის თანახმად შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ციკლები გამოწვეულია შიდასისტემური ფაქტორებით, ანუ გააჩნიათ ენდოგენული ხასიათი. მართალია გარე ფაქტორებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეუშალონ ეკონომიკური ციკლის ფაზების ცვლას, დააჩქარონ ან შეანელონ ექსპანსია ან რეცესია, მაგრამ ისინი არ არიან ციკლის გამომწვევი უშუალო მიზეზები. ეკონომიკური ციკლის აღმოცენების შინაგანი მიზეზები და ლოგიკა განპირობებულია სისტემის საკუთარი სტრუქტურით,

საბაზრო ეკონომიკის იმანენტური ბუნებით, მისი გომეოსტა-ზით.[110] ამიტომ, ეკონომიკური ციკლები წარმოადგენენ ეკონომი-კის, როგორც რთული სისტემის, „საკუთრივ ქცევას“, რომელიც სპეციფიკურად რეაგირებს გარემოს იმპულსებზე.

„ის, რაც აქამდე გვეჩვენებოდა იდუმალი, ამოუხსნელი ან თუნდაც პარადოქსალური, უცებ ხდება სრულიად ცხადი. თურმე მრავალი ცალკეული ინდივიდუმის (იქნება ეს ატომები, მოლეკულები, უჯრედები, ცხოველები თუ ადამიანები) კოლექტიური ქცევა და, საბოლოო ჯამში, მათი საკუთარი ბედი, განისაზღვრება მათ მიერვე მათი ერთმანეთთან ურთიერთქმედების პროცესში: ერთი მხრივ, კონკურენციის მეშვეობით და კოოპერაციის - მეორე მხრივ. ... ამ თვალსაზრისით სინერგეტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც მეცნიერება ორგანიზებული და თვითორგანიზებული კოლექტიური ქცევის შესახებ, ამასთან, ეს ქცევა ექვემდებარება საერთო კანონებს. ... სინერგეტიკა ეფუძნება ძალზე განსხვავებულ დისციპლინებს, რომლთა შორის არის არა მარტო ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, არამედ აგრეთვე სოციოლოგია და ეკონომიკა“ (Хакен, 2003, 24-25).

შიდასისტემური პროცესების დაჩქარების და შენელების ციკლები წარმოადგენენ არაწრფიული სისტემების იმანენტურ კანონზომიერებას. ისინი „ჩადებულია“ თვით პროცესების არაწრფიულობაში. მაქსიმალური განვითარების წერტილთან

---

[110] სხვადასხვა ტიპის სისტემების კვლევა გომეოსტატიკური მიდგომის საფუძველზე არსებითად უკვე გულისხმობს კვლევისადმი სისტემურ მიდგომას. გომეოსტატიკა სწავლობს ღია სისტემის უნარს კოორდინირებული რეაქციების მეშვეობით შეინარჩუნოს დინამიკური წონასწორობის მდგომარეობა და ამით უზრუნველყოს სისტემებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარამეტრების შენარჩუნება დასაშვებ საზღვრებში და, ესე იგი, გარკვეულ ფარგლებში უზრუნ-ველყოს სისტემის დამოუკიდებლობა ცვალებადი გარემოს ზემოქმედებისაგან. „ ... ეკონომიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც სისტემა, რომელთან მიმართებაშიც ძალაშია ნებისმიერი მეცნიერებისათვის ცნობილი რთული სისტემების ... მოქმედების საერთო პრინციპები. ასეთი მიდგომა ამდიდრებს ეკონომისტების არსენალს უახლესი ზოგადმეცნიერული მეთოდებით, თანამედროვე კიბერნეტიკის და სინერგეტიკის ჩათვლით.“ (Кирдина, 2011, 10)

(პროცესების გამწვავების მომენტთან) ახლოს მყოფი ნებისმიერი რთული სისტემა ავლენს შინაგან არამდგრადობას მცირე რხევების მიმართ, იმყოფება ნგრევის საფრთხის ქვეშ. ასე რომ, არაწრფიული სისტემების ქცევის ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს პროცესების ინტენსივობის ზრდის და ვარდნის, ინტეგრაციის და დეზინტეგრაციის პერიოდული მონაცვლეობა.[111] ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია ეკონომიკური სისტემებისათვის;

2. „სიმეტრიული მოდელის“ ანალიზისას ჩვენ უკვე განვიხილეთ ენდოგენური ციკლების ფორმირების მექანიზმი. ეს ციკლები არსებობენ ოპტიმალურთან შედარებით ფაქტიური ეკონომიკური აქტივობის მერყეობის ფორმით. ეკონომიკაში, ისევე როგორც ყველა რთულ სისტემაში, ასეთი ფლუქტუაციების განეიტრალება ხდება უარყოფითი უკუკავშირების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრუქტურის შენარჩუნებას და სისტემის წონასწორობასთან მიახლოვებულ მდგომარეობას. მაგრამ თუ ტოტალურად მოქმედი გარე ფაქტორების გავლენით

---

[111] „ენაცვლებიან რა ერთმანეთს, მდგრადობა და არამდგრადობა ბადებენ რყევით რეჟიმს. ... ღია არაწრფიული სისტემები გამუდმებით ახდენენ ბალანსირებას ქაოსსა და წესრიგს შორის დინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში. ... ახდენს რა რთული სტრუქტურის სხვადასხვა ფრაგმენტების განვითარების ტემპების ჰარმონიზებას, ასეთი რყევების პროცესი იცავს რთულ სტრუქტურას გამწვავების მომენტთან სიახლოვეში არამდგრადობით გამოწვეული დაშლისაგან. ... არსებობენ რიტმის, მდგომარეობის ციკლური შენაცვლების: აღმასვლა - ვარდნა - აღმასვლა და ა.შ. რაღაც უნივერსალური კანონები, რომლებიც დამახასიათებელია როგორც ცოცხალი, ისე არაცოცხალი სისტემებისთვის. სისტემებს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი მთლიანობა და დინამიკურად განვითარდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მიზდევენ „სიცოცხლის რიტმებს“, „რყევით რეჟიმებს.“ „ქაოსი და წესრიგი - არის ბუნების ერთიანი დიალექტიკური საწყისის ორი მხარე“ (Метелёв, 2011, 38-39). ეკონომიკური ციკლის არსებობა აუცილებელია დეცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირებისათვის. ასეთი ციკლის გარეშე ეკონომიკური სისტემა დაინგრევა. ამიტომ, ანტიციკლური პოლიტიკის წარმოების (ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების) კეინზიანური და მონეტარისტული მეთოდები იწვევენ საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმის მოშლას. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკაში ხდება შინაგანი დეფორმაციების აკუმულირება და შემდეგ ერთბაშად ვლინდება ღრმა და ხანგრძლივი კრიზისის სახით (ამის მაგალითია 2008 წლის კრიზისი).

წონასწორობიდან გადახრა გადაცდება კრიტიკულ ზღვარს, მაშინ მოქმედებას იწყებს დადებითი უკუკავშირის პრინციპი. პროცესები იწყებენ განვითარებას სრულიად განსხვავებული სცენარით „გამწვავების რეჟიმში“. სისტემის წონასწორული სტრუქტურა ინგრევა, იწყება ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა. სისტემა აღარ უბრუნდება წინა წონასწორობას, არამედ სწრაფად მიემართება ახალი წონასწორობისაკენ. ახალი წონასწორობის ფორმირება ხდება ღრმა დეპრესიის პირობებში, რომლიდანაც ეკონომიკა დიდხანს ვეღარ გამოდის. მართალია, ასეთი კრიზისის პირობებში ეკონომიკა ისევ აღადგენს წონასწორობას, მაგრამ ამ ახალ წონასწორობაში იგი არის ძალიან შორს თავისი პოტენციალისგან. ფულად-სასაქონლო ნაკადების მოცულობა მკვეთრად შემცირებულია, მკვეთრად გაზრდილია უმუშევრობა და უმოქმედოა საწარმოო სიმძლავრეები. მაგრამ სრული დასაქმების პირობებში არსებული *არამდგრადი* წონასწორობისგან განსხვავებით, ახლა უკვე სისტემა იმყოფება *მდგრადი* წონასწორობის პირობებში, რის გამოც მისი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან ძალზე რთულია. სწორედ ასე ხდებოდა ყველა დიდი მსოფლიო კრიზისების შემთხვევაში, მათ შორის, „დიდი დეპრესიის“ და 2008 წლის მსოფლიო კრიზისების დროს.[112] კრიზისიდან გამოსვლა, ეკონომიკური კავშირების აღდგენა მოითხოვს დიდ დროსა და ძალისხმევას, მაგრამ ბოლოს და ბოლის ისევ ხდება გამოუყენებელი რესურსების და სიმძლავრეების წარმოებაში ჩართვა და სისტემა, დინამიკური წონასწორობის რეჟიმში, თანდათან უბრუნდება თავის პოტენციალთან სიახლოვეში ფუნქციონირებას. იგი ისევ მოდის წონასწორობაში, მაგრამ ეს უკვე სხვა წონასწორობაა, სხვა დონეზე. აქ ისევ იწყება ენდოგენური ციკლის რყევები და ყველაფერი მეორდება.

---

[112] იგულისხმება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები 1857, 1873, 1907, 1914, 1929-1933, 1957, 1973-1974, 1987, 2008 – 2010 წლებში.

ამგვარად, ენდოგენური ციკლით წარმოშობილი კრიზისები და ეგზოგენური ფაქტორებით პროვოცირებული კრიზისები იბადება განსხვავებული მექანიზმებით. პირველ შემთხვევაში კრიზისი წარმოადგენს წონასწორული მდგომარეობიდან გადახრას (გამოწვეულს სისტემის „საკუთრივი რყევებით“). მეორე შემთხვევაში კრიზისი თვითონ წარმოადგენს ახალ წონასწორულ მდგომარეობას ეკონომიკური პოტენციალიდან მაქსიმალურად დაშორებულ მდგომარეობაში.

და აქ იბადება მრავალი კითხვა: რას გულისხმობს წონასწორობა კრიზისის პირობებში, თუ რესურსები არ გამოიყენება და მოთხოვნილებები რჩება დაუკმაყოფილებელი? რატომ არის პიკთან არსებული წონასწორობა არამდგრადი, ხოლო ფსკერთან არსებული წონასწორობა - მდგრადი? რატომ ხდება ვარდნა სწრაფად, ხოლო აღმავლობა - თანდათანობით? რა ძალები განაპირობებენ სისტემის მოძრაობას ერთი წონასწორობიდან მეორისკენ? და საერთოდ, რით განსხვავდება ერთი წონასწორობა მეორესაგან? ქაოსის თეორია იძლევა სავსებით რაციონალურ პასუხებს ამ კითხვებზე;

3. **ინფორმაცია მსჯელობისათვის.** ნეოკლასიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ ის, რაც ვერ დაამტკიცა ლეონ ვალრასმა. კერძოდ ის, რომ საერთო წონასწორობა *არსებობს,* რომ იგი *ერთადერთია, მდგრადია* და *ოპტიმალურია.* და მართლაც, კენეტ ეროუმ და ჟერარ დებრემ მათემატიკურად დაამტკიცეს ერთადერთი საერთო წონასწორობის არსებობის შესახებ თეორემა. მაგრამ, ჯერ ერთი, ამისათვის საჭირო გახდა იმდანად არარეალური წინაპირობების დაშვება, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით ერთადერთი საერთო წონასწორობის არსებობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად. ხოლო რაც შეეხება წონასწორობის მდგრადობას, ეს საერთოდ ვერ იქნა დამტკიცებული. მეტიც, 50-ანი და 60-იანი წლების რიგი გამოკვლევები ამტკიცებდნენ, რომ საერთო წონასწორობა არამდგრადია. მაგრამ ამის შემდეგაც კი

მრავალ ეკონომისტს ჯერ ისევ სჯერა - შეუძლებელია რეალურ ეკონომიკაში წონასწორობა არ იყოს მდგრადი. მათ მიაჩნიათ, რომ თუ ეკონომიკური სისტემა არ იქნება მდგრადი, იგი ვერ შეძლებს მერყეობას და აუცილებლად დაიშლება. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ადრინდელი დინამიკური მოდელის შესახებ ცნობილი ეკონომისტი ჯონ ხიკსი წერდა: „ ... მათემატიკური არამდგრადობა თავისთავად ვერ ახსნის მერყეობას. მათემატიკურად არამდგრადი სისტემები არ მერყეობენ. ისინი უბრალოდ ნადგურდებიან. არამდგრადი მდგომარეობა არის მდგომარეობა, რომელშიც იგი, როგორც წესი, ვერ რჩება“ (Hicks, 1949, 112).

მაგრამ თანამედროვე ქაოსის თეორია ამტკიცებს, რომ რეალური რთული სისტემის წონასწორობა შეიძლება იყოს არამდგრადი თვით სისტემის ნგრევის გარეშეც. ქაოსის თეორია არის მათემატიკური კვლევების სფერო, რომელიც სწავლობს საწყისი პირობების მიმართ ძალიან სენსიტიური დინამიკური სისტემების ქცევას. საწყისი პირობების უმნიშვნელო ცვლილე-ბებიც კი დროთა განმავლობაში იწვევენ არაპროგნოზირებად ცვლილებებს დინამიკურ სისტემაში. დინამიკური სისტემების ასეთ არამდგრადობას ეწოდება „პეპელას ეფექტი“. რთული სისტემების ამ თვისებას პირველად ყურადღება მიაქცია ანრი პუანკარემ 1903 წელს. იგი წერდა: “ .. შეიძლება მოხდეს ისე, რომ საწყის პირობებში მცირე ცვილებები გამოიწვევს ძალიან დიდ ცვლილებებს საბოლოო მოვლენაში. მცირე შეცდომა პირველში გამოიწვევს უზარმაზარ შეცდომას მეორე-ში. პროგნოზირება ხდება შეუძლებელი, და ჩვენ მივიღებთ მოულოდნელ მოვლენას“ (ციტ. წიგნიდან: Crutchfield, 1986).

მაგრამ მეცნიერთა ინტერესი ამ მოვლენისადმი განსაკუთ-რებით გაიზარდა იმის შემდეგ, რაც 1963 წელს მეტეოროლოგმა ედვარდ ლორენცმა შექმნა ჰაერის ტურბულენტური ნაკადების მათემატიკური მოდელი. ეს იყო მარტივი მოდელი, რომელშიც იყო სამი განტოლება, სამი ცვლადი და სამი კონსტანტა. მიუხედავად

თავისი სიმარტივისა ამ მოდელმა გამოავლინა უაღრესად რთული ქცევა. უმნიშვნელო ცვლილებები **x, y** და **z** საწყის მნიშვნელობებში ჯერ არ იძლეოდნენ საგრძნობ ეფექტს, ხოლო შემდეგ მოულოდ-ნელად და მკვეთრად იძლეოდნენ სრულიად განსხვავებულ რეზულტატებს. მართლია, ერთი შეხედვით ჩანდა, თითქოს თვითოეული ცვლადი იქცეოდა ქაოტურად, მაგრამ ამ მოჩვენე-ბითობის უკან იმალებოდა ლამაზი სტრუქტურა, რომლის დანახვაც შესაძ-ლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სამივე ცვლადს გამოსა-ხავდნენ ერთი და იგივე გრაფიკზე. (იხ. ნახ. 9).

ლორენცის სისტემის ანალიზი ცხადყოფდა, რომ მას გააჩნია არა ერთი, არამედ სამი წონასწორობა. განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანია ის, რომ სამივე წონასწორობა არის არამდგრადი. ამა თუ იმ წონასწორობიდან უმნიშვნელო გადახრაც კი აიძულებს სისტემას სწრაფად განერიდოს ამ წონასწორობას. ამის შემდეგ იგი უახლოვდება მეორე წონასწორობას, შემდეგ მესამეს. იგი მოძრაობს



ნახ. 3,2. ლორენცის დინამიკური სისტემის მდგომარეობათა (ფაზური სივრცის წერტილთა) სიმრავლე, რომლისკენაც იგი ისწრაფვის დროთა განმავლობაში.

ორბიტაზე ამ წონასწორობის ირგვლივ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შორდება მას. შემდეგ იგი უახლოვდება მეორე წონასწორობას და აქედან ისევ მიემართება პირველი წონასწორობისკენ (იხ.: Keen, 2011, p. 210). ქცევის ასეთი მოდელი ეწინააღნდეგებოდა მეცნიერებაში (მათ შორის ეკონომიკურ თეორიაში) მანამდე

გაბატონებულ ლაპლასის შეხედულებას, რომ უმნიშვნელო ცდომილებას საწყის მაჩვენებლებში შეიძლება მივყავდეთ მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომამდე ცვლადის მომავალი ქცევის პროგნოზირებაში.

მათემატიკური ტექნიკის თვალსაზრისით სტატიკური ანალიზი გულისხმობს მათემატიკურ მოდელებში წრფიული, და არა დიფერენციალური განტოლებების გამოყენებას. მათ გეომეტ-რიულ ანალოგებს წარმოადგენენ წრფეები, და არა რთული კონფიგურაციის გრაფიკები, პარაბოლები და ა.შ. შეიძლება ვიქონიოთ უამრავი წრფის განტოლება და მაინც მივიღოთ ერთადერთი ამონახსნი. წრფიული სისტემები ვერ იქნება ქაოტური. რთული სისტემების დინამიკური ანალიზი, როგორც წესი, გულისხმობს არაწრფიულ დიფერენციალურ განტოლებებს. მაგრამ ეს სისტემები აგრეთვე შეიძლება იყვნენ მარტივი სისტემებიც დიფერენციალური განტოლებების გარეშე. ქაოტური ქცევა შესაძლებელია დაიბადოს მეორე ხარისხის ალგებრული განტოლებებიდანაც კი, ანუ ყველაზე მარტივი არაწრფიული განტოლებებიდან.

ასეთი სისტემების დიდ უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ამოხსნა. იმისათვის რომ დავინახოთ როგორ იქცევა ასეთი რთული სისტემები, ჩვეულებრივ მიმართავენ ხოლმე კომპიუტერულ იმიტაციას. არაწრფიული პროცესების მოდელირება გვიჩვენებს, რომ არამდგრადი წონასწორობის მქონე სისტემები არ ინგრევა. ასეთ სისტემებს შეუძლიათ გამოავლინონ რთული, ციკლისებუ-რად განმეორებადი ქცევა. ანუ, ქაოტური ქცევის მქონე რთული სისტემები, გარკვეული აზრით, ექვემდებარება გარკვეულ წესრიგს და კანონებს. ეს არ არის შემთხვევითი უწესრიგო ქცევა, რომელიც ხშირად ასოცირდება ხოლმე ქაოსის ცნებასთან.

მართალია არაწრფივ განტოლებათა სისტემებს, რომლებიც გამოიყენება ხოლმე დინამიკურ მოდელებში, არ გააჩნიათ ამონახსნი, მაგრამ ეს მოდელირება იძლევა საშუალებას

განვსაზღვროთ ეგრეთწოდებული „ეთრექტორი“, სისტემის იმ შესაძლო მდგომარეობათა სიმრავლე, რომლისკენაც იგი დროთა განმავლობაში ისწრაფვის, ანუ, სხვა სიტყვებით, მდგომარეობათა სიმრავლე, რომლებშიც სისტემა შეიძლება იმყოფებოდეს ყველაზე დიდი ალბათობით. შესაბამისად, მართალია საწყისი მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ მოდელის მომავალი მდგომარეობა, მაგრამ შეგვიძლია განვსაზ-ღვროთ იმ ტრაექტორიების სიმრავლე, რომლის გასწვრივაც მოდელი დროში იმოძრავებს ყველაზე დიდი ალბათობით.

3.3. საბაზრო სისტემის „უცნაური“ ქცევის მიზეზი

1. ეკონომიკური აქტივობის მერყეობა, სხვა სიტყვებით, ნიშნავს ეკონომიკური პროცესების აჩქარებას და შენელებას.[113] რაზეა ეს დამოკიდებული? ეკონომიკური მოქმედება თავის თავში შეიცავს არა მარტო ერთი საქონლის *ტრანსფორმაციას* მეორეში, არამედ აგრეთვე *ტრანსაქციას,* რის გარეშეც ეკონომიკური მოქმე-დება ვერ ჩაითვლება დასრულებულად. შესაბამისად, ეკონომი-კური მოქმედება უკვე თავისთავად გულისხმობს ტრანსაქციულ ხარჯებს.[114] ცხადია, თუ ეკონომიკური კავშირების წყვეტის

[113] როგორც წესი, ეკონომიკური აქტივობის მერყეობას გამოხატავენ რეალური მშპ-ს მერყეობის მეშვეობით, ანუ დროის ერთეულში წარმოებული ღირებულების სიდიდის მერყეობის მეშვეობით. მაგრამ ამ მერყეობის გამოსახვა შესაძლებელია აგრეთვე როგორც იმ დროის ხანგრძლიობის მერყეობა, რომელიც დასჭირდა ფიქსირებული (სასტარტო წელს) წლიური პროდუქტის ღირებულების წარმოებას. ეკონომიკური პროცესები ხან ჩქარდება, ხან ნელდება.

[114] ტრანსაქციული ხარჯები გულისხმობენ (დროის, ფულის, შრომის და ა.შ.) ხარჯებს, რომლებიც დაკავშრებულია საბაზრო პროცესებში მონაწილეობასთან. ეს არის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებასთან, მოლაპარაკებების წარმოებასთან, კონტრაქტების დადებასთან, გადაწყვეტილებების მიღებასთან, კონტრაქტების პირობების დაცვის კონტროლთან

შედეგად ტრანსაქციული ხარჯები (და განსაკუთრებით, დროის ხარჯი) მკვეთრად გაიზრდება, მაშინ ეს გამოიწვევს ეკონომიკური პროცესების შენელებას.

კრიზისის დროს ეკონომიკური კავშირების დიდი ნაწილი გაწყვეტილია. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტებს აქვთ რესურსები, მათ არ შეუძლიათ მათი გამოყენება და არ შეუძლიათ განახორციელონ ეკონომიკური მოღვაწეობა. მათ არ შეუძლიათ ყიდვა, რადგან არ შეუძლიათ გაყიდვა, შესაბამისად, არ შეუძლიათ არც მოხმარება და არც წარმოება და ა.შ. მაგრამ, ამასთან, ვერავის გაუგია - რატომ? რატომა ხდება ასე? ეს ხომ არავის უნდოდა? ყველას ხომ, პირიქით, უნდა მოხმარებაც, წარმოებაც, ყიდვაც და გაყიდვაც? რაღაც „უხილავი ძალა“, მათი ნების გარეშე, ბატონობს მათზე.

საზოგადოებაში არიან მწარმოებლებიც, მომხმარებლებიც, არის რესურსებიც, პროდუქტებიც. არ არის მხოლოდ შესაბამისი კავშირები სუბიექტებს შორის, რის გამოც ისინი ვერ ასრულებენ ეკონომიკურ მოქმედებებს. კავშირები გაწყვეტილია. ხოლო კავშირები არის სწორედ ის, რასაც სწავლობს ქაოსის თეორია (სინერგეტიკა). ანუ ლაპარაკია არა წარმოების ობიექტური და სუბიექტური რესურსების არარსებობაზე, არამედ სისტემურ შესაძლებლობებზე, რთული არაწრფიული სისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებებზე. სუბიექტებს არ გააჩნიათ ტრანსაქციების განხორციელების შესაძლებლობები და, ამის შედეგად, ისინი ვერ ახდენენ ერთი საქონლის მეორეში ტრანსფორმირებას.

კრიზისის პირობებში იზღუდება ტრანსაქციების განხორციელების შესაძლებლობები, მკვეთრად იზრდება ტრანსაქციული ხარჯები და განსაკუთრებით - დროის ხარჯები. ამასთან,

---

და იურიდიულ დაცვასთან. ამ ხარჯების მიმართ განსაკუთრებით სენსიტიურია დროის დანახარჯები.

კონტრაგენტების ძებნა დაკავშირებულია ოპორტუნისტული ქცევის გაზრდილ რისკებთან - პარტნიორის მხრიდან მოტყუების, არაკეთილსინდისიერი ქცევის რისკებთან.[115] ანუ ობიექტური ხარჯების (დროის, ფულის, რესურსების) გარდა, ტრანსაქციული ხარჯები შეიცავენ სულიერი ძალისხმევის, სულიერი ენერგიის მნიშვნელოვან კომპონენტებს. ეს „სუბიექტური“ ტრანსაქციული ხარჯები მკვეთრად იზრდება კრიზისების დროს. ხოლო ოპტიმალური ფუმქციონირების პირობებში ეს ხარჯები მინიმალურია. როგორც აღინიშნა, ტრანსაქციული ხარჯები არის ეკონომიკური კავშირების და, ესეიგი, ეკონომიკური წესრიგის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები, ანუ, ეკონომიკურ სისტემაში ენტროპიის შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამიტომაც წონასწორობის როგორც მაქსიმალური ეკონომიკური წესრიგის პირობებში ტრანსაქციული ხარჯები მინიმალურია.

„გაცვლის ნებისმიერი აქტი ნეოინსტიტუციონალიზმის მიერ გაგებულია როგორც „საკუთრების უფლებების ნაკრებთა“ გაცვლა. არხს, რომლის მეშვეობითაც ხდება მათი გადაცემა, წარმოადგენს კონტრაქტი. სწორედ ის აფიქსირებს უფლებამოსილებებს და იმას, თუ რა პირობებით უნდა იქნეს ისინი გადაცემელი. ეს ახალი ინსტიტუციონალური თეორიის კიდევ ერთი საკვანძო ტერმინია. რ.კოუზის შრომებმა აგრეთვე გააღვიძა ეკონომისტთა ინტერესი რეალურად არსებული კონტრაქტების მიმართ (საერთო წინასწორობის მოდელებში ადგილი ჰქონდა მხოლოდ იდეალურ კონტ-

[115] ეს რისკი დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის, ნდობის, ზნეობრივი ნორმების არსებობაზე. “სოციალური კაპიტალი არის საზოგადოების ან მისი ნაწილის გარკვეული პოტენციალი, რომელიც იბადება მის წევრებს შორის ნდობის არსებობის შედეგად. ... სოციალური კაპიტალი განსხვავდება ადამიანური კაპიტალის სხვა ფორმებისაგან იმით, რომ, როგორც წესი, იგი იქმნება და გადაეცემა კულტურის მექანიზნების მეშვეობით - ისეთების, როგორიც არის რელიგია, ტრადიცია, წესჩვეულება“ (Фукуяма, 2004, 52). „...საზოგადოებაში გავრცელებული უნდობლობა, თითქოსდა არის ერთგვარი დამატებითი გადასახადი, რომელიც ტვირთად აწვება მთელ მის ეკონომიკურ მოღვაწეობას, და რომლის გადახდაც არ უწევთ იმ საზოგადოებებს, სადაც ნდობის ხარისხი მაღალია“ (იქვე, გვ. 55).

რაქტებს, რომლებშიც ყველა შესაძლო მომავალი მოვლენა იყო წინასწარ გათვალისწინებული). ... ნეოინსტიტუციონალური მიდგომის თანახმად, კონტრაქტის დადება ყოველთვის ნაკარნახევია ტრანსაქციული ხარჯების ეკონომიის მოსაზრებებით" (რედაქტ.: Автономов, 2002, 662). „კოუზის თეორემა ამტკიცებს: „თუ საკუთრების უფლებები განსაზღვრულია მკაფიოდ და ტრანსაქციული ხარჯები უდრის ნულს, მაშინ რესურსების განთავსება (წარმოების სტრუქტურა) დარჩება უცვლელი და ეფექტური მიუხედავად ცვლილებებისა საკუთრების უფლებების განაწილებაში." ამგვარად, წამოყენებულია პარადოქსალური დებულება: გარიგებების დადებასთან დაკავშირებული ხარჯების არარსებობის შემთხვევაში, წარმოების სტრუქტურა რჩება იგივე მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა რესურსებს ფლობს" (იქვე, 665).

ჩვენს მიერ შემოთავაზებული საერთო წონასწორობის „სიმეტრიული მოდელი" ადასტურებს რონალდ კოუზის თეორემას. ამ მოდელში არა აქვს ადგილი ტრანსაქციულ ხარჯებს, რადგან ეს არის ოპტიმალური ფუნქციონირების მოდელი, იდეალური შემთხვევა. ამასთან, მასში „წარმოების სტრუქტურა რჩება იგივე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა რესურსებს ფლობს", რადგან ამ მოდელის თანახმად, კონკურენციის შემთხვევაში, სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის არა აქვს მნიშვნელობა არც იმას, თუ როგორ არის განაწილებული რესუსრები სუბიექტებს შორის, და არც იმას, თუ როგორ არის მათ შორის განაწილებული ფუნქციები;

2. ეკონომიკურ სისტემაში ყველა სუბიექტი პირდაპირ ან ირიბად ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან. ყოველი სუბიექტის მიერ საქონლის წარმოება და მოხმარება დამოკიდებულია ყველა დანარჩენი სუბიექტის მიერ საქონლის წარმოებაზე და მოხმარებაზე. ეს დამოკიდებულება გულისხმობს არა მარტო საქონლის თვისებრივ და რაოდენობრივ განსაზღვრულობას, არამედ აგრეთვე ამ პროცესების დროში ურთიერთკოორდინაციას. გარკვეულ ფარგლებში სხვადასხვა სუბიექტების წარმოებისა და

მოხმარების ტემპების ერთმანეთისაგან აცდენა კომპენსირდება სასაქონლო მარაგების არსებობით, ალტერნატიული კონტრაგენ-ტების მოძიებით და ა.შ. მაგრამ თუ ამა თუ იმ არაეკონომიკური, შემთხვევითი მიზეზებით ეკონომიკური მოქმედებების აჩქარება ან შენელება მოიცავს ურთიერთდაკავშირებული სუბიექტების გარკვეულ კრიტიკულ რაოდენობას, მაშინ ამოქმედდება ჯაჭვური რეაქციის პროცესი, რომელიც ჩაითრევს დანარჩენ სუბიექტებსაც. დაიწყება ექსპანსია ან რეცესია, რომლებიც გაგრძელდება ინერციით იქამდე, სანამ არ იქნება მიღწეული შემობრუნების წერტილები - ან პიკი, ან ფსკერი. სისტემის ელემენტების საყოველთაო ურთიერთკავშირების პირობებში ზოგადად ამით აიხსნება ფლუქტუაციების საერთო მიზეზი. ანუ საბაზრო აგენტების საყოველთაო ურთიერთკავშირების ფაქტი უკვე თავისთავად განაპირობებს შეთანხმებულ, მოწესრიგებულ კოლექ-ტიურ ქცევას, მათი ეკონომიკური აქტივობის კოორდინირებულ ზრდას ან ვარდნას, მთლიანად სისტემაში ეკონომიკური პროცესების აჩქარების ან შენელების საერთო ტალღებს. რადგან ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური მოქმედებების სისტემის, მთლიანობა განპირობებულია სწორედ ამ ყოვლისმომცველი ურთიერთკავშირებით ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთაგან ყოველი, თავისი მოქმედებებით აწარმოებს საქონელს სხვებისთვის სხვების მიერ წარმოებული საქონლის მოხმარების მეშვეობით. მოქმედების ეს საერთო პრინციპი არეგულირებს და აკავშირებს ინდივიდების მოქმედებებს და მათგან იბადება კოლექტიური ქცევა, რომელსაც საფუძვლად უდევს წესრიგი და ურთიერთ-კოორდინაცია. მაგრამ ეს წესრიგი ყალიბდება სპონტანურად და პერიოდულად ირღვევა. წესრიგის და ქაოსის მონაცვლეობა ეკონომიკური სუბიექტების კოლექტიური მოქმედებების სისტე-მაში ღებულობს ეკონომიკური ციკლის ფორმას.

„სწორედ ეს არის კვლევის საგანი სინერგეტიკაში. როდესაც შემდგომში ვისაუბრებთ კოლექტიური ქცევის შესახებ, ამის ქვეშ ჩვენ ვიგულისხმებთ ისეთ ქცევას, რომლის დროსაც ადამიანები მოქმედებენ ისე, თითქოს მათ მოილაპარაკეს ერთმანეთში“ (Хакен, 2003, 165). „ყოველი სისტემა ემორჩილება გარე პირობებს. ეს პირობები აღიწერება ეგრედ წოდებული მართვის პარამეტრების ფორმით. თუ მართვის პარამეტრები იცვლება, სისტემას შეუძლია მუდმივად ახდენდეს ადაპტირებას ახალ პირობებთან. ... მართვის პარამეტრების გარკვეული მნიშვნელობები მკვეთრად ცვლიან სისტემის ქცევას. ეს ახალი ქცევა შეიძლება იყოს აღწერილი ... რამდენიმე ცვლადის, ეგრეთწოდებული წესრიგის პარამეტრების მეშვეობით. ... წესრიგის ყოველი პარამეტრი ასრულებს გარკვეულ ფუნქციას: ისინი განსაზღვრავენ ცალკეული ნაწილების ქცევას. ... ეს არის სინერგეტიკის დაქვემდებარების პრინციპი. ... ჯერ ცალკეული ნაწილები თავისი ქცევით განსაზღვრავენ წესრიგის პარამეტრებს. სინერგეტიკის თვალსაზრისით, ჩვენ აქ საქმე გვაქვს წრიულ კაუზალობასთან. წესრიგის პარამეტრები განსაზღვრავენ ნაწილების ქცევას და, პირიქით, თავისი კოლექტიური ქცევის მეშვეობით ნაწილები განსაზღვრავენ წესრიგის პარამეტრების ქცევას“ (Хакен, http://bookfi.org/g/Хакен). „აქ ჩვენ ისევ ვაწყდებით თავისებურ ურთიერთკავშირებს ცალკეულ ინდივიდებსა და მოწესრიგებულ სტრუქტურას შორის. სტრუქტურა იქვემდებარებს ინდივიდუმებს; მაგრამ პირიქითაც მართალია: სწორედ ინდივიდები განაპირობებენ სტრუქტურის არსებობას“ (Хакен, 2003, 189).

მსგავსი რამ ხდება ეკონომიკურ სისტემაში. მაგალითად, საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიკური ზრდის ან ვარდნის, ინფლაციის ან დეფლაციის მოლოდინები იქვემდებარებენ ცალკეული ადამიანების პირად მოლოდინებს, გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს და ვრცელდებიან სულ უფრო და უფრო ფართოდ. სწორედ ამის შედეგად საზოგადოებაში გაბატონებული მოლოდინები თვითონვე აძლიერებენ თავის თავს. ჰერმან ჰაკენის ტერმინებით თუ ვიტყვით, საზოგაოებაში გაბატონებული მოლოდინები ასრულებენ „წესრიგის პარამეტრების“ ფუნქციას;

3. ეგზოგენური კრიზისის დროს ეკონომიკა იმყოფება მდგრადი წონასწორობის პირობებში. აქედან იწყება ეკონომიკური

აღმასვლა დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებით. რაც უფრო უახლოვდება ეკონომიკა თავის პოტენციალს, წონასწორობა ხდება სულ უფრო ნაკლებად მდგრადი, ხოლო მიაღწევს რა სრული დასაქმების დონეს, ეკონომიკა აღმოჩნდება არამდგრადი წონასწორობის მდგომარეობაში. აქ ძალზე ვიწროა მდგრადობის ფარგლებში დასაშვები შიდასისტემური ფლუქტუაციების დიაპაზონი. ამ საზღვრების დარღვევისას ეკონომიკა გადადის რეცესიის ფაზაში.

ტოტალურად მოქმედი გარე ფაქტორებით გამოწვეული სწრაფი ვარდნა იძენს კატასტროფის ფორმას, რომლის დროსაც ეკონომიკური სისტემა მკვეთრად იცვლის თვისებებს, დისპროპორციები იბადება მის სტრუქტურაში, სისტემაში დროებით ირღვევა მისი შემადგენელი ფულად-სასაქონლო ნაკადების ერთიანობა და ჰარმონია, რომელიც ნაჩვენებია „სიმეტრიულ მოდელში“. ეს არის წონასწორული სტრუქტურის ნგრევით გამოწვეული სისტემის დეზორგანიზაცია და ჯაჭვური რეაქციით მკვეთრი ვარდნა, რომელიც გრძელდება ფსკერის მიღწევამდე. პროცესი მთავრდება ღრმა და ხანგრძლივი კრიზისით. ფსკერზე წონასწორობა თანდათან აღდგება ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური ნაკადების მკვეთრად შეზღუდული მასშტაბით.[116] შემდეგ ისევ იწყება აღმავლობა დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებით. ანუ სისტემა მოძრაობს ერთი წონასწორობიდან (ბუმის პირობებში), მეორე წონასწორობამდე (კრიზისის პირობებში). რთული სისტემების ანალიზის შედეგად ჰერმან ჰაკენი ასკვნის:

[116] სხვა სიტყვებით, ვარდნა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პროცესების მკვეთრი შენელება, გამოწვეული არსებული კავშირების წყვეტით და ახალი კავშირების ქაოტური ძიებით, ხოლო ფსკერი - როგორც წონასწორობის აღდგენა არსებითად შენებული ეკონომიკური ნაკადების პირობებში.

„ჩვენი ყველა წინა მსჯელობა და დაკვირვება ეწინააღმდეგება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის იმ ტრადიციულ თეორიას, რომელიც დაიბადა ადამ სმითის დროს. იგი გამომდინარეობდა იქიდან, რომ თავისუფალი კონკურენციის პირობებში ყოველთვის ყალიბდება ერთი - და შესაძლოა ერთადერთი - წონასწორული მდგომარეობა. მაგრამ ჩვენ უკვე განვიხილეთ საპირისპირო მაგალითი: არა ერთი, არამედ ორი მდგრადი წონასწორული მდგომარეობის დაბადების შემთხვევა. ამასთან, მთლიანად ეკონომიკისთვის სულაც არ არის ადვილი „გადახტეს“ ერთი მდგრადი მდგომარეობიდან მეორეში, რადგან ხშირად ეს პროცესი შესაძლებელი ხდება მხოლოდ რაღაც კოლექტიური მოქმედებების მეშვეობით. ხოლო სინამდვილეში ეკონომიკური ქცევა გაცილებით უფრო რთულია. დაუშვათ ეკონომიკას შეუძლია, ქანქარას მსგავსად, გამუდმებით გადაადგილდეს ერთი მდგრადი მდგომარეობიდან მეორეში. ამ დროს სრული დასაქმება პერიოდულად შეიცვლება ნაწილობრივი დასაქმებით“ (Хакен, 2003, 182). „ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კოლექტიური ქცევა. ასეთი ქცევის საფუძველზე შეიძლება დაიბადოს მოვლენები, რომელებიც რადიკალურად სცილდებიან ადამ სმითის სულისკვეთების მქონე კლასიკურ ეკონომიკურ თეორიებს და მის პოსტულატს ეკონომიკური წონასწოეობის შესახებ“ (იქვე, 188).

4. ეგზოგენური ფაქტორებით პერიოდულად წარმოქმნილი ეკონომიკური აქტივობის მკვეთრ ვარდნებს გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკა, რომელიც სავსებით გასაგები ხდება სისტემური მიდგომის პოზიციებიდან. როგორც უკვე აღინიშნა, რესურსების სრული გამოყენების პირობებში, როდესაც სისტემა იმყოფება წონასწორობაში და ოპტიმალური ფუნქციონირების რეჟიმში, ეკონომიკური სისტემა იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში. ხოლო ღრმა კრიზისის პირობებში, არაოპტიმალური ფუნქციონირების რეჟიმში, როდესაც სისტემა აგრეთვე იმყოფება წონასწორობაში, სისტემა არის მდგრადი. ეს აიხსნება იმით, რომ პიკის პირობებში ეკონომიკური სისტემა ხდება ხისტი და მყიფე. რაც უფრო უახლოვდება ეკონომიკა თავის პოტენციალს, მით უფრო

ცოტა რჩება თავისუფალი რესურსები. აქ ეკონომიკა წონას-წორობაშია, რესურსები ამოწურულია, დარგები ჰარმონიულად ფუნქციონირებენ შესაძლებლობების ზღვარზე და ერთმანეთთან სრულ თანხმობაში. ასეთ პირობებში რომელიმე დარგში წარმოქმნილი სიჭარბე ან დეფიციტი ადვილად ვრცელდება მომიჯნავე დარგებში. დარგების ურთიერთდამოკიდებულების პირობებში ეს დისბალანსი ბადებს ჯაჭვურ რეაქციას, რომლის შეჩერებაც ძნელია და სისტემა კარგავს წონასწორობას. ხოლო კრიზისის და გამოუყენებელი რესურსების არსებობის პირობებში ასეთი პრობლემა, ცხადია, არ იბადება.

აღმავლობის დროს ეკონომიკურ პროცესში რესურსების ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთკოორდინაციის პირობებში, მხოლოდ ეკონომიკურ ნაკადებს შორის პროპორციების დაცვის პირობებში. ამიტომ მათი ჩართვა პროცესებში ხდება თანდათან, პარტნიორების მიერ ურთიერთმომგებიანი კავშრების მოძიებით, წესრიგის დაცვით და ერთმანეთთან შეთანხმებულად. ეს საჭიროებს დროს. ხოლო ვარდნის პროცესში კავშირების წყვეტა არ საჭიროებს დიდ დროს, ხდება სწრაფად და ჯაჭვური რეაქციით ვრცელდება მთელ სისტემაში. ანუ, კავშირების წყვეტა უფრო ადვილია, ვიდრე მათი დამყარება. ამიტომ ვარდნა ხდება სწრაფად, ხოლო აღმავლობა - თანდათან.

სრული დასაქმების პირობებში, როდესაც ყველა რესურსი ჩართულია ეკონომიკურ პროცესებში, და სუბიექტების მოქმედებები ორგანიზებულია კოორდინირებული ეკონომიკურ ნაკადების ფორმით და ქმნიან წესრიგს, ეკონომიკური სისტემის *ენტროპია მინიმალურია.* ფსკერზე, კრიზისის პირობებში, როდესაც მდგრადი ეკონომიკური კავშირები გაწყვეტილია და სუბიექტები ქაოტურად ეძებენ პოტენციურ კონტრაგენტებს ოპორტუნისტული ქცევის რისკის პირობებში, *ენტროპია მაქსიმალურია.*

პერიოდულად აღმოცენებული ღრმა და ხანგრძლივი ეგზოგენური კრიზისები და შემდგომი ეკონომიკური აღმავლობა ბადებენ

ეკონომიკური აქტივობის უფრო დიდი ზომის ტალღებს, ვიდრე ენდოგენური ციკლები. სისტემის „საკუთრივი ქცევის“ ალგორითმები პირველ და მეორე შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში ხდება სისტემის თანდათან მიახლოვება ეკონომიკურ პოტენციალთან დინამიკური წონასწორობის რეჟიმში და შემდეგ, გარკვეული ფლუქტუაციების შემდეგ, სისტემა აქედან აკეთებს მკვეთრ ნახტომს ღრმა დეპრესიაში. ამასთანავე ხდება ეკონომიკური ნაკადების ძველი წონასწორული სტრუქტურის ნგრევა და ახლის ფორმირება. დეპრესიიდან, ახალი სტრუქტურის მქონე სისტემა დინამიკური წონასწორობის რეჟიმში კვლავ უახლოვდება თავის პოტენციალს და ყველაფერი მეორდება. რაც შეეხება ენდოგენურ ციკლურ რყევებს გრძელვადიანი ციკლის პიკის მიდამოებში, გრძელვადიანი ციკლის თვალსაზრისით ისინი გამოიყურებიან როგორც ეკონომიკურ პოტენციალთან სიახლოვეში შემთხვევითი ფლუქტუაციები პიკის არამდგრადი წონასწორობის ირგვლივ. ანუ პიკთან, წონასწორულ მდგომარეობაში, არსებობს „მდგრადობის ზღურბლი“. როგორც კი სისტემა გადასცდება მას, იგი ვარდება ღრმა კრიზისში (ამის მაგალითებია, მსოფლიო კრიზისები, მათ შორის „დიდი დეპრესია“, 2008 წლის მსოფლიო კრიზისი და სხვ.);

5. ქაოსის თეორიის ერთ-ერთი დამაარსებელი ილია პრიგოჟინი წერს: „იზოლირებული სისტემის შემთხვევაში წონასწორობა თავისკენ იზიდავს არაწონასწორულ მდგომარეობებს, ანუ ასრულებს „ეთრექტორის“ როლს“ (Пригожин, 1986, 88). რატომ მოძრაობს ეკონომიკური სისტემა პიკის წონასწორული მდგომარეობისაკენ, ანუ ეთრექტორისაკენ, რომელშიც სისტემა აღწევს ოპტიმალურ მდგომარეობას? იმიტომ, რომ ყოველი სუბიექტი ისწრაფვის ოპტიმალურობისაკენ და ცდილობს თავიდან აირიდოს დანაკარგები. ანუ ადგილი აქვს სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების

თანხვედრას. ამასთან, ასეთი მდგომარეობის მიღწევა შისაძლებელია მხოლოდ წონასწორობის პირობებში.

„ეთრექტორი არის სისტემის (სტრუქტურის) მდგრადი მდგომარეობა, რომელიც თითქოსდა თავისკენ „იზიდავს“ (ლათინურიდან - attrehere - მიზიდვა) სისტემის იმ „ტრაექტორიების“ სიმრავლეს, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა საწყისი პირობების მიერ (თუ სისტემა მოხვდა ეთრექტორის მოქმედების კონუსში ან სფეროში, მაშინ იგი გარდუვალად იწყებს ევოლუციას ამ მდგრადი მდგომარეობის/სტრუქტურის მიმართულებით). მაშინ, როდესაც თვითორგანიზების შესახებ შრომების უმრავლესობაში ეთრექტორის ქვეშ იგულისხმება შედარებით მდგრადი მდგომარეობის გამოსახულება ფაზურ სივრცეში, ამ ნაშრომში ეთრექტორები ეწოდება ღია არაწრფივ გარემოში არსებულ რეალურ სტრუქტურებს, რომლებთანაც გადიან ევოლუციის პროცესები ამ გარემოში მიმდინარე შუალედური, გარდამავალი პროცესების დასრულების შედეგად. ავღნიშნავთ რა ამას, ჩვენ ხშირად ვგულისხმობთ მთლიან ახალწარმონაქმნს „სტრუქტურებს-ეთრექტორებს“ (Князева, http://lib.icr.su/node/1247).

საკუთრების გაზრდა სუბიექტებს შეუძლიათ ან ახალი ფასეულობების შექმნით, ან მათი გადანაწილების გზით. ფასეულობების შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა სუბიექტებთან კოოპერაციის გზით. ამიტომ ყველა ეძებს ურთიერთმომგებიანი კოოპერაციის შესაძლებლობებს სხვა სუბიექტებთნ და აქ ყველა სუბიექტის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ სუბიექტებს შეუძლიათ მიიღონ ცალმხრივი მოგება აგრეთვე გადანაწილების გზით. აქ უკვე იწყება პარტნიორთა ინტერესების ერთმანეთისგან დაშორება. იწყება კონკურენცია სუბიექტებს შორის. ამ კონკურენტულ ბრძოლაში ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს საკუთარ ინტერესებზე თავდასხმისაგან. წონასწორობის და ყველა სუბიექტის ინტერესთა ბალანსის პირობებში ყოველი სუბიექტის მაქსიმალურ მოგებას გააჩნია ზღვარი, რომლის იქით მოგების შემდგომი ზრდა დაკავშირებულია მეორე სუბიექტის ზარალთან.

ეს არის ოპტიმალურობა პარეტოს მიხედვით. ანუ, სისტემა ფუნქციონირებს ოპტიმალურად პარეტო ოპტიმუმის პირობებში, რომელიც მიიღწევა წონასწორობის შემთხვევაში, და რომელიც ხასიათდება კოოპერაციის და კონკურენციის ურთიერთსაპირის-პირო ძალების ბალანსით. „სიმეტრიული მოდელი“ სწორედაც წარმოადგენს ასეთი იდეალური ეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელშიც ეკონომიკა აღწევს ოპტიმალურ ფუნქციონი-რებას საპირისპირო ინტერესების ბალანსის საშუალებით;[117]

6. კრიზისი წარმოადგენს სისტემიდან ყოველივე მოძვე-ლებულის და არასიცოცხლისუნარიანის განდევნას, და მისი განვითარებისათვის საჭირო ნოვაციების გამოცდას სიცოცხლის-უნარიანობაზე. ექსპანსიის ტალღაზე, დეპრესიიდან ახალი მწვერვალისაკენ მოძრაობის პროცესში, ეკონომიკურ სისტემაში იბადება ახალი ფუნქციონალური კავშირები, სტრუტურები, იხსნება ახალი ბაზრები, იბადება ახალი მოთხოვნილებები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და ა.შ. მაგრამ ზოგი მათგანი სიცოცხლისუნარიანია, ზოგი - არა, ზოგი მათგანი აუცილებელია საზოგადოების და ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის, ზოგი - შემთხვევითია, ზოგი პროგრესულია, ზოგი - რეგრესულია. მაგრამ რეცესიის დროს ყოველივე შემთხვევითი, არასიცოცხლის-უნარიანი და რეგრესული ნადგურდება. ხოლო პროგრესული, სიცოცხლისუნარიანი და აუცილებელი - შენარჩუნებულია. ანუ, სისტემის ასეთი ტალღისებური მოძრაობის საბოლოო შედეგი არის მხოლოდ პროგრესულის შენარჩუნება, რაც იწვევს სისტემის

---

[117] *„სიმეტრიული სტრუქტურები წარმოადგენენ ასიმპტოთიკებს, ეთრექტორებს, თვითორგანიზების პროცესების მიზნებს. კერძოდ, დადგენილია, რომ გარემოში შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა ხარისხის სირთულის და სხვადასხვა ტიპის სიმეტრიის მქონე სტრუქტურები. ... ამასთან სიმეტრია წარმოადგენს რთული სტრუქტურის მეტასტაბულური თვითშენარჩუნების პირობას ...“ (Князева, http://lib.icr.su/node/1247).*

განვითარებას. ამიტომ სისტემის რყევები ხდება სისტემის განვითარების გრძელვადიანი ტრენდის ირგვლივ. მაგრამ ეს ტრენდი მხოლოდ იგულისხმება, ხოლო სისტემის მოძრაობის ფაქტიურ ტრაექტორიას აქვს ზიგზაგის ფორმა, რომელშიც ყოველი მომდევნო პიკი წინა პიკზე უფრო მაღალია, და ყოველი მომდევნო ფსკერი წინა ფსკერზე უფრო მაღალი.

ეს პროცესი ჰგავს დარვინისეულ ბუნებრივი შერჩევის პროცესს. ახლის შექმნისას წინასწარ არავინ იცის თუ რამდენად სისცოცხლისუნარიანი და აუცილებელია იგი. მხოლოდ დრო გამოაჩენს ამას. „ცდისა და შეცდომის“ პრინციპი არის ევოლუციის ერთადერთი გზა, როდესაც სისტემა ფუნქციონირებს ქაოტურად და არ ხდება მისი რეგულირება გაცნობიერებული მიზნების საფუძველზე. ასეთი განვითარება არის მილიონობით ადამიანების ურთიერთქმედების სპონტანური შედეგი, რომელთაგანიც ყოველი მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით.

თავი 4. საბაზრო ეკონომიკის სისტემური პრობლემები

4.1. შიდასისტემური წინააღმდეგობები

4.1.1. განვითარების კულმინაცია

1. როგორც ვნახეთ, საბაზრო ეკონომიკა თავის თავში შეიცავს დიალექტიკურ წინააღმდეგობებს, კ. მარქსის ტერმინოლოგიით „შინაგან წინააღმდეგობებს“. სწორედ საპირისპირო ძალების ურთიერთქმედებას მოჰყავს სისტემა მოძრაობაში. კერძოდ, ურთიერთ საპირისპირო ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სუბიექტები იწყებენ ურთიერთქმედებას. მათი მოქმედებები ქმნიან ეკონომკურ მოქმედებათა ერთიან სისტემას - საბაზრო ეკონომიკას. სუბიექტების ურთიერთ საპირისპირო მოთხოვნილებები იბადება და კმაყოფილდება მათივე აქტივობით.

ეკონომიკა ნორმალურად ვითარდება, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე აღწევს კულმინაციას. აქ თავს იჩენენ სისტემური პრობლემები. რთულდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ინტერესთა კონფლიქტი მწვავდება. სისტემა ვეღარ უმკლავდება შიდასისტემურ წინააღმდეგობებს. ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი გადის გარეთ ეკონომიკური სივრციდან. მისი გადაჭრა შეუძლებელი ხდება მხოლოდ ეკონომიკური მოქმედებებით, საჭიროებენ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოქმედებებს, ახალ იდეებს. ჩნდებიან მეამბოხეები კრიტიკული იდეებით და ახალი ფასეულობებით. ეს იდეები ვრცელდება და ახდენენ სოციალური აქტივობის ინსპირაციას. ამის შედეგად არსებული სისტემა ინგრევა და ახალი - იბადება. ახალი სისტემა ჩანასახური ფორმით

იბადება ძველი სისტემის ფარგლებში. სისტემა ინგრევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მომწიფდება ახალი სისტემის წინაპირობები. ეკონომიკური სისტემის წიაღში იბადება ის პროცესებიც, რომლებიც ბოლოს ანგრევენ მას, და იმ სისტემის წინაპირობებიც, რომელიც ჩაანაცვლებს მას.

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები განაპირობებენ ერთმანეთს. საბაზრო ეკონომიკამ და დემოკრატიამ ერთად მოიტანეს ცივილიზაციის პროგრესი. მაგრამ, გარკვეულ ეტაპზე, მათ შორის წინააღმდეგობა მწვავდება და ისინი ხდებიან ერთმანეთთან შეუთავსებელი. ეს დაპირისპირება განვითარების ლოგიკური შედეგია და ხდება გარდუვალი როდესაც შიდასისტემური წინააღმდეგობები გადიან ეკონომიკური სივრციდან პოლიტიკურ სივრცეში. დაპირისპირების შედეგად ორივე სისტემა დაინგრევა და წარმოიშვება სრულიად ახალ პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოება. კონკრეტულად, მოვლენების განვითარების როგორი „სცენარია“ მოსალოდნელი?

2. საბაზრო ეკონომიკა ბადებს ეკონომიკურ პოლარიზაციას. უმცირესობა მდიდრდება, უმრავლესობა (ფარდობითად) ღარიბდება. დემოკრატიული სისტემის პირობებში ეს ბადებს დაპირისპირებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალებს შორის. კერძოდ, პოლარიზაციის შედეგად, ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია იზრდება საზოგადოების უმცირესობის ხელში, ხოლო კონსტიტუციით მინიჭებული პოლიტიკური ძალაუფლება რჩება უმრავლესობის ხელში. იქამდე სანამ, სახელმწიფო აპარატი იმყოფება ეკონომიკური ელიტის გავლენის ქვეშ, სახელმწიფო იცავს მათ ინტერესების. როდესაც მეამბოხე იდეების გავლენით ელექტორატი გააცნობიერებს რეალურ პრობლემას, პოლიტიკურად გააქტიურდება და კონსტიტუციურად გადაირჩევს ხელისუფლებას, სახელმწიფო დაიცავს საზოგადოების ინტერესებს.

ასეთი ხელისუფლება დაამკვიდრებს მერიტოკრატიას და ითანამშრომლებს არა ეკონომიკურ, არამედ ინტელექტუალურ

ელიტასთან. დაიწყება ძირფესვიანი გარდაქმნები ყველა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაში. დაიბადება სრულიად ახალი ტიპის საზოგადოება, დაფუძნებული ცოდნის ეკონომიკაზე, მეცნიერულ მიღწევებზე და ტექნოლოგიური პროგრესზე, სამართლიანობაზე, ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. წარმოების მთავარი ფაქტორი იქნება ადამიანური კაპიტალი, მთავარი პროდუქტი - ცოდნა, მთავარი სტიმულები - შემოქმედებითი. დღეს თანდათან უკვე ყალიბდება ამის წინაპირობები.

3. ერთ-ერთი მეამბოხე, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში განჭვრიტა შიდასისტემური წიააღმდეგობები, რომლებიც დაანგ-რევენ კაპიტალიზმს, იყო კარლ მარქსი. საუკუნე-ნახევარის წინ შექმნილ დოქტრინაში ბევრი რამ აღმოჩნდა მცდარი. მართალია, „მისი შეცდომებიც გენიალურია“ (მარქსი), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მისი ის იდეები, რომლებიც აღმოჩნდა სწორი, და რომლებიც შეგვიძლია „ამოვიკითხოთ“ მიმდინარე პროცესებში. კაპიტალიზმის „ფუნდამენტური წინააღმდეგობა“, რომელიც მარქსმა აღმოაჩინა სისტემის დიალექტიკური ანალიზის საფუძ-ველზე, და რომელსაც სისტემა ბოლოს შეყავს „ჩიხში“, არის წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძომესაკუთრეობრივ ხასიათს შორის. როგორ ვლინდება ეს წინააღმდეგობა დღევანდელ რეალობაში?

4.1.2. ეკონომიკური პოლარიზაცია და მისი შედეგები

1. სტანდარტული მაკროეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ არსებობს ალტერნატივა უთანაბრობის შემცირებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობას შორის. ანუ, უთანაბრობის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირების

ხარჯზე.[118] ითვლება, რომ შემოსავლების გადანაწილება, რომელიც გულისხმობს მაღალ პენსიებს, შემწეობებს უმუშევრობისათვის, სუბსიდიებს, პროგრესულ საგადასახადო სისტემას და სხვ., ასუსტებს შრომის სტიმულებს და იწვევს რეალური მშპ-ის შემცირებას. ეს არის ლიბერალების ერთ-ერთი არგუმენტი სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის წინააღმდეგ. მაგრამ ფაქტები და თანამედროვე კვლევები მოწმობენ საპირისპიროს.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ უთანაბრობა უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდაზე და მისი ფუნქციონირების მდგრადობაზე. უთანაბრობა არის არა მარტო მორალური, არამედ აგრეთვე წმინდა ეკონომიკური პრობლემა. უთანაბრობისათვის საზოგადოებას უწევს მაღალი საფასურის გადახდა. ეს დასკვნა დასტურდება მრავალი გამოკვლევით, მათ შორის IMF -ის კვლევებით. კერძოდ, ამ კვლევებიდან ირკვევა, რომ მაღალი უთანაბრობის მქონე ქვეყნები, ხშირად ხასიათდებიან ზრდის დაბალი ტემპებით და არასტაბილურობით.

„შემოსავლების განაწილება გავლენას ახდენს ზრდაზე. IMF-ის წინა გამოკვლევებიდან გაირკვა, რომ შემოსავლების უთანაბრობა (რომელიც იზომება ჯინის კოეფიციენტით ...) უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე და მის მდგრადობაზე ... . უფრო მაღალი ჯინის წმინდა კოეფიციენტი (რომლითაც იზომება შემოსავლების უთანაბრობა გადასახადების და ტრანსფერების გარეშე) ასოცირდება გამოშვებული პროდუქციის უფრო დაბალ ზრდასთან საშუალოვადიან პერსპექტივაში, რაც შეესაბამება წინა აღმოჩენებს. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ უკუკავშირი მდიდრების (ზედა 20%) შემისავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. თუ ზედა 20%-ის შემოსავლების წილი იზრდება 1 საპროცენტო პუნქტით, მშპ-ის ზრდა ფაქტობრივად 0.08 პროცენტული პუნქტით ***დაბალია*** *შემდგომი ხუთი წლის*

[118] ამ თეორიის დასაბუთება სცადა არტურ ოუკენმა 1975 წელს ნაშრომში *Equality and Efficiency: The big Tradeoff. Brooking Institution.* იმის შემდეგ ეს თეორია მოყვანილია ეკონომიქსის მრავალ სახელმძღვანელოში.

*განმავლობაში ... . და პირიქით, ქვედა 20%-ის (ღარიბების) შემოსავლების წილის ასეთივე ზრდა ასოცირდება 0,38 პროცენ-ტული პუნქტით უფრო **მაღალ** ეკონომიკურ ზრდასთან. ეს პოზიტიური კავშირი განკარგვადი შემოსავლების წილსა და მაღალ ეკონომიკურ ზრდას შორის შენარჩუნებულია მეორე და მესამე კვანტილებში (საშუალო ფენაში). ეს შედეგები დადასტურდა მრავალი შემოწმების შედეგად .... " (IMF,2015, 7).*[119]

2. თავისთავად მდიდარი ან ღარიბი არ არსებობს. მდიდარი და ღარიბი - ფარდობითი ცნებებია.[120] ადამიანები ერთმანეთთან შედარებით არიან მდიდრები ან ღარიბები. ამიტომ, საზოგადოების ერთი ნაწილის გამდიდრება თავისთავად გულისხმობს მისი მეორე ნაწილის გაღარიბებას. ამ თვალსაზრისით, პოლარიზაცია სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის, შესაძლოა ხდებოდეს, და ხდება კიდეც, კეთილდღეობის საერთო დონის ზრდის პირობებში. პარადაქსულად ჟღერს, მაგრამ, ადამიანები შესაძლოა ღარიბდებოდნენ მათი კეთილდღეობის ზრდასთან ერთად.[121]

---

[119] *„... ამ კვლევაში გამოკვლეული იქნა ქვეყნების უფრო მრავალფეროვანი ჯგუფები და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ღარიბი და საშვალო კლასების - ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალების - შემოსავლების წილებს." (IMF,2015,4). „ბოლო მონაცემები ასევე მოწმობენ, რომ ქრონიკული უთანაბრობა აჩერებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, და უფრო ართულებს სიღარიბის შემცირებას." (OXFAM, 2014, 9-10)*

[120] როდესღაც მდიდარი, დღეს შესაძლოა ღარიბად ჩაითვალოს და, პირიქით. ასევე, ერთი და იგივე ქონების მფლობელი შესაძლოა ღარიბად ითვლებოდეს ერთ ქვეყანაში და მდიდრად - მეორეში.

[121] უთანაბრობა დაკავშირებულია შემოსავლების და სიმდიდრის განაწილებასთან ღირებულებით გამოსახულებაში, ხოლო ცხოვრების დონე, პირველ რიგში, გულისხმობს მოსახლეობის დოვლათით უზრუნველყოფას ნატურალურ გამოსახულებაში. ამიტომ, უთანაბრობა და ცხოვრების დონე ქვეყანაში შესაძლოა იზრდებოდეს ერთდროულად. რადგან პირველს განაპირობებს ღირებულების *განაწილება,* ხოლო მეორეს - დოვლათის *რაოდენობა.* ამიტომ, ეკონომიკური უთანაბრობა მდიდარ ქვეყანაში შეიძლება იყოს უფრო მაღალიც, და უფრო დაბალიც, ვიდრე ღარიბ ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დონე ღარიბ ქვეყანაში ყოველთვის უფრო დაბალია. ცხოვრების დონე დამოკიდებულია

რაც უფრო დიდია შემოსავლები, მით უფრო დიდია დანაზოგები, რომლებიც ზრდიან სიმდიდრეს, ხოლო სიმდიდრე გულისხმობს აქტივებს, რომელთაც მოაქვთ შემოსავლები. სიმდიდრესა და შემოსავლებს შორის არსებობს წრიული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ისინი განაპირობებენ ერთმანეთს.[122] სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებში ეს პრინციპი ღებულობს რეალიზების განსხვავებულ ფორმებს. საბაზრო ძალების მოქმედების პროცესში, კონკურენტულ ბრძოლაში ზოგი აღწევს წარმატებას, ზოგი მარცხდება. ეს აისახება შემოსავლებში და, შესაბამისად, სიმდიდრეში. ერთი მხარე მდიდრდება მეორეს ხარჯზე. იზრდება ეკონომიკური უთანაბრობა. სახელმწიფო ახდენს შემოსავლების გადანაწილებას, რათა შეასუსტოს სოციალური დაძაბულობა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკაში უთანაბრობის ზრდის მთავარი ფაქტორი არის თვითონ საბაზრო ეკონომიკა, მისი შინაგანი ბუნება და ამიტომ უთანაბრობა გარდაუვალია.[123] თუმცა, ეკონომიკური უთანაბრობის ზრდა მიმდინარეობს მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საერთო ფონზე. ეს ხელს უშლის საზოგადოებას ბოლომდე გააცნობიეროს

ტექნოლოგიებზე, ეკონომიკურ აქტივობაზე, შრომის მწარმოებლურობაზე, ხოლო უთანაბრობა - შემოსავლების და სიმდიდრის განაწილების და გადანაწილების მასშტაბებზე.

[122] ბიბლიაშიც კი წერია - „გეუბნებით თქვენ, რომ ყოველ მქონეს მიეცემა, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაცა აქვს.“ (ლუკას სახარება, 19:26.) ანუ ეს პროცესი ახასიათებს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკას.

[123] 2007 წელს საბაზრო ეკონომიკის სამაგალითო ქვეყანაში აშშ-ში, უმდიდრესი 1% ერთ კვირაში იღებს 40%-ით მეტ შემმოსავალს, ვიდრე უღარიბესი 20% იღებს წელიწადში. უმდიდრესი 0.1% დღენახევარში იღებს დაახლოებით იმდენ შემოსავალს, რასაც ქვედა 90% იღებს წელიწადში. (იხ. Stiglitz, 2012, 15). უთანაბრობა სიმდიდრის განაწილებაში უფრო დიდია, ვიდრე შემოსავლების განაწილებაში. ამერიკელების 1% ფლობს სიმდიდრის 35%-ს. მარტო „უოლ-მარტის იმპერიის“ ექვსი მემკვიდრე (უოლტონების ოჯახიდან), განკარგავენ $69,7 მილიარდს, რაც უდრის აშშ-ის ქვედა 30%-ის ქონებას. (იხ. Stiglitz, 2012, 18). მეტ-ნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა ქვეყნებში, სადაც საბაზრო ძალებს ეძლევათ მეტი თავისუფლება. უფრო დიდია უთანაბრობა მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიოს მოსახლეობის 1% ფლობს მსოფლიოს სიმდიდრის თითქმის ნახევარს.

განვითარებულ ეკონომიკაში არსებული უთანაბრობის მასშტაბე-ბიც და ვითარების აბსურდულობაც.

3. ყოველი კაპიტალისტი მოგების ზრდის მიზნით ცდილობს გააკეთოს ეკონომია შრომის და რესურსების დანახარჯებზე. ცდილობს შრომა ჩაანაცვლოს მანქანებით, რობოტებით, კომპიუ-ტერებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეამციროს რესურსების ხარჯვა. ქირაობს უფრო იაფ სამუშაო ძალას, იყენებს ქალების და იმიგრანტების შრომას. წარმოება გააქვს განვითარებად ქვეყნებში, სადაც იაფია შრომა და რესურსები, ან იქიდან თავის ქვეყანაში შეაქვს იაფი რესურსები.

მაგრამ ყოველივე ეს ბადებს ახალ პრობლემას. თუ ყველა მეწარმე შეამცირებს დაქირავებულ შრომას ან ხელფასებს, მშრომელებს ექნებათ ნაკლები შემოსავლები და მსყიდველობითი უნარი. ხოლო ისინი შეადგენენ საზოგადოების ძირითად ნაწილს, ვისთვისაც იწარმოება ეს საქონელი. თუ მათ არ ექნებათ საკმარისი შემოსავალი, ისინი ვერ იყიდიან საქონელს.

ანალოგიურად, განვითარებული ქვეყნები იაფად ყიდულობენ რესურსებს ღარიბ ქვეყნებში და ამცირებენ რესურსების ხარჯვას ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. ამიტომ ღარიბ ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი მსყიდველობითი უნარი, რომ იყიდონ პროდუქცია განვითარებული ქვეყნებისგან. ხარჯების შემცირების მიზნით განვითარებული ქვეყნებიდან წარმოება გააქვთ ღარიბ ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალა იაფია. ამის შედეგია სამუშაო ადგილების, ხელფასების და მსყიდველობითი უნარის უფრო მეტად შემცირება თვითონ განვითარებულ ქვეყნებში. ანუ, მდიდარი ქვეყნები კარგავენ ბაზრებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, რჩებიან თავიანთ პროდუქციაზე მოთხოვნის გარეშე. გამოდის, რომ კაპიტალისტები სულ უფრო მეტ საქონელს აწარმოებენ საზოგადოებისთვის და სულ უფრო ნაკლებ ფულს აძლევენ მას ამ საქონელის საყიდლად. ეს არის სისტემური წინააღმდეგობა, რომელსაც სისტემა შეჰყავს ჩიხში.

ლიბერალების ტრადიციული კონტრარგუმენტია, ის, რომ თუ ხელფასები შემცირდება, მაშინ საქონლის ფასებიც შემცირ-დება, კონკურენცია გააწონასწორებს მოთხოვნას და მიწოდებას და პრობლემაც მოიხსნება. მაგრამ ეს არ არის ასე. ჯერ ერთი, განვითარებულ ეკონომიკაში საბაზრო კონკურენცია დიდი ხანია შეიზღუდა მონოპოლიებით და ოლიგოპოლიებით, შესაბამისად, ფასებმა და ხელფასებმა დაკარგეს ელასტიკურობა. მაგრამ პრობლემები იბადება არა მხოლოდ ამ მიკროეკონომიკურ დონეზე. უფრო სერიოზული, გადაულახავი შიდასისტემური პრობლემები იბადება მაკროდონეზე. კერძოდ, ირღვევა შიდასისტემური პროპორციები მაკროეკონომიკურ ნაკადებს შორის, რაც იწვევს ეკონომიკის ბლოკირებას.

4.1.3. შეუსაბამობა ერთობლივ მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის

1. როგორც ცხადი გახდა „სიმეტრიული მოდელიდან“, წარმოების ფაქტორების შემოსავლები (ხელფასი, სარგებელი, რენტა, მოგება) წარმოადგენენ იმ პირველად შემოსავლებს, რომლებითაც ხდება წარმოებული პროდუქტების ყიდვა, ანუ საბოლოო პროდუქტის წარმოების პროცესშივე იქმნება ის მსყიდ-ველობითი უნარი, რომელიც უზრუნველყოფს მის რეალიზებას.[124] იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი მოთხოვნა ამისათვის არ იქნება საკმარისი, ეკონომიკა დაიწყებს ვარდნას.

[124] ამ მსყიდველობითი უნარის ნაწილი გადანაწილდება საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით პენსიებზე, შემწეობებზე, სახელმწიფო სექტორში მომუშავეთა ხელფასებზე, სუბსიდიებზე და სხვ., მაგრამ ამით არ იცვლება მისი წარმომავლობის წყარო.

„სიმეტრიული მოდელიდან“ აგრეთვე ჩანს, რომ წარმოების პროცესში შექმნილი შემოსავლების ნაწილი იზოგება, რაც ამცირებს მომხმარებელთა მოთხოვნას წარმოებულ პროდუქტებზე. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოებული საქონლის გარკვეული ნაწილი არც არის განკუთვნილი მომხმარებლებისთვის, და განკუთვნილია თვით საწარმოო პროცესებისთვის. ეს არის საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დოვლათი, რომელიც აუცილებელია როგორც ამორტიზირებული კაპიტალის შეცვლისთვის, ასევე კაპიტალის საერთო ფონდის ზრდისთვის. ამ კაპიტალური დოვლათის წარმოება საჭიროებს ხანგრძლივ პერიოდს, რაც დაკავშირებულია გრძელვადიან ინვესტიციებთან და ფინანსირდება კრედიტების მეშვეობით. ხოლო რადგან ინვესტიციებისთვის საკრედიტო რესურსების ფორმირება (საბანკო სისტემაში) ხდება დანაზოგებიდან, ამიტომ, წონასწორობის პირობებში დანაზოგები უდრის ინვესტიციებს. შესაბამისად, სამომხმარებლო მოთხოვნა უდრის სამომხმარებლო საქონლის მიწოდებას;[125]

2. შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება და მცირდება მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება.[126] ეს ნიშნავს, რომ ჯ. მ. კეინზის „ფსიქოლოგიური კანონის“ თანახმად შემოსავლების ზრდის შემთხვევაში შემოსავლების ყოველ მომდევნო დამატებით ერთეულში დანაზოგის წილი იზრდება, ხოლო მოხმარების წილი - მცირდება. პირიქით ხდება შემოსავლების შემცირების დროს - ზღვრულ

---

[125] ანალიზის გასამარტივებლად არ ვითვალისწინებთ სახელმწიფო სექტორს და საგარეო ვაჭრობას.

[126] სხვა სიტყვებით, მდიდრები მოიხმარენ თავისი შემოსავლების უფრო მცირე (და ზოგავენ უფრო დიდ) ნაწილს, ვიდრე ღარიბები - თავის შემოსავლებიდან. თუ, მაგალითად, ინდივიდის შემოსავალი გაათმაგდა, მართალია იგი გაზრდის მოხმარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მოიხმარს ათჯერ მეტ კვების პროდუქტს, მანქანებს, მაცივრებს, კომპიუტერებს ან მობილურ ტელეფონებს. ამიტომ, მდიდრები ზოგავენ თავიანთ შემოსავლების უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე ღარიბები.

შემოსავალში დაზოგვის წილი მცირდება, ხოლო მოხმარების წილი იზრდება. ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად დანაზოგები იზრდება შემოსავლებზე უფრო სწრაფად, ხოლო შემოსავლების შემცირების შემთხვევაში, მოხმარება მცირდება შემოსავლებზე უფრო სწრაფად.

ამის გამო, უთანაბრობის ზრდის შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების მდიდარი უმცირესობა იღებს ეროვნული შემოსავალის არაპროპორციულად დიდ წილს, რომლიდანაც უდიდესი ნაწილი იზოგება, მაშინ ეროვნულ შემოსავალში დანაზოგების საშუალო დონე უფრო მაღალია (ხოლო, მოხმარების საშუალო დონე უფრო დაბალი), ვიდრე იქნებოდა შემოსავლების თანაბარი განაწილების შემთხვევაში. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ირღვევა შესაბამისობა ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას შორის. რადგან, თუ მოხმარება შემცირდა, ხოლო დაზოგვა გაიზარდა, მაშინ ინვესტიციები, რომელებიც აგრეთვე მცირდება მოთხოვნის შემცირების პირობებში, აღარ შეესაბამება გაზრდილ დაზოგვას. ანუ, დანაზოგების (დანაზოგებიდან ფორმირებული საკრედიტო რესურსების) რაღაც ნაწილი რჩება ინვესტორების მხრიდან მოთხოვნის გარეშე. ამავდროულად, სამომხმარებლო მოთხოვნა, რომლის ძირითად ნაწილსაც შეადგენს საზოგადოების უმრავლესობის (შედარებით დაბალშემოსავლიანი ნაწილის) მოთხოვნა, მცირდება სამომხმარებლო საქონელის მიწოდებასთან შედარებით. პროდუქცია ვერ საღდება. ეს იწვევს ფასების, მოგების და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული წარმოების შემცირებას;

3. გამოდის, რომ, ერთი მხრივ, დანაზოგებიდან ფორმირებულ კრედიტებზე არ არის საკმარისი მოთხოვნა ინვესტიციების შემცირების გამო. მეორე მხრივ, სუსტია სამომხმარებლო მოთხოვნა, რაც იწვევს ეკონომიკის შენელებას. ასეთ შემთხვევაში ხდება ჭარბი დანაზოგებიდან ფორმირებული კრედიტების გადამისამართება და, საწარმოო ინვესტიციების ნაცვლად, ხდება შესუსტებული

მოთხოვნის დაკრედიტება. მართლაც, განვითარებულ ქვეყნებში არნახული მასშტაბები მიიღო სამომხმარებლო კრედიტმა, იპოთეკამ, ავტოკრედიტმა, სტუდენტურმა კრედიტმა, საკრედიტო ბარათებმა. ეს არის ბაზრის ბუნებრივი რეაქცია. თუ არსებობს თავისუფალი საკრედიტო რესურსები, რომლებზეც არ არის საინვესტიციო მოთხოვნა წარმოების სექტორში, მაგრამ არსებობს მოთხოვნა მოხმარების სექტორში მოთხოვნის ასამაღლებლად, ცხადია, რესურსები მიემართება იქ, სადაც მეტია მოთხოვნა.

4.2. საფინანსო სექტორი თანამედროვე ეკონომიკაში

4.2.1. ახალი ტენდენციები საბანკო საქმეში

1. ეკონომიქსის ყველა სახემლძღვანელოში წერია, რომ ა) ბანკები არიან მედიატორები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, და ბ) ბანკები იღებენ ფულს შიდამეურნეობებიდან და გასცემენ კრედიტებს მეწარმეებზე ალტერნატიული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. არც პირველი, და არც მეორე დებულება არ შეესაბანება სინამდვილეს. თანამედროვე ბანკები არ არიან უშუალო მედიატორები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის. მეორეც, კრედიტების ძირითადი ნაწილი მიემართება არა ბიზნეს-ინვესტიციებში ახალი კაპიტალის შესაქმნელად, არამედ ხმარდება მოხმარების ზრდას და უკვე არსებული აქტივების ყიდვას.

უამრავი გამოკვლევა მოწმობს ამ ახალი ტენდენციების და პროცესების მასშტაბებზე თანამედროვე საბანკო სისტემაში. განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა იპოთეკურმა კრედიტებმა. ასე მაგალითად, 17 ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის ეკონომიკის ანალიზის საფუძველზე, ეკონომისტები ო.

ჯორდა, მ.შულარიკი და ა. ტეილორი წერენ, რომ, დაწყებული 1870-ანი წლებიდან, 2007 წლისათვის ქვეყნების უმრავლესობაში ბანკები გადაიქცა ძირითად უძრავი ქონების კრედიტორებად.

> *„ბიზნეს-სექტორის საწარმოო ინვესტიციებისათვის შიდამეურნეობების დანაზოგების შუამავლობა - სახელმძღვანელოების თანახმად საფინანსო სექტორის სტანდარტული როლი - დღეს შეადგენს საბანკო საქმის მხოლოდ მცირე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ამ საბანკო საქმის ძირითადი ნაწილი მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში“ (Jordá, 2014, 2).*

მაგალითად, ინგლისში 2009 წელს საბანკო დაკრედიტების მხოლოდ დაახლოვებით 15% მოდიოდა საწარმოო ინვესტიციების დაფინანსებაზე. დიდი უმრავლესობა მოდიოდა არსებული აქტივების ან მოხმარების დაფინანსებაზე. ანუ, 85% იმისა, რასაც აკეთებს ინგლისში საფინანსო სისტემა არსებითად განსხვავდება იმისაგან, რასაც ამტკიცებენ სახელმძღვანელოები, ან ეკონომიკური კომენტატორები (იხ. Turner, 2016);

2. მართალია სახელმძღვანელოები ამტკიცებენ, რომ ბანკები წარმოადგენენ შუამავლებს დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის, მაგრამ, შემდეგ თვითონვე დაწვრილებით განმარტავენ იმას, თუ როგორ ქმნის ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა კრედიტებს და ახალ მსყიდველობით უნარს, და გასცემს მათ მსესხებლებზე. ანუ, ბანკები არ არიან უბრალოდ *მედიატორები* დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის. ისინი *ქმნიან* ახალ მსყიდველობით უნარს, რომელიც ადრე არ არსებობდა. შუამავლობა არ გულისხმობს ფულის შექმნას „ჰაერიდან“, და ისეთი საკრედიტო რესურსების სესხად გაცემას, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი დანაზოგებით. შუამავლის ფუნქცია გულისხმობს დამზოგველებიდან თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას და ამ რესურსებით მსესხებლების დაკრედიტებას საკომისიოს ფასად. საბანკო სისტემის მიერ ფულის „არაფრიდან“

შექმნის უნარის და ამის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების შესახებ დიდიხანია ცნობილია. ამის თაობაზე წერდნენ კ. ვიკსელი, ლ. მიზესი, ჯ.მ. კეინზი, ი. შუმპეტერი, ი. ფიშერი, ფ. ჰაიეკი და სხვ. ანუ ამაში არ არის არაფერი ახალი, მაგრამ თანამედროვე მეინსტრიმი ახდენს ამ პრობლემის მნიშვნელობის იგნორირებას, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ საბანკო სექტორის ასეთი ფორმით აქტივობამ წარმოშვა უამრავი პრობლემა ეკონომიკაში, და დიდწილად განაპირობა „დიდი დეპრესიაც“ გასული საუკუნის 30-იან წლებში და 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც.

3. საბანკო სექტორის ასეთი აქტივობის შედეგად თანამედროვე ეკონომიკაში არნახული მასშტაბები მიიღო საფინანსო სექტორის ზრდამ, რაც ქმნის ფინანსურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას, გასაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ფინანსები არის ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ყველა განვითარებულ ეკონომკაში ამ სექტორმა დაიწყო განსაკუთრებით სწრაფი ზრდა. მაგალითად, ს. რეინხარტის და კ. როგოფის გამოკვლევების თანახმად, საკრედიტო მხარი (ე.წ. *ლევერიჯი*, ანუ კერძო სექტორის კრედიტების თანაფარდობა მშპ-თან), განვითარებულ ეკონომიკებში გაიზარდა 50%-დან 1950 წელს, 170%-მდე 2007 წელს (ანუ, უშუალოდ მსოფლიო კრიზისამდე). (იხ. Reinhart, Rogoff, 2013).

2008 წლის კრიზისამდე, წლების განმავლობაში, ფინანსური სექტორი იზრდებოდა რეალურ სექტორზე უფრო სწრაფად. ბოლო 20 წლის განმავლობაში განვითარებულ ეკონომიკებში კრედიტი იზრდებოდა წელიწადში 10-15%-ით, მაშინ როდესაც ნომინალური ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო დაახლოვებით 5%. ცხადია, თუ წლიდან წლამდე კრედიტები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მშპ, მაშინ საკრედიტო მხარი (ლევერიჯი) გაიზრდება. მაგალითად აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საფინანსო სექტორის წილი 1950 წლიდან 2000 წლამდე 3-

ჯერ გაიზარდა. Human Development Report-ის მონაცემების თანახმად, კრედიტების თანაფარდობა მშპ-თან 2013 წელს შეადგენდა აშშ-ში 240%-ს, კანადაში - 173,1, შვეიცარიაში – 173,4, ავსტრიაში – 158,8, დიდ ბრიტანეთში – 184,1, იაპონიაში – 336,5, ესპანეთში – 205,1, იტალიაში – 161,8%-ს. (იხ. Human Development Report, 2015). მრავალი ათწლეულების განმავლობაში 2008 წლის კრიზისამდე ფინანსები აღემატებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორს. განვითარებულ ქვეყნებში ფინანსური სექტორის ასეთი ზრდა რეალურ სექტორთან შედარებით მოწმობს იმაზე, რომ ეკონმიკაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ერთია, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ცხადია, რომ ეს უკვე აღარ არის ის ეკონომიკა, რაც იყო ადრე.

4.2.2. ვალად მოხმაება და ფინანსური არასტაბილურობა

1. თუ დიდი ხნის განმავლობაში, წლიდან წლამდე, კრედიტების ზრდის ტემპები წინ უსწრებს მშპ-ის ზრდის ტემპებს, ეს უკვე ბადებს მოსაზრებას, რომ კრედიტების ზრდა გახდა აუცილებელი პირობა ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად. მაგრამ კრედიტების ასეთი ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. თუ მშპ-თან შედარებით კრედიტების წინმსწრები ზრდა გახდა აუცილებელი მისაღებ დონეზე ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად, მაშინ დროთა განმავლობაში ეკონომიკა გარდაუვალად დადგება ისეთი პრობლემების წინაშე, როგორიც არის „ვალების პრობლემა“, კრიზისი და პოსტკრიზისული პერიოდის გაწელვა.

სქემატურად ეს პროცესი შეიძლება აიხსნას ასე: თუ გარკვეულ პერიოდში დასუსტებული მოთხოვნის მხარდაჭერა მოხდა კრედიტების მეშვეობით, მაშინ მომდევნო პერიოდში, როდესაც მიმდინარე შემოსავლებიდან საჭირო გახდება ვალების გარკვეული ნაწილის დაბრუნება (პროცენტებთან ერთად), მაშინ მოთხოვნა

ისევ შემცირდება. ესე იგი შეჩერდება ან შენელდება ეკონომიკური ზრდა. ამიტომ, ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად, დაბრუნებული ვალების ახალი სესხებით ჩანაცვლების გარდა, საჭირო გახდება აგრეთვე დამატებითი საკრედიტო ინექციები. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ან ვარდნას, ან სტაგნაციას. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადრე გაცემული კრედიტების ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დაფარული და საჭიროებენ პროცენტების გადახდას, მაშინ, ახალი და ძველი ვალების ჯამური მოცულობა წლიდან წლამდე გაიზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე მშპ. ამიტომ, ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების შესანარჩუნებლად საჭირო ხდება კრედიტების უფრო მაღალი ტემპებით ზრდა. სწორედ ეს ბადებს კრედიტების ასეთ უჩვეულოდ სწრაფ ექსპანსიას;

2. თუ წარმოება და მოხმარება გაწონასწორებულია, რაც ბაზარზე ვლინდება წონასწორობაში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ეს ეკონომიკის ნორმალური მდგომარეობაა. მაგრამ თუ ასეთი წონასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ხდება მოხმარების სულ უფრო მზარდი ნაწილის განხორციელება ვალად მოხმარების ფორმით, ანუ, კრედიტების მეშვეობით, ეს უკვე აღარ არის ეკონომიკის ნორმალური მდგომარეობა. ადრე თუ გვიან მოვა „განკითხვის დღე“. არავინ იცის - როდის, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იგი გარდაუვალია, რადგან ვალად მოხმარება არის მოხმარება მომავალი შემოსავლების ხარჯზე. რაც უფრო მეტს მოვიხმართ ვალად დღეს, მით უფრო მეტის დაზოგვა მოგვიწევს მომავალში მომავალი შემოსავლებიდან ვალების დასაბრუნებლად და, შესაბამისად, მით უფრო ნაკლები დარჩება მომავალში მიმდინარე მოხმარებისათვის.

ანუ, ვალად მოხმარება ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. ვალი უნდა დაბრუნდეს მომავალი შემოსავლებიდან პროცენტებთან ერთად. დასაბრუნებელი ვალების ზრდა იწვევს ეროვნული შემოსავალის მოხმარებისათვის განკუთვნილი ნაწილის შემცი-

რებას, ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას და მშპ-ის შემცირებას. ამას ემატება ის გარემოება, რომ მოთხოვნისა და მშპ-ის შემცირების გამო ოპტიმისტური განწყობები იცვლება პესიმისტურით. ეს მკვეთრად ასუსტებს ახალი კრედიტების აღების სურვილს მსესხებლბლების მხრიდან და კრედიტების გაცემის სურვილს - გამსესხებლების მხრიდან. გაცემული კრედიტების მოცულობა ჯერ შეაჩერებს ზრდას, შემდეგ მცირდება, რაც გამოიწვევს მშპ-ის ვარდნას და კრიზისს. კრედიტების უზომოდ ზრდა, ვადაგასული ვალების დაგროვება, გაცემული სესხების და დაბრუნებული ვალების ბალანსის პროფიციტი და დეფიციტი, განაპირობებენ ფინანსურ არასტაბილურობას, რაც არის ისეთი ღრმა კრიზისების მიზეზი, როგორებიც იყო „დიდი დეპრესია“ გასულ საუკუნეში და „დიდი რეცესია“ 2008-ში;

3. 2011 წელს გამოიცა თანამედროვე ფრანგი ეკონომისტის ტომას პიკეტის ძალზე საინტერესო წიგნი *Capital in the Twenty–First Century,* რომელმაც უმალ მიიპყრო არა მხოლოდ ეკონომისტების, არამედ ინტელექტუალების ფართო წრეების ყურადღება. წიგნი გახდა ბესტსელერი და გაიყიდა მილიონობით ტირაჟით. მონაცემთა უზარმაზარი ბაზის ანალიზის საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ეროვნულ შემოსავალთან მიმართ სიმდიდრის თანაფარდობის მაჩვენებელს. მე-19 საუკუნეში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სიმდიდრე 7-ჯერ აღემატებოდა ეროვნულ შემოსავალს, მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს მაჩვენებელი შემცირდა 3-მდე, შემდეგ ისევ გაიზარდა თითქმის 6-მდე. რაც მთავარია, სიმდიდრის ზრდა ყოველთვის იყო განპირობებული უძრავ ქონებაზე ფასების ზრდით. მაგრამ, თუ XVIII - XIX საუკუნეებში სიმდიდრის ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მიწები, უკვე მე-20 საუკუნეში მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა სახლების ღირებულება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სახლების ღირებულების ზრდაში მთავარ ფაქტორს წარმოადგენს არა შენობების, არამედ

მიწის ღირებულება, რომელზეც ეს სახლები დგანან. ამიტომ სახლების და ბინების ფასები დიდად განსხვავდება ქალექების ცენტრში და გარეუბნებში, დედაქალაქებში და პროვინციეებში.

რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ მიწის, როგორც აქტივის, მიწოდება შეზღუდულია, ხოლო მოთხოვნა მასზე ელასტიკურია შემოსავლების მიხედვით. მწარმოებლურობის სწრაფი ზრდის პირობებში, როდესაც მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულია ელემენ-ტარული მოთხოვნილებები (კვება, ტანსაცმელი და სხვ.), შემოსავლების უმეტეს ნაწილს ადამიანები ახმარენ იმას, რომ იცხოვრონ ქალაქების კეთილმოწყობილ და პრესტიჟულ უბნებში. ასეთი სპეციფიკური ადგილმდებარეობის მქონე უძრავი ქონების საბაზრო მიწოდება შეზღუდულია. მეორე მხრივ, ნაწილობრივი რეზერვირების სისტემის პირობებში, ბანკების მიერ კრედიტების მიწოდება პრაქტიკულად შეუზღუდავია. ცხადია, ეს იწვევს იპოთეკური კრედიტების და უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას;

4. იბადება წრიული კაუზალობა, რომელიც გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვსახოთ (გრაფიკი აღებულია ა. ტერნერის მოხსენებიდან, იხ.: Turner, 2015).



ნახ. 4.1. კრედიტების და აქტივების ფასების ურთიერთკავშირი ეკონომიკური ექსპანსიის შემთხვევაში.



ნახ. 4.2. კრედიტების და აქტივების ფასების ურთიერთკავშირი ეკონომიკური ვარდნის შემთხვევაში.

როდესაც კრედიტების ზრდა იწვევს აქტივებზე ფასების ზრდას, როგორც მსესხებლებში, ისე გამსესხებლებში იბადება ფასების ზრდის და ზოგადად ეკონომიკური აღმავლობის მოლოდინები. ნახატზე 4.1 გამოსახული მცირე (შიდა) წრე ასახავს მსესხებლების რეაქციებით გამოწვეულ წრიულ კაუზალობას. რაც უფრო იზრდება ფასები უძრავ ქონებაზე (როგორც არაკომერციული, ისე კომერციული დანიშნულების), მით უფრო დიდია მოლოდინი, რომ ფასები უფრო მეტად გაიზრდება მომავალში. ამიტომ მათ უჩნდებათ სურვილი უფრო მეტი სესხები აიღონ იმისათვის, რომ ნახონ მოგება ამ ფასების ზრდის შედეგად, ან თუნდაც იმიტომ, რომ არ დაკარგონ ფული, როდესაც მას განიხილავენ როგორც ღირებულების შენახვის საშუალებას. დიდი (გარე) წრე - ასახავს გამსესხებლების რეაქციებს. როდესაც ადგილი აქვს ფასების ზრდას, მაშინ ნაკლებია დეფოლტების ალბათობა, მეტია მოგების (და ნაკლებია წაგების) მოლოდინი, იზრდება კაპიტალის ზრდის სტიმულები, დადებითია საკრედიტო რისკების შეფასება. ყოვე-ლივე ეს იწვევს კრედიტების მიწოდების ზრდას. საპირისპირო მიმართულებით ვითარდება პროცესები

ეკონომიკური რეცესიის დროს. აღნიშნული წრიული ციკლი განაპირობებს ფინანსურ არასტაბილურობას (იხ.: Turner, 2015);[127]

5. არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემის და დაფარვის თანაფარდობა განაპირობებს მსყიდველობითი უნარის ბრუნვაში შემოდინების და გადინების თანაფარდობას. ეს თანაფარდობა ძალიან სენსიტიურია ეკონომიკაში ოპტიმისტური და პესიმისტური მოლოდინების მონაცვლეობის მიმართ. ექსპანსიის დროს არაუზრუნველყოფილი კრედიტების შემოდინება დომინირებს მათ გადინებაზე, ხოლო რეცესიის დროს - პირიქით.

> *„ნაწილობრივი რეზერვირების მქონე საბანკო სისტემა ქმნის ძალზე ელასტიკურ ფულად მასას, რომელიც ადვილად „იწელება“, მაგრამ, შემდეგ უნდა ასევე ადვილად შეიკუმშოს, და ამით მოახდინოს შესაბამისი ზეგავლენა ეკონომიკურ აქტივობაზე, რომელიც ციკლისებურად გადის აღმავლობის და ვარდნის თანმიმდევრულ სტადიებს“ (de Soto, 2009, 261).*

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემამ შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკის არასტაბილურობისა და არაეფექტურობისა.

4.2.3. „ჰაერიდან“ შექმნილი კრედიტები

1. რეალური დანაზოგებით გაუმყარებელი კრედიტები ასუსტებენ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების უნარს. რატომ ხდება ეს? ამის საჩვენებლად მივყვეთ საბაზრო მექანიზმის

---

[127] კ. მარქსის, ი. შუმპეტერის, ი. ფიშერის და ფ. ჰაიეკის იდეებზე დაყრდნობით, ამ პროცესების ფუნდამენტური ანალიზი გაკეთებული აქვს ჰაიმან მინსკის (იხ. Minsky, 2004). მისი თეორიის („ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზის“) საფუძველზე რამდენიმე თანამედროვე ეკონომსტმა იწინასწარმეტყველა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თუმცა, ნეოკლასიკოსებმა არ შეისმინეს მათი გაფრთხილება (იხ. Keen, 2011, 334)

მოქმედების ლოგიკას. საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება შრომის დანაწილებას. ყოველი სუბიექტი აწარმოებს პროდუქტს სხვებისათვის და თვითონ მოიხმარს სხვების მიერ წარმოებულ პროდუქტს. ასეთ პირობებში სუბიექტები ახდენენ სპეციალიზაციას რომელიმე პროდუქტის წარმოებაზე და ამით მნიშვნელოვნად ზრდიან შრომის მწარმოებლურობას. სუბიექტს შეუძლია მთელი თავისი სამუშაო დრო დაუთმოს ამ პროდუქტის წარმოებას იმიტომ, რომ სხვა სუბიექტები აწარმოებენ მისთვის საჭირო სხვა პროდუქტებს და უცვლიან მას თავიანთ პროდუქტებს. საბოლოოდ ყველა პროდუქტი იცვლება ერთმანეთში. ამასთან, ზოგიერთი პროდუქტის (მაგ., კაპიტალური დოვლათის) წარმოება საჭიროებს უფრო დიდ დროს, ვიდრე სხვა პროდუქტების წარმოება. იმისათვის, რომ მწარმოებელს შეეძლოს ამ პროდუქტის წარმოება, მან ყოველდღე უნდა მოიხმაროს მთელი რიგი სხვა პროდუქტები (საწარმოო რესურსები და სამომხმარებლო დოვლათი), რომელიც აუცილებელია როგორც წარმოების პროცესისათვის, ასევე მისი პირადი მოხმარებისათვის. მაგრამ, ვინაიდან ამ პროდუქტის წარმოებისათვის მას სჭირდება ხანგრძლივი პერიოდი, ამიტომ წარმოების პროცესის დასრულებამდე იგი იძულებულია ვალად მოიხმაროს ეს რესურსები და სამომხმარებლო დოვლათი.

მაგალითად, ათი დღის განმავლობაში მეფუნთუშე აწარმოებს 40 ცალ თონის პურს. აქედან, 10 ცალს იგი თვითონ მოიხმარს, ხოლო 30 ცალს - ზოგავს. ეს 30 ცალი პური მას შეუძლია მისცეს მჭედელს კრედიტის სახით. მჭედელი ვალად მოიხმარს ამ პურს და გარკვეული პერიოდის შემდეგ ვალს უბრუნებს რკინის გუთნის სახით. საჭიროა აღინიშნოს, რომ მჭედელს ეძლევა საშუალება მთელი თავისი სამუშაო დრო დაუთმოს რკინის გუთნების წარმოებას იმის წყალობით, რომ მეფუნთუშესაც აქვს საშუალება მთელი სამუშაო დრო დაუთმოს პურის ცხობას და გამოაცხოს იმ რაოდენობით, რომ შეძლოს დანაზოგების გაკეთება და მჭედელის-

თვის კრედიტის სახით მიცემა. საბოლოო ჯამში ადგილი აქვს რეალური დოვლათის ერთმანეთში გაცვლას. 30 ცალი თონის პური გაიცვალა ერთ რკინის გუთანზე. ასე ხდება ბარტერის შემთხვევაში;

2. მონეტარულ ეკონომიკაში მეფუნთუშე ჯერ ყიდის 30 თონის პურს და ინახავს თავის დანაზოგებს უკვე ფულის, და არა პურის სახით. და მჭედელსაც იგი კრედიტს აძლევს უკვე არა 30 თონის პურის ფორმით, არამედ 30 ლარის ფორმით, რომელიც მან მიიღო პურის გაყიდვიდან. ამ 30 ლარით მჭედელს შეუძლია იყიდოს პურიც და სხვა მისთვის საჭირო პროდუქტებიც. ხოლო ვალის დაბრუნებისას, იგი ჯერ გაყიდის გუთანს და ვალს თავის პროცენტებით გაისტუმრებს გაყიდვიდან მიღებული ფულით. ფულის შემოღებით დაკრედიტების პროცესის არსი არ იცვლება, თუმცა ტექნიკური თვალსაზრისით საბაზრო გაცვლა ხდება უფრო მოსახერხებელი და აჩქარებს ეკონომიკურ პროცესებს.

საბანკო სისტემის გაჩენა ასევე არ ცვლის დაკრედიტების არსს. ბანკი არის მხოლოდ შუამავალი მეფუნთუშესა და მჭედელს შორის, როგორც, დამზოგველსა და კრედიტორს შორის. ბანკი ეხმარება მსესხებელსა და გამსესხებელს მონახონ ერთმანეთი და ამისათვის იღებს საკომისიოს. დამზოგველები ბანკებს აძლევენ თავიანთ დანაზოგებს კრედიტის სახით, ხოლო ბანკი, აგრეთვე კრედიტის სახით (უფრო მაღალი პროცენტით), აძლევს მათ მსესხებლებს. მაგრამ, ამ დროს, თვითონ ბანკი არ ქმნის საკრედიტო რესურსებს. დაზოგილი და კრედიტად გაცემული რესურსები, იქნება ეს რეალური დოვლათის, თუ ფულის ფორმით, წარმოადგენენ რეალურ მსყიდველობით უნარს, რომლის მეშვეობითაც, მის მფლობელს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა რაიმე სხვა, ეკვივალენტური ღირებულების მნქონე დოვლათზე. ფულადი კრედიტის მიცემა მსესხებლისთვის ნიშნავს, რომ კრედიტორი დროებით უარს ამბობს სესხად გაცემული ფულის მსყიდველობითი უნარით სარგებლობაზე და დროებით გადასცემს ამ

უფლებას მსესებელს. მაგრამ მთელი ამ პროცესის მიღმა ისევ და ისევ იგულისხმება ერთი საქონლის მეორეზე გაცვლა. მართალია, დაკრედიტება ხდება ფულის მეშვეობით, მაგრამ კრედიტის გაცემაც და ვალის დაბრუნებაც ხდება ფულით, რომლის უკანაც დგას რეალური დოვლათი. ფულადი ნაკადები ამ შემთხვევაში სარკისებურად ასახავენ სასაქონლო ნაკადების მოძრაობას;

3. ძირფესვიანად იცვლება ბანკის ფუნქციები, როდესაც იგი იწყებს ფულის შექმნას „ჰაერიდან“, „არაფრიდან“, და გასცემს მათ მსესხებლებს კრედიტის სახით. ასეთი შესაძლებლობა იბადება ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემაში. ამ შემთხვევაში, ფული, რომელიც გაიცემა კრედიტის სახით, არ არის უზრუნველ-ყოფილი რეალური დოვლათის დანაზოგებით. მსესხებელი ღებუ-ლობს შესაძლებლობას წარადგინოს მოთხოვნა რეალურ დოვლათ-ზე, თუმცა, მათ საფასურს იგი გადაიხდის „ქაღალდებით“, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი რეალური დოვლათით. ანუ იგი „არაფერს“ ცვლის რაიმე „ღირებულზე“. ამით იგი უსას-ყიდლოდ ითვისებს დოვლათს, რომელსაც დოვლათის მწარმოებ-ლები აწარმოებენ ერთმანეთისთვის. ამის შედეგად, რეალური დოვლათის მწარმოებლები (ჩვენს მაგალითში, მჭედელი) ვეღარ მიიღებენ მთლიანად მათთვის საჭირო ოდენობის დოვლათს, რათა იქონიონ შესაძლებლობა მთელი თავისი დრო დაუთმონ კონკრე-ტული საქონლის (ჩვენს შემთხვევაში, გუთნის) წარმოებას. ამგვა-რად, კრედიტების გაცემა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი რეალური დანაზოგებით, ძირს უთხრის ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობებს, არღვევს კოორდინაციას ეკონომიკურ მოქმედე-ბებს შორის;

4. თუ არაუზრუნველყოფილი კრედიტების გაცემა ღებულობს ფართო მასშტაბებს და ეკონომიკა გადაივსება გადახდის საშუა-ლებებით, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილი რეალური დოვლათის დანაზოგებით, მაშინ საპროცენტო განაკვეთი მკვეთ-რად მცირდება, ინვესტორები ტყუვდებიან და იწყებენ მასშტა-

ბური პროექტების განხორციელებას, რომელთა დასასრულებ-ლადაც ეკონომიკაში არ არის საკმარისი დანაზოგები. რადგან „არაფრიდან“ შექმნილი კრედიტები, ბადებენ ილუზიას, თითქოს საზოგადოებაში საკმარისად არსებობს მიმდინარე მოხმარებისაგან დაზოგილი რესურსები. მაგრამ საინვესტიციო პროექტების რეა-ლიზებისთვის საჭიროა რეალური რესურსები, და არა „ქაღალდის კუპიურები“. ეს პროექტები განწირულია ჩაშლისათვის, ხოლო ეკონომიკა - ვარდნისათვის.

გამოდის, რომ მწარმოებლებს შორის ურთიერთობებში, რომ-ლებიც ერთმანეთისთვის აწარმოებენ პროდუქტებს და ცვლიან მათ ეკვივალენტურ საფუძველზე, იჭრებიან არაუზრუნველყოფილი ფულის მფლობელები. ისინი წარადგენენ მოთხოვნას რეალურ დოვლათზე, და არაფერს სთავაზობენ სანაცვლოდ. ირღვევა საბაზრო თვითრეგულირების მოქმედების პრინციპი, რომელიც გულისხმობს ეკვივალენტურ გაცვლას. მახინჯდება საქონელთა გაცვლის პროპორციები, ანუ ფარდობითი ფასები. ბაზარი იწყებს ცრუ სიგნალების გენერირებას მათთვის, ვინც შრომის დანაწი-ლების საფუძველზეა ჩართული რეალური დოვლათის წარმოების, მოხმარების, განაწილების და გაცვლის პროცესში.

საბაზრო მოთხოვნა რაიმე საქონელზე გულისხმობს რომე-ლიმე სხვა საქონლის მიწოდებას და, შესაბამისად, მის წარმოებას. თუ მოთხოვნას არ უძღვის წინ საქონლის წარმოება, ასეთი მოთ-ხოვნა შესაძლებელია მხოლოდ გაუმყარებელი, „ჰაერიდან“ შექმ-ნილი ფულით, კრედიტებით და მსყიდველობითი უნარით. სწორედ ისინი ქმნიან „საფინანსო ბუშტს“, რომელსაც, ადრე თუ გვიან, მივყავართ ეკონომიკურ კრიზისამდე. ყოველივე ამის მიზე-ზია ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემა. ეს პროცესები ღრმად გაანალიზეს ჯერ კიდევ კნუტ ვიქსელსმა, ირვინგ ფიშერმა, ფრიდრიხ ჰაიეკმა. მაგრამ თანამედროვე დოგმატიზებული და იდეოლოგიის ინსტრუმენტად ქცეული მეინსტრიმი ახდენს მათი იდეების სრულ იგნორირებას.

4.2.4. საკრედიტო ექსპანსია და მისი შედეგები

1. როდესაც ეკონომისტები იწონებენ იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტების მეშვეობით ვალად მოხმარების ზრდას, ისინი იქცევიან ისე, თითქოს აღმოაჩინეს კეთილდღეობის უშრეტი წყარო. რადგან, მოხმარების დაკრედიტების მეშვეობით შესაძლებელია დიდი ხნის განმავლობაში ხელოვნურად ვზარდოთ ერთობლივი მოთხოვნა და მშპ-ის ტემპები. მაგრამ, ხომ ცხადია, რომ საბოლოო ჯამში რეალური მშპ-ის ზრდა საჭიროებს რეალურ რესურსებს. ხოლო კრედიტების მეშვეობით მსყიდველობითი უნარის უსაზღვროდ ზრდა, რომელიც გამოიყენება სამომხმა-რებლო დოვლათის მოხმარების ზრდისათვის და არ არის უზრუნველყოფილი რეალური რესურსების დანაზოგებით, იწვევს საწარმოო რესურსების გადანაწილებას კაპიტალური დოვლათის წარმოებიდან სამომხმარებლო დოვლათის წარმოებაში. მაგრამ ამით ძირი ეთხრება საწარმოო პოტენციალს სამომხმარებლო დოვლათის მომავალი წარმოებისათვის.

ხომ ცხადია, რომ მომავალში საჭირო გახდება ამორტიზი-რებული კაპიტალის ახლით ჩანაცვლება.[128] ამ ახალი კაპიტალის საჭირო რაოდენობით წარმოება დაწყებული უნდა იყოს უკვე დღეს. ხოლო, კაპიტალური დოვლათის უკმარისობა, რომელიც დღეს უკვე უნდა იმყოფებოდეს წარმოების პროცესში და რომლის წარმოებაც საჭიროებს ხანგრძლივ პერიოდს, ცხადი გახდება მხოლოდ მომავალში. ეს უკმარისობა დღეს არ ჩანს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს დღეს შესაძლებელია სამომხმარებლო დოვლათის წარმოების ზრდა, მაგრამ არ ჩანს ის, რომ ამის

[128] რომც აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ, თუ ადგილი არ ექნება კაპიტალის ზრდას (წმინდა ინვესტიციებს), მაშინ სამომხმარებლო დოვლათის წარმოების გაფართოვება გახდება შეუძლებელი.

გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალურ დოვლათში ინვესტიციების შემცირების ხარჯზე. ამიტომ, თუ მიმდინარე მოხმარების ზრდის მიზნით მოხდება რესურსების გადანაწილება კაპიტალური დოვლათის წარმოებიდან სამომხმარებლო დოვლათის წარმოებაში, შედეგად მივიღებთ არა მარტო კაპიტალის წარმოების შემცირებას აწმყოში, არამედ სამომხმარებლო დოვლათის წარმოების შემცირებასაც მომავალში, რადგან ვეღარ მოხდება ამორტიზირებული კაპიტალის ახლით ჩანაცვლება;

2. სხვადასხვა კაპიტალური დოვლათის წარმოებისათვის საჭიროა სხვადასხვა დრო. ამასთან, მათი წარმოების მოცულობები უნდა იყოს მისადაგებული შესაბამისი სახეობის კაპიტალის ცვეთის პროცესთან, რომელთა საამორტიზაციო ვადები აგრეთვე განსხვავდება სხვადასხვა დარგებში და საწარმოებში. ამ პროცესების დროში კოორდინირება ხდება საბაზრო მოთხოვნისა და მიწოდების გზით. პროდუქტების გარკვეული ნაწილი, რომლებიც ამჟამად იმყოფება წარმოების პროცესში, არ არის განკუთვნილი მიმდინარე მოხმარებისთვის და წარმოადგენს კაპიტალურ დოვლათს. მაგრამ იმისათვის, რომ მომავალში არ შეიქმნას ამა თუ იმ კონკრეტული კაპიტალური დოვლათის დეფიციტი, უკვე დღესვე არის საჭირო მათი წარმოების კონკრეტული პროპორციების დაცვა. ხოლო, ამ პროპორციების რეგულირება ხდება საბაზრო ფასების, მოგების ნორმის და საპროცენტო განაკვთების მეშვეობით. წინასწარ არავინ იცის, თუ რა და რამდენი უნდა იყოს წარმოებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ეს არის „გაფანტული ინფორმაცია“ (ფ. ჰაიეკი), ხოლო მოხმარების ხელოვნური გაფართოება დაკრედიტების მეშვეობით ამახინჯებს ფარდობით ფასებს და საპროცენტო განაკვეთებს. შესაბამისად, მახინჯდება ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხდება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება. არსებული დარგობრივი სტრუქტურის და რესურსების შეზღუდულობის პირობებში, ბაზარი თვითონ აფორმირებს

კაპიტალური დოვლათის წარმოების კონკრეტულ სტრუქტურას. საკრედიტო ინექციებით ამ სტრუქტურის დამახინჯება ბადებს ეკონომიკურ არასტაბილურობას და კრიზისებს.

„შრომის დანაწილების (უფრო ზუსტად, ცოდნის) გაღრმავებას, როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად, მივყავართ იქამდე, რომ, ცოდნის გავრცელებასთან და გაღრმავებასთან ერთად, საწარმოო პროცესების სტადიები გაუთავებლად იყოფა ახალ სტადიებზე. ყოველი სტადიის განხორციელებაზე სპეციალიზდებიან ცალკეული კომპანიები და ეკონომიკური აგენტები. გარდა სტადიების მიხედვით ანალიზისა, საწარმოო პროცესი შეიძლება აგრეთვე გამოვიკვლიოთ მისი ერთდროულად მიმდინარე მრავალი ფაზის განხილვის გზით. დროის ნებისმიერ მომენტში ყოველი ფაზა თანაარსებობს სხვა ფაზებთან და ამიტომ, ერთნი მთელ დროს აპროექტებენ ავტომობილებს (რომლებიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ათი წლის შემდეგ), ამ დროს მეორენი მომწოდებლებს უკვეთავენ მასალებს, მესამენი მუშაობენ ამწყობ კონვეიერებზე, მეოთხენი დაკავებულნი არიან ვაჭრობის სფეროში (რაც ძალზე ახლოსაა საბოლოო მოხმარებასთან) და ყიდიან უკვე წარმოებულ ავტომობილებს“ (de Soto, 2009, 278).

3. თანამედროვე პირობებში ურთიერთკავშირი დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ვლინდება სპეციფიკური ფორმით. აქ პრობლემები იქმნება იმის გამო, რომ საკრედიტო ექსპანსიის მეშვეობით საბანკო სისტემას შეცდომაში შეჰყავს მსესხებლები. რეალური დანაზოგებით გაუმყარებელი კრედიტების გაცემა ბადებს ილუზიას, თითქის საზოგადოებაში რეალურად არსებობს დაზოგილი რესურსი იმ რაოდენობით, რამდენიც სჭირდება საწაროო ინვესტიციებს და ვალად მოხმარებას. დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იბადება კრედიტების ჭარბი მიწოდებით, ახდენს მეწარმეთა პროვოცირებას ისეთი საინვესტიციო პროექტების წამოსაწყებად, რომელთა დასრულებაც შეუძლებელია ფაქტიურად დაზოგილი რესურსების უკმარისობის

გამო. ასე რომ, გარდა იმისა, რომ ეს ბიზნეს-პროექტები თვითონაც ვერ იქნებიან დასრულებული, ისინი აცლიან რესურსებს სხვა პროექტებსაც, რომელთა დასრულებაც შესაძლებელი იქნებოდა, თუ რესურსები არ ჩაიდებოდა ზედმეტად გრძელვადიან და არარეალურ პროექტებში. ანუ, ინიცირებული საინვესტიციო პროექტების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ამის საშუალებას იძლევა ფაქტობრივად დაზოგილი რესურსები. კონკურენცია გადაწყვეტს რომელი მათგანი დასრულდება და რომელი - არა. მაგრამ, წინასწარ ცხადია, რომ ყველა მათგანი ვერ იქნება დასრულებული, და ეს გამოიწვევს ეკონომიკურ ვარდნას;

4. არაუზრუნველყოფილი კრედიტების ზრდა განაპირობებს პერმანენტულ ინფლაციას. ამიტომ, ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში დეპოზიტის სახით შეტანილი ფულის მსყიდველობითი უნარი გამუდმებით მცირდება. ფულის დაბრუნების დროს, მეანაბრეები ბანკებისგან ღებულობენ გაუფასურებულ ფულს, ანუ, უფრო ნაკლებ მსყიდველობით უნარს, ვიდრე შეიტანეს ბანკში. მაგრამ, მოვლენების ზედაპირზე ეს გარემოება არ ჩანს ნათლად, რადგან, მეორე მხრივ, პარალელურად ამისა, ხდება ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული მწარმოებლურობის მუდმივი ზრდა და საქონლის წარმოების ღირებულების შემცირება. ანუ, ინფლაცია „ყლაპავს“ ტექნოლოგიური პროგრესის შედეგს და საზოგადოება ნაკლებად გრძნობს ინფლაციის სიმძიმესაც და ტექნოლოგიური პროგრესის სიკეთესაც. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგებს ძირითადად ითვისებენ ბანკები - არაუზრუნველყოფილი კრედიტების გაცემის გზით და მონოპოლიები - მონოპოლიური ფასების დადგენით.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იზრდება წარმოებული დოვლათის სიუხვე, ანუ მცირდება მათი შეზღუდულობა. ერთი და იგივე სიდიდის ღირებულება განივთებულია სულ უფრო მეტი რაოდენობის დოვლათში. შესაბამისად, მცირდება დოვლათის ღირებულება. მაგრამ ეს არ აისახება ფარდობითი ფასების

შემცირებაში და რეალური ხელფასების ზრდაში. ეკონომიკური კანონზომიერების თანახმად რეალური ხელფასები უნდა იზრდებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად.[129] მაგრამ, გამოკვლევების თანახმად, განვითარებულ ქვეყნებში რეალური ხელფასების ზრდა ფაქტიურად შეჩერებულია 70-იანი წლებიდან, ხოლო შრომის მწარმოებლურობის ზრდა არ შეჩერებულა დღემდე. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს შემდეგი გრაფიკიდან.



წყარო: International Labour Organization, 2014/15.

ნახ. 4.3. განვითარებულ ქვეყნებში 1999 – 2013 წწ.- ში საშუალო რეალური ხელფასის ზრდა ჩამორჩება შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

---

[129] ეს კანონზომიერება კარგად ჩანს „სიმეტრიული მოდელიდან". ამ მოდელში ტექნოლოგიური და სამომხმარებლო კოეფიციენტები უკუდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. ეს ნიშნავს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული ტექნოლოგიური კოეფიციენტების შემცირება იწვევს სამომხმარებლო კოეფიციენტების ზრდას. ეს ნიშნავს რეალური შემოსავლების და კეთილდღეობის დონის ზრდას. თუ სისტემაში არ იცვლება რესურსების რაოდენობა და ფულის მასა, და სისტემაც ფუნქციონირებს ოპტიმალურ რეჟიმში (ანუ, რესურსები სრულად გამოიყენება, არ არის უმუშევრობა), მაშინ სტაბილური შემოსავლების ფონზე ადგილი ექნება საქონელზე ფასების შემცირებას და, მეორე მხრივ, წარმოებული და მოხმარებული საქონელის რაოდენობის მუდმივი ზრდის ტენდენციას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ტექნოლოგიური პროგრესი და მისგან წარმოშობილი დოვლათის სიუხვე არის საზოგადოების კუთვნილება. მაგრამ მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ეკონომიკური შედეგების ძირითად ნაწილს ითვისებენ ბანკები და მონოპოლიები რადგან მუდმივი ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე მიმდინარეობს ფულის გაუფასურება. ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად რომ არ ხდებოდეს ფულის გაუფასურება, მაშინ ადგილი უნდა ჰქონდეს ფასების შემცირებას და არა ზრდას. ეს ასახვას უნდა ჰპოვებდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად რეალური ხელფასების და საზოგადოების ცხოვრების დონის ზრდაში.

4.2.5. დეპონირების სამართლებრივი საფუძვლები

1. საბაზრო ეკონომიკა არის სისტემა, რომელშიც ადგილი აქვს „საქონლის წარმოებას საქონლის მეშვეობით“ (პ. სრაფა). ფულადსასაქონლო მიმოქცევის პირობებში ეს ნიშნავს „ფულის კეთებას ფულის მეშვეობით“. როგორც უკვე აღინიშნა, რაც უფრო მეტ ფულად შემოსავალს ღებულობს სუბიექტი თავისი აქტივებიდან, მით უფრო დიდი ნაწილის დაზოგვა და აქტივებში რეინვესტირება შეუძლია მას ამ შემოსავლებიდან. მით უფრო მეტ შემოსავლებს მიიღებს იგი გაზრდილი აქტივებიდან. ანუ, შემოსავლები და სიმდიდრე განაპირობებენ ერთმანეთის ზრდას. სამართლიანია ეს, თუ არა, მაგრამ ასეთია საბაზრო მექანიზმის მოქმედების ობიექტური კანონზომიერება, რომელმაც შესაძლებელი გახადა სწრაფი ეკონომიკური პროგრესი. მაგრამ, როდესაც საბანკო სისტემა ფუნქციონირებს ნაწილობრივი რეზერვირების პრინციპის საფუძველზე, ეს უკვე აღარ არის „ფულის კეთება ფულის მეშვეობით“. ეს არის „ფულის კეთება არაფრიდან,

ჰაერიდან“. ხდება ფულის, მსყიდველობითი უნარის, და, მათი მეშვეობით, რეალური დოვლათის გადანაწილება ბანკების სასარგებლოდ. ხდება მთელი საზოგადოების მიერ შექმნილი დოვლათის მითვისება და სანაცვლოდ არაფრის გაცემა „ქაღალდებისა“ და საბანკო ჩანაწერების გარდა. ამის შედეგად იზრდება ეკონომიკური პოლარიზაცია. ეს არის სახელმწიფოს მიერ ლეგალიზებული არაკეთილსინდისიერი ქმედება.

როგორც ამას მოწმობს საბანკო საქმის ისტორია, სწორედ ასეც აღიქმებოდა იგი თვით ბანკირების მიერ. მაგრამ, დიდი ძალისხმევის ფასად ბანკირებმა შეძლეს სახელმწიფოს მიერ ნაწილობრივი რეზერვირების აშკარად „თაღლითური“ (de Soto) სქემის დაკანონება. ხოლო როდესაც ნაწილობრივი რეზერვირება იქნა დაკანონებული, იგი გახდა „სანქცირებული თაღლითობა“. მაგრამ, ბანკების ქცევის ასეთი წესები იმდენად დიდი ხნის წინ იყო ლეგალიზებული, და იგი იმდენად დიდი მასშტაბებით გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რომ საზოგადოება აღარ აღიქვავს მათ კრიტიკულად და მიიჩნევს ნორმალურ მოვლენად. მხოლოდ ისეთი მწვავე კრიზისების დროს, როგორიც იყო „დიდი დეპრესია“ ან 2008 წლის კრიზისი, ეკონომისტების ყურადღების ცენტრში კვლავ ექცევა ხოლმე ნაწილობრივი რეზერვების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და გაისმის მოწოდებები მისი ჩანაცვლებით 100%-იანი რეზერვირების სისტემით. (იხ.: Benes, Kumhof, 2012);

2. ფაქტიურად, ბანკები, ისევე, როგორც მონოპოლიები, ზოგჯერ სახელმწიფოც, უსასყიდლოდ ითვისებენ საზოგადოებრივ სიმდიდრეს ბაზრის ფუნქციონირებაში ხელოვნურად ჩარევის გზით. ბანკები და სახელმწიფო ხელოვნურად „ბერავენ“ ეკონომიკას გადახდის საშუალებებით (ბანკები - არაუზრუნველყოფილი კრედიტებით, სახელმწიფო - ემიტირებული ფულით) და ქმნიან ფულის სიჭარბეს; ხოლო მონოპოლიები, პირიქით, ქმნიან საქონლის დეფიციტს და ამით ხელოვნურად ზრდიან ფასებს თავის

პროდუქტებზე. ეკონომიკური რეალობა ნათლად ცხადყოფს, რომ ბანკების, მონოპოლიების და სახელმწიფოს ინტერესები, როგორც წესი, მჭიდროდ არის გადახლართული და მათი მოქმედებები - ფარულად კოორდინირებული. ამის შედეგად ილახება საზოგადოების ინტერესები.

ბანკებს არ შეუძლიათ რეალური სიმდიდრის შექმნა თვით მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგრამ, იგივე სპეციფიკიდან გამომდინარე, არამართლზომიერი მოქმედებების მეშვეობით, მათ შეუძლიათ სიმდიდრის გადანაწილება თავის სასარგებლოდ, რითაც შეიძინეს საზოგადოებაში უსაზღვრო ეკონომიკური ძალაუფლება, და ამასთან ერთად, უზარმაზარი გავლენა პოლიტიკურ ხელისუფლებაზე.

ნეოკლასიკური თეორია ამართლებს ბანკების და სახელ-მწიფოს ასეთ მოქმედებებს, და ამით იცავს მათ ინტერესებს. შესაბამისად, სახელმწიფოც და საფინანსო წრეებიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ნეოკლასიკოსების დომინირებას სახელისუფლებო, საფინანსო და აკადემიურ სტრუქტურებში. აქედან ცხადი უნდა იყოს, თუ რაოდენ დიდი ეკონომიკური ინტერესები დგას ნეოკლასიკური თეორიის უპრეცედენტო მასშტაბებით დოგმატი-ზების მიღმა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს კ. მარქსის დებუ-ლებას, რომ ეკონომიკური თეორია არის პარტიული მეცნიერება და გამოხატავს ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესებს.

რათა გავერკვეთ პრობლემის არსში, საჭიროა განვიხილოთ ამ პრობლემის სათავეები და სამართლებრივი ასპექტები. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ მოვახდინოთ დისტანცირება ტრადიცი-ული შეხედულებისგან ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემის შესახებ. ამის გარეშე შეუძლებელია ამ მოვლენის მიუკერძოებელი შეფასება;[130]

---

[130] ქვემოთ მოყვანილია ამ პრობლემის მოკლე ანალიზი ცნობილი ესპანელი ეკონომისტის ჯესუს დე სოტოს ინტერპრეტაციაში. წიგნში „*Money, Bank Credit, and*

3. პირველ რიგში დავაზუსტოთ ტერმინები. განასხვავებენ სესხის ორ სახეობას - *სარგებლობის* სესხი და *სამომხმარებლო* სესხი. პირველ შემთხვევაში სესხის საგანი გადაეცემა მსესხებელს *დროებით სარგებლობაში*, რის შემდეგაც იგივე საგანი უნდა დაუბრუნდეს გამსესხებელს. მეორე შემთხვევაში, სესხის საგანი, მისი მოხმარების მიზნით, გადაეცემა მსესხებელს *საკუთრებაში.* მაგრამ, ამ შემთხვევაში, მსესხებელმა უნდა დააბრუნოს იგივე რაოდენობის და ხარისხის ისეთივე ნივთები შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ. ანუ, სესხად გაცემული ნივთები, და დაბრუნებული ნივთები - სხვადასხვა ნივთებია.

სასესხო ხელშეკრულებისგან პრინციპულად განსხვავდება *სადეპოზიტო* ხელშეკრულება. მისგან განსხვავებით *სადეპოზიტო* ხელშეკრულება არ გულისხმობს ნივთზე წვდომაზე უარის თქმას. ეს არის ხელშეკრულება დეპონენტსა და დეპოზიტარს შორის ნივთის *შენახვის* თაობაზე. ეს შეთანხმება გულისხმობს, რომ დეპონენტს გააჩნია სრული წვდომა ნივთზე ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში და ნებისმიერ მომენტში მას შეუძლია მოითხოვოს ნივთის დაბრუნება. ამასთან, მან უნდა აანაზღაუროს ნივთის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯი. სასესხო ხელშეკრულებისგან განსხვავებით, რომელიც წარმოუდგენელია ვადის მითითების გარეშე, სადეპოზიტო ხელშეკრულებას არ გააჩნია ვადა. ნივთი ინახება დეპოზიტართან იქამდე, სანამ დეპონენტი არ მოითხოვს ნივთის დაბრუნებას;

4. საჭიროა განსაკუთრებით გამოვყოთ „ირეგულარული დეპოზიტის“ (“irregular deposit”) ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი ნივთების შენახვა, რომელთა ჩანაცვლებაც შესაძლებელია ისეთივე ნივთებით. კონკრეტული ნივთების

Economic Cycles“ (2009), მას მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ ირღვევა ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში სამართლის საერთო პრინციპები და რა დამანგრეველი შედეგები აქვს ამას ეკონომიკისათვის.

შენახვა, როგორიც არის, მაგალითად, ხელოვნების ნიმუშები ან ძვირფასი სამკაულები, განსხვავდება ისეთი ნივთების შენახვისაგან, როგორიც არის ფული, ნავთობი, ხორბალი და სხვ. პირველ შემთხვევაში ნივთი ინახება ინდივიდუალურად და დაბრუნებისას არ შეიძლება მისი ჩანაცვლება სხვა ნივთით. მეორე შემთხვევაში, პირიქით, აღნიშნული ნივთი ინახება სხვა ისეთივე ნივთებთან ერთად. ანუ ერთმანეთში შერეულია ერთგვაროვანი და ერთნაირი ხარისხის ნივთების სხვადასხვა ერთეულები. „ნავთობის შენახვა ცალ-ცალკე დანომრილ კონტეინერებში ..., ან ბანკნოტების განთავსება ინდივიდუალურად დანომრილ და დალუქულ კონვერტებში, იქნებოდა აზრს მოკლებულიც და ძვირიც." (de Soto, 2009, 6) ამიტომ, ირეგულარული დეპოზიტის შემთხვევაში, მართალია დეპონენტს უბრუნდება იგივე რაოდენობის და ხარისხის ნივთები, მაგრამ ეს უკვე არ არის იგივე კონკრეტული ერთეულები, რომელიც მან გადასცა შესანახად. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, გამოდის, რომ ირეგულარული დეპოზიტის შემთხვევაში დეპონენტი გადასცემს ნივთს დეპოზიტარს საკუთრებაში, რადგან დეპოზიტარი არ უბრუნებს მას იგივე ერთეულებს, რომელიც მან გადასცა შესანახად. მაგრამ, ამის გამო არ იცვლება სადეპოზიტო ხელშეკრულების არსი. დეპოზიტარი ვალდებულია ინახავდეს ნივთს, რომელიც მუდმივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი დეპონენტისთვის. დეპონენტისთვის სრულად უნდა იყოს გარანტირებული ნებისმიერ მომენტში დაიბრუნოს შესანახად გადაცემული ნივთები, იქნება ეს ნავთობი, ხორბალი თუ ფული;[131]

---

[131] „... *ირეგულარული დეპოზიტის შემთხვევაში შენახვა გულისხმობს ვალდებულებას, რომ მეანაბრეს ყოველთვის ჰქონდეს წვდომა იმავე რაოდენობის და ხარისხის ნივთებზე, რაც მიღებულია მისგან.* ... სხვა სიტყვებით, ხორბლის ბეღელის ან ნავთობის ავზის მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს კონკრეტულად ის ნავთობი და ხორბალი, რომელიც ჩაიბარა, როგორც საკუთარი თავისთვის, ისე სხვა დეპონენტებისათვის დასაბრუნებლად, *სანამ იგი უზრუნველყოფს თავდაპირველი დეპონენტისათვის იმავე რაოდენობის და ხარისხის ნავთობზე ან ხორბალზე*

5. იმ გარემოებამ, რომ სესხის და ირეგულარული დეპოზიტის დეფინიციები არ იყო მკაფიოდ გამიჯნული, წარმოშვა მრავალი ბუნდოვნება მსჯელობებში ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემის მართლზომიერების თაობაზე. საბოლოო ჯამში, ამან მიგვიყვანა თანამედროვე საბანკო სისტემის ფორმირებამდე, რომელიც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიკის არასტაბილურობისა და არაეფექტიანობისა.

ერთადერთი მსგავსება ირეგულარულ დეპოზიტსა და სესხს შორის მდგომარეობს იმაში, რომ დეპონენტი ისევე საკუთრებაში გადასცემს დეპოზიტარს (შემნახველს) შესანახ ნივთს, როგორც გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს საკუთრებაში სესხის საგანს. ამას შემოაქვს ბუნდოვნება მსჯელობაში ამ ორი ტიპის ხელშეკრულების მსგავსების და განსხვავების თაობაზე.

სესხის მთავარი მიზანია ამჟამად არსებული დოვლათის მსესხებელისათვის *გადაცემა* უფრო მეტი რაოდენობის ანალოგიური დოვლათის სანაცვლოდ მომავალში. ამასთან, დოვლათი გადაეცემა მსესხებელს საკუთრებაში. ამიტომ, მსესხებელს აქვს სრული წვდომა ამ დოვლათზე, აქვს მათით სარგებლობის და მათი

წვდომას, რაც იყო დეპონირებული. იგივე წესი მიესადაგება ფულის დეპოზიტს. თუ მეგობარმა თქვენ გადმოგცათ შესანახად 20-დოლარიანი კუპიურა, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოდ ეს თითქოს მან გადმოგცათ საკუთრებაში კონკრეტული კუპიურა, და თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის თქვენი საკუთარი ხარჯებისთვის ან რაიმე სხვა საჭიროებისთვის, იქამდე, სანამ თქვენ გაქვთ ეკვივალენტური თანხა (სხვა კუპიურის, ან ორი 10-დოლარიანი კუპიურის სახით), რათა იმ მომენტისათვის, როდესაც იგი მოგთხოვთ ფულის დაბრუნებას, თქვენ შეძლოთ ამის მაშინვე გაკეთება, ყოველგვარი პრობლემებისა და მობოდიშების გარეშე. თუ შევაჯამებთ, ირეგულარული დეპოზიტის ინსტიტუტის ლოგიკა ეფუძნება სამართლის უნივერსალურ პრინციპებს და გულისხმობს, რომ შენახვის და დაცულობის უზრუნველყოფის არსებითი ელემენტია დეპონენტისთვის მუდმივი ხელმისაწვდომობა *tantundem* (Latin: *იგივე რაოდენობის და ხარისხის ნივთები* - პ.ლ.), რომელიც თავდაპირველი დეპოზიტის ეკვივალენტურია. სპეციფიკურად ფულის, როგორც ჩანაცვლებადი ნივთების კვინტესენციის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ დაცულობის უზრუნველყოფის ვალდებულება მოითხოვს მუდმივ ხელმისაწვდომობას ნაღდი ფულის 100%-ზე“ (de Soto, 2009, 8-9).

მოხმარების უფლება. მაგრამ, ირეგულარული დეპოზიტის მთავარი მიზანი არის დოვლათის (რომელთა ჩანაცვლებაც შესაძლებელია ისეთივე დოვლათით) მხოლოდ *შენახვა* და *დაცულობის უზრუნველყოფა* მათი დაბრუნების მოთხოვნამდე. ამიტომ, ამ დოვლათზე წვდომა არ გადაეცემა შემნახველს. სრული წვდომა ამ დოვლათზე რჩება დეპონენტის უფლება დოვლათის შენახვის მთელი დროის განმავლობაში. მართალია, აქ ადგილი აქვს შესანახი დოვლათის საკუთრებაში გადაცემას, მაგრამ ეს განპირობებულია მხოლოდ იმით, რომ შესანახად გადაცემულია ისეთი დოვლათი, რომლის ჩანაცვლებაც შესაძლებელია. ასეთი დოვლათის ინდივიდუალურ შენახვას არა აქვს აზრი და მოითხოვს ზედმეტ ხარჯებს. ისინი ინახება სხვა ისეთივე საქონელთან ერთდ, რამეთუ ასეთი დოვლათის ერთეულები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, შენახვის ასეთ პირობებში, საფუძველს მოკლებულია დეპოზიტარისგან დოვლათის ზუსტად იმ ერთეულების დაბრუნების მოთხოვნა, რომლებიც თავდაპირველად იქნენ გადაცემული შესანახად. როგორც ვხედავთ, ჩანაცვლებას დაქვემდებარებული ნივთების შენახვის (დეპოზიტის) ხელშეკრულების შემთხვევაში, საკუთრების გადაცემას აქვს მეორადი ხასიათი და გამოწვეულია მხოლოდ „ტექნიკური“ გარემოებებით და (სასესხო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით) უშუალოდ არ არის დაკავშირებული ამ ხელშეკრულების არსთან და მთავარ მიზანთან. ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანი ხომ არის ნივთის *შენახვა* და *დაცულობის უზრუნველყოფა* და არა სხვა სუბიექტისათვის *ნივთზე წვდომის გდაცემა* ისე, რომ მას შეძლებოდა ნივთით სარაგებლობა შეთანხმებული ვადის განმავლობაში. (იხ.: de Soto, 2009) [132]

---

[132] „ფულადი დეპოზიტის ხელშეკრულებაში დეპონენტის მუდმივი წვდომა ჩვეულებრივ აღინიშნება სიტყვით „მოთხოვნამდე“, რომელიც გვიჩვენებს

4.2.6. ნაწილობრივი საბანკო რეზერვირების სისტემა

1. ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში ირღვევა ზემოთ აღწერილი სამართლებრივი პრინციპები. აქ არ არის უზრუნველყოფილი სრული, 100%-იანი წვდომა დეპონირებულ ფულზე. ბანკები სარგებლობენ უვადო ანაბრებით (ანუ, დეპონირებული ფულით) ისე, თითქოს ეს არის სესხი. ისინი გასცემენ მათ კრედიტების სახით, ანუ, სხვის ფულს იყენებენ თავისი მიზნებისთვის, რითაც არღვევენ ფულის დეპონირების (შენახვის და დაცულობის უზრუნველყოფის) შესახებ შეთანხმების სამართლებრივ პრინციპებს. ანუ, უვადო ანაბრებით (დეპოზიტებით) ისინი სარგებლობენ ისევე, როგორც ვადიანი ანაბრებით (სესხებით).

თუ ირეგულარულ დეპოზიტს გავაიგივებთ სესხთან, მივიღებთ სრულ აბსურდს. გამოდის, რომ „... ფულადი საბანკო დეპოზიტის ხელშეკრულების ყოველი მხარე *ფიქრობს,* რომ მონაწილეობს „სხვადასხვა“ ხელშეკრულებაში. სხვა სიტყვებით, *დეპონენტები გადასცემენ ფულს, თითქოს შეაქვთ დეპოზიტი, ხოლო ბანკირები იღებენ მას, თითქოს ეს იყოს სესხი*“ (de Soto, 2009, 136). „ცხადია, ყოველი მხარის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიზეზი ან მიზანი არ ემთხვევა მეორე მხარის მიზანს: ერთი დებს ხელშეკრულებას რწმენით, რომ ეს არის დეპოზიტის ხელშეკრულება და გადასცემს ფულს ამ წინაპირობით, ხოლო მეორე იღებს ფულს თითქოს ეს იყოს სესხი ან *mutuum* (Latin: სესხის

მიმდინარე ანგარიშის, ანუ, „მოთხოვნამდე“ დეპოზიტის ხელშეკრულების არსებით, უტყუარ მიზანს: შეინარჩუნოს დეპონენტისთვის მუდმივი წვდომა *tantundem*-ზე *(იგივე რაოდენობის და ხარისხის ნივთებზე - ჰ.ლ.).*“ (de Soto, 2009, 18) „ამ მიზეზით ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მისი ვადა, და სახსრები დეპონირებულია „მოთხოვნამდე“, ანუ, შეიძლება იქნეს ამოღებული ნებისმიერ მომენტში.“ (de Soto, 2009, 136)

ხელშეკრულება - პ.ლ.) და გამომდინარე აქედან ახდენს მის ინვესტირებას“ (de Soto, 2009, 140-141);

2. როგორც ვხედავთ, ირეგულარულ დეპიზიტსა და სესხს შორის, ანუ, უვადო და ვადიან ფულად ანაბრებს შორის, არსებობს სრულიად მკაფიო განსხვავებები. მაგრამ ბანკირები ყოველთვის იყვნენ აყოლილი ცდუნებას და შესანახად გადაცემულ ფულად სახსრებს იყენებდნენ თავიანთ ინტერესებში, თუმცა, არ ჰქონდათ ამის უფლება. ამ ფულის უმეტეს ნაწილს ისინი გასცემდნენ კრედიტის სახით და იღებდნენ დიდ მოგებას. „ ... ფულადი ურთიერთობების აბსტრაქტული, დამაბნეველი ბუნების გამო, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მოქალაქეთა უმრავლესობამ და ხელისუფლებაში მყოფთა უმრავლესობამ, ვინც პასუხისმგებელია სამართლებრივი და მორალური პრინციპების ცხოვრებაში გატარებაზე, ვერ შეამჩნიეს ეს მოვლენები. ასე რომ, იმ დროისათვის, როდესაც ბოროტად გამოყენების და თაღლითობის ფაქტებმა იწყეს გამომჟღავნება და ხდებოდნენ უკეთ გაცნობიერე-ბული, საბანკო საქმის ინსტიტუტები უკვე ფუნქციონირებდნენ იმდენად დიდხანს და შეიძინეს იმხელა ძალაუფლება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო კორუფციის ეფექტურად ალაგმვა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ თანდათან გააცნობიერა ბანკების მიერ ფულის შექმნის უზარმაზარი შესაძლებლობები, რაც გასაგებს ხდის, თუ, უმრავლეს შემთხვევაში, რატომ ხდებოდნენ მთავრობები საბოლოო ჯამში საბანკო თაღლითობის თანამონაწილენი, ანიჭებდნენ რა ბანკირებს პრივილეგიებს და ახდენდნენ რა მათი შეუფერებელი საქმიანობის ლეგალიზებას, პირდაპირ თუ ირიბად, მათ უზარმაზარ მოგებებში მონაწილეობის შესაძლებლობის სანაცვლოდ. ამ გზით შექმნეს მათ სახელმწიფოს დაფინანსების მნიშვნელოვანი ალტერნატიული წყარო. ... ამგვარად, უფრო და უფრო მჭიდრო სიმბიოზი, ანუ ინტერესთა ერთობა, იქნა ფორმირებული მთავრობებსა და ბანკირებს შორის,

ურთიერთობები, რომლებიც, დიდწილად, დღესაც არსებობს“ (de Soto, 2009, 38-39);

3. ზოგი მათგანი, ვინც ამართლებს ნაწილობრივ საბანკო რეზერვირებას, მიუთითებენ იმაზე, რომ დეპონირებულ ფულზე წვდომა საჭიროა გავიგოთ არა მკაცრად 100%-იანი რეზერვირების აზრით, არამედ ბანკის „საერთო“ გადახდისუნარიანობის აზრით, თავისი ვალდებულებების შესრულების უნარის თვალსაზრისით. თითქოსდა ამ „საერთო“ გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა ხდება, ჯერ-ერთი, „დიდი რიცხვების კანონის“ მეშვეობით, რომლის წყალობითაც თვით დეპოზიტების თანაფარდობა, რომლებიც გამუდმებით შემოაქვთ და გააქვთ, გარანტირებულად უზრუნველყოფს ბანკის უნარს პირველივე მოთხოვნაზე დაა-ბრუნოს დეპოზიტი. მეორეც, თანამედროვე საბანკო სისტემაში ცენტრალური ბანკები წარმოადგენენ იმ „ბოლო ინსტანციის კრედიტორებს“, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნ-ველყოფენ კერძო ბანკებს აუცილებელი ლიკვიდურობით.

მაგრამ, ნაწილობრივი საბანკო რეზერვირების სისტემა „ახდენს ეკონომიკური პროცესების ინიცირებას, რომლებიც უბიძ-გებენ ბანკებს არაგონივრული სესხების დიდი მასშტაბებით გაცემას და ინვესტირებას იმ დეპოზიტებით, რომლებიც მათ მიითვისეს ან შექმნეს“ (de Soto, 2009, 150). ანუ ადგილი აქვს საკრედიტო ექსპანსიას, რეალური დანაზოგებით არაუზრუნველ-ყოფილი კრედიტების გაცემას, რასაც გარდუვალად მოჰყვება კრიზისები, ბანკების გადახდისუნარიანობის დასუსტება, მათი უუნარობა შეასრულონ აღებული ვალდებულებები. და, მეორეც, ნაწილობრივი რეზერვირების პირობებში, როდესაც კრედიტები იქმნება „ჰაერიდან“ და წარმოიშობა ინფლაცია, ბანკებს არ შეუძლიათ დეპონენტებისთვის დასაბრუნებელი ფულის მსყიდვე-ლობითი უნარის უცვლელობის გარანტირება. ანუ ირღვევა დეპოზიტების *დაცულობის უზრუნველყოფის* პრინციპი.

„ლოგიკურია, რომ ბანკირები ყოველთვის არღვევდნენ სამართლის საერთო პრინციპებს და არამართებულად, ფარული და სამარცხვინო გზით, ითვისებდნენ მოთხოვნამდე დეპოზიტების ფულს. მართლაც, ისინი სრულად აცნობიერებდნენ ასეთი ქცევის არამართლზომიერებას, და, გარდა ამისა, ესმოდათ: თუ კლიენტები გაიგებდნენ ბანკირების მოქმედებების შესახებ, ბანკი უმალვე დაკარგავდა კლიენტების ნდობას და გაკოტრდებოდა. ამით აიხსნება ის უკიდურესი იდუმალება, რომელიც ტრადიციულად თან სდევს საბანკო საქმეს. ფინანსური ტრანსაქციების დამაბნეველ, აბსტრაქტულ ბუნებასთან ერთად, არასაკმარისი გახსნილობა დიდ წილად დღესაც იცავს ბანკირებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისაგან. ამის გამო საზოგადოება რჩება სიბნელეში ბანკების ნამდვილი არსის თაობაზე. თვითონ ბანკები თავს წარმოაჩენენ ჭეშმარიტ საფინანსო შუამავლებად, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ მათში დავინახავთ ისეთი კრედიტების და დეპოზიტების შემქმნელებს, რომლებიც იბადება „არაფრიდან“ და რომლებიც ახდენენ ეკონომიკაზე ექსპანსიონისტურ გავლენას“ (de Soto, 2009, 69);

4. ნაწილიბრივი რეზერვირების საბანკო პრაქტიკას დიდი ხნის ისტორია აქვს ისევე, როგორც მის კრიტიკას. ასეთი პრაქტიკის ნაკლოვანებებზე ჯერ კიდევ XVI—XVII საუკუნეში ესპანეთში მიუთითებდნენ სალამანკის სკოლის წარმომადგენლები, ინგლისში XVIII საუკუნეში - დავიდ იუმი, XIX საუკუნეში ცნობილი ეკონომისტები საფრანგეთში და გერმანიაში. XX საუკუნეში ამ კრიტიკამ მიიღო უფრო მძაფრი ფორმები. ისეთმა ცნობილმა ეკონომისტებმა, როგორებიც იყვნენ ლუდვიგ მიზესი, ჰენრი საიმონსი, ფრენკ ნაიტი, ნობელის პრემიის ლაურეატები - ფრიდრიხ ჰაიეკი, მილტონ ფრიდმენი, ჯეიმს ტობინი, მორის ალე, ასევე მრავალმა სხვა ცნობილმა ეკონომისტმა მკაცრად გააკრიტიკა ნაწილობრივი რეზერვირების სისტემა. მრავალმა მათგანმა კრიტიკასთან ერთად წამოაყენა საბანკო სისტემის რეორგანიზების

ალტერნატიული პროექტები. ყველა ამ პროექტების ძირითადი იდეა იყო სრული, ანუ, 100%-იანი რეზერვირების პრინციპი. ასეთი რეფორმის საინტერესო პროექტი აშშ-ში 1933 წელს წარმოადგინეს ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებმა ირვინგ ფიშერის ხელმძღვანელობით. საბანკო რეფორმის „ჩიკაგოს გეგმის“ ინიცირებას უბიძგა 1930-იანი წლების „დიდმა დეპრესიამ“, რომლის ძირითად მიზეზად ისინი მიიჩნევდნენ სწორედ ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემას. ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ უარი თქვა ამ რეფორმების გატარებაზე. 1937-1938 წლების რეცესიის დროს მეორედ სცადეს „ჩიკაგოს გეგმის“ განხილვა და კვლავ უშედეგოდ. 2008 წლის მსოფლიო კრიზისმა კიდევ ერთხელ, და უფრო აშკარად, ცხადყო ნაწილობრივი რეზერვირების სისტემიდან მომავალი საფრთხის მასშტაბები. ამ კრიზისის შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა საბანკო სისტემის რეფორმირების პრობლემა. გამოიცა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი. 2012 წელს IMF-ის ეკონომისტებმა, ჯ. ბენესმა და მ. კუმჰოფმა, გამოაქვეყნეს კვლევა *The Chicago Plan Revisited* („ჩიკაგოს გეგმის ხელახალი განხილვა“). (იხ.: **Benes, Kumhof,** 2012). ცხადი ხდება, რომ საზოგადოებაში თანდათან ინგრევა ყალბი სტერეოტიპები თანამედროვე საბანკო სისტემის შესახებ, რაც არის წარმატებული რეფორმების ერთ-ერთი წინაპირობა;

5. საბანკო საქმე არსებობს უხსოვარი დროიდან.[133] მათი აღმოცენება პრაქტიკულად ემთხვევა ფულის და ვაჭრობის

---

[133] „ხოაკინ ტრიგო .... წერს, რომ, დაახლოებით 3300 წ. ქრისტეს შობამდე ურუქის ტაძარი ... იღებდა შემოწირულობებს და ანაბრებს, და ასევე გლეხებს და ვაჭრებს აძლევდა სესხებს საქონლით და ხორბლით, და, ამგვარად, გახდა პირველი ისტორიისათვის ცნობილი, ბანკი. ... ძველი ინდურ „მანუს კანონებში“ აგრეთვე მოიხსენიება საბანკო და საფინანსო ოპერაციები. მოკლედ, შემონახული წერილობითი წყაროები მიუთითებენ, რომ ფინანსური ოპერაციები ხორციელდებოდნენ 2300 და 2100 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თუმცა „საბანკო“ მეწარმეობის გავრცელება დაიწყო 730 და 540 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც ასირიულმა და ახალმა ბაბილონურმა დინასტიებმა უზრუნველყვეს

დაბადებას. შედარებით მეტი გავრცელება პოვეს მათ ბერძნულ-რომაულ სამყაროში, გვიანდელ შუა საუკუნეებში და აღორძინების ხანაში. XVII საუკუნეში აღმოცენდნენ პირველი სახელმწიფო ბანკები. და თითქმის ყოველთვის საბანკო საქმის განვითერებას, როგორც წესი, მოჰყვებოდა ერთი და იგივე შედეგი. ხდებოდა სამართლის პრინციპების დარღვევა, რაც, ადრე თუ გვიან, იწვევდა ბანკების გაკოტრებას და ღრმა ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისებს. ანუ საბანკო სისტემის ისტორია მოწმობს, რომ ყოველთვის წარუმატებლად მთავრდებოდა დეპონირების სამართლებრივი პრინციპების დამკვიდრების მცდელობა (იხ.: de Soto, 2009) „ფატალური ულმობელობით ამას მოსდევდა ერთი და იგივე დამანგრეველი შედეგები, და პროცესი მეორდება ისევ და ისევ, დღემდე“ (de Soto, 2009, 52);

4. განვითრების თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკის რეალურ სექტორში საბანკო სისტემიდან გამუდმებულად შედის „ჰაერიდან“ შექმნილი ფული, კრედიტები და მსყიდველობითი უნარი. მეორე მხრივ, უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში, მდიდარ უმცირესობას, მსხვილ ბანკებს და კორპორაციებს გამუდმებულად გამოაქვთ რეალური სექტორიდან ფული და მსყიდველობითი უნარი, რადგან მათი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ ბრუნდება რეალურ სექტორში რეალური საქონელის და მომსახურების შესაძენად. ეს ფული გადის საფინანსო ბაზრებზე. სპეკულაციური ოპერაციებმა ვალუტით, სხვადასხვა ტიპის

ვაჭრობის უსაფრთხოება, რამაც გამოიწვია სპეციალიზირებული ბანკების აღმოცენება. ეს საქმიანობა გავრცელდა ეგვიპტეში, და იქიდან მოგვიანებით ბერძნულ სამყაროში“ (de Soto, 2009, 40). „აშერი მიუთითებს, რომ გენუას ბანკები XII საუკუნეში თავის წიგნებში ცალსახად განასხვავებდნენ მოთხოვნამდე ანაბრებს და ვადიან ანაბრებს, და ამ უკანასკნელს აფორმებდნენ როგორც სესხის ხელშეკრულებას. ... მაგრამ მოგვიანებით ბანკირებმა დაიწყეს თანდათან მოთხოვნამდე ანაბრების გამოყენება საკუთარ ინტერესებში, რითაც დასაბამი მისცეს თანამედროვე საბანკო სისტემის ინფლაციურ პოტენციალს, ანუ, მის ძალაუფლებას შექმნას დეპოზიტები და გასცეს კრედიტები არაფრიდან“ (de Soto, 2009, 61).

დერივატივებით თუ სხვა სახის სფინანსო ინსტრუმენტებით მიიღო გიგანტური მასშტაბები.[134] ეკონომიკის რეალურ სექტორში *არაუზრუნველყოფილი* ფულის და მსყიდველობითი უნარის შედინება და, მეორე მხრივ, იქიდან *სრულფასოვანი* ფულის და მსყიდველობითი უნარის გადინება იწვევს ეკონომიკური თვითრეგულირების მექანიზმის სრულ დეზოდგანიზებას და მაკროეკონომიკურ დეფორმაციებეს. ყოველივე ეს მიუთითებს განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკაში წარმოქმნილ შიდასისტემურ პრობლემებზე.

4.3. მონოპოლიები და რეგულირების აუცილებლობა

4.3.1. მონოპოლისტური ფასწარმოქმნა

1. დროთა განმავლობაში კონკურენცია თვით ბადებს მონოპოლიას და, შესაბამისად, კონკურენციული ფასი ტრანსფორმირდება მონოპოლიურ ფასად, ანუ რეგულირებად ფასად. ეკონომიკის დარგების მონოპოლიზაციის ხარისხი და მონოპოლური ფასების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. სავსებით ცხადია, რომ ეს პროცესი გაგრძელდება მომავალშიც, რადგან არის როგორც კონკურენციის, ისე ტექნიკური პროგრესის ლოგიკური შედეგი. ეს პროცესი გარდუვალია ისევე, როგორც ტექნიკური პროგრესი. თანდათან ბაზარი კარგავს თვითრეგულირების უნარს. მონოპოლიზირებულ ბაზარებზე ინდივიდუალური ფასები უკვე აღარ

[134] ამ სფეროში ბრუნავს ძალიან დიდი თანხები და მათი მოცულობა სულ უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითისთვის, მხოლოდ FOREX-ის ბაზარზე 2016 წელს *ყოველდღიური* ბრუნვა შეადგედა 5,1 ტრილიონ დოლარს. ექსპერტთა პროგნოზების თანახმად 2020 წლისთვის ყოველდღიური ბრუნვა მიაღწევს 10 ტრილიონ დოლარს.

გადაიხრება მონოპოლიური ფასებიდან. შესაბამისად, თვით მონოპოლური ფასი აღარ წარმოადგენს ინდივიდუალური ფასებიდან სტიქიურად ფორმირებულ საშუალო სიდიდეს. ეს უკვე რეგულირებადი ფასია. მონოპოლიური ფასების ცვლილებებზე ინდივიდების რეაქცია აისახება უკვე არა ინდივიდუალურ ფასებზე, არამედ საქონლის რაოდენობაზე და სასაქონლო ნაკრებზე, რომელსაც ინდივიდი აწარმოებს და მოიხმარს, ყიდის და ყიდულობს. მიწოდების რეგულირების მეშვეობით მონოპოლიას შეუძლია არეგულიროს საბაზრო ფასი და, ამასთან, ინდივიდების ეკონომიკური მოქმედებებიც, რადგან ინდივიდები იძულებულნი არიან მოარგონ თავიანთი გადაწყვეტილებები მონოპოლიურ ფასებს;

2. ყოველი ფასი არის ყველა დანარჩენი ფასის ფუნქცია. ამიტომ, სტრატეგიული საქონლის ფასები კომპონენტების სახით შედიან ფასების უმრავლესობის შემადგენლობაში. მონოპოლიური ფასები არის იმ საქონელის ფასები, რომლებსაც ხშირად აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. ამიტომ მათზე დიდწილად არის დამოკიდებული ფასების მთელი სისტემა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ეს არ არის სტრატეგიული საქონელი, მონოპოლიური საქონლის ფასებს გააჩნიათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ფასების სისტემაში, რადგან დანარჩენი ფასები უნდა მოერგონ მათ. მონოპოლიური ფასები შეიცავენ საშუალოზე უფრო მაღალ მოგების ნორმას, რაც გამოწვეულია წარმოების შემცირებით და ფასების ზრდით. ამაშია მონოპოლისტის ინტერესი. მაგრამ სწორედ ეს გადახრა მოგების საშუალო ნორმიდან ნიშნავს გადახრას წონასწორული და, ესე იგი, ოპტიმალური ფასიდან. ანუ მონოპოლისტი დაინტერესებულია ოპტიმალური ფასების დამახინჯებით. მონოპოლიის წყალობით მთლიანად ფასთა სისტემა დეფორმირებულია იმგვარად, რომ დოვლათი გადანაწილებულია მათ სასარგებლოდ, ვინც არეგულირებს მონოპოლიურ ფასებს.

საბაზრო ეკონომიკის რეგულირება ხდება იმის სასარგებლოდ, ვინც მას არეგულირებს, ხოლო არეგულირებს მას ის, ვინც არეგულირებს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფასებს (მონოპოლიურ ფასებს). ანუ პრობლემა დაიყვანება იმაზე, თუ ვინ არეგულირებს მონოპოლიურ ფასებს – კერძო მესაკუთრეები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ სახელმწიფო – საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ პირობებში სახელმწიფო იძულებულია ჩაერიოს საბაზრო პროცესებში და დაიცვას საზოგადოების ინტერესები იმიტომ, რომ მონოპოლისტი ერევა მასში თავის სასარგებლოდ და საზოგადოების საზიანოდ;

3. საბაზრო ეკონომიკის სტიქიური რეგულირების ჩანაცვლება გაცნობიერებული რეგულირებით არის ისტორიული განვითარების და ტექნიკური პროგრესის ბუნებრივი შედეგი. ამიტომ ფასების რეგულირებაც ამ პროცესების ბუნებრივი შედეგია. დიდი ხანია ასეთი რეგულირება ხდება კიდეც თანამედროვე ეკონომიკაში, როგორც მონოპოლისტების, ისე სახელმწიფოს მიერ.[135] მაგრამ, ჯერჯერობით კერძო მონოპოლისტების როლი ფასების რეგულირების პროცესებში გაცილებით დიდია, ვიდრე სახელმწიფოს როლი. თუ სახელმწიფო შეძლებს ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფასის რეგულირებას ეკონომიკური პროცესების ადეკვატური მოდელირების და ოპტიმალური ფასების გაანგარიშების საფუძველზე, მაშინ ეკონომიკა დაიწყებს ფუნქციონირებას ოპტიმალურ რეჟიმში.

ოპტიმალური ფასი არის არა დეკრეტირებული, არამედ რეგულირებადი ფასი, რომელიც ფორმორდება საბაზრო მიწოდების რეგულირებით. ამიტომ, იმისათვის, რომ სახელმწიფომ

---

[135] სახელმწიფოს მიერ ფასების რეგულირების მაგალითებია საპროცენტო განაკვეთების რეგულირება, სავალუტო კურსების რეგულირება, სახელმწიფო სექტორში ხელფასების განსაზღვრა, კერძო სექტორში მინიმალური ხელფასის დადგენა, ელექტროენერგიაზე, წყალზე, გაზის მიწოდებაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ტარიფების დადგენა და სხვ.

შეძლოს ფასების ეფექტიანად რეგულირება, იგი თვითონ უნდა იყოს მსხვილი მწარმოებელი და მონოპოლისტი სტრატეგიული საქონელის ბაზარზე. ან, უკიდურეს შსმთხვევაში, იგი უნდა აკონტროლებდეს მაინც ბაზრის უმეტეს ნაწილს. მაგრამ იმისთვის, რომ სახელმწიფო გახდეს მონოპოლისტი ამა თუ იმ დარგში, მან უნდა წმინდა ეკონომიკური მეთოდებით დაამარცხოს კერძო მონოპოლისტები თანასწორუფლებიან კონკურენტულ ბრძოლაში. დანარჩენი დარგები უნდა ფუნქციონირებდეს კონკურენტულ საფუძველზე. ამასთან, რეგულირებადი ფასების ოპტიმიზაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს პარალელურ რეჟიმში კონკურენტული ფასების ფორმირების საბაზრო პროცესებთან ერთად. და ეს უნდა ხდებოდეს ისე, რომ ხელი შეუწყოს ოპტიმალური თანაფარდობის ჩამოყალიბებას რესურსების და პროდუქტების ფასებს შორის, სასაქონლო და ფულად ნაკადებს შორის, ხელი შეუწყოს წარმოებისადმი, მოხმარებისადმი, დაზოგვისადმი და რისკისადმი მიდრეკილებების რეგულირებას. ამით შესაძლებელი გახდება ეკონომიკური აქტივობის რეგულირება და, შესაბამისად, ანტიციკლური პოლიტიკის გატარება;

4. გლობალიზაციის პირობებში ნაციონალური ეკონომიკები გახდნენ ერთმანეთზე ძალიან დამოკიდებულნი, რადგან გადაიქცნენ ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზმის ნაწილებად. ინფლაცია, უმუშევრობა, კრიზისები ჯაჭვური რეაქციით ვრცელდება ქვეყნიდან ქვეყანაში. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის რეგულერება ხდება ძირითადად ეროვნულ დონეზე. მაგრამ ეროვნულ დონეზე რეგულირება ვერ უმკლავდება პრობლემებს, რომლებიც გენერირებულია საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური პოლიტიკების ეროვნებათშორისი კოორდინაციის ეფექტიანობა აშკარად ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს. მაგრამ ამ პრობლემებს ბადებს არა მარტო პოლიტიკური უთანხმოება. სირთულეს წარმოშობს ისიც, რომ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული გლობალური ეკონომიკური პრობლემების სიღრმისეული

მიზეზები. კერძოდ ის, რომ მსოფლიოს უკიდურესი ეკონომიკური პოლარიზაციის გამო, ფერხდება როგორც ღარიბი, ისე მდიდარი ქვეყნების განვითარება.

სარგებლობენ რა მსოფლიოში თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობით, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენით, მდიდარი ქვეყნები ახდენენ რესურსების გადაქაჩვას ღარიბი ქვეყ-ნებიდან. რესურსებზე დაბალი ფასების და, შესაბამისად, დაბალი შემოსავლების გამო, ღარიბი ქვეყნების გადახდისუნარიანობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ წარადგინოს სათანადოთ დიდი მოთხოვნა მდიდარი ქვეყნების პროდუქციაზე. ამიტომ ვერ ხდება მდიდარი ქვეყნების საწარმოო პოტენციალის სრულად ამოქმედება, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ღარიბ ქვეყნებშიც ვერ ხდება ვერც ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ვერც საწარმოო პოტენციალის განვითარება. დარღვეულია პროდუქ-ტებზე და რესურსებზე მსოფლიო ფასების ოპტიმალური თანაფარდობა. ვერ ხდება ოპტიმალური ფულად-სასაქონლო ნაკადების ფორმირება ქვეყნებს შორის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის სუბიექტებს შორის. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ნაკადების ღირებულებითი დისბალანსის შევსება ხდება მრავალმილიარდიანი სამხედრო დაკვეთებით, სამომხ-მარებლო კრედიტებით, "ფასიანი ქაღალდებით". ასეთ ვითარებაში ფინანსური ნაკადები უკვე აღარ შეესაბამება სასაქონლო ნაკადებს, ისინი იწყებენ დამოუკიდებელ "ცხოვრებას", იწყებენ მოძრაობას საკუთარი კანონების მიხედვით. ეს არის უზარმაზარი ფინანსური ნაკადები, რომლებიც ხასიათდება უკიდურესი სენსიტიურობით, არაპროგნოზირებადობით და რყევების დიდი ამპლიტუდით. საბოლოო ჯამში „დიდი დეპრესიაც“ და 2008 წლის მსოფლიო კრიზისიც გამოწვეული იყო სწორედ ფინანსური სექტორის არასტაბილურობით;

5. როდესაც კაცობრიობის ერთი მესამედი ცხოვრობს უკი-დურეს სიღატაკეში, ასეთი პოლარიზაცია როგორც ნაციონალურ,

ისე მსოფლიო დონეზე, არა მარტო არის უზნეობა, არამედ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით გახდა პროგრესის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირება არ გულისხმობს ეკონომიკურ პოლარიზაციას, არამედ მხოლოდ ეკონომიკურ ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციების უზრუნველყოფას და, მაშასადამე, ეკონომიკურ მოქმედებებს შორის ჰარმონიას და თანხმობას, და არა კონფრონტაციას (როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე). ამ პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია სტრატეგიულ რესურსებზე ფასების ეფექტიანი რეგულირების და ეკონომიკის ოპტიმიზაციის გარეშე, როგორც ქვეყნების, ისე მსოფლიო დონეზე. მსოფლიოში დღეს არსებული ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა და, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნებს შორის უკიდურესი ეკონომიკური უთანაბრობა, ხელს უშლის გლობალური ეკონომიკის ოპტიმალურ ფუნქციონირებას, ჰარმონიულ მთლიანობად ჩამოყალიბებას. მაგრამ ასეთ მთლიანობად ჩამოყალიბების აუცილებლობა ნაკარნახევია გლობალიზაციით, საწარმოო ძალების არნახული განვითარებით.

4.3.2. რეგულირების აუცილებლობა

სტიქიურმა საბაზრო მექანიზმმა ისტორიულად განაპირობა ეკონომიკის საოცარი პროგრესი, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს სტიქიურობა გახდა შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი. დღეს უკვე ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკა ვერ უმკლავდება თავის „გენეტიკურად“ თანდაყოლილ დეფექტებს. ადამ სმითის "უხილავმა ხელმა" საზოგადოებას მოუტანა სიუხვე, მაგრამ მანვე თავს მოახვია მას კრიზისები, უმუშევრობა, ინფლაცია,

გარემოს დაბინძურება და მათგან მომდინარე სოციალური, პოლიტიკური, მორალური თუ ეკოლოგიური პრობლემები.

1. როგორც აღინიშნა, თანამედროვე ეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია მონოპოლიები. მონოპლიზაციის პროცესი თვითონ ამზადებს ნიადაგს ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობისათვის, მსხვილი მონოპოლიების სახელმწიფო საწარმოებად ტრანსფორმირებისათვის. მეტიც, მონოპოლიზაციის პროცესი თვითონ ავლენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროდუქტებს, რესურსებს და ფასებს, რომლებიც საჭიროებენ რეგულირებას. მენეჯმენტით და ფუნქციონირების მეთოდებით მონოპოლიები გვანან სახელმწიფო სტრუქტურებს. გარკვეული აზრით, მსხვილი მონოპოლია ჰგავს პატარა სახელმწიფოს ან იმპერიას, ხოლო სახელმწიფო – უმსხვილეს მონოპოლიას. სახელმწიფო საწარმოსა და კერძო მონოპოლიას შორის განსხვავება ის არის, რომ ერთ შემთხვევაში მოგება მიდის კერძო პირის ბიუჯეტში, მეორე შემთხვევაში კი – სახელმწიფოს ბიუჯეტში. მაგრამ მოგების განაწილება კერძო მონოპოლიების სასარგებლოდ, საბოლოო ჯამში, იწვევს საზოგადოების შეზღუდული რესურსების არაეფექტიან გამოყენებას და კარგავს ეკონომიკურ აზრს.

კონკურენციის პირობებში მოგება არის მეწარმის რისკის ანაზღაურება, ხოლო მოგების ნორმა – რისკის ფასი. მაგრამ მონოპოლური მოგება აღარ არის რისკის ანაზღაურება და იღებს გადასახადის ფორმას, რომელითაც მონოპოლია იძულებითი წესით ბეგრავს საზოგადოებას როგორც მის მიერ გაწეული მომსახურეობისათვის საფასურით; მსგავსად სახელმწიფოსი, რომელიც საზოგადოებას ბეგრავს საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების და იმ ფუნქციების დასაფინანსებლად, რომელთა შესრულებაზეც მას აქვს ლეგიტიმური მონოპოლია. ამიტომ, მონოპოლური საკუთრების თანდათანობითი ტრანსფორმირება სახელმწიფო საკუთრებაში არის გარდუვალი და ნაკარნახევია ეკონომიკური განვითარების

ლოგიკით. ამ ლოგოკის არცოდნა ხშირად განაპირობებს მთავრობების ალოგიკურ მოქმედებებს.

ასე რომ მონოპოლიების აღმოცენება, მონოპოლიური ფასები, ბაზრის თვითრეგულირების უნარის დაკნინება, სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ზრდა – ყოველივე ეს ბუნებრივი პროცესებია, გამოწვეული ეკონომიკური განვითარებით და ტექნიკური პროგრესით. და ამ პროცესებისათვის ხელის შეშლა შეუძლებელია და არც არის საჭირო. პირიქით, საჭიროა მათი შეცნობა და მათთან შესაბამისობაში მოქმედება;

2. მრავალი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ საბაზრო ეკონომიკის ყველა მანკიერება გამოწვეულია მოგებისაკენ სწრაფვით, ნაცვლად უშუალო ორიენტაციისა ადამიანის მოთხოვნილებებზე. ეს არ არის ასე. პრობლემას წარმოადგენს არა მოგებისაკენ სწრაფვა, არამედ მოგების არაეფექტური გამოყენება, რაც გამოწვეულია მისი აკუმულირებით არა იმათ ხელში, ვისაც შეუძლია მისი უფრო გონივრულად და სამართლიანად გამოყენება. მხოლოდ ამ მიზეზით საზოგადოების უამრავი რესურსი იხარჯება ადამიანთა ერთი ჯგუფის უაზრო ფუფუნებაზე და ახირებებზე, მაშინ როდესაც მილიონობით ადამიანი ვერ ღებულობს ელემენტარულ განათლებას, ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, შიმშილში და სნეულებებში. ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების პირობებში თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე იძლევა ამ პრობლემების გადაიჭრის და ცხოვრების დონის მკვეთრად გაზრდის საშუალებას;

3. ეკონომიკური ციკლის რყევები, სიმდიდრისა და სიღატაკის პოლარიზაცია, ბუნებისადმი მტაცებლური დამოკიდებულება – ყოველივე ეს არ არის ეკონომიკის განუყოფელი თვისებები. ეს არის მხოლოდ არარეგულირებადი, "თავისუფალი" ბაზრის თვისებები, რომელშიც თვითონ ადამიანი არ არის თავისუფალი. ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი, სანამ იგი უძლურია სტიქიური პროცესების წინაშე, რომლებსაც მოაქვთ ამდენი უბედურება. ადამიანი მაშინ

არის თავისუფალი, როდესაც იგი თავისუფალია კრიზისების, უმუშევრობის, ინფლაციის, სიღატაკის და საბაზრო ეკონომიკის სხვა ნაკლოვანებებისაგან. ხოლი მისი განთავისუფლება მათგან შეუძლია მხოლოდ რეგულირებად ეკონომიკას, რეგულირებულს არა „საბჭოური“ ტიპის პოლიტიკური დირექტივებით, არამედ იგივე საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად. ანუ, რეგულირება ამას აკეთებს არა იძულების გზით, არამედ იმავე ფასების საშუალებით, რომლის მეშვეობითაც თვითეული სუბიექტის ინტერესებშია იმის კეთება, რაც აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. ასეთ პირობებში სუბიექტი თავისი ნებით, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სასიკეთოა ყველასათვის. თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ფასები იქნება ოპტიმალური, მაშინ სუბიექტის გადაწყვეტილებებიც და ეკონომიკის ფუნქციონირებაც იქნება ოპტიმალური;

4. იმისათვის რომ შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური ციკლის დამანგრეველი რყევებისაგან განთავისუფლება, საჭიროა ვიცოდეთ რატომ ჩნდებიან ისინი. იმისათვის რომ აღმოვფხრათ ფუფუნების გარემოცვაში არსებული სიღატაკე, უნდა გვესმოდეს რა წარმოშობს უთანაბრობას. ბუნების და საზოგადოების კანონები, ანუ აუცილებლობა, ბატონობს ადანიაწზე მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ვლინდება სტიქიურად და არ ექვემდებარება მის კონტროლს. მაგრამ როდესაც ადამიანი შეიცნობს მას და მოქმედებს ამ კანონების შესაბამისად, მაშინ იგი თავისუფლდება "ბრმა აუცილებლობის" დიქტატისაგან. იგი მოიპივებს თავისუფლებას. თავის მოღვაწეობით ადამიანი გვერდს ვერ აუვლის აუცილებლობას, ბუნების და საზოგადოების კანონებს. მას შეუძლია მხოლოდ შეიცნოს ისინი და იმოქმედოს მათთან შესაბამისობაში და ამით გამოდევნოს სტიქიურობა და მოიპოვოს თავისუფლება;

5. ფულად–სასაქონლო ნაკადების რეგულირება სხვადასხვა ფისკალური, მონეტარული თუ ინსტიტუციონალური "სტიმულატორების და დეპრესანტების" მეშვეობით, უკვე დიდი ხანია

არის თანამედროვე ეკონომიკის განუყრელი ატრიბუტი. მაგრამ ასეთი მეთოდებით რეგულირება ბადებს თავის ნეგატიურ შედეგებს, "ბაზრის ფიასკოს". ამიტომ ბაზრის რეგულირების მომხრეები და მოწინააღმდეგეები კამათობენ არა იმის თობაზე, საჭიროა თუ არა საბაზრო პროცესებში ჩარევა, არამედ იმაზე, თუ რა მასშტაბებით უნდა მოხდეს ეს ჩარევა. რადგან თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებებს არავინ უარყოფს. კამათია მხოლოდ იმის თაობაზე - მეტი თუ ნაკლები ნაკლოვანებები გააჩნია რეგულირებას. სხვა სიტყვებით, წინააღმდეგობა არსებობს ცოდნას შორის, რომ ბაზრის რეგულირება აუცილებელია, და არცოდნას შორის, თუ როგორ უნდა ხდებოდეს იგი;

6. კომპიუტერული მოდელირების საფუძველზე რეგულირებული ეკონომიკა, თავისუფალი ციკლური რყევებისაგან, ფუფუნებაზე და სიღატაკეზე პოლარიზებისაგან, გარემოს გაბინძურებისაგან – არის შესაძლებელი თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში და გარდუვალია მომავალში. უკვე დღეს ნაციონალური ეკონომიკები, მართალია არაეფექტიანად, მაგრამ ასე თუ ისე, არიან რეგულირებადი ეკონომიკები. თავისი ფუნქციონირების იმანენტური კანონების თანახმად საბაზრო ეკონომიკა თანდათან ტრანსფორმირდება რეგულირებად ეკონომიკაში. ამის დასტურია სახელმწიფო სექტორის ზრდის, მონოპოლიების და მონოპოლიური (რეგულირებადი) ფასების რაოდენობის ზრდის საერთო ისტორიული ტენდენცია, და ასევე, თვით ეკონომიკური განვითარების ლოგიკით ნაკარნახევი, სახელმწიფოს მიერ იძულებითი, სულ უფრო აქტიური, მიზანმიმართული ჩარევა საბაზრო პროცესებში და კომპიუტერული მოდელირების აქტიური გამოყენება.

მაგრამ, ბუნებრივია, იმისათვის რომ ვიცოდეთ როგორ უნდა ხდებოდეს ბაზრის ეფექტიანი *რეგულირება,* საჭიროა ვიცოდეთ როგოგრ ხდება მისი *თვითრეგულირება.* მაგრამ მეინსტრიმი არ იძლევა ამომწურავ პასუხს ამ კითხვაზე. რადგან ბაზრის თვითრეგულირება ხდება ფასების სისტემის მეშვეობით, ამიტომ

რეგულირებაც უნდა ხდებოდეს პირველ რიგში ფასების სისტემის მეშვეობით, და არა ხელოვნური სტიმულირების ან დესტიმულირების მეთოდებით, რომლებიც ბლოკავენ თვითრეგულირების მექანიზმებს. რეგულირების ფუნქცია არის არა საბაზრო თვითრეგულირების ჩახშობა და მისი ჩანაცვლება პროცესებზე გარედან ზემოქმედებით, არამედ, პირიქით, მისი ხელშეწყობა. ამასთან, ფასების რეგულირება უნდა ხდებოდეს საბაზრო კანონების შესაბამისად. ამასთვის კი საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური თეორია და ეფექტური გამოყენებითი მოდელები, რომლებიც არ გააჩნია ეკონომიკურ მეინსტრიმს.

* * *

ადამიანმა მიაღწია საოცარ წარმატებებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებაში, მაგრამ ვერ შეძლო ეკონომიკური კრიზისებისაგან თავის დაღწევა რადგან არ გააჩნია სათანადო ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირება. დღეს ეკონომიკური მეცნიერება იმყოფება ღრმა კრიზისში, საიდანაც მისი გამოყვანა შესაძლებელია მხოლოდ მეინსტრიმის დოგმების უარყოფით, ალტერნატიული იდეების შემოთავაზებით, სხვა დისციპლინების უახლესი მეცნიერული მიღწევებისადმი გახსნილობით. ახალი ეკონომიკური პარადიგმის შექმნა შეუძლია მხოლოდ თავისუფალ, შემოქმედებით აზროვნებას. ამიტომ, ამის გაკეთებას უნდა მოველოდოთ, პირველ რიგში, ახალაგზრდა მეცნიერების მხრიდან, რადგან, წინა თაობისგან განსხვავებით, მათი აზროვნება ნაკლებად არის „დაბინძურებული“ თავსმოხვეული, დრომოჭმული დოგმებით. ამას ადასტურებს ეკონომიკური პროფილის სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების უპრეცენდეტო გააქტიურება მთელ მსოფლიოში.

თავი 5. ანალიზის ინტერდისციპლინარული კონტექსტი

5.1. საბაზრო ეკონომიკა კონსტრუქტივისტულ დისკურსში

5.1.1. სოციალური სისტემის ფორმირება

1. ნებისმიერ სისტემას აქვს თავისი გარემო და, შესაბამისად, საზღვრები, რომლებიც გამოყოფენ სისტემას გარემოსაგან, აფიქსირებს მათ შორის განსხვავებას. თუ წაიშლება ეს განსხვავება, წაიშლება საზღვრებიც. სისტემა და მისი გარემო წარმოუდგენელია ერთმანეთის გარეშე. სისტემის ფორმირება ამავე დროს ნიშნავს მისი გარემოს და, შესაბამისად, მისი საზღვრების ფორმირებასაც (იხ. Луман, 2007, 68). მაგრამ როგორ ხდება სისტემის ფორმირება? ვის გაყავს ეს საზღვარი? ამას აკეთებს თვითონ სისტემა. საკუთარი ოპერაციების მეშვეობით სისტემა განასხვავებს თავის თავს ყველაფერი დანარჩენისაგან და ამით ქმნის საკუთარ თავსაც და თავის გარემოსაც, და ესე იგი საზღვრებსაც.

სოციალური მოქმედება არის ის ერთადერთი ოპერაცია, რომელიც ჰყოფს თავდაპირველად არამარკირებულ სოციალურ სივრცეს შიდა „სივრცედ“ და გარე სამყაროდ. „ ... თუ მოქმედებას იწყებს გარკვეული ტიპის ოპერაცია და მასთან მიერთება შეუძლიათ სხვა მსგავს ოპერაციებს, ანუ, ... თუ იგი გრძელდება იგივე ტიპის ოპერაციის სახით, მაშინ იბადება სისტემა. .... გარემო რჩება გარეთ. სისტემა აშენებს საკუთარ თავს როგორც ოპერაციების შეჭიდულობას. სისტემისა და მისი გარემოს შორის განსხვავება იბადება მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ ერთი ოპერაცია

ბადებს იგივე ტიპის შემდეგ ოპერაციას“ (იქვე, 79). წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, იმ ერთადერთ ოპერაციას, რომელიც „ბადებს იგივე ტიპის მომდევნო ოპერაციას“ და ამით ქმნის სოციალურ სისტემას, წარმოადგენს *სოციალური მოქმედება.* როგორ ხდება ეს კონკრეტულად, ჩვენ უკვე განვიხილეთ ეკონომიკური მოქმედებებიდან ეკონომიკური სისტემის ფორმირების მაგალითზე. ეკონომიკური მოქმედება არის ის ერთადერთი ოპერაცია, რომელიც ახდენს ეკონომიკური სივრცის ორგანიზებას. ნ. ლუმანი წერს: „ .. სისტემა ყოველთვის ოპერირებს ფორმის შიდა მხარეს, ანუ, თავის თავში, და არა მის გარეთა მხარეს. მაგრამ მის შიდა მხარეს ოპერირება, სისტემის შიგნით, და არა გარე სამყაროში, უკვე გულისხმობს, რომ ეს გარე სამყარო, გარეთა მხარე, არსებობს“ (იქვე, 95);

2. ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება არის გარე სამყაროსგან მისი განსხვავების პერმანენტული აღწარმოება და, ესე იგი, თავისი საზღვრების აღწარმოება. ეს განსხვავება იბადება იმ ფაქტიდან, რომ, რადგანაც ეკონომიკური მოქმედება შეიძლება დაიბადოს მხოლოდ სხვა ეკონომიკური მოქმედებიდან, ამიტომ ეკონომიკური მოქმედებები შეიძლება არსებობდნენ მხოლოდ ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემის ფარგლებში და ვერავითარი მოქმედება ვერ გავა სისტემის გარეთ. „ ... სისტემას არ შეუძლია თავისი ოპერაციების გამოყენება გარე სამყაროსთან კავშირის დასამყარებლად. სწორედ ამას ამტკიცებს თეზისი ოპერაციული ან ოპერაციონალური ჩაკეტილობის შესახებ. ოპერაციები თავიდან ბოლომდე, ... ყოველთვის შესაძლებელია მხოლოდ სისტემის შიგნით. ისინი ვერ იქნებიან გამოყენებული იმისათვის, რომ როგორმე შეაღწიონ გარე სამყაროში. ანუ, თუ საზღვარი გადაიკვეთებოდა, ისინი გახდებოდნენ რაღაც სხვა რაიმედ, და არა სისტემურ ოპერაციად“ (იქვე).

5.1.2. სოციალური მოქმედება

1. არ არსებობს სისტემა ემერჯენტული თვისებების გარეშე, რომლებიც გააჩნია მხოლოდ სისტემას და არ გააჩნია არც ერთ მის შემდაგენელ ელემენტს. ამასთან, ელემენტი არის პირველადი და დაუნაწევრებელი ერთეული მხოლოდ როგორც სისტემის ელემენტი. მაგრამ თავის თავად, სისტემური კონტექსტის გარეშე, ეს ელემენტი თვითონაც წარმოადგენს სისტემას და შედგება გარკვეული კომპონენტებისაგან (იხ. Парсонс, 2000, 119-122). ნებისმიერი სისტემა შეიძლება დავანაწევროთ ნაწილებად და უფრო მცირე ქვესისტემებად მხოლოდ იქამდე, სანამ მივაღწევთ მის პირველად, მაკონსტიტუირებელ ერთეულს, რომლის შემდგომი დაშლაც ამ სისტემის ფარგლებში შეუძლებელია. მისი შემდგომი დაშლის შემთხვევაში სისტემა კარგავს თავის ემერჯენტულ თვისებებს და ესე იგი ვეღარ განიხილება როგორც სისტემა.

როგორც აღინიშნა, ოპერაცია, რომელიც ქმნის სოციალურ სისტემას, არის *სოციალური მოქმედება.* ეკონომიკური ქვესისტემის შემთხვევაში სოციალური მოქმედება ვლინდება როგორც *ეკონომიკური მოქმედება.* სოციალური მოქმედება არის სოციალური სისტემის მაკონსტიტუირებელი და დაუნაწევრებელი ელემენტი. მაგრამ სისტემური კონტექსტის გარეშე, როგორც საერთოდ მიზანშეწონილი მოღვაწეობის აქტი, სოციალური მოქმედება თვითონაც წარმოადგენს ტელეოლოფიურ სტრუქტურას.[136] მისი კომპონენტებია: მიაზანი, საშუალება, რეზულტატი და ფასეულობები. თუმცა ეს კომპონენტები არ უნდა წარმოვიდ-

[136] მსგავსად იმისა, რომ ცოცხალი ორგანიზმის ელემენტარულ ერთეულს წარმოადგენს უჯრედი, მაგრამ უჯრედი თვითონაც წარმოადგენს სისტემას. მაგრამ, ორგანიზმის, როგორც სისტემის, ელემენტს წარმოადგენს მხოლოდ უჯრედი, და არა ის კომპონენტები, რომლებიდანაც შედგება უჯრედი.

გინოთ როგორც დამოუკიდებლად არსებული მოცემულობები. ისინი არ არსებობენ მოქმედების გარეშე;

2. თ. პარსონსი იყო პირველი სოციოლოგი, რომელმაც სოციალური სისტემების საწყის ელემენტად მიიჩნია სოციალური მოქმედება. თვითონ ტერმინი „სოციალური მოქმედება“ თ. პარსონსმა გადმოიღო მაქს ვებერის სოციოლოგიური თეორიიდან. მ. ვებერი წერს: „’მოქმედებას’ ჩვენ ვუწოდებთ ადამიანის მოქმედებას, ... თუ და რამდენადაც მოქმედი ინდივიდი ან ინდივიდები უკავშირებენ მას სუბიექტურ საზრისს. ‘სოციალურს’ ჩვენ ვუწოდებთ ისეთ მოქმედებას, რომელიც, მოქმედი პირის ან მოქმედი პირების ვარაუდით, უკავშირდება სხვა ადამიანების მოქმედებებს და ორიენტირებულია მათზე“ (Вебер, 1990, 602). „.... ყველა ტიპის მოქმედება არ არის ‘სოციალური’ ... . მეურნეობის გამღოლა (ცალკეული ინდივიდის) მხოლოდ მაშინ და იმდენად არის ‘სოციალური’, როდესაც და რამდენადაც იგი ითვალისწინებს სხვის ქცევას. ... მაშასადამე, - თუ ასეთ მეურნეობრიობაში ასახულია მესამე პირების მიერ ამ პირის ფაქტიური უფლებების აღიარება განკარგოს თავისი მეურნეობა თავის შეხედულებებისამებრ; ... თუ პროდუქტების წარმოებისას იგულისხმება, რომ მომავალში მათზე იარსებებს მოთხოვნა მესამე პირების მხრიდან“ (იქვე, 625).

სოციალურ მოქმედებას გააჩნია თავისი ადრესატი, ან ადრესატები. ამიტომ მოქმედება დამოკიდებულია მოსალოდნელ რეაქციაზე, და რეაქციაც დამოკიდებულია მის გამომწვევ მოქმედებაზე. ანუ, ყოველი მოქმედება გულისხმობს არა უბრალოდ სხვა მოქმედებას, არამედ *„თავის სხვა“* მოქმედებას. სოციალური მოქმედების წყალობით ყველა სუბიექტი დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთიანი სისტემის ფარგლებში. სუბიექტის ყოველი მოქმედება გავლენას ახდენს სხვა სუბიქტების მოქმედებებზე და მთლიანად სისტემაზე. ყოველ მოქმედებას შეაქვს თავისი „წვლილი“ მთლიანად სისტემის ფუნქციონირებაში;

3. თ. პარსონსის თანახმად მოქმედების ცალკეული აქტი მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: (1) მიზანს; (2) სიტუაციას, რომელიც, თავის მხრივ, იშლება შემდეგ შემადგენელ ნაწილებად: (ა) საშუალებები და (ბ) პირობები; და, ბოლოს, (3) არჩევანის გარკვეულ ნორმატიულ სტანდარტს, რომლის თანახმადაც ხდება მიზნის დაკავშირება სიტუაციასთან (იხ. Парсонс, 2000, 60). სიტუაცია წარმოადგენს მოქმედების პირობებს იმდენად, რამდენადაც აქტორს არ შეუძლია მათი გაკონტროლება. პირობებისაგან განსხვავებით საშუალებები წარმოადგენენ სიტუაციის იმ ასპექტებს, რომლებზეც აქტორს შეუძლია იქონიოს ზემოქმედება. პრაქტიკულად მოქმედების სიტუაციის ყველა კონკრეტული ასპექტი არის ან პირობები, ან საშუალებები. ამასთანავე, ყველა ამ კატეგორიას აზრი აქვს მხოლოდ როგორც სუბიექტურ კატეგორიას და გამოხატავს აქტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას (იხ. იქვე).

ეკონომიკური მოქმედება ყოველთვის გულისხმობს სუბიექტის ანუ აქტორის არსებობას. მოქმედების თეორიის თვალსაზრისით, აქტორი არის „Ego“, და არა ორგანიზმი. ხოლო მისი ორგანიზმი არის „გარე სამყაროს“ ნაწილი. მისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები და უნარები წარმოადგენენ პირობებს ან საშუალებებს ეკონომიკური მოქმედების თეორიის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობების დროებით გამოყენების უფლება, ან მეწარმეობის უნარი, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც „შრომითი რესურსები“ და „სამეწარმეო რესურსი“, რომლის გარეშეც ეკონომიკური პროცესი ვერ შედგება;

4. კოორდინატთა სისტემის (frame of reference) მახასიათებლებად, რომელშიც შესაძლებელია მოქმედების აღწერა და ანალიზი, თ. პარსონსი მიიჩნევს შემდეგს: 1) არსებობენ მოქმედების სტრუქტურული ელემენტები - მიზნები, საშუალებები, პირობები და ნორმები; 2) იგულისხმება, რომ მოქმედებას აქვს

ნორმატიული ორიენტაცია, ანუ გააჩნია ტელეოლოგიური ხასიათი. მოქმედება განიხილება როგორც სიტუაციური ელემენ-ტების (საშუალებების და პირობების) ცვლილებების პროცესი ნორმებთან შესაბამისობის მიმართულებით; 3) მოქმედება განიხილება როგორც დროში მიმდინარე პროცესი; 4) მოქმედების სქემა ატარებს სუბიექტურ ხასიათს (იხ. იქვე, 119).

„ზემოთ აღწერილი მახასიათებლები ანალოგიურია ფიზიკაში არსებული სივრცე-დროითი სისტემისა. ყოველი ფიზიკური მოვლენა უნდა განიხილებოდეს როგორც დროში მიმდინარე პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სივრცეში ლოკალიზებულ სხეულებთან. შეუძლებელია ფიზიკურ პროცესებზე ლაპარაკი რაიმე სხვა ტერმინებში... . ზუსტარ ასევე შეუძლებელია ვილაპარაკოთ მოქმედებაზე ტერმინებში, რომლებიც არ შეიცავენ კავშირს საშუალებებსა და მიზნებს შორის, ყველა ამ კავშირებიდან გამომდინარე შედეგებთან ერთად. ასეთია საერთო კონცეპ-ტუალური სტრუქტურა (framework), რომელიც მოიცავს მოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა ცვლილებებს და პროცესებს. ასე რომ შეიძლება ითქვას, მოქმედების კოორდი-ნატთა სისტემას გააჩნია სტატუსი, რომელსაც მრავალი, ჰუსერლის მსგავსად, უწოდებს „ფენომენოლოგიურს“... . კოორდინატთა სისტემა არ არის მოვლენა ემპირიული გაგებით, ეს არის აუცილებელი ლოგიკური სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ აღვწერთ და ვიგებთ მოვლენებსა და მოქმედებებს“ (იქვე, 120).

ეკონომიკური პროცესების კონტექსტში ურთიერთკავშირი ორ ალტერნატიულ კოორდინატთა სისტემას შორის, სივრცე-დროით სისტემასა და მოქმედების თეორიის სისტემას შორის, შეიძლება „გადავთარგმნოთ“ როგორც ურთიერთკავშირი ტექნოლოგიურ და წმინდა ეკონომიკურ კოორდინატთა სისტემებს შორის. მაგალი-თად, რაიმე პროდუქტის წარმოებისას, წმინდა ტექნოლიგიური თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წარმოების პროცესში გამოყენებული კომპონენტების ან წარმოებული პროდუქტის ღირებულებას. ტექნოლოგს აინტერესებს მხოლოდ

ის, თუ რა და რამდენი კომპონენტია საჭირო პროდუქტის საწარმოებლად; როგორი ტექნოლოგიური პროცესებით არის შესაძლებელი ამ კომპინენტების გარდაქმნა საჭირო თვისებების მქონე პროდუქტად. ყოველივე ეს არ აინტერესებს ეკონომისტს. მას აინტერესებს მხოლოდ გამოყენებული რესურსების და წარმოებული პროდუქტების ღირებულება და მოსალოდნელი მოგება. მაგრამ ტექნოლოგიური და ეკონომიკური კოორდინატთა სისტემები მხოლოდ ლოგიკური სქემებია. ეკონომიკურ რეალობაში მათი განცალკევება შეუძლებელია. ამიტომ ტექნოლოგებიც და ეკონომისტებიც იძულებულნი არიან გაითვალისწინონ ერთმანეთის მოთხოვნები;

4. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროა თეორიულად განვასხვაოთ სამეურნეო საქმიანობა და წმინდა ეკონომიკური მოღვაწეობა. მათ გააჩნიათ სხვადასხვა მოტივები და მიზნები. სამეურნეო მოღვაწეობის მიზანია შეზღუდული დოვლათის ოპტიმალური წარმოება, შეძენა, განაწილება და მოხმარება აქტორის კონკრეტული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით. ხოლო წმინდა ეკონომიკური მოღვაწეობის მიზანია - ეკონომიკური ფასეულობების წარმოება, გამდიდრება და ამ გზით ეკონომიკური თავისუფლების ზრდა.

სამეურნეო და წმინდა ეკონომიკური მოღვაწეობა წარმოადგენენ ზოგადად ეკონომიკური მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებს. შეუძლებელია ვაწარმოოთ დოვლათი და არ ვაწარმოოთ მისი ფასეულობა ან, პირიქით, ვაწარმოოთ ფასეულობა და არ ვაწარმოოთ დოვლათი. მაგრამ თვითონ სუბიექტი ყოველთვის აცნობიერებს, თუ რა არის მისი მოღვაწეობის მთავარი მიზანი - წარმოებული დოვლათი, თუ მისი ფასეულობა. მაგრამ მაშინაც, როდესაც წარმოება ხდება ფასეულობის, ანუ გამდიდრების მიზნით, სუბიექტმა უნდა აწარმოოს თვითონ დოვლათიც. ხოლო ამისთვის საჭიროა რესურსების რაციონალური განაწილება და მოხმარება. ამდენად, ის ეწევა აგრეთვე სამეურნეო საქმიანობას;

5. სოციალური მოქმედებები (შესაბამისად, სოციალური სისტემები) არ არსებობენ სივრცე-დროით განზომილებაში, ემპირიულ სამყაროში. მათ გააჩნიათ მხოლოდ ფენომენოლოგიური ყოფიერება ტრანსცენდენტალური სუბიექტის და საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაში. მართალია, ამ მოქმედებებს (მათ საშუალებებს და რეზულტატებს) გააჩნიათ ემპირიული კორელატი რეალურ სამყაროში კაუზალური პროცესების, ემპირიული მოვლენების სახით, მაგრამ თავისთავად კაუზალური პროცესები და ემპირიული მოვლენები არ წარმოადგენენ მიზანშეწონილ მოქმედებებს, მის პირობებს, საშუალებებს ან რეზულტატებს. როგორც ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედებები, როგორც მისი პირობები, საშუალებები და რეზულტატები, ისინი აღიქმებიან მხოლოდ იმ საზრისის გამო, რომელსაც ადამიანი ანიჭებს ამ ემპირიულ მოვლენებს. ხოლო ერთი და იგივე ემპირიულ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მრავალი საზრისი ადამიანისათვის. სწორედ ფენომენოლოგიური ყოფიერების სპეციფიკა განაპირობებს იმას, რომ ყოველ სოციალურ მოქმედებას, მის საშუალებებს და რეზულტატებს, აქვთ მრავალი ფასეულობითი გამზომილება, მრავალი საზრისი. ისინი ღებულობენ შეფასებებს ერთდროულად სხვადასხვა ფასეულობათა სისტემებში (ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ, შემეცნებით, ესთეტიკურ და სხვ.). ამა თუ იმ მიზანშეწინოლი მოქმედების შედეგად ფასეულობები, შესაძლოა, ერთდროულად ერთნი იქმნებოდნენ, მეორენი - ნადგურდებოდნენ, მესამენი - რჩებოდნენ უცვლელად. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ცვლილებებს იწვევს ესა თუ ის მოქმედება რეალურ სამყაროში. შესაბამისად, ერთი და იგივე მოქმედებით რეალურ სამყაროში გამოწვეული ცვლილებების გამო, სხვადასხვა ფასეულობებსა და შეფასებებს შორის ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს კომპლემენტარული, ურთიერთგამომრიცხავი, ან ნეიტრალური.

5.1.3. აუტოპოეზისი

1. მოქმედებათა სისტემა ბადებს მოქმედებებს, ხოლო ეს მოქმედებები ბადებენ სისტემას. ანუ სისტემასა და მის ელემენტებს შიროს არსებობს ურთიერთქმედება.

„ურთიერთქმედება არის ისეთი სისტემის მოძრაობის წესი, რომლის ფარგლებშიც მიზეზი, საბოლოო ჯამში, ხდება მისივე არსებობის შედეგი. ... მისი მოძრაობის მიზეზებია ერთდროულად მისივე საკუთარი მოძრაობის შედეგები. ურთიერთკავშირის ასეთ ხასიათს კარგად გამოხატავს სპინოზას ფორმულა: „სუბსტანცია არის საკუთარი თავის მიზეზი“ (causa sui). ... ურთიერთქმედების დახასიათება როგორც სისტემის მხარეების ურთიერთცვლილება, როდესაც მოძრაობა იღებს „წრიულ“ ხასიათს, ეხება აგრეთვე ურთიერთმოქმედი მოვლენების ნებისმიერ კონკრეტულ სისტემას. ასეთი კონკრეტული სისტემა აგრეთვე გამოდის „საკუთარი თავის მიზეზი“, ანუ თავის თავში შეიცავს საკუთარი მოძრაობის წყაროს. ... მოვლენის აღწარმოება მისივე საკუთარი ელემენტების ურთიერთქმედების საფუძველზე წარმოგვიდგება როგორც მისი განვითარება (თვითგანვითარება). თვითგანვითარებად სისტემაში მისი არსებობის მიზეზი საბოლოო ჯამში აღმოჩნდება მისივე საკუთარი შედეგი“ (Ильенков, ... , 1960, 250).

როდესაც სისტემა ბადებს ელემენტებს, რომლისგანაც თვითონ შედგება, მაშინ საქმე გვაქვს წრიულ მიზეზ-შედეგობრიობასთან. ასეთი სისტემა არის სუბსტანცია, რომელიც არის საკუთარი თავის მიზეზი და, როგორც ასეთი, იძენს დამოუკიდებლობას. ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მოქმედებების სისტემა არის სუბსტანცია. იგი ბადებს ეკონომიკურ მოქმედებებს თავის წიაღში, ხოლო ეკონომიკური მოქმედებები, ერთობლივად, ბადებენ ეკონომიკურ სისტემას. მაგრამ ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობა, მისი ავტონომია შეზღუდულია, რადგან იგი არის საზოგადოების, როგორც უფრო გლობალური სისტემის,

ქვესისტემა. შესაბამისად, სხვა სოციალური ქვესისტემები (პოლიტიკა, სამართალი, კულტურა და სხვ.), ისევე როგორც ბუნება, ეკონომიკისთვის წარმოადგენენ გარე სამყაროს.

ასეთი თვითწარმოქმნის პროცესს, რომელიც წარმოადგენს რთული სისტემის ავტონომიურობის საფუძველს, კონსტრუქტივისტები უწოდებენ *აუტოპოეზისს.*

> *„უმბერტო მატურანას განსაზღვრების თანახმად, აუტოპოეზისი ნიშნავს, რომ სისტემას შეუძლია თავისი ოპერაციების წარმოება მხოლოდ თავისი საკუთარი ოპერაციების ქსელის მეშვეობით. ხოლო საკუთარი ოპერაციების ქსელი ისევ და ისევ იქმნება ამ ოპერაციებით ... ერთი მხრივ, ლაპარაკია ოპერაციული ჩაკეტილობის თეზისზე. სისტემა თითქოსდა ქმნის თავის თავს. ... იგი არა მხოლოდ ქმნის თავის სტრუქტურებს, ... არამედ არის ავტონომიური აგრეთვე ოპერაციების დონეზე. მას არ შეუძლია ოპერაციის იმპორტირება გარემოდან. ... ეს ოპერაციული ჩაკეტილობა არის სხვაგვარად ფორმულირებული დებულება იმის შესახებ, რომ აუტოპოეზური სისტემა აწარმოებს ოპერაციებს, რომელიც მას სჭირდება ოპერაციების საწარმოებლად“ (Луман, 2007, 113).*

2. მაგრამ რა აზრით ბადებს სიციალური მოქმდებების სისტემა სოციალურ მოქმედებებს? მოქმედებას ხომ ახორციელებს ადამიანი, და არა სისტემა? სისტემა ასრულებს სოციალურ მოქმედებას ადამიანის მეშვეობით, იგი ახდენს ადამიანის პროვოცირებას, რათა მან შეასრულოს სოციალური მოქმედება.[137] სოციალური რეალობის

---

[137] „მოქმედება, გარკვეული აზრით, არის აქტორის ნების გამოხატვა, გამოვლინება, ... მაგრამ პარსონსთან ყველაფერი არის პირიქით. პარსონსი თვლის, რომ მოქმედებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც შესრულებულია ყველა აუცილებელი პირობა, ანუ, როდესაც შეგვიძლია დავინახოთ მიზნები და საშუალებები, როდესაც არსებობენ კოლექტიური ღირებულებითი სტანდარტები, და როდესაც არსებობს „აქტორი“ იმისათვის, რომ განახორციელოს მოქმედება. აქტორი არის მხოლოდ ერთი ასპექტი მოქმედების შესრულებაში, მაგრამ იმისათვის რომ იგი საერთოდ განხორციელდეს, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს მოქმედებისადმი გარკვეული მზაობა, ერთგვარი კონკრეტიზაცია მოქმედების

კონტექსტში, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ნიშნავს შემდეგს: ყოველი სოციალური მოქმედება დაკავშირებულია სხვა მოქმე-დებებთან, რადგან სოციალური მოქმედება აღწევს თავის რეზულტატს მაშინ, როდესაც სხვები აღიარებენ მას როგორც საშუალებას ან პირობას თავისი მოქმედებებისთვის. რადგან ერთი მოქმედების რეზულტატი არის საშუალება და პირობა სხვა მოქმედებებისათვის, ამიტომ ყოველი მოქმედება თავის თავში ატარებს მომავალი მოქმედებების ჩანასახს. და თუ ის ვერ ნახავს თავის გაგრძელებას, მაშინ, როგორც სოციალური მოქმედება, თვითონაც აღმოჩნდება ფიქტიური. ეს ეხება არა მარტო ეკონომიკურ, არამედ საერთოდ ყველა სოციალურ მოქმედებას. სწორედ ეს არის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სოცია-ლური პროცესების უწყვეტობას. ამასთან, ნებისმიერი სოციალური მოქმედება ბადებს არა ნებისმიერ სხვა მოქმედებას, არამედ კონკრეტულად *„თავის სხვა“* მოქმედებას. ამით ეს მექანიზმი ინარჩუნებს მოქმედებათა სისტემის არსებულ სტრუქტურას და ესე იგი სისტემის მთლიანობას და მდგრადობას.

პოტენციალის. ამრიგად, მოქმედება კი არ ექვემდებარება მომქმედს, არამედ პირიქით, მომქმედი - მოქმედებას“ (Луман, 2007, 22). ადამიანი ასრულებს სოციალურ მოქმედებებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და იგი თავისი ნებით ასრულებს ამ მოქმედებებს. მაგრამ თვითონ მოთხოვნილებებს (მათ უმრავლესობას) მასში ბადებს საზოგადოება, ანუ სოციალურ მოქმედებათა სისტემა. ამიტომ ადამიანი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში და მოქმედებებში, მაგრამ არ არის თავისუფალი მოთხოვნილებების ფორმირებაში. მის მოთხოვნილებებს მას თავს ახვევს სოციალური და კულტურული გარემო, რომელშიც იგი იბადება და ყალიბდება ადამიანად. მაგრამ მასზე არ არის დამოკიდებული ეპოქა, ეთნოსი, კულტურა, სოციუმი თუ მიკროსოციალური გარემო, რომელშიც იგი იბადება. მართალია ყოველ პიროვნებას გარკვეულ დიაპაზონში ეძლევა საშუალება თავისუფლად აირჩიოს თავისი როლები, ფუნქციები და მოღვაწეობის არეალი თავისი ინდივიდუალური უნარების და ინტერესების მიხედვით. მაგრამ თვით ალტერნატივების დიაპაზონი არ არის მასზე დამოკიდებული. საბოლოო ჯამში ცალკეული ინდივიდი და მისი აქტიობა დამოკიდებულია სისტემაზე, და არა სისტემა - ცალკე აღებულ ინდივიდზე.

იგი უზრუნველყოფს იმას, რომ ყოველი მოქმედების პროდუქტი ბადებს ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობებს. სწორედ ეს ახალი შესაძლებლობები აღვიძებენ რეალურ მოთხოვნილებებს, ახდენენ პოტენციური მოთხოვნილებების აქტუალურ მოთხოვნილებებში ტრანსფორმირებას, რომლის საფუძველზეც ხდება ახალი მიზნების ფორმირება და ხორციელდება ახალი მოქმედებები. სწორედ ამ მოთხოვნილებების მეშვეობით ხდება იმ სულიერი ენერგიის გენერირება, რომელიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ მიზანშეწონილ მოქმედებას. გამოდის, რომ ყოველი მოქმედების შედეგად არა მარტო ხდება ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ იბადება კიდეც ახალი მთხოვნილებები მათივე დაკმაყოფილების შესაძლებლობებთან ერთად. ანუ, ყოველი მოქმედების შედეგად იბადება ყველა წინაპირობა მომდევნო მოქმედებებისთვის. ეს არის სოციალური მოქმედებების სისტემის თვითწარმოქმნის უსასრულო პროცესი.

„აუტოპოიეზისი არის ცნება, რომელიც საჭიროებს სისტემურ ჩაკეტილობას. ეს გულისხმობს ორგანიზაციულ და არა აუცილებლად თერმოდინამიულ, ჩაკეტილობას. აუტოპოეზური სისტემები არიან თერმოდინამიკურად გახსნილები, მაგრამ ორგანიზაციულად ჩაკეტილები. დეტალებში ზედმეტად ჩაღრმავების გარეშე ავღნიშნავ, რომ ჩაკეტილობის კონცეფცია ახლახანს გახდა ძალზე პოპულარული მათემატიკაში, როდესაც დაინტერესდნენ მისი მაღალგანვითარებული განხრით, კერძოდ, რეკურსიული ფუნქციის თეორიით. ერთ-ერთ მის პრობლემას წარმოადგენს ოპერაციები, რომელშიც, თავისივე რეზულტატებთან იტერაციულ რეჟიმში, მიმდინარეობენ მოქმედებები, ანუ, ისინი არიან ოპერაციულად ჩაკეტილები. ზოგიერთი ამ რეზულტატებიდან ასოცირდება ისეთ ცნებებთან, როგორიც არის თვითორგანიზება, სტაბილურობა, არასტაბილურობა, რთული და დინამიკური წონასწორობა ...“ (Foerster, 2003, 281).

ეკონომიკური მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურ მოქმედებათა ქსელში. ნებისმიერი დოვლათი იწარმოება მრავალი სხვა დოვლათიდან, რომელთაგან ყოველი აგრეთვე იწარმოება მრავალი დოვლათიდან და ა.შ.. მეორე მხრივ, წარმოებული პროდუქტი გამოიყენება რესურსის სახით არა მხოლოდ ერთ, არამედ მრავალ მომდევნო მოქმედებაში, რადგან ყოველ მომდევნო მოქმედებაში გამოიყენება ხსენებული პროდუქტის მხოლოდ ნაწილი. ყოველი მომდევნო პროდუქტის წარმოებაში იგი იქნება მხოლოდ ერთ-ერთი რესურსი წარმოებისათვის აუცილებელ სხვა რესურსებს შორის. ამიტომ ყოველ მოქმედებას ბადებს მოქმედებათა ქსელი, რომელიც სტრუქტურირებულია გარკვეული ფორმით. ხოლო თვით ეს ქსელი, შედგება ამ მოქმედებებისაგან. მოქმედებათა ქსელი და მოქმედებები ქმნიან ერთმანეთს სისტემის ფუნქციონირების უწყვეტ რეჟიმში. ამიტომ სოციალური მოქმედების ნებისმიერი პროდუქტი, საბოლოო ჯამში, არის მთელი საზოგაოების მიერ წარმოებული პროდუქტი, ანუ, საზოგადოებრივი პროდუქტი. სწორედ ამას ამტკიცებდა კ. მარქსი.

5.1.4. ოპერაციული ჩაკეტილობა და კაუზალური გახსნილობა

1. ოპერაციული, ანუ ფუნქციონალური ჩაკეტილობის კონცეფციას ნ. ლუმანი მიმართავს იმის ასახსნელად, თუ როგორ იბადება წესრიგი სოციალურ სისტემებში. მართალია განსხვავებით თ. პარსონსისაგან, ელემენტარული ოპერაციის ქვეშ ნ. ლუმანი გულისხმობს არა სოციალურ მოქმედებას, არამედ კომუნიკაციას, და განიხილავს მას სოციალური სისტემების მაკონსტიტუირებელ ელემენტად, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მნიშვნელლოვანია თვითონ ოპერაციული ჩაკეტილობის

პრინციპი, რომელიც, სოციალური მოქმედების დიალექტიკური ინტერპრეტაციის შემთხვევაში, გასაგებს ხდის თუ როგორ იქმნებიან სოციალური მოქმედებების სისტემები, მათ შორის ეკონომიკური სისტემა, და როგორ იბადება მასში წესრიგი. მაგრამ დაუბრუნდეთ ნ. ლუმანის ტექსტს:

„ჯორჯ სპენსერ ბრაუნის ტერმინოლოგიით ჩვენ ვამბობთ, რომ სისტემა ყოველთვის ოპერირებს ფორმის შიდა მხარეს ... . ცხადია, სისტემას არ შეუძლია ოპერირება გარემოში, რომ ოპერაციები ... ყოველთვის მიმდინარეობენ სისტემის შიგნით. სისტემის ოპერაციები რომ მიმდინარეობდნენ გარე სამყაროში, მაშინ აზრს დაკარგავდა განსხვავება სისტემასა და გარე სამყაროს შორის. ... სწორედ ამას ამტკიცებს თეზისი ოპერაციული, ანუ ოპერაციონალური ჩაკეტილობის შესახებ“ (Луман, 2007, 95).

ოპერაციული ჩაკეტილობის იდეა სოციოლოგიაში ნ. ლუმანმა შემოიტანა მეორე რიგის კიბერნეტიკიდან. ეს კიბერნეტიკული მიდგომა, რომელიც შემუშავებულია ილინოისის უნივერსიტეტში ფიზიკოსის ჰეინც ფონ ფიორსტერის, ბიოლოგების უმბერტო მატურანასა და ფრანსისკო ვარელას მიერ, აღმოჩნდა უაღრესად ეფექტური სოციალური წესრიგის პრობლემის გასაანალიზებლად;

2. როგორც უკვე აღინიშნა, სოციალური სიტემის თვითეული ქვესისტემა თავისი ფუნქციონირებისათვის საჭიროებს სხვა ქვესისტემების ფუნქციონირების პროდუქტებს. ამიტომ ყოველ ქვესისტემას შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა დანარჩენი ქვესისტემაც ნორმალურად ასრულებს თავის ფუნქციას და თუ ისინი უზრუნველყოფენ ერთმანეთს თავისი პროდუქტებით. რომელიმე ერთი ქვესისტემის ფუნქციონირებაში შეფერხებები აუცილებლად აისახება სხვა ქვესისტემების ფუნქციონირებაზე. ეს ნიშნავს, რომ ყველა ფუნქცია, რომელსაც ასრულებენ სხვადასხვა ქვესისტემები საზოგადოებაში, არიან ურთიერთდამოკიდებული და აუცილებელი ერთმანეთისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის.

იგივე ითქმის ეკონომიკურ ქვესისტემაზე. ყველა მისი დარგი და თვითეული ეკონომიკური მოქმედება ასრულებს გარკვეულ ფუნქციას, რომელიც აუცილებელია დანარჩენი დარგების ფუნციონირებისთვის, დანარჩენი მოქმედებების განხორციელებისათვის. ისინი არიან ფუნქციონალურად დაკავშირებულნი და შეადგენენ ფუნქციონალურად ჩაკეტილ მთლიანობას.

„... „ჩაკეტილობის“ ქვეშ იგულისხმება არა თერმოდინამიკური იზოლირება, არამედ მხოლოდ ოპერაციონალური ჩაკეტილობა, რაც ნიშნავს: საკუთარი ოპერაციების შესაძლებლობების რეკურსიული პირობა გამომდინარე საკუთარი ოპერაციების რეზულტატებიდან. ... ასეთ რეკურსიულ კავშირებს, რომელშიც ერთი ოპერაციის დასასრული არის რომელიღაც სხვა ოპერაციის შესაძლებლობის პირობა, მივყავართ სისტემების დიფერენციაციამდე, რომელთა ჩაკეტილობაც ხშირად რეალიზდება მაღალკომპლექსური სტრუქტურების მეშვეობით; და აგრეთვე იმასთან, რომ მათი გარე სამყარო არსებობს მათთან ერთად. ამ რეზულტატს ჩვენ ვუწოდებთ ოპერაციულ ჩაკეტილობას“ (Луман, 2004, 51). [138]

3. ოპერაციული, ანუ ფუნქციონალური ჩაკეტილობა გულისხმობს, რომ ერთი ფუნქციის შესრულება არის მეორე ფუნქციის შესრულების პირობა. საბოლოო ჯამში, ისინი არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ისე, რომ ქმნიან ერთმანეთის არსებობის საფუძველს და, ამიტომ, ადგილი აქვს თვითრეფერენციას და შესაბამისად, თვითდეტერმინაციას. ანუ სისტემაში ჩნდება რეკურსიული ოპერაციები, რაც არის სისტემის

[138] „არც ერთ სისტემას არ შეუძლია წაიწიოს წინ მომავალში უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა სისტემებს და, ამრიგად, დაკარგოს სინქრონულობა, რომელიც აუცილებელია გარე სამყაროსთან კონტაქტებისათვის. „დრო“ რომ იძლეოდეს, ა. ეინშტეინის თანახმად, ამის საშუალებას, სისტემა მაინც დარჩებოდა მიწებებული თავის გარე სამყაროსთნ. გარე სამყაროსა და სისტემის განსხვავება შეიძლება იყოს ფორმირებული მხოლოდ ერთდროულად მათთან ერთად. ამგვარად, გარე სამყაროსა და სისტემის მიმდინარე კავშირი გულისხმობს საერთო ქრონოლოგიას“ (Луман, 2007a, 251).

ავტონომიურობის საფუძველი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოპერაციული ჩაკეტილობა თვითონ ქმნის თავის თავს. იგი არ არის რომელიმე აქტორის წინასწარი განზრახვის შედეგი. ეს ოპერაციულად ჩაკეტილი სისტემა ახდენს თავის აღწარმოებას მხოლოდ იმით, რომ თვითეული ეკონომიკური მოქმედება ლოგიკურად ბადებს „თავის სხვა“ მოქმედებას. ეს ჰგავს გენეტი-კური კოდის მშენებლობას, როდესაც არსებობს მატრიცა არა ფიზიკურად, არამედ თვითონ შესასრულებელი მოქმედებების და ფუნქციების თანმიმდევრობის სახით, როდესაც ისინი, თავიანთი დასრულებისთვის მოითხოვენ „თავის სხვა“ ფუნქციას და მოქმედებას. და ეს ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების ჯაჭვი იკვრება ჩაკეტილ სისტემაში, რომელშიც ყველა ფუნქცია, ასე თუ ისე, ბადებენ ერთმანეთს. ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ჰ. ფონ ფიორსტერი აღნიშნავს:

> *„ყველამ იცით რეკურსიული ფუნქციების უპრეცედენტო წარმატების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ქაოსის თეორიაში და საერთოდ ყველგან. მაგრამ მე მაქვს იმის განცდა, რომ ქაოსის თეორიაში კვლევების შედეგები შეიძლება იყოს გამოყენებული სოციოლოგიაში მხოლოდ მეტაფორულად. რატომ? ყველა გამოკვლევა ქაოსის თეორიაში დაკავშირებულია ფუნქციებთან, და ფუნქცია არის მხოლოდ ფარდობა რიცხვებს შორის, უკიდურეს შემთხვევაში, კომპლექსურ რიცხვებს შორის. ... იგი ოპერირებს მხოლოდ რიცხვებით, მაგრამ სოციოლოგიას არ აინტერესებს რიცხვები: სოციოლოგიას აინტერესებს ფუნქციები. და ფუნქცი-ების ფუნქციებს უწოდებენ ფუნკტორებს. ფუნქტორი არის, ასე ვთქვათ, სისტემა, რომლის დანიშნულებაა ფუნქციების ერთი ჯგუფის კოორდინაცია მეორე ჯგუფის ფუნქციებით, და დღეს მე გთავაზობთ შევიმუშაოთ საკვლევი პროგრამა, რომელშიც ლაპარაკი იქნება რეკურსიულ ფუნქტორებზე“ (Foerster, 2003, 306).*

ყოველი ეკონომიკური მოქმედება ასრულებს გარკვეულ ფუნქციას, რომლის შედეგადაც იბადება ახალი მოქმედება. ახალი მოქმედება აგრეთვე ასრულებს რომელიღაც სხვა ფუნქციას,

რომელიც გამომდინარეობს წინა ფუნქციიდან და, ამასთან, განსაზღვრავს მომდევნო მოქმედების ფუნქციას, და ა.შ. ამ ფუნქციების წრიული ორგანიზების გამო შესრულებული მოქმედებების თანმიმდევრობა მეორდება უსასრულოდ, იქამდე, სანამ არსებობს ფუნქციების წრიული ორგანიზება. მაგრამ ამ ფუნქციებს ასრულებენ თვითონ მოქმედებები. ანუ ფუნქციების წრიული ორგანიზება ბადებს მოქმედებათა ისეთ თანმიმ-დევრობას, რომლის წყალობითაც, ამ მოქმედებების მიერ შესრულებული ფუნქციები ორგანიზებულია წრიულად და ქმნიან ჩაკეტილ სტრუქტურას. სხვა სიტყვებით, ფუნქციების ჩაკეტილი სტრუქტურა ბადებს გარკვეული ტიპის მოქმედებების იმ თანმიმდევრობას, რომელიც განაპირობებს ფუნქციების წრიულ ორგანიზებას.

საბოლოო ჯამში გამოდის, რომ სოციალური სისტემების ფუნქციონირება დამოკიდებულია საკუთარ თავზე. მაგრამ საკუთარ თავზე დამოკიდებულება არის სხვებისგან დამოუკი-დებლობა, არის ავტონომია. ფუნქციონალური, ანუ ოპერაცი-ონალური ჩაკეტილობა არის ამ ავტონომიის საფუძველი;

4. სოციალურ მოქმედებას შეესაბამება გარკვეული კაუზა-ლური პროცესები ემპირიულ სამყაროში. მაგრამ თავისთავად კაუზალური პროცესები არ არის სოციალური მოქმედება. სოციალური მოქმედებები არსებობენ და აღიქმებიან ტელეო-ლოგიურ კოორდინატთა სისტემაში, ხოლო კაუზალური პროცესები - სივრცე-დროით კოორდინატთა სისტემაში (იხ. Парсонс, 2000). ანუ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იგივე პროცესების აღქმას სხვადასხვა განზომილებაში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მოქმედებებით გენერირე-ბული ემპირიული პროცესები და მოვლენები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მიზეზშედეგობრივი კავშირებით, ისინი არ წარმოადგენენ ერთიან სისტემას, როგორც ფიზიკური სამყაროს განცალკევებულ ნაწილს. ეს კაუზალური პროცესები არაფრით არ

გამოირჩევა მთლიანად უნივერსუმის ყოვლისმომცველი კაუზალობის საერთო ფონზე.[139] ეს ემპირიული პროცესები და მოვლენები აღიქმებიან როგორც მიზანშეწონილი მოქმედებები და როგორც სოციალური მოქმედებების სისტემა მხოლოდ ტრანსცენ-დენტალური სუბიექტის ცნობიერებაში და ინტერსუბიექტურ სივრცეში და მხოლოდ იმ საზრისების წყალობით, რომლებიც მათ მიანიჭა ადამიანმა, მათი ტელეოლოგიურ კონტექსტში აღქმის წყალობით.

ყოველი მოქმედება იწყება მიზნის დასახვით, გადაწ-ყვეტილების მიღებით. ამიტომ ყოველი მოქმედების დასაწყისს ტელეოლოგიურ კოორდინატთა სისტემაში შეესაბამება ბიფურ-კაციის წერტილი სივრცე-დროით კოორდინატთა სისტემაში. მაგრამ ამ ბიფურკაციის წერტილებიდან პროცესების შემდგომი

---

[139] „კაუზალობა არის მიზეზებისა და შედეგების შეკავშირება. მაგრამ ესა თუ ის მოვლენა არის არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი მიზეზის შედეგი. თვითონ ეს მოვლენაც ხდება მიზეზი არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი შედეგის მიზეზი. ასეთი მიზეზებისა და შედეგების რთული გადახლართულობის გამო შეიძლება უსასრულოდ ვეძებოთ მიზეზის მიზეზები, ან შედეგის შედეგები. და მხოლოდ თვითონ დამკვირვებელზეა დამოკიდებული, თუ რომელი ტრაექტორიით დაიწყებს იგი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვების გაბმას ამა თუ იმ პროცესების ახსნისას.“ ... „მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ჩვენ არ შეგვიძლია კაუზალურად დავშალოთ მთელი სამყარო. ეს აღემატება ნებისნიერი დამკვირვებელი სისტემის ინფორმაციული სიმძლავრის შესაძლებლობებს. ამიტომ კაუზალობა ყოველთვის სელექციურია. იგი ყოველთვის შეიძლება მივაწეროთ რომელიმე კონკრეტულ, გარკვეული ინტერესების მქონე, დამკვირვებელს, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის გადამუშავების გარკვეული სტრუქტურები და გარკვეული სიმძლავრეები. ეს ასეა თუნდაც იმიტომ, რომ უსასრულოა თანმიმდევრულად გამოვლენილი კაუზალობები, რომლებიც გავლენას ახდენენ განსახილველ რეზულტატზე. ... ჩვენ უნდა დავაკვირდეთ დამკვირვებელს, თუ გვინდა ვიცოდეთ თუ რომელ კაუზალურ ატრიბუციაზეა ლაპარაკი, თუ რომელი შედეგები და რომელი მიზეზები არიან გაერთიანებული ამ ატრიბუციაში. ... ეს თითქოსდა არის მეორე მხარე იმის აუცილებლობისა, რომ განვასხვავოთ ოპერაცია, რომელიც ახდენს სისტემის კონსტიტუირებას და აღწარმოებას, ერთი მხრივ, და კაუზალურ გამონათქვამებს შორის, მეორე მხრივ. ... ეს განსხვავება კაუზალობასა და ოპერაციას შორის არ გვაძლევს საშუალებას დაუბრუნდეთ ჩაკეტილი სისტემების ძველ თეორიას, რადგან ის სისტემები გააზრებული იყო როგორც კაუზალურად ჩაკეტილი“ (Луман, 2007, 96-97).

განვითარების ტრაექტორია დამოკიდებულია უკვე არა ფლუქტუაციებზე და შემთხვევითობაზე, არამედ ადამიანის ნებაზე; მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე; იმ საზრისზე და ფუნქციებზე, რომელსაც ადამიანები ანიჭებენ თავიანთ მოქმედებებს. საბოლოო ჯამშო გამოდის, რომ კაუზალური პროცესები ადამიანის ემპირიულ გარემოში წარიმართება ადამიანის ნებით, და არა შემთხვევითობით.

მაგრამ, ემპირიული თვალსაზრისით, არავითრი მნიშვნელობა არა აქვს შემთხვევითობამ განაპირობა ეს კაუზალური პროცესები, თუ ადამიანის გონებამ და ნებამ; შეესაბამება ისინი ადამიანის მოთხოვნილებებს, თუ არა; და საერთოდ, არსებობს თუ არა ადამიანი, და აკვირდება თუ არა იგი ამ პროცესებს. რეალურ სამყაროში ადგილი აქვს მხოლოდ იმას, რომ ერთი სახეობის ნივთიერება და ენერგია გარდაიქმნება - მეორეში. ყველა ეს გარდაქმნები ექვემდებარება კაუზალობის კანონებს. მაგრამ, ადამიანის მიერ იქნება პროვოცირებული ეს პროცესები, თუ შემთხვევითობის მიერ - ეს არანაირად არ აისახება თვითონ პროცესის მიმდინარეობაზე. თუ პროცესი წარიმართა, მისი შინაარსი არ არის დამოკიდებული მის გამომწვევ მიზეზებზე. სხვა საქმეა, რომ იმის ალბათობა, რომ ეს პროცესები შესაძლოა დაწყებულიყო ადამიანის ჩარევის გარეშე, შემთხვევითი გარემოებების წყალობით - უმრავლეს შემთხვევაში პრაქტიკულად უდრის ნულს. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. მთავარია, რომ ბუნების კანონების თვალსაზრისით, ადამიანის მიერ და შემთხვევითობის მიერ ინიცირებული პროცესები არაფრით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან;

5. ეკონომიკური ფასეულობები განაპირობებენ ეკონომიკურ მოქმედებებს, ხოლო ისინი, თავის მხრივ, განაპირობებენ გარკვეულ კაუზალურ პროცესებს (ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ და სხვ.), რომლებიც ცვლიან რეალობას. ამ ემპირიული პროცესების შედეგად იცვლება ადამიანიც და მისი გარემოც. მაგრამ

ემპირიული რეალობის ცვლილებების შედეგად იცვლება აგრეთვე ადამიანის ფასეულობები, მათ შორის ეკონომიკური ფასეულობები. რადგან ფასეულობა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ტელეოლოგიური დამოკიდებულება არსებულ რეალობასთან, რომელშიც იგი ხედავს თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. ფასეულობები წარმოადგენენ ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს რეალურ სამყაროსა და მოქმედებათა სისტემას შორის.

ანუ არსებობს ურთიერთკავშირი ეკონომიკური ფასეულობების და მოქმედებების სისტემებს შორის, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ ფენომენოლოგიური ყოფიერება, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ - რეალურ სამყაროში მიმდინარე კაუზალურ პროცესებს შორის. არა მხოლოდ ფასეულობების და მოქმედებების ოპერაციულად ჩაკეტილი სისტემა ახდენს გავლენას გარემოზე, არამედ გარემოც ახდენს გავლენას ამ სისტემაზე. მაგრამ მოქმედებათა სისტემა და ემპირიული სამყარო არ კვეთენ ერთმანეთს. ეკონომიკურ ფასეულობებს და მოქმედებებს (როგორც სულიერი მოღვაწეობის აქტებს) არ შეუძლიათ შეაღწიონ კაუზალური პროცესების სივრცე-დროით სამყაროში. და არც ამ სამყაროდან კაუზალურ პროცესებს არ შეუძლიათ შეღწევა ეკონომიკური მოქმედებების წმინდა სუბიექტურ სამყაროში. ზემოქმედებენ რა ერთმანეთზე, ორივე სამყარო ინარჩუნებს თავის ავტონომიას და დამოუკიდებლობას.

მაგრამ ავტონომია არ ნიშნავს იზოლირებას. ემპირიული სამყარო თვითონც არის რთული სისტემა და მასში ცვლილებები შეაქვს არა მხოლოდ ამ მოქმედებათა სისტემას. გარემოში ადგილი აქვს აგრეთვე უამრავ სხვა პროცესებს, რომლებიც მოქმედებათა სისტემის მიერ აღიქმება როგორც შემთხვევითი გარე ფაქტორები (ბუნებრივი პროცესები, სტიქიური უბედურებები, სოციალური კატასტროფები, დამანგრეველი ომები და სხვ.);

6. მართალია, განვითარების პროცესში სისტემის ავტონომიის ხარისხი თანდათან ზრდება, მაგრამ გახსნილი სისტემა ყოველთვის რჩება მხოლოდ ნაწილობრივ ავტონომიური. ანუ გარემოსგან იგი დამოუკიდებელია მხოლოდ ზოგიერთ ასპექტში, ხოლო ზოგ სხვა ასპექტში - დამოკიდებულია მასზე.

„ ... არ შეიძლება დავეყრდნოთ ჯამური უცვლელობის პრინციპს, რომლის თანახმადაც სისტემა არის მით უფრო დამოუკიდებელი გარე სამყაროსგან, რაც უფრო ნაკლებად არის იგი დამოკიდებული. მრავალრიცხოვანი დაკვირვებები ცხადყოფენ, რომ ძალიან რთულ სისტემებში, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ხარისხის ავტონომია ... ერთდროულად იზრდება დამოუკიდებლობაც და სპეციფიკური დამოკიდებულებაც. თანამედროვე საზოგადოებაში ეკონომიკური სისტემა, სამართლებრივი სისტემა ან პოლიტიკური სისტემა დიდწილად არიან დამოუკიდებელი, მაგრამ ასევე დიდწილად ისინი დამოკიდებულნი არიან გარე სამყაროზე. თუ ეკონომიკა არ ჰყვავის, მაშინ პოლიტიკაშიც იწყება სირთულეები, ხოლო თუ პილიტიკას არ შეუძლია გარკვეული, მაგალითად, სამართლებრივი გარანტიების მოცემა ან თუ პოლიტიკური ჩარევა ძალიან ძლიერია, ეს ბადებს პრობლემებს ეკონომიკაში. ჩვენ უნდა განვასხვავოთ (და ეს ისევ გვაბრუნებს ჩვენ ოპერაციული ჩაკეტილობის თეზისთან) კაუზალური დამოკიდებულება/დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, და ოპერაციები, რომლებსაც აწარმოებს თვითონ სისტემა, მეორე მხრივ“ (Луман, 2007, 121).

სისტემა რეაგირებს მხოლოდ ზოგიერთ გარე ფაქტორებზე და ინდიფერენტულია გარემოში მიმდინარე დანარჩენი პროცესების მიმართ (თუ ისინი არ ანგრევენ სისტემას). ამიტომ ყველა ზემოქმედება არ უნდა მივაწეროთ „შემავალ“ იმპულსებს, არამედ მხოლოდ მისი მცირე ნაწილი. ამ გაგებით ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა *ფუნქციონალურად ჩაკეტილია* და *კაუზალურად*

გახსნლია.[140] ჩაკეტილია იმ გაგებით, რომ გარემოს კაუზალური პროცესები ვერ აღწევენ მასში. ხოლო გახსნილია იმ გაგებით, რომ იგი არ არის იზოლირებული გარემოსაგან. იგი რეაგირებს მხოლოდ გარემოში მიმდინარე სისტემისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებზე. ამავე დროს, სისტემა ახდენს ყველა დანარჩენი გარე ფაქტორების იგნორირებას, რომელთაც არ გააჩნიათ სისტემისთვის რაიმე მნიშვნელობა. ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ „კომპლექსურობის რედუქციას“ (ნ. ლუმანი). ანუ სისტემა სელექციურად რეაგირებს გარემოს ზოგიერთ ცვლილებებზე, მაგრამ ვერავითარი კაუზალური პროცესები გარე სამყაროდან ვერ აღწევენ მასში, რადგან ისინი არსებობენ სხვადასხვა განზომილებებში;

7. კაუზალური პროცესების ზეგავლენით გარემოდან მიღებული იმპულსები მოქმედებათა სისტემის შიგნით განიცდიან სპეციფიურ გაგრძელებას შიდასისტემური ურთიერთკავშირების სტრუქტურის შესაბამისად; სტრუქტურისა, რომელსაც გააჩნია შიდასისტემური ფუნქციონალური კავშირების „წრიული“ ორგანიზება. „თეზისი ამტკიცებს, რომ სისტემები არიან ოპერაციულად ჩაკეტილები. ისინი თავიდან ბოლომდე ეფუძნებიან შიდა ოპერაციებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხდება უწინდელი ჩაკეტილი სისტემების თეორიასთან დაბრუნება, და შესაბამისად, ენტროპიის პრობლემასთან დაბრუნება. საქმე იმაშია, რომ ოპერაციული ჩაკეტილობის თეორიის შიგნით ახლა უნდა დავინახოთ განსხვავება ოპერაციასა და კაუზალობას შორის“

[140] „ ... ჩვენ ჯერ განვაცალკევებთ ოპერაცუილი ჩაკეტილობის და კაუზალური გახსნილობის ცნებებს: სწორედ ოპერაციული ჩაკეტილობა ახდენს ობიექტის, სისტემის კონსტიტუირებას, რომელსაც გააჩნია კაუზალური კავშირების აღქმის უნარი. ჩაკეტილობის გარეშე ეს ობიექტი ვერ იარსებებდა როგორც სისტემა, ყოველ შემთხვევაში, როგორც თვითრეფერენტული სისტემა, და საჭირო გახდებოდა სულ სხვაგვარი სისტემათა თეორია“ (Луман, 2007, 68).

(Луман, 2007, 96). [141] სხვა სიტყვებით, სისტემა იწყებს გარემოს ზემოქმედებებზე თავისებურად, სპეციფიკურად რეაგირებას და, შესაბამისად, თვითონაც ახდენს სპეციფიკურ გავლენას თავის გარემოზე იმით, რომ თავისებურად გარდაქმნის „შემავალ“ იმპულსებს „გამავალ“ იმპულსებში.

5.1.5. „საკუთრივი მნიშვნელობები“

1. ფიზიკოსმა, ბიოლოგმა და კიბერნეტიკოსმა ჰაინც ფონ ფიორსტერმა მეცნიერულად აღწერა ჩაკეტილ სისტემაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც ატარებენ რეკურსიულ ხასიათს, და რომლის მეშვეობითაც ხდება საწყისი არგუმენტის თითქოსდა გაუჩინარება და ეგრეთ წოდებული „საკუთრივი მნიშვნელობების“ დაბადება. აღმოჩნდა, რომ სოციალურ ქცევაშიც, ბიოლოგიურ პროცესებშიც, შეიძლება აღმოვაჩინოთ რაღაც „საკუთრივი მნიშვნელობების“ მსგავსი, რაც კარგად ცნობილია მათემატიკიდან და ფიზიკიდან. თავის წიგნში „Understanding understanding” (2003) ჰ. ფიორსტერს მოყავს რეკურსიულობის მაგალითი, რომლითაც ცდილობს დაგვანახოს თუ რა დასკვნები გამომდინარეობს მეცნიერული კონცეფციიდან, რომლის თანახმადაც სუბიექტის

[141] „ ... ჩვენთან ევროპულ კულტურაში განსაკუთრებით ძლიერია წარმოდგენა, რომ ყველაფერი უნდა იქნეს გადაყვანილი მიზეზშედეგობრიობაში, ხოლო ისეთი გამონათქვამები, როგორიც არის, მაგალითად, „ოპერაცია წარმოშობს ოპერაციას“, ან ისეთი ცნება, როგორიც არის „წარმოება“, ყოველთვის გავიგოთ კაუზალობის თვალსაზრისით. ეს არ გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ ოპერაციული ჩაკეტილობა სრულიად დამოუკიდებლად კაუზალური თეორიებისაგან. ჩვენ წამდაუწუმ შეუმჩნევლად გვებადება წარმოდგენა, რომ ოპერაციული ჩაკეტილობის თეზისი არის სპეციფიკური თეზისი სისტემების შიდა კაუზალობის შესახებ. გარკვეული აზრით ეს მართლაც ასეა. იგი შეიძლება იქნეს გარდაქმნილი კაუზალობად. მაგრამ პრინციპში ეს უნდა იყოს გაგებული ისე, რომ [ოპერაციის ოპერაციასთან] მიერთების უნარის პირობა არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სისტემის მომდევნო მდგომარეობა. სწორედ ეს იგულისხმება ცნებაში „სტრუქტურული შეჭიდულობა“ (структурное сопряжение) ....“ (Луман, 2007, 96).

მოქმედებების (ასევე ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების) ორგანიზებას გააჩნია წრიული, ანუ რეკურსიული ხასიათი.

ასეთ ანალიზში რეკურსია შემოდის მაშინ, როდესაც სუბიექტის აღქმებში (sensations) მომხდარი ცვლილებები გაითვალისწინება მის მოქმედებებში ($s_i = S(m_k)$), ხოლო მისი მოქმედებები - მის აღქმებში ($m_k = M(s_j)$). როდესაც ეს ორივე ასპექტი განიხილება ერთდროულად, მათი აღწერისას ისინი ქმნიან „რეკურსიულ გამოსახულებებს“, ანუ მათემატიკურ გამოსახულებებს, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის (სუბიექტის) მდგომარეობებს (მოქმედებებს და აღქმებს) იმავე მდგომარეობების ტერმინებში:

$$s_i = S(M(s_j)) = SM(s_j); \quad m_k = M(S(m_i)) = MS(m_i).$$

ჰ. ფიორსტერი ერთმანეთს ადარებს ორი ტიპის ეპისტემოლოგიას. მათგან ერთში დამკვირვებელი არ არის თავისივე დაკვირვების ობიექტი (წრფიული, გახსნილი ეპისტემოლოგია); მეორეში - დამკვირვებელი არის თავისივე დაკვირვების ობიექტი (წრიული, ჩაკეტილი ეპისტემოლოგია). ჰ. ფიორსტერი აღნიშნავს, რომ ის, რაც პირველ შემთხვევაში განიხილება როგორც „დაკვირვების ობიექტები“, მეორეში გვევლინება როგორც „მდგრადი ქცევის მნიშვნელობები“, ან, რეკურსიული ფუნქციების თეორის ტერმინოლოგიით, როგორც „საკუთრივი ფუნქციების მნიშვნელობები“.

განხილულ მაგალითში ჰ. ფიორსტერი დამაჯერებლად ახდენს იმის ილუსტრირებას, რომ „საკუთრივი მნიშვნელობები“ არიან დისკრეტული და სტაბილური. ისინი ყალიბდებიან როგორც სისტემის წონასწორობა, რომელიც თავისთავად (გარედან ზემოქმედების გარეშე) ყალიბდება წრიული პროცესების მეშვეობით. „საკუთრივი მნიშვნელობების“ და დაკვირვების ობიექტების ერთმანეთისგან განსხვავება შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია „საკუთრივი ქცევის“ განსხვავება სუბიექტის მიერ ამ ობიექტების აღქმის (“grasp”) მანიფესტაციისაგან. ორივე შემთხვევაში დაკვირვების „ობიექტები“ თითქოსდა არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ

სუბიექტის მიერ საკუთარი მოქმედებების აღქმაში. ჰ. ფიორსტერი სვავს რიტორიკულ შეკითხვას: „ეს იმას ნიშნავს, რომ „ობიექტები“ არიან სუბიექტური? თუ ასეა, მაშინ რა პირობებში გულისხმობენ ობიექტები „ობიექტურობას?“ და თვითონვე პასუხობს: „ალბათ მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი სუბიექტი არის მეორე ისეთივე სუბიექტის არსებობის პირობა და, რომელიც, თავის მხრივ, არის კიდევ სხვა ისეთივე სუბიექტის არსებობის პირობა, რომელიც სავსებით შესაძლებელია იყოს ისევ პირველი სუბიექტი.“

ასეთ ატომიზირებულ სოციალურ კონტექსტში ყოველი სუბიექტის (დამკვირვებლის) მიერ საკუთარი მოქმედებების აღქმა, ამ აღქმის სიმბოლოების, ნიშნების, მარკერების (token) მეშვეობით, შეიძლება მივიღოთ როგორც „ობიექტები“, და, ამავდროულად, მივიჩნიოთ როგორც სიმბოლოები, რომლითაც ხდება სოციალური სივრცის გამოხატვა. ამის გათვალისწინებით ჰ. ფიორსტერი მიმართავს წრიულობის, ჩაკეტილობის ტოპოლოგიას.

ნახ. 5.1.

აქ წონასწორობა მიიღწევა მაშინ, როდესაც ყოველი მონაწილის „საკუთრივი ქცევები“ რეკურსიულად იბადება სხვების „საკუთრივი ქცევებიდან“; როდესაც ერთი გველი ყლაპავს მეორე გველის კუდს ისე, თითქოს ეს იყოს თავისი კუდი, და, როდესაც შემეცნება შეიცნობს თავის თავს სხვისი შემეცნების მეშვეობით.

ამაში ჰ. ფიორსტერი ხედავს ეთიკის საწყისს (იხ. Foerster, 2003, 267). აქვე უნდა ვეძიოთ ეკონომიკური მოღვაწეობის პრინციპიც;

2. საქონლის წონასწორული ფასები, რომლის ირგვლივაც მერყეობენ ფაქტიური ფასები, წარმოადგენენ „საკუთრივ მნიშვნელობებს“, რომელთა შესახებაც წერს ჰ. ფიორსტერი, და რომელნიც არსებობენ მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტების აღქმაში და ინტერსუბიექტურ სივრცეში. ისინი არ არსებობენ რეალურ სამყაროში. ასევე საერთოდ საქონელი, რომელიც იწარმოება, იყიდება და მოიხმარება ეკონომიკაში, ან ეკონომიკური ფუნქციები და მოქმედებები (წარმოება, მოხმარება, ინვესტირება, ვაჭრობა, დაზოგვა და ა.შ.) თავის „ობიექტურობას“ იძენენ მხოლოდ ეკონომიკური სუბიექტების აღქმაში, მხოლოდ მათთვის, და მათ ცნობიერებაში არიან ისინი ობიექტურად არსებულნი. და რაც მთავარია, ყოველი სუბიექტი მხოლოდ იმიტომ აღიქვავს მათ როგორც ობიექტურად არსებულს, რომ სისტემის ყველა სხვა სუბიექტიც ზუსტად ასევე აღიქვავს მათ. ანუ ობიექტურობას ისინი იძენენ არა ფიზიკურ, არამედ მხოლოდ სოციალურ რეალობაში. სწორედ სოციალური რეალობის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ეკონომიკური რეალობა.

ხოლო ფიზიკურ რეალობაში, სუბიექტის ცნობიერების გარეთ და ინტერსუბიექტური სივრცის გარეთ, არ არსებობს არც საქონელი, არც ფული, არც ინვესტირება, არც ვაჭრობა. რადგან ის, რასაც ეკონომიკური სუბიექტები აღიქვავენ როგორც საქონელს, ფულს, წარმოებას, ინვესტირებას და ა.შ., თავისთავად წარმოადგენენ მხოლოდ ემპირიულ ობიექტებს და პროცესებს, და სხვა არაფერს.

ამავე დროს, საქონელი, ფული, წარმოება, ინვესტირება და ა.შ., წარმოადგენენ ეკონომიკური (სოციალური) რეალობის გამომხატველ „სიმბოლოებს“, „ნიშნებს“, „მარკერებს“ (tokens) რომელთა მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ, გავაცნობიეროთ, შევიმეცნოთ და გავიგოთ ეკონომიკური პროცესები. მეცნიერული

შემეცნების შემთხვევაში ეს სიმბოლოები ღებულობენ მეცნიერული კატეგორიების, ცნებების ფორმას. და ეს მეცნიერული შემეცნება და გაგება შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სუბიექტების კოგნიტური პროცესების, მათი აღქმის, საზრისების, ფასეულობების, შეფასებების, მათ მიერ თავისი ეკონომიკური მოქმედებების სუბიექტური განცდის შესწავლით. ეკონომიკური პროცესების ადექვატური გაგება შეუძლებელია ამ სუბიექტური ასპექტების გათვალისწინების გარეშე, იმ ეკონომიკური საზრისების და ფასეულობების გარეშე, რომელსაც ადამიანი ანიჭებს ამა თუ იმ ბუნებრივ პროცესებს და თავის მოქმედებებს; ანუ შეუძლებელია მხოლოდ ტექნოლოგიურ, ემპირიულ პროცესებზე დაკვირვებით;

3. რეკურსია გულისხმობს წრიულად ორგანიზებული ფუნქციების შესრულებას, რომლებიც, მიუხედავად სისტემის გადახრებისა გარკვეული მდგომარეობიდან, აბრუნებენ სისტემას იმავე მდგომარეობაში. ყოველი ოპერაციის რეზულტატი არის მომდევმო ოპეარციის შესრულების საფუძველი.[142] რეკურსიულ პროცესებში თითქოსდა იშლება ზღვარი მიზანსა და მიზეზს შორის. საინტერესოა ჰ. ფონ ფიორსტერის შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით:

---

[142] მარტივ მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ზოგიერთი მათემატიკური ფუნქცია. მაგალითად ფუნქცია f(x/2+1) მისი რეკურსიულად გამოყენების შემთხვევაში (როდესაც x ისწრაფვის უსასრულობისაკენ, ხოლო x_0 არის ნებისმიერი რიცხვი) იძენს „საკუთარ მნიშვნელობას“, რომელიც უდრის 2-ს. ვთქვათ X_0= 0. მაშინ ფუნქციის (X_0/2+1) მნიშვნელობა უდრის 1-ს. უკანასკნელ მნიშვნელობას (ანუ, წინა ოპერაციის რეზულტატს) ვიღებთ როგორც X_1. მაშინ ფინქციის (X_1/2+1) მნიშვნელობა იქნება 1,5. უკანასკნელ მნიშვნელობას (წინა ოპერაციის რეზულტატს) ვიღებთ როგორც X_2 -ს, მაშინ ფუნქციის (X_2/2+1) მნიშვნელობა უდრის 1,75. ადვიილი მისახვედრია, რომ ნებისმიერი X_0 -ის შემთხვევაში, ფუნქციის მრავალჯერადი თვითგამოყენების შედეგად, მისი მნიშვნელობა უახლოვდება 2-ს, როგორც თავის ზღვრულ მნიშვნელობას, რომელიც არის მისი „საკუთარი მნიშვნელობა“ - მრავალი რეკურსიული ოპერაციის რეზულტატი.

„პირველ ყოვლისა, ჩაკეტილი წრიული კაუზალობის სისტემის შესახებ იდეას გააჩნია საინტერესო თვისება, თუ კაუზალობის წრეს გავწყიტავთ ერთ ადგილას, აწმყოში მიღებული შედეგის მიზეზი შეიძლება აღმოვაჩინოთ წარსულში, და მიზეზი იქნება მომავალში, თუ წრეს გავწყვიტავთ დიამეტრალურად საპირისპირო ადგილას. ამრიგად, ჩაკეტილი წრიული კაუზალობა აუქმებს წყვეტას მოქმედ მიზეზებსა და საბოლოო მიზეზებს შორის, მოტივებსა და მიზნებს შორის. მეორეც, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის ჩაკეტვას აქვს ის უპირატესობა, რომ გარკვეულწილად თავიდან ვიცილებთ გაურკვევლობას: აღარ არის საჭირო ფიქრი საწყის მდგომარეობაზე, რადგან ის ავტომატურად განისაზღვრება საბოლოო მდგომარეობით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქმე არც ისე მარტივად არის: ამ მდგომარეობების მხოლოდ ზოგოერთი მნიშვნელობა (პარამეტრი) გვაძლევს ამ წრის ფარგლებში მიმდინარე პროცესის ახსნას; პრობლემა გადაიქცა „საკუთრივი ფასეულობების“ პრობლემად. რაც აგრეთვე ბადებს სირთულეს არის ის, რომ ახლა იბადება ეჭვი, რომ მთელი ეს წრიული კაუზალობა შესაძლოა იყოს უბრალოდ ლოგიკური შეცდომა. ჩვენ უკვე ვიცით ლოგიკური დასკვნის თეორიიდან - „მანკიერი წრე“: მიზეზი გადაიქცევა შედეგად და შედეგი გადაიქცევა მიზეზად. მე მინდა არა მარტო გავათავისუფლო „მანკიერი წრე“ ცუდი რეპუტაციისაგან, არამედ ავამაღლო იგი საპატიო პოზიციამდე როგორც „შემოქმედებითი წრე“ “ (Foerster, 2003, 230).

რეკურსიული ოპერაციები დამახასათებელია ბიოლოგიური ორგანიზმებისთვის, მათემატიკური ოპერაციებისათვის, ცნობიერებისათვის, კომუნიკაციებისათვის და სხვ. ამ ტიპის პროცესები აღმოჩნდა კიბერნეტიკის ყარადღების ცენტრში. „კიბერნეტიკოსები ფოკუსირებული არიან ‘უძრავი წერტილების’ ძიებაზე ცხოველთა ქცევაში, მექანიზმების ფუნქციონირებაში, რომელთაც გააჩნიათ ‘საკუთრივი ქცევა’, ‘საკუთრივი მნიშვნელობები’, ‘ეთრექტორები’ - მდგომარეობა, რომლისკენაც სისტემა ‘ისწრაფვის’ და რომელშიც ‘შეუძლია’ დაბრუნება. ... . ყველა ამ ზემოთ განხილულ ბიოლოგიურ და მათემატიკურ ცნებებს სინთეზირებული ფორმით ლუმანი იყენებს საზრისის მატარებელი სისტემების კონცეფციაში,

რომელიც გვაგონებს ფენომენოლოგიური რედუქციის ცნებას. საზრისი - არის ცნება, რომელიც ანალოგიურია ზემოთ განხილული 'საკუთრივი მნიშვნელობებისა' " (Антоновский, 2007, 17).

თავის თეორიაში ნ. ლუმანი ცდილობს გამოიყენოს ეს მეთოდოლოგიური მიდგომა სოციალურ სამყაროში „საკუთრივი მნიშვნელობების" საპოვნელად. აქაც უნდა არსებობდნენ ამგვარი „ფარული მედიუმები", რომელებიც არიან რეკურსიული პროცესების (ლუმანის თეორიაში - კომუნიკაციების, რომლებიც მიმართავენ კომუნიკაციებს) როგორც რეზულტატები, ისე მათი კონსტრუირების საშუალებები. ასეთ საშუალებებად ნ. ლუმანი მიიჩნევს კომუნიკაციურ კოდებს-განსხვავებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციების რეკურსიულობას, სოციალური სისტემების ჩაკეტილ ხასიათს, ანუ ერთი შიდასისტემური კომუნიკაციის მეორე შიდასისტემურ კომუნიკაციასთან მიერთებას: პოლიტიკურის - პოლიტიკურთან, მეცნიერულის - მეცნიერულთან, და ა.შ.. თვით ეს კომუნიკაციური კოდები, როგორც „განსხვავების" და დაკვირვების საშუალებები, რომლებიც სისტემის ელემენტებს კრავენ ერთ მთლიანობად, რჩებიან დაკვირვების მიღმა. მათზე დაკვირვება, ნ. ლუმანის თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ მეორე რიგის დაკვირვების დონეზე.

ნ. ლუმანის თანახმად, სისტემის ჩაკეტილი ხასიათის ყველაზე მარტივი განსაზღვრება შეიძლება იყოს მისი ოპერაციების დასაწყისის და დასასრულის თანხვედრა, მათი მიზეზების და შედეგების თანხვედრა. სისტემა უნდა უბრუნდებოდეს მოცემულ მდგომარეობას. მას მაგალითად მოჰყავს „ფული" (ლუმანის თანახმად - ეკონომიკური სისტემის კომუნიკაციური კოდი და „საკუთრივი მნიშვნელობა"), რომელიც წარმოადგენს ელემენტარული ეკონომიკური ოპერაციის, „გადახდის", როგორც მიზეზს, ისე შედეგს.

თუ გავატარებთ პარალელებს ნ. ლუმანის თეორიასთან, წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად სოციალურ სისტემაში რეკურსიულ პროცესების ქვეშ იგულისხმება არა კომუნიკაციები,

არამედ სოციალური მოქმედებები, ეკონომიკაში - ეკონომიკური მოქმედებები. ხოლო „ფარულ მედიუმს“ და „განსხვავებას“, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური აქტივობა, წარმოადგენს არა „ფული“, არამედ ეკონომიკური ფასეულობა, რომელიც ფულის მეშვეობით ვლინდება ფასებში, სასაქონლო გაცვლის პროპორციებში;

4. სოციალურ მოქმედებათა სისტემა არის საზრისების სისტემა (semantic system). სწორედ ფასეულობების შექმნა და მოხმარება ანიჭებს საზრისს მოქმედებებს და საერთოდ შესაძლებელს ხდის მოქმედების, როგორც მიზანშეწონილი აქტის არსებობას. ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკური ფასეულობა არის ეკონომიკური მოქმედების მიზეზიც და შედეგიც, მიზანიც და საშუალებაც. ანალოგიურად პოლიტიკურ სისტემაში - ძალაუფლება, სამართლებრივ სისტემაში - სამართალი, მეცნიერებაში - ცოდნა, ზნეობაში - სიკეთე, ხელოვნებაში - მშვენიერება, რელიგიაში - რწმენა და ა.შ. ეკონომიკური მოქმედების მეშვეობით ეკონომიკური ფასეულობა ბადებს ეკონომიკურ ფასეულობას. პოლიტიკური მოქმედების მეშვეობით ძალაუფლება ბადებს ძალაუფლებას და ა.შ. ანუ შესაბამისი მოქმედებების მეშვეობით მშვენიერებიდან იბადება მშვენიერება, სიკეთიდან - სიკეთე, ცოდნიდან - ცოდნა და ა.შ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საზრისს დებს სუბიექტი ამა თუ იმ მოქმედებაში, რომელი ფასეულობების შექმნას და მოხმარებას ისახავს მიზნად.[143]

ეკონომიკურ რეალობაში ჩვენ ვხედავთ საქონელთა *გაცვლის პროპორციებს* (საბაზრო ფასებს) და რესურსების პროდუქტებად *გარდაქმნის პროპორციებს*, რომლებიც აღმოჩნდენ მისაღები

[143] „თუ თქვენ რაღაცას იძენთ ჩვეულებრივი სავაჭრო ურთიერთობების პირობებში, თქვენ არ დაიწყებთ ისეთი განსხვავების გამოყენებას, როგორც ბოროტებაა ამის შემენა, თუ სიკეთე, ბოროტია ეს გამყიდველი, თუ კეთილი. თქვენ გაგიჩნდებათ სურვილი გაიგოთ, რა ღირს ეს ან, შესაძლოა, როგორია ეს საქონელი სინამდვილეში“ (Луман, 2007, 151).

გადაწყვეტილებების მისაღებად და მოქმედებების განსა-ხორციელებლად. მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ ეკონომიკურ ფასეულობებს, რომლებიც განაპირობებენ ყველა ამ გაცვლის და გარდაქმნის პროპორციებს, გადაწყვეტილებების და მოქმედებების რაციონალურ საზრისს. ანუ, ეკონომიკური ფასეულობა, რომელიც დევს ყეველივე ამის საფუძველში და საზრისს ანიჭებს ყველა ეკონომიკურ პროცესს, განაპირობებს ყველა სასაქონლო და ფულად ნაკადებს, წარმოადგენს „ფარულ მედიუმს“ (ლუმანი), რომელიც რჩება ჩვენი უშუალო დაკვირვების მიღმა;[144]

5. საბაზრო ფასები წარმოადგენენ ინდივიდუალური ფასების სიმრავლიდან საშუალოს, რომლებშიც აისახება საზოგადოებრივი ეკონომიკური ფასეულობები. დაკვირვებას ექვემდებარებიან მხო-ლოდ მათგან გადახრილი ფაქტიური ინდივიდუალური ფასები, მაგრამ არა თვით საშუალო საბაზრო ფასები. მათი არსებობა მხოლოდ იგულისხმება. ასახავენ რა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფასეულობებს, საბაზრო ფასები აგრეთვე წარმოადგენენ „ბრმა ლაქას“. საბაზრო ფასების სისტემა ჩაკეტილია იმ გაგებით, რომ თავის თავში იგი არ შეიცავს უშუალოდ ეკონომიკურ ფასეულო-ბებს, რომლებიც ყოველთვის რჩებიან ფასების სისტემის მიღმა,

---

[144] ბუნებრივია, ნეოკლასიკოსები არ აკვირდებიან და არ იკვლევენ იმას, რისი უშუალო აღქმა და ფიქსირებაც მათ არ შეუძლიათ თავისი ემპირიული მეთოდების გამო. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა თვით ემპირიზმის პრინციპებთან. სწორედ ამით აიხსნება მათ თეორიაში ღირე-ბულების პრობლემის მიუტევებელი იგნორირება. თავისი ყურადღების ცენტრში ისინი აყენებენ ფასებს და ფასწარმოქმნას და სრულიად იგნორირებული აქვთ ღირებულება, რომელიც დევს ფასის საფუძველში. ეს გახდა ერთ-ერთი იმ მიზეზ-თაგანი, რომელმაც ნეოლასიკური თეორია შეიყვანა ჩიხში. და მიუხედავად განვითარებული მათემატიკური აპარატისა, მათ ვერ შეძლეს შეექმნათ საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური მოდელები, რადგან ისინი „ვერ ხედავენ იმას, თუ რას ვერ ხედავენ“. მეტიც, შეუძლებელია უშუაოდ ეკონომიკური ფასეულობის მოდელირება მათემატიკური, რაოდენობრივი მეთოდებით. რადგან ეკონომიკური ფასეულობა არის სუბიექტური დამოკიდებულება, ინტენციონალური განცდა. მოდელირება შესაძლებელია მხოლოდ ფასების (გაცვლის პროპორციების) მეშვეობით, რომლებშიც ვლინდება ფასეულობები.

სისტემის გარეთა მხარედ. ამ თვალსაზრისით, ფასწარმოქმნა, ანუ, ახალი ფასების წარმოქმნა არსებული ფასების საფუძველზე, არის ფასების ჩაკეტილი სისტემის შიდა ოპერაცია.

ეკონომიკური აქტივობა მერყეობს ეკონომიკური ციკლის პროცესში. ისტორიულად ყველა ეკონომიკური ციკლი განსხვავდება ერთმანეთისაგან გარე ფაქტორების ზეგავლენის გამო. მაგრამ თუ მოვახდენთ ეკონომიკურ სისტემაზე გარე სამყაროს გავლენის ელიმინირებას (ჩვენს შემთხვევაში, თუ „სიმეტრიულ მოდელში“ პირობითად დავაფიქსირებთ ტექნოლოგიურ და სამომხმარებლო კოეფიციენტებს), მაშინ მივიღებთ ეკონომიკური სისტემის „საკუთრივი ქცევის ალგორითმს“, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა ფაქტიურ, ისტორიულად დაფიქსირებულ ეკონომიკურ ციკლებს, მაგრამ რომელიც უხილავია უშუალო დაკვირვებისათვის და ასევე წარმოადგენს „ბრმა ლაქას“.

ციკლის სხვადასხვა ფაზებში ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ განსხვავებებს აქტივობის სხვადასხვა დონეებს შორის. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გრძელვადიან ეკონომიკურ ტრენდში დავინახოთ ეკონომიკური აქტივობის ის წონასწორული დონე, რომლიდანაც ხდება გადახრა ციკლური რყევების პროცესში. შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ ეკონომიკური სისტემის განვითარების *ფაქტიურ* ტრაექტორიას, მაგრამ ვერ ვხედავთ მისი ეკონომიკური განვითარების „საკუთრივ ტრაექტორიას“, „საკუთრივ ქცევას“. ჩვენ მხოლოდ ვგულისხმობთ მის არსებობას;

6. წონასწორული ფასების სისტემაში ვლინდება საზოგადოების ეკონომიკურ ფასეულობათა სისტემა, რომელიც თვითონ არ ჩანს, მაგრამ რომელიც წარმართავს სუბიექტების ეკონომიკურ მოქმედებებს, განაპირობებს მათი გადაწყვეტილებების ლოგიკას. წონასწორული ფასები არის ეკონომიკური სისტემის „საკუთრივი მნიშვნელობები“ („უძრავი წერტილები“), რომლებიც გამოხატავენ ეკონომიკურ ფასეულობებს წონასწორობის პირობებში, ოპტიმალური ფუნქციონირების რეჟიმში. ხოლო „საკუთრივი ქცევა“ -

არის ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირება წონასწორობის პირობებში. ეკონომიკა არის ოპერაციულად ჩაკეტილი სისტემა, ხოლო ჰ. ფიორსტერის ჩაკეტილობის თეორემის თანახმად „ყველა ოპერაციულად ჩაკეტილ სისტემაში იბადება საკუთრივი ქცევა“ (Foerster, 2003, 321).

სამეურნეო სისტემისაგან განსხვავებით, წმინდა ეკონომიკური სისტემა არის ეკონომიკური ძალაუფლების შეძენაზე ორიენტირებული მოქმედებათა ჩაკეტილი სისტემა.[145] ამ სისტემაში ეკონომიკური ძალაუფლება და მისი ზრდის შესაძლებლობა ანიჭებს საზრისს ყოველ მომდევნო ეკონომიკურ მოქმედებას. მხოლოდ ასეთ მოქმედებებს აქვთ აზრი წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით და ამიტომ, მხოლოდ ასეთ მოქმედებებს შეუძლიათ მიუერთდნენ ეკონომიკური მოქმედებების ჩაკეტილ სისტემას. ამასთან, საკუთრივ ეკონომიკური მოქმედებისთვის ყველაფერი უმნიშვნელოა ეკონომიკური ძალაუფლების გარდა, რომელიც მათ ანიჭებს საზრისს. ეკონომიკური მოქმედები ინდიფერენტული არიან გარე სამყაროს მიმართ. ისიც სულერთია მათთვის, თუ რომელი საქონელი მოიხმარება და იწარმოება. და რაც საინტერესოა, თვითონ ეკონომიკური ძალაუფლება საქონელზე, ანუ, ეკონომიკური ფასეულობა, არსად არ ვლინდება როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა მედიუმი, არსად არ ხდება დაკვირვების და ყურადღების უშუალო ობიექტი. იგი ყოველთვის რჩება „ბრმა ლაქად“ ყველა ამ მოქმედებაში. ხოლო ყველა ამ მოქმედების ხილული მიზანი, საშუალება და რეზულტატი არის ფული, კაპიტალი, მოგება, დანაზიგი, საკუთრების უფლება და სხვ..

---

[145] სამეურნეო და წმინა ეკონომიკურ სისტემებს შორის განსხვავებები უფრო დაწვრილებით იქნება განხილული ქვემოთ.

5.1.6. თვითრეფერენცია და გარერეფერენცია

1. სპენსერ-ბრაუნის თეორიის თანახმად, რომლითაც ინსპირირებულია ნ. ლუმანის მრავალი იდეა, რაიმე საგანზე მითითება ამავდროულად გულისხმობს ყველა სხვა საგნებისაგან მისი განსხვავების დაფიქსირებას. სპენსერ-ბრაუნი წერს: „ჩვენ არ შეგვიძლია განვახორციელოთ ინდიკაცია, თუ არ განვახორციელებთ დისტინქციას“ (Spencer - Brown, 1979, 1). მითითება, ინდიკაცია ნიშნავს მის გამოყოფას, დისტინქციას ყველაფერი დანარჩენისაგან. რაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი, ყველაფრის ფორმა წარმოადგენს საზღვარს ობიექტსა და მის ფონს შორის, ფორმის შიდა და გარე მხარეებს შორის.

> *„სპენსერ-ბრაუნის ლოგიკა შემეცნებას აღწერს როგორც ორ ერთდროულად განხორციელებულ ოპერაციას: ინდიკაცია - ეს არის რაიმეზე მითითება, რომელიც ხდება დისტინქციის ხარჯზე, ინდიცირებული შინაარსის ყველაფერი დანარჩენისაგან განსხვავების ხარჯზე. ჩვენ რაღაცაზე მივუთითებთ, ვანიჭებთ სახელს, მაგრამ ამის გაკეთება შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, თუ ამ სახელს განვასხვავებთ ყველაფერი დანარჩენისაგან, ანუ, თუ მას გავიტანთ ფრჩხილებს გარეთ, ე.ი. მთლიანად დანარჩენ სამყაროსთან მიმართების მეშვეობით, რომელიც ჩვენთვის წარმოადგენს „ბრმა ლაქას“, ფონს, გაურკვეველ სივრცეს“ (Антоновский, 2007a, 61).*

მართალია, აღქმისას ყურადღება კონცენტრირებულია ობიექტზე, და არა მის გარემოცვაზე, ანუ ფორმის შიდა და არა გარე მხარეზე, მიუხედავად ამისა, სწორედ ობიექტსა და მის ფონს შორის *განსხვავების (დიფერენციის)* აღქმა იძლევა საშუალებას აღვიქვათ ობიექტის საზღვრები, მისი ფორმა.[146] აქ მთავარია ის,

---

[146] „ცხადია, რომ სასაზღვრო ხაზის (ანუ სპენსერ-ბრაუნის ტერმინოლოგიით, „ფორმის“) მეორე მხარე მოცემულია პირველთან ერთად. ფორმის ყოველი მხარე წარმოადგენს მეორე ფორმის მეორე მხარეს. ამ მხარეთაგან არც ერთი არის რაღაც

რომ დაკვირვების პროცესში ცნობიერება კონცენტრირებულია ობიექტზე და „ვერ ხედავს“ გარე ფონს. ანუ მას არ შეუძლია დაინახოს ის, რისი მეშვეობითაც მას შეუძლია რაიმეს დანახვა. ამრიგად განსხვავება, დიფერენცია, შესაძლებელს ხდის დაკვირ-ვებას, რაიმეს აღნიშვნას, მაგრამ თვითონ განსხვავება წარმოადგენს „ბრმა ლაქას“ [147], რადგან რჩება დაკვირვების მიღმა. „განსხვავება არის დაკვირვების *ბრმა ლაქა*’“ (ლუმანი).

> *„სხვათა შორის, ხედვა-არხედვის თემა იბადება ჰაინც ფონ ფიორსტერის წიგნში "Observing Systems" იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ, ... მეტიც, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ. ეს გადამწყვეტი მომენტია. ჩვენ ვხედავთ იმას, რასაც ვხედავთ, და იმდენად ვართ ამით მოჯადოებული, რომ არ შეგვიძლია ამავე დროს დავინახოთ ყოველივე დანარჩენის დაუნახაობა, როგორც დანახვის პირობა, მე ვიტყოდი, დანახვის ტრანსცენდენტალური პირობა“ (Луман, 2007, 165).*

2. ყოველი მარკირება, ინდიკაცია - ეს ყოველთვის არის განსხვავების დაფიქსირება, გამიჯვნა, გარკვეული აზრით -

---

დამოუკიდებელი. ფორმის აღნიშნული მხარე აქტუალიზირდება მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ის, და არა მეორე მხარე, არის აღნიშნული.“
(Попков, http://www.bogdinst.ru/works/popkov-kazan2.pdf)

[147] „სწორედ „ბრმა ლაქა“ (აბსტრაქტული, მეტაფორული აზრით) არის ის განსხვავება, რომელიც შესაძლებელს ხდის განსხვავებულის აღქმას (შემეცნებას), მაგრამ თვითონ იგი - როგორც შემეცნების საშუალება - რჩება უხილავი. ასევე დაკვირვების პროცესი, მისი განხორციელების დროს, თვითონ რჩება უხილავი: დაკვირვების „ბრმა ლაქად“. ფონ ფიორსტერის, უ. მატურანას და ფ. ვარელას ეს ბიოლოგიურად და ნეიროფიზიოლოგიურად დადასტურებული გამოკვლევები საფუძვლად დაედო ნ. ლუმანის თეორიაში საზოგადოების სისტემურ ანალიზსს“ (Антоновский, 2007, 16-17). მხედველობის *ბრმა ლაქა* ეწოდება ბადურას სინათლისადმი არამგრძნობიარე მონაკვეთს, საიდანაც გამოდის მხედველობის ნერვი. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ შავ ლაქას ან რაიმე ბუნდოვანებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ხომ დავინახავდით, რომ ჩვენ რაღაცას ვერ ვხედავთ. ცნობიერების „ბრმა ლაქა“ მეტაფორული აზრით არის სწორედ ის განსხვავება, რომელიც შესაძლებელს ხდის შემეცნებას, მაგრამ თვითონ, - როგორც შემეცნების საშუალება - რჩება უხილავი.

ყველაფერი დანარჩენის უარყოფა, ინდიცირებულის ფრჩხილებს გარეთ გატანა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე თვით მარკერის მარკირება, გამიჯვნის გამიჯვნა. და მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს თავისთავად სამყაროსთან, მარკერების გარეშე, ანუ - ცარიელ სივრცესთან (იხ. Антоновский, 2007a, 61). დაკვირვება შეიძლება აგრეთვე თვით დამკვირვებელზე. ამ შემთხვევაში დამკვირვებლის დამკვირვებელს შეუძლია ინდიკაციის ობიექტად აქციოს თვით პირველი დამკვირვებლის მიერ დაფიქსირებული განსხვავება. ანუ საზღვარი, რომელიც გამოყოფს შიდა და გარე მხარეებს, თვითონ შეიძლება იყოს გამიჯნული ამ ორივე მხარიდან. ასეთ შემთხვევაში გამიჯვნა, რომელიც განხორციელდა პირველი დამკვირვებლის მიერ, თვითონ აღმოჩნდება ფორმის შიდა მხარეს მეორე რიგის დამკვირვებლის თვალთახედვით. ასეთ ოპერაციას სპენსერ-ბრაუნმა უწოდა ფორმის ფორმაში ხელმეორედ შესვლა (re-entry).[148]

პირველი რიგის დამკვირვებელი, კონცენტრირებას ახდენს ფორმის *შიდა* მხარეზე. მაგრამ დამკვირვებლის დამკვირვებელს (მეორე რიგის დამკვირვებელს) შეუძლია დაინახოს თვით ის განსხვავება შიდა და გარე მხარეებს შორის, რომლის მეშვეობითაც დაკვირვებას ახდენს პირველი რიგის დამკვირვებელი. მეტი სიცხადისათვის დავაზუსტოდ, რომ მეორე რიგის დაკვირვება „არ ნიშნავს, რომ აკვირდებიან ვიღაც ადამიანებს, არამედ ნიშნავს, რომ აკვერდებიან, თუ როგორ აკვირდებიან ისინი“ (Луман, 2007, 161). ამასთან, „ ... მეორე რიგის დაკვირვებასთან ერთად ჩვენ ვიძენთ

---

[148] „ამიერიდან ერთადერთ ყოვლისშემცველ რეალობად ხდება განსხვავება, რომელიც მოიცავს თავის თავში ყოველივე არსებულს, სახელდობრ: ჯერ ერთი, იმის აღნიშვნა, რაც არის „შიგნით“, და, მეორეც, აღუნიშნავი დანარჩენი სამყარო, რომლისგანაც ეს რაღაცა აღნიშნული განსხვავდება. და მესამეც, განსხვავება შეიცავს თავის თავში თვითონ განსხვავებას, როგორც ერთობლიობას იმისა, რაც არის წრის შგნით და მის გარეთ. თუ ადრე თავისთავად იგულისხმებოდა, რომ განსხვავებები და საზღვრები გადიოდა სამყაროს ფრაგმენტებისა და ნაწილების შიგნით, ამიერიდან მთელი სამყარო აღმოჩნდა განსხვავების „შიგნით“, რაც გაგებულია როგორც განსხვავებულის ხელმეორედ შესვლა (re-entry) თვით ამ განსხვავებაში“ (Антоновский, 2007, 30-31).

უნარს დავაკვირდეთ იმას, რასაც ვერ აკვირდებიან სხვა დამკვირვებლები“ (იქვე, 163). სწორედ ამ პროცესს წარმოადგენს საზოგადოების მეცნიერული ანალიზი. კერძოდ, ეკონომიკური მოღვაწეობის დიალექტიკური ანალიზი, რომლის შედეგადაც ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განასხვავებს ეკონომიკური სუბიექტი ეკონომიკურ მოვლენებს ყველაფერი დანარჩენისაგან (და ერთმანეთისაგან). ამ შემთხვევაში პირველი რიგის დამკვირვებლები ანუ რიგითი აქტორები, ვერ ხედავენ იმას, თუ რისი მეშვეობით ხედავენ და როგორ აკვირდებიან ისინი ეკონომიკურ მოვლენებს. ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მეორე რიგის დამკვირვებელს, ანუ მეცნიერს, რომელიც აკვირდება ეკონომიკურ აქტორებს და შეუძლია დაინახოს ის „ბრმა ლაქა“ (წონასწორული ფასები, წონასწორული მდგომარეობა, ეკონომიკური ციკლის ალგორითმი, გრძელვადიანი განვითარების ტრენდი), რომლის მეშვეობითაც აქტორები ხედავენ ეკონომიკურ მოვლენებს;

3. სპენსერ-ბრაუნის მიერ შემოთავაზებული ფორმის ინტერპრეტაცია (განსხვავება *შინაგანი/გარეგანი,* ანუ *ინდიკაცია/დისტინქცია,* (ი/დ)) სრულად მიესადაგება ეკონომიკური მოქმედების ცნებას. ეკონომიკური მოქმედების ინდიკაცია გულისხმობს მის განსხვავებას, ანუ დისტინქციას ყველაფერი იმისაგან, რაც არ არის ეკონომიკური მოქმედება (მათ შორის არაეკონომიკური მოქმედებისაგან). ეკონომიკური მოქმედება იძენს თავის განსაზღვრულობას. მაგრამ სპენსერ-ბრაუნის თანახმად ფორმის ინტერპრეტაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ აგრეთვე როგორც განსხვავება *თვითრეფერენცია/გარერეფერენცია (თ/გ).* ამ შემთხვევაში განსხვავება *ინდიკაცია/დისტინქცია* რჩება ძალაში ეკონომიკური მოქმედების გარერეფერენციის პროცესის ფარგლებში. ამ განსხვავების ფონზე ეკონომიური მოქმედება იძენს თავის განსაზღვრულობას, ანუ იძენს კონკრეტულ ფორმას.

დიფერენცია *ინდიკაცია/დისტინქცია* წარმოადგენს ეკონომიკურ მოქმედების დაკვირვების აუცილებელ პირობას. ამ დიფერენ-

ციის მეშვეობით ხდება ეკონომიკური მოქმედების თვითიდენტიფიკაცია და შესაძლებელი ხდება, რომ ეკონომიკურ მოქმედებას მიუერთდეს მხოლოდ იმავე ტიპის, ანუ ისევ ეკონომიკური მოქმედება. ამის მეშვეობით ხდება ეკონომიკური სისტემის, თვითკონსტრუირება. მაგრამ გარემოდან ასეთი თვითგამოყოფა არ არის საკმარისი ამ სისტემის თვითაღწარმოებისთვის, მისი აუტოპოეზისთვის. აგრეთვე აუცილებელია მისი სტრუქტურის ფორმირება და აღწარმოება. რადგან არ არსებობს სისტემა სტრუქტურის გარეშე ისევე, როგორც სტრუქტურა - სისტემის გარეშე.

დიფერენციის *ინდიკაცია/დისტინქციის* მეშვეობით ყოველი ეკონომიკური მოქმედება განსაზღვრავს მხოლოდ თავის იდენტურობას სისტემის სხვა მოქმედებებთან, და ამით განსაზღვრავს მიერთების შესაძლებლობას სისტემასთან, რომელიც შედგება მხოლოდ ამ ტიპის მოქმედებებისაგან. მაგრამ *ინდიკაცია/დისტინქციის* მეშვეობით არა მარტო სისტემამ უნდა მიიღოს ფორმა და განსაზღვრულობა გარემოში, არამედ ყოველმა მოქმედებამ სისტემის შიგნით უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი და ფუნქცია. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველმა ეკონომიკურმა მოქმედებამ უნდა გამოავლინოს არა მარტო თავისი იდენტურობა სხვა მოქმედებებთან, არამედ თავისი განსხვავებაც მათგან. ამიტომ თვითონ სისტემის ფარგლებში დიფერენცია *ინდიკაცია/დისტინქცია* ყოველი მოქმედებისთვის იღებს *თვითრეფერენცია/გარერეფერენციის* ფორმას;

4. *თვითრეფერენცია/გარერეფერენციის* შემთხვევაში ეკონომიკური მოქმედება ეფარდება უკვე არა უბრალოდ სხვა მოქმედებებს სისტემის შიგნით, არამედ „თავის სხვა“ მოქმედებებს. ამასთან, ხდება სხვა მოქმედებების არა უარყოფა, არამედ დადასტურება.[149]

---

[149] „ამ დიფერენციის **თ/გ** ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება (რომელიც განასხვავებს მას მისი უფროსი თანამომძის **ი/დ** - საგან), მდგომარეობს იმაში, რომ არ ხდება გარე რეფერენციის (სპენსერ-ბრაუნის ლოგიკური ფორმის მეორე მხარის, ...) უარყოფა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა **ი/დ** -ს შემთხვევაში), არამედ ხდება მისი დადასტურება“ (Антоновский, 2006, 106).

ანუ ყოველი მოქმედება სისტემის შიგნით იძენს თავის კონკრეტულ ფორმას დიფერენციის *ინდიკაცია/დისტინქციის* მეშვეობით. რადგან მოქმედებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფუნქციით, რომელსაც ასრულებენ. და იმისთვის, რომ სისტემას გააჩნდეს აუტოპოეზისის, თვითაღწარმოების უნარი, აუცილებელია, რომ მისი მოქმედებებით შესრულებული ფუნქციები იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ისე, რომ ქმნიდნენ ჩაკეტილ სტრუქტურას.

„სისტემას, რომელიც დაკავშირებულია შიდა ოპერაციებთან, შინაგანად უნდა შეეძლოს ... განასხვაოს თვითრეფერენცია და გარერეფერენცია. მხოლოდ ამ პირობით ექნება მას ოპერაციების განხორციელების კოგნიტური შესაძლებლობა. ამრიგად ჩვენ ვიმყოფებით უშუალო სიახლოვეში ტრანსცენდენტალური სუბიექტისთვის ფორმულირებულ ჰუსერლის ფენომენოლოგიასთან. ფუძემდებლურ თვალსაზრისს წარმოადგენდა ის, რომ ცნობიერება ყოველთვის ერთდროულად არის მიმართებაში საკუთარ თავთან და ფენომენებთან. ამ ორი რეფერენციიდან არც ერთის გამოტოვება არ შეიძლება იმის გარეშე, რომ ცნობიერებამ არ დაკარგოს თავისი ცნობიერებად ყოფნის თვისება. მაშინ ინტენციონალობის მოქმედების ფორმა იქნება ის მომენტი, რომელიც იძლევა საშუალებას შეაერთოს თვითრეფერენცია (Noesis) და გარერეფერენცია (Noema), თანაც ტემპორალური, პროცესუალური ფორმით, ისე რომ ცნობიერებას შეუძლია ოსცილირება სამყაროზე ორიენტირებასა და რეფლექსიას შორის, აქცენტების გაკეთება და მათი შეცვლა. ალბათ არავის გაუკეთებია ამ სტრუქტურის ანალიზი ისე ცხადად და თანმიმდევრულად, როგორც ეს გააკეთა ჰუსერლმა. პრობლემა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ლაპარაკია არა ცნობიერების თავისებურებებზე, არამედ იმაზე, რომ ამ თავისებურებებს ადგილი აქვს ... აგრეთვე სოციალურ სისტემებში. .... შემეცნების სუბიექტის და ობიექტის (აზროვნების და ყოფიერების, შემეცნების და საგნის) განსხვავება ყოველთვის სხვა არაფერია, თუ არა შიდასისტემური განსხვავება თვითრეფერენციასა და გარერეფერენციას შორის“ (Луман, 1994, 47-48).

5.2. ეკონომიკური თავისუფლება

5.2.1. ეკონომიკური ფასეულობა ფენომენოლოგიის კონტექსტში

ზოგადად უკვე იყო ნაჩვენები ეკონომიკური ფასეულობისადმი ტელეოლოგიური მიდგომა. მაგრამ მაშინ არ შევეხეთ ამ პრობლემის ზოგიერთ ასპექტს, რადგან მათი განხილვა გამოიწვევდა ზედმეტ გადახვევას მთავარი თემიდან. ახლა ეს საკითხები საჭიროებენ განმარტებას. ლაპარაკია ფასეულობის ფენომენოლოგიურ ინტერპრეტაციაზე და, მეორეც, ურთიერთკავშირზე ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფასეულობებს შორის. ამ ურთიერთკავშირის გაგება შესაძლებელი ხდება სწორედ ფასეულობის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაციის მეშვეობით.

1. ეკონომიკურ თეორიაში ფასეულობის პრობლემა აღმოჩნდა იმდენად რთული, რომ ნეოკლასიკოსები საერთოდ აღარ იკვლევნ მას და პრაქტიკულად ჩაანაცვლეს იგი ფასების პრობლემით. ამის შედეგად გაუგებარი რჩება როგორც ფასეულობა, ასევე ფასიც. ეკონომიკური კატეგორიების, მათ შორის, ფასეულობის, სრულყოფილი ანალიზი შეუძლებელია კვლევებისადმი ფენომენოლოგიური მიდგომის გარეშე.[150] მაგრამ ეკონომიკურმა მეცნიერებამ თავის განვითარებაში ფაქტიურად გვერდი აუარა ფენომენო-

[150] „ე. ჰუსერლის ფენომენოლოგია, წარმოადგენს რა არსებულის შესახებ უნივერსალურ მეცნიერებას, იძლევა საშუალებას შეიქმნას აპოდიკტიკურად სარწმუნო საფუძველი ისეთი მეცნიერებისთვის, როგორიც არის ეკონომიკური თეორია. მხოლოდ ასეთ საფუძვლებზე არის შესაძლებელი თანმიმდევრული თეორიის აგება, რომელიც არა მხოლოდ წარმოდგენას მოგვცემდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ, არამედ ნაყოფიერი იქნებოდა ყველანაირი გაგებით“ (Усанов, 2010, 84).

ლოგიას, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის ფილოსოფიურ და მეცნიერულ აზროვნებაზე;[151]

2. ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის ფუძემდებელი, ე. ჰუსერლი, მიიჩნევდა, რომ ფენომენოლოგიური თვალთახედვით მთავარია არა რეალური საგანი, არამედ ის, თუ როგორ აღიქმება და განიცდება იგი სუბიექტის ცნობიერებაში.[152] აღქმა შეიძლება იყოს დამახინჯებული ან, თუნდაც, ილუზია, მაგრამ ფენომენოლოგიური თვალსაზრისით ამას არა აქვს მნიშვნელობა. რადგან ცნობიერებას არ უპირისპირდება თვითონ რეალური საგანი. იგი პრინციპულად მიუღწეველია ცნობიერებისათვის. აღქმის საგანი ცნობიერებას უპირისპირდება მხოლოდ *ნოემას* ფორმით. აზრს მოკლებულია მცდელობა გავიდეთ ცნობიერების გარეთ და „მივაღწიოთ“ რეალურ საგანს. ე. ჰუსერლი წერს: „ ... ცნობიერება, თუ მას განვიხილავთ თავის „სიწმინდეში“, უნდა იქნეს მიჩნეული საკუთარ თავში ჩაკეტილი ყოფიერების ურთერთკავშირად, და კერძოდ, აბსოლუტური ყოფიერების ურთიერთკავშირად, ისეთად, რომელშიც ვერაფერი შეაღწევს და საიდანაც ვერაფერი გამოაღწევს ... და რომელიც ვერ დაიყვანება ვერანაირ სივრცე-დროით ურთიერთკავშირზე; ისეთად, რომელიც ვერ განიცდის კაუზალურ ზემოქმედებას რაიმე ნივთის მხრიდან და რომელსაც არ შეუძლია იქონიოს კაუზალური ზემოქმედება რაიმე ნივთზე“ (Гуссерль, 1999, 109).

რეალურ საგანსა და ცნობიერებაში საგნის განცდას შორის არ არსებობს კაუზალური კავშირი იმ გაგებით, როგორც იგი არსებობს რეალურ სამყაროში. რეალური სამყაროში რეალური ფაქტები წარმოადგენენ სხვა რეალური ფაქტების მიზეზებს. მაგრამ ვერ ვიტყვით იგივე აზრით, რომ რეალური ფაქტები არის ფსიქიური

---

[151] მხოლოდ ლ. მიზესის თეორიაში შეინიშნება ფენომენოლოგიის გავლენა.

[152] „ცნობიერებასა და რეალობას შორის ჭეშმარიტად პირი აქვს დაღებული საზრისის უფსკრულს“ (Гуссерль, 1999, 108).

ფაქტების უშუალო მიზეზი. თავის ცნობიერებაში სუბიექტი განიცდის არა ფაქტებს, არამედ ფაქტების არსს. ამიტომ კავშირი განცდასა და განცდის ობიექტს შორის არის არა კაუზალური, არა ფაქტიური, არამედ არსებითი. თვით განცდის არსი გულისხმობს საგანზე მითითებას. ამიტომ ეს კავშირი განიხილება სივრცის, დროის და კაუზალობის კონტექსტის მიღმა. ამ გაგებით რეალური სამყაროს საგნები არ წარმოადგენენ ცნობიერების განცდების მიზეზებს. შესაბამისად, ე. ჰუსერლის თანახმად, ერთმანეთს უნდა დაუპირისპიროთ არა ცნება ან წარმოდგენა და სინამდვილე, როგორც კლასიკურ მეტაფიზიკაში, არამედ *ნოეზისი* და *ნოემა* (იხ. Гуссерль, 1999).

ე. ჰუსერლის თანახმად *ნოეზისი* არის ცნობიერების განცდა, ანუ ცნობიერების აქტი, განხილული თავის თავად, განცდის ობიექტთან კავშირის გარეშე. ცნობიერების ასეთი განცდა შეიძლება იყოს აღქმა, სურვილი, შეფასება, მსჯელობა და სხვ.. ცნობიერების ფუნდამენტურ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ცნობიერების განცდას ყოველთვის გააჩნია თავისი მიმართულობა ამა თუ იმ ობიექტზე, მიუხედავად იმისა, არის ეს ობიექტი რეალური, თუ არა. „... აღქმა არის რაღაცის აღქმა, ვთქვათ, ნივთის აღქმა; მსჯელობა არის მსჯელობა რაიმე საქმის ვითარების შესახებ; შეფასება - რაიმე ფასეულობითი სიტუაციის შეფასება; სურვილი - სასურველი გარემოების და ა.შ. ქმედითობა მიმართულია რაიმე მოქმედებაზე, ქცევა - საქციელზე, სიყვარული - იმაზე რაც უყვართ, სიხარული - სასიხარულოზე და ა.შ.“ (Гуссерль,1999, 184). *ნოემა* არის გონებრივი წარმოდგენა საგნის შესახებ, აზრის საგნობრივი შინაარსი. ე. ჰუსერლი ასე განმარტავს განსხვავებას რეალურ საგანსა და ნოემაში მის წარმოდეგნას შორის: *„თვითონ ხეს,* ბუნების საგანს, არაფერი საერთო არა აქვს, *ხის, როგორც ასეთის, აღქმასთან,* რომელიც, როგორც აღქმის საზრისი, აბსოლუტურად განუყოფელია შესაბამისი აღქმისაგან. თვითონ ხე შეიძლება დაიწვას, დაიშალოს თავის ქიმიურ ელემენტებად და ა.შ.

ხოლო საზრისი - *ამ* აღქმის საზრისი, რომელიც განუყოფელია მისი არსისაგან, - ვერ დაიწვება, მას არ გააჩნია ქიმიური ელემენტები, მასში არ არის ძალები, არ არის რეალური თვისებები“ (Гуссерль, 1999, 199). ნოემას აქვს საზრისი, მას გააჩნია შინაარსი, რომელიც აკავშირებს მას ნაგულისხმევ საგანთან. საზრისი შეიძლება იცვლებოდეს ერთი და იგივე საგნის სხვადასხვა აღქმებში. ამიტომ სუბიექტს შეუძლია სხვადასხვა საზრისი მიაწეროს ერთი და იგივე საგანს, ანუ, სხვადასხვა თვალსაზრისით აღიქვას იგი, მათ შორის, სხვადასხვა ღირებულების კოორდინატთა სისტემაში.

თუ მოვახდენთ გარე სამყაროსგან აბსტრაჰირებას, ანუ, ჰუსერლის ტერმინოლოგიით, თუ მოვახდენთ ფენომენოლოგიურ რედუქციას, მაშინ შეგვიძლია გამოვავლინოთ ცნობიერების ჭეშმარიტი სტრუქტურა:

Ego / ნოეზისი /ნოემა.[153]

აღქმის მეშვეობით ანალოგიის პრინციპით სუბიექტი აღმოაჩენს მის მსგავს მეორე სუბიექტს. იბადება *სხვა*, ანუ მისგან განსხვავებული სუბიექტი. ამის შემდეგ „მისი“ *სუბიექტური* სამყარო ხდება მისთვის და სხვისთვის საერთო *ობიექტური (ინტერსუბიექტური)* სამყარო. ეს ინტერსუბიექტური სამყარო იძენს ობიექტურობას მხოლოდ ცალკეული სუბიექტის ცნობიერების მიმართ, მაგრამ იგი რჩება სამყაროს სუბიექტურ აღქმად სოციუმის კოლექტიურ ცნობიერებაში;

3. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, რომ ეკონომიკური კატეგორიები ასახავენ არა უშუალოდ ეკონომიკურ რეალობას, არამედ სუბიექტის მისდამი დამოკიდებულებას. მაგრამ ახლა საჭიროა დავაზუსტოთ, რომ ისინი ასახავენ მის დამოკიდებულებას არა უშუალოდ ამ რეალობასთან, არამედ მის შესახებ

---

[153] *Ego* - არის ცნობიერება საკუთარ თავთან მიმართებაში, ცნობიერების გაცნობიერება. ასეთ შემთხვევაში ცნობიერების სუბიექტი თვითონ ხდება თავისი აღქმის ობიექტი. *მე*-ს თვითშემეცნების შემთხვევაში შემეცნების სუბიექტი, ობიექტი და შემეცნების პროცესი წარმოადგენს ერთ მთლიანობას.

წარმოდგენებთან სუბიექტის ცნობიერებაში. ფენომენოლოგების „ჟარგონზე“, ლაპარაკია ინტენციონალურ განცდებზე ტრანსცენ-დენტალური სუბიექტის ცნობიერებაში. და რადგან რეალურ მოვლენებსა და მათ წარმოდგენებს შორის არსებობს არა კაუზა-ლური, არამედ მხოლოდ არსისეული კავშირი, ამიტომ, ერთი და იგივე რეალიების აღქმა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად, იმისდა მიხედვით, თუ რა საზრისია მასში ჩადებული.[154] ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება აღიქმებოდეს როგორც პროდუქტი ან რესურსი; ერთი და იგივე პროცესი - როგორც წარმოება, მოხმარება, ან ინვესტირება; ერთი და იგივე სუბიექტი - როგორც მწარმოებელი, მომხმარებელი, მესაკუთრე, მეწარმე; და ყველა ეს მოვლენები შეიძლება აღიქმებოდეს როგორც მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო, სასარგებლო ან უსარგებლო, ძვირფასი ან იაფასიანი და ა.შ.. ამიტომ, არა მარტო სხვადასხვა სუბიექტებს აქვთ განსხვავებული დამოკიდებულება ერთი და იგივე მოვლენებთან, არამედ ერთი და იგივე სუბიექტიც განსხვავებულად აღიქვავს მათ იმისდა მიხედ-ვით, თუ რა საზრისს ანიჭებს მათ.

ყოველივე ზემოთქმული ეხება აგრეთვე ფასეულობას. ფასეუ-ლობითი დამოკიდებულება მთლიანად ჩაკეტილია ცნობიერებაში და, ისევე როგორც აზროვნება, იგი ვერ გავა ცნობიერების ფარგ-ლებს გარეთ. ეს არის ტრანსცენდენტალური სუბიექტის დამოკი-დებულება თავისივე წარმოდგენებთან, მის მიერვე შექმნილ იდეალურ კონსტრუქტებთან. ე. ჰუსერლის ტერმინოლოგიით, ფასეულობა არის *ნოეზისი,* ტრანსცენდენტალური სუბიექტის

---

[154] „ხომ ცხადია, რომ ეს „საზრისები“, საგნობრივი საზრისები, ნოემატური საზრისები - ეს არის ჩემი გამოცდილების წარმონაქმნები. ისინი სენსიტიურია იმისადმი, თუ მე რას განვიცდი მოცემულ მომენტში და რას ვფიქრობ ამ დროს, როგორ დასკვნებს ვაკეთებ, ... ნოემატური საზრისი უაღრესად დამოკიდებულია ჩემზე: იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვიცდი მე რაიმეს, როგორ ვგულისხმობ მას, ხდება ნაგულისხმევის მოდიფიცირება, ... მაგრამ თვითონ ფიზიკური საგნები ჩანან როგორც დამოუკიდებელნი ჩემგან, ჩემი ცნობიერებისგან“ (Ингарден, 1999, 178).

ინტენციონალური განცდა, რომლის ინტენციონალური კორელატი არის წარმოდგენა რაიმე დოვლათის შესახებ, ანუ *ნოემა.* ფასეულობები, როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი - არის ცნობიერების ფენომენები, ან ინდივიდუალური ცნობიერების განცდები, ან კოლექტიური ცნობიერების კოლექტიური კოგერენტული განცდები. ასეთი განცდების ტრანსცენდენტურ ობიექტს წარმოადგენენ რეალური ობიექტები და პროცესები, რომლებიც თავისთავად არ წარმოადგენენ დოვლათს და არ გააჩნიათ ფასეულობა ან სარგებლიანობა, თუ არ არსებობს მათზე მოთხოვნილება.

რამდენადმე უცნაურად ჟღერს, რომ ეკონომიკური ფასეულობა არის სუბიექტის ნებელობითი დამოკიდებულება არა უშუალოდ საგანთან, არამედ საგნის შესახებ მისივე წარმოდგენებთან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ფასეულობითი დამოკიდებულება განპირობებულია საგნის მხოლოდ იმ თვისებებით, რომლის შესახებაც სუბიექტმა იცის, ან ჰგონია, რომ იცის, და არა რეალური, ფაქტიური თვისებებით, რომელთა შესახებაც სუბიექტმა არც იცის და ვერც ეცოდინება. ანუ მთავარია მისი წარმოდგენები, თუნდაც ისინი იყვნენ მცდარი. ხოლო საგნის შესახებ წარმოდგენების, და მაშასადამე, მათთან ფასეულობითი დამოკიდებულების „ადგილმდებარეობა“ არის სუბიექტის ცნობიერებაში. მათ არ შეუძლიათ ცნობიერების გარეთ გასვლა.

ამიტომ, იმისათვის, რომ სუბიექტმა განიცადოს ფასეულობითი დამოკიდებულება, სულაც არ არის აუცილებელი რეალურ ობიექტთან უშუალო კონტაქტი, ან სიახლოვეში ყოფნა, და საერთოდ მისი არსებობაც კი.[155] მაგალითად, საცხოვრებელი

---

[155] „... [ფასეულობა] არ არის ნივთების ბუნებრივ-რეალური მახასიათებელი. ეს განსაკუთრებით აშკარად ჩანს ფასეულობის შედარებიდან საგნის რეალურ თვისებებთან. მაშინ როდესაც თვისების არსებობა მთლიანად დამოკიდებულია თვით ნივთის არსებობაზე, ფასეულობის არსებობა არ არის დამოკიდებული მისი მატარებლის ფაქტიურ არსებობაზე ან არარსებობაზე. მაგალითად, აფსოლუტური სამართლიანობის ფასეულობა (და მისი „ყოფიერება“ ფასეულობის სახით) სულაც

სახლის ეკონომიკური ფასეულობა, რომელსაც განიცდის მისი მესაკუთრე, სულაც არ საჭიროებს სახლის ყოფნას მისი უშუალო აღქმის პერიმეტრში. მესაკუთრე შესაძლოა იმყოფებოდეს საკუთრების ობიექტისგან შორს, მაგარამ მის მიერ ამ საკუთრების ფასეულობის განცდას არაფერი აკლდება ამით. მეტიც, მაშინაც კი, თუ სახლი დაიწვება ხანძარში, ფასეულობის ეს განცდა დარჩება უცვლელი იქამდე, სანამ მესაკუთრე არ მიიღებს ინფორმაციას სახლის დაწვის შესახებ. ანუ იქამდე, სანამ მას არ შეეცვლება წარმოდგენა განცდის ობიექტის შესახებ (ნოემა). ყველა თავის ფასეულობას სუბიექტი *„თან ატარებს“* თავის ცნობიერებაში.

თვითონ აქტორები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ეკონომიკური ფასეულობა (ასევე ყველა ეკონომიკური კატეგორია) არის მათი სუბიექტური დამოკიდებულება თავისისვე წარმოდგენებთან და არა მისგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობასთან. გარედან ყველაფერი სხვაგვარად ჩანს. აქტორებს (პირველი რიგის დამკვირვებლებს) ეჩვენებათ, რომ ფასეულობა გააჩნიათ რეალურ ობიექტებს.

5.2.2. ეკონომიკური ფასეულობა აქსიოლოგიის კონტექსტში

1. ეკონომიკური ფასეულობა არის საერთოდ ფასეულობის გამოვლენის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა. ეკონომიკური ფასეულობის გარდა არსებობენ პოლიტიკური, მეცნიერული, ესთეტიკური, მორალური, რელიგიური და სხვ. ფასეულობები. მაგრამ ყველა ამ განსაკუთრებულ ფასეულობას აქვს ერთი და იგივე არსი, ერთი ბუნება. სწორედ ეს ხდის შესაძლებელს, რომ ისინი ქმნიან

არ არის დაკნინებული იმის გამო, რომ იგი ჯერაც არ არის სრულად რეალიზებული მსოფლიოში“ (Чавчавадзе, 1984, 36).

ფასეულობათა ერთიან სისტემას, რის გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა საერთოდ მიზანშეწონილი მოღვაწეობა.

„თავისუფლების და მიზანმიმართულობის მომენტი სწორედაც არის ის მომენტი, რომლის წყალობთაც ადამიანმა ... შეძლო დაეძლია ბრმა აუცილებლობის სტიქია და შეექმნა საკუთრი თავიც და საკუთარი სამყაროც. ადამიანური მოღვაწეობის სწორედ ამ მომენტთან არის დაკავშირებული ფასეულობები. ფასეულობა პირველ რიგში არის ის, რაც იდეალურ (ანუ რეალურად ჯერ კიდევ არ განხორციელებულ) მიზანს ანიჭებს ადამიანური მოღვაწეობის მეთოდზე და ხასიათზე ზეგავლენის ძალას, მასტიმულირებელ ძალას. ... თუ რაიმე მიჩნეულია, არჩეულია მიზნად, ეს ნიშნავს რომ იგი აღიარებულია ფასეულად, რომელსაც გააჩნია ან თვითმიზნის ფასეულობა, ან რაღაც სხვა მიზნის მიღწევის საშუალების ფასეულობა, ინსტრუმენტალური ფასეულობა. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ადამიანური მოღვაწეობის მიზნობრივი დეტერმინაცია - არის ფასეულობითი დეტერმინაცია. ადამიანურ მოღვაწეობაზე ფასეულობებს შეუძლიათ ზემოქმედება არა რეალურ-კაუზალურად, არამედ როგორც იდეალურ ფასეულობებს, რომელთა რეალიზებაც ადამიანს მიაჩნია თავის აუცილებელ მოთხოვნილებად ან მოვალეობად“ (Чавчавадзе, 1984, 8).

როგორც ფასეულობას ადამიანი აღიქვავს ყველაფერ იმას, რაშიც ხედავს *მიზანს, საშუალებას* და *რეზულტატს* თავისი მიზანშეწონილი მოღვაწეობისთვის (ეკონომიკური, პოლიტიკური, ესთეტიკური, ზნეობრივი, რელიგიური თუ სხვ.). ფასეულობები თავისით ვერ დააკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნილებებს. ყველა თავის გაცნობიერებულ მოთხოვნილებებს (იქნება ეს მატერიალური, სოციალური თუ სულიერი) ადამიანი იკმაყოფილებს თავისივე აქტივობით, გაცნობიერებული მოქმედებებით. ესეიგი, მხოლოდ თავისი ნებელობითი აქტის, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ ფასეულობები წარმოედგენენ ადამიანის ტელეოლოგიურ დამოკიდებულებას

ყოველივე იმასთან, რაც მას აძლევს თავისუფალი არჩევანის და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას;

2. როგორც ითქვა, ფასეულობა არის სუბიექტის ინტენციონალური დამოკიდებულება არა უშუალოდ რეალურ *საგნებთან,* არამედ გონებაში მათ *წარმოდგენებთან,* რომლებიც შეიძლება იცვლებოდნენ ცნობიერების სხვადასხვა აქტებში. სხვადასხვა აღქმის შემთხვევაში მას შეუძლია თავის წარმოედგენებში ჩადოს სხვადასხვა საზრისი. იმისდა მიხედვით, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მოვლენის რომელ თვისებებს ასახავს ადამიანი თავის წარმოდგენებში, და რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს ხედავს მათში, იგი აღიქვავს ამ მოვლენას სხვადასხვა ფასეულობის განზომილებაში. ამიტომ, *ერთი და იგივე* მოვლენის აღქმა სუბიექტს შეუძლია *სხვადასხვა* ფასეულობების შკალაში (ეკონომიკური, პოლიტიკური, ესთეტიკური თუ სხვ.).

ამასთანავე, ყველა ამ განსაკუთრებულ ფასეულობას ადამიანი აღიქვავს როგორც თვისობრივად ერთგვაროვან, მაგრამ განსხვავებული სიდიდის ზოგად ფასეულობას. ეს ზოგადი ფასეულობა, რომელზეც დაიყვანება ნებისმიერი განსაკუთრებული ფასეულობა, და რომლისკენაც ისწრაფვის ადამიანი თავისი აქტივობით, არის ადამიანის უზენაესი ფასეულობა - თავისუფლება, რომელიც მის მიერ ასოცირდება ბედნიერებასთან, აბსოლუტურ კეთილდღეობასთან, ანუ მდგომარეობასთან, როდესაც ადამიანს დაუბრკოლებლად შეუძლია ყველა დასახული ფუნდამენტური მიზნის რეალიზება და გაცნობიერებული არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

3. სინამდვილეში არაფერი იბადება არაფრისგან, ყვალფერი ახალი იბადება უკვე არსებულისგან. ანუ რეალობაში ადგილი აქვს მხოლოდ გარდაქმნებს. და ადამიანი თავისი მოქმედებებით ახდენს მხოლოდ რეალობის მიზანმიმართულ *გარდაქმნას.* ხოლო ის, რასაც იგი *ქმნის,* არის მხოლოდ ფორმა, რომლის მეშვეობითაც რეალობა იძენს მისთვის სასურველ თვისებებს და მოდის

შესაბამისობაში მის მოთხოვნილებებთან. ადამიანის მიზანმიმართული მოქმედებების შედეგად ფიზიკურ, სოციალურ, თუ იდეალურ რეალობაში იბადება მისი მიზნების რეალიზების სულ უფრო მეტი შესაძლებლობები. ადამიანი იძენს სულ უფრო მეტ თავისუფლებას.

ცვლილებების პროცესში რეალობა იძენს ზოგიერთ ახალ თვისებას, ზოგერთს - კარგავს, ზოგიც - რჩება უცვლელი. შესაბამისად, ადამიანის მოქმედებით რეალობაში შეტანილი ყოველი ცვლილებების შედეგად, ზოგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობები იზრდება, ზოგის - მცირდება, ზოგის - არ იცვლება. და რადგან ადამიანის მიერ სწორედ ამ შესაძლებლობებთან დამოკიდებულება აღიქმება როგორც ფასეულობა, ამიტომ, მისი ნებისმიერი მოქმედების შედეგად ზოგი ფასეულობები იქმნება, ზოგი - უჩინარდება, ზოდიც - რჩება უცვლელი.

ამასთანავე, სინამდევილე შეიცავს დროში მიმდინარე ცვლილებების უამრავ შესაძლებლობებს. და რადგან დრო შეუქცევადია, რომელიმე ერთი შესაძლებლობის რეალიზება ნიშნავს დანარჩენი შესაძლებლობის დაკარგვას. აქედან გამომდინარეობს, რომ, როდესაც ადამიანი მიზანმიმართულად ცვლის სინამდვილეს და ახდენს მისი შეცვლის ერთ-ერთი შესაძლებლობის რეალიზებას, იგი უარს ამბობს დანარჩენ შესაძლებლობებზე. შესაბამისად, ქმნის რა რაიმე ფასეულობებს, იძულებულია უარი თქვას რაღაც სხვა ფასეულობების შექმნაზე.

ანუ რაიმე ფასეულობების შექმნას ეწირება სხვა ფასეულობები. ამიტომ, ნებისმიერი მიზანშეწონილი მოქმედების ღირებული რეზულტატი მიიღწევა რაღაც მსხვერპლის გაღების ფასად. ამიტომაც არიან ისინი ღირებული, და არა უბრალოდ სასარგებლო, გააჩნიათ ფასეულობა, და არა მხოლოდ სარგებლიანობა, რომ მათში *„გადახდილია ფასი“.* უფასოდ რეზულტატების მიღება შეუძლებელია ისევე, როგორც უმსხვერპლოდ ვერ მიიღება

ვერც ფასეულობა, ვერც თავისუფლება. ყოველივე ეს მიიღწევა მხოლოდ მოღვაწეობის შედეგად;

4. ადამიანი, როგორც პიროვნრბა, არის მთლიანობა და გააჩნია ერთიანი ფასეულობათა სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა მის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. მის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაც ხდება ამ ერთიანი ფასეულობათა სისტემის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას და მიზნების დასახვისას რაიმე ფორმით ხდება სხვადასხვა ფასეულობების, რანჟირება, პრიორიტეტების მინიჭება, ხდება მიზნების და მასთან დაკავშირებული მსხვერპლის „კალკულაცია“.

საბოლოო ჯამში, ყველა ფასეულობები ერთად ახდენენ ამა თუ იმ კონკრეტული ფასეულობის შექმნის მიზანშეწონილობის საზღვრების მარკირებას. მაგალითად, ეკონომიკური ფასეულობის შექმნისას, ვერ იქნება იგნორირებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ეთიკური, ესთეტიკური, რელიგიური თუ სხვ. ფასეულობები, რომელთაგანიც ზოგი ეწირება ეკონომიკური ფასეულობის შექმნას, და ზოგი შეიქმნება მასთან ერთად, ზოგი დარჩება უცვლელად. არსებობს საზღვრები, რომლის ფარგლებშიც სუბიექტს შეუძლია იმოქმედოს სხვა ფასეულობების ხარჯზე. ამ საზღვრებს მიღმა მოქმედება კარგავს აზრს. სხვადასხვა ფასეულობების ასეთი „კალკულაციის“ გარეშე მიზანშეწონილი მოღვაწეობა ვერ იქნება *მიზანშეწონილი.*

ესეიგი, არსებობს სხვადასხვა ფასეულობების ერთმანეთთან შედარების კრიტერიუმი, მათ შორის, მატერიალური და სულიერი ფასეულობების შედარების კრიტერიუმი. ამის გარეშე ვერ გაკეთდება არჩევანი, ხოლო არჩევანის გარეშე არ არსებობს არც თავისუფლება, არც მიზანშეწონილი მოღვაწეობა. ასეთი კრიტერიუმი არის სწორედ *თავისუფლების ხარისხი,* რომელსაც ესა თუ ის კონკრეტული ფასეულობა ანიჭებს ადამიანს. რადგან *თავისუფლება,* როგორც ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭების უნარი და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, არის ის

საერთო თვისება, რომელიც გააჩნია ნებისმიერ კონკრეტულ ფასეულობას, და რომლის მეშვეობითაც ნებისმიერი ფასეულობა საერთოდ არის ფასეულობა, და არა უბრალოდ სარგებლიანობა.

„ბევრი რამ ხდება გასაგები, თუ გვექნება იმის მყარი განსაზღვრება, თუ რა არის ფასეულობა. ფასეულობა არის საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შენარჩუნებადი შესაძლებლობა“ (Гегель, 1990, 403). ცხადია, აქ იგულისხმება საშუალებების ფასეულობა. ასევე ცხადია, რომ, „მოთხოვნილების დაკმააყოფილების შენარჩუნებადი შესაძლებლობა“ გულისხმობს, რომ ამ შესაძლებლობების რეალიზება საჭიროებს მიზანმიმართულ მოქმედებას, გადაწყვეტილების მიღებას და, თავისუფალი არჩევანის გაკეთებას. ადამიანმა უნდა *აირჩიოს* მიზანი, საშუალებები და რეზულტატი (როგორც რეალიზებული მიზანი). ამ არჩევანის კრიტერიუმი კი არის თვითონ თავისუფლება. ანუ, მიზანშეწონილ მოღვაწეობაში ფასეულობების მიერ მინიჭებული შესაძლებლობების რეალიზება ხდება იმ შემთვევაში, თუ მისი რეზულტატი ბადებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მეტ შესაძლებლობებს, არჩევანის მეტ თავისუფლებას. ანუ მიზანშეწონილი მოღვაწეობა გულისხმობს ფასეულობების შექმნას ფასეულობების მეშვეობით, თავისუფლების ხარისხის ზრდას თავისუფლების რეალიზების მეშვეობით და, საბოლოო ჯამში, ბედნიერებისაკენ სწრაფვას.

„ადამიანი თავისუფლდ ირჩევს სიცოცხლეს და ამით ირჩევს მოქმედებას, რომელიც თავისუფლების სულ უფრო მეტი შესაძლებლობების ქმნისაკენაა მიმართული. ადამიანის „სასიცოცხლო მოქმედება“, თავისი არსებითი ტენდენციებით, არის თავისუფალი მოქმედება, რომელიც გარდაქმნის სამყაროს თავისუფალშეუბოჭველი მოქმედების სულ უფრო მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიმართულებით“ (კაკაბაძე, 1985, 16-17).

ფასეულობები ზოგადად, და მათ შორის ეკონომიკური ფასეულობები, იქმნება თავისუფალი სუბიექტის სულიერი მოღვაწეობით, *სულიერი ძალისხმევით*, გადაწყვეტილების მიღების და თავისუფალი არჩევანის შედეგად, ანუ, ადამიანის თავისუფლების რეალიზების შედეგად. ხოლო შექმნილი ფასეულობები, ადამიანს ანიჭებენ ახალი ფასეულობების შექმნის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას;[156]

5. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მოქმედებას აქვს მთავარი მიზანი და კონკრეტული ფასეულობა, რომლის შექმნაც მას ანიჭებს საზრისს და განსაზღვრავს მის ლოგიკას. მაგრამ, მოქმედების შედეგად პარალელურად ხდება სხვა ფასეულობების შექმნა, და ზოგის - მსხვერპლად გაღება. ანუ, ყოველი მოქმედების შედეგად, ძირითად ფასეულობასა (რომელიც განსაზღვრავს მის საზრისს) და დანარჩენ ფასეულობებს შორის ყალიბდება ურთიერთშემავსებელი, ურთიერთგამომრიცხავი და ნეიტრალური დამოკიდებულებები. ამიტომ, სხვა კონკრეტული ფასეულობები ქმნიან დასაშვები გადაწყვეტილებების არეალის საზღვრებს, რომლის იქითაც, ამ საერთო კრიტერიუმის თანახმად, მსხვერპლად გაღებული ფასეულობები აღემატება მიზნად დასახულს. ასეთი მოქმედებების შედეგად თავისუფლების, კეთილდღეობის და ბედნიერების განცდა კი არ მატულობს, მცირდება. ცხადია, მიზანშეწონილი მოღვაწეობის საერთო ვექტორი მიმართულია თავისუფლების და ბედნიერების ზრდისკენ.

---

[156] „ნება თავისუფალია მაშინ, როდესაც მისი ნებელობის საგანი, მისი შინაარსი, იგივეა, რაც არის ის თვითონ, მაშასადამე, როდესაც თავისუფლებას ნებავს თავისუფლება. .... თავის თავში და თავისთვის არსებული ნება *ჭეშმარიტად* უსასრულოა, რადგან მისი საგანი არის *თვითონ იგი* და ამით ეს საგანი არ არის მისთვის არც *სხვა,* არც *ზღვარი,* არამედ მასში იგი მხოლოდ დაუბრუნდა საკუთარ თავს“ (Гегегль, 1990, 85).

ფასეულობა არის თავისუფლების განცდა, რომელსაც ადამიანს ანაჭებს იმის ცოდნა, რომ მისი ნება ვრცელდება ამა თუ იმ დოვლათზე, რაც აძლევს მას ფუნდამენტური მოთხოვ-ნილებების დაკმაყოფილების საშუალებას დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ეს დოვლათი შეიძლება იყოს მატერიალური დოვლათი, ფული, კაპიტალი, სამართლებრივი უფლებები, მეცნიერული ცოდნა, განათლება, მნიშვნელოვანი ინფრმაცია, მხატვრული ნააწარმოები, უნარები და გამოცდილება და სხვ.. ყოველივე ეს შეიძლება იყოს წარმოდ-გენილი ცნობიერებაში ნოემის სახით, ანუ როგორც იმ წარმოდ-გენის საგნობრივი შინაარსი, რომელთან მიმართებაშიც ადამიანი განიცდის ფასეულობრივ დამოკიდებულებას. შესაბამისად, ფასეუ-ლობები, როგორიც არის პოლიტიკური ძალაუფლება, სიკეთე, მშვენიერება, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სიყვარული, - ყოვე-ლივე ეს არის თავისუფლების განცდის სპეციფიური ფორმები, მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროებში, რომლებსაც ინტეგრი-რებული სახით წარმოადგენს ბედნიერების განცდა.

5.2.3. ეკონომიკური ფასეულობა და ეკონომიკური თავისუფლება

1. ამ ნაშრომის მეორე თავში ეკონომიკური ფასეულობის დიალექტიკური ანალიზი არ ითვალისწინებდა ფენომენოლოგიურ დისკურსს. ანალიზის საფუძველზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური ფასეულობა გულისხმობს არა მხოლოდ *ცოდნას* დოვლათის სარგელიანობის შესახებ, არამედ აგრეთვე სუბიექტის *ნების* გავრცელებას დოვლათზე, ანუ მის *ძალაუფლებას.* იმას, რომ ეს დებულება არ არის საფუძველს მოკლებული, ადასტურებს ადამ სმითის პოზიცია. იგი წერს:

„ყოველი საგნის საცვლელი ღირებულება ყოველთვის ზუსტად უნდა უდრიდეს იმ ძალაუფლების სიდიდეს, რომელსაც ეს საგანი ანიჭებს თავის მფლობელს“ (Смит, 1962, 39). „ ... ყოველი საქონელის ღირებულება, ... უდრის შრომის რაოდენობას, რომლის ყოდვაც ან თავის განკარგვაში მიღებაც მას შეუძლია მისი მეშვეობით“ (იქვე, 38). „როგორც ამბობს ჰობსი, სიმდიდრე არის ძალა. ... ამ ქონების ფლობა მას (ადამიანს) აძლევს ... მთელი შრომის ან შრომის მთელი პროდუქტის, რომელიც არის ბაზარზე, ყიდვის, განკარგვის შესაძლებლობას. მისი სიმდიდრე მეტად თუ ნაკლებად დიდია უშუალოდ ამ შესაძლებლობის სიდიდის მიხედვით, ანუ სხვა ადამიანების შრომის რაოდენობის მიხედვით, რომლის ყიდვა ან თავის განკარგვაში მიღებაც მას შეუძლია თავისი ქონების წყალობით“ (იქვე, 38-39).

ამ ამონარიდების მოყვანის შემდეგ თანამედროვე ფრანგი ეკონომისტი გ. დელეპლიასი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ამრიგად, სმითი აიგივებს სიმდიდრეს და ძალაუფლებას“ (Делепляс, 2000, 41). შრომის ან შრომის პროდუქტების „ყიდვის ან თავის განკარგულებაში მიღების“ შესაძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური ძალაუფლება, ანუ შესაძლებლობა თავად გადაწყვიტოს (საკუთრებით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში) რა მიზნები განახორციელოს, რომელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს. სიმდიდრე, როგორც მესაკუთრის განკარგვაში მყოფი დოვლათის ეკონომიკური ფასეულობების ერთობლიობა, არის მისი ეკონომიკური თავისუფლების წყარო. „... ფლობა არ არის საბოლოო მიზანი, არსებითი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იყო თავისუფალი, ხოლო იგი მდგომარეობს მხოლოდ საკუთრებაში“ (Гегель, 1990, 396).

2. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ძალაუფლება ნებისმიერი ფორმით, არის თვითნებობის, და არა ჭეშმარიტი თავისუფლების საფუძველი. შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლება, რომელსაც ფული და სიმდიდრე ანიჭებს ადამიანს, არის თავისუფლება თვითნებობის ფორმით. მონიჭებული შესაძლებ-

ლობების ფარგლებში, თვითნებობა იძლევა *არჩევანის თავისუფ-ლებას* და ამით ბადებს ჭეშმარიტი თავისუფლების და ბედნიე-რების იმიტაციას.

ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც *თავისი ნებით* მოქმედებს შეცნობილი აუცილებლობის თანახმად, თუ თავისი მოქმედებების მიზნად ისახავს მხოლოდ იმ შესაძლებლობების რეალიზებას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება აუცილებლობას. შესაძლოა მავანს გაუკვირდეს - სადღაა თავისუფლება, თუ ადამი-ანი დაემორჩილება აუცილობლობას? ითვლება, რომ ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც მოქმედებს თავისი ნების, და არა აუცილებლობის თანახმად. ხოლო აუცილებლობისადმი დამორჩი-ლება აღიქმევა როგორც იძულება. ანუ, თავისუფლებას ხშირად მიიჩნევენ აუცილებლობის საპირიასპირო ცნებად. სინამდვილეში, თავისუფლება კი არ უპირისპირდება, არამედ გულისხმობს და ეფუძნება აუცილებლობას.

3. თვითნებობის შინაარსი (ანუ მოთხოვნილებები) არის რაღაც მოცემულობა, რომელსაც თავისი საფუძველი აქვს არა თვითონ სუბიექტის ნებაში, არამედ მისგან დამოუკიდებელ გარემოებებში. ამიტომ, ნებელობის ასეთი შინაარსის მიმართ თავისუფლება არსებობს მხოლოდ *არჩევანის* ფორმით. ეს არის ფორმალური თავისუფლება და უნდა იქნას გაგებული მხოლოდ როგორც მოჩვენებითი თავისუფლება, რადგან იმავე შემთხვევით გარემო-ებებს, რომლებიც განსაზღვრავენ თვითნებობის შინაარსს, უნდა მივაწეროთ ისიც, რომ ნება იღებს გადაწყვეტილებას სწორედ ასეთი, და არა სხვაგვარი არჩევანის სასარგებლოდ. (იხ. Гегель, 1974, 319)

„როდესაც ლაპარაკობენ თავისუფლებაზე, ხშირად გულისხმობენ მხოლოდ თვითნებობას, ანუ ნებას შემთხვევითობის სახით. მაგარამ მართალია თვითნებობა ... უდაოდ არის თავის თავად თავისუფალი ნების არსებითი მომენტი, იგი, მიუხედავად ამისა,

სულაც არ არის უშუალოდ თავისუფლება, არამედ მხოლოდ ფორმალური თავისუფლება.“ (იხ. Гегель, 1974, 319)

არჩევანის თავისუფლება არის თავისუფლების პირობა, და არა თვითონ თავისუფლება. იგი იძლევა მოქმედების საშუალებას საკუთარი ნების თანახმად. მაგრამ თუ ეს მოქმედებები არ არის თანხმობაში აუცილებლობასთან, ანუ ბუნების, საზოგადოების და სულის კანონებთან, მაშინ მიზანი ვერ იქნება რეალიზებული და ცხადი გახდება, რომ შეუძლებელია გვერდი აუაროთ აუცილებლობას. მას შეიძლება მხოლოდ დავემორჩილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მოქმედებების რეზულტატები არ დაემთხვევა დასახულ მიზნებს. ხოლო იმისათვის რომ ვიმოქმედოთ აუცილებლობასთან შესაბამისობაში და მივიღოთ მიზნით დასახული რეზულტატები, საჭიროა აუცილებლობის შეცნობა.

4. როდესაც ადამიანი ვერ აკონტროლებს ცეცხლის, წყლის, ქარის სტიქიებს, ისინი ევლინებიან ადამიანს ხანძრების, წყალდიდობების, ქარიშხლების თუ სხვა კატაკლიზმების სახით. ხოლო როდესაც ადამიანი მოაქცევს ამ სტიქიურ ძალებს თავისი კონტროლის ქვეშ, მათ მოაქვთ მისთვის სიკეთე - სითბო, ელექტროენერგია, იყენებენ ტექნოლოგიურ პროცესებში და სხვ. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ბუნების კანონების შესწავლა, რომლებასაც ისინი ემორჩილებიან. ამასთან დაკავშირებით ფ. ენგელსი წერს:

„თავისუფლება მდგომარეობს არა ბუნების კანონებისაგან წარმოსახვით დამოუკიდებლობაში, არამედ ამ კანონების შემეცნებაში და ამ ცოდნაზე დაფუძნებულ შესაძლებლობებში გეგმაზომიერად ვაიძულოდ ბუნების კანონები იმოქმედონ გარკვეული მიზნებისათვის. ეს ეხება როგორც გარე ბუნების კანონებს, ასევე კანონებს, რომლებიც მართავენ თვითონ ადამიანის სხეულიებრივ და სულიერ ყოფიერებას ... მაშასადამე, ნების თავისუფლება ნიშნავს სხვა არაფერს, თუ არა საქმის ცოდნით გადაწყვეტილებების მიღების უნარს“ (Энгельс, 1961, 116)

ასევე საბაზრო ძალები წარმოადგენენ სტიქიას, რომლებიც ბადებენ კრიზისებს, უმუშევრობას, ინფლაციას, სიმდიდრის პოლარიზაციას, ეკოლოგიურ პრობლემებს და ა.შ. ხოლო სახელმწიფო არის ინსტანცია, რომელიც საზღვრებში აქცევს მის მოქმედებას; არის ის ცენტრალიზებული საწყისი, რომელსაც საბაზრო ქაოსში შემოაქვს *რაციოს* და *წესრიგის* ელემენტები - ამცირებს უმუშევრობას, ინფლაციას, ეკონომიკურ ვარდნას. მაგრამ, რადგან ეკონომისტებს აქვთ მხოლოდ ზედაპირული ცოდნა საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ, ამიტომ, მართალია, მათი რეკომენდაციებით სახელმწიფო გარკვეულ საზღვრებში აქცევს საბაზრო ძალების სტიქიას, მაგრამ, არ შეუძლია სრულყოფილად აკონტროლის იგი. ამიტომ, სიმდიდრის პოლარიზაციას, კრიზისებს, უმუშევრობას, ინფლაციას, ჯერ კიდევ ადგილი აქვთ საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში და უზარმაზარ ზიანს აყენებენ ადამიანის ცხოვრების ხარისხს.

„საკუთარი სოციალური მოქმედებების კანონები, რომლებიც მანამდე უპირისპირდებოდნენ ადამიანებს როგორც მათთვის უცხო, მათზე გაბატონებული ბუნების კანონები, ადამიანების მიერ იქნებიან გამოყენებული საქმის სრული ცოდნით და ამგვარად დაემორჩილებიან მის ბატონობას. ... ობიექტური, უცხო ძალები, რომლებიც მანამდე ბატონობდნენ ისტორიაზე, ექცევიან თვითონ ადამიანის კონტროლის ქვეშ. და მხოლოდ ამ მომენტიდან დაიწყებენ ადამიანები სრულიად შეგნებულად თავისი ისტორიის შექმნას, მხოლოდ მაშინ მათ მიერ მოქმედებაში მოყვანილ საზოგადოებრივ მიზეზებს სულ უფრო მზარდი ხარისხით ექნებათ ის შედეგები, რომელიც მათ სურთ. ეს არის ნახტომი აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროში“ (Энгельс, 1961, 294-295).

მაგარამ იმისათვის რომ იმოქმედო აუცილებლობის შესა-ბამისად, უნდა იცოდე - რა არის აუცილებლობა ანუ უნდა

შეიმეცნო ბუნების, საზოგადოების და ადამიანის სულის კანონები. როდესაც ადამიანი შეიმეცნებს აუცილებლობას, ამით იგი შეიმეცნებს არსებული სინადვილის გარდაქმნის რეალურ შესაძ-ლებლობებს, და ესე იგი იმას, თუ რომელი მიზნების რეალიზება, რომელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არის შესაძლებელი მის ხელთ არსებული საშუალებებით, და რომელის - არა. რადგან აქტუალური, რეალური არის მხოლოდ ის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლებელია, ამიტომ სუბიექტს არ ებადება მოთხოვნილებები და მიზნები, რომელთა რეალიზებაც წინასწარვე იცის, რომ შეუძლებელია. ამიტომ, რაც უფრო სრულად შეიმეცნებს ადამიანი აუცილებლობას, არსებული სინადვილის გარდაქმნის რეალურ შესაძლებლობებს, მით უფრო მეტი აქტუა-ლური მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებ-ლობები გაუჩნდება მას; მით ნაკლებად გაუჩნდება არარეა-ლიზებადი მიზნები და მოთხოვნილებები; მით მეტი იქნება მისი თავისუფლების ხარისხი. ამიტომ, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, თავისუფლება გულისხმობს მორჩილებას. თავისუფ-ლება არ არის არც თვითნებობა და არც მორჩილება, არამედ არის მათი ერთობლიობა ანუ, აუცილებლობისადმი თვითნებური მორჩილება. „ბუნების დიალექტიკაში“ ფრ. ენგელსი წერს:

> *„ყოველ ფეხის ნაბიჯზე ფაქტები გვახენებენ იმის შესახებ, რომ ჩვენ სულაც არ ვბატონობთ ბუნებაზე ისე, როგორც დამპყრობელი ბატონობს სხვა ხალხზე, არ ვბატონობთ მასზე ისე, როგორც ბუნების გარეთ მყოფი ვინმე, - რომ ჩვენ, პირიქით, ჩვენი ხორცით, სისხლით და ტვინით მივეკუთვნებით მას და ვიმყოფებით მის შიგნით, რომ მთელი ჩვენი ბატონობა მასზე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, განსხვავებით ყველა სხვა არსებისაგან, შეგვიძლია მისი კანონების შესწავლა და მათი სწორად გამოყენება“ (Энгельс, 1961, 496).*

5. ბუნებრივია, ეკონომისტებს სურთ ეკონომიკური ზრდა, და არ უნდათ ეკონომიკური ვარდნა. ამიტომ ისინი ცდილობენ

ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და, მეორე მხრივ, რეცესიების და კრიზისების განდევნას ეკონომიკური რეალობიდან. მაგრამ მათი მოქმედებები არ ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის კანონების, მისი არსის, ანუ ეკონომიკური აუცილებლობის სათანადო ცოდნას. ამიტომ მათი მოქმედება ჰგავს თვითნებობას ეკონომიკური რეალობის მიმართ. პოლიტიკოსები გამომდინარეობენ იქიდან, თუ რა უნდათ მათ, და სათანადოთ არ (და ვერ) ითვალისწინებენ, თუ რა „უნდა“ თვითონ ეკონომიკურ სისტემას. მაგრამ ექსპანსიას და რეცესიას, ბუმს და კრიზისს, როგორც თვითრეგულირების პროცესის სხვადასხვა ფაზებს, წარმოშობს ერთი და იგივე ეკონომიკური მექანიზმი. კრიზისების ხელოვნური შეჩერებით ვერ მოხდება მათგან განთავსუფლება. მოხდება მხოლოდ მათი გადავადება. ამასთან, მოხდება შიდასისტემური დეფორმაციების აკუმულირება და შემდეგ მათი ერთბაშად გამოვლინება უფრო ღრმა და ხანგრძლივი კრიზისების სახით, რაც მეცნიერულად ახსნეს ი. ფიშერმა, გ. საიმონსმა, ფრ. ხაიეკმა, ხ. მინსკიმ, და რისი მოწმენიც არაერთხელ გავხდით.

ბუნების კანონები და აუცილებლობა ბატონობენ ადამიანზე მაშინ, როდეაც ისინი ვლინდებიან შემთხვევითობის ფორმით და არ ემორჩილებიამ მის კონტროლს. მაგრამ როდესაც ადამიანი შეიცნობს ამ კანონებს და მიზანშეწონილ მოღვაწეობას განახორციელებს ამ კანონების თანახმად, აუცილებლობასთან შესაბამისობაში, მაშინ იგი თავისუფლდება „ბრმა შემთხვევითობის“ ბატონობისაგან და მის უკან მყოფი „ბრმა აუცილებლობისაგან“. თავისი მოღვაწეობით ადამიანი არ უარყოფს აუცილებლობას და არც შეუძლია მისი გაუქმება. მას შეუძლია მხოლოდ მისი შეცნობა და მასთან თანხმობაში მოქმედება, და ამის მეშვეობით შემთხვევითობას, როგორც აუცილებლობის გამოვლენის ფორმას, ჩაანაცვლებს თავისუფლებით.

ადამიანმა დიდ წარმატებებს მიაღწია მეცნიერებაში. შეიჭრა მიკრო სამყაროში, ითვისებს კოსმოსს, საოცარი მიღწევების აქვს

„გენურ ინჟინერიაში“, ტექნოლოგიების განვითარებაში, მაგრამ ვერ მიაღწია ეკონომიკის განვითარებას კრიზისების გარეშე იმიტომ, რომ სათანადოთ ვეღ შეისწავლა ეკონომიკის კანონები, მისი არსი. არსებობს უამრავი კონცეფცია, მაგრამ ეკონომიკური თეორია დღემდე ვერ იძლევა ამომწურავ პასუხებს იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, თუ როგორ ყალიბდება დეცენტრალიზირებულ ეკონომიკაში წესრიგი ინდივიდუალური მოქმედებების ქაოსიდან. ეკონომისტები სწავლობენ ეკონომიკურ მოვლენებს, მაგრამ სათანადოთ ვერ შეისწავლეს საბაზრო ეკონომიკის არსი. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირება. ეს დასტურდება კიდეც კრიზისებით, რომლებიც, როგორც „ბრმა აუცილებლობა“, პერიოდულად თავს ატყდება საზოგადოებას. მაგრამ, როგორც ჰეგელი წერს: „... აუცილებლობა ბრმაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ ხდება მისი ცნებებით წვდომა. ... და თუ, პირიქით, ჩვენ განვიხილავთ მიზანშეწონილ მოღვაწეობას, მაშინ აქ მიზნის სახით ჩვენ გვაქვს შინაარსი, რომელიც წინასწარვეა ცნობილი, ამიტომ ეს მოღვაწეობა თვალახელილია, და არა ბრმა“ (Гегель, 1974, 323)

როგორც კი შევიცნობთ ეკონომიკის არსს, დაიბადება მისი ეფექტიანი რეგულირების რეალური შესაძლებლობა კრიზისების გარეშე, რომელებიც ასე მტკივნეულად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. მაგრამ, „ცნებებით წვდომა“ ნიშნავს არსის წვდომას და, შესაბამისად, მისი რეფლექსიური განსაზღვრებების და კვლევის ობიექტის, როგორც მთლიანის, დიალექტიკური წინააღმდეგობების წვდომას. და ესე იგი, ნიშნავს მისი შინაგანი ჰარმონიის და სიმეტრიის წვდომას.

დასკვნა

1. მართალია არსებობს მრავალი ეკონომიკური თეორია, მაგრამ ვერც ერთი მათგანი დღემდე ვერ იძლევა იმის ნათელ ახსნას, თუ როგორ ფუნქციონირებს დეცენტრალიზებული ეკონომიკა. ჩვენ ვიკვლევთ ეკონომიკურ მოვლენებს, მაგრამ საკმარისად ვერ შევისწავლეთ ამ მოვლენების არსი. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ეკონომიკის ეფექტიანად რეგულირება შეუძლებელია. ეს დასტურდება კიდეც კრიზისებით, რომლებიც პერიოდულად თავს ატყდება საზოგადოებას. როდესაც შევიმეცნებთ ეკონომიკური პროცესების არსს, დაიბადება ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირების რეალური შესაძლებლობა ღრმა კრიზისების გარეშე, რომლებიც ასე მტკივნეულად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. მაგრამ არსის წვდომა გულისხმობს ეკონომიკური პროცესების დიალექტიკურ ანალიზს და კვლევისადმი სისტემურ მიდგომას.

ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაა კატეგორიების ერთიანი სისტემის საფუძველზე ახსნას ეკონომიკური მოღვაწეობა როგორც მიზანშეწონილი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმა და განახორციელოს მისი ანალიზი განვითარების სხვადასხვა (ნატურალური, საბაზრო და რეგულირებადი ეკონომიკის) სტადიაზე. კვლევა უნდა იწყებოდეს ეკონომიკური მოღვაწეობის ელემენტარული „უჯრედის“ - ეკონომიკური მოქმედების ანალიზით. შემდეგ, ისტორიულ-ლოგიკური პრინციპის და აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე აღმასვლის საფუძველზე საჭიროა აგებულ იქნეს თეორიული სისტემა, რომელიც ადეკვატურად ახსნის თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებს და შეძლებს მომავლის ტენდენციების პროგნოზირებას.

2. ეკონომიკური ცოდნა მიიღება ეკონომიკური სინამდვილის შესწავლის გზით. ეს ცოდნა გავლენას ახდენს ეკონომიკურ

პოლიტიკაზე, ეკონომიკურ განათლებაზე, პოლიტიკოსების, ექსპერტების და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკურ მსოფლმხედველობაზე. ეს გარემოება განაპირობებს სუბიექტების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და მოქმედებებს. მაგრამ ამ გადაწყვეტილებების და მოქმედებების ერთობლიობა ქმნის იმ ეკონომიკურ სინამდვილეს, რომელსაც სწავლობს ეკონომიკური მეცნიერება. იბადება "მანკიერი წრე". ეკონომიკურ რეალობას ქმნიან ადამიანების კოლექტიური მოქმედებები. ხოლო ეს მოქმედებები დამოკიდებულია ცოდნაზე, რომელსაც ეკონომიკური მეცნეიერება ღებულობს ამ ეკონომიკური რეალობის შესწავლიდან. თუ არ მოხდება ამ მანკიერი წრის გარღვევა, ეკონომიკური მეცნიერება ვერ შეძლებს ჭეშმარიტების შეცნობას, რადგან შესწავლის საგანი თვითონ არის დამოკიდებული შესწავლის შედეგებზე.

წინამდებარე ნაშრომში იგულისხმება, რომ ზემოაღნიშნული მანკიერი წრე განპირობებულია ნეოკლასიკერი თეორიის მცდარი მეთოდოლოგიით. ამ მეთოდოლოგიის თანახმად ნეოკლასიკური თეორია სწავლობს მხოლოდ ეკონომიკურ მოვლენებს, ეკონომიკური სინამდვილის ზედაპირულ შრეს, მაგრამ არ სწავლობს მის არსს, რადგან არ აღიარებს მის არსებობას და არც ფლობს არსის შესწავლის მეთოდებს. ხოლო ის, რაც ხდება ეკონომიკურ სინამდვილეში ემპირიული ფაქტების დონეზე, დიდწილად მის მიერვე არის განპირობებული. მაგრამ ეკონომიკური სუბიექტების მოქმედებებზე დამოკიდებულია მხოლოდ ემპირიულ დონეზე მიმდინარე პროცესები, ანუ ის რასაც სწავლობენ ნეოკლასიკოსები. ამ მოქმედებებზე არ არის დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკის არსი, რომელსაც ისინი არ სწავლობენ. პირიქით, ეკონომიკის არსი თვით განაპირობებს ეკონომიკურ მოქმედებებს. აუცილებელია ეკონომიკური პროცესების არსის შესწავლა. ხოლო არსის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ კვლევის დიალექტიკური მეთოდებით,

რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ნეოკლასიკური თეორიის კვლევის მეთოდებისაგან.

3. დიალექტიკური ანალიზის წყალობთ ეკონომიკა წარმოგვიდგება როგორც რეფლექსიურად დაკავშირებული პროცესების ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემა, როგორც მთლიანობა. ხოლო ნეოკლასიკურ თეორიაში არ არის გაცნობიერებული რეფლექსიური კავშირი თუნდაც ისეთ ელემენტარულ კატეგორიებს შორის, როგორიცაა წარმოება და მოხმარება. მაგრამ სწორედ ეს რეფლექსია არის ეკონომიკური სისტემის ჩაკეტილობის და, მაშასადამე, მისი მდგრადობის, თვითრეგულირების და ოპტიმიზაციის უნარის აუცილებელი პირობა. რეფლექსიის მეშვეობით ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილები გაშუალებულნი არიან მისი მთლიანობით. ეს არის ჩაკეტილი პროცესი. იწარმოება ის, და მხოლოდ ის, რაც მოიხმარება, და მოიხმარება მხოლოდ ის, რაც იწარმოება. მაგრამ შესაძლოა მოხდეს ისე, რომ გაუქმდება უკუკავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის. მაშინ დაირღვევა მათ შორის არსებული შესაბამისობა. მაშინ წარმოებული იქნება ის, რასაც არ გააჩნია სამომხმარებლო ფასეულობა, ხოლო ის, რასაც აქვს სამომხმარებლო ფასეულობა, არ იქნება წარმოებული. ასეთ პირობებში ოპტიმიზაცია შეუძლებელია. „ყველა ეს დებულება სრულად შეესაბამება კიბერნეტიკაში კარგად ცნობილ ფაქტს - თუ არ არსებობს ჩაკეტილობა, მაშინ დინამიკური პროცესი კარგავს მდგრადობას. ... რეფლექსიის შესუსტება ამცირებს მთლიანად წარმოების ეფექტიანობას. თუ არ არის ჩაკეტილობა, მაშინ არ არის განსაზღვრულობა, და, ესე იგი, არც ოპტიმალურობა“ (Яцкевич, 1990, 83-84).

სწორედ რეფლექსია წარმოებასა და მოხმარებას შორის, ყიდვასა და გაყიდვას, მოთხოვნასა და მიწოდებას, სარგებლიანობასა და ხარჯებს შორის და ა.შ. განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკური მოღვაწეობის ყოველი მოქმედება და ფუნქცია ხდება ერთიანი სისტემის აუცილებელი ელემენტი. ისინი ხდებიან ერთი

მთლიანის განუყრელი ნაწილები. ეკონომიკის ნებისმიერ დარგს შეუძლია ფუნქციონირება მხოლოდ სხვა დარგებთან ურთიერთ-ქმედების რეჟიმში და მთლიანად დამოკიდებულია მათზე ისევე, როგორც ყველა ისინი დამოკიდებულნი არიან მასზე. მოღვაწეობის ყოველი ეკონომიკური ფუნქცია ხდება ფუნქციათა ერთიანი სისტემის აუცილებელი ნაწილი, რომლის გარეშეც დაირღვევა ეკონომიკური ორგანიზმის მთლიანობა.

4. იმის გასაგებად, თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, აუცილებელია ეკონომიკური მოვლენების და პროცესების დიალექტიკური ანალიზი. ასეთი კვლევის შედეგად ეკონომიკა წარმოგვიდგება ეკონომიკურ მოქმედებათა რთული არაწრფიული ფუნქციონალურად ჩაკეტილი სისტემის სახით. ასეთ სისტემებს გააჩნიათ მთელი რიგი თვისებები, რომლებიც კარგად არიან შესწავლილი ქაოსის თეორიის, კონსტრუქტივიზმის და მეორე რიგის კიბერნეტიკის მიერ. ეს გარემოება იძლევა იმის საშუალებას, რომ ეკონომიკური პროცესების ანალიზი განხორცი-ელდეს ინტერდისციპლინარული დისკურსის ფარგლებში, რათა გათვალისწინებულ იქნეს ხსენებული თეორიების უნიკალური მიღწევები. სოციოლოგია უკვე დიდიხანია წარმატებით იყენებს ფუნქციონალურ მიდგომას სოციალური სისტემების ანალიზი-სათვის, რომლებსაც მიეკუთვნება, აგრეთვე, ეკონომიკური სისტე-მაც. ეკონომიკის, როგორც სოციალური სისტემის, ანალიზი თ. პარსონსის და ნ. ლუმანის „მეტათეორიების“ კონტექსტში პასუხს გასცემს ეკონომიკურ თეორიაში არსებულ მრავალ კითხვაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თ. პარსონ-სის შეხედულებებს სოციალურ მოქმედებათა სისტემის თაობაზე და მ. ლუმანის იდეებს სოციალური სისტემების ფუნქციონალური ჩაკეტილობის და კაუზალური გახსნილობის, აუტოპოეზისა და თვითრეფერენციის შესახებ და სხვ. დეცენტრალიზებული ეკო-ნომიკური სისტემის ინტერდისციპლინარული ანალიზის შედე-გად მივიღებთ ეკონომიკური კატეგორიების და მათ შორის

არსებული ურთიერთკავშირების პრინციპულად ახალ ინტერპრეტაციას, ეკონომიკური წონასწორობის, ციკლური რყევების და სხვა პროცესების ახლებურ გაგებას.

5. სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის შედეგად ეკონომიკა წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა. მაგრამ, ეკონომიკური მოქმედება არ არის წმინდა ემპირიული პროცესი. ეკონომიკური მოქმედება არის ასეთი მხოლოდ იმ საზრისების და ფასეულობების მეშვეობით, რომლებიც ადამიანმა მიაწერა მათ. და რადგან საზრისების და ფასეულობების სამყოფელი არის მხოლოდ ადამიანის ცნობიერება, ამიტომ ეკონომიკაც, როგორც ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა (სპეციფიკურად მეცნიერული და არა მოარული მნიშვნელობით) არსებობს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში და წარმოადგენს ეკონომიკური საზრისების და ფასეულობების სისტემას. ხოლო ემპირიული პროცესები, რომლებიც შეესაბამება ეკონომიკურ მოქმედებებს რეალურ სინამდვილეში, თავისთავად არ წარმოადგენენ ეკონომიკურ მოქმედებებს, არამედ - მხოლოდ ბუნების კანონების თანახმად მიმდინარე კაუზალურ პროცესებს.

შესაბამისად, ცხადია, რომ თავისთავად ფაქტები არ წარმოადგენენ *ეკონომიკურ* ფაქტებს. ეს დამოკიდებულია მიზნებზე, რომლებმაც მოახდინეს მათი პროვოცირება, სუბიექტის დამოკიდებულებაზე არსებულთან და ჯერარსთან. ამიტომ ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვავენ ერთი და იგივე ობიექტურ ფაქტებს. მაგალითად, წარმოება ან მოხმარება, როგორც ასეთი, არ არსებობენ ობიექტურად. ობიექტურად არსებობენ მხოლოდ სხვადასხვა ობიექტების ერთმანეთში გარდაქმნები ბუნების კანონების საფუძველზე. მაგრამ თუ რას დაარქმევს მათ ადამიანი - წარმოებას თუ მოხმარებას, ეს დამოკიდებულია მის დამოკიდებულებაზე ამ პროცესის მიმართ. შესაბამისად, თვითონ მას დაერქმევა მწარმოებელი ან მომხმარებელი. ამაზევეა დამოკიდებული თუ რას წარმოადგენს მისთვის ესა თუ ის კონკრეტული ობიექტი -

პროდუქტს თუ რესურსს, და ისიც, თუ როგორ აღიქვამს იგი მას - როგორც განივთებულ ხარჯებს, თუ როგორც სარგებლიანობას. და ა.შ. და ა.შ. ასევე ყველა სხვა ეკონომიკური კატეგორია - ისინი არიან ფარდობითი და არსებობენ მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში.

მართალია ეკონომიკური მოღვაწეობის პროცესში ადამიანი თავისი ნებით ახდენს გარკვეული ემპირიული პროცესების პროვოცირებას, მიუხედავად ამისა, ეს პროცესები ობიექტურად არსებობენ როგორც ფაქტები. მაგრამ მისი დამოკიდებულება ამ პროცესებთან, რომლებიც განაპირობებენ ფაქტების ასეთ თუ ისეთ აღქმას, არსებობს მხოლოდ მის ცნობიერებაში და გამუდმებით იცვლება მისი მოთხოვნილებების და მიზნების ცვლილიბებთან ერთად. ამიტომ, ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვაგვარად აღიქმება სხვადასხვა ადამიანების მიერ და, ერთი და იგივე ადამიანის მიერაც კი, მისი მოთხოვნილებების და მიზნების მიხედვით. ერთი და იგივე ობიექტი ან პროცესი ასრულებს ერთდროულად სხვადასხვა ფუნქციებს, ერთდროულად იმყოფება სხვადასხვა დამოკიდებულებაში სხვადასხვა სუბიექტებთან და ობიექტებთან, ამიტომ, ერთდროულად არის, მაგალითად, პროდუქტიც და რესურსიც, ან ყიდვაც და გაყიდვაც, ექსპორტიც და იმპორტიც, სესხიც და ვალიც და ა.შ. ამ (და მხოლოდ ამ) თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პროცესები არსებობენ მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში. ეკონომიკა არის მხოლოდ მისი დამოკიდებულება ამ პროცესებთან მისი მოთხოვ-ნილებების, ჯერარსის მისეული გაგების პრიზმაში. და ამაში არ არის არავითარი მისტიკა.

ანუ მწარმოებლად, მომხმარებლად, პროდუქტად, რესურსად, საქონლად (და ა.შ.) ყოფნა არ არის ობიექტების ან სუბიექტების განუყოფელი რეალური თვისებები, არამედ ის ფუნქციები, რომელსაც ისინი ასრულებენ. შეუძლებელია პროდუქტის წარმოება, თუ არ იქნები რესურსების მომხმარებელი. ამიტომ

მწარმოებელი აგრეთვე არის მომხმარებელიც. მაგრამ იგი არის არა მარტო მწარმოებელი და მომხმარებელი, არამედ მყიდველიც და გამყიდველიც, ინვესტორიც და დამზოგველიც, გამსესხებელიც და მსესხებელიც და ა.შ. ხოლო შრომის დანაწილების პირობებში, ყოველი ამ ფუნქციის შესრულება მას შეუძლია მხოლოდ როგორც ერთ-ერთ მხარეს სხვა ეკონომიკურ სუბიექტებთან ურთიერთ-ქმედების პროცესში. ასე რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მას შეუძლია იყოს მწარმოებელი მხოლოდ იმოტომ, რომ ვიღაც სხვა არის მომხმარებელი; შეუძლია იყოს გამყიდველი - იმიტომ, რომ ვიღაც სხვა არის მყიდველი; კრედიტორი - იმიტომ, რომ ვიღაც სხვა არის დებიტორი და ა.შ. (იხ. Леиашвили, 2013).

6. მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც ამოძრავებს ეკონო-მიკურ სისტემას არის ის, რომ ყოველი ეკონომიკური სუბიექტი მოიხმარს იმას, რასაც აწარმოებს სხვა, და აწარმოებს იმას, რასაც მოიხმარს სხვა. და ესე იგი, მას სურს იყიდოს ის, რასაც აწარმოებს სხვა, და გაყიდოს ის, რასაც აწარმოებს თვითონ. ანუ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაშუალებულია სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. ამის გამო სუბიექტები თავიანთი მოქმედებებით „მიბმულნი“ არიან ერთმანეთან და შეადგენენ ერთ მთლიანობას, სისტემას, რომელშიც სრულდება სიმეტრიის კანონი: ყველაფერი რაც მოიხმარება იწარმოება, და ყველაფერი, რაც იწრამოება - მოიხმარება. ასეთ პირობებში ყოველი ეკონომიკური მოქმედება ბადებს სხვა მოქმედებას. ანუ იბადება რეკურსიული პროცესები, რომელთა წყალობითაც ეკონომიკური სისტემა ხდება ჩაკეტილი თვითაღწარმოებადი სისტემა და ემსგავსება ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც თვითონ წარმოშობს უჯრედებს, რომლისგანაც შედგება. ასეთ თვითაღწარმოებად სისტემებს ეწოდება *აუტოპოეზური* სისტემები, რომლებიც შეის-წავლება მეორე რიგის კიბერნეტიკის და კონსტრუქტივიზმის ფარგლებში.

თვითეული მოქმედება თავისი რეზულტატით ბადებს ამა თუ იმ ფორმით მასზე რეაქციის მოთხოვნილებას, რადგან ყოველი მოქმედების რეზულტატი არის საშუალება სხვა მოქმედებისათვის, ყოველი პროდუქტი არის რესურსი სხვა მოქმედებისათვის. ყოველი მოქმედების პროდუქტი ბადებს მოთხოვნილებას, რომელთან მიმართებაშიც თვითონ წარმოადგენს რესურსს, ანუ ბადებს ისეთი მოქმედების მოთხოვნილებას, რომელშიც ეს პროდუქტი იქნება მოხმარებული. მეტიც, თუ პროდუქტი ვერ შეძლებს რესურსის ფუნქციის შესრულებას, მაშინ ვერც პროდუქტად ჩაითვლება იგი. პროდუქტი იმთავითვე იქმნება როგორც რესურსი მომავალი მოქმედებებისათვის. ასე რომ, ყოველი მოქმედება თავისთავად უკვე გულისხმობს მოთხოვნილებას სხვა მოქმედებაში. და თუ იგი ვერ ნახავს თავის გაგრძელებას, მაშინ თვითონაც აღმოჩნდება ფიქტიური (იხ. Leiashvily, 2012, 2011; Леиашвили, 2011, 2013).

7. როგორც აღინიშნა, სხვადასხვა ფუნქციები, რომელსაც ასრულებენ ეკონომიკური სუბიექტები და ობიექტები, არიან ურთიერთდაკავშირებულნი, გამუდმებით იცვლებიან, ტრანსფორმირდებიან ერთმანეთში, იბადებიან და უჩინარდებიან. (დეცენტრალიზებული ეკონომიკის „სიმეტრიული მოდელი“ გვიჩვენებს ამ ტრანსფორმაციების საერთო ლოგიკას). სწორედ ისინი წარმოადგენენ იმ უხილავ „ძაფებს“, რომლებითაც ერთმანეთთან მიბმულნი არიან ყველა ეკონომიკური მოვლენა, პროცესი, ობიექტი და სუბიექტი, ქმნიან რა ერთიან სისტემას, მთლიანობას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ეკონომიკას. ამასთან, ეკონომიკის მთლიანობის უზრუნველსაყოფად სულაც არ არის მნიშვნელოვანი, თუ სახელდობრ ვინ, ან კონკრეტულად რა ახორციელებს ამა თუ იმ ფუნქციას. მთავარია, რომ ყველა ფუნქცია, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, სრულდებოდეს და, ამასთანავე, სრულდებოდეს სათანადო პროპორციებით ერთმანეთთან მიმართებაში.

ამასთან, ცალკეული აქტორები ვერ აცნობიერებენ ამ ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემას როგორც ერთ მთლიანობას. ისინი მხოლოდ ფრაგმენტალურად აღიქვავენ იმ ფუნქციებსა და როლებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული თვით მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებთან. ანუ ისინი აცნობიერებენ მხოლოდ ხსენებული სისტემის ცალკეულ ფრაგმენტებს, ხედავენ მხოლოდ იმ სუბიექტების ფუნქციებს, რომლებთანაც მათ უშუალოდ უწევთ ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება. მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ფუნქციონალური კავშირები, რომლებსაც მათი კონტრაგენტები ამყარებენ თავის კონტრაგენტებთან, ხოლო ისინი, თავის მხრივ, სხვებთან და ა.შ., რომ ყველა ეს კავშირები, საბოლოო ჯამში, იკვრება წრეში, ბრუნდება მასთან იგივე კონტრაგენტებზე გავლით და ქმნიან ფუნქციონალურად ჩაკეტილ სტრუქტურას, რომელიც სწორედ რომ არის ის „უხილავი ხელი“ საზოგადოების ქვეცნობიერებაში არსებული, რომელიც წარმართავს მათ მოქმედებებს და არეგულირებს ეკონომიკურ პროცესებს. ეკონომიკურ მოქმედებებს ახორციელებენ ადამიანები, მაგრამ ამ მოქმედებებისაკენ მათ უბიძგებს ეკონომიკურ მოქმედებათა სისტემა. და მართალია ადამიანები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებებს, და მათ მიაჩნიათ, რომ ისინი მოქმედებენ თავიანთი ნებით, თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად, მაგრამ მათი მოქმედებების ჭეშმარიტი მიზეზი დამალულია მათთვის. ისინი ვერ აცნობიერებენ იმ ფარულ ძალებს, რომლებიც აიძულებენ მათ იმოქმედონ ამა თუ იმ გვარად; ვერც იმას, რომ თვით მათ მოთხოვნილებებს ბადებს სისტემა, რომელშიც ისინი ჩართულნი არიან თავისი ეკონომიკური მოქმედებებით; ვერ ხედავენ „უხილავ ხელს“, რომელიც მართავს მათ.[157]

---

[157] ამ თვალსაზრისით, ეკონომიური აქტორები იმყოფებიან სპეციფიკურ მდგომარეობაში, რომლის შესახებაც წერდა ქართველი ფილოსოფოსი მერაბ

8. ეკონომიკურ მოქმედებებს შორის არსებობს იგივეობა, რადგან ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური მიზნის, საშუალებების და რეზულტატის ერთობლიობას. მაგრამ თავისი განსაკუთრებული თვისებებით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეკონომიკური მოქმედებები ასრულებენ განსხვავებულ ფუნქციებს ეკონომიკურ სისტემაში - წარმოების, მოხმარების, ყიდვის, გაყიდვის, ინვესტირების, დაზოგვის და ა.შ.. მოქმედებებს შორის, როგორც განსაკუთრებულ მოქმედებებს შორის, არსებობს სპეციფიკური ურთიერთკავშირები. ეს კავშირები განპირობებულია სწორედ იმ ფუნქციებით, რომლებიც განაპირობებენ მათ განსაკუთრებულობას, მათ განსხვავებებს ერთმანეთისაგან. სწორედ ამ სპეციფიკური კავშირების მეშვეობით, დიალექტიკური კანონების თანახმად, ეკონომიკური მოქმედებები ბადებენ ერთმანეთს, ორგანიზდებიან გარკვეულ სტრუქტურებად და არა მოქმედებების ამორფულ სიმრავლედ. ყოველი მათგანი მხოლოდ დროებით აღმოცენდება და სამუდამოდ გაუჩინარდება. აქ ყველაფერი ცვალებადია. უცვლელია მხოლოდ მოქმედებებს შორის ფუნქციონალური კავშირები, რომლებიც ქმნიან ჩაკეტილ სტრუქტურას. ასეთი შიდასისტემური კავშირების დიალექტიკის მეშვეობით ეკონომიკური მოქმედებები ქმნიან რთულ ჩაკეტილ სტრუქტურირებულ სისტემას, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი

მამარდაშვილი: „... წარმოიდგინეთ, რომ თქვენ აკვირდებით მზის ამოსვლას და ჩასვლას ჰორიზონტზე, მაშინ როდესაც დედამიწის მოძრაობა მონაწილეობს ჩვენს ყველა აღქმაში, წარმოადგენს მათში უხილავ უნივერსალურ ელემენტს. და ჩვენ ვხედავთ არა დედამიწის მოძრაობას, არამედ მზის მოძრაობას. ამ შემთხვევაში არის თუ არა ჩვენი აღქმის საგანი დედამიწის მოძრაობა, რომელიც მონაწილეობს იმაში, რომ ჩვენი შეგრძნებები არის ისეთი, როგორიც არის? არა, არ არის, რადგან ჩვენ ხომ შევიგრძნობთ მხოლოდ მზის მოძრაობას. ... ჩვენი აზრები და წარმოდგენები შეიძლება იბადებოდნენ არა ჩვენს მიერ, არამედ რაღაც ძალის მიერ, რომელიც გვიგზავნის ჩვენ იმას, რასაც ჩვენ თითქოსდა განვიცდიდით. სწორედ ამას ეწოდება „სულიერი მარიონეტების სიტუაცია“, რომლებიც გარეგნულად გამოიყურებიან თითქოს ისინი აცნობიერებენ და გრძნობენ, ხოლო სინამდვილეში ისინი იმართებიან რაღაც სხვა ძალით“ (Мамардашвили, 2002, 232.).

ისეთი თვისებები, რომლებსაც ნიკლას ლუმანი მიიჩნევს საერთოდ სოციალური სისტემების მახასიათებლებად: თვითრეფერენცია და გარერეფერენცია, ოპერაციონალური ჩაკეტილობა და კაუზალური გახსნილობა, საკუთრივი მნიშვნელობები და საკუთრივი ქცევა, წონასწორობა და მდგრადობა, აუტოპოეზისი და თვითრეგულირება და სხვ.

ფუნქციის რეალური არსებობა შეუძლებელია კონკრეტული მოქმედების გარეშე, ისევე როგორც მოქმედება არის შეუძლებელი, თუ იგი არ ასრულებს რაიმე კონკრეტულ ფუნქციას. ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემაში შიდასისტემური ფუნქციები დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე. ამიტომ ნებისმიერი ფუნქცია შესრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება ყველა დანარჩენი ფუნქცია. რადგან ფუნქცია წარმოადგენს სისტემის სხვადასხვა პარამეტრებსა და მოქმედებებს შორის კავშირის ფორმას, ამიტომ, თავისი ფუნქციის მეშვეობით ყოველი მოქმედება ბადებს სხვა მოქმედებას. მაგრამ იგი ბადებს არა უბრალოდ სხვა მოქმედებას, არამედ „თავის სხვა“ მოქმედებას, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის მისი *იდენტური* მოქმედება (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იქნებოდა არა ამ სისტემის ელემენტი, არამედ მისი გარემოს ნაწილი) და, ამასთან, *განსხვავდება* მისი წარმომშობი მოქმედებისაგან იმ ფუნქციით, რომელსაც იგი ასრულებს სისტემაში.

მოქმედება გულისხმობს კონკრეტულ კაუზალურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ დროში და სივრცეში. და რადგან დრო შეუქცევადია, ამიტომ ნებისმიერი კონკრეტული მოქმედება შესრულდება ერთხელ, და სამუდამოდ გაუჩინარდება. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ფუნქციის არსებობა სისტემაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებები, რომელთა მეშვეობითაც ეს ფუნქცია ინარჩუნებს თავის არსებობას, უწყვეტ რეჟიმში ენაცვლება ერთმანეთს ისე, რომ სისტემა არ განიცდის დისფუნქციას. ამასთან, ნებისმიერი მოქმედების ფუნქ-

ცია გულისხმობს, რომ ამ მოქმედების შედეგები ხდება მომდევნო მოქმედებების მიზეზი. მეტიც, ამა თუ იმ მოქმედების ფუნქცია განაპირობებს იმას, თუ კონკრეტულად რომელი ახალი მოქმედება იქნება გენერირებული მისი მეშვეობთ და, შესაბამისად, კონკრეტულად რომელ ახალ ფუნქციას შეასრულებს ახალი მოქმედება.

გამოდის რომ მოქმედებათა თანმიმდევრობა განაპირობებს მათ მიერ შესრულებული ფუნქციების თანმიმდევრობას, ხოლო ამ ფუნქციების თანმიმდევრობა - მოქმედებების თანმიმდევრობას. შედეგად ვიღებთ ეკონომიკური მოქმედებების ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემას, რომელიც ბადებს მოქმედებებს, რომლისგანაც თვითონ შედგება და ახდენს ამ ფუნქციონალური ჩაკეტილობის პერმანენტულ აღწარმოებას. ამასთან, რადგან ყოველი მოქმედება გულისხმობს დროში შეუქცევად კაუზალურ პროცესებს, რომლებიც განიცდიან სისტემის გარემოს გავლენებს და თვითონაც ახდენენ გავლენას გარემოზე, ამიტომ სისტემა არის კაუზალურად გახსნილი. ანუ სისტემა არის ერთდროულად ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი. ეს წარმოადგენს სისტემის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელ პირობას. ფუნქციონალური ჩაკეტილობა განაპირობებს სისტემის თვითრეგულირების უნარს და პერმანენტულ სწრაფვას წონასწორობისაკენ, რაც არის სისტემის მთლიანობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა. ხოლო კაუზალური გახსნილობა გულისხმობს გარე ფაქტორების გავლენას სისტემაზე და მისი წონასწორობის დარღვევას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა სისტემის განვითარება.

9. „სიმეტრიული მოდელის“ საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და მთლიანად სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი ეხმიანება ფრანგი სტრუქტურალისტების მრავალ იდეას.[158] ისნი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სტრუქ-

[158] სტრუქტურალიზმი, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება ჰუმანიტარულ დარგებში, დაიბადა XX საუკუნის 20-ან წლებში ლინგვისტიკაში,

ტურის ცნება ხასიათდება არა მხოლოდ მდგრადი თანაფარდობით სისტემის ელემენტებს შორის, არამედ ხასიათდება აგრეთვე ისეთი წესების ერთობლიობით, რომელთა საშუალებითაც, ელემენტების გადაადგილებით და ზოგიერთი სხვა სიმეტრიული გარდაქმნებით, ერთი ობიექტიდან შეიძლება იქნეს მიღებული მეორე, მესამე, და ა.შ. ობიექტთა გარკვეული სიმრავლის ერთიანი სტრუქტურული კანონზომიერების მისაღებად საჭიროა ამ ობიექტებს შორის არსებული განსხვავებები აღვწეროთ როგორც ერთიანი აბსტრაქტული ინვარიანტის კონკრეტული, ერთმანეთში ტრანსფორმირებადი, ვარიანტები. ამასთან, ყურადღება უნდა იქნეს აქცენტირებული არა შესასწავლი ობიექტების ბუნებრივ თვისებებზე, არამედ ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე და ამ ურთიერთობების წყალობით შეძენილ მათ სისტემურ თვისებებზე. ამ პრინციპს სტრუქტურალისტებმა უწოდეს „სტრუქტურის *ურთიერთკავშირების* მეთოდოლოგიური პრიმატი მის *ელემენტებთან* შედარებით“ (იხ.: Автономова, 1977).

სტრუქტურალიზმის თანახმად ნიშნების, სიტყვების, სახეების, სიმბოლოების შეგნებული მანიპულირების მიღმა შეიძლება აღმოვაჩინოთ სიღრმისეული გაუცნობიერებელი სტრუქტურები, ნიშანთა სისტემების ფარული მექანიზმები. სწორედ არაცნობიერის ასეთი სტრუქტურების შესწავლა უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის ობიექტურობას. ეს ფარული კანონზომიერებები, რომლებსაც ქვეცნობიერად ემორჩილება ადამიანი, შეესაბამებიან კულტურის სიღრმისეულ შრეებს. სწორედ მათ მიერ არის გაშუალებული ურთიერთკავშირები ადამიანის ცნობიერებასა და

შემდეგ გავრცელდა ცოდნის სხვადასხვა სფეროზე. მაგრამ ფართო გაგებით, სტრუქტურალიზმი გულისხმობს მეცნიერული და ფილოსოფიური იდეების კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია სტრუქტურული მეთოდების გამოყენებასთან და რომლებმაც განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვეს საფრანგეთში 60-იან წლებში. სტრუქტურალიზმის წარმომადგენლები არიან კ. ლევი-სტროსი, მ. ფუკო, ჟ. დერიდა, ლ. ალტიუსერი და სხვ.

სამყაროს შორის. ადამიანის ცნობიერებაში და თვითცნობიერებაში, რომელშიც იგნორირებულია ამ არაცნობიერი სტრუქტურებით გაშუალების ფაქტი, იბადება ილუზია, თითქოს ადამიანის „Ego“ სრულიად დამოუკიდებელია თავის მოღვაწეობაში გარე სამყაროსგან.

გარკვეული აზრით ზემოთქმული მართებულია ეკონომიკურ სისტემებთან დაკავშირებითაც. „სიმეტრიული მოდელი“ სწორედაც ასახავს საზოგადოების არაცნობიერის სტრუქტურებს, ეკონომიკურ მოქმედებებს შორის არსებულ გაუცნობიერებელი ურთიერთკავშირების სიღრმისეულ შრეებს, რომლებიც არ ჩანან ეკონომიკური მოვლენების ქაოსის მიღმა, მაგრამ რომლებიც განაპირობებენ ამ მოქმედებებს. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცალკეული სუბიექტი ვერ აცნობიერებს იმას, რომ მისი წარმოება და მოხმარება არის საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების ნაწილი. იგი საერთოდ არ აღიქვავს საკუთარ თავს რაიმე მთლიანობის ნაწილად. ასეთ მთლიანობად იგი მიიჩნევს საკუთარ თავს, როგორც თავისი მოთხოვნილებების, მიზნების, წარმოდგენების, ფასეულობების, შესაძლებლობების და ოცნებების ერთიან სუბიექტურ სამყაროს. შესაბამისად, როგორც მთლიანობას, იგი აღიქვავს ეკონომიკურ სივრცეს მხოლოდ თავისი სუბიექტური ჰორიზონტის ფარგლებში, რომელშიც ვრცელდება მისი ნება, მისი ფასეულობები, და რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილებები, შეაჯეროს თავისი მოთხოვნილებები თავის შესაძლებლობებთან და განსაზღვროს თავისი მოქმედებების ეკონომიკური ლოგიკა. ამასთან, იგი, რა თქმა უნდა აცნობიერებს სხვა ეკონომიკური სუბიექტების არსებობას, რადგან მათთან ამყარებს ეკონომიკურ ურთიერთობებს. მაგრამ იგი ვერ აცნობიერებს იმ მთლიანობას, რომელიც განაპირობებს როგორც მის, ასევე ამ სუბიექტების მოქმედებებს; რომელიც აფორმირებს მთლიანად საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების მასშტაბებს და სტრუქტურას, შესაბამისად, საბაზრო მოთხოვნას და მიწოდებას,

საბაზრო ფასებს პროდუქტებზე და რესურსებზე და, შესაბამისად, მის შემოსავალ-გასავალს, მის ცხოვრების დონეს და ა.შ. ყველაფერ იმას, რაც განპირობებულია ამ მთლიანობის ფუნქციონირებით იგი ვერ აცნობიერებს, და ამიტომ ყველა ეს პროცესი მისთვის ასოცირდება „უხილავ ხელთან“, მისთვის უცნობი ძალების მოქმედებასთან.

იმის გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა, შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური მოღვაწეობის არსის შეცნობით, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მისი, როგორც მთლიანობის შეცნობის შემთხვევაში. როდესაც სოციუმის ეს არაცნობიერი სტრუქტურები იქნება შესწავლილი, ადამიანს გაუჩნდება შესაძლებლობა შეგნებულად და თავისი ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს ამ სტრუქტურების გათვალისწინებით და არ იყოს იძულებული ბრმად დაემორჩილოს მათ როგორც შეუცნობელ და იდუმალ ძალებს. ჯერ კიდევ სოკრატე ამტკიცებდა, რომ ადამიანის ბატონობა ბუნებაზე ეფუძნება ბუნების კანონებისადმი მორჩილებას. ამავე პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის „ბატონობა“ საბაზრო ეკონომიკის სტიქიურ პროცესებზე, და მაშინ საბაზრო ეკონომიკა გახდება უკვე რეგულირებადი ეკონომიკა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ამ კანონების ცოდნა.

10. „სიმეტრიულ მოდელში“, ისევე როგორც პიერო სრაფას მოდელში, ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც „საქონლის მეშვეობით საქონლის წარმოების“ წრიული პროცესი (იხ. Сраффа, 1999). ამ თვალსაზრისით ეს მოდელი, ისევე როგორც პ. სრაფას მოდელი, არის ნეოკლასიკური მოდელის საპირისპირო. რადგან ნეოკლასიკურ მოდელში ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც ცალმხრივი პროცესი, მიმართული წარმოების ფაქტორებიდან საბოლოო პროდუქტებისკენ.[159] აქ იგნორირებულია პირველადი რესურსების

[159] „ცხადია, წარმოების და მოხმარების სისტემის, როგორც წრიული პროცესის, აღწერის ტრადიცია იწყება კენეს „ეკონომიკური ტაბულიდან“, და ეს ქმნის საოცარ

აღწარმოების პროცესი. ამასთანავე, „სიმეტრიულ მოდელში“, ისევე როგორც ლ. ვალრასის მოდელში, და განსხვავებით პ. სრაფას მოდელისაგან, მკვეთრად გამიჯნულია წარმოების ფაქტორები მათ მიერ გაწეული მომსახურებისაგან.

პროდუქტების წარმოებისათვის მწარმოებლებს სჭირდებათ არა წარმოების ფაქტორები, არამედ მათი მომსახურებით დროებით სარგებლობის უფლება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ უფლებებს მიღებული აქვთ საქონლის ფორმა, და მათი გაყიდვა შეუძლიათ მხოლოდ წარმოების ფაქტორების მფლობელებს. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკაში პირველადი რესუსრების აღწარმოება დაყვანილია წარმოების ფაქტორებზე საკუთრების უფლების აღწარმოებაზე და, ესე იგი, მათი მესაკუთრეთა სიცოცხლის აღწარმოებაზე. შესაბამისად, პირველადი რესურსების აღწარმოების ხარჯები დაიყვანება საბოლოო პროდუქტების ხარჯებზე, რაც აუცილებელია ფაქტორების მესაკუთრეთა სიცოცხლის (და არა თვითონ ფაქტორების) აღწარმოებისათვის. ასეთი ინტერპრეტაციის საფუძველზე შექმნილი „სიმეტრიული მოდელი“ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ნაწილდება ეროვნული შემოსავალი წარმოების ფაქტორებზე იმ წვლილის მიხედვით, რომელიც, თავისი მომსახურებით, მათ შეიტანეს ეროვნული შემოსავლის შექმნაში.

როგორც „სიმეტრიული მოდელიდან“ ჩანს, წონასწორობის პირობებში, ნებისმიერ დარგში წარმოებული საქონლის ღირებულება, რომელიც მოიხმარება სხვა დარგებში, უდრის სხვა დარგებში წარმოებული საქონლის საერთო ღირებულებას, რომელიც მოიხმარება ხსენებულ დარგში. ხოლო მაკროდონეზე მთლიანი მოგება, დანაზოგები, ინვესტიციები და ვალად მოხმარება ერთმა-

---

კონტრასტს თანამედროვე თეორიის მიერ წარმოდგენილ შეხედულებასთან - ცალმხრივ მოძრაობასთან, რომელსაც ‘წარმოების ფაქტორებიდან’ მივყავართ ‘სამომხმარებლო საქონელამდე’ “ (Сраффа, 1999, 134).

ნეთის ტოლია. ამას შეიძლება ეწოდოს საერთო ეკონომიკური წონასწორობის „რკინის კანონი“, რომელიც ისევე ნათლად ახდენს ყველგან მყოფი სიმეტრიის დემონსტრირებას, როგორც ყოფიერების ყველა სხვა ფუნდამენტური კანონები. ამ კანონის წყალობით ხდება იმ ურთიერთსაპირისპირო სასაქონლო და ფულადი ნაკადების სათანადო პროპორციების ფორმიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ორგანიზმის მთლიანობას. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს კანონი იძლევა იმის ახსნას, თუ როგორ ნაწილდება რაიმე პროდუქტის ღირებულება იმ წარმოების ფაქტორებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ მის შექმნაში.

11. საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მექანიზმი განაპირობებს ეროვნული შემოსავლების განაწილებას წარმოების ფაქტორებს შორის (მათ მიერ გაწეული მომსახურების მიხედვით), და არა მათ მესაკუთრეებს შორის. ხოლო მესაკუთრეებს შორის შემოსავლების განაწილება დამოკიდებულია თვითონ წარმოების ფაქტორების განაწილებაზე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, რაც წარმოადგენს პრობლემას, რომელიც სცილდება მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების კომპეტენციას. [160]

რეალურ პირობებში სხვადასხვა მესაკუთრეები ერთდროულად ფლობენ სახვადასხვა წარმოების ფაქტორებს, და მეწარმეებსაც შეუძლიათ ერთდროულად სხვადასხვა პროდუქტების წარმოება. ეკონომიკურ სუბიექტებს შორის წარმოების სფეროების და წარმოების ფაქტორების განაწილება შეიძლება იყოს მრავალნაირი. მაგრამ აბსტრაქციის იმ დონეზე, რომელსაც გულისხმობს „სიმეტრიული მოდელი“, მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ

---

[160] წარმოების ფაქტორების განაწილება დამოკიდებულია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ აგრეთვე სოციალურ, პოლიტიკურ, იურიდიულ, ზნეობრივ და სხვა ფაქტორებზე. კერძოდ, ბრძოლა დეფიციტური წარმოების ფაქტორების (სამუშაო ძალის, მიწის თუ კაპიტალის) მითვისებისათვის ყოველთვის იყო პოლიტიკური ინტერესების ეპიცენტრში და დიდწილად განსაზღვრავდა ისტორიული განვითარების პროცესებს.

პროდუქტების რა წილი ერგებათ წარმოების სხვადასხვა ფაქტორებს (წარმოებაში შეტანილი წვლილის მიხედვით) მიუხედავად იმისა, თუ როგორ არის განაწილებული სუბიექტებს შორის თვითონ ფაქტორები ან წარმოების სფეროები. წმინდა თეორიული თვალსაზრისით, ეკონომიური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის არა აქვს მნიშვნელობა სხვისი თუ საკუთარი ფაქტორების მომსახურებას ანაზღაურებს მწარმოებელი; სხვას თუ საკუთარ თავს უნაზღაურებს ფაქტორების მომსახურების საფასურს. ეს თითქოსდა პრობლემის „იურიდიული“ ასპექტია, რომელსაც არ ითვალისწინებს ეკონომიური მოდელი. ამიტომ ის, რასაც ასახავს ეს მოდელი, არ ჩანს სუბიეტებს შორის ურთიერთქმედებების და მათი ინტერესების გარეგნული გამოვლინებების მიღმა. აქ განიხილება მხოლოდ სასაქონლო და ფულადი ნაკადების ურთიერთსაპირისპირო მოძრაობა, რომლებიც ქმნიან ჩაკეტილ კონტურს და რომელიც მთლიანად განპირობებულია ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ფუნქციების წრიული ორგანიზებით.

საბოლოო პროდუქტების განაწილება წარმოების ფაქტორებს შორის წარმოებაში შეტანილი წვლილის მიხედვით არის წმინდა „ტექნიკური“ პრობლება, რომელსაც წყვეტს თვითონ სისტემა და რომელიც დამოკიდებულია რესურსების დეფიციტურობაზე, ტექნოლოგიურ და სამომხმარებლო კოეფიციენტების სიდიდეზე, რისკისადმი და დაზოგვისადმი მიდრეკილებაზე. „სიმეტრიული მოდელი“ ასახავს როგორც რესურსების განაწილების ლოგიკას, ასევე, პროდუქტების განაწილების ლოგიკას. ანუ, განაწილების პრობლემა, რომლის ახსნაც ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის საფუძველზე სამართლიანად გახდა მწვავე კრიტიკის საგანი, ორგანულად ნახულობს ახსნას „სიმეტრიული მოდელის“ ფარგლებში.

12. ეკონომიკური პროცესების არსის არცოდნით არის გამოწვეული ის, რომ ნეოკლასიკური თეორია, მართალია, აფიქსი-

რებს კავშირს დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის, მაგრამ ვერ აცნობიერებს ურთიერთკავშირს დანაზოგებსა და მოგებას შორის, ასევე, ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას შორის. აქედან გამომდინარე, იგი ვერ აცნობიერებს კავშირებს ყველა ამ ზემოხსენებულ კატეგორიას შორის (დანაზოგებს, მოგებას, ინვესტიციებსა და ვალად მოხმარებას შორის), რომლებიც არსებობენ ჩაკეტილ ეკონომიკურ სისტემაში. მაგრამ ამის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება, თუ როგორ ხდება აღწარმოება, როგორ ფორმირდება საერთო ეკონომიკური წონასწორობა, როგორ იბადება ეკონომიკური ციკლი (See: Leiashvily, 2011, 2012). მაგრამ მიზეზი იმისა, რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირები დღემდე შეუსწავლელია, იმალება მეცნიერული ანალიზის მეთოდოლოგიის სიღრმეებში, ნეოკლასიკური თეორიის კვლევის მეთოდებში.

13. ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის თვითრეგულირებას, და რომელსაც ადამ სმითის დროიდან მოყოლებული ორ საუკუნეზე მეტია უშედეგოდ იკვლევს ეკონომიკური თეორია, აღმოჩნდა საკმაოდ მარტივი. ეს არის რეკურსიული ოპერაციები ფუნქციონალურად ჩაკეტილ სისტემაში, ანუ ის, რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია რთული არაწრფიული სისტემებისათვის. საბაზრო ეკონომიკა არის რთული არაწრფიული დინამიკური ოპერაციონალურად ჩაკეტილი სისტემა, რომელშიც თვითორგანიზება ხორციელდება რეკურსიული პროცესების მეშვეობით - საქონელი იქმნება საქონლით, ფასები ყალიბდება ფასების საფუძველზე, მოქმედებები ბადებენ მოქმედებებს, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბადებს ახალ მოთხოვნილებებს და ა.შ. ასეთი რეკურსიული პროცესები ეკონომიკურ სისტემაში, ისევე როგორც სხვა რთულ არაწრფიულ დინამიკურ სისტემებში, ბადებენ „საკუთრივ მნიშვნელობებს“, „საკუთრივ შეფასებებს“, „საკუთრივ ქცევას“, „საკუთრივ ფუნქციებს“, „საკუთრივ ალგორითმენს“. სისტემა გამუდმებით ისწრაფვის მათი რეალიზაციისაკენ, მაგრამ გარე ფაქტორების და

შიდა ფლუქტუაციების გავლენით, სისტემა გამუდმებით გადაიხრება მათგან, რის შედეგადაც ისინი დაფარულნი არიან გარეშე დამკვირვებლისათვის. სწორედ ასეთ „საკუთრივ მნიშვნელობებს“ წარმოადგენენ წონასწორული ფასები; „საკუთრივ ქცევას“ წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის რყევები „საკუთრივი ალგორითმის“ თანახმად.

მრავალი სხვა რთული სისტემის მსგავსად საბაზრო ეკონომიკა ერთდროულად არის ფუნქციონალურად ჩაკეტილი და კაუზალურად გახსნილი, რაც არის აუცილებელი მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, იგი ერთდროულად ისწრაფვის წონასწორობისაკენ სისტემის შიგნით (შიდასისტემურ პროცესებს შორის), და წონასწორობის დარღვევისაკენ თავის გარემოსთან მიმართებაში.[161] ფუნქციონალური ჩაკეტილობა არის სისტემის თვითრეგულირების და წონასწორობისაკენ გამუდმებული სწრაფვის პირობა და აუცილებელია მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად. კაუზალური გახსნილობა განაპირობებს გაუწონასწორებლობას გარემოსთან მიმართებაში, რაც არის სისტემის განვითარების აუცილებელი პირობა. ამიტომ მას გააჩნია გომეოსტაზის უნარი და ამასთან, განვითარებისა და გარემოსთან ადაპტირების უნარიც. ანუ შეუძლია დინამიკური წონასწორობის შენარჩუნება.

14. ეკვივალენტურ გაცვლაზე დაფუძნებულ საბაზრო მექანიზმის მეშვეობით „სიმეტრიულ მოდელში“ ასახული ნაკადები ახდენენ თვითორგანიზებას და ქმნიან სიმეტრიულ სტრუქტურას. ამ მექანიზმის თანახმად სუბიექტების ურთიერთსაპირისპიროდ

---

[161] ამასთან, სისტემს შიგნით წონასწორობა პერმანენტულად ირღვევა გარემოს ზემოქმედების გამო, ხოლო გარემოსთან წონასწორობის აღდგენა პერმანენტულად ხდება სისტემის თვითრეგულირების, გომეოსტაზის უნარის მეშვეობით. ამიტომ სისტემა ყოველთვის იმყოფება წონასწორობისკენ, და მისი დარღვევისკენ მიმართული ურთიერთსაპირისპირო, ცვალებადი ტენდენციების, და მათი გამომწვევი ძალების ზეგავლენის ქვეშ, რაც განაპირობებს სისტემის ევოლუციის რთულ ტრაექტორიას.

მიმართული ინტერესები და მათი შესატყვისი სასაქონლო და ფულადი ნაკადები აბალანსებენ ერთმანეთს ღირებულების საფუძველზე. ერთმანეთს აბალანსებენ წარმოება და მოხმარება, მოთხოვნა და მიწოდება, ინვესტირება და ვალად მოხმარება, მოგება და დაზოგვა და ა.შ., ხოლო ყველა ერთად შესაბამისობაში მოდიან ერთმანეთთან ერთიანი სისტემის ფარგლებში. წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში ირღვევა ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული ღირებულებითი ნაკადების სიმეტრია. შესაბამისად, ურთიერთდაბალანსებული ეკონომიკური ძალების ერთიან სისტემაში იბადება დისბალანსი. ძალთა საერთო ვექტორი მიმართულია წონასწორობის აღდგენაზე. ფულის და საქონლის ურთიერთსაპირისპირო ნაკადების გაწონასწორება წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების კანალიზაციის მექანიზმს, რომელიც გარკვეულ საზღვრებში აკავებს მათ ფლუქტუაციებს. ამ ბალანსირების მექანიზმის მეშვეობით ხდება ეკონომიკური ნაკადების ფლუქტუაციების იმ ფარგლებში მომწყვდევა, რომლებიც ეკონომიკურ სისტემის მთლიანობას არ უქმნიან დაშლის საფრთხეს.

რეკურსიულ პროცესებს ეკონომიკიური სისტემა მიჰყავთ წონასწორული მდგომარეობისკენ. დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკაში ადგილი აქვს ურთიერთსაპირისპირო მიმართულების სასაქონლო და საფინანსო ნაკადებს, რომლებიც აწონასწორებენ ერთმანეთს და ქმნიან ჩაკეტილ კონტურს. ეს შემხვედრი ნაკადები ქნმნიან სისტემას, რომელიც ხასიათდება სიმეტრიით. წონასწორული მდგომარეობა არის სიმეტრიის მდგომარეობა. თვითორგანიზება გულისხმობს ეკონომიკური სისტემის უნარს საკუთარ თავში შექმნას შინაგანი ჰარმონია და სიმეტრია, და ამით უზრუნველყოს სისტემის მთლიანობას. ასეთ მდგომარეობაში სისტემის ელემენტები წარმოადგენენ ერთი მთლიანის აუცილებელ ნაწილებს. მთლიანის არც ერთი ნაწილი არ არის შემთხვევითი ან ზედმეტი. აქ ზუსტად არის დაცული ყველა პროპორცია, ადგილი არა აქვს არც დეფიციტს, არც სიჭარბეს.

15. ეკონომიკა, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოება, ვითარდება მარტივიდან რთულისაკენ, თვით შიდასისტემური პროცესების ლოგიკის თანახმად განიცდის ევოლუციას გარკვეული მიმართულებით და თითქოსდა მიემართება რაღაც გლობალური, ისტორიულად განპირობებული მიზნისაკენ, თუმცა არავის შეგნებულად ეს მიზანი არ დაუსახავს. სისტემის ასეთი მოძრაობა გარკვეული მდგომარეობისაკენ არის სისტემის შინაგანი მიზანდასახულობა, რომელიც დეტერმინირებულია თვით ამ სისტემის ბუნებით. ამასთან, ეს მოძრაობა მარტივიდან რთულისაკენ არ ხდება სწორხაზოვანი ტრაექტორიით. ეს უფრო არის საერთო ტენდენცია, რომელიც ვლინდება ციკლისებური მერყეობის ფონზე წესრიგსა და ქაოსს შორის, სისტემის წონასწორობასა და უწონასწორობას შორის, პროცესების აჩქარებასა და შენელებას შორის, ექსპანსიასა და დეპრესიას შორის. [162]

ეს თითქოსდა სახეზეა სისტემის ევოლუცია ცდისა და შეცდომების გზით. სისტემის ელემენტებს შორის არსებობენ როგორც აუცილებელი, მეტ-ნაკლებად მყარი, ასევე შემთხვევითი, დროებითი კავშირები. ციკლური მერყეობის პროცესში ხდება ექსპანსიის ფაზაში შემთხვევით აღმოცენებული იმ შიდასისტემური კავშირების, სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებების შენარჩუნება, რომლებიც შეესაბამება სისტემის განვითარების

---

[162] „პროცესების ინტენსიობის ზრდისა და ვარდნის ციკლები, ნაწილებად დაშლისა და მათი გაერთიანების ციკლები შეადგენენ არაწრფიული პროცესების შინაგან კანონზომიერებას, ისინი ჩადებულია თვით პროცესების არაწრფიულობაში. ნებისმიერი რთული ორგანიზაცია მაქსიმალური, კულმინაციური განვითარების (პროცესების გამწვავების) მომენტთან სიახლოვეში ახდენს მცირე აღშფოთებებისადმი შინაგანი არამდგრადობის დემონსტრირებას, იმყოფება დაშლის საფრთხის ქვეშ. ... ამგვარად, არაწრფიული სისტემების ქცევის ფუნდამენტური პრინციპია - ევოლუციის და ინვოლუციის, გაფართოვების და შეკვეცის, აქტიობის აფეთქების, პროცესების ინტენსიობის ზრდის და მათი დაცხრომის, შესუსტების, ცენტრთან მიახლოვების, ინტეგრირების და დეზინტეგრირების, თუნდაც ნაწილობრივი დაშლის სტადიების პერიოდული მონაცვლეობა. და აქ არსებობს ღრმა ანალოგები ისტორიულ ფაქტებთან ... .“ (ред. Михайлов, 2008, 35.)

გლობალურ ტენდენციას და აუცილებელია ევოლუციის გლობალური მიზნისაკენ მოძრაობისათვის. ხოლო დანარჩენი, შემთხვევით წარმოშობილი კავშირები, არასიცოცხლისუნარიანი სტრუქტურები და ფუნქციები, ნადგურდება რეცესიის ფაზაში. ასეთი აღმასვლისა და ვარდნის მონაცვლეობის შედეგად, პიკსა და კრიზისებს შორის მერყეობის გზით სისტემა თანდათან ხდება უფრო სრულყოფილი, რთული და თვითორგანიზებადი.

16. ეკონომიკის აღმასვლა და ვარდნა არის ეკონომიკური პროცესების თვითაღგზნება და თვითდამუხრუჭება ეკონომიკური ციკლის შემობრუნების წერტილებს შორის, პიკსა და ფსკერს შორის. წარმოების გაფართოვება ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ხოლო შემოსავლების ზრდა - წარმოების გაფართოვებას. პირიქით ხდება ეკონომიკური ვარდნის დროს. წარმოების შემცირება განაპირობებს შემოსავლების შემცირებას, ხოლო შემოსავლების შემცირება - წარმოების შემცირებას. ექსპანსია და რეცესია თვითონ „კვებავენ“ თავიანთ თავს და ინარჩუნებენ საკუთარ ტენდენციას იქამდე, სანამ არ მიაღწევენ ეკონომიკური ციკლის უკიდურეს წერტილებს. წარმოების ზრდა ხელს უწყობს ფარდობითი ფასების შემცირებას საბოლოო პროდუქტებზე, და მათ ზრდას - პირველად რესურსებზე. წარმოების შემცირება, პირიქით, ხელს უწყობს ფარდობითი ფასების ზრდას პროდუქტებზე, და მათ შემცირებას - რესურსებზე. როდესაც ამ პროცესებით გამოწვეული განსხვავება მთლიან მოგებასა და მთლიან დანაზოგებს შორის მიაღწევს კულმინაციას, ხდება წარმოებისადამი და მოხმარებისადმი მიდრეკილების ცვლილებები. იცვლება ეკონომიკური ციკლის ფაზა და პროცესები გრძელდება თვითაღგზნების ან თვითდამუხრუჭების რეჟიმში იქამდე, სანამ არ იქნება მიღწეული მორიგი შემობრუნების წერტილი. ამრიგად, ეკონომიკური აქტივობის პერიოდული ვარდნა განპირობებულია ეკონომიკური ციკლით, რომელსაც აქვს ენდოგენური ხასიათი.

მაგრამ, კრიზისები შეიძლება გამოიწვიონ აგრეთვე გარე ფაქტორებმაც, როგორიცაა სტიქიური უბედურებები, სოციალური კატაკლიზმები, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ. თუ ამ ფაქტორების გავლენით ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობიდან გადახრა გაიყვანს სისტემას მდგრადობის ზღურბლს მიღმა, მაშინ კრიზისი შეიძლება განვითარდეს განსხვავებული „სცენარით“. ასეთ კრიზისებს გააჩნიათ მთლიანად ეგზოგენური ხასიათი და აღარ წარმოადგენენ ენდოგენური ციკლის მორიგ ფაზას. ასეთ კრიზისებს შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიოს დიდი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები. ასეთი კრიზისები წარმოადგენენ უკვე არა წონასწორული მდგომარეობიდან გადახრას, არამედ თვითონ წარმოადგენენ ახალ წონასწორულ მდგომარეობას ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი ვარდნის პირობებში. სრული დასაქმების პირობებში მიღწეული წონასწორობისაგან განსხვავებით, რომელიც არის არამდგრადი, ღრმა კრიზისის პირობებში ჩამოყალიბებული წონასწორობა ხასიათდება მდგრადობით. ამიტომ ასეთი კრიზისებიდან თავის დაღწევა არის რთული და ხანგრძლივი. [163]

ეკონომიკა იმყოფება წონასწორობაში და ეკონომიკური ნაკადები დაბალანსებულია როგორც სრული დასაქმების პირობებში, ისე ღრმა კრიზისების დროს. პირველ შემთხვევაში აქტივობა მაღალია მოწესრიგებული ეკონომიკური კავშირების გამო, მაგრამ წონასწორობა არამდგრადია. მეორე შენთხვევაში,

---

[163] გაუთავებელი კამათი კეინზიანელებსა და მონეტარისტებს შორის ბაზრის თვითრეგულირების უნარის თაობაზე დიდწილად გამოწვეულია იმით, რომ კეინზიანელები გულისხმობენ კრიზისებს, რომლებიც ფიქსირდებიან წონასწორობის პირობებში, ხოლო მონეტარისტები გულისხმობენ კრიზისებს, როგორც ეკონომიკური წონასწორობიდან გადახრას. ანუ ისინი კამათობენ ორ სხვადასხვა მოვლენაზე, რომელთაგანაც ორივეს ადგილი აქვს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში. მსგავსი პროცესები დამახასიათებელია რთული არაწრფიული სისტემებისათვის და შესწავლილია რთული სისტემების თეორიაში.

პირიქით, წონასწორობა მდგრადია, მაგრამ აქტივობა დაბალია ქაოტური ეკონომიკური კავშირების გამო.

17. სოციოლოგი თალკოტ პარსონსი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას გააჩნია უფრო ხანგრძლივი ისტორია და უფრო განვითარებულია, ვიდრე სოციოლოგია და ამიტომ, სოციოლოგიამ უნდა შეითვისოს ეკონომიკური მეცნიერებიდან ის, რაც არის ღირებული. იგი შეეცადა ამის გაკეთებას და შექმნა სოციალურ მოქმედებათა სისტემის თეორია, რომელშიც სინთეზირებულია სხვადასხვა სოციალური დისციპლინების, და მათ შორის ეკონომიკური თეორიის (კერძოდ, ა. მარშალის და ვ. პარეტოს თეორიების), მაშინდელი მიღწევები. მისმა მოწაფემ, ნიკლას ლუმანმა, ასევე სისტემური მიდგომის საფუძველზე, შემოგვთავაზა სოციალური სისტემების თეორია, მნიშვნელოვნად გამდიდრებული ახალი იდეებით. ამ ორი მეცნიერის და მათი მიმდევრების წყალობით სოციოლოგიაში სისტემურმა მიდგომამ მოიპოვა ფართო აღიარება და დიდი წვლილი შეიტანა ამ მეცნიერების განვითარებაში. დღეს, როდესაც ეკონომიკური თეორია აშკარად განიცდის კრიზისს, დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ თეორიას შეუძლია მრავალი თავისთვის საინტერესო იდეა აღმოაჩინოს სოციოლოგიურ დოქტრინებში. მან არა მარტო უნდა შეითვისოს მათგან მეცნიერულად ფასეული იდეები, არამედ მათ მსგავსად იქონიოს მზაობაც აღიქვას სხვა მეცნიერული დისციპლინების მიღწევები.

18. ნაშრომში გაანალიზებულ იქნა რეფლექსიური კავშირები ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის, როგორიცაა წარმოება და მოხმარება, მიწოდება და მოთხოვნა, პროდუქტი და რესურსი, სარგებლიანობა და ხარჯი, მოგება და დანაზოგი, მწარმოებელი და მომხმარებელი, მეწარმე და დამზოგველი და ა.შ. ანუ ნაჩვენებია ეკონომიკური პროცესების, მოქმედებების, ფუნქციების ფარდობითი ხასიათი. და სწორედ იმიტომ, რომ თვითოეული ეს კატეგორია განსაზღვრავს საკუთარ თავს თავისი საპირისპირო

კატეგორიის მეშვეობით, ისინი ერთად ქმნიან მთელიანობას - ეკონომიკურ მოღვაწეობას, ეკონომიკურ დოვლათს, ეკონომიკურ ფასეულობას, ეკონომიკურ სუბიექტს და ა.შ.

ამ კატეგორიებს შორის რეფლექსიური კავშირები ასახავენ შინაგან სიმეტრიას, რომელიც გააჩნია ეკონომიკურ რეალობას ისევე, როგორც მთელს უნივერსუმს. რეფლექსიური განსაზღვრებები ფარდობითი ცნებებია, რომლებიც, თითქოსდა სარკისებურად აისახებიან ერთმანეთში, ისინი ერთდროულად არიან ერთმანეთისთვის იდენტურიც და საპირისპიროც. ჰეგელის სიტყვებით, რეფლექსიური განსაზღვრება „არის მისი და მისი სხვის ერთობლიობა“ და ესე იგი „უსასრულო თანაფარდობა საკუთარ თავთან“. მაგრამ სწორედ ეს „თვითმსგავსების კოპირება“ არის სიმეტრია. თვით ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ოპტიმალურობის აუცილებელი პირობა, არის სიმეტრიის ერთ-ერთი გამოვლინება. ეკონომიკური სიმეტრიის წვდომა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევიმეცნოთ ეკონომიკური პროცესების არსი და დავინახოთ ეკონომიკური სისტემის თვითრეგულირების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ხდება გამწვავებული შიდასისტემური წინააღმდეგობების გადაჭრა, რომლებიც პერიოდულად არღვევენ ეკონომიკურ წონასწორობას.

19. ჩვეულებრივ “სიმეტრიის“ ცნება გამოიყენება ორი მნიშვნელობით. იგი აღნიშნავს *პროპორციულობას,* გვიჩვენებს იმას, თუ როგორ თანხმდებიან ერთმანეთში მთლიანის სხვადასხვა ნაწილები და როგორ ქმნიან ისინი ერთ მთლიანობას. ამ ცნების მეორე მნიშვნელობაა - *წონასწორობა.* ეკონომიკურ სისტემაში სიმეტრიის თვისება ვლინდება ამ ორივე მნიშვნელობით. სხვადასხვა ეკონომიკური ნაკადები ურთიერთთანხმობაში არიან ერთმანეთთან, ავსებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს, ქმნიან „უკუკავშირების“ თვითრეგულირებად სისტემას. მე-20 საუკუნის გამოჩენილი მათემატიკოსი ჰერმან ვეილი წერდა: „წონასწორობის მდგომარეობა, როგორც ჩანს, უნდა იყოს სიმეტრიული“ (Вейль,

1968, 55). შესაბამისად, მოდელს, რომელიც ადეკვატურად ასახავს ეკონომიკურ პროცესებს, უნდა გააჩნდეს სიმეტრიის თვისება. სწორედ ეს თვისება გააჩნია ეკონომიკური წონასწორობის „სიმეტრიულ მოდელს“, რომელშიც ყველაფერი ფარდობითია და იმყოფება ერთმანეთთან რეფლექსიურ კავშირში. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მთლიანად შემოთავაზებული კონცეფცია, გარკვეული აზრით, წარმოადგენს *ეკონომიკური ფარდობითობის* კონცეფციას.[164]

20. დიალექტიკურ წინააღმდეგობას ისევე, როგორც ყველა რეფლექსიურ განსაზღვრებას, უკვე თავისთავად გააჩნია სიმეტრიის თვისება. მეტიც, სიმეტრია თვითონაც წარმოადგენს დიალექტიკურ წინააღმდეგობას, რადგან წარმოადგენს იგივეობის და განსხვავების ერთობლიობას. ჰეგელი მიიჩნევდა, რომ “არსში ყველაფერი წინააღმდეგობრივია“. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ „არსში ყველაფერი სიმეტრიულია“. სიმეტრიით გამსჭვალულია მთელი სამყარო.[165] მათ შორის, ეკონომიკური

---

[164] „არსის სფეროში ადგილი არა აქვს გადასვლას, არამედ არის მხოლოდ ფარდობა. ყოფიერების სფეროში ფარდობის ფორმა არის მხოლოდ ჩვენი რეფლექსია; არსის სფეროში, პირიქით, ფარდობა არის მისი საკუთრი განსაზღვრება. თუ (ყოფიერების სფეროში) რაიმე გადაიქცა სხვად, მაშინ ეს რაღაცა გაქრება; ასე არ არის არსის სფეროში: აქ ჩვენ არა გვაქვს ჭეშმარიტად სხვა, არამედ გვაქვს მხოლოდ განსხვავება, რაიმეს ფარდობა *თავის* სხვასთან. მაშასადამე, არსის გადასვლა ამავდროულად არ არის გადასვლა, რადგან განსხვავებულის განსხვა-ვებულში გადასვლისას განსხვავებული არ გაქრება, არამედ განსხვავებულები რჩებიან თავის ფარდობაში. თუ ჩვენ ვამბობთ, მაგალითად, *ყოფიერება* და *არარა*, მაშინ ყოფიერება და არარა განიხილებიან თავისთავად. სრულიად სხვაგვარად არის საქმე *დადებითის* და *უარყოფითის* შემთხვევაში. ... დადებითი, აღებული თავისთავად, მოკლებულია აზრს, იგი აუცილებლად ეფარდება უარყოფითს. .... მაშასადამე, ამაში მდგომარეობს საერთოდ განსხვავება ყოფიერებისა და არსის სფეროებს შორის. ყოფიერებაში ყველაფერი უშუალოა; არსის სფეროში, პირიქით, ყველაფერი ფარდობითია“ (Гегель, 1974, 262-263).

[165] აკადემიკოსი ვ. ვერნადსკი ჯერ კიდევ 1927 წელს წერდა, რომ „მეცნიერებაში სიახლეს წარმოადგენს არა სიმეტრიის პრინციპის გამოვლენა, არამედ მისი საყოველთაო ხასიათის გამოვლენა“. სიმეტრია არა მარტო ვლინდება სხვადასხვა საგნებში, მოვლენებში. თვითონ სიმეტრიის პრინციპს გააჩნია საყოველთაო ხასიათი და არსებითად ნებისმიერი ფუნდამენტური პრობლემის

სისტემაც. ეკონომიკა არის თავისი შემადგენელი ნაწილების არსებითი მთლიანობა, ხოლო „მთელი მოძრაობს წინააღმდეგობებში“ (ჰეგელი) და რადგან არსი არის მთლიანი, სიმეტრია ერთიანად მსჭვალავს ეკონომიკის არსს. ამ ჭეშმარიტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია შთავბეროთ სიცოცხლე „ეკონომიქსის“ უსიცოცხლო კატეგორიებში და მოდელებში, რომლებსაც „მივყავართ არსაით“ (კალდორი).

20. მიკრო- და მაკრო- სამყაროს თეორია, ჰეგელის „ლოგიკა“, ეინშტეინის ფარდობითობის თეორია, მენდელეევის „პერიოდული ცხრილი“, მოცარტის მუსიკა, რაფაელის „სიქსტინის მადონა“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, ბერძნული „პართენონი“ და ადამიანის გონების მრავალი სხვა ქმნილება სხვადასხვა ფორმით შეიცავენ ან ასახავენ შინაგან სიმეტრიას და ჰარმონიას, რომელიც ბატონობს სამყაროში. დაწყებული ძველი საბერძნეთის ესთეტიკიდან სიმეტრიას უკავშირებენ წარმოდგენებს ჰარმონიის და ფორმების ესთეტიკური სრულყოფილების შესახებ. თვით ტერმინი „სიმეტრია“ ბერძნულად ნიშნავს „თანაზომიერებას“, „პროპორციულობას“, როგორც ჰარმონიის, მთელის ფარგლებში მისი ნაწილების ჰარმონიზაციის კერძო შემთხვევას. ენციკლოპედია Britannica-ში წერია - „სიმეტრია ბუნებაში საფუძვლად უდევს ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ კონცეფციას მშვენიერების

განხილვა არის შეუძლებელი მის გარეშე. ისინი აშკარად ვლინდებიან ფარდობითობის თეორიაში, კვანტურ ფიზიკაში, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ბუნების კანონებში.

„ისტორიულად სიმეტრიის გამოყენება ფიზიკაში შეიმჩნევა უძველესი დროიდან, მაგრამ ყველაზე უფრო რევოლუციური მთლიანად ფიზიკისთვის, როგორც ჩანს, გახდა სიმეტრიის ისეთი პრინციპის გამოყენება, როგორიც არის ფარდობითობის პრინციპი (როგორც ჰალილეოსთან, ისე პუანკარე-ლორენც-ეინშტეინთან), რომელიც შემდგომში თითქოსდა მისაბაძი მაგალითი გახდა სიმეტრიის სხვა პრინციპების შემოღებისთვის და გამოყენებისათვის თეორიულ ფიზიკაში (რომელთაგან, როგორც ჩანს, პირველი იყო საერთო კოვარიანტულობის პრინციპი, რომელიც არის ფარდობითობის პრინციპის პირდაპირი გაფართოვება და რომელმაც მიიყვანა ეინშტეინი ფარდობითობის ზოგად თეორიასთან)“ (Википедия. Симметрия (физи-ка)).

შესახებ. იგი ასოცირდება წონასწორობასთან, წესრიგთან და, ესე იგი, გარკვეულად, ღვთაებრივი პრინციპის სახეობასთან.“ [166] ჭეშმარიტების, არსის შემეცნება გულისხმობს ჰარმონიის შემეცნებას, თავის თავში დიფერენცირებული მთელის შინაგანი სიმეტრიის შემეცნებას. და ესე იგი, სილამაზე, სიმეტრია და შინაგანი ჰარმონია, მართალია, ვერ იქნება მეცნიერული ჭეშმარიტების უშუალო მტკიცებულება, მაგრამ, უდაოდ, გარკვეული აზრით წარმოადგენს მასთან მიახლოვების „ესთეტიკურ კრიტერიუმს“. დიალექტიკა იძლევა საშუალებას ეკონომიკურ სინამდვილეში და, შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების კატეგორიათა სისტემაში დავინახოთ ისეთი შინაგანი ჰარმონია და წესრიგი, რომ დიალექტიკური თვალსაზრისით ეს „კუშტი მეცნიერება“ მოულოდნელად გვევლინება როგორც მშვენიერი. ხოლო ეკონომიკური მოღვაწეობის არსის შეცნობის შედეგად, ადამ სმიტის „უხილავი ხელი“ ხდება ხილული, გასაგები და ადამიანის ნებას დამორჩილებული.

* * *

2008 წლის მსოფლიო ეონომიკურმა კრიზისმა დაგვანახა, რომ ნეოკლასიკური თეორია და მის იდეებზე დაფუძნებული წონასწორული მოდელები ვერ დაგვეხმარებიან რეალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. ცხადი გახდა, რომ ეს მოდელები მოწყვეტილია რეალობას. როგორც მარკ ბლაუგი წერს: „ ‘ეკონომიკსი ეკონომიკსისათვის’ მალე გახდება, და არსებითად უკვე გახდა კიდეც საბრძოლო ყიჟინა. შესაძლოა ვინმემ აღნიშნოს, რომ ეკონომიკსი მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერებაა იმისათვის, რომ იგი დაუტოვოთ მხოლოდ ეკონომისტებს“ (Blaug, 1997, 8). შექმნილ

[166] იხ.Encyclopædia Britannica, https://www.britannica.com/topic/symmetry-definition.

ვითარებაში მეცნიერთა ამოცანაა რადიკალურად გადაიაზრონ ნეოკლასიკური დოგმები, გამოიყენონ მომიჯნავე მეცნიერული დისციპლინების მიღწევები და „სიცოცხლე შთაბერონ“ უსიცოცხლო ეკონომიკურ კატეგორიებსა და მოდელებს.

დანართი 1

ნეოკლასიკა, ნეოლიბერალიზმი და პოსტაბჭოთა რეალობა

1. კრიზისი შეიძლება იყოს ენდოგენურიც და ეგზოგენურიც. ენდოგენური კრიზისი არის ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმის შემადგენელი ნაწილი. ეგზოგენური კრიზისი გამოწვეულია გარე ფაქტორებით, მათ შორის, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით. ენდოგენური კრიზისების დროს ხდება სტიქიური საბაზრო პროცესებით წარმოშობილი დისპრპორციების ლიკვიდირება და წონასწორობის აღდგენა. თუ აღმავლობა და კრიზისი განიხილებიან როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და სხვადასხვა მიზეზებით განპირობებული პროცესები, მაშინ სახელმწიფო ცდილობს, ერთი მხრივ, ეკონომიკური აღმავლობის სტიმულირებას, მეორე მხრივ, კრიზისის ჩახშობას. ეს იწვევს ეკონომიკური ციკლის დარღვევას და წარმოშობს ეგზოგენურ კრიზისებს. ასეთი პოლიტიკის შედეგად ექსპანსია გრძელდება დიდხანს, მაგრამ კრიზისიც ხდება ღრმა და ხანგრძლივი. აღმავლობის პროცესში ხდება ეკონომიკურ ნაკადებს შორის წონასწორული პროპორციებიდან გადახრა. კრიზისის ხელოვნურად დროში გადავადება იწვევს ამ შიდასისტემური დისპროპორციების აკუმულირებას. ხოლო ადრე თუ გვიან ეს დისპროპორციები აღწევენ კულმინაციას. ხდება მათი ერთბაშად გამოვლენა. ეს ბადებს ჩვეულებრივზე უფრო ღრმა და ხანგრძლივ ეგზოგენურ კრიზისებს. ასეთი კრიზისები იყო „დიდი დეპრესია“, 70-ანი წლების კრიზისი და 2008 წლის „დიდი რეცესია“.

„დიდ დეპრესიამდე“ ეკონომიკურ მეცნიერებაში დომინირებდა ნეოკლსიკური თეორია, რომელიც, განვითარების იმ ეტაპზე არსებითად წარმოადგენდა მიკროეკონომიკურ თეორიას. ამ

თეორიის თანახმად, ბაზარს აქვს თვითრეგულირების უნარი და, ამიტომ, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში ხელს უშლის მის ფუნქციონირებას. სწორედ ნეოკლსიციზმის დებულებებს ეფუძნებოდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა. გარკვეული პერიოდი ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა. მაგრამ, ევოლუციის პროცესში საბაზრო ეკონომიკა განიცდის ცვლილებებს. გაჩნდა ახალი პრობლემები: მონოპოლიზაცია, გლობალიზაცია, უთანაბრობა, გარემოს დაბინძურება. ეკონომიკაში ჩარევა და პროცესების რეგულირება გახდა აუცილებელი. ამან წარმოშვა სახელმწიფო სექტორის ზრდის ტენდენცია.

30-იანი წლების კრიზისის შედეგად ეკონომიკური მეცნიერება დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე. მაშინ ამ გამოწვევებზე მეცნიერების პასუხი იყო კეინზის მაკროეკონომიკური თეორია. ამ თეორიაზე დაფუძნებული პოლიტიკა გულისხმობდა ერთობლივი მოთხოვნის მიზანმიმართულ რეგულირებას. ეს პოლიტიკა თითქოს ეფექტური აღმოჩნდა „დიდი დეპრესის“ დასაძლევად. მართალია, დღესაც კამათობენ - ხელი შეუწყო, თუ ხელი შეუშალა მან კრიზისის დაძლევას, მაგრამ ფაქტია, რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 25 წელი, რომელიც აღბეჭდილი იყო განვითრებულ ქვეყნებში კეინზიანური პოლიტიკის დომინირებით, მიჩნეულია კაპიტალიზმის „ოქროს ხანად“.

მაგრამ 70-ან წლებში ეკონომიკაში თავი იჩინა ისეთმა მოვლენამ, როგორიც არის „სტაგფლაცია“. „დიდი დეპრესიის“ დროს მთავარი პრობლემა იყო უმუშევრობა, ახლა კი არის ერთდროულად უმუშევრობაც და ინფლაციაც. წლების განმავლობაში ფისკალური მეთოდებით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებამ, რასაც გულისხმობდა კეინზიანური პოლიტიკა, ეკონომიკაში თანდათან გამოიწვია შიდასისტემური დეფორმაციები, რაც გამოვლინდა სტაგფლაციაში. ანუ, კეინზის პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის ხანგრძლივი აღმასვლა, მაგრამ,

შემდეგ, თვითონვე წარმოშვა კრიზისი ისეთი ფორმით, რომლის წინაშეც აღმოჩნდა უძლური.

ეკონომიკური მეცნიერება ისევ დადგა გამოწვევების წინაშე. კეინზიანური პარადიგმა ისევ ჩაანაცვლა ნეოკლასიკურმა პარადიგმამ. მაგრამ ეს უკვე იყო განახლებური ნეოკლასიკური თეორია. ამჯერად მიკროეკონომიკურ თეორიასთან ერთად, ნეოკლასიკა მოიცავდა მაკროეკონომიკურ თეორიასაც. ამასთან, იგი გულისხმობდა, რომ საჭიროა ეკონომიკის ისევ დერეგულირება. მაკროეკონომიკურ თეორიაში კეინზიანიზმი ჩაანაცვლეს მონეტარიზმმა, და მასთან მონათესავე სეპლაისაიდის და რაციონალური მოლოდინების თეორიებმა, რომლებსაც აერთიანებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის, საბაზრო ძალების გათავისუფლების, ეკონომიკური გახსნილობის იდეები. სწორედ ამ იდეებს უკავშირდება ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს ლიბერალური პოლიტიკის განახლებულ ვერსიას და ბატონობს დაწყებული 1980-ანი წლებიდან.[167] მაგრამ 2008 წელს დაიწყო მსოფლიო კრიზისი და ისევ დაიბადა უამრავი კითხვის ნიშნები;

---

[167] „კეინზიანელობა ... იყო დომინანტური თეორიული კონსტრუქტი ეკონომიკურ თეორიაში და პოლიტიკაში 1945 - 1970 წლებში, მაგრამ შემდეგ იყო ჩანაცვლებული უფრო „მონეტარისტული“ მიდგომებით, რომლებიც იყვნენ ინსპირირებული მილტონ ფრიდმენის თეორიებით და კვლევებით... . იმის შემდეგ, ჩვენ გვაჯერებენ, რომ „ნეოლიბერალიზმი“, ანუ მონეტარიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიები, დომინირებენ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, რაზეც ეკონომიკაში მოწმობს ნაკლებად მკაცრი სახელმწიფო რეგულაციების შემოღება და მეტი აქცენტის გადატანა ეკონომიკური პოილიტიკის სტაბილურობაზე, ნაცვლად ისეთი „კეინზიანური“ მიზნებისა, როგორიც არის სრული დასაქმება და უკიდურესი სიღარიბის შემცირება“ (Thorsen, 2013, 8). „ ... ტერმინი „ნეოლიბერალიზმი“ მისაღებია კაპიტალიზმის იმ სტადიასთან მიმართებაში, რომელიც დაიბადა 1980-იან წლებში. ... ნეოლიბერალური იდეოლოგია ადიდებს ინდივიდუალურ არჩევანს, ბაზრებს და კერძო საკუთრებას, საზოგადოებას აღიქვავს როგორც უბრალოდ ინდივიდების სიმრავლეს და სახელმწიფოს აღიქვავს როგორც არსებითად მტაცებელ ორგანიზაციას, რომელიც არის თავისუფლების და ეფექტურობის მტერი. დომინანტური ეკონომიკური თეორია არის ნეოკლასიკური თეორიის საბაზრო თავისუფლების ვერსია“ (Kotz, 2011, 1).

2. ნეოლიბერალიზმი შედარებით ამორფული ცნებაა და არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული დეფინიცია. ხშირად მასთან ასოცირდება რ. რეიგანის და მ. ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე „ვაშინგტონის კონსენსუსი“, IMF-ის, მსოფლიო ბანკის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პოლიტიკა. რაც შეეხება მის თეორიულ საფუძვლებს, ასეთად მიიჩნევენ ძირითადად ნეოკლასიკურ თეორიას, კერძოდ მილტონ ფრიდმენის თეორიას, ასევე, სეპლაისაიდერების და რაციონალური მოლოდინების თეორიების დებულებებს და ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენლის ფ. ჰაიეკის თეორიას.

ნეოლიბერალური პოლიტიკა გულისხმობს საბაზრო ძალების განთავისუფლებას ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის, დაბალ გადასახადებს, ნაკლებ რეგულაციებს და მცირე სახელმწიფო ხარჯებს. ნეოლიბერალები ხშირად უგულვებელყოფენ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ექსტერნალიების პრობლემას. მცირდება სახელმწიფოს მაკროეკონომიკური რეგულირების მასშტაბები, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ ხდება რეგულირება (თანამედროვე ეკონომიკაში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია). კრიზისის დროს ხდება უფრო აქტიური ჩარევა მაკროეკონომიკურ დონეზე, ხოლო აღმავლობის ფაზაში საბაზრო ძალებს ეძლევათ მეტი თავისუფლება;

3. ლიბერალური პოლიტიკა გულისხმობდა კონკურენციაზე, ანუ, მიკროეკონომიკურ პროცესებზე დაყრდნობით ზოგადად *მეწარმეობის განვითარებას* (განურჩევლად მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესისა). კეინსიანელობა ორიენტირებული იყო მაკროეკონომიკურ მეთოდებზე დაყრდნობით *უმუშევრობის და სიღარიბის შემცირებაზე.*[168] მაგრამ, ნეოლიბერალური პოლიტიკა დაუბრუნდა ლიბერალური პოლიტიკის ძირითად იდეებს, მაგრამ

[168] ამიტომ, ხშირად ჯ. კეინსს მოიხსენიებდნენ როგორც „ბურჟუაზიულ მარქსს“.

მისგან განსხვავებით, გულისხმობს არა იმდენად სართოდ მეწარმეობის, რამდენადაც *მსხვილი ბიზნესის* ინტერესების დაცვას. ამისთვის კი, მონოპოლიზირებული ეკონომიკის პირობებში, საჭიროა სწორედ ლიბერალური პოლიტიკის სტრატეგია. ამასთან, მართალია იგი ემხრობა თავისუფალი ბაზრის იდეებს, მაგრამ ბოლომდე უარს არ ამბობს მაკროეკონომიკურ მეთოდებზე და შედარებით შეზღუდული მასშტაბით იყენებს მათ.

ისევე, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის დისკურსში, ნეოლიბერალურ რიტორიკაშიც დეკლარირებულია ზოგადად მეწარმეობის ინტერესების მხარდაჭერა, როგორც მთავარი ბერკეტი, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკის გააქტიურებას და შემოსავლების ზრდას, ცხოვრების დონის ამაღლებასა და ა.შ. შესაბამისად, ამ დისკურსის ფარგლებში აქტიურად განიხილება სტრატეგია, რომელიც გულისხმობს კონკურენციას, სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვას, გადანაწილების მაშტაბების შემცირებას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამ დისკურსის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტებს, დავინახავთ მის უკან ფარულად არსებულ ინტერესებს, რომელსაც დისკურსში ჩართული სუბიექტები და მთლიანად საზოგადოება რიგ შემთხვევაში ვერ აცნობიუერებენ.

მაშინ, როდესაც ტარდებოდა ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკა არ იყო მონოპოლიზირებული იმ დონეზე, როგორც მაშინ, როდესაც დაიწყო ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარება. ანუ ერთი და იგივე პოლიტიკა განსხვავებულ შედეგებს იძლევა განსხვავებულ ეკონომიკურ გარემოში. ცხადია, რომ მონოპოლიზირებული ეკონომიკის პირობებში თავისუფალი კონკურენციის მხარდაჭერა ნიშნავს მცირე და საშუალო ბიზნესის დაუცველობას მსხვილი ბიზნესის წინაშე. ანუ, მსხვილ ბიზნესის ხელშეწყობა ხდება მცირე და საშუალო ბიზნესს ინტერესების ხარჯზე. ეს კი განაპირობებს ეკონომიკური უთანაბრობის ზრდას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. გარდა

ამისა, ასეთი პოლიტიკით გამოწვეული ე. წ. „ფინანსიალიზაცია“ იწვევს ფინანსურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას და კრიზისს. ხოლო კრიზისის პირობებში, როდესაც მსხვილ ბიზნესს (განსაკუთრებით მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს) ემუქრება გაკოტრება, სახელმწიფო იძულებული ხდება დახმარება აღმოუჩინოს მათ, რათა თავიდან აიცილოს მათი გაკოტრების დამანგრეველი შედეგები მთლიანად ეკონომიკისთვის.[169] ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად აღმავლობის დროს მოგებას ძირითადად ნახულობს მდიდარი უმცირესობა, ხოლო კრიზესების დროს ძირითადად ზარალობს ღარიბი უმრავლესობა (იხ. Stiglitz, 2012);

4. ნეოლიბერალიზმმა არსებითი გავლენა იქონია მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე. თითქმის ყველგან, სადაც ტარდება ასეთი პოლიტიკა, თავი იჩინა ერთი და იგივე ეკონომიკურმა პრობლემებმა: უთანაბრობის ზრდა, ბანკების საკრედიტო ინტერვენცია, „საფინანსო ბუშტების“ წარმოქმნა, რასაც მოზდევს ფინანსური არასტაბილურობა და კრიზისი.[170] მაგრამ, გარდა წმინდა

---

[169] „ ... როდესაც დაიწყო ნეოლიბერალური კაპიტალიზმის სტრუქტურული კრიზისი 2008 წლის შემოდგომაზე, გაბატონებული თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ყველა უნდა ფუნქციონირებდეს ან კოტრდებოდეს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, უცებ დავიწყებულ იქნა - ყოველ შემთხვევაში მდიდართა და ძლევამოსილთა მიმართებაში. კონგრესმა განახორციელა ზეწოლა $700 მილიარდის გამოყოფისთვის „პრობლემური აქტივების დახმარების პროგრამისათვის“ მსხვილი ბანკების და სხვა საფინანსო ორგანიზაციების გადასარჩენათ. მაშინ როდესაც, მიუხედავად ამისა, მილიონობით მუშამ დაკარგეს თავიანთი სამუშაო და მილიონობით სახლის მფლობელს დაემუქრა გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევის საფრთხე, სახელმწიფომ ცოტა რამ გააკეთა მათ დასახმარებლად, ... ამან დაიწყო ადრე დომინირებული თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიის ლეგიტიმურობისათვის ძირის გამოთხრა. ამან წარმოშვა აღშფოთების ტალღა ბანკირების მიმართ, რომელშიც ხედავდნენ ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ მიზესს“ (Kotz, 2014, 2).

[170] „ამ პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები იყო ერთნაირი თითქმის ყაველგან და ის, რასაც შეიძლება მისგან მოველოდოთ, არის: სოციალური და ეკონომიკური უთანაბრობის მნიშვნელოვანი ზრდა, ბაზრის ზრდა უღარიბესი ერების და მსოფლიო მოსახლეობის დეპრივაციის პირობებში, გლობალური გარემოს

ეკონომიკური სირთულეებისა, სერიოზული საფრთხე ექმნება დემოკრატიზაციის პროცესებს, საზოგადორებრივ ფასეულობებს და სხვ. ეს საფრთხე განსაკუთრებით მატულობს როდესაც ნეოლიბერალური პოლიტიკა ტარდება ღარიბ ქვეყნებში. ბევრმა მსგავსმა ტენდენციამ თავი იჩინა იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც გაბატონდა ნეოლიბერალური შეხედულებები და ტარდება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა. ქვემოთ განხილულია ზოგი-ერთი მათგანი;

ნეოლიბერალური პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები

1. მაგალითისთვის განვიხილოდ საქართველოში მიმდინარე ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგები. სქართველოში მოქმედ საგადასახადო სისტემაში ადგილი აქვს შემოსავლების პროპორ-ციულ დაბეგვრას (თანაბრად იბეგრება განსხვავებული სიდიდის შემოსავლები). ამასთან, საშემოსავლო გადასახადი და ხელფასზე გადასახადი არის 20%, ხოლო დივიდენდებზე და პროცენტებზე - 5%. მაგრამ, საზოგადოების მდიდარი უმცირესობა შემოსავლების დიდ ნაწილს იღებს დივიდენდების და პროცენტების სახით, ხოლო ღარიბი უმრავლესობა - ხელფასის სახით. გამოდის, რომ საერთო ჯამში ღარიბები იხდიან უფრო დიდ გადასახადს, ვიდრე მდიდრები.[171] ანუ, ფარულად ადგილი აქვს რეგრესიულ დაბეგვრას, რაც მიუღებელია საყოველთაო სიღარიბის და უთანაბრობის პირობებში.

მიჩნეულია, რომ საშემოსავლო გადასახადები უნდა იყოს დაბალი, რადგან ეკონომიკისთვის უკეთესია, თუ სახელმწიფო

დაბინძურება, გლობალური ეკონომიკის არასტაბილურობა და მდიდრების უპრეცედენტო აყვავება“ (McChesney, 1999, 8).

[171] „მდიდარი ინტერეს-ჯგუფები იყენებენ თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებს რათა გავლენა იქონიონ კანონმდებლებზე და ფართო საზოგადოებაზე მოგების და კაპიტალიდან მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების ზედა განაკვეთების შემცირების და კორპორატიული საგადასახადო შეღავათებს უზრუნველყოფის მიზნით“ (OXFAM, 2014,12)

ნაკლებად ჩაერევა ეკონომიკაში. მაგრამ ფაქტები არ ადასტურებენ ამას. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გადასახადებიც გაცილებით მაღალია და დაბეგვრაც პროგრესულია. მაგალითად, 2014 წლის მონაცემებით მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადი შეადგენდა: შვედეთში – 56,9% -ს, დანიაში – 55,6, ბელგიაში – 53,7, ნიდერლანდებში – 52,0, საფრანგეთში – 50,3, ავსტრიაში – 50,0, გერმანიაში – 47,5, დიდ ბრიტანეთში – 45%-ს და ა.შ.[172] ანუ, საქართველოსგან განსხვავებით, განვითარებულ ქვეყნებში ხდება შემოსავლების საკმაოდ მასშტაბური გადანაწილება, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არის ამდენი ღარიბი და უპოვარი. აშკარაა, რომ ევროპასთან შედარებით საქართველოში დაბალია სოციალური სოლიდარობის გრძნობა;

2. მოგების გადასახადი საქართველოში შეადგენს 15%-ს, ხოლო 2017 წლიდან მოგების რეინვესტირებული ნაწილი მთლიანად განთავისუფლდა გადასახადისგან. ცხადია, მოგების დაბალი გადასახადი და მისი ნაწილის სრული გათავისუფლებაც, პირველ რიგში, აწყობს მსხვილ ბიზნესს, რადგან აბსოლუტურ მაჩვენებლებში სახელმწიფო უტოვებს მას განკარგვაში გაცილებით მეტ სახსრებს, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესს. მართალია ასეთი საგადასახადო პოლიტიკა ტარდება საერთოდ მეწარმეობის ხელშეწყობის მოტივით, მაგრამ რეალურად ამის უკან დგას მსხვილი ბიზნესის ინტერესები. ამ პოლიტიკის შედეგად ეკონომიკაში უფრო გაიზრდება მსხვილი ბიზნესის წილი და შემცირდება მცირე და საშუალო ბიზნესის წილი. ეს გააუარესებს კონკურენტულ გარემოს, ხელს შეუშლის საშუალო ფენის ფორმი-

---

[172] არასწორეა ქართველი ნეოლიბერალების მოწოდებები კიდევ უფრო შევამციროთ სახელმწიფოს წილი ეკონომიკაში, რომელიც ისედაც მცირეა და შეადგენს 30%-ს, მაშინ, როდესაც ევროპის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 47,4%-ს, ხოლო საფრანგეთის - 56,8%-ს; გერმანიაში - 43,9%-ს; იტალიაში - 50,5%-ს; ესპანეთში - 43,3%-ს; უნგრეთში - 50,7%-ს; პოლონეთში - 41,5%-ს. შემცირებას საჭიროებს გაბერილი სახელმწიფო აპარატი, მაგრამ არა ბიუჯეტი, შემოსავლების გადანაწილების მასშტაბები და საერთოდ, სახელმწიფო სექტორი.

რებას, გაზრდის პოლარიზაციას და ეკონომიკის არასტაბილურობას;

3. მეწარმეებისთვის საგადასახადო შეღავათები არგუმენტირებულია იმით, რომ ისინი ქმნიან სამუშაო ადგილებს. ეს არის ეკონომიკური პროცესების ზედაპირული ხედვა. სამუშაო ადგილებს და თვითონ მეწარმეებსაც ქმნის მოთხოვნა.[173] ხოლო მოთხოვნას ქმნის სწორედ საზოგადოების უმრავლესობის მსყიდველობითი უნარი. შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს კი შეადგენენ ბიუჯეტიდან დაფინანსებული მასწავლებლების და ექიმების ხელფასები, პენსიები, შემწეობები. (მითუმეტეს, თუ სუსტია მცირე და საშუალო ბიზნესი). თუ პოლიტიკა არ ითვალისწინებს წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებულ შიდასისტემურ კავშირებს, მაშინ დაირღვევა ჰარმონია ფულადსასაქონლო ნაკადებს შორის და ადრე თუ გვიან დაიწყება რეცესია;

4. 2014 წლის მონაცემებით, განვითარებულ ქვეყნებში მოგების გადასახადი იყო: საფრანგეთში - 38%, ბელგიაში - 34%, გერმანიაში - 30,2%, ნორვეგიაში - 27%, ნიდერლანდებში - 25%, ავსტრიაში - 25% და ა.შ.. ამ მონაცემების ფონზე საქართველოში დაწესებული მოგების გადასახადის 15% და 0% - იანი განაკვეთები არის ულტრალიბერალიზმის შედეგი. ა. ლაფერის თეორიაზე აპელირებით ამ პოლიტიკის მომხრეები მიიჩნევენ, რომ გადასახადების შემცირების შედეგად მოხდება ეკონომიკის გააქტიურება და, შესაბამისად, ბიუჯეტის სგადასახდო შემოსავლების ზრდა.

---

[173] ისევე, როგორც ისინი ქმნიან მოთხოვნას. „ერთ-ერთი გავრცელებული შეცდომა გულისხმიბს, რომ მდიდრები ქმნიან სამუშაო ადგილებს; და თუ მეტ ფულს მივცემთ მათ, შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი - და ეს არის სამუშაო ადგილების შექმნის ერთადერთი გზა. ჩემი აზრით ეს შეხედულება საფუძველშივე მცდარია: ამერიკაში და სხვა ქვეყნებში ბევრია შემოქმედი მეწარმეობის უნარის მქონე ადამიანები ... . სამუშაო ადგილებს ქმნის *მოთხოვნა*: როდესაც არის მოთხოვნა, ფირმები შექმნიან სამუშაო ადგილებს ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (განსაკუთრებით მაშინ, თუ საფინანსო სისტემა იმუშავებს ისე როგორც საჭიროა და უზრუნველყოფს კრედიტით მცირე და საშუალო ბიზნესს)“ (Stiglitz, 2012, 9).

მაგრამ, თვით ლაფერის თეორიის თანახმად, განაკვეთების შემცირება მხოლოდ მაშინ ბადებს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, როდესაც შემცირება იწყება მაქსიმალური განაკვეთე-ბიდან (ლაფერის მრუდის მარჯვენა მონაკვეთი). ხოლო თუ განაკვეთები ისედაც დაბალია, მათი შემცირებით, ამავე თეორიის თანახმად, საგადასახადო შემოსავლები მცირდება. ანუ, საქართვე-ლოში არსებული განაკვეთების შემცირება კონტრპროდუქტიულია და მოიტანს საპირისპირო შედეგებს;[174]

5. უდავოა, რომ საბაზრო ძალების შეუზღუდავი მოქმედება ბადებს უთანაბრობას შემოსავლების და სიმდიდრის განაწილე-ბაში. ამიტომ ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია შემოსავლების გადანაწილება, ვერ ყალიბდება საშუალო ფენა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ნეოკლასიკური თეორია ამტკი-ცებს, რომ შემოსავლების გადანაწილება უთანაბრობის შემცირების მიზნით ახშობს ეკონომიკურ სტიმულებს და აფერხებს ეკონ-ომიკურ ზრდას. ეს არ შეესაბამება რეალობას. ემპირიულ მონა-ცემებზე დაყრდნობით, მეცნიერული გამოკვლევები ცხადყოფენ,

---

[174] გარდა ამისა, საგადასახადო განაკვთების შემცირება ჯერ ერთბაშდ იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, და მხოლოდ დროთა განმავლობაში არის მოსალოდნელი ეკონომიკური აქტივობის და საგადასახადო შემოსავლების ზრდა. გამოდის, რომ ბიზნესი (განსაკუთრებით, მსხვილ ბიზნესი) გადასახადების შემცირებისთანავე იტოვებს ფულად სახსრებს, რომლითაც შეიძლებოდა პენსიების, შემწეობების და ხელფასების დაფინანსება, ხოლო პენსიონერებს და მასწავლებლებს სთავაზობენ დალოდებას, სანამ მომავალში მოხდება ეკონომიკის გააქტიურება. არსებული სიღარიბის პირობებში ასეთი ბუნდოვანი დაპირებები მიუღებელია. გარდა ამისა, მშპ-ის ზრდას განაპირობებენ მრავალი ფაქტორები. პრაქტიკულად შეუძლებელია იმის გარკვევა მშპ-ის, ბიუჯეტის და პენსიების ფაქტიურ ზრდაში, რა წვლილს შეიტანს გადასახადების შემცირება (როგორც წესი, ასეთი გათვლები არ იმსახურებენ ნდობას). შესაბამისად, ვერც ის გაირკვევა გადასახადების შემცირებამ საერთოდ ხელი შეუწყო მათ ზრდას, თუ ხელი შეუშალა. რომ არ შემცირებულიყო გადასახადები იქნებ საბიუჯეტო შემოსავლებიც მეტად გაიზრდებოდა. არც ის არის გარანტირებული, რომ მათი ზრდა იქნება მათ თავდაპირველ ვარდნაზე მეტი.

რომ უთანაბრობის ზრდა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო უთანაბრობის შემცირება - ხელს უწყობს მას.[175]

IMF-ის კვლევითი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე. ბერგმა და ჯ. ოსტრიმ გამოიკვლიეს სხვადასხვა ფაქტორების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. მათ აღმოაჩინეს, რომ როდესაც ქვეყანა შედიოდა ზრდის ფაზაში, შემოსავლების განაწილება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ეკონომიკური ზრდის ხანგრძლიობას. რაც უფრო თანაბარია ქვეყანაში განაწილება, მით უფრო დიდ ხანს გრძელდება ზრდა (იხ. Berg, 2011, 18). „...ქვეყნებს, სადაც შემოსაცლები უფრო თანაბრად არის განაწილებული, აქვთ ზრდის გაცილებით უფრო ხანგრძლივი პერიოდები. ... ძნელია ერთმანეთისგან განაცალკევო ზრდის და განაწილების პრობლემები გრძელვადიან პერიოდში. ზრდის და უთანაბრობის შემცირების პოლიტიკები, როგორც ჩანს, აძლიერებენ ერთმანეთს და გვეხმარებიან მდგრადი ზრდისათვის საფუძვლების შექმნაში“ (Berg, 2011, 16).

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური უთანაბრობის პირობებში, საზოგადოების ღარიბ უმრავლესობას არა აქვს საკმარისი შემოსავლები, რაც იწვევს მოთხოვნის დასუსტებას და, შესაბამისად, მშპ-ის ზრდის ტემპების ვარდნას. თავისთავად ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება არ გულისხმობს უთანაბრობას. იგი საჭიროებს

---

[175] „შემოსავლების განაწილება გავლენას ახდენს ზრდაზე. IMF-ის წინა გამოკვლევებიდან აღმოჩნდა, რომ შემოსავლების უთანაბრობა (რომელიც იზომება ჯინის კოეფიციენტით ...) უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე და მის მდგრადობაზე .... ჩვენ აღმოვაჩინეთ უკუკავშირი მდიდრების (ზედა 20%) შემისავლების წილსა და ეკონომიკურ ზრდას შოროს. თუ ზედა 20%-ის შემოსავლების წილი იზრდება 1 საპროცენტო პუნქტით, მშპ-ის ზრდა ფაქტიურად 0.08 პროცენტული პუნქტით *დაბალია* შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში ... . და პირიქით, ქვედა 20%-ის (ღარიბების) შემოსავლების წილის ასეთივე ზრდა ასოცირდება 0,38 პროცენტული პუნქტით უფრო *მაღალ* ეკონომიკურ ზრდასთან. ეს პოზიტიური კავშირი განკარგვადი შემოსავლების წილსა და მაღალ ეკონომიკურ ზრდას შორის შენარჩუნებულია მეორე და მესამე კვინტილებში (საშუალო ფენაში). ეს შედეგები დადასტურდა მრავალი შემოწმების შედეგად .... .” (IMF, 2015, 7.)

მხოლოდ ფულად სასაქონლო ნაკადებს შორის სათანადო მაკროეკონომიკური პროპორციების არსებობას. („სიმეტრიული მოდელი“ გვიჩვენებს ამ პროპორციების კონკრეტულ პარამეტრებს). საქართველოს ეკონომიკის დამუხრუჭების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ფული არა აქვს ღარიბ უმრავლესობას, და არა მეწარმეებს.[176] ამიტომ, საჭროა პროგრესული საგადასახადო სისტემა და შემოსავლების მნიშვნელოვანი გადანაწილება.[177]

უთანაბრობა არის იმის მიზეზი, რომ მაშინაც კი, როდესაც საშუალო ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობესდება, საზოგადოების უმრავლესობის რეალური შემოსავლები არ იზრდება. იზრდება მხოლოდ საზოგადოების ვიწრი ჯგუფის შემოსავლები. შესაბამისად, სტანდარტული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ვერ ასახავენ საქართველოში ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. ეკონომიკა მუშაობს მდიდრების სასარგებლოდ, მაგრამ იგი არ ზრდის საზოგადოების უმრავლესობის კეთილდღეობას. იგივე ტენდენციები შეინიშნება ყველგან, სადაც ტარდება ნეოლიბერალური პოლიტიკა;

6. ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობს ბანკების მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორში გაცემული კრედიტების თანაფარდობა ნომინალურ მშპ-თან გაიზარდა 9%-დან 2001 წელს 50%-მდე 2015 წელს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კრედიტების მოცულობა საშუალოდ

---

[176] თუ იქნება ეფექტიანი საინვესტიციო პროექტები, ბანკები და უცხოელი ინვესტორები დააფინანსებენ მათ. ხოლო ასეთ პროექტებს ბადებს მოთხოვნა.

[177] ბიუჯეტიდან დაფინანსებული შემოსავლები (პენსიები, შემწეობები, ხელფასები) თითქმის მთლიანად გავა სამომხმრებლო ბაზარზე და მოთხოვნას გაზრდის იმ სასაქონლო ჯგუფებზე, რომლის წარმოებას, ხშირ შმთხვევაში შეძლებს მცირე და საშუალო ბიზნესი (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, მომსახურების სფერო და სხვ.). ეს ხელს შეუწყობს იმპორტის ჩანაცვლებას, მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, შეუწყობს ხელს უთანაბრობის შემცირებას და საშუალო ფენის ზრდას.

ყოველწლიურად იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. კრედიტების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 28,1%-ს, ხოლო მშპ-ის ზრდა - 12,0%-ს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მოთხოვნა დიდწილად იზრდებოდა სამომხმარებლო კრედიტების ხარჯზე და, რომ საქართველოში კრედიტების გაცემა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ის ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად. თუ კრედიტების ზრდის ტემპები არ იქნება მშპ-ის ზრდის ტემპებზე მაღალი, მშპ დაიწყებს ვარდნას. ეს არის ძალზე არასასურველი ტენდენცია და მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკაში ყალიბდება საფინანსო ბუშტი, რომელსაც, როგორც წესი, მოყვება მწვავე კრიზისი;

7. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო არ უნდა განსაზღვრავდეს დაფინანსების პრიორიტეტულ სფეროებს, რადგან კერძო პირები (მსესხებლები და გამსესხებლები) თვითონ უკეთ გადაწყვეტენ რომელ პროექტებში ჩადონ ფული. დაბალი ეკონომიკური აქტივობის პირობებში (როდესაც დაბალია კრედიტებზე მოთხოვნა ბიზნეს-პროექტებისათვის), ამ პროცესების თვითდინებაზე მიშვებამ გნაპირობა კრედიტების მკვეთრი ზრდა სამომხმარებლო მიზნებზე, (იპოთეკური, სამომხმარებლო, ავტო-კრედიტები და სხვ.). ამით ხდება დასუსტებული მოთხოვნის ხელოვნურად სტიმულირება. ანუ, უფრო და უფრო მეტი კრედიტები ხმარდება არა საწარმოო პოტენციალის ზრდას, არამედ, იმას, რომ მოსახლეობამ მოიხმაროს მეტი, ვიდრე აქვს შემოსავალი. ცხადია, კრედიტების ტოტალური ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. ადრე თუ გვიან ვალები უნდა დაიფაროს მომავალი შემოსავლებიდან. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მოთხოვნა შემცირდება და გამოიწვევს მშპ-ის ვარდნას. კრიზისი ხდება გარდუვალი. რაც უფრო ბევრი ვალები დაგროვდება, მით უფრო ღრმა იქნება მომავალი

კრიზისი.[178] ამ სცენარით განვითარდა პროცესები დასავლეთში („დიდი დეპრესია“ და 2008 წლის მსოფლიო კრიზისი).

საბანკო კრედიტების მეშვეობით მოთხოვნის ხელოვნური ზრდა მოკლევადიან პერიოდში მართლაც იწვევს ეკონომიკური ზრდის აჩქარებას. მაგრამ, როგორც წესი, მას მოსდევს კრიზისი. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვე საბანკო სისტემა არის ნაწილობრივი რეზერვების საბანკო სისტემა, რომელიც საკრედიტო რესურსებს ქმნის „ჰაერიდან“. ასეთი კრედიტები არ არის უზრუნველყოფილი რეალური რესურსებით. მათი ჭარბი მიწოდება განაპირობებს დაბალ საპროცენტო განაკვეთებს. ეს საკრედიტო ექსპანსია ბადებს ცრუ სიგნალებს. მომხმარებლები იღებენ ისეთი მოცულობით იპოთეკურ და სამომხმარებლო კრედიტებს, რომ შესაძლოა ვერ დაფარონ მომავალი შემოსავლებიდან. ან შესაძლოა მოუწიოთ მომავალი შემოსავლებიდან დიდი წილის დაზოგვა. ამის შედეგად მოთხოვნა იმდენად შემცირდება, რომ გამოიწვევს ეკონომიკურ ვარდნას.

ასევე, დაბალი საპროცენტო განაკვეთები ახდენენ ისეთი საინვესტიციო პროექტების პროვოცირებას, რომლისთვისაც საზოგადოებას არ გააჩნია საკმარისი რეალური რესურსები. მაგრამ, რესურსების ეს უკმარისობა გამოვლინდება მხოლოდ უშვალოდ კრიზისის დაწყების წინ, როდესაც უკვე გვიანი იქნება პრევენციული ზომების გატარება. ანუ, ასეთი საბანკო სისტემა ბადებს საფინანსო „ბუშტს“, რომელიც, ადრე თუ გვიან, სკდება და იწვევს

[178] „იქამდე, სანამ ჩვენ ვიყენებთ საბანკო კრედიტს როგორც ეკონომიკური განვითარების საშუალებას, ჩვენ უნდა ვეგუებოდეთ სავაჭრო ციკლების შედეგებს. გარკვეული აზრით, ისინი წარმოადგენენ ფასს, რომელსაც ჩვენ ვიხდით განვითარების სიჩქარისთვის, რომელიც აღემატება იმას, რომელსაც ადამიანები ნებაყოფლობით ხდიან შესაძლებელს თავისი დანაზოგების მეშვეობით, და რომელიც, ამიტომ, იძულებით უნდა იყოს მათგან ამოღებული“ (Hayek, 1933, 189-190).

კრიზისს. (გამორიცხული არაა, რომ საქართველოში ასეთი „ბუშტი“ იქმნება მშენებლობის დარგში).[179]

გარდა ამისა გამოდის, რომ საქართველოში შიდა მოთხოვნის სტიმულირება ხდება საბანკო კრედიტების მეშვეობით, ხოლო მეწარმეთა სტიმულირება ხდება საგადასახადო შეღავათებით, და ესე იგი, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ხარჯზე. მაშინ როდესაც ეს უნდა ხდებოდეს პირიქით. გადასახადები უნდა ხმარდებოდეს შემოსავლების გადანაწილებას, ხოლო საბანკო კრედიტები - მეწარმეების ბიზნეს-პროექტების დაფინანსებას. მაგრამ მეწარ-მეებისთვისაც ნაკლებ სარისკოა და მეტად მომგებიანია საქონლის იმპორტირება და არა წარმოება, და ბანკებისთვისაც ნაკლებ სარისკოა იმპორტის მოკლევადიანი სავაჭრო ოპერაციების, ვიდრე გრძელვადიანი საწრმოო ინვესტიციების დაკრედიტება;

8. საქართველოში იმპორტი მშპ-ის 60%-მდეა. შიდა მოთხოვნა დიდწილად კმაყოფილდება იმპორტირებული საქონლით. გავხ-დით დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე.[180] სერიო-ზული პრობლემაა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. ამის გამო ქვეყნიდან უწყვეტად გაედინება მსყიდველობითი უნარი, რაც

---

[179] ამან განაპირობა თანამედროვე ეკონომისტების არაერთი წინადადება საბანკო სისტემის რადიკალური რეფორმირების თაობაზე, სადაც ძირითადი მოთხოვნაა 100%-იანი სარეზერვო ნორმის დაკანონება.

[180] „მოსაზრება, რომ ეკონომიკის გახსნილობა აიოლებს ღარიბი ქვეყნების ბედს, ეწინააღმდეგება საღ აზრს და ისტორიულ გამოცდილებას. ჩამორჩენილი ქვეყნის სწრაფმა ეკონომიკურმა გახსნილობამ მრავალჯერ გაანადგურა ისედაც სუსტი საწარმოო საქმიანობა, რომელიც იქ არსებობდა, და ამით გაამძაფრა სიტუაცია. წარსული დროის ბრძენი თეორეტიკოსები ჯეიმს სტიუარტი და ფრიდრიხ ლისტი აღნიშნავდნენ, რომ ვაჭრობა უნდა გაიხსნას თანდათან, რათა ღარიბი სავაჭრო პარტნიორის საწარმოო სექტორს მიეცეს მასთან ადაპტირების დრო. სწორედ ასე წარმართა ევროკავშირმა ესპანეთის ევროკავშირში ინტეგრაცია 1980-იან წლებში; ინტეგრაცია წარმატებით განხორციელდა. მაგრამ ტრიუმფალური განწყობების შედეგად, რომელიც დაიწყო 1989 წელს, ინტეგრაციის წინა გამოცდილება იქნა დავიწყებული და შეიცვალა შოკური თერაპიით“ (Рейнерт, 2011, 157). .... „ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობა იწვევს ნაკლებად ეფექტურ ქვეყნებში ყველაზე ეფექტური სამრეწველო სექტორების განადგურებას“ (იქვე).

ასუსტებს ეკონომიკას. მიუხედავად ამისა, ნეოლიბერალური პოლიტიკის წყალობით, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ქვეყანაში იზრდება წლიდან წლამდე;

9. ყოველივე ეს ხელს უშლის ეკონომიკაში ფუნქციონალურად ჩაკეტილი სტრუქტურების ფორმირებას, რაც საჭიროა მულტიპლიკაციის ეფექტის გასაძლიერებლად და ეკონომიკური ზრდის ასაჩქარებლად. მულტიპლიკაციის ეფექტი არის ეკონომიკური სისტემის ემერჯენტული თვისება. იგი ვერ დაიბადება, თუ ადგილობრივი ფირმები არ იქნებიან ერთმანეთის მიმწოდებლები და მომხმარებლები, თუ არ შეიქმნება ფულად-სასაქონლო ნაკადების წრიული კონტური, თუ ორიენტირებული იქნებიან მხოლოდ იმპორტზე ან ექსპორტზე, თუ არ გატარდება იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა.

ავად თუ კარგად, მაგრამ ნეოკლასიკური თეორიაც და მასზე დაფუძნებული ნეოლიბერალური პოლიტიკაც არ განიხილავენ ეკონომიკას, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების სისტემას. ხოლო, ჩვენს ეკონომიკაში ვერ განვითარდა სათანადოთ შიდასისტემური კავშირები. სანამ ეკონომიკა არ შეიძენს სისტემურობას და მთლიანობას, იგი საერთოდ ნაკლებად დაემორჩილება მაკროეკონომიკურ ზემოქმედებას, მათ შორის, ნეოკლასიკური რეცეპტებით ზემოქმედებას. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა ძნელად ემორჩილება რეგულირებას;

10. რა მივიღეთ ლიბერალური პოლიტიკის შედეგად? ბანკები აფინანსებენ ერთი მხრივ საქონლის იმპორტს, მეორე მხრივ, მის რეალიზებას; იმპორტი იზრდება; ქვეყნიდან გაედინება მსყიდველობითი უნარი; ითრგუნება მცირე და საშუალო ბიზნესი; არ იქმნება სამუშაო ადგილები; სამუშაო ძალა გადის ქვეყნიდან; არ იზრდება შემოსავლები; ქვეყანა გადაიქცა ვაჭრობის პოლიგონად; მოგებას ნახულობენ იმპორტიორები და ბანკირები, ხოლო მოსახლეობა ეფლობა ვალებში; საფინანსო „ბუშტი“ და კრიზისი ხდება გარდუვალი. ეს პროცესები ურთიერთგანაპირობებენ

ერთმანეთს და ეკონომიკა მოექცა „ხაფანგში“, საიდანაც ვეღარ გამოდის ულტრალიბერალური ცრურწმენების გამო.

ნეოლიბერალური პოლიტიკის არაეკონომიკური შედეგები

1. პრობლემას წრმოადგენს არა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, არამედ ის, თუ ვის ინტერესებში მოქმდებს იგი. ეკონომიკის ეფექტურობისათვის აუცილებელია დემოკრატიული მთავრობა, რომელიც წარმოადგენს ხალხის, და არა კლანების ინტერესებს. მაგრამ ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უშლის დემოკრატიულ პროცესებს, რადგან ზრდის ეკონომიკურ უთანაბ-რობას, რომელიც ტრანსფორმირდება პოლიტიკურ უთანაბრობაში. როდესაც მდიდრებს აქვთ დიდი გავლენა, ისინი აწესებენ პოლიტიკური თამაშის ისეთ წესებს, რომლებიც ანიჭებთ მათ უფრო მეტ გავლენას. ეკონომიკური უთანაბრობა ტრანსფორ-მირდება უფრო მეტ პოლიტიკურ უთანაბრობაში, ხოლო პოლიტიკური უთანაბრობა - მეტ ეკონომიკურ უთანაბრობაში (იხ. Stiglitz, 2012). იქმნება “მანკიერი წრე”, რომელიც ზრდის უფსკ-რულს საზოგადოებასა და ოლიგარქიულ ხელისუფლებას შორის, რაც ბადებს პოლიტიკურ არასტაბილურობას და მთავრდება პოლიტიკური კრიზისით. იქმნება ძალაუფლების უზურპაციის რეალური საფრთხე. „ერთია გაიმარჯვო პატიოსან და სამართლიან თამაშში. მეორეა გქონდეს შესაძლებლობა თვითონ დაადგინო თამაშის წესები, ამასთან, დაადგინო ისე, რომ იმთავითვე გაზარდო გარკვეული მოთამაშეების გამარჯვების შანსები. და კიდევ უფრო უარესი - თვითონვე აირჩიო თამაშის მსაჯებიც“ (Stiglitz, 2012, 38.);[181]

[181] მაგალითად, არჩევნების შედეგები დიდად არის დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას საერთო საარჩევნო ფონდი, საიდანაც თანაბრად დაფინანსდებიან პოლიტიკური პარტიები, კანონი აძლევს კერძო სუბიექტებს სასურველი პარტიების დაფინანსების უფლებას. ამის შედეგად გამარჯვების მეტი შანსები ეძლევათ ოლიგარქების და არა ხალხის

2. ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა განსაკუთრებით მახინჯ ფორმას ღებულობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. კერძოდ, ოლიგარქიული ხელისუფლება ხელს უწყობს საზოგადოების ბიუროკრატიზაციას და კრიმინალიზაციას. ბიუროკრატები და კრიმინალები მათ არ უქმნიან პრობლემებს. ისინი პრობლემებს უქმნიან საზოგადოებას. ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობა იწვევს შიდა სოციალურ კონფლიქტებს. სწორედ მათზე ხდება ოლიგარქების მიმართ დაგროვილი აგრესიის გადამისამართება. ეს აძლევს მათ საშუალებას ღარიბი და აგრესიული გარემოსგან იზოლირებით მშვიდად იცხოვრონ სასახლეებში სრულიად განსხვავებული ცხოვრებით. მიზანმიმართულად ინერგება ურთიერთსიძულვილი პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. ამის შედეგად საზოგადოება კარგავს მთლიანობას, იყოფა ურთიერთდაპირისპირებულ ნაწილებად პრინციპით „ჩვენ და ისინი“. ხოლო ხელისუფლება ახდენს მტყუან-მართალის გარჩევას, აწესრიგებს ურთიერთობებს მათ შორის და „წარმატებით“ აკეთებს კიდეც ამას შერჩევითი სამართალის საფუძველზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთი, სადაც ა. გაიდარის ნეოლიბერალური პოლიტიკა ლოგიკურად დასრულდა დემოკრატიულად არჩეული ვ. პუტინის დიქტატურით;

3. როგორც აღინიშნა, ნეოლიბერალური პოლიტიკა ზრდის უთანაბრობას. მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე *Oxfam*-მმა დაასახელა ხუთი მიზეზი, თუ რატომ გვაყენებს ზიანს უკიდურესი ეკონომიკური უთანაბრობა.[182] ძნელი არ არის პარალელების გატარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან.

ინტერესების დამცველ პარტიებს. ასეთი კანონით „დემოკრატიული“ გზით ხელისუფლებაში მოდის არადემოკრატიული მთავრობა.

[182] **Oxfam International** — 13 ორგანიზაციის კონფედერაციაა, რომლებიც 3000 პარტნიორთან ერთად 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ, რათა სათანადო გადაწყვეტა მოუძებნონ სიღარიბესა და უსამართლობას.

1) **უთანაბრობა ეკონომიკურად არაეფექტიანია,** რადგან იგი ასუსტებს მოთხოვნას: მდიდრები არ ყიდულობენ საქონელს და მომსახურებას იმ რაოდენობით, რამდენსაც იგივე ფულის რაოდენობით იყიდიდა უმრავლესობა. „დიდი სიმდიდრის და კაპიტალის კონსოლიდაცია ასე ცოტა ადამიანების ხელში არის არაეფექტური იმიტომ, რომ ეს ასუსტებს მოთხოვნას, ... მრავალ ქვეყანაში მრავალი წლის მანძილზე რეალური ხელფასები თითქმის არ გაზრდილა, მაგრამ უდიდეს მოგებას იღებს კაპიტალი. ამის მაგივრად ეს ფული უფრო თანაბრად რომ გადანაწილებულიყო მოსახლეობაში, მაშინ იგი მეტ ადამიანს მისცემდა მსყიდველობით უნარს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ზრდას და შეამცირებდა უთანაბრობას“ (OXFAM, 2013, 2).

2) **უთანაბრობა იწვევს პოლიტიკურ კოროზიას.** ფულის კონცენტრაცია შესაძლებელს ხდის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას მდიდრების სასარგებლოდ როგორც ლეგალური ლობირების, ისე კორუფციის გზით. „... „ფული არის ძალაუფლება“, ამიტომ უთანაბრობა საზოგადოებებში წარმოადგენს საფრთხეს დემოკრატიისთვის. ეს ძალაუფლება შეიძლება იყოს გამოყენებული ლეგალურად, ... მილიონების ხარჯვით პოლიტიკოსების ლობირებაზე, ან არალეგალურად, ფულის გამოყენებით პოლიტიკური პროცესის დასამახინჯებლად და დემოკრატიული გადაწყვეტილების საყიდლად. ... ეს ბადებს პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელია მდიდარი უმცირესობისთვის და არა ღარიბი უმრავლესობისთვის“ (იქვე).

3) **უთანაბრობა იწვევს სოციალურ განხეთქილებას.** „უკიდურესი სიმდიდრე და უთანაბრობა ... აძნელებს სოციალურ მობილურობას. თუ თქვენ დაიბადეთ ღარიბად ძალიან უთანაბრო საზოგადოებაში, დიდი ალბათობით თქვენ ასევე დარჩებით ღარიბი სიცოცხლის ბოლომდე. სოციალური მობილურობა სწრაფად დაეცა მრავალ ქვეყანაში, სადაც გაიზარდა უთანაბრობა. მდიდარი ელიტა იყენებს თავის ფულს მომსახურების საყიდლად,

იქნება ეს კერძო სკოლები თუ კერძო სამედიცინო მომსახურება. ამიტომ ისინი ნაკლებად არიან დაინტერესებული საზოგადოებრივი მომსახურებით ან გადასახადების გადახდით ... . ელიტის წარმომადგენლებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ აღმოჩნდნენ პოლიტიკურ სტრუქტურებში ან სხვა სახელისუფლებო პოსტებზე და გააღრმავონ უთანაბრობა. მოსალოდნელია, რომ მათი შვილებიც იქნებიან ასეთივე მდიდრები, თუ უფრო მდიდრები არა, ვიდრე მათი მშობლები, და უთანაბრობა გაიზრდება თაობებს შორის. უთანაბრობა დაკავშირებულია მრავალ სხვადასხვა სოციალურ პრობლემასთან, მათ შორის ძალადობასთან, ფსიქიურ აშლილობებთან, კრიმინალთან ... . უკიდურესი უთანაბრობა ცუდია ... მდიდრებისთვისაც. მდიდარი ადამიანები უფრო ბედნიერები და ჯანმრთელები არიან, როდესაც ცხოვრობენ უფრო თანასწორ საზოგადოებაში" (იქვე).

4) **უთანაბრობა ეკოლოგიურად დესტრუქციულია.** მდიდრები უფრო მეტად ფლანგავენ შეზღუდულ რესურსებს. რადგან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოქმედებები მათ აკარგინებენ მოგებას, და ისინი იყენებენ თავიანთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას ასეთი მოქმედებების წინააღმდეგ (იხ. Stiglitz, 2012).

5) **უთანაბრობა არაეთიკურია.** უკიდურეს სიღარიბეს ისევე შეუძლია მორალურად გახრწნას ადამიანი და უბიძგოს უღირს საქციელზე, როგორც უკიდურეს სიმდიდრეს, რომელიც ასუსტებს თვითნებობის მოთოკვის უნარს. გადაჭარბებული ეკონომიკური უთანაბრობა არის მრავალი მანკიერებისა და სოციალური ბოროტების წყარო;[183]

---

[183] ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი წერს ამერიკის შესახებ, სადაც ნეოლიბერალური პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა უთანაბრობა: „ახალგაზრდა ამერიკელების ცხოვრებისეული წარმატება უფრო მეტად არის დამოკიდებული მათი მშობლების შემოსავლებზე და განათლებაზე, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ... ჩვენ ვკარგავთ ყველაზე უფრო ძვირფას რესურსს, ჩვენს ადამიანურ რესურსებს: მილიონობით მათგანს, ვინც იმყოფება ფსკერზე, არ ეძლევა შესაძლებლობა იცხოვროს თავისი პოტენციალის შესაბამისად. მრავალი

5. ფული, შიში და იმედი არის ის ინსტრუმენტები, რომლითაც გაცილებით ადვილია ღარიბი უმრავლესობის მართვა, ვიდრე საშუალო ფენის. ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნება უფრო ადვილია პოლარიზებულ საზოგადოებაში, სადაც უმრავლესობას წარმოადგენს ღარიბი ფენა. როდესაც უმრავლესობაშია საშუალო ფენა, მაშინ ის თვითონ ირჩევს ხელისუფლებას დემოკრატიული გზით. თუ დიდია ღარიბი ფენა, მაშინ ხელისუფლებას ფაქტიურად *„ირჩევს“* მდიდარი უმცირესობა. ხოლო, ხელისუფლება იცავს იმის ინტერესებს, ვინც ფაქტიურად ირჩევს მას.

ერთ შემთთხვევაში მთავრობა ხელს უწყობს შემოსავლების გადანაწილებას და საშუალო ფენის ზრდას, მცირე ბიზნესის განვითარებას და რეგიონების ეკონომიკურ გამოთანაბრებას. ასეთი ეკონომიკა ჰარმონიულად ფუნქციონირებს, რადგან ფულადსასაქონლო ნაკადებს შორის ყალიბდება ოპტიმალური პროპორციები. ეს განაპირობებს მდგრად განვითარებას.

მეორე შემთხვევაში მთავრობა ხელს უწყობს უთანაბრობის, ღარიბი ფენის ზრდას და საშუალო ფენის განადგურებას. კლანები და ხელისუფლება იცავენ ერთმანეთის ინტერესებს. პოლიტიკოსები ღებულობენ ფინანსურ მხადაჭერას და იმარჯვებენ არჩევნებში, კლანები ღებულობენ სასურველ კანონებს და ეკონომიკურ პოლიტიკას. ხდება ეკონომიკის დერეგულირება, ძლიერდება

გამოკვლევა მიუთითებს ურთიერთკავშირზე შედეგების უთანაბრობასა და შესაძლებლობების უთანაბრობას შორის. როდესაც ადგილი აქვს შემოსავლების დიდ უთანაბრობას, მათ, ვინც მაღლაა, შეუძლიათ თავიანთი შვილებისთვის იყიდონ პრივილეგიები, რომელზეც ხელი არ მიუწვდებათ სხვებს ... . რა თქმა უნდა, თანაბარი შესაძლებლობების გარეშე, ისინი, ვინც დაიბადა სიღარიბეში, დიდი ალბათობით ასევე დაასრულებენ ცხოვრებას ... . რაც უფრო მეტი ქვეყანა გაიმეორებს ამერიკულ მოდელს, მით მეტად მიიღებენ ისეთივე შედეგებს, როგორმაც თავი იჩინა ამერიკაში“ (Stiglitz, 2012, 71). ქვეყნებში, სადაც დიდია უთანაბრობა ხშირად დიდია კორუფცია, რომელიც დამანგრეველ გავლენას ახდენს მორალზე, სოციალურ სოლიდარობაზე და ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. ამ ქვეყნებში ნაკლებად იდება ინვესტიციები საზოგადოებრივ დოვლათში, კერძოდ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ტექნოლოგიებში, განათლებაში და სხვ. (იხ. Stiglitz, 2012).

შემოსავლების და სიმდიდრის პოლარიზაცია, იზრდება რეგიონული განვითარების უთანაბრობა, ძლიერდება მონოპოლიები, იკვეცება სოციალური პროგრამები, ხდება გარემოს დაბინძურება და ა.შ.. ასეთი ეკონომიკა ვერ ფუნქციონირებს ჰარმონიულად, რადგან მახინჯდება ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციები. ასეთ პირობებში გარდუვალია ეკონომიკური ზრდის შენელება, ფინანსური არასტაბილურობა და კრიზისი.

ნეოლიბერალური დისკურსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

1. თანამედროვე პირობებში ხელისუფლების შესანარჩუნებლად არ არის საკმარისი ძალოვანი სტრუქტურები. ხელისუფლება ცდილობს მიმართოს არა „იძულებას“, არამედ „დარწმუნებას“, იყენებს ე.წ. „რბილ ძალაუფლებას“.[184] კომპიუტერიზაციის და ინტერნეტის ეპოქაში ხელისუფლებისათვის ძნელია ინფორმაციის მიწოდებაზე კონტროლი, ამიტომ იგი ცდილობს გავლენის მოხდენას ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე; პრიორიტეტებზე, შეფასებებზე და, როგორც შედეგი, მოქმედებებზე.[185] ამისთვის

---

[184] „რბილი ძალაუფლება - არის ძალაუფლება, რომელიც რეალიზდება კომუნიკაციური ზემოქმედების ფორმით, რომლის დროსაც ძალაუფლებით ნაკარნახები ქცევა რეციპიენტის მიერ აღიქმება როგორც თავისუფალი და ნებაყოფლობითი არჩევანი“ (Русакова, 2012, 202). „ .... მაშინ როდესაც, კლასიკური თვალსაზრისით ძალაუფლება განისაზღვრება კლასის და წარმოების მატერიალურ საშუალებებზე კონტროლის ტერმინებში, დღეს ძალაუფლება ფართოდ განიმარტება როგორც კონტროლი მასების ცნობიერებაზე, რომელიც გულისხმობს კონტროლს საჯარო დისკურსზე ყველა მის სემიოტიკურ განზომილებაში“ (ван Дейк, 2013, 32).

[185] „... ძალაუფლების დისკურსიულ ტექნოლოგიას შეუძლია არა მარტო ზემოქმედება იქონიოს ინფორმაციის მიმღები ადრესატის ცნობიერებაზე, არამედ მართოს კიდეც მისი ქცევა სპეციალური შეფასებების, პრიორიტეტების, ემოციების დანერგვით. ... მასმედიური დისკურსის მაგალითები, რომლებიც კონსტრუირებულია ... ფოკუსირების, დეფოკუსირების, ფსევდოსოციალური შეფასებების, შეცდომაში შეყვანის და სხვ. ლინგვოკოგნიტური მექანიზმებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან საზრისით მანიპულირებას, მის დამახინჯებას ან დამალვას, ცნებების ჩანაცვლებას, ამტკიცებენ, რომ სემანტიკური ვარირება ხელს უწყობს

ხელისუფლება წარმართავს დისკურსებს, რომელშიც კოდირებულია მისთვის სასურველი ფარული საზრისების მატრიცა. ვინც წარმართავს დისკურსს, ის ფლობს ძალაუფლებას.

„საჯარო დისკურსზე კონტროლი - არის აუდიტორიის ცნობიერებაზე კონტროლი, და ესე იგი, არაპირდაპირ, იმაზე, თუ რა სურს და რას აკეთებს აუდიტორია. მას, ვისაც შეუძლია ადამიანების დარწმუნება, ცდუნება, შთაგონება ან მანიპულირება, არ სჭირდება ძალის გამოყენება. ამ თვალსაზრისით თანამედროვე სიმბოლური ელიტები - პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მასწავლებლები, ადვოკატები, ჩინოვნიკები და ყველა, ვისაც გააჩნია განსაკუთრებული წვდომა საჯარო დისკურსზე, ან ბიზნეს-მენეჯერები, რომლებიც ირიბად აკონტროლებენ ამ წვდომას (მაგალითად, მასმედიის იმპერიების მფლობელები) ... მათ ყველას შეიძლება უწოდოთ ძალაუფლების მქონე ჯგუფები, ...“ (ван Дейк, 2013, 32).

დისკურსის ძალაუფლება არ არის ლოკალიზებული, იგი თითქოს ყველგან არის და კონკრეტულად არსად არის. იგი გაბნეულია სოციუმში და პერსონიფიცირებულია ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ინტელექტუალებში, რომლებიც დომინირებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, განათლების დისკურსებში. მათ გააჩნიათ სათანადო ცოდნა, ფლობენ პროფესიულ „სლენგს“, რათა აკადემიურ ენაზე ილაპარაკონ მეცნიერების სახელით, განაცხადონ პრეტენზია „ჭეშმარიტების“ ცოდნაზე. მეცნიერული „ჭეშმარიტების“ ფლობა მეცნიერების ეპოქაში ხდება ძალაუფლების წყარო.[186] ამიტომ, თანამედროვე დისკურსებში გავლენის მოსაპოვებლად აპელირება პირველ რიგში

შეფასებების და ემოციების შეცვლას, „თავს ახვევს“ სიტუაციისადმი გარკვეულ დამოკიდებულებას, ცვლის აღქმის მოდალურობის ფოკუსს. კრიტიკულად მოაზროვნე ინდივიდები, აცნობიერებენ რა დისკურსის მეშვეობით ცნობიერებაზე ზემოქმედების მქონე ასეთ ტექნოლოგიებს, რწმუნდებიან მათი საჯაროდ მეცნიერული დეკონსტრუქციის აუცილებლობაში“ (Якоба, 2015, 186).

[186] მსგავსად იმისა, როგორც შუა საუკუნეებში რელიგიური „ჭეშმარიტების“ ცოდნა ანიჭებდა მას საკრალურ ძალაუფლებას.

ხდება ცოდნაზე და მეცნიერების ავტორიტეტზე. ცოდნასა და ძალაუფლებას შორის კავშირი სიღრმისეულად გამოიკვლია ფრანგმა პოსტსტრუქტურალისტმა მიშელ ფუკომ.

„ფუკოსთან „ძალაუფლების“ გაგების სპეციფიკა პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვლინდება როგორც „მეცნიერული დისკურსების“ ძალაუფლება ადამიანის ცნობიერებაზე. სხვა სიტყვებით, მეცნიერების მიერ მოპოვებულ „ცოდნას“, რომელიც თავის თავად ფარდობითია და ამიტომ თითქოსდა საეჭვოა „საყოველთაო ჭეშმარიტების“ თვალსაზრისით, თავს ახვევენ ადამიანის ცნობიერებას როგორც „უდაო ავტორიტეტს“, რომელიც აიძულებს და უბიძგებს მას იაზროვნოს უკვე წინასწარ გამზადებული ცნებებით და წარმოდგენებით“ (Ильин, 1996, 69).

დისკურსიული პრაქტიკებით ერთობლივად იქმნება სემანტიკური ველი, რომელიც გამეორების და ტირაჟირების მეშვეობით ქმნის ფართოდ აღიარებული საზრისების სივრცეს. საზოგადოებრივი ცნობიერება უნებლიედ ეხვევა ხელისუფლების ნებით შექმნილ „საზრისების ბადეში“. დისკურსის უშუალო მონაწილეები ყოველთვის ვერც აცნობიერებენ, რომ დისკურსების კონტექსტში ჩადებულია ფარული საზრისების სისტემა, რომელიც ანონიმურად ზემოქმედებს ადამიანების ქვეცნობიერებაზე და თავს ახვევს მათ სოციალური პროცესების გარკვეულ ინტერპრეტაციას, შეფასებებს და მოვლენებისადმი ემოციურ-ნებელობით დამოკიდებულებას. შესაბამისად, ვერ აცნობიერებენ, რომ დისკურსის ნამდვილი სუბიექტი არის ხელისუფლება, რომელიც ლაპარაკობს მათი პირით.

დისკურსის ბანალური კლიშეებიდან მისი კონტექსტუალური საზრისების სფეროში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი *დეკონსტრუქციის* გზით. როგორც კი ვახდენთ მეცნიერული და ენობრივი კონსტრუქტების დეკონსტრუქციას, აუდიტორია მაშინვე გამოდის ფსევდოლოგიკის გავლენიდან, რომელსაც დისკურსი თავს ახვევს მას. ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვყნებში განსაკუთრებული

პასუხისმგებლობა ენიჭება პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციას, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია დეკონსტრუქციის განსახორციელებლად და შეუძლია კონტრდისკურსების ინიცირება.[187] ასაბუთებს რა დეკონსტრუქციის აუცილებლობას, ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ დერიდა წერს:

> *„თავისი ლოგოკის კანონების შესაბამისად იგი აკრიტიკებს ფილოსოფემების არა მხოლოდ შინაგან სტრუქტურას, ერთდროულად სემანტიკურს და ფორმალურს, არამედ იმასაც, რასაც მათ შეცდომით მიაწერენ როგორც მათ გარეგან არსებობას, მათი რეალიზების გარეგან პირობებს: პედაგოგიკის ისტორიულ ფორმებს, ამ ინსტიტუტის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ სტრუქტურებს. სწორედ იმიტომ, რომ იგი ეხება ფუძემდებლურ სტრუქტურებს, 'მატერიალურ' ინსტიტუტებს, და არა მხოლოდ დისკურსებს ან აღმნიშვნელ რეპრეზენტაციებს, დეკონსტრუქცია ყოველთვის განსხვავდება უბრალო ანალიზისაგან ან 'კრიტიკისაგან' "(Derrida, 1967, 23-24).*

2. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში დომინირებს ნეოლიბერალური დისკურსი,

---

[187] „როგორც ამბობდა მიშელ ფუკო, დისკურსის ფლობა ნიშნავს ძალაუფლების ფლობას. თანამედროვე ელიტები არ ახორციელებენ ჰეგემონიის პოლიტიკას პირდაპირი იძულების მეშვეობით. ... თვით ცნება „ელიტა" დღეს უკვე ნიშნავს არა მარტო, და არა იმდენად, პოლიტიკურ ჯგუფებს, ... ელიტური გაერთიანებები - ეს არის სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებრივი ექსპერტიზის და კონტროლის ფუნქციას: ექიმები, მასწავლებლები, იურისტები, ჩინოვნიკები, ჟურნალისტები, ბიზნეს-ექსპერტები. თუ ცალკეული პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ლიდერის კრიტიკა არ წარმოადგენს სირთულეს არც იდეური, არც პრაქტიკული თვალსაზრისით. ამ ჯგუფების „ობიექტური, სამართლიანი და რაციონალური" პოზიციების კრიტიკა ... მოითხოვს განსაკუთრებულ გამზედაობას, თავდადებას და „მკვლევარის ინტუიციას". ელიტის ძალაუფლების კრიტიკა ნიშნავს, რომ საკუთარი ცოდნა უნდა გახადო ანალიზის საგანი. ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია სპეციალური მეცნიერული მეთოდოლოგიის ფლობა, რომელიც საშუალებას იძლევა ელიტური ჯგუფებით დეტერმინირებული ენის და დისკურსის ფარგლებს გარეთ გასვლას თუ არა, მათი იდეოლოგიური, ძალაუფლებრივი პოტენციალის მთლიანობაში შეფასების საშუალებას მაინც" (ван Дейк, 2013, 8).

რომელშიც არტიკულირებული მიზნები და დაპირებული რეზულტატები დიამეტრალურად განსხვავდებიან იმისაგან, რაც რეალურად დევს დისკურსის საზრისშემოქმედ მატრიცაში. მართვადი მასმედიის მიერ პროფესიონალურად წარმართული ნეოლიბერალური დისკურსის პირობებში, საზოგადოება ვერ გარკვეულა თუ რა ხდება. დეკლარირებული პოლიტიკის არგუმენტები საზოგადოებისთვის მისაღებია, მაგრამ ფაქტიური შედეგები - მიუღებელია. ქვემოდ მოყვანილია ამ დისკურსის რამდენიმე სტერეოტიპული დებულება, რომლებიც ცხადყოფენ ნეოლიბერალური პოლიტიკის ფსევდოლოგიკას. მაგალითად:

1) ხელისუფლებაში მისასვლელად პოლიტიკოსებს ბიზნსმენებისგან სჭირდებათ ფული და ამომრჩევლებისგან - საარჩევნო ხმები. ამიტომ ბიზნესმენებს ისინი პირდებიან გადასახადების შემცირებას, ხოლო ამომრჩევლებს - მაღალ ხელფასებს და პენსიებს. მაგრამ არაფერს ამბობენ, რომ ერთდროულად ორივე დაპირების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო დეფიციტის, სახელმწიფო ვალის და, ესე იგი, ინფლაციის ზრდის ხარჯზე. ანუ, არაფერს ეუბნებიან ხალხს იმის შესახებ, რომ რასაც საჯაროდ მისცემენ ერთი ხელით, ფარულად ისევ წაართმევენ მეორე ხელით.

2) ოლიგარქების ხელშეწყობით ხელისუფლებაში მოდის მთავრობა, რომელიც აცხადებს კონკურენციის ხელშეწყობას. მაგრამ მსხვილი ბიზნესის მიერ მონოპოლიზირებულ ეკონომიკაში ეს იძენს საპირისპირო, ანუ, კონკურენციის შეზღუდვის, მნიშვნელობას. რადგან ასეთ გარემოში მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ქმნის კონკურენტულ გარემოს, რჩება დაუცველი მსხვილი ბიზნესის წინაშე, რომელიც სწორედ რომ ახშობს კონკურენციას და ამკვიდრებს მონოპოლიურ და ოლიგოპოლიურ საბაზრო სტრუქტურებს.

3) ხელისუფლება აცხადებს მეწარმეობის ხელშეწყობას, მაგრამ რეალურად ახშობს მას. რადგან მეწარმეობა პირველ რიგში

რეალიზდება მცირე და საშუალო ბიზნესში, რომელიც იზღუდება ამ პოლიტიკის პირობებში. ხოლო მსხვილ ბიზნესში მკვეთრად შემცირებულია და დივერსიფიცირებულია სამეწარმეო რისკები, გაცილებით გაზრდილია დაგეგმვის კომპონენტი, რომელიც ეფუძნება გრძელვადიან კონტრაქტებს და, შესაბამისად, მეწარმეობას, თავისი პირვანდელი გაგებით, აქ ნაკლებად აქვს ადგილი.[188]

4) მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ხელისუფლება ამართლებს მოგების გადასახადის შემცირებას. მაგრამ აბსოლუტურ მაჩვენებლებში მსხვილი ბიზნესის მოგება გაცილებით აღემატება მცირე და საშუალო ბიზნესის მოგებას. ამიტომ გადასახადის შემცირების მთავარი ბენეფიციარი არის მსხვილი ბიზნესი. და მისი ინტერესების რეალიზება ხდება საბიუჯეტო შემოსავლების და, ესე იგი, პენსიონერების, მასწავლებლების და ზოგადად საზოგადოების ინტერესების ხარჯზე.

5) ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათები არგუმენტირებულია იმით, რომ იგი იწვევს მეწარმეების გააქტიურებას, სამუშაო ადგილების შექმნას და, როგორც შედეგი, შემოსავლების ზრდას. მგრამ რეალური შედეგი არის საპირისპირო. რადგან სამუშაო ადგილებს ქმნის მოთხოვნა, და არა მეწარმე. ხოლო მოთხოვნა ვერ გაიზრდება, თუ არ გაიზარდა უმრავლესობის მსყიდველობითი უნარი. ეს კი ვერ მოხდება, თუ არ განვითარდა მცირე და საშუალო ბიზნესი და დასაქმება; თუ არც საბიუჯეტო შემოსავლები იზრდება (რაც აფერხებს პენსიების, შემწეობების, ხელფასების ზრდას).

6) ცხადდება, რომ საბანკო სისტემის დერეგულირების პირობებში იპოთეკური და სამომხმარებლო კრედიტების ზრდა ხელს

---

[188] საინტერესოა, რომ ცნობილი ეკონომისტი ჯ. გელბრეიტი თავის წიგნში ***Economics and the Public Purpose*** („ეკონომიკური თეორია და საზოგადოებრივი მიზანი“, 1973), აღნიშნავს, რომ ტექნოსტრუქტურებით მართული კორპორაციები წარმოადგენენ ეკონომიკის დაგეგმვად ქვესისტემას, ხოლო მცირე ფირმები - საბაზრო ქვესისტემას.

შეუწყობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას და, როგროც შედეგი, ეკონომიკურ ზრდას. ანუ, დადებითად იმოქმედებს ცხოვრების დონის ამაღლებაზე. მაგრამ საკრედიტო ექსპანსიის რეალური შედეგია ის, რომ: 1) რიგითი მომხმარებლები მოიხმარენ მეტს, ვიდრე აქვთ შემოსავლები და ეფლობიან ვალებში; 2) მშპ-თან შედარებით კრედიტების წინმსწრები ტემპით ზრდა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ის ნორმალური ზრდის შესანარჩუნებლად, რის გამოც ეკონომიკა ხდება ფინანსურად არასტაბილური, იქმნება საფინანსო ბუშტები, რაც ადრე თუ გვიან, მთავრდება კრიზისებით; 3) ნაწილობრივი რეზერვირების საბანკო სისტემაში გაცემული კრედიტები იქმნება „ჰაერიდან“, არ არის გამყარებული რეალური რესურსებით. ეს იწვევს ფულის პერმანენტულ გაუფასურებას და, ესე იგი, საზოგადოების მსყიდველობითი უნარის შემცირებას. ანუ, საზოგადოებას ერთდროულად აძლევენ სესხებს და თან ართმევენ მსყიდველობით უნარს. ამ პოლიტიკის შედეგად ბანკირები მდიდრდებიან, საზოგადოება ღარიბდება, ეფლობა ვალებში, ხოლო კრიზისი ხდება გარდუვალი.

7) ინერგება სოციალური სამართლიანობის ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად, შემოსავლები უნდა იყოს დამსახურების ადეკვატური. ინერგება აზრი, რომ მდიდრებმა თავისი შრომით მოიპოვეს სიმდიდრე და ამიტომ მათი შემოსავლების გადანაწილება არის უსამართლობა. მაგრამ, *პოსტსაბჭოთა ოლიგარქია* წარმოიშვა ხალხის ქონების მითვისებით. ასეთ კონტექსტში, გადასახადებისგან თავის არიდება, რაც შეაფერხებს პენსიების და შემწეობების ზრდას მის მიერვე გაძარცულ საზოგადოებაში, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სამართლიანობად. ამასთან, ეკონომიკური უთანაბრობა ბადებს შესაძლებლობების უთანაბრობას. ასეთ კონტექსტში სამართლიანობის თავსმოხვეული ინტერპრეტაცია არარელევანტურია.

8) სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებას ამართლებენ იმით, თითქოს იგი თავისი ბუნებით არის კორუფციის და

ნეპოტიზმის წყარო და ამას პროგნოზირებენ ნებისმიერი მთავ-რობისთვის. ხოლო, რეალურად ასეთია ოლიგარქების მიერ „არჩეული“ მთავრობა. ოლიგარქები თვითონ უწყობენ ხელს კორუფციის და ნეპოტიზმის გავრცელებას სამთავრობო სტრუქ-ტურებში და ამით თვითონვე უწყობენ ხელს თავიანთი პროგნო-ზების აღსრულებას. თანამედროვე პირობებში არაკორუმპი-რებული მთავრობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური და, საერთოდ, სოციალური პროგრესი.

9) ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა ცხადდება როგორც უნივერსალური და ეკონომიკურად ეფექტიანი. მაგრამ, ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი სპეცი-ფიკით. ნეოლიბერალური პოლიტიკა კონცეპტუალურად არ ითვალისწინებს ქვეყნების სპეციფიკას (ეკონომიკურ პოტენციალს, დარგობრივ სტრუქტურას, სოციალურ კაპიტალს, გეოპოლიტიკურ გარემოს, ბუნებრივ რესურსებს და სხვ.). ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც იგი გატარდა, მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.[189]

10) აპელირება ხდება ნეოკლასიკურ თეორიაზე, როგორც მეცნიერებაზე, ანუ იშველიებენ მეცნიერების ავტორიტეტს. მაგრამ ნეოკლასიკური თეორია არ ასახავს რეალობას და დღეისათვის წარმოადგენს ფსევდომეცნიერებას, რომელმაც შეიძინა იდეოლო-გიის ფუნქციები. ანუ, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა რეალურად ეფუძნება არა მეცნიერებას, არამედ ოლიგარქიული ხელისუფლების იდეოლოგიას;

---

[189] „ახალმა ეკონომიკურმა ლოგიკამ გამოიწვია რეალური ხელფასის დონის დაცემა აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში“ (Рейнерт, 2011, 9). „თანამედროვე მეინსტრიმული ეკონომიკური მეცნიერების თეორმა ლაქებმა ხელი შეუშალეს მრავალი ღარიბი ქვეყნის განვითარებას. ჩინეთი და ინდოეთი (დღეისათვის ყველაზე წარმატებულნი განვითარებად ქვეყნებს შორის) განვითარდნენ მათ საწინააღმდეგოდ, რადგან 50 წლის განმავლობაში მისდევდნენ მარშალის გეგმის, და არა ვაშინგტონის კონსენსუსის რეკომენდაციებს“ (Рейнерт, 2011, 162).

3. დისკურსებს შორის დომინირებისათვის ბრძოლა არის მთავარი ბრძოლის ველი ოლიგარქიულ ხელისუფლებებსა და რეფორმატორებს შორის. ეს ეხება როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ დისკურსებს. მათი გავლენით თანდათან ხდება ფასეულობების გადაფასება. უსამართლობის, ტერიტორიული მთლიანობის, ეკოლოგიის, კულტურული მემკვიდრეობის და სხვ. პრობლემების ნაცვლად ყურადღების ცენტრში ხვდება ყოველ-დღიური საზრუნავი, საარსებო სახსრების მოპოვება, საკუთრების და ღირსების დაცვა, უმუშევრობა და პენსიები.[190] საზოგადოებაში ისადგურებს შიში, ნიჰილიზმი და აპათია.

გარდუვალია, რომ ადრე თუ გვიან ასეთი რეჟიმი „აფეთქდება", ანუ ნეოლიბერალიზმი არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ პროცესებშიც წარმოშობს არასტაბილურობას და კრიზისს. სანამ საზოგადოება არ გააცნობიერებს, რომ ოლიგარქიული ხელისუფლება შეგნებულად უწყობს ხელს სიღა-რიბეს, კორუფციულ, ბიუროკრატიულ და კრიმინალურ გარემოს და პარალელურად ქმნის მასთან ბრძოლის ილუზიას, იქამდე იგი დარჩება თავისივე გულებრყვილობის მძევალი. მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ არსებული დემოკრატიული უფლებების ფარგლებში საზოგადოების პოლიტიკური და მოქალაქეობრივი გააქტიურებით. თუ საზოგადოება არ გამოი-ყენებს დღეს არსებულ დემოკრატიულ უფლებებს, ხვალ შესაძლოა აღარ ჰქონდეს ისინი. „ვინც არ იყენებს თავის უფლებებს, იგი კარგავს მათ" (ჰეგელი).

როგორც ხალხზეა დამოკიდებული თუ როგორ ხელისუფ-ლებას ირჩევს იგი დღეს, ისე ხელისუფლებაზეა დამოკიდებული

---

[190] „საჯარო დისკურსის წარმოების პროცესის ნაწილზე კონტროლი ნიშნავს კონტროლს მისი შინაარსის ნაწილზე, და ესე იგი, აგრეთვე საზოგადოებრივ ცნობიერებაზე არაპირდაპირ კონტროლს - შესაძლოა, არა უშუალოდ იმაზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, იმაზე, თუ *რაზე* ფიქრობენ ისინი" (ван Дейк, 2013,15).

თუ როგორი არჩევნები იქნება ხვალ, ... ან საერთოდ, იქნება თუ არა. საზოგადოება და ხელისუფლება აყალიბებენ ერთმანეთს და ერთად ქმნიან ერის ისტორიას.

დასკვნა

1. 30-ანი წლების „დიდი დეპრესიის“ შედეგად ცხადი გახდა, რომ საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება ვეღარ ხდება და ეკონომიკა საჭიროებს რეგულირებას; 70-ანი წლების კრიზისმა ცხადი გახადა, რომ ეკონომიკის რეგულირება არ შეიძლება კეინზიანური მეთოდებით; ხოლო, 2008 წლის „დიდმა რეცესიამ“ ცხადი გახადა, რომ არც ეკონომიკის დერეგულირება შიძლება ნეოლიბერალური პოლიტიკის მეშვეობით. ხოლო, როგორ მოხდეს რეგულირების და თვითრეგულირების თანაარსებობა ერთიანი სისტემის ფარგლებში, ანუ, როგორ მოხდეს სტიქიური საბაზრო ძალების კანალიზება მიზანმიმართული რეგულირების საფუძ-ველზე, ამის თაობაზე განსხვავებული პოზიციების შეჯერება დღემდე ვერ ხერხდება;

2. კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკაში ფულად-სასაქონლო ნაკადებს შორის ოპტიმალური პროპორციების უზრუნველყოფა ხდება თვითრეგულირების მექანიზმის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს ენდოგენური ეკონომიკური ციკლი. შესაბამისად, კრიზისი არის თვითრეგულირებისათვის აუცილებელი პროცესი, რომლის დროსაც ხდება ეკონომიკურ ნაკადებს შორის დარღვეული პროპორციების აღდგენა. ხოლო საბაზრო ეკონომიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მონოპოლიზაციის პირობებში, თვითრეგულირების მექანიზმი მოშლილია და შიდასისტემური პროპორციების უზრუნველყოფა დამატებით საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში.[191] ანუ,

[191] მსგავსი პრობლემა დაიბადა პოსტსაბჭოთა ეკონომიკებში, სადაც გატარდა „შოკური თერაპია“. ასეთი ეკონომიკა აღმოჩნდა ისეთ პირობებში, როდესაც

საბაზრო თვითრეგულირების და სახელმწიფო რეგულირების თანაარსებობა და ამ პროცესების სინქრონიზაცია ხდება აუცილებელი. მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭიროა მეცნიერული ცოდნა, თუ როგორ ხდება თვითრეგულირება თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ამ პრობლემის თეორიულ კვლევას გააჩნია დიდი მნიშვნელობა და მისი გადაჭრის ნებისმიერი არგუმენტირებული კონცეფცია საჭიროებს ყურადღებას. რაც უფრო გაიწელება დროში პრობლემის გადაჭრა, მით უფრო დიდხანს გაგრძელდება არაჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკა თავისი დამანგრეველი შედეგებით.

ნიშანდობლივია, რომ ნეოლიბერალების ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს წარმოადგენს მათი პოლიტიკის ალტერნატივის არარსებობა. ამასთან დაკავშირებით რ. მაკჩესნეი წერს:

> *„ ... ნეოლიბერალიზმის მომხრეების საბოლოო კოზირს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს არავითარი ალტერნატივა. კომუნისტური საზოგადოებები, სოციალური დემოკრატიები, და ზომიერად სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოები, როგორიც არის შეერთებული შტატები, ყველამ განიცადა მარცხი - აცხადებენ ნეოლიბერალები, და მათმა მოქალაქეებმა მიიღეს ნეოლიბერალიზმი როგორც ერთადერთი რეალური კურსი. შესაძლოა ეს არ არის სრულყოფილი, მაგრამ, ეს არის ერთადერთი შესაძლებელი ეკონომიკური სისტემა“ (McChesney, 1999, 5).*

რატომ არ არის ალტერნატივა? ცხადია, ალტერნატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას სჭირდება შესაბამისი ეკონომიკური თეორია. სანამ მეცნიერებს არ ეცოდინებათ როგორ ხდება თვითრეგულირება კონკურენციის პირობებში, იქამდე ვერ შეიქმნება ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა და ვერ მოხდება „თვითრეგულირების რეგულირება“ მონოპოლიზებულ ეკონომი-

---

ცენტრალიზებული მართვა აღარ ხდებოდა, ხოლო კონკურენცია ჯერ არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობების არარსებობის გამო.

კაში. ნეოკლასიკური თეორია არ იძლევა ამის საშუალებას. მეტიც, ეს თეორია დიდი ხანია საერთოდ ვეღარ პასუხობს თანამედროვე მეცნიერების კრიტერიუმებს და შეიძინა იდეოლოგიის ფუნქცია. მსგავსად მარქსისტული პოლიტეკონომიისა კომუნისტურ საზოგადოებაში, ნეოკლასიკური თეორია გამოხატავს საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ინტერესებს. სწორედ ამით არის განპირობებული მისი დოგმატიზება და ეკონომიკური თეორიის განვითარების ხელოვნური ბლოკირება.

„ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ ეკონომიკურ მეცნიერებაში უსაზღვროდ გაბატონდა ვარიაციები ნეოკლასიკური თეორიის თემაზე. მაგრამ ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია იყო შეუმოწმებელი თეორია. მართალია ცივი ომის დროს ნეოკლასიკური თეორია გამოყენებული იქნა როგორც ეფექტური იდეოლოგიური ფარი, მაგრამ მისი პოსტულატებით არც ერთი ქვეყანა არ აშენებულა“ (Рейнерт, 2011, 161).

მსგავსი შეხედულებები აქვთ მრავალ მეცნიერს. ამერიკელი ეკონომისტის რობერტ ნელსონის წიგნის *„ეკონომიკსი როგორც რელიგია: სამუელსონიდან ჩიკაგომდე და შემდეგ“* მთავარი იდეა სწორედ ეს არის, რომ ეკონომიკსი რელიგიას უფრო ჰგავს, ვიდრე მეცნიერებას. მას მიაჩნია, რომ ეკონომიკსმა ჩაანაცვლა რელიგია მატერიალური პროგრესის რწმენით.

„ეკონომისტები თავს მიიჩნევენ მეცნიერებად, მაგრამ ... ისინი უფრო გვანან თეოლოგებს. ეკონომიკური პროფესიის თანამედროვე წარმომადგენლებისათვის უახლოესი წინამორბედნი არ არიან ისეთი მეცნიერები, როგორც ალბერტ ეინშტეინი და ისაკ ნიუტონი; ჩვენ, ეკონომისტები, უფრო მეტად ვართ თომა აქვინელის და მარტინ ლიუთერის შთამომავალნი“ (Nelson, 2001, xv). „ ისინი [ნეოლიბერალები - ა.ლ.] გვთავაზობენ ... რელიგიურ რწმენას თავისუფალი ბაზრის შეუმცდარობაში და საზრდოობენ მეცხრამეტე საუკუნის თეორიებით, რომელთაც არა აქვთ კავშირი რეალობასთან “ (McChesney, 1999, 6).

3. ეკონომიკური პროცესები დამოკიდებულია ეკონომიკურ ცოდნაზე, იდეებზე, წარმოდგენებზე, რომლებიც დომინირებენ მეცნიერულ დისკურსებში, პოლიტიკურ წრეებში, ეკონომისტებში და მთლიანად საზოგადოებაში. ამიტომ, პოლარიზებულ საზოგადოებაში ოლიგარქიული ხელისუფლება ცდილობს ხელი შეუწყოს ულტრალიბერალური იდეების დანერგვას საზოგადოებაში, სასწავლო პროცესში, ლიბერალური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიის რანგში აყვანას, რათა მოიპოვოს საზოგადოების მხარდაჭერა თავისი პოლიტიკის გასატარებლად. მდიდარი კლანები ცდილობენ უალტერნატივო გახადონ ლიბერალიზმის იდეები და საზოგადოებისთვის მიუღებელი გახადონ განსხვავებული აზრი. ხოლო ნეოლიბერალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს ნეოკლასიკური თეორია თავისი დოგმებით. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ უმაღლეს ეკონომიკურ განათლებაშიც უალტერნატივოდ ისწავლება ნეოკლასიკური თეორია („ეკონომიკსი“), და ხდება მომავალი პოლიტიკოსების, ექსპერტების, ლექტორების, მეცნიერების, სახელმწიფო მოხელეების მენტალური პროგრამირება. ხდება საზოგადოებრივი აზრის მიზანმიმართული ფორმირება.[192] მეცნიერების სახელით საზო-

[192] ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მე-20 საუკუნის ცნობილი მოაზროვნეების მიშელ ფუკოს და ნომ ჩომსკის დიალოგი: მ. ფუკო: „... ითვლება, ... რომ ძალაუფლება ლოკალიზებულია მთავრობის ხელში, და რომ მისი რეალიზება ხდება გარკვეული რაოდენობის სპეციალური ინსტიტუტებით, ისეთი, როგორიც არის პოლიცია, არმია, უწყებრივი და სახელმწიფო აპარატი. ... მაგრამ, მე მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ძალაუფლება რეალიზდება აგრეთვე გარკვეული რაოდენობის იმ ინსტიტუტებით, რომლებსაც, ერთი შეხედვით არაფერი აქვთ საერთო პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ... ადამიანებმა ეს იციან ოჯახთან, უნივერსიტეტთან და საერთოდ განათლების სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც, ერთი შეხედვით, იქმნება იმისთვის, რომ გაავრცელოს ცოდნა, ხოლო სინამდვილეში შექმნილია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ძალაუფლება და გამორიცხოს ყველა სხვა საზოგადოებრივი კლასის ძალაუფლების იარაღი. ... მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში, ... ნამდვილი პოლიტიკური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განიხილოს და გააკრიტიკოს

გადოებაში ინერგება ფსევდომეცნიერული იდეები, რომლებიც განაპირობებენ სახელმწიფოს არაადეკვატურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ეკონომიკური სუბიექტების არასწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს, რასაც მოსდევს საზოგადოებისთვის კონტრ-პროდუქტიული მოქმედებები.

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დროა საჯაროდ ვაღიაროთ არსებული საბაზრო თეორიების ნაკლოვანებები და, მართლაც, გავაცნობიეროთ რომ ისინი ვერ პასუხობენ მეცნიერულ კრიტერიუმებს. თავის მხრივ, ეს არის ძლიერი სიგნალი ნეოლიბერალური იდეოლოგიისათვის, რომ მისი რეცეპტები პოლიტიკისათვის არ ემყარება ჯასაღ ინტელექტუალურ საფუძველს. 2007-2008 წლების კრიზისმა მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა გადავაფასოთ ჩვენი ძირითადი იდეები და წარმოდგენები, და წამოვიწყოთ ახალი კვლევითი პროგრამა ... . რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ პირველები, ვინც მოუწოდებს ეკონომიკური თეორიის პარადიგმის შეცვლისაკენ. მრავალი ავტორი, როგორც კრიზისამდე, ისე მის შემდეგ, მიუთითებდა ნეოკლასიკური თეორიის ფუნდამენტურ პრობლემებზე და მის უუნარობაზე ასახოს რეალობა. ... არსებული პარადიგმის შეცვლა მნიშვნელოვანი ამოცანაა, და მისი მიღწევა შესაძლებელია მათი მუდმივი კოლექტიური ძალისხმევით, ვინც არ იზიარებს ნეოკლასიკური თეორიის წინაპირობებს და დასკვნებს“ (Slattery, 2013,325).

ხშირად ეკონომისტები უფრო ცდილობენ ეკონომიკურ რეალობაზე ზემოქმედებას, ვიდრე მის შესწავლას. ამიტომაც ზემოქმედების რეზულტატები განსხვავდებიან დეკლარირებული

ძალაუფლების ერთი შეხედვით ნეიტრალური და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, ამასთან, გააკრიტიკოს და განიხილოს ისე, რომ ის პოლიტიკური ძალადობა, რომელიც ფარულად ხდება მათში, იქნეს მხილებული, იმისათვის, რომ ადამიანებმა შეძლონ მათ წინააღმდეგ ბრძოლა. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ძალაუფლების ამ საყრდენი წერტილების ამოცნობას, ჩვენ აღმოვჩნდებით იმ საფრთხის ქვეშ, რომ დაუშვებთ მათ არსებობას შემდგომშიც. შეიძლება აღმოვჩნდეთ იმის მოწმენი, თუ როგორ აღდგება იგივე კლასობრივი ძალაუფლება აშკარა რევოლუციური პროცესის შემდეგაც.“ ნ. ჩომსკი: „დიახ, მე სავსებით გეთანხმებით, და არა მარტო თეორიაში, არამედ ფაქტობრივადაც“ (იხ. ფუკო, 1971).

მიზნებისაგან. ასეთ ვითარებაში ეკონომისტებს მოეთხოვებათ განსაკუთრებული პროფესიული პასუხისმგებლობა და თეორიული კვლევების გააქტიურება. გააქტიურება აშკარად შეინიშნება მსოფლიოში 2008 წლის კრიზისის შემდეგ. მეცნიერები, პრაქტიკოსები, ექსპერტები და სტუდენტებიც კი, სულ უფრო აქტიურად გამოდიან ნეოკლასიკური თეორიის და ნეოლიბერალური პოლიტიკის კრიტიკით, რადიკალური რეფორმების პროგრამებით. გამოიცემა უამრავი მეცნიერული შრომები, ეწყობა კონფერენციები, წამყვან უნივერსიტეტებში შექმნილია სტუდენტური ასოციაციები სასწავლო პროგრამებში პლურალიზმის მოთხოვნით, დაარსდა კვლევითი ცენტრები ნეოკლასიკური პარადიგმის ალტერნატივის შესაქმნელად და ა.შ.[193]

[193] სტუდენტური ასოციაციები შექმნილია კემბრიჯის, ოქსფორდის, ჰარვარდის, სორბონას და მსოფლიოს სხვა წამყვან უნივერსიტეტებში; 2015 წელს შეიქმნა სტუდენტური მოძრაობა "International Student Initiative for Pluralism in Economics" („საერთაშორისო სტუდენტური ინიციატივა პლურალიზმისათვის ეკონომიკურ თეორიაში". იხ. http://www.isipe.net), იგი დღეისათვის აერთიანებს 82 სტუდენტურ ჯგუფს 30 ქვეყნიდან; ჯ. სოროსმა დააფუძნა „ახალი ეკონომიკური აზროვნების ინსტიტუტი", რომლის საწესდებო მიზანს წარმოადგენს ახალი ეკონომიკური პარადიგმის შემუშავება (იხ. https://www.ineteconomics.org); ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯ. სტიგლიცმა დააფუძნა ინსტიტუტი „Initiative for Policy Dialogue (IPD)", რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ნეოლიბერალიზმს და ეხმარება ქვეყნებს ალტერნატიული გზებით ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში; საყოველთაოდ ცნობილია საპროტესტო მოძრაობა „Occupy Wall Street" (http://occupywallst.org/about), ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მწვავე კრიტიკით, რომელიც 2011 წლის სექტემბერში დაიწყო მანჰეტენში და გავრცელდა აშშ-ის 100-ზე მეტ ქალაქში და გლობალურად გავრცელდა 1500-ზე მეტ ქალაქში.

შუალედური მოხმარების მატრიცა

$x'_m p'_m$				$-a'_{m1} x'_m v'_1$	. . .	$-a'_{m(n-1)} x'_m v'_{(n-1)}$	$-P'_m$		
	. . .			. . .	. . .	. . .	. . .		
		$x'_2 p'_2$		$-a'_{21} x'_2 v'_1$	. . .	$-a'_{2(n-1)} x'_2 v'_{(n-1)}$	$-P'_2$		
			$x'_1 p'_1$	$-a'_{11} x'_1 v'_1$	. . .	$-a'_{1(n-1)} x'_1 v'_{(n-1)}$	$-P'_1$		
$-P'_m + \sum a' x' v'$	. . .	$-P'_2 + \sum a' x' v'$	$-P'_1 + \sum a' x' v'$	$-a_{11} x_1 v_1$	. . .	$-a_{1(n-1)} x_1 v_{(n-1)}$	$-P_1$		
. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .		
$-P'_m + \sum a' x' v'$	. . .	$-P'_2 + \sum a' x' v'$	$-P'_1 + \sum a' x' v'$	$-a_{(m-1)1} x_{(m-1)} v_1$	. . .	$-a_{(m-1)(n-1)} x_{(m-1)} v_{(n-1)}$	$-P_{(m-1)}$		$x_{(m-1)} p_{(m-1)}$
$-P'_m + \sum a' x' v'$	. . .	$-P'_2 + \sum a' x' v'$	$-P'_1 + \sum a' x' v'$	$-a_{m1} x_m v_1$	. . .	$-a_{m(n-1)} x_m v_{(n-1)}$	$-P_m$	$x_m p_m$	
							$y_n v_n$	$-S_n$	
						$y_{(n-1)} v_{(n-1)}$		$-S_{(n-1)}$	
					. . .			. . .	
				$y_1 v_1$				$-S_1$	

ცხრილი A. „სიმეტრიული მოდელის“ მატრიცა შუალედური პროდუქტის წარმოების და მოხმარების გათვალისწინებით.

	$-P_1$				$x_1 p_1$				
	. . .			. . .					
	$-P_{(m-1)}$		$x_{(m-1)}p_{(m-1)}$						
	$-P_m$	$x_m p_m$							
	$y_n v_n$	$-S_n$	$-b_{n(m-1)}\, y_n\, p_{(m-1)}$	. . .	$-b_{n1}\, y_n\, p_1$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	. . .	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$
$y_{(n-1)}v_{(n-1)}$		$-S_{(n-1)}$	$-b_{(n-1)(m-1)}\, y_{(n-1)}\, p_{(m-1)}$	. . .	$-b_{(n-1)1}\, y_{(n-1)}\, p_1$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	. . .	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$
		. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .	. . .
		$-S_1$	$-b_{1(m-1)}\, y_1 p_{(m-1)}$	. . .	$-b_{11}\, y_1\, p_1$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$	. . .	$-S'_1 + \sum b'\, y'\, p'$
		$-S'_1$	$-b'_{1(m-1)}\, y'_1 p_{(m-1)}$	. . .	$-b'_{11}\, y'_1\, p_1$	$y'_1 v'_1$			
		$-S'_2$	$-b'_{2(m-1)}\, y'_2 p_{(m-1)}$	. . .	$-b'_{21}\, y'_2\, p_1$		$y'_2\, v'_2$		
		. . .	. . .	. . .	. . .			. . .	
		$-S'_n$	$-b'_{n(m-1)}\, y'_n\, p_{(m-1)}$	. . .	$-b'_{n1}\, y'_n\, p_1$				$y'_n\, v'_n$

ცხრილი B. „სიმეტრიული მოდელის“ მატრიცა მომსახურების სფეროს (დაქირავებული პერსონალის მიერ საოჯახო და პირადი მომსახურების წარმოების) გათვალისწინებით.

$-a_{11}x_1v_1$	$-a_{12}x_1v_2$	. . .	$-\alpha_1 A_1$				x_1p_1
$-a_{21}x_2v_1$	$-a_{22}x_2v_2$	. . .	$-\alpha_2 A_2$			x_2p_2	
. . .	. . .	. . .	. . .		. . .		
$-a_{m1}x_mv_1$	$-a_{m2}x_mv_2$	. . .	$-\alpha_m A_m$ - **P**’	x_mp_m I = S			
			P = Q y_nv_n	- **S**’ $-\beta_n B_n$	. . .	$-b_{n2}p_2y_n$	$-b_{n1}p_1y_n$
		.. . .		. . .	. . .	. . .	. . .
	y_2v_2			$-\beta_2 B_2$	. . .	$-b_{22}y_2p_2$	$-b_{21}y_2p_1$
y_1v_1				$-\beta_1 B_1$	. . .	$-b_{12}y_1p_2$	$-b_{11}y_1p_1$

ცხრილი C. „სიმეტრიული მოდელის“ მატრიცა ექსპორტ-იმპორტის გათვალისწინებით. (პროდუქტების და რესურსების ექსპორტი და იმპორტი ნაჩვენებია თეთრი ისრებით, ხოლო ფულის ექსპორტი და იმპორტი - შავი ისრებით).

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კაკაბაძე ზ.** 1985. „ექზისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. თბილისი. „მეცნიერება“
2. **კაკაბაძე ზ.** 1987. ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა. თბილისი. „მეცნიერება“.
3. **ნადირაშვილი შ.** 1975. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. **ტაბიძე ო.** 1991. ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება. თბილისი. „მეც-ნიერება“.
5. **Автономова Н.** 1977. Мишель Фуко и его книга «Слова и вещи». // В кн.: Фуко М. Слова и вещи. Археология гуманитарных наук. Москва. «Прогресс», 1977.
6. **Аллен Р.** 1963. Математическая экономия. М., Изд-во иностранной лите-ратуры.
7. **Антоновский А.** 2007. Никлас Луман: эпистемологическое введение в теорию социальных систем. М.: ИФРАН.
8. **Антоновский А.** 2007а. Смысл как коннективный механизм в языке, сознании и коммуникации. //В кн.: Язык, сознание, социум: Проблемы социальной эпистемологии. Отв. ред. И.Т.Касавин. - М.: ИФРАН. С. 57-75.
9. **Антоновский А.** 2006. Никлас Луман: социально-эпистемологическое введение в теорию социальных систем. Институт философии РАН, преп-ринт.
10. **Баумоль У.** Чего не знал Альфред Маршалл: вклад XX столетия в экономическую теорию. // ж.: "Вопросы экономики", №1, 2001, с. 73 - 107.
11. **Бем-Баверк Е.** 1931. Критика теории Маркса.- М.: "Московский рабочий".
12. **Бем-Баверк Е.** 1929. Основы теории ценности хозяйственных благ. - М.: "Прибой".
13. **Блюмин И.** 1962. Критика буржуазной политической экономии, ч.1.- М.: Изд-во АН СССР.
14. **Блауг М.** 1994. Экономическая мысль в ретроспективе. - М.: ДЕЛО лтд..
15. **Вальрас Л.** 2000. Элементы чистой политической экономии. – М.: Изо-граф.

16. **ван Дейк Т.** 2013. Дискурс и власть: Репрезентация доминирования в языке и коммуникации. **М.:** Книжный дом «ЛИБРОКОМ».
17. **Вебер М.** 1990. Избранные произведения. – М.: Прогресс.
18. **Вейль Г.** 1968. Симметрия. М., Наука.
19. **Взаимодействие**. Философская энциклопедия, т. 1, Э. Ильенков, Г. Давыдова, В. Лекторский.
20. **Визер Ф.** Теория общественного хозяйства. (http://libertarium.ru/lib_mbv_v_18)
21. **Гальчинский А.** 1990. К.Маркс и развитие экономической мысли Запада. - М.: Экономика.
22. **Гегель Г.** 1999. Наука логики. - М.: "Мысль".
23. **Гегель Г.** 1990. Философия права. - М.: "Мысль".
24. **Гегель Г.** 1974. Энциклопедия философских наук. Т.1. - М.: "Мысль".
25. **Гегель Г.** 1959. Феноменология духа. М.: Изд-во соц.эк.литературы.
26. **Гуссерль Э.** 2001. Логические исследования. Т.2. – М.: ДИК.
27. **Гуссерль Э**. 1999. Идеи к чистой феноменологии и феноменологической философии. Книга I. Общее введение в чистую феноменологию. – М.: ДИК.
28. **Гуссерль Э.** 1994. Метод прояснения // Современная философия науки. Хрестоматия. – М.: Наука.
29. **Делепляс Г.** 2000. Лекции по истории экономической мысли. Новосибирск. Экономический Факультет НГУ.
30. **Ильенков**. **Э.** О переводе термина «Wert» (ценность, достоинство, стоимость, значение. http://caute.ru/ilyenkov/texts/daik/wert.html
31. **31. Ильенков Э., Давыдова Г., Лекторский В.** Взаимодействие. // В кн.: Философская Энциклопедия. Т. 1. – М.: Советская энциклопедия. Под ред. Ф.В.Константинова. С. 250 1960.
32. **Ильин И.** 1996. Постструктурализм. Деконструктивизм. Постмодернизм. Москва: Интрада.
33. **История экономических учений / Под** ред. **В.** Автономова, О.Ананьина, Н. Макашеюй:Учеб. пособие. — М: ИНФРА-М, 2002.
34. **Ингарден Р.** 1999. Введение в феноменологию Эдмунда Гуссерля. – М.: ДИК.
35. **Кант И.** 1998. Критика чистого разума. Минск. Литература.
36. **Кирдина С.** 2011. Институциональные изменения и принцип Кюри.//Экономическая наука современной России. 2011. №1 (52) С. 8-19.
37. **Князева Е., Курдюмов С.** 2002. Основания синергетики. Алетейя.

38. **Князева Е.** 2006. Эпистемологический конструктивизм. Философия науки. Вып. 12: Феномен сознания. М.: ИФ РАН.
39. **Князева Е., Курдюмов С.** Синергетическая парадигма. Основные понятия в контексте истории культуры. (http://lib.icr.su/node/1247)
40. **Князева Е., Курдюмов С..** Антропный принцип в синергетике. (http://spkurdyumov.ru/philosophy/antropnyj-princip-v-sinergetike/).
41. Концепции современного естествознания. Под редакцией Л. А. Михайлова. СПб.: 2008.
42. **Леиашвили П.** 1990. Анализ экономической ценности. - М.:"Экономика".
43. **Леиашвили П.** 1990. Ценность как категория аксиологии. Тбилиси, Изд-во ТГУ.
44. **Леиашвили П.** 2011. Экономическая деятельность: Телеологический анализ. Тбилиси. СИАХЛЕ.
45. **Леиашвили П.** 2013. Экономикс в тисках эмпиризма и догматизма. Тбилиси, СИАХЛЕ.
46. **Луман Н**. 2007. Введение в системную теорию. М.: ЛОГОС.
47. **Луман Н.** 2004. Общество как социальная система. М.: ЛОГОС.
48. **Луман Н**. 2007а. Социальные системы. Очерк общей теории. Санкт-Петербург. «НАУКА»
49. **Луман Н**. Почему необходима «системная теория»? // Проблемы теорети-ческой социологии. – СПб.: Петрополис, 1994. – С. 43-54.
50. **Мамардашвили М.** 1990. Как я понимаю философию. Москва. «Прогресс».
51. **Мамардашвили М.** 2002. Философские чтения. Санкт-Петербург. Эазбука-классика».
52. **Маркс К., Энгельс Ф.** 1955. Сочинения. 2-е изд. - Т. 3. - М.: "Политиздат".
53. **Маркс К.,Энгельс Ф.** 1955. Сочинения. 2-е изд. - Т. 12. - М.: "Политиздат".
54. **Маркс К., Энгельс Ф.** 1955. Сочинения. 2-е изд. - Т. 23, - М.: "Политиздат.
55. **Маркс К., Энгельс Ф.** 1962. Сочинения. 2-е изд. т. 27, - М.: "Политиздат".
56. **Маркс К., Энгельс Ф.** 1968-1969. Сочинения. 2-е изд. т. т. 46, ч. 1, - М.: "Политиздат".
57. **Маркс К., Энгельс Ф.** 1986. Письма о "Капитале". - М.: "Политиздат".
58. **Матурана У.** 1996. Биология познания. //В кн.: Петров В. В. (сост.) Язык и интеллект, М.: Прогресс, с. 95-142.

59. **Метелёв А.** 2011. Теория хаоса в банке. Омск: Изд-во Омского институ-та (филиала) РГТЭУ, 2011.
60. **Мизес Л.** 1994. Социализм. Экономический и социологический анализ. - М.: "Catallaxy".
61. **Мизес Л.** 2005. Человеческая деятельность: Трактат по экономической теории. - Челябинск: Социум.
62. **Найт Ф.** 2003. Риск, неопределенность и прибыль. - М.: Издательство "Дело".
63. **Парсонс Т**. 2000. О структуре социального действия. — М.: Академичес-кий Проект.
64. **Парсонс Т**. 2002. О социальных системах. — М.: Академический Проект.
65. **Плущевская Ю.** О состоятельности теоретического фундамента таргети-рования инфляции и новокейнсианских моделей общего равновесия. //ж.: «Вопросы экономики» , 2012, № 5, с. 22 - 36.
66. **Попков В.** 2014. Экономический конструктивизм. Москва. URSS.
67. **Попков В.** Исчисление индикаций Дж. Спенсера – Брауна. (http://www.bogdinst.ru/works/popkov-kazan2.pdf)
68. **Поппер К.** 1992. Открытое общество и его враги. Т. 2, Москва. Междуна-родный фонд « Культурная инициатива». Soros Foundation (USA)
69. **Пригожин И., Стенгерс И.** 1986. Порядок из хаоса: Новый диалог человека с природой. — М.: Прогресс.
70. **Райнерт Э.** 2011. Как богатые страны стали богатыми, и почему бедные страны остаются бедными. М.: Изд. дом Гос. ун-та — Высшей школы экономики.
71. **Рубинштейн С.** 1983. Основы общей психологии. т.2 - М.: "Педагогика".
72. **Русакова О.** 2012. Современная политическая философия. Екатеринбург: ИД «Дискурс-Пи».
73. Система. Симметрия. Гармония. Под ред. В.С. Тюхтина, Ю.П.Урманцева. - М.: "Мысль", 1988.
74. **Смит А.** 1962. Исследование о природе и причинах богатства народов. - М.; Изд-во соц.-экон. Литературы.
75. **Сраффа П.** 1999. Производство товаров посредством товаров. Прелюдия к критике экономической теории. М.: ЮНИТИ.
76. **Узнадзе Д.** 1966. Психологические исследования.- М.:"Наука".
77. **Узнадзе Д.** 2004. Общая психология, - М.: "Смысл; СПб.: Питер",
78. **Усанов П.** Экономическая феноменология как метод политической эко-номии австрийской школы.//В кн.: Сборник статей. «Субъективная

политиче-ская экономия, философия и творчество». Санкт-Петебург. 2010. (http://ru.convdocs.org/docs/index-87859.html)
79. **Фукуяма Ф.** 2004. Доверие. Социальные добродетели и путь к процветанию. М.: «АСТ».
80. **Хайек Ф.** 1992. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. - М.: Изд-во "Новости".
81. **Хакен Г.** Самоорганизующееся общество. (http://bookfi.org/g/Хакен.).
82. **Хакен Г.** 2003. Тайны природы. Синергетика: учение о взаимодействии. — Москва-Ижевск: Институт компьютерных исследований.
83. **Хиценко В.** 1999. От принципа неопределенности к контингентности.// Принцип неопределенности и прогноз развития социально-экономических систем: Материалы научного семинара. Томс: Спектр, С. 12-16.
84. **Цоколов С.** 2000. Дискурс радикального конструктивизма. Verlag Munchen, PHREN.
85. **Чавчавадзе Н.** 1984. Культура и ценности. Тбилиси. «Мецниереба».
86. **Шумпетер Й.** 2001. История экономического анализа. Т.2. СПб.: Экономическая школа.
87. **Шумпетер Й.** Капитализм, социализм и демократия. (http://ek-lit.narod.ru/shumsod1.htm)
88. **Шумпетер Й.** Движение к социализму. (http://eklit.narod.ru/shumsots.htm).
89. **Шютц А.** 2003. Смысловая структура повседневного мира. Очерки по феноменологической социологии. Москва. Институт Фонда «Общественное мнение».
90. **Энгельс Ф.** 1961. «Анти-Дюринг». В кн.: Карл Маркс, Фридрих Энгельс. Сочинения. 2-е изд. т. 20, - М.: "Политиздат", 1961.
91. **Энгельс Ф.** 1961. Диалектика природы. В кн.: Карл Маркс, Фридрих Энгельс. Сочинения. 2-е изд. т. 20, - М.: "Политиздат", 1961.
92. **Яцкевич В.** 1990. Диалектика оптимального выбора. Киев, «Наукова думка»,
93. **Якоба В.** Деконструкция дискурсивной технологии властию.// Вестн. Волгогр. гос. ун-та. Сер. 2, Языкозн. 2015. № 5 (29).
94. **Benes J., Kumhof M.** 2012. The Chicago Plan Revisited. IMF Working Paper. August, 2012. WP/12/202.
95. **Berg A., Ostry J.** 2011. Inequality and Unsustainable Grouth: Two Sides of the Same Coin? IMF Staff Discussion Note.

96. Debate Noam Chomsky & Michel Foucault - On human nature [Subtitled]. 13, March, 2013. (https://www.youtube.com/watch?v=3wfNl2L0Gf8&t=7s)
97. **Blaug M.** Ugly Currents in Modern Economics. // Policy Options. 1997, September. pp 3 - 8.
98. **Buchanan J.** Economists Have No Clothes. // RMM Vol. 0, Perspectives in Moral Science, ed. by M. Baurmann & B. Lahno, 2009, 151–156. (http://www.rmm-journal.de/downloads/010 _buchanan.pdf)
99. **Crutchfield, J.P., J.D. Farmer, N.H. Packard, and R.S Shaw.** 1986. Chaos. //"Scientific American". Vol. 255, No. 6, pp. 46-57.
100. **Derrida J.** 1967. L' ecriture et difference. (Цитю по: Ильин И. ПОСТМОДЕРНИЗМ. СЛОВАРЬ ТЕРМИНОВ. Москва: INTRADA. 2001).
101. **de Soto J. H.** 2009. Money, Bank Credit, and Economic Cycles. Ludwig von Mises Institute.
102. Foundations of Economic Thought. Ed. by Y. Greedy. N.Y. 1991.
103. **von Foerster H.** 2003. Understanding understanding: essays on cybernetics and cognition. Springer-Verlag New York, Inc.
104. **Fullbrook Ed.** Toxic Textbooks. ttp://www.toxictextbooks.com/ToxicTextbooksFullbrook.htm
105. **Galbraith James K.** Can we please move on? A note on the Guerrien debate. Post-Autistic Economics Review - Issue No.15. (http://www.autisme-economie.org/rubrique25.html)
106. **Guerrien B.** Is There Anything Worth Keeping in Standard Microeconomics? // Post-autistic Economics Review – Issue No.12. (http://www.autisme-economie.org/article115.html)
107. **Hayek, F.** 1992. The fatal conceit : the errors of socialism. (The collected works of Freidrich August Hayek). Routledge, London,
108. **Hayek F.** 1933. Monetary Theory and the Trade Cycle. Sentry Press, New York, N.Y.
109. **Hibben J.** 1902. Hegel's Logic: An Essay in Interpretation. New York; Charles Scribner's Sons. (http://www.marxists.org/reference/archive/hibben/logic/ch10.htm)
110. **Heilbroner R.** Behind The Veil of Economics. // Sosial Research. Summer 1983.
111. **Hicks J.** 'Mr. Harrod's dynamic theory,' In: Economica. May, 1949. Vol. 16, No. 62. pp. 106–21. London. Wiley.
112. **Human Development Report**, 2015
113. **IMF.** Causes and Consequences of Income Inequality: A Global Perspective. Prepared by Era Dabla-Norris, Kalpana Kochhar, Frantisek Ricka, Nujin Suphaphiphat, and Evridiki Tsounta. June 2015.

114. **Jorda O., Schularick M., Taylor A.** 2014. The Great Mortgaging: Housing Finance, Crises, and Business Cycles. Federal Reserve Bank of San Francisco. Working Paper 2014-23.
115. **Keen S.** 2011. Debunking Economics: The Naked Emperor Dethroned? London & New York, Zed Books Ltd.
116. **Knodt E.** 1995. *Foreword.* In. Luhmann N. Sosial Systems. Stanford University Press, Stanford. (Цит. по Цоколов, 2000, 6.)
117. **Kotz D.** The Financial Crisis and the Real Economy, October, 2013. In: Real World Banking and Finance, by Orr D., Reuss A., Sturr C., Wolfson M. 7th Edition, Dollars & Sense, 2014.
118. **Kotz D.** Neoliberalism : The Rebound? Responses by David Kotz. // Actuel Marx – Anglais. August, 2011.
119. **Leiashvily P.** Towards the teleological understanding of economic value. // *"International Journal of Social Economics".* Volume 23, Number 9, 1996. (p. 4 - 14).
120. **Leiashvily P.** 2012. Economic Activity: Teleological Analysis. New York. Nova Science Publishers Inc.
121. **Leiashvily P.** The Dialectics of Economic Activity. In Searching of Symmetry in Economy. // *Georgian International Journal of Science and Technology*, V. 3. Issue 3, 2011
122. **McChesney W.** 1999. Introduction. In: Chomsky N. Profit over people: neoliberalism and global order. New York. Seven Stories Press. 1999.
123. **Merton R. K.** Social Structure and Anomie // American Sociological Review, Vol. 3, No.5, (Oct., 1938), pp. 672-682.
124. **Minsky H.** 2004. Induced Investment and Business Cycles. Cheltenham, UK, Northampton, MA, USA. Edward Elgar Publishing, Inc.
125. **Mises L.** 1996. Human Action. A Treatise On Economnics, Fourth Revised Adition, Fox &Wilkes, Sun Francisco.
126. **Nelson R.** 2001. Economics as Religion: From Samuelson to Chicago and Beyond. University Park: Pennsylvania State University Press.
127. **OXFAM**. OXFAM BRIEFING PAPER. Working for the few. Political captire and economic inequality. 20 JANUARY, 2014.
128. **OXFAM**. OXFAM MEDIA BRIEFING. The cost of inequality: how wealth and income extremes hurt us all. 18 January 2013.
129. **Piketty T.** 2014. Capital in the Twenty–First Century. The Belknap Press of Harvard University Press. CAMBRIDGE, MASSACHUSETTS LONDON, ENGLAND.
130. **Reinhart C., Rogoff K.** 2013. Financial and Sovereign Debt Crises: Some Lessons and Those Forgotten. 2013, November.)
131. Revolution, 1988, N 459, 16-22 decembre, p. 24.

132. **Robbins L.** 1945. An Essay on the Nature and Significance of Economic Science. London. Macmillan and Co..
133. **Schumpeter J.** On the Concept of Social Value // *"Quarterly Journal of Economics"*, vol.23, 1908-9.
134. **Slattery D., Nellis J., Josifidis K., Losonc A.** Neoclassical economics: science or neoliberal ideology? // *European Journal of Economics and Economic Policies: Intervention*, Vol. 10 No. 3, 2013, pp. 313–326.
135. **Solow R.** "Building a Science of Economics for the Real World", July 20, 2010, p. 1. (http://en.wikipedia.org/wiki/DSGE)
136. **Spencer - Brown G.**, 1979. Laws of Form. New Edition New York, Dutton.
137. **Stiglitz J.** 2012. The Price of Inequality. W. W. Norton & Company, Inc. New York, N.Y.
138. **Turner A.** 2016. Between Debt and the Devil. Money, Credit, and Fixing Global Finance. Princeton University Press. Princeton and Oxford.
139. **Turner A.** A new era for monetary policy. 17 февр. 2015 г. https://www.youtube.com/watch?v=UVQdeb0EdWA&t=12s
140. **Thorsen D., Lie A.** 2013. What is Neoliberalism? Oslo. University of Oslo.
141. **Varela F.** Autonomy and Autopoiesus. In.: Roth G., Schvegler H. (Eds.) Self-organizing Systems. Campus Verlag, 1981, p. 14-23.
142. **Watzlawick P.** 1997. *Munchhausens Zopf.* Piper Verlag, Munchen, 3. Aufl.

პაატა ლეიაშვილი
ეკონომიკური მოღვაწეობა. სისტემური ანალიზი
(მე-2 გადამუშავებულიო გამოცემა)

თბილისი
გამომცემლობა „სიახლე“
2017

Paata Leiashvily
Economic Activity. Systemic Analysis
(Second Edishon)

Tbilisi
Publishing House "Siakhle"
2017

==========
გამმომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 0162ყიფშიძის 1ასავ.;
ტელ.: 599530487; E-mail: marinassati@gmail.com